საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ბათუმის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი

ოთარ თურმანიძე

სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში

(1946–1990 წწ.)

გამომცემლობა
"ბათუმის უნივერსიტეტი"
2005

შრომაში განხილულია აჭარის სოციალურ–ეკონომიკური ისტორიის საკვანძო საკითხები 1946–1990 წლებში. კერძოდ, შესწავლილია მრეწველობა, კაპიტალური მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სოფლის მეურნეობა. გაანალიზებულია დემოგრაფიული მდგომარეობა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, ნაჩვენებია მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ღვაწლი ომისშემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენა–განვითარებაში.

მონოგრაფიაში გამოკვლეულია მოსახლეობის კეთილდღეობის ისეთი საკითხები, როგორიცაა მატერიალური მდგომარეობა, ჯანმრთელობის დაცვა, ყოფაცხოვრება, მომსახურების ფორმები, ტურიზმი, ფიზიკური კულტურა და სპორტი. წიგნი გათვალისწინებულია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: **მაყვალა ნათმელაძე**
ისტორიის მეცნიერებატა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: **სერგო დუმბაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რამაზ სურმანიძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ჯემალ კარალიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი

ISBN 99928–48–79-0

გამომცემლობა "ბათუმის უნივერსიტეტი"

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ‘ეახლეს ისტორიაში 1946–1990 წლები ‘ეაღრესად საყურადღებო და საინტერესოა. ამ წლებში დაძლეული იყო მეორე მსოფლიო ომის მძიმე შედეგები, აღდგენილ იქნა ომის შედეგად დაზარალებული სახალო მეურნეობა. მიმდინარეობდა ახალმშენებლობანი, დაჩქარდა სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესი. იყო თვალსაჩინო წარმატებები, წარუმატებლობაც, სიძნელეები, წინააღმდეგობები და პრობლემები. საქართველოს, კერძოდ, აჭარის მოსახლეობას რთულ პირობებში უხდებოდა შრომა და ცხოვრება. ამის მიუხედავად, ხალხი იტანდა გაჭირვებას და მომავლის რწმენით მუხლჩაუხრელი შრომობდა.

ცხადია, ომისშემდგომი პერიოდის საქართველოს, კერძოდ, აჭარის სოციალურ–ეკონომიკური ისტორიის მეცნიერულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ეკონომიკური და სოციალური სისტემების საფუძვლები განსაზღვრავენ საზგადოების განვითარებას. ამ სისტემების ავკარგიანობა‘ზეა დამოკიდებ‘ული მატერიალური წარმოების აღმავლობა, ჰარმონი‘ული ურთიერთობის დამყარება სოციალურ ფენებს შორის, მეცნიერბისა და კულტურის განვითარება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

დღეს საქართველოს, რომელიც დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს აშენებს, ყველაზე მეტად სჭირდება ‘ეახლოესი ისტორიის გამოცდილების გამოყენება. არადა ამ სფეროში დეფიციტი იგრძნობა. როგორი მასშტაბისა და ხასიათის ნაკლოვანებები და ხარვეზები არ უნდა არსებობდეს წარსულში, იგი მაინც ჩვენი ისტორიის ნაწილია. მისი აბსოლიტ‘ურად იგნორირება აშკარად ‘ესამართლობა იქნებოდა. საზოგადოებაში მოქმედებს “მოხსნა-შენახვის” ბუნებრივი კანონი, რომლის თანახმად წარსულის ‘ეარეოფა არ ნიშნავს მის ხელაღებით უგულებელყოფას. ‘ენდა ამოიძირკვოს პროგრესის ‘მემაფერხებელი, მაგრამ

დადებითი ყურადღებისა და შემოქმედებითი გამოყენების ღირსია.

სწორედ ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტი მიდგომა ისტორიული მოვლენებისადმი. ისტორიზმი კი მეცნიერული მეთოდოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. ამ პრინციპით ვხელმძღვანელობდი, როდესაც მიზნად დავისახეთ სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლა აჭარაში 1946–1990 წლებში. ეს წლები ყველაზე დიდი მონაკვეთია საქართველოში, კერძოდ, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების 70 წლიანი ისტორიისა. სწორედ ამ პერიოდში გამოვლინდა საბჭოთა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ავკარგიანობა.

საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში განხორციელებული გარდაქმნების შედეგად აჭარაში ჩამოყალიბდა ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა. ცხოვრების ყველა სფერო გასახელმწიფოებრივი გახდა. ომისშემდგომ პერიოდში ეს პროცესი გაღრმადა და სოციალლურ-ეკონომიკური პრობლემების ყველა წერილმანიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების შესახებ, ცენტრალური ხელისუფლება (მოსკოვი) განაგებდა.

მოკავშირე და, მით უმეტეს, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების ხელსუფლების ორგანოების უფლებამოსილებანი ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მათი მთავარი ამოცანა იყო გეგმების შესრულებისათვის მასების ორგანიზაცია, ცენტრალური ხელისუფლების დადგენილებების პრაქტიკულად განხორციელება. რასაკვირველია, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში რეგიონალურ ხელმძღვანელობას არავინ ეკითხებოდა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ხასიათისა და ფორმების შესახებ.

ომისშემდგომ წლებში დასრულდა სსრ კავშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავდა საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს. ამის შესახებ სსრ

კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში ნათქვამია: "სსრ კავშირის ეკონომიკა შეადგენს ერთიან სახალხო–სამეურნეო კომპლექსს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს მოიცავს" (სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). თბ., 1977 გვ.12).

ეკონომიკის ერთიან კომპლექსს ცენტრალური ხელსუფლება (მოსკოვი) მართავდა. ცენტრში მუშავდებოდა წარმოების, განაწილების და გაცვლის გეგმები, რომლებიც დირექტივების სახით ეძლეოდათ ადგილებზე. ცხადია, აჭარის ეკონომიკა სსრ კავშირის ერთიანი სახალხო–სამეურნეო კომპლექსის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. აქ განლაგებული საკავშირო მნიშვნელობის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ სსრ კავშირის შესაბამისი დარგის სამინისტროებს. ამ საწარმოთა მთლიანი შემოსავალი საკავშირო ყულაბაში ირიცხებოდა და ცენტრალური ხელუსუფლება მას ისე ანაწილებდა როგორც სურდა.

მკაცრი ცენტრალიზაციის პირობებში საკავშირო და საკავშირო–რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების ადგილობრივ ხელმძღვანელობას უფლება არ ქონდათ გამოეყენებინათ მოგების ნაწილი თავიანთი რეგიონების სოციალურ–კულტურული ღონისძიებებისათვის. არადა ისინი არანაკლებ სარგებლობდნენ ადგილობრივი გზებით, კომუნიკაციებით, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურებით, განათლებისა და ჯანდაცვის, დასვენებისა და კულტურის კერებით. საქართველოს რესპუბლიკურმა ხელმძღვანელობამ XX საუკუნის 70–იან ქლებში თითქოსდა გამოსავალი გამოიძებნა არსებული სისტემის პირობებში – თავდაპირველად ფოთში ექსპერიმენტის სახით შეიქმნა საწარმოთა დარგთაშორისი საქალაქო გაერთიანება, რომელიც შემდგომში მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, მათ შორის ქ. ბათუმში ჩამოყალიბდა.

ამიერიდან საწარმოთა მოგების ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტში შედიოდა და მას იყენებდნენ როგორც წარმოების განვითარების, ისე სოციალურ–კულტურული მიზნებისათვის. ცხადია, ეს არ იყო შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი. ჯერ–ერთი, ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხებოდა საწარმოთა მოგების მცირე ნაწილი და, მეორე, საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში საწარმო არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ რგოლს. მისი მართვა ხდებოდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით, უგულებელყოფილი იყო საბაზრო ეკონომიკის კანონები. ამდენად, წარმოება მოკლებული იყო შინაგანი განვითარების ბუნებრივ წაყროს–კონკურენციას, მატერიალურ სტიმულირებას, თვითდაფინანსებას, სამეურნეო ანგარიშსა და სხვა ატრიბუტებს.

წარმოების შინაგანი განვითარების კანონების უგულებელყოფამ უარყოფითად იმოქმედა პროდუქციის ხარისხზე. მართალია, რაოდენობრივი მაჩვენებლებები იზრდებოდა, უწინარესად მბრძანებლურ–ადმინისტრაციული მეთოდებით მკაცრი რეჟიმის პირობებში, მაგრამ მან არსებითი გავლენა ვერ მოახდინა პროდუქციის ხარისხზე. ამიტომ სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის ხარისხი, წარმოებისა და მომსახურების კულტურა დიდად ჩამორჩებოდა საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების მიღწევებს.

XX საუკუნის 60–ინი წლების მეორე ნახევრდან სსრ კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გააძლიერა ყურადღება ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხისადმი. მეათე ხუთწლედი (1976–1980) წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის წლებად გამოაცხადეს, მაგრამ მას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. მოსალოდნელი არც უნდა ყოფილიყო, რამდენადაც მთლიანად სახალხო მეურნეობა მუშაობდა არსებული სისტემისა და რეჟიმის პირობებში. ამ სისტემის შეცვლისათვის კი გაბედულად არ გამოდიოდნენ. ამის პოლიტიკური ნებაც არ იყო.

80–იან წლებში სსრ კავშირში ახალი კრიზისი დაიწყო. ცხადია, იგი საქართველოშიც გავრცელდა. სსრ კავშირის ცენტრალური ხელმძღვანელობა შეეცადა მის დაძლევას. თავდაპირველად წამოაყენეს "დაჩქარების" ლოზუნგი, მაგრამ მან ქვეყანა კრიზისიდან ვერ გამოიყვანა. 80–იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება ე.წ. "გარდაქმნები", რომლის მთავარი მოთხოვნები იყო "რადიკალური ეკონომიკური რეფორმა" და "საზოგადოების დემოკრატიზაცია". საზოგადოების საღად მოაზროვნე ადამიანებმა სსრ კავშირის ხელმძღვანელობა აიძულა ამოეღო მოქმედი კონსტიტუციიდან მე–6 მუხლი, რომელიც სკკპ ხელმძღვანელ და მმართველ პარტიად აკანონებდა. ცხადია, იგი მოასწავებდა წინგადადგმულ ნაბიჯს პოლიტიკური პლურალიზმისაკენ და დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაშლა.

"რადიკალური ეკონომიკური რეფორმა" მიზნად ისახავდა წარმოებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, მის სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე გადყვანას, შრომითი კოლექტივების უფლებების გაფართოებას. მაგრამ აღნიშნული "რეფორმა" ასევე კრახით დამთავრდა. "რადიკალური ეკოომიკური რეფორმა" არსებული სისტემის პირობებში ტარდებოდა, მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიების, ოლქებისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფორმირებათა უფლებები წარმოების მართვაში პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა.

ერებისა და ხალხების დაახლოება და გაერთიანება მსოფლიო განვითარების კანონია, კაცობრიობა ბოლოს აქამდე მივა, მაგრამ სსრ კავშირი ერებისა და ხალხების იძულებითი, ძალმომრეობითი გაერთიანება იყო. ერთიანი სახალხო–სამეურნეო კომპლექსი, ეროგვაროვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემები, ადამიანთა ახალი ერთობის "საბჭოთა ხალხის" შეთხზვა გამიზნული იყო იმპერიასი შემავალი ხალხების ეროვნული გაუცხოებისაკენ. ეს პროცესი შენიღბულად და დახვეწილი მეთოდებით წარიმართებოდა. მაგრამ უშედეგოდ.

თავიდანვე ნათელი იყო, რომ სსრ კავშირს პერსპექტივა არ გააჩნდა. იგი ხალხთა ნაძალადევი გაერთიანება იყო. მისი არსებობის შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ ტოტალიტალური, საოკუპაციო რეჟიმის პირობებში, ისიც დროებით. ამიტომ საქართველოს სსრ კავშირის შემადგენობაში ყოფნის პერიოდი ქვეყნისათვის მძიმე აღმოჩნდა. ჯერ–ერთი, გასაბჭოებისას (1921წ) საქართველომ დაკარგა თვისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მეორე, ქვეყანაში მომრაველდნენ უცხო ეთნიკური წარმოშავლობის მოსახლეობა, რომელიც ყოველთვის იყო მუდმივი დესტაბილიზაციის წყარო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991წ) კვლავ დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. უცხო ეთნიკური ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ ქართულ ტერიტორიაზე წარმოიქმნა ე.წ. "ცხელი წერტილები". ყველა ეს უბედურება რუსეთს უკავშირდება.

მიუხედავად ამისა, საქართველოში, კერძოდ, აჭარაში XX საუკუნის 50–80 იან წლებში საგრძნობი მიღწევები იყო სოციალურ–ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია მუხლჩაეხრელად შრომობდა, იტანდა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზეწოლასაც. მოსახლეობის თავდადებული შრომის შედეგად აჭარაში გადაჭარბებით შესრულდა სახალხო მეურნეობის გეგმები, რის შედეგად ყოველწლიურად იქმნებოდა მნიშვნელოვანი მატერიალური დოვლათი, ახალი სამუშაო ადგილები. მაგრამ ცენტრალური ფასწარმოების, განაწილებისა და გაცვლის სისტემისას რიგითი მშრომელები თავიანთი შრომის შედეგებით ნაკლებად სარგებლობდნენ.

XX საუკუნის 50–80იან წლებში აჭარას შესამჩნევი მიღწევები ჰქონდა სოფლის მეურნეობაში, საკავშირო შრომის დანაწილებაში ეს რეგიონი ძირითადად წარმოდგენილი იყო სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურებითსაი, თამბაქო, ციტრუსები. მაგრამ მეთამბაქოებაში იმდე-

ნად დაბალი იყო შრომის ანაზღაურება, რომ მწარმოებლებს თითქმის არაფერი რჩებოდათ. მართალია, XX საუკუნის 70–იან წლებში თამბაქოს შესასყიდი ფასები საგრძობლად გაიზარდა მაგრამ იგი მაინც არასაკმარისი იყო. საკოლმეურნეო, სახელმწიფო და სამეურნეოთაშორისო მეცხოველეობის ფერმებში დასაქმებული ადამიანების შრომა ნამდვილ ბეგარას განასახიერებდა. მიუხედავად ამისა, ხალხი მძიმე შრომას იტანდა, დოვლათს ქმნიდა.

საგრძნობი მიღწევები იყო მეცნიერებასა და სამეცნიერო–ტექნიკურ პროგრესში. შესამჩევად დაწინაურდა სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობასთან დაკავშირებული სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა, გამომგონებლობა და რაციონალიზაცია. ასევე საგძნობი ცვლილებები მოხდა დემოგრაფიულ მდგომარეობაში, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა მოსახლეობის კეთილდღეობაში. ომისშემდგომ პერიოდში ეტაპობრივად მოხდა საყოველთაო არასრული და სრული საშვალო განათლების შემოღება, რაც დიდმნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიება იყო. არსებითად შეიცვალა აჭარის მოსახლეობის ყოფა. ოითქმის ამოიძირკვა ქართულისათვის უცხო წეს–ჩვეულებები, რაც დაკავშირებული იყო ამ რეგონში ოსმალეთის სამსაუკუნოვან ბატონობასთან.

ამჟამად ყოველივე ეს ისტორიის კუთვნილებაა. სსრ კავშირის დაშლის შედეგად საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობა რთულ პირობებში წარიმართა.

აღარ არსებობს ერთიანი საკავშირო ორგანიზებული ბაზარი. მოიშალა პროდუქციის წარმოების, განაწილებისა და გაცვლის, ასევე ერთიანი სახალხო–სამეურნეო კომპლექსი. ასეთ პირობებში აჭარაში აღარ მუშაობენ სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილი, სამშენებლო ორგანიზაციები, უმოქმედოა სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობები, გაუქმებულია კოლმეურნეობები. გადაშენების გზაზეა

ჩაისა და თამბაქოს კულტურები, დაქვეითებულია მეციტ-რუსეობა და მევენახეობა.

ქვეყნის პოლიტიკური ძალებიც დაქსაქსულია. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 14 წელზე მეტი გავიდა, არ არსებობს ეროვნული მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ერთიანი მეცნიერული პროგრამა. ამიტომ დღეს აუცილებლობას წარმოადგენს ახლო წარსული მოვლენების მეცნიერული გაანალიზება, დასაბუთებული განზოგადებებისა და დასკვნების გამოტანა, სწორი რეკომენდაციების შემუშავება.

წინამდებარე შრომის მიზანს შეადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ–ეკონომიკური ვითარების მონოგრაფიული შესწავლა ომისშემდგომ პერიოდში. ინტერესი ამ თემისადმი იმანაც განაპირობა რომ ქვეყნისა თუ მისი რეგიონების სიძლიერე განისაზღვრება სოციალ-ლურ-ეკონომიკური განვითარების დონით, მატერიალური წარმოებით, მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესით, ნორმალური დემოგრაფიული სიტუაციითა და საზოგადოების ოპტიმალური სოციალური სტრუქტურით, მოსახლეობის კეთილდღეობითა და ცივილიზებული ყოფით.

აქედან გამომდინარე, მონოგრაფიაში შესწავლია ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის ისეთი საკვანძო საკთხები, როგორიცაა მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სოფლის მეურნეობა. ამასთან ერთად განხილულია მეცნიერება და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. გამოკვლეულია დემოგრაფიული მდგომარეობა, დახასიათებულია თითოეული სოციალური ჯგუფი და ფენა, ქალაქისა და სოფლის იერსახე, მათ შორის განსხვავებათა ხასიათი და დაახლოების ტენდენციები. გაშუქებულია მოსახლეობის კეთილდღეობა: მატერიალური მდგომარეობა, ყოფაცხოვრება, მომსახურების ფორმები, ჯანმრთელობის დაცვა, ფიზიკური კულტურა, სპორტი და ტურიზმი.

წიგნში მეცნიერულადაა შეფასებული მიღწევები, განსაკუთრებით მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგები. ხაზგასმულია ნაკლოვანებათა შესახებ. ნაკლოვანებები, ხარვეზები და შეცდომები, რაც აჭარის სოციალურ–ეკონომიკურ ცხოვრებაში არსებობდა, განპირობებულია ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით. საბჭოთა ეკონომიკური სისტემა ზღუდავდა მასების ენთუზიაზმს, ინიციატივასა და აქტიურობას. ამიტომ ომისშემდგომ, პერიოდში როგორც მანმადე, მთლიანად ვერ გამოვლინდა მასების შემოქმედებითი ნიჭი და უნარი, შრომითი მეტოქეობა.

ცხოვრება ვერ ჩადგა ნორმალურ კალაპოტში. მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება წლების განმავლობაში ნელი ტემპით მიმდინარეობდა. იგი შედარებით გამოკეთდა XX საუკუნის 70–იან წლებში, მაგრამ ავღანეთის წინააღმდეგ ხანგძლივი ომის შედეგად შესამჩნევად გაუარესდა. ეკონომიკურ კრიზისს სოციალურიც დაემატა და ხალხის უკმაყოფილება პერმანენტულად მატულობდა.

ამრიგად, აჭარის ომისშემდგომი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური ისტორია აღსავსეა წინააღმდეგობებით, კატაკლიზმებით, მიღწევებითა და წარუმატებლობით. ამ წლების სოციალურ–ეკონოიკური ისტორიის მეცნიერული შესწავლა წაადგება დღევანდელობასაც. ის, რაც დადებითი იყო ომისშემდგომ წლებში, შემოქმედებითად უნდა ავითვისოთ, უარყოფითი და საზიანო უკუვაგდოთ, გავათავისუფლოთ საზოგადოებრივი აზრი დრომოჭმული სტერეოტიპებისაგან. ვაშენოთ თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს ახალი ცხოვრება ისტორიული მემკვიდრეობის შემოქმედებითი გამოყენებით.

წინამდებარე შრომა დაწერილია პირველწყაროებზე დაყრდნობით. მათი უმეტესი ნაწილი არქივსაცავებში ინახება. დღემდე გამოქვეყნებულია ზოგადი ხასიათის ოფიციალური დოკუმენტების მხოლოდ ნაწილი. ესენია სსრ

კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართველი პარტიის უმაღლესი ორგანოების რეზოლუციები, დადგენილებები, განკარგულებები. მართალია, ისინი ზოგადი ხასიათისაა, ბევრ მათგანს კონკრეტული ადრესატი არ გააჩნია, მაგრამ ამ დოკუმენტებში მოცემულია ყოფილი სსრ კავშირის, მასში შემავალი ადმინისტრაციულ—ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანები, შეფასებულია არსებული მდგომარეობა მმართველი ელიტის თვალთახედვით. ცხადია, აღნიშნული დოკუმენტები მნიშვნელოვანი წყაროა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველი კომუნისტური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დახასიათებისათვის. ამ წყაროების გულდასმით გაცნობის შედეგად ნათელია რომ ეს პოლიტიკა შენიღბულად მიზნად ისახავდა არარუსი ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის ქართველების ეროვნული თვითმყოფადობის იგნორირებას, უწინარესად გარუსებას, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სოციალურ—ეკონომიკური საფუძვლების ამოძირკვას.

აჭარის XX საუკუნის 50—80—იანი წლების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ ძვირფას მასალას შეიცავს სტატისტიკური პუბლიკაციები. 1958—1990 წლებში სისტემატურად გამოდიოდა სსრ კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკური წელიწდლეულები, რომლებშიც დაბეჭდილია საინტერესო მასალები აჭარის შესახებაც. დაწვრილებითი ცნობები მოცემულია აჭარის სტატისტიკურ კრებულებში. დღემდე 4 ასეთი კრებული დაისტამბა (1955, 1961, 1981 და 1987 წლებში). ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის აღწერის მასალები. დღემდე გამოქვეყნებულია 1959 და 1970 წლების აღწერის მასალები, 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული, ისიც სტატისტიკური ცნობარების სახით.

ომისშემდგომ პერიოდის აჭარის ისტორიის შესახებ წყაროების დიდი ნაწილი გამოქვეყნებული არ არის. ისინი დაცულია არქივსაცავებში. აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სოციალურ–ეკონომიკური ისტორიის შესახებ დაცულია საყურადღებო მასალები ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ფონდებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სტატისტიკის სამმართველოს /ამჟამად დეპარტამენტი/, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო–კომუნალური მეურნეუბის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, მსხვილ საწარმოთა ფონდების მასალები.

ნაშრომში გამოყენებულია მოსკოვისა და თბილისის სახელმწიფო არქივებში დაცული მასალები. მოსკოვის ყოფილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში აჭარის შესახებ მასალები შევკრიბეთ 1985 წელს. წლების განმავლობაში სისტემატურად მიხდებოდა მუშაობა საქართველოს უახლოესი ისტორიისა და საქართველოს პრეზიდენტის არქივებში. მოსკოვისა და თბილისის სახელმწიფო არქივებში დაცულია ისეთი მასალები, რომლებიც ადგილზე არ მოიპოვება და მათ მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირსება გააჩნიათ.

დიდმნიშვნელოვანია პრესის მასალები. მართალია, აჭარის შესახებ წერილები ცენტრალურ პრესაშიც იბეჭდებოდა. მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანი სტატიები გამოქვეყნებულია ადგილობრივ პრესაში. შესასწავლ პერიოდში აჭარაში გამოდიოდა 2 საოლქო, 5 რაიონული, 1 საუწყებო (სანაოსნო) გაზეთი. მათში რეგულარულად იბეჭდებოდა სახელმწოფო ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის დადგენილებები და სხვა მასალები. პრესის ფურცლებზე სისტემატურად შუქდებოდა შრომითი მეტოქეობის ამსახვე-

ლი ინფორმაციები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ამ საკითხის შესასწავლად

აჭარის 1946–1990 წლების სოციალურ–ეკონომიკური ისტორიის ისტორიოგრაფია ღარიბია. 1991 წლამდე გამოქვეყნებული შრომები ტენდენციურად აშუქებენ საკითხებს. აშკარად შეიმჩნევა კონიუნქტურის გავლენა. მიუხედავად ამისა მათი იგნორირება მართებული არ იქნება, ყოველ შემთხვევაში ისინი შეიცავენ გარკვეულ ფაქტობრივ მასალას.

XX საუკუნის 50–80-იან წლების აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიას ზოგადად, სხვადასხვა კუთხით შეეხნენ ი. კაჭარავა, ნ. სტურუა, მ. ნათმელაძე, ე. ქვათაძე, კ. ტოტოჩავა, შ. ჯაფარიძე, ს. ჩხარტიშვილი, გ. ბრეგაძე, ა. ბრეგვაძე, ს. შარიქაძე და სხვები. ამის შესახებ ლაპარაკია ისეთ კოლექტიურ შრომებში, როგორიცაა საქართველოს ისტორიის ნარკვევები (VIII. თბ., 1980/), საქართველოს ისტორია (III. თბ., 1968/), საქართველოს პროფკავშირების ისტორიის ნარკვევები /თბ. 1968./, საბჭოთა საქართველოს მოკლე ისტორიულ–ეკონომიკური ნარკვევები /თბ., 1981/ და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურიდან, რომელიც უშუალოდ ეხება ომისშემდგომი აჭარის სოციალურ–ეკონომიკურ ისტორიას, საყურადღებოა ა. ბაჯელიძის შრომა აჭარის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის აქტუალური საკითხები /ბათუმი 1981/. ხსენებული შრომის მესამე თავში ავტორის მიერ განხილულია ომისშემდგომ პერიოდში /1980 წლამდე/ აჭარის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ისეთი საკითხები, როგორიცაა მიწის ფონდის რაციონალური გამოყენება, მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, მემცენარეობა და მეცხოველეობა. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმები.

ა. ბაჯელიძე ამ საკითხებს აშუქებს ტენდენციურად, კომუნისტური პარტიის მმართველი ელიტური ნაწილის პოზიციებიდან. გაურბის არსებითი დამახინჯებებისა და

ნაკლოვანებების კრიტიკას. ამასთან, შრომაში იგრძნობა ფაქტობრივი მასალის უკმარისობა.

ასეთივე ტენდენციურია ა. ბაუეაძის ნაშრომი "აჭარის სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზაზე" /ბათუმი, 1972/. ავტორს ზოგადად მიმოხილული აქვს აჭარის სოფლის მეურნეობა 1921–1970 წლებში. სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო საწარმოების ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შ. ჯაფარიძემ, ს. ტაბაღუამ, ნ. ინწკირველმა და სხვებმა. შ. ჯაფარიძემ სპეციალური შრომები მიუძღვნა ხუცუბნის კოლმეურნეობასა და მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობას. ს. ტაბაღუას ნარკვევში გაშუქებულია დაგვის კოლმეურნეობის ისტორია. ბათუმის ნავტობგადამამუშავებელი ქარხნისა და საავაჭრო პორტის ისტორიის შესახებ საყურადღებოა ა. ბოლქვაძეს, ნ. ინწკირველის, გ. გვენცაძის და ე. სკურატოვსკაიას ნარკვევები. ჯანმრთელობის დაცვის ისტორიის შესახებ საყურადრებოა რ. სურმანიძის ნაშრომები. აჭარის 1939-1960 წლების სოციალურ–ეკონომიკურ ისტორიას მიუძღვნა თავისი სადოქტორო დისერტაცია ს. დუმბაძემ (2003 წ.).

ომისშემდგომი პერიოდის აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ აღსანიშნავია ამ სტრიქონების ავტორის შრომები: "აჭარის ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები" /ბათუმი, 1982/, "აჭარის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ომისშემდგომ პერიოდში" /ბათუმი, 1986/ პირველში განხილულია ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების საკვანძო საკითხები 1945-1960 წლებში, ხოლო მეორე წიგნში–პოლიტიკურთან ერთად სოციალური ისტორია 1945-1965 წლებში. მაგრამ ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ, თანაც საკითხები გაშუქებულია 1965 წლამდე. ამასთან, აშკარად შესამჩნევია კონიუქტურის გავლენა.

ამრიგად, ომისშემდგომი პერიოდის აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ისტორია დღემდე მეცნიერულად სრულყო-

ფილად შესწავლილი არ არის. წინამდებარე ნაშრომი ავსებს ამ ხარვეზს. ნაშრომი თავისუფალი არ იქნება ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისაგან. მკითხველი, უწინარესად სპეციალისტები შეამჩნევენ, რომ წარმოდგენილი მონოგრაფია მთლიანად თავისუფალი არ არის ძველი სტერეოტიპების გაელენისაგან. ეს ბუნებრივია, რამდენადაც ამჟამად საქართველო იმყოფება თავისი განვითარების გარდამავალ საფეხურზე. ავტორი კმაყოფილებით მიიღებს ყველა სამართლიან შენიშვნას და გაითვალისწინებს მომავალში.

თავი პირველი.
ომის შედეგები.
სახალხო მეურნეობის აღდგენის ღონისძიებანი 1946-1950 წლებში

1. ომის შედეგები. ეკონომიკის აღდგენის სიძნელები და პრობლემები

საქართველოს უახლოეს ისტორიაში საბჭოთა ხანა პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს. პირველი მოიცავს ომამდელ დროს, მეორე—სამამულო ომის წლებს (1941-1945), ხოლო მესამე – ომისშემდგომ პერიოდს (1946-1990წწ.) მათ აერთიანებთ საერთო ნიშნები, მაგრამ ამავე დროს თითოეულ ეტაპს ახასიათებს სპეციფიკაც. საბჭოთა ხანის პირველ ეტაპზე საქართველოში, კერძოდ, აჭარაში განხორციელდა ძირეული გარდაქმნები, რის შედეგად შეიცვალა არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ჩამოყალიბდა ახალი საზოგადოებრივი წყობა.

საბჭოთა სოციალურ—ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენდა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება და მოსახლეობის ერთგვაროვანი სოციალური სტრუქტურა (მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია). საბჭოთა ხელისუფლებამ იძულებისა და ძალდატანების მეთოდებით განახორციელა კაპიტალისტებისა და მემამულეების ექსპროპრიაცია და მოახდინა მათი საკუთრების ნაციონალიზაცია. უკვე 1928 წლისათვის აჭარაში კერძო კაპიტალისტური სექტორი მთლიანად ლიკვიდირებული იყო. ცხადია, ეს გარდაქმნა განხორციელდა ძალზე მტკივნეულად, წინააღმდეგობებისა და კატაკლიზმების ვითარებაში.

არანაკლებ მტკივნეული და ამავე დროს კიდევ მეტად წინააღმდეგობების ვითარებაში განხორციელდა გლეხური მეურნეობის გარდაქმნა კოლექტიურ წარმოებად. გლეხო-

ბის ინტერესების იგნორირებით, ასევე იძულებისა და ძალდატანების მეთოდებით საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. 1937 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული. იყო აჭარის სოფლის მოსახლეობის 69,1%, ხოლო 1940 წელს–95,9%[1]. სოფლად წარმოების ძირითად ფორმად იქცა სასოფლო-სამეურნეო არტელი (კოლმეურნეობა). 1940 წელს აჭარაში 212 კოლეურნეობა ითვლებოდა. მათ შორის ხელვაჩაურის (ყოფილი ბათუმის) რაიონში იყო 38 კოლმეურნეობა, ქობულეთის–43, ქედის-48, შუახევის–43, ხულოს რაიონში–40 კოლმეურნეობა[2] უცხოელი მოახალშენეების მამულების ნაციონალიზაციის შედეგად აჭარაში 'შეიქმნა სახალმწიფო (საბჭოთა) მეურნეობები. ამ ტიპის მეურნეობათა მშენებლობა მიმდინარეობდა აუთვისებელ მიწებზეც. 1940 წელს აჭარაში 15 სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობა არსებობდა, რომელთა მიწის საერთო ფართობი 6,4 ათას ჰექტარს შეადგენდა, მუშა–მოსამსახურეთა რაოდენობა 5290 კაცს უდრიდა[3] მიუხედავად იმისა რომ აჭარის რეგიონი მცირემიწიანია, საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბება პროგრესულ ღონისძიებად ითვლება.

ინდუსტრიალიზაციის განხორციეკების შედეგად აჭარაში შეიქმნა მსხვილი მანქანური მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ ხუთწლედებში აქ ათობით საწარმო გაიხსნა. მსხვილი საწარმოებიდან მნიშვნელოვანი იყო ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათსაშენი, ქიმიურ-ფარმაცევტული (კოფეინის), ტუნგოს და სხვა ქარხნები.

შესამჩნევად განვითარდა მსუბუქი, ხე–ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობა. არანაკლები მასშტაბისა იყო კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლობა. XX საუკუნის 30-იან წლებში ექსპლოატაციაში გადაეცა ციტრუსკომბინატი, ხორცკომბინატი, ჩაის პირველადი გადამუ-

---

[1] საბჭ.ითა აჭარის 40 წელი. სტატის. კრებული, ბათ., 1961, გვ.35.
[2] იქვე, გვ.36
[3] იქვე, გვ.96

შავების ფაბრიკები (ბობოყვათის, ხუცუბნის, ქობულეთისა და ბათუმის), საკონდიტრო ფაბრიკა, თამბაქოს საფერმენტაციო და პაპიროსის დამამზადებელი, ლუდისა და უალჰოკოლო სასმელების საწარმოები.

მსუბუქი მრეწველობიდან აღსანიშნავია ბათუმის ტყავის ქარხანა, ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფაბრიკები. ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ხისდამამუშავებელი კომბინატი და სხვა. ტექნიკური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საწარმოთა ნაწილს. ამის შედეგად 1928–1940 წლებში აჭარაში მსხვილი მრეწველობა 43,7–ჯერ გაიზარდა[1] ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ შეიქმნა სამუშაო ადგილები. ჩამოყალიბდა ინდისტრიული კადრები–მუშათა კლასი და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია. ამ პროცესს უარყოფითი მხარეც გააჩნდა. ინდუსტრიის კადრების შემადგენლობაში სუსტად იყო წარმოდგენილი ქართველობა, განსაკუთრებით აჭარის მკვიდრი მოსახლეობა. სოციალურ სფეროში და სულიერ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებიდან, რაც საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში მოხდა, აღსანიშნავია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მიღწევები განათლებასა და კულტურაში, ყოფა-ცხოვრებაში წარსულის მავნე გადმონაშთების დაძლევა და სხვა. ყოველივე ეს ჯეროვან შეფასებას იმსახურებს.

მიღწევები იმ ხანის ადამიანების, კერძოდ, რიგითი მუშაკების მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. სწორედ, ეს რიგითი ადამიანები განიცდიდნენ ყველაზე მეტ სიძნელეებსა და გაჭირვებას. ისინი იტანდნენ ყოველივე ამას მომავლის იმედით. მიღწევების მიუხედავად, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ნაკლოვანებები, ხარვეზები და პრობლემები არსებობდა. ძალიან სუსტი იყო ეკონომიკის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობდა. სამამულო ომის წლებში

---

[1] იქვე, გვ.25.

(1941–1945) წარმოიქმნა ახალი სიძნელეები და პრობლემები, მოსახლეობის გაჭირვებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია.

მართალია, მეორე მსოფლიო ომი სსრ კავშირისა და ანტიფაშისტური კოალიციის წევრების გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ შედეგები ყველა მეომარი ქვეყნისათვის უმძიმესი იყო. უდიდესი მატერიალური ზარალი განიცადეს ომის უშუალო მონაწილე ქვეყნებმა. ომმა შეიწირა 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე. სსრ კავშირის რეგიონებიდან ყველაზე მეტად დაზარალდა რუსეთის ევროპული ნაწილი ბალტიის პირეთი, უკრაინა, ბელორუსია, მოლდოვა და ჩრდილოეთ კავკასია.

მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები მოკლე ხანს გრძელდებოდა, ისიც მთებში, მაგრამ ომისგან მიყენებული ზარალი მაინც დიდი იყო. საქართველოდან ომში მონაწილეობდა 700 ათასი კაცი, რომელთაგან ნახევარზე მეტი დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ 1946–1948 წლებში სხვა რეგიონებიდან საქართველოში ათასობით ადამიანი შემოსახლდა, მისი მოსახლეობა 1940 წელთან შედარებით მაინც 144,6 ათასი კაცით ნაკლები იყო.[1]

ომის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა საქართველოს მრეწველობა. იგი 1940 წელთან შედარებით 20%–ით შემცირდა[2]. დიდი ზიანი მიადგა ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობას. მათგან ყველაზე მეტად დაზარალდა საავტომობილო ტრანსპორტი. საგრძნობლად შემცირდა მეჩაიეობა, მევენახეობა და მეციტრუსეობა.

მართალია, აჭარის ტერიტორიაზე საომარი მოქმედება არ ყოფილა, მაგრამ ამ რეგიონში სახალხო მეურნეობის ზარალი მაინც დიდი იყო. მრეწველობის საერთო პრო-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VIII, თბ., 1980, გვ.277.

[2] Народное хозайство Грузинской СССР, Статистический сборник. Тб., 1959. с.38

დუქცია 1945 წელს 1940 წლის დონესთან შედარებით 51%, ხოლო მსხვილი მრეწველობა–52%-ით ნაკლები იყო.[1]

ასეთი შემცირება იმით იყო გამოწვეული, რომ ომის წლებში სამრეწველი საწარმოების ტექნიკური გადაიარაღება არ მომხდარა. მრეწველობას აკლდა ნედლეული, დამხმარე მასალები, სათადარიგო ნაწილები, კვალიფიციური მუშახელი. მრეწველობაში მუშათა საშუალო წლიური რიცხვი 1940 წლის 7535 კაციდან 1945 წელს 6287 კაცამდე, ე. ი. 1248 ერთეულით (17%) შემცირდა.[2]

წარმოება უფრო მეტად იმ დარგებში შემცირდა, სადაც სამოქალაქო პროდუქციას უშვებდნენ. მნიშვნელოვნად დაზარალდა მსუბუქი მრეწველობის საწარმოები. ომის დასასრულისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოების მდგომარეობა ომამდელ დონესთან შედარებით კარგად ჩანს პირველი ცხრილიდან.[3]

1–ლ ცხრილში მითითებული 18 სახის პროდუქციიდან 12–ის წარმოება საგრძნობლად შემცირდა. მეტად დაქვეითდა საცვალი ტრიკოტაჟის, პაპიროსისა და სიგარეტის, აგურის, კრამიტის, ჩაის (ბაიხაო), წინდის, დაწებილი ფანერის წარმოება.

ომამდელ დონესთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება შემცირდა: ფანერის ქარხანაში–2,3–ჯერ, ჩაის ფაბრიკებსა და ხორცკომბინატში –1,5–ჯერ, ფეხსაცმლის ფაბრიკაში–1,4–ჯერ, სამკერვალო ფაბრიკაში–2,7-ჯერ, თამბაქოს ფაბრიკაში–24%–ით და ა. შ.[4]

---

[1] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებულიი, ბათ., 1961, გვ.27.

[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.691, ფურც.2; ს.781, ფურც.2.

[3] ცხრილი შედგენილია: საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.26; აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.70-79; აცსა, ფ.რ-204, ან.1, ს.61, ფურც.3; ს.108, ფურც.14; ფ.რ-178, ან.1,ს.691, ფურც.2; ს.781, ფურც.3; ფ.რ-668, ან.1, ს.136, ფურც.19-20/; ს.194, ფურც.81

[4] ო. თურმანიძე, აჭარის ასსრ ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები. ბათ., 1982, გვ.22-23; აცსა, ფ.რ-274, ან.1, ს.64, ფურც.14; ს.92, ფურც.2; ფ.რ-558, ან.1, ს.44, ფურც.9; ფ.რ-178, ან.1, ს.691, ფურც.16.

დიდი ზარალი განიცადა საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტმა. ავტომობილების უმეტესი ნაწილი მობილიზებული იყო ფრონტისათვის. 1945 წელს 1940 წელთან შედარებით საერთო სარგებლობის ავტომობილების რიცხვი შემცირებული იყო 4–ჯერ, ტვირთის გადატანა–2,1–ჯერ, მგზავრების გადაყვანა–8–ჯერ[1]. ბათუმის საზღვაო პორტის 13 ნავმისადგომიდან მწყობრიდან მთლიანად გამოვიდა 3, დანარჩენები–ნაწილობრივ.[1]

ცხრილი 1.

პროდუქციის მოცულობა	1940წ	1945წ	% 1940 წელთან
ჩაი (ბაიხაო), ტონებში	2600	981	37,7
საკონდიტრო ნაწარმი, ტონებში	868	461	53,1
კონსერვები, ათასი პირობითი ქილა	3583	6013	168,0
ხორცი, ტონებში	937	564	60,2
ძეხვეული, ტონებში	257	230	89,5
ფერმენტირებული თამბაქო ტონებში	114	550	482,5
პაპიროსი და სიგარეტი, მლნ ცალი	699	157	22,5
ნატურალური ტყავი-ათასი დმ²	[illegible]	[illegible]	[illegible]
სამასალე მერქანი, ათასი მ³	14698	14055	95,6
საცვალი ტრიკოტაჟი, ათასი ცალი	8	7	87,5
ზედა ტრიკოტაჟი ათასი ცალი	307	318	103,6
წინდის ნაწარმი, ათასი წყვილი	19	23	121,0
ელექტროენერგია, მლნ კვტს	101	47	46,5
აგური–ათასი ცალი	44	90	204,5
კრამიტი-ათასი ცალი	575	92	16,0
ფანერი (დაწებილი), ათასი მ³	209	99	47,4
ფანერი (თლილი), ათასი მ²	2515	1033	41,0
	1146	1169	102,0

[1] ო. თურმანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.48-58; აცსა, ფ.რ-60, ან.1, ს.49,ფურც.12.

ომის გავლენა ასევე დიდი იყო სოფლის მეურნეობაზე. სოფელი განიცდიდა სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქების, შხამ–ქიმიკატების დიდ ნაკლებობას. 1945 წელს სოფლის მეურნეობაში 137 სატვირთო ავტომობილი იყო, რაც 68 ერთეულით, ე. ი. თითქმის 37%-ით ნაკლებია 1940 წლის მაჩვენებლებთან შედარებით. 1945 წელს ომამდელ დონესთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო წარმოება შემცირებული იყო: ჩაის ნედლეულისა 2,3-ჯერ და მეტად, ციტრუსებისა–1,5–ჯერ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა–14%, ერთი ფურისა და ფურკამეჩის საშუალო წლიური წველადობა–12%-ით.[1]

გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები. მანეთის კურსი ძალზე გაუფასურდა. დიდი იყო ფართო მოხმარების საქონლის, კერძოდ, პირველი მოთხოვნილების ნაწარმის ნაკლებობა. 1945 წელს 1940 წელთან შედარებით საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა 30,8 მილიონი მანეთიდან 20,8 მილიონ მანეთამდე, ე. ი. ერთი მესამედით შემცირდა. მათ შორის კოოპერაციულისა–3-ჯერ და მეტად.[2]

მნიშვნელოვნად შემცირდა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის როგორც საერთო რაოდენობა, ისე მისი შრომისუნარიანი ნაწილი. ომში გაწვეული 24036 კაციდან დაიღუპა ან უგზო–უკვლოდ დაიკარგა 5958 მებრძოლი. მათ შორის ქალაქ ბათუმიდან 3603, ქობულეთის რაიონიდან–1131, ხელვაჩაურის–386, ქედის–376, შუახევის–179, ხულოს რაიონიდან–286 კაცი.[3] საგრძნობლად იკლო შობადობამ. ამის შედეგი იყო, რომ 1945 წელს აჭარის მოსახლეობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე 1940 წელს. მო-

---

[1] ო. თურმანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.61-97

[2] ო. თურმანიძე, აჭარის ასსრ სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ომიშემდგომ პერიოდში. ბათ., 1986. გვ.74.

[3] წიგნი მარადიული ხსოვნისა, 2, თბ., 1987, გვ.343, 347-479; განსხვავებული ცნობები მოყვანილი აქვს ართმელაძეს (იხ. Артмеладзе Р. Славные сыны родины, Бат.. 1972, с.213.

სახლეობის რაოდენობამ 1940 წლის დონეს მხოლოდ 1954 წელს გადააჭარბა. ამ წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 33784–დან 28829–მდე ე. ი. 16%–ით შემცირდა.[1]

დიდი დანაკლისი განიცადა ქალაქის მოსახლეობამ. 1940 წელს აჭარაში ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 79,2 ათას სულს. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქად ჩამოსახლდა ევაკუირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მან ომამდელ დონეს მხოლოდ 1954 წელს გადააჭარბა და 84,5 ათასი სული შეადგინა. სოფლის მოსახლეობა შედარებით მაღალი ტემპით იზრდებოდა, რის გამო ომამდელ დონეს 1950 წელს გაუსწრო.[2] ომის შედეგად შესამჩნევად შეიცვალა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. საგრძნობლად გაიზარდა უფროსი ასაკის (50 წელზე მეტი) მცხოვრებთა რიცხვი.

მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლა აჭარაში, როგორც მთლიანად საქართველოში, ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა. უწინარესად აუცილებელი იყო ეკონომიკის გადაყვანა მშვიდობიან რელსებზე, ომის შედეგების დაძლევა ცხოვრების ყველა სფეროში. უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო არმიიდან დემობილიზებულთა მიღება, დაბინავება და შრომითი მოწყობა. 1945 წელსვე შეიქმნა საოლქო, საქალაქო და რაიონული კომისიები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები. ისინი დიდ მუშაობას ეწეოდნენ დემობილიზებულთა მიღებისა და შრომითი მოწყობისათვის.

არმიიდან პირველი და მეორე რიგის დემობილიზაციის შედეგად, რაც 1945 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა, აჭარაში ჩამოვიდა 3008 კაცი. ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, მოსახლეობის დახმარებითა და მხარდაჭერით დემობილიზებულთათვის ყველა შესაძლებელი

---

[1] აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.11, 231.

[2] იქვე, გვ.11.

კეთდებოდა. 1946 წლის 15 იანვრამდე სამუშაოზე მოეწყო 1531 კაცი. მათგან მრეწველობაში სამუშაოდ გაიგზავნა 862, სოფლის მეურნეობაში–309, ტრანსპორტზე–118, დაწესებულებაში–545 სავაჭრო სისტემაში–151, მატერიალური დახმარება გაეწია 1772 დემობილიზებულს.[1]

მრავალი დემობილიზებული თავის საწარმოს დაუბრუნდა. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ 1945 წლის ბოლოს სამუშაოზე მიიღო 86 ომგადახდილი. ისინი უზრუნველყვეს საცხოვრებელი ბინით, საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნივთებით, დაეხმარნენ ფინანსურადაც.[2]

დემობილიზებულთა მიღება და სამუშაოზე მოწყობა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 1946 წელს, ომგადახდილთა მესამე დემობილიზაციის შედეგად, აჭარაში ასობით ფრონტელი ჩამოვიდა. 1946 წლის 1 ივნისისათვის მათი რიცხვი 5120 კაცს ითვლიდა, სამუშაოზე მოეწყო 4738 დემობილიზებული. დაინვალიდებულთა რიცხვი 1187 კაცს შეადგენდა, რომელთაგან სამუშაოზე გაიგზავნა 981 ინვალიდი.[3]

ომის დამთავრებისთანავე აღდგა მუშა–მოსამსახურეთა 8–საათიანი სამუშაო დღე, მორიგი და დამატებითი შვებულებები, გაუქმდა საზეგანაკვეთო მუშაობა და სამხედრო გადასახადი (1946 წლის იანვრიდან). ეკონომიკის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანისთანავე დაიწყო იმ მანქანა-დანადგარების დემონტაჟი, რომლებიც სამხედრო პროდუქციას უშვებდნენ. 1945 წლის სექტემბერში ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა სამოქალაქო პროდუქციის წარმოებას დაუბრუნდა. მან ჩაისა და ღვინის მრეწველობისათვის ოთხ თვეში გამოუშვა ხუთი მოწყობილობა, სულ 50,7 ათასი მანეთის.[4] 1945 წლის ბოლოს სამოქალაქო პროდუქციის

---

[1] სპა, ფ.14, ან.3, ს.197, ფურც.4-5.

[2] საბჭოთა აჭარა, 1946, 31 იანვარი.

[3] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.10, ს.3, ფურც.102.

[4] აცსა, ფ.რ-980, ან.1, ს.17, ფურც.1; ყველგან გადაყვანილია ფულის 1961 წლის მასშტაბზე (შემცირებულია ერთი 10-ჯერ).

გამოშვება საგრძნობლად გაზარდეს ნავთობგადამამუშავებელმა, გემთშემკეთებელმა ქარხნებმა, სამკერვალო ფაბრიკამ და სხვა საწარმოებმა.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტში. საგრძნობლად გაიზარდა სახსრები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე, საბინაო მშენებლობაზე, კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. ავტონომიური რესპუბლიკის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 306,9 ათას მანეთს შეადგენდა. განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, სპორტზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე დაიხარჯა 127,9 ათასი მანეთი, საერთო ბიუჯეტის თითქმის 42%[1] რაც გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ომის წლებში, მაგრამ საგრძნობლად ნაკლები ომამდელ დონესთან შედარებით.

ომის წლებში აჭარის მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა რიცხვი არსებითად არ შეცვლილა. 1945 წელს აქ ითვლებოდა 325 სამრეწველო საწარმო, 190 კოლმეურნეობა, 17 საბჭოთა მეურნეობა, მანქანა–ტრაქტორთა სადგური, საზღვაო ნავსადგური, საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის კანტორა, ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის კვანძის საწარმოები.[2]

რაოდენობრივად წვრილი საწარმოები ჭარბობდა, მაგრამ სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში დიდი იყო საშუალო და მსხვილ საწარმოთა ხვედრითი წილი. მათი რიცხვი 1945 წელს 104–მდე იყო. სამრეწველო საწარმოთა გეოგრაფიული (ტერიტორიული) განლაგება 1945 წელს შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ბათუმში განლაგებული იყო 243 საწარმო, ბათუმის რაიონში–11 ქობულეთის–62, ქედის–11, ხულოს რაიონში–19 საწარმო. მრეწველობისა და ტრანსპორტის ძირითად ცენტრს ბათუმი წარმოად-

---

[1] აცსა, ფ.რ-2, ან.1, ს.1659, ფურც.5-20.

[2] იქვე, ფ.რ.-178, ან.1, ს.781, ფურც.2; ფ.რ-84, ან.1,ს.1620: ფურც.18; საბჭოთა აჭარის 40წელი, სტატისტიკური კრებულიი, ბათ., 1961, გვ.96.

გენდა. მრეწველობის საერთო პროდუქციიდან ბათუმზე მოდიოდა 84,5%, ქობულეთის რაიონზე–10%, ბათუმის–0,9%, ქედის–4,4%, ხულოს რაიონზე–0,2%.[1]

სამრეწველო პროდუქციის დიდ ნაწილს სახელმწიფო საწარმოები აწარმოებდნენ. 1940 წელს–საერთო პროდუქციის 95%, ხოლო 1945 წელს–92,3%. დანარჩენს კოოპერაციული საწარმოები[2] საკუთრების კოოპერაციული ფორმა, განსაკუთრებით საკოლმეურნეო, ფორმალურად ატარებდა თავის ნამდვილ არსს, ფაქტობრივად იგი გასახემწიფოებრივი იყო.

საწარმოთა კოოპერირება და ინტეგრირება განვითარებული იყო მთელი იმპერიის მაშტაბით: მომარაგებითა და პროდუქციის გასაღებით აჭარის სამრეწველო და სატრასპორტო საწარმოები ინტეგრირებული იყო სსრ კავშირის თითქმის ყველა რეგიონთან.

წარმოების მართვა ხდებოდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციულიმ მეთოდებით. იგნორირებული იყო პირადი მეურნეობის მნიშვნელობა და წარმოების განვითარების ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, როგორიცაა სამეურნეო ანგარიში, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, შრომის საიჯარო ფორმები, მატერიალური დაინტერესება. ამდენად, წარმოება არ ვითარდებოდა შინაგანი განვითარების კანონების შესაბამისად.

ეკონომიკის მეტისმეტი ცენტრალიზაციის პირობებში აჭარის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანებს ძირითადად იმპერიის ცენტრში–მოსკოვში ამუშავებდნენ. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა გეგმებს უშუალოდ სსრ კავშირის ცენტრარული სახელმწიფო უწყებები ადგენდნენ. მართალია, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა გეგმების შემუშავებაში მონაწილეობდნენ სა-

---

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.781, ფურც.2-12; აქაც და შემდგომშიც გათვალისწინებული არ არის საკოლმეურნეო მრეწველობა.

[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.691, ფურც.2.

ქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მაგრამ მათი უფლებები შეზღუდული იყო.

ომით დაზარალებული მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმებზე მუშაობა 1945 წლის მეორე ნახევარში დაიწყო. სათანადო მუშაობის ჩატარების შედეგად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, საკავშირო სამინისტროებისა და ცენტრალული უწყებების მონაწილეობით შეადგინეს მეოთხე ხუთწლიანი (1946–1950) გეგმის პროექტი. იგი 1946 წლის მარტში დამტკიცა სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ. საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმა განიხილეს და დაამტკიცეს შესაბამისი უმაღლესი საბჭოების სესიებმა 1946 წლის აგვისტოში. ამ გეგმებში ჩამოყალიბებულია აჭარის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ამოცანები.

მეოთხე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული იყო მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ომამდელი დონის აღდგენა და განვითარება, კაპიტალური მშენებლობანი დაგეგმილი იყო საკავშირო, საკავშირო–რესპუბლიკურ და ადგილობივი დაქვემდებარების ობიექტებზე, ძირითადი ყურადღება ექცეოდა საკავშირო დაქვემდებარების ობიექტებს, რამდენადაც ისინი წარმოადგენდნენ ქვეყნის ფინანსური სახსრების მობილიზაციის მთავარ წყაროს.

მნიშვნელოვანი ამოცანები იყო დასახული სოფლის მეურნეობაში. კახაბერში (ბათუმის შემოგარენი) ჭაობისაგან გამოთავისუფლდებოდა 402 ჰექტარი, რაზედაც დაიხარჯებოდა 80,7 ათასი მანეთი. მცირემიწიან რეგიონში ამ მიწის სასოფლო–სამეურნეო მიზნებით გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მეოთხე ხუთწლიან გეგმაში მთავარი ადგილი ეკავა სუბტროპიკული კულტურებისა და მევენახეობის განვითარებას.1946–1950 წლებში გათვალისწინებული იყო სავაჭრო, სასკოლო, კულტურულ-საგანმა-

ნათლებლო დაწესებულებათა მნიშვნელოვანი განვითარება.

ომისშემდგომ აღდგენისა და განვითარების პრობლემები საკმაოდ რთული იყო. აჭარაში სიძნელები კიდევ უფრო მეტი იყო. ცენტრალიზებული მართვის პირობებში შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდათ იმ საწარმოებს, რომლებიც საკავშირო დაქვემდებარებაში შედიოდნენ. სსრ კავშირის ხელმძღვანელობაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ რეგიონებს, რომლებიც ომის დროს ნანგრევებად და ფერფლად იქცნენ. ცხადია, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების უზრუნველყოფა კი მანქანა–მოწყობილობით, ნედლეულით, მასალებითა და მაკომპლექტებელი ნაწილებით, ხოლო სოფლის მეურნეობა–საჭირო ტექნიკით გაძნელებული იყო. ყოველივე ეს ადგილობრივი ხელისუფლების უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა.

ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო გეგმების დირექტიული ხასიათი, მატერიალურად და ფინანსურად ნაკლებად უზრუნველყოფა ზოგჯერ სიყალბის საფუძველს ჰქმნიდა. მან ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ სახელმწიფო ორგანოებმა შეიმუშავეს ადმინისტრაციული ღონისძიებები გეგმების შესრულების ანგარიშებში სიყალბის, მიწერების აღმოსაფხვრელად.

ამის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 16 ივლისის დადგენილებაში "გეგმების შესრულების სახელმწიფო ანგარიშებში მიწერების შესახებ" ნათქვამია, რომ მრეწველობის ბევრ საწარმოში დამკვიდრდა დანაშაულებრივი პრაქტიკა გეგმების შესრულების სახელმწიფო ანგარიშებში დაუმზადებელი პროდუქციის, ხოლო ტრანსპორტზე, სამშენებლო ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობაში შეუსრულებელი სამუშაოების მიწერებისა. იგი ჩაით-

ვალა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად და დაისახა კონკრეტული ამოცანები მის აღმოსაფხვრელად[1].

1946–1950 წლებში საქართველოში, კერძოდ, აჭარაში სახელმწიფო გეგმების შესრულება გაძნელდა ადგილობრივი მრეწველობისა და კოოპერაციული სისტემის საწარმოებში. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 13 და 27 მაისის დადგენილებებით განხორციელდა ღონისძიებები ამ სისტემის საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად.[2]

საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ 1946–1950 წლებში რამდენჯერმე განიხილა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და კოოპერაციული კავშირების საწარმოების ფინანსურ–ეკონომიკური მდგომარეობა.[3] მაგრამ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რამდენადაც წარმოების ჩამორჩენისა და მიწერების მიზეზები სიღრმისეული იყო, ვიდრე ხელმძღვანელობას ჰქონდა წარმოდგენილი.

ომისშეგდგომ აღდგენით წლებში, როგორც მანამდე, სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება მეტისმეტად პოლიტიზებული იყო, რაც არ ყოფილა მხოლოდ აჭარისათვის დამახასიათებელი მოვლენა. ასე იყო მთლიანად სსრ კავშირში. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები შექმნილი იყო საწარმოო–ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. 1946–1950 წლებში აჭარის სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო და სატრანსპორტო საწარმოებში ფუნქციონირებდა პარტიული, პროპკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. მართალია, მათ გარკვეული წვლილი შეჰქონდათ შრომითი კოლექტივების ორგანიზაციაში, გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში, შრომითი

---

[1] Решения партии и и правительсто по по хозяйственным вопросам, 3, М., 1965, с.18.

[2] საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება, თბ., 1960.

[3] აცსა, ფ.რ-2, ან.1, ს. 1884, ფურც.13; ს.1900, ფურც.11.

მეტოქეობის გაშლაში, მაგრამ ამას ისინი აკეთებდნენ იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ზეწოლით.

სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების მეტისმეტი პოლიტიზება იმაშიც გამოიხატა, რომ ამ საკითხებს ცენტრალური ადგილი ეკავა პარტიისა და კომკავშირის საქალაქო, რაიონულ და საოლქო კომიტეტების საქმიანობაში. შრომითი მეტოქეობა, ე. წ. სოციალისტური შეჯიბრება სისტემატურად დაკავშირებული იყო უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან, საბჭოთა ხელისუფლების სადღესასწაულო თარიღებთან (7 ნოემბერი, 25 თებერვალი, 1 მაისი). წარმოების ეკონომიკური სტიმულირებას უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა. სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო ზნეობრივ ენთუზიაზმზე. მომავლის ბრმა რწმენაზე. წარმოების მუშაკებზე ზოგჯერ პოლიტიკურ ზეწოლასაც მიმართავდნენ.

1946 წლის აპრილში ქალაქ ბათუმში, ქობულეთის, ქედის, ხულოსა და ბათუმის რაიონებში გაიმართა აქტივის კრებები, სადაც განიხილეს 1946–1950 წლებში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები. შეიმუშავეს მათი განხორციელების ღონისძიებები. ბათუმში ჩატარდა აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა აქტივის კრებები, სარეწაო კოოპერაციის მეოთხე ყრილობა.

ამ საკითხს მიეძღვნა ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკთა კრება, რომელიც 1946 წლის მაისში გაიმართა ბათუმში. იგი მოწვეული იყო პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინიციატივით. აჭარის მეცნიერი მუშაკები აქტიურად ჩაებნენ 1946–1950 წლების სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში[1] სახალხო მეურნეობის განვითარების 1946–1950 წლების გეგმები ასევე განიხილეს საწარმოების მუშა–მოსამსახურეთა კრებებზე. თითოეულმა საწარმომ

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1946, 23 მარტი, 26,28,30 აპრილი, 19 მაისი.

შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები ამ გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

1946 წლის 27 მარტს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება "სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946–1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის მიღებასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ. პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ: განუმარტონ მოსახლეობას 1946–1950 წლებში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების კანონი, იბრძოლონ ამ გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.[1]

მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946–1950 წლების გეგმის პოპულარიზაციისათვის აჭარაში ასობით აგიტატორი და პროპაგანდისტი მუშაობდა. საწარმოებში შეიქმნა მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შემსწავლელი წრეები. ხუთწლიანი გეგმის კანონის განმარტებისათვის 1946 წელს აჭარაში მუშაობდა 1545 აგიტატორი, 1947 წელს–3422, ხოლო 1950წელს–4166.[2] ქალაქ ბათუმში 1948 წელს ამ საქმეს ემსახურებოდა 2063 აგიტატორი.

ახსნა–განმარტებითი მუშაობა მიმდინარეობდა სოფლადაც. ქობულეთის რაიონში 1946–1950 წლებში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების კანონის განმარტებისათვის 1948 წელს მუშაობდა 750 აგიტატორი, ხულოს რაიონში–437[3] ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს პრესამ და რადიომაუწყებლობამ. 1946 წლისათვის აჭარაში ითვლებოდა 4000–მდე რადიოწერტი და 1500 რადიომიმღები. რადიოკვანძები მოქმედებდნენ რაიონებშიც. მართალია, აჭარის რადიომაუწყებლობის ეთერში გასვლის

---

[1] Решения партии и правительство по хозаиственным вопросам, 3: М., 196°, с. 320-323.

[2] ო. ჩურმანიძე, აჭარის ასსრ სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ომისშემდგომ პერიოდში, ბათ., 1986, გვ.113.

[3] საბჭოთა აჭარა, 1948, 3, 29 თებერვალი.

დრო განსაზღვრული იყო ორი საათი და 45 წუთი, მაგრამ იგი ადამიანებზე დიდ ზეგავლენას მაინც ახდენდა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო საუწყებო რადიოკვანძების მუშაობა, რომლებიც მოწყობილი იყო ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, ნავთობპროდუქტების გასაღების მთავარ ბაზაში, საზღვაო სასწავლებელში, აუჰესში, ჩაქვისა და ალამბრის საბჭოთა მეურნეობებში.[1]

1946–1950 წლების ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაციისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს საოლქო და რაიონულმა გაზეთებმა. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო საოლქო გაზეთის "საბჭოთა აჭარა" მუშაობა. პრესის მეშვეობით მიმდინარეობდა წარმოების მოწინავეთა შრომითი მიღწევების ფართოდ გაშუქება და გამოცდილების განზოგადება. ფართოდ შუქდებოდა აგრეთვე სსრ კავშირის მსხვილი სამრეწველო ცენტრების–მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ბაქოს და სხვა შრომითი კოლექტივების ახალი თაოსნობები, მათი გამოძახილი აჭარაში. ასეთ მუშაობას საგრძნობი წვლილი შეჰქონდა ომის ჭრილობების მოშუშების, 1946–1950 წლების პრობლემების წარმატებით შესრულებისათვის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მობილიზაციის საქმეში.

აჭარის სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სასოფლო საწარმოების შრომითი კოლექტივები 1946 წლის აპრილიდან აქტიურად ჩაებნენ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში. მოძრაობის გაშლაში გარკვეული როლი შეასრულა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 18 მაისის დადგენილებამ "მეოთხე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ". ამ დოკუმენტის შესაბამისად საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა იმავე წლის 24 მაისის დადგენილებით დააკისრა პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს აემაღლებინათ

[1] საბჭოთა აჭარა, 1946, 7,14 მაისი.

შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დონე, მხარი დაეჭირათ და გაემრავლებინათ მშრომელთა ახალი წამოწყებები მეოთხე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შეჯიბრების ორგანიზაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ პროპაგანდისტები და კომკავშირი. პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა 1946 წლის 8 ივნისს გამოიტანა დადგენილება "სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ". დადგენილების თანახმად, შეჯიბრების შედეგებს ყოველთვიურად შეაჯამებდნენ. გამარჯვებულთათვის დაწესდა გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები, რასაც გადასცემდნენ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.[1]

სამეურნეო–ეკონომიური ცხოვრების ასეთი პოლიტიზებისა და მეტისმეტი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პირობებში მიმდინარეობდა აჭარის სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება. აქ მოყვანილი მასალები მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სოციალურ –ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათის, მისი განხორციელების მეთოდების, საშუალებებისა და სტილის შესახებ. მუშაობის სიმძიმე გადატანილი იყო მბრძანებლურ–ადმინისტრაციულ მეთოდებზე, ზნეობრივ ფაქტორზე. ცხადია, ასეთი პირობები ადამიანისათვის ძნელად ასატანი იყო. მიუხედავად ამისა, მუშები, გლეხები და ინტელიგენცია მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვებას, ძლევდნენ სიძნელეებს, წარმატებით წყვეტდნენ რეგიონში არსებულ პრობლემებს.

---

[1] Профсоюз СССР. Документы и материалы. 3: М., с.485; საბჭოთა აჭარა, 1946, 14 ივნისი.

2. მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება

მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენისა და განვითარების 1946–1950 წლების ამოცანების შესრულებისათვის აჭარაში განხორციელდა სათანადო ღონისძიებები. ცხადია, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებს განაგებდნენ დარგობრივი სამინისტროები, გაერთიანებები და საწარმოები. გარკვეულ სიძნელეს ჰქმნიდა უწყებრივი ბარიერი. 1946–1950 წლებში აჭარის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ მშვიდ საკავშირო უწყებას, საქართველოს რესპუბლიკის ოთხ სამინისტროსა და გაერთიანებას, ამდენივე საოლქო უწყებას (ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, სარეწაო, ინვალიდთა და სამომხმარებლო კოოპერაციული კავშირები).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართველობის სისტემაში არ არსებობდა სამსახური, რომელიც მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგისადმი მართვას იკისრებდა. ამიტომ საერთო ხელმძღვანელობას პარტიული კომიტეტები ახორციელებდნენ. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის დარგობრივი მდივნები უშუალოდ კურირებდნენ მათ. როგორც საქალაქო, ისე საოლქო კომიტეტებში მოქმედებდნენ მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებები.

პარტიული კომიტეტები მთელ მუშაობას წარმართავდნენ საწარმოების ხელმძღვანელობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებზე (პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული) დაყრდნობით. სწორედ ისინი იყვნენ წარმოების ორგანიზაციის, ტექნიკური პროგრესის დანერგვის, შრომითი მეტოქეობის მოწყობის, შრომის ნოვატორული მეთოდების შემუშავების, პოპულარიზაციის, დანერგვის ორგანიზატორები. გამორჩეული იყვნენ ბათუმის

ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათსაშენი ქარხნების დირექტორები: ზ. ფირიაშვილი, და ა. მგალობლიშვილი, გემშემკეთებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი პ. ჯორბენაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის საორთქმავლო დეპოს უფროსი ნ. გელაძე და სხვები.

მრეწველობის მართვის გაუმჯობესების მიზნით გატარდა ზოგიერთი ორგანიზაციული ღონისძიება. 1946 წლის აგვისტოში შეიქმნა საქართველოს სსრ გემო–კვების მრეწველობის სამინისტრო, რომლის დაქვემდებარებაში გადავიდა აჭარის რამდენიმე საწარმო. 1949 წელს გაერთიანდა გემო–კვებისა და კვების მრეწველობის სამინისტროები. აგრეთვე საფეიქრო მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროები. ეს ორგანიზაციული ცვლილებები აჭარასაც შეეხო, რამდენადაც ზემო აღნიშნული სამინისტროების უშუალო დაქვემდებარებაში შედიოდნენ აქაური მსხვილი საწარმოები. მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ღონისძიება იყო წვრილი წარმოების კონცენტრაცია და მათ ბაზაზე სამრეწველო კომბინატების შექმნა. 1946 წელს ქალაქ ბათუმსა და რაიონებში ოთხი ასეთი კომბინატი ჩამოყალიბდა, რომლებშიც 1947 წელს გაერთიანებული იყო 26 წვრილი საწარმო. ქალაქ ბათუმის სამრეწველო კომბინატში შედიოდა–7, ქობულეთის რაინში–9, ქედის რაიონში–4, ხულოს რაიონში–6 საწარმო.[1]

მართალია, ომისშემდგომ აღდგენით წლებში აჭარაში მსხვილი საწარმოების ახალმშენებლობანი არ მიმდინარეობდა, მაგრამ მნიშვნელოვანი სამუშაოები სატარდა არსებულთა გაფართოების, რეკონსტრუქციის და ტექნიკური გადაიარაღებისათვის. მოეწყო ახალი სამქროებები და განყოფილებები, დაიდგა უახლესი დანგა-მოწყობილობანი. ამის შედეგად სამრეწველო საწარმოთა ძირითადი ფონდები 1,3–ჯერ გაიზარდა.[2] ამასთან მომზადდა მაღალი პრო-

---

[1] აცსა. ფ.რ-178, ან.1, ს.825, ფურც.2-6.

[2] იქვე, ს.781, ფურც.2; ს.913, ფურც.1.

ფესიის ასობით სპეციალისტი, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

1946–1950 წლებში რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა საწარმოში. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ საწარმოებს, რომელთა პროდუქცია ქვეყნისათვის ძალიან საჭირო იყო. ცხადია, წარმოების განახლებისა და გაფართოებისათვის ფინანსურად და მატერიალურად შედარებით უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები. თავისი დიდი მნიშვნელობის გამო გამორჩეული იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. აღნიშნული საწარმოს რეკონსტრუქციისათვის 1946 წელს დაიხარჯა 1,1 მილიონი მანეთი. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა რვა დანადგარს, 62,3 ათასი მანეთი დაიხარჯა ქარხნის სამონტაჟო სამუშაოებზე.[1]

მომდევნო წლებში ქარხნის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების სამუშაოები საგრძნობლად გაფართოვდა. 1949 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ორი ახალი დანადგარი, განხორციელდა არსებული დანადგარების რეკონსტრუქცია, ჩატარდა მნიშვნელოვანი მოცულობის სამონტაჟო სამუშაოები. ამის შედეგად ქარხნის ძირითადი ფონდები 9,2%, ხოლო საწარმო სიმძლავრენი მნიშვნელოვნად გაიზარდა.[2]

რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება განხორციელდა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების საწარმოებში. კერძოდ, 1946–1950 წლებში ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის საწარმოთა სიმძლავრენი საგრძნობლად გაიზარდა, რასკვლავ 1946 წელს დაიხარჯა 16,6 ათასი, 1948 წელს–37,5 ათასი, 1949 წელს–55,6 ათასი მანეთი.[3] ქარხანაში შეიქმნა სამჭედლო–საქვაბე და ექსპერიმენტუ-

---

[1] აცსა. ფ.რ-133, ან.1, ს.68, ფურც.116; ს.910, ფურც.7.

[2] იქვე. ფ.რ-178, ან.1, ს.781, ფურც.2; ს.913, ფურც.1; ფ.რ-133, ან.1, ს.1066, ფურც.110; ს.1139, ფურც.117

[3] აცსა. ფ.რ-980, ან.1, ს.25, ფურც.3; ს.47, ფურც.20; ს.56, ფურც.9.

ლი საამქროები, სადაც დამონტაჟდა ახალი დაზგა-მოწყობილობანი.

გემთშემკეთებელი ქარხანა, რომელიც 1943 წელს ბათუმის ნავსადგურთან არსებული სახელოსნოების ბაზაზე შეიქმნა, ომისშემდგომ პერიოდში ერთ-ერთი მსხვილ საწარმოდ იქცა. 1946–1950 წლებში გემთშემკეთებელ ქარხანაში 50-ზე მეტი დაზგა დაიდგა, აშენდა საუწყებო ელექტროსადგური, საქვაბე–საკორპუსე საამქრო და სხვა. ამავე პერიოდში ქარხნის საწარმო–ტექნიკური სიმძლავრენი 15–ჯერ გაიზარდა. 1950 წელს ქარხანაში 7 ახალი პროდუქცია აითვისეს.[1] ტექნიკური რეკონსტრუქცია განხორციელდა მომთუთიებელ და საჩამომსხმელო–მექანიკურ ქარხნებში.

1946–1950 წლებში ელექტროენერგეტიკის სიმძლავრენი 10236 კილოვატსაათით ანუ 36%–ით გაიზარდა. მსხვილ საწარმოებში დაიდგა სათბობზე მომუშავე ელექტროგენერატორები, სოფლად მწყობრში ჩადგა 19 მცირე ჰიდროელექტროსადგური. მათგან: 1946 წელს ვარჯანისის, ცხმორისის, სკერდიდის, ხულოს, კალოთის, თხილვანის. 1947 წელს–სამოლეთის, ირემაძეების, გოგაძეების, ტბეთის, წაბლანის, ჩკვანის, 1948 წელს–ზვარეს, ნამონასტრევის, შუახევის, 1949 წელს–ბობიეკვათის, წითელოქტომბრის, გეგელიძეების, დღვანის ჰიდროელექტროსადგურები.

1950 წელს ავტონომიურ რესპუბლიკაში ითვლებოდა 73 ელექტროსადგური და ელექტროგენერატორის დანადგარი, რომელთაგან 29 იყო ჰიდროენერგეტიკული. მათზე მოდიოდა აჭარის ელექტროენერგეტიკის სიმძლავრეთა 63%. მათგან აწარმოებს სიმძლავრეა 16060 კილოვატსაათი.[2] მართალია, IV ხუთწლედში სასოფლო ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ ამით პრობლემა არ გადაწყვეტილა. 1946–1950 წლებში

---

[1] აცსა, პპოგ. ფ.1, ან.17, ს.3, ფურც.199.

[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, სს.770, 773, 774, 776, 781, 913. პროფენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

აჭარაში ელექტროენერგიის დიდი დეფიციტი იყო. ჰიდრო-რესურსების შესაძლებლობანი მინიმალურადაც არ იყო გამოყენებული.

მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია განიცადა ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოებმა. საგრძნობლად გაუმჯობესდა მათი ტექნიკური აღჭურვილობა. კოფეინის ქარხანაში მოეწყო ექსპერიმენტული ლაბორატორია, სპეციალური წისქვილი კოფეინის დასაფქვავად. მთლიანად 1946-1950 წლებში კოფეინის ქარხნის საწარმოს სიმძლავრენი ორი მესამედით (66%) გაიზარდა.[1] მარტო 1946–1949 წლებში ჩაის ფაბრიკების სიმძლავრეები 70%-ით გადიდდა.[2] 1950 წელს მწყობრში ჩადგა მუხაესტატეს ჩაის ფაბრიკა.

საგრძნობი ტექნიკური წინსვლა აღინიშნა ხე–ტყისა და ხისდამამუშავებელ მრეწველობაში. ფანერის ქარხნის ძირითადი ფონდები 63%–ით გაიზარდა. 1948–1949 წლებში საწარმოს რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა 279,1 ათასი მანეთი.[3]

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ნავსადგურის რეკონსტრუქციისათვის. კაპიტალურად შეაკეთეს ყველა ნავმისადგომი, დაიდგა ახალი ამწეები. მთლიანად ბათუმის ნავსადგურის საწარმო სიმძლავრენი 1950 წელს ომამდელ დონეს 26%–ით აჭარბებდა.[4] მაგრამ ტვირთის დამუშავების მექანიზაციის ომამდელი დონე 1946–1950 წლებში აღდგენილი არ ყოფილა. რაც შეეხება საავტომობილო ტრანსპორტს, საერთო სარგებლობის ავტომანქანების რიცხვი 2,5–ჯერ გადიდდა. მნიშვნელოვანი სიახლე იყო საჰაერო ტრანსპორტის შექმნაშიც.

---

[1] აცსა, ფ.რ-886, ან 1, ს.19, ფურც.17; ს.121, ფურც.1.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან 7, ს.3, ფურც.15.

[3] აცსა, ფ.668, ან.1, ს 20, ფურც.94, ს 31, ფურც 20; ს.136, ფურც.11, 40; პროცენტი გაანგარიშებულია ავტორი მიერ.

[4] ო. თურმანიძე, აჭარის ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები, ბათ., 1982, გვ.50-58.

სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მთლიანად წარმოების აღმავლობას საგრძნობლად შეუწყო ხელი ინდუსტრიის ახალი კადრების მომზადება–გადამზადებამ. იგი განპირობებული იყო არა მარტო წარმოების ტექნიკური განახლების, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, არამედ მუშათა დენადობითაც. მუშათა ახალი კადრების მომზადება-გადამზადება ხდებოდა როგორც საწარმოებში ისე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებითი მრეწველობისათვის მუშათა კადრებს ამზადებდა ბათუმის №1 პროფესიულ–ტექნიკური სასწავლებელი, რომელმაც 1945 წელს გამოუშვა 300, ხოლო 1946–1950 წლებში–836 კვალიფიციური მუშა. 1948 წელს ამ სასწავლებლის 70 კურსდამთავრებული ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში სამუშაოდ მოეწყო. 1947 წელს ბათუმში გაიხსნა ამიერკავკასიის რკინიგზის მემანქანეთა სკოლა, სადაც საჭირო რაოდენობის სპეციალისტი მზადდებოდა.[1]

მუშათა კადრების მომზადება–გადამზადების ძირითადი კერა იყო საწარმოები. აქ ნაყოფიერად მუშაობდნენ პროფესიულ–ტექნიკური ცოდნის ამაღლების სკოლები და კურსები, ახალი პროფესიის შემსწავლელი ჯგუფები, ტექნიკური მინიმუმის წრეები. საწარმოებში ფართოდ გამოიყენებოდა კადრების მომზადების ინდივიდუალური ფორმებიც. 1947 წელს საწარმოებთან არსებულ სკოლებსა და წრეებში 2190 მაღალკვალიფიციური მუშა მოამზადეს.[2] ასე იყო მომდევნო წლებშიც.

მუშათა პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადებისათვის ნაყოფიერად მუშაობდა საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები. კერძოდ, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ომისშემდგომ ოთხ წე-

---

[1] ო. თურმანიძე, აჭარის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ომისშემდგომ პერიოდში, ბათ., 1986, გვ.14; აცსა, ფ.რ-980, ან.1, ს.47, ფურც.17.

[2] საბჭოთა აჭარა, 1948, 28 თებერვალი.

ლიწადში მოამზადეს 300–ზე მეტი კვალიფიციური მუშა, ხოლო გადაამზადეს 925 კაცი.[1] მანქანათსაშენ ქარხანაში მხოლოდ 1949 წელს მოამზადეს და გადაამზადეს 100–ზე მეტი მუშა,[2] კოფეინის ქარხანაში 1947 წელს–8, ხოლო 1950 წელს 33 მუშა,[3] ფეხსაცმლის ფაბრიკაში–261, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო სისტემაში–112 კაცი.[4]

მუშათა ახალი კადრების მომზადებისა და პროფესიული დონის ამაღლებისათვის ასევე ნაყოფიერად მუშაობდნენ ტრანსპორტის საწარმოები. კერძოდ, ბათუმის საზღვაო ნავსადგურში 1947 წელს მოამზადეს ან პროფესიული კვალიფიკაცია აიმაღლა 204, ხოლო 1950 წელს–192 კაცმა.[5] მუშათა ახალი კადრების გამოზრდაში საგრძნობი მიღწევები ჰქონდა რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებსაც. 1947 წელს ბათუმის სავაგონო დეპოში მოამზადეს 128 კვალიფიციური მუშა.[6] მეტნაკლებად ასე იყო სხვა წლებშიც.

ცენტრალიზებული გეგმიანი მეურნეობის პირობებში, თავისუფალი კონკურენციის არარსებობისას, წარმოების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა შეჯიბრებას. აჭარაში, როგორც სსრ კავშირში, შრომითი მეტოქეობის ფორმები ხშირად ცენტრიდან იგეგმებოდა. შეჯიბრება ატარებდა დამკვრელისა და სტახანოვური მოძრაობის სახელს. შეჯიბრების ეს ფორმები პირველ და მეორე ხუთწლედებში წარმოიქმნა. იგი ფართოდ გავრცელდა ომისა და ომისშემდგომ აღდგენით წლებში.

მართალია, შეჯიბრება ხშირად ფორმალური იყო, მაგრამ შრომითი კოლექტივების ორგანიზაციაში გარკვეული როლი შეასრულა. 1946–1950 წლებში შეჯიბრებაში მონაწილეობდა აჭარის მრეწველობისა და ტრანსპორტის სა-

---

[1] აცსა, ფ.რ-133, ან.1, სს.910, 948, 1066, 1139.
[2] იქვე, ფ.რ-980, ან.1, ს.35, ფურც.46.
[3] იქვე, ფ.რ-886, ან.1, ს.48, ფურც.71; ს.121, ფურც.91.
[4] იქვე, ფ.რ-280, ან.1, ს.40, ფურც.10; ფ.რ-170, ან.1, ს.1816, ფურც.4.
[5] აცსა, ფ.რ-60, ან.1, ს.75, ფურც.22, ს.134, ფურც.2.
[6] საბჭოთა აჭარა, 1948, 5 მარტი.

წარმოთა უმრავლესობა. შეჯიბრების ორგანიზაციით გამოირჩეოდნენ მსხვილი საწარმოები, ასე, მაგალითად, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში 1946 წელს შრომით მეტოქეობაში ჩაბმული იყო სამრეწველო–საწარმოო პერსონალის 92,4%, 1949–1950 წლებში–მთელი კოლექტივი. მანქანათსაშენ ქარხანაში 1948 წელს შეჯიბრებაში მონაწილეობდა სამრეწველო –საწარმოო პერსონალის 92%[1] დაახლოებით ასე იყო აღდგენითი პერიოდის მომდევნო წლებშიც. 1950 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის საორთქლმავლო დეპოში 99 მუშაკიდან შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 80 კაცი, ანუ საერთო პერსონალის 80%.[2]

ომისშემდგომ აღდგენით წლებში ე. წ. სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალი გაქანება მიიღო. გეგმებისა და აღებული ვალდებულებების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებასთან ერთად დაიწყო მოძრაობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირების, ნედლეულისა და მასალების კომპლექსური ეკონომიის, წარმოების ყველა ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულების, ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენების, საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარების, ლითონის ჩქაროსნული ჭრის და ა. შ. ცხადია, ყველაფერი ეს კეთდებოდა ინდუსტრიული კადრების ენთუზიაზმის ხარჯზე, სერიოზული ეკონომიკური სტიმულირების გარეშე.

ჩვენი ინდუსტრიული კადრები გულდასმით სწავლობდნენ მსხვილი სამრეწველო ცენტრების მოწინავე საწარმოთა შრომითი კოლექტივების გამოცდილებას, შემოქმედებითად ნერგავდნენ მათ თაოსნობას. 1946–1950 წლებში აჭარის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში წარმატებით გავრცელა არაერთი თაოსნობა, რომელიც სხვა რეგიონების მოწინავე საწარმოების კოლექტივებმა წამოიწყეს. 1946 წელს თბილისის საავიაციო და ჩარხმშე-

---

[1] აცსა., ფ.რ-133, ან.1, ს.910, ფურც.15; ს.1066, ფურც.121; ს.1139, ფურც.124; ფ.რ-98, ან.1, ს.47, ფურც.18.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.15, ს.32, ფურც.110; საბჭოთა აჭარა, 1950, 1 მარტი.

ნებელი ქარხნების შრომითი კოლექტივების მოწოდების პასუხად აჭარაში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება ჯერ საპირველმაისოდ, შემდეგ კი IV ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და ვალდებულებების ვადაზე ადრე განაღდებისათვის. ამ თაოსნობის ავანგარდში იდგნენ ნავთობგადამამუშავებელი, გემთმშენებელი, ფანერის, ტყავის, მომთუთიებელი ქარხნების შრომითი კოლექტივები.[1] აჭარის სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების 1946 წლის გეგმა 105,8%-ით შეასრულეს და მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია აწარმოეს.[2]

მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა შრომითი მიღწევები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო მომდევნო წლებში. ჯერ კიდევ 1947 წელს დაიწყო მოძრაობა ხუთწლედის მეორე წლის ამოცანების 7 ნოემბერს განაღდებისათვის. ამ მოძრაობაში ჩაებნენ კოფეინის, ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათსაშენი, ტყავის მომთუთიებელი ქარხნები, თამბაქოს ფაბრიკა, მთავარი ნავთობბაზა, რკინიგზისა და საზღვაო ტრანსპორტის შრომითი კოლექტივები. მათ წარმატებით შეასრულეს აღებული ვალდებულებები, წლიური გეგმა გაანაღდეს 108,9%-ით. გეგმის გადამეტებით აწარმოეს 2,8 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო 1946 წელთან შედარებით 1,9 მილიონ მანეთზე მეტი.[3]

მნიშვნელოვანი იყო მოძრაობა სტახანოვური განრიგით მუშაობისა და პროფესიების მიხედვით შეჯიბრების გაშლის მიმართულებით. პირველი ინიციატორებია მოსკოველი მუშები. მოძრაობის მიზანი იყო არა მარტო გეგმებისა და ვალდებებულების შესრულება, არამედ, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ამ ახალ მოძრაობაში პირველობდნენ ბათუმის მსხვილი საწარმოები. 1949 წელს პროდუქციის თვითღირებულება ნავთობგადამამუშავებელ

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1946, 17, 18, 19, 24 მაისი.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.14, ს.25, ფურც.16.

[3] იქვე, ს.25, ფურც.16; ფ.რ-178, ან.1, ს.800, ფურც.2; ს.805, ფურც.2.

ქარხანაში 70 ათასი მანეთით შემცირდა, მანქანათსაშენში–85 ათასით, მომთუთიებელ ქარხანაში–27,5 ათასით, ფეხსაცმლის ფაბრიკაში–74 ათასით.[1]

პროფესიის მიხედვით შეჯიბრება თბილისელმა მუშებმა და ინჟინერ–ტექნიკურმა მუშაკებმა წამოიწყეს. ეს მოძრაობა წარმატებით დაინერგა მომთუთიებელ ქარხანასა და რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებში.[2] ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოებში მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოების გადიდებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ა. ჩუტკიხის თაოსნობამ, მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის შეჯიბრების გაშლის შესახებ. 1949 წელს ბათუმის ტყავის ქარხანაში 7 ბრიგადა, ფანერის ქარხანაში 40 ბრიგადა, სავაგონო დეპოში 14 ბრიგადა ერთმანეთს ეჯიბრებოდა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.[3]

შედეგიანი იყო შეჯიბრება საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარებისათვის. მასში აჭარის 40 საწარმო ჩაება. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა ამ მოძრაობის პირველი შედეგები შეაჯამა 1949 წელის ოქტომბერში. 8 თვის განმავლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარების შედეგად გამოთავისუფლდა 430 ათასი მანეთი, ხოლო მოგებამ 1060 ათასი მანეთი შეადგინა. ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ გამოათავისუფლა 270 ათასი მანეთი, პურკომბინატმა 49 ათასი, ტყავის ქარხანამ 22,5 ათასი, სავაჭრო ნავსადგურმა 12,1 ათასი, ჩაქვის №1 ჩაის ფაბრიკამ–6 ათასი მანეთი.[4] მთლიანად 1949 წელს ბათუმის სამრეწველო საწარმოებმა საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარების შედეგად გამოათავისუფლეს 600 ათა-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1947, 22 ოქტომბერი; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.3, ფურც.172.
[2] საბჭოთა აჭარა, 1949, 22 მაისი, 1 ივლისი.
[3] იქვე.
[4] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.14, ს.33, ფურც.31.

სი მანეთი. მხოლოდ სავაგონო დეპოში ამ მახასიათებელმა 7,2 ათასი მანეთი შეადგინა.[1]

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავებელ საწარმოებში 1949 წლიდან გავრცელდა ლითონის ჩქაროსნული დამუშავების მეთოდი. მისი ინიციატორები იყვნენ ლენინგრედელები გ. ბორტკევიჩი და პ. ბიკოვი. აჭარაში ეს მეთოდი პირველად დაინერგა ბათუმის გემთშემკეთებელ, მანქანათსაშენ, მომთუთიებელ ქარხნებში. გემთშემკეთებელი ქარხნის ხარატმა ა. ოვანესიანმა თავისი დაზგების ბრუნვის სიჩქარე წუთში 590–დან 980–მდე გაზარდა. 1950 წელს აღნიშნულ საწარმოში ოთხი ჩქაროსანი მუშაობდა. მანქანათსაშენ ქარხანაში ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდი წარმატებით აითვისა შ. ვადაჭკორიამ.[2] შემდგომში მას არაერთი მიმდევარი გამოუჩნდა.

გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მოძრაობას ნედლეულისა და მასალების კომპლექსური ეკონომიის ბაზაზე დამატებითი პროდუქციის წარმოებისათვის. ეს მოძრაობა მოსკოვის მოწინავე საწარმოებში დაიბადა და აჭარაშიც ფართოდ გავრცელდა. კომპლექსური ეკონომია გულისხმობს ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის დაზოგვას.

ამ მიდგომების შედეგად აჭარის საწარმოებში მნიშვნელოვანი დამატებითი პროდუქცია აწარმოეს. 1949 წლის პირველ ნახევარში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში დაზოგეს 68000 კგ. სათბობი, 21833 კილოვატსაათი ელექტროენერგია და დანაკარგების შენცირების ხარჯზე გამოუშვეს 31500 კგ. ნავთობპროდუქტები.

აღსანიშნავია ოპერატორ ს. ჩანტლაძის მიღწევები. მან სარეკორდო მაჩვენებლები მოიპოვა ნედლეულიდან ნავთობპროდუქტების გამოსავლიანობის გადიდებაში. პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა განიხილა ს. ჩანტლაძის

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1950, 19 თებერვალი, 1 მარტი.

[2] საბჭოთა აჭარა, 1950, 30 ივლისი, 24 სექტემბერი, 11 და 13 ოქტომბერი.

გამოცდილება და ურჩია შრომით კოლექტივებს გულდასმით შეესწავლათ და თავიანთ საწარმოებში დაენერგათ იგი.

1949 წლის პირველ ნახევარში ტყავის ქარხანაში დაზოგეს 25 ათასი მანეთის ნედლეული, 21 ათასი მანეთის სხვა მასალები, 11 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. სავაგონო დეპოში—52,8 ათასი მანეთის ნედლეული და მასალები, გემთშემკეთებელ ქარხანაში—4238 კგ. ლითონი, 5700 კგ. სათბობი და ა.შ.[1]

IV ხუთწლედში ახალი რეზერვების ძიებაში დაიბადა კიდევ ერთი თაოსნობა ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენებისა და მისი აქტიური ნაწილის—დაზგა-მოწყობილობათა ნაყოფიერების გადიდების გზით კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გაზრდის შესახებ. ამ მოძრაობის დამწყებია მოსკოვის 88 საწარმოს შრომითი კოლექტივები. ეს წამოწყება გავრცელდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ, მანქანათსაშენ ქარხნებში და სხვა საწარმოებში. ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში მოსკოველთა თაოსნობის პასუხად 230 კვმ. საწარმოო ფართობი გამოათავისუფლეს, სადაც 6 აგრეგატი განთავსდებოდა. ამით შესაძლებელი იქნებოდა 2,1 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქციის მიღება.[2]

წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლებაში საგრძნობი როლი შეასრულა მოსკოვის წმინდა მაუდის ფაბრიკის ინჟინრის თ. კოვალიოვის ინიციატივით დაწყებულმა მოძრაობამ. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ წარმოების მოწინავეთა შრომითი საქმიანობის თითოეული ოპერაცია უნდა შეესწავლათ დიფერენციულად. ამის შედეგად დამუშავდებოდა და გავრცელდებოდა ყველაზე საუკეთესო მეთოდი. ზემოაღნიშნული თაოსნობა აჭარაში ყოველმხრივ შეისწავლეს. იგი განიხილეს პარტიის საოლქო და საქა-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1949, 29 ივლისი, 1950, 1 მარტი, 23 აგვისტო.

[2] საბჭოთა აჭარა, 1949, 22, 23 ნოემბერი; 1950, 3 იანვარი.

ლაქო კომიტეტების ბიუროებზე, საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების კრებებზე. თ. კოვალიოვის მეთოდის დანერგვის მიზნით სპეციალური ოპერატიული ჯგუფები და კომისიები, მეთოდური ბიუროები და საბჭოები შეიქმნა, რომლებმაც ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს.[1]

ჩვენთან ამ მეთოდის დანერგვა პირველად დაიწყეს გემთმშენებელ ქარხანაში. სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა ქარხნის მოწინავე მუშების გ. დობორჯგინიძის, ი. დვალიშვილის, ა. ოვანესიანის, პ. ციურასა და ვ. ცარენკოს შრომის მოწინავე მეთოდები და ხერხები. სტახანოვური სკოლების მეშვეობით იგი შეასწავლეს დანარჩენ მუშებს და საწარმომაც საუკეთესო შედეგებს მიაღწია. მოკლე დროში მარტო მეყალიბე-ჩამომსხმელების შრომის ნაყოფიერება 25–35%-ით გაიზარდა. თ. კოვალიოვის მეთოდი დაინერგა ნავთობგადამამუშავებელ, მანქანათსაშენ, კოფეინის ქარხნებში, საორთქლმავლო დეპოში, ციტრუსკომბინატში, პურკომბინატში და ა.შ.[2]

მძიმე საოჯახო-საყოფაცხოვრებო და შრომის პირობებში, რაც ომისა და ომისშემდგომ აღდგენით წლებში აღინიშნებოდა, აჭარის მრეწველობის კადრებმა შეძლეს მნიშვნელოვანი წარმატებებით ემუშავათ. 1946–1950 წლებში ზოგიერთმა წარმოებამ რამდენჯერმე გადააჭარბა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ მიჯნებს. ასობით მუშა ორასოვანი და სამასოვანი იყო. 1949 წელს ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში 36 მუშამ ორი და სამი პირადი ხუთწლიანი გეგმა შეასრულა. ბათუმის სავაგონო დეპოს კოლექტივმა IV ხუთწლიანი გეგმა 4 წელში გაანაღდა.[3]

მანქანათსაშენი ქარხნის ხარატმა შ. ეადაჭკორიამ IV ხუთწლედში ოცი წლის პირადი გეგმა შეასრულა, ხოლო ამავე ქარხნის მუშებმა ნ. სიმკოვმა, ი. აუჩენკომ, გ.

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.24, ფურც.24-40.

[2] საბჭოთა აჭარა, 1950, 30 სექტემბერი; 1952, 16 მაისი.

[3] საბჭოთა აჭარა, 1950, 12 მარტი, 28 ივლისი.

რიხლინსკიმ–ორ–ორი ხუთწლიანი გეგმები, საორთქლმავლო დეპოს ნოვატორებმა მ. კილაძემ, ი. ნაცვლისშვილმა, ნ. დარჩიამ–15,5 და 17,5 წლის გეგმები გაანაღდეს. გემთშემკეთებელი ქარხნის მუშებმა ი. დვალიშვილმა და ა. ოვანესიანმა IV ხუთწლედის 3 წელიწადში ორი პირადი ხუთწლიანი გეგმები შეასრულეს.[1]

1946_1950 წლებში აჭარის მრეწველობის მუშაობის შედეგები მკაფიოდ ჩანს საერთო პროდუქციის ზრდის მაჩვენებლებში. იგი მოცემულია მე-2 ცხრილში (პროცენტობით).[3]

ცხრილი 2.

ქალაქი და რაიონები	1945წ.	1950 წელთან	1940 წელთან
აჭარის არ სულ	100	178	86,7
მათ შორის:			
ქ. ბათუმი.....	100	170,5	80
ბათუმის რაიონი	100	257,4	136,2
ქობულეთის "–"	100	263,5	124,3
ქედის "–"	100	112	263
ხულოს "–"	100	1538	97,3

როგორც ცხრილიდან ჩანს, მრეწველობის საერთო პროდუქცია აჭარაში 1950 წელს 1945 წელთან შედარებით 78%-ით გაიზარდა, ხუთწლიანი გეგმა 106%-ით შესრულდა. მაგრამ ვერ მიაღწია ომამდელ დონეს. 1950 წელს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 1940 წლის მაჩვენებელს 13,3% ჩამორჩებოდა. აღსანიშნავია, რომ 1950

[1] საბჭოთა აჭარა, 1950, 1 იანვარი, 19 თებერვალი, 27 სექტემბერი, 12 მარტი, 30 ივლისი; 1951, 14 თებერვალი.

წელს 1940 წელთან შედარებით სსრ კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქცია 73%-ით, ხოლო საქართველოს სსრ–56%-ით გაიზარდა. მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის აჭარა ერთადერთი რეგიონი იყო, რომელმაც 1950 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოების ომამდელი დონე ვერ აღადგინა.[1]

აჭარის მრეწველობის ზრდის შედარებით დაბალი ტემპი აიხსნება დაგეგმვის ხარვეზებით. ინიციატივის დეფიციტით და ეკონომიკის ამ დარგის, აგრეთვე ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობებისა და დემოგრაფიული სიტუაციის გაუთვალისწინებლობით. მართალია, რაიონებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება ომამდელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ მათი ხვედრითი წილი უმნიშვნელო იყო. 1950 წელს ბათუმის რაიონზე მოდიოდა აჭარის მთელი სამრეწველო პროდუქციის 2,6%, ქედის–1,1%, ხულოს რაიონზე–0,1% დაახლოებით ასევე იყო 1940–1945 წლებში.

აღდგენითი პერიოდის ერთ–ერთი თავისებურება მრეწველობის ტერიტორიულ განლაგებაში ის იყო, რომ გაიზარდა ქობულეთის რაიონის ხვედრითი წილი სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში–10,4%-დან 26,1%-მდე. ქობულეთის რაიონში ფუნქციონირებდა ჩაის 7 ფაბრიკა, ტუნგის ზეთსახდელი, ეთერ–ზეთებისა და აგურ–კრამიტის ქარხნები, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

1946–1950 წლებში არც კი დასმულა საკითხი აჭარის მთიანეთში საშუალო სიდიდის საწარმოების, ან ბათუმის მსხვილი საწარმოების ფილიალების გახსნის საკითხი. არადა ჭარბი შრომითი რესურსები დღის წესრიგში აყენებდა ზოგიერთი სახის ნედლეულის ადგილზე გადამუშავების აუცილებლობას. ამრიგად, მრეწველობის ძირითადი ცენტრი კვლავინდებურუად ბათუმი რჩებოდა. თუმცა

---

[1] История СССР, XI, М., 1980, с.175.

1946–1950 წლებში მისი ხვედრითი წილი სამრეწველო წარმოებაში 14,4%-ით შემცირდა და 1950 წელს 70,1% შეადგინა. მრეწველობაში საკუთრების ფორმებში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. 1950 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების 94,6 სახელმწიფო სექტორზე მოდიოდა.[1]

ომისშემდგომ აღდგენით წლებში საგრძნობი ცვლილებები აღინიშნა მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში. იგი ნაჩვენებია მე-3 ცხრილში (პროცენტობით).[2]

ცხრილი 3

მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები	1940წ.	1945წ.	1949წ.
მთელი მრეწველობა	100	100	100
მათ შორის:			
ნავთობგადამამუშავებელი	57,8	38	34
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება.....	5,2	6,7	4,0
ქიმიური.....	–	3,0	3,3
ხე–ტყისა და ხისდამამუშავებელი.....	3,5	3,0	2,0
მსუბუქი.....	6,0	4,6	11,4
კვების.....	18,4	33,6	38,2

მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში თვალშისაცემი თავისებურება იყო კვებისა და მსუბუქი მრეწველობის

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.691, ფურც.1-7; ს.781, ფურც.2-12; ს.913, ფურც.1-6.

[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, სს.691, 781, 875, 913; ფ.რ-170, სს.1068, 1069, 1070, 1088, 1091, 1092, 1425, 1427, 1430, 1432, 1433, 1439, 1440, 1442, 1782, 1818.

განვითარების შედარებით მაღალი ტემპი. 1946–1950 წლებში კვების მრეწველობის ხვედრითი წილი ორჯერ და მეტად გაიზარდა და 1950 წელს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში პირველ ადგილზე გამოვიდა. ეს დარგი წარმოდგენილი იყო ჩაის, საკონსერვო, თამბაქოს, პურ-ფუნთუშეულის, ხორცის, ღვინის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, საკონდიტრო, თევზის და სხვა საწარმოებით. მთავარი ის არის, რომ კვების მრეწველობის საწარმოთა უმრავლესობა ადგილობრიოვ ნედლეულზე მუშაობდა. 1950 წელს აჭარაში მოქმედებდა ჩაის 9 ფაბრიკა. მათი პროდუქციის ხვედრითი წილი ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში 14%-მდე აღწევდა. კვების მრეწველობაში კი–62%-მდე.

1945–1950 წლებში მსუბუქი მრეწველობის ხვედრითი წილი 2,5–ჯერ და მეტად გაიზარდა. აღნიშნული დარგი წარმოდგენილი იყო როგორც მსხვილი, ისე საშუალო და წვრილი საწარმოებით. მსუბუქი მრეწველობის ძირითადი საწარმოებია ბათუმის ტყავის ქარხანა, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკები. სასაქონლო პროდუქციის მიხედვით ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა 1949–1950 წლებში მეორე ადგილზე გამოვიდა.

მართალია, 1946–1950 წლებში ბათუმის ნავთობგადამამშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი ომამდელ დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ამ დარგის წილი აჭარის სამრეწველო პროდუქციაში მაინც ერთმესამედზე მეტი იყო. ეს ქარხანა საქართველოში ერთადერთია, რომელიც ძირითადად საექსპორტო ნავთობპროდუქტებს აწარმოებდა. ქარხნის ძირითადი ნედლეული ბაქოს ნავთობი იყო, რომელსაც სპეციალური მილსადენით იღებდა. ნედლეული შემოდიოდა კრასნოდარიდან, სარატოვიდან, სუფსიდან და ა.შ.

ქარხანამ 1937 წელს 21, ხოლო 1944 წელს 44 სახეობის პროდუქცია გამოუშვა,[1] მომდევნო წლებში ასორტიმენტი შემცირდა, მაგრამ მაინც მრავალფეროვანი იყო. 1946–1947 წლებში ქარხანამ 10 დასახელების პროდუქცია აწარმოა.[2] მათგან ძირითადი იყო ბენზინი, ნავთი, ზეთი, მაზუთი, ნავთობბითუმი, ფლოტის საწვავი და სხვა. ქარხნის პროდუქციის ასორტიმენტში 1945 წელს ბენზინი და ნავთი ჭარბობდა.

მართალია, 1946–1950 წლებში ქარხნის პერსონალი 710-დან 892 კაცამდე, ე. ი. 12,5%-ით გაიზარდა, მაგრამ სამრეწველო პროდუქცია ძირითად შრომის ნაყოფიერების ხარჯზე გადიდდა. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ერთი მომუშავის საშუალო წლიური გამომუშავება 1946 წელს 10,3 ათასი მანეთიდან 1950 წელს 32,0 ათას მანეთამდე, ე. ი. თითქმის 3-ჯერ და მეტად გაიზარდა.[3] ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო საქართველოს მრეწველობაში.

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებით წარმოებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. აჭარაში 1940 წელს ამ დარგის 41 საწარმო აღირიცხა, მაგრამ უმეტესობა წვრილი სახელოსნოები იყო. მსხვილ საწარმოებად ითვლებოდა: მანქანათსაშენი, გემთშემკეთებელი, და მომთუთიებელი ქარხნები. მანქანათსაშენი ქარხანა, რომელიც 1937 წელს შევიდა ექსპლოატაციაში, ამზადებდა კვების მრეწველობისათვის საჭირო დანადგარებსა და მოწყობილობას. 1948 წელს ქარხანა ამზადებდა 23 სახეობის დანადგარს. ეს იყო ჩაის, თამბაქოს, პურ–ფუნთუშეულის, ღვინის, საკონსერვო მრეწველობის მანქანა–დანადგარები, მოწყობილობანი და მათი სათადარიგო ნაწილები.

საერთო და სასაქონლო პროდუქციის მიხედვით მანქანათსაშენ ქარხანას აჭარის სამრეწველო საწარმოთა შო-

---

[1] აცსა, ფ.რ-133, ან.1, ს.56, ფურც.1-25; ს.49, ფურც.98.
[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.11, ს.314, ფურც.3.
[3] აცსა, ფ.რ-133, ან.1, ს.910, ფურც.15; ს.1139, ფურც.73, ს.1204, ფურც.133.

რის მე–16 ადგილი ეკავა. 1949 წელს ქარხანამ აწარმოა 106 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. აქ მუშაობდა 396 კაცი, მათ შორის 232 მუშა და 46 ინჟინერ–ტექნიკური მუშაკი.[1] ერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშავება 4,5 ათას მანეთს აღწევდა, რაც 1946 წლის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატებოდა.

მანქანათმშენებლობის მეორე უმნიშვნელოვანესი საწარმოა გემთშემკეთებელი ქარხანა, რომელიც ამზადებდა ფართო მოხმარების საქონელსაც. 1948 წლიდან ქარხანაში ლითონის გემებს აგებდნენ, ხოლო 1949 წლიდან–ორთქლის მანქანებს. მომთუთიებელი ქარხანა ლითონისგან ამზადებდა ფართო მოხმარების საქონელს (სახურავი, ჭურჭელი, ნავთქურები).

1946–1950 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კოფეინის, ქიმიური და ტუნგის ზეთსახდელი ქარხნების მიერ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. კოფეინისა და ტუნგის ზეთსახდელი ქარხნები ერთადერთი იყო სსრ კავშირის მაშტაბით. მათგან პირველი უხეში ჩაისა და გადამუშავებული ჩაის ნარჩენებისაგან სამკურნალო პრეპარატებს (კოფეინს და სხვა) ამზადებდა. ხოლო ტუნგის ზეთსახდელი ქარხანა–ძვირფას ზეთებს, რასაც დიდი გამოყენება ჰქონდა გემთშენებლობის, საავიაციო და რეზინის მრეწველობაში. 1946–1950 წლებში ქიმიური მრეწველობის ხვედრითი წილი ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში უმნიშვნელოდ შეიცვალა.

მართალია, 1946–1950 წლებში საშენი მასალების წარმოება საგრძნობლად განვითარდა, მაგრამ მისი ხვედრითი წილი აჭარის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მცირე იყო. ამ დარგის საწარმოებიდან აღსანიშნავია ურეხისა და ოჩხამურის აგურ–კრამიტის ქარხნები, ბათუმის საშენი მასალების საწარმო. აგურისა და კრამიტის

---

[1] იქვე, ფ.რ-980, ან.1, ს.25, ფურც.1-12; ს.47, ფურც.13; ს.56, ფურც.7.

წვრილი საწარმოები მოქმედებდნენ რაიონულ სამრეწველო კომბინატებში. აგურს, კრამიტს და ინერტულ მასალებს ამზადებდნენ სარეწაო კავშირის არტელებში.

ომისშემდგომ აღდგენით წლებში ფართო მოხმარების საქონლის ყველაზე დიდი მწარმოებლებია სარეწაო და ინვალიდთა კავშირები. მათი ხვედრითი წილი აჭარის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში შეადგენდა: 1940 წელს 4,3%, 1945 წელს–5,5%, 1950 წელს–3,7%.[1] ამ კავშირებში დასაქმებული იყო შესაბამისად: 1145, 797 და 737 მუშა. მართალია, კოოპერაციულ საწარმოებს აკლდათ ნედლეული და მასალები, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოსახლეობის ფართო მოხმარების საგნების უზრუნველყოფაში.

მრეწველობა აღდგენისა და განვითარების შედეგები ყველაზე კარგადაა ასახული ნატურალური პროდუქციის მაჩვენებლებში (ცხრილი 4).[2]

ცხრილი 4

პროდუქცია	1950წ.	%	
		1940 წელთან	1945 წელთან
ელექტროენერგია (მილიონი კილოვატსაათი)	103	205,0	114,4
ნავთობპროდუქტები (ათასი ტონა)	1246	–	218,6
მოთუთიებული ნაწარმი (ტონა)	1113	198,8	–
კოფეინი (კგ)	6000	–	429,3
ფეხსაცმელი (ათასი წყვილი)	474	72,0	83,0
რბილი ტყავი (ათასი კვმ)	20818,5	146,6	148,1

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.691, ფურც.2; ს.781, ფურც.2; ს.913, ფურც.1.

[2] ცხრილი შედგენილია: აცსა, ფ.რ-178, ან.1, სს.691, 781, 913; აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული. ბათ., 1977, გვ.62-63, 70-79.

ჩაი (ბაიხო) (ტონა)	3754	144,4	382,7
ძეხვეული (ტონა)	329	128,8	143
ხორცი (ტონა)	1194	137,4	211,8
კონსერვი (ათასი პირობითი ქილა)	6252	174,5	104
საკონდიტრო ნაწარმი (ტონა)	1926	221,9	417,8
პაპიროსი და სიგარეტი (მილიონი ცალი)	957	136,9	609,6
ფერმენტირებული თანბაქო (ტონა)	56	49,1	10,2
დაწებილი ფანერი (ათასაი კუბმეტრი)	3268	127,8	316,4
თლილი ფანერი (ათასი კვმ)	3001	261,9	256,7
აგური (ათასი ცალი)	1114	193,7	1210,9
კრამიტი (ათასი ცალი)	406	194,3	410,1

მრეწველობის 17 სახის პროდუქციიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა 15-ის წარმოება. ომამდელ და 1945 წლის მიჯნებს მიაღწია ტყავის, ფეხსაცმლისა და ფერმენტირებული თამბაქოს საწარმოებმა. 1946–1950 წლებში კოფეინის, ჩაის, საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება 4-ჯერ, ხოლო პაპიროსისა და სიგარეტის–6-ჯერ და მეტად გადიდდა. 2–3-ჯერ გაიზარდა ნავთობპროდუქტების, ფანერის, საშენი მასალების, ხორცის წარმოება და სხვა.

მართალია, 1946–1950 წლებში აჭარაში დიდი მასშტაბის კაპიტალური მშენებლობები არ ჩატარებულა, მაგრამ ამ დარგში მიღწეევები მნიშვნელოვანი იყო. 1947 წელს კაპიტალური მშენებლობა მიმდინარეობდა საკავშირო და საკავშირო–რესპუბლიკური დაქვემდებარების 34 და ადგილობრივი მნიშვნელობის მრავალ ობიექტზე. ასე იყო მომდევნო წლებშიც. 1949 წელს 80 ობიექტის მშენებლობა მიმდინარეოდა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 11,5 მილიონ მანეთს შეადგენდა. 1950 წელს კი მშე-

ნებარე ობიექტის რიცხვი 82 აღწევდა, ხოლო მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 15 მილიონ მანეთს აჭარბებდა.[1]

1946–1950 წლებში ბათუმში ექსპლოატაციაში შევიდა დრამატული თეატრის, ბავშთა ბაღის, საშუალო სკოლის, საზაფხულო თეატრის, ქობულეთში სანიტორულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის, საშუალო სკოლის შენობები. ქედის რაიონში აშენდა მახუნცეთის საშუალო სკოლის შენობა. სახელმწიფო დაფინანსების გარეშე, მოსახლეობის შრომითი თაოსნობით, 1948–1950 წლებში აჭარაში აუშენებიათ 146 სასკოლო და 52 კულტურულ–საგანმანათებლო დაწესებულებების შენობა.[2]

მიღწევები ჰქონდათ ტრანსპორტის საწარმოებსაც. საგრძნობლად გაიზარდა საზღვაო გემებისა და სარკინიგზო ვაგონების მიღება–დამუშავება. 1946 წელს ბათუმის ნავსადგურმა მიიღო და დამუშავა 126 გემი. 1950 წელს–224 (56,2%-ით მეტით). ამავე წლებში რკინიგზის ვაგონების დამუშავება 3064-დან 5156-მდე, ე. ი. 53%-ით გაიზარდა. ტრანსპორტის საწარმოთა ტვირთბრუნვაზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები (ათასი ტონობით).[3]

---

[1] აცსა, ფ.რ-96, ან.1, ს.741, ფურც.1-4; ს.794, ფურც.1-3; საბჭოთა აჭარა, 1950, 23 სექტემბერი.

[2] აცსა, ჰპოგ, ფ.1, ან.13, ს.2, ფურც.34; ან.14, ს.25, ფურც.32; ან.17, ს.3, ფურც.39; ს.5, ფურც.149.

[3] ცხრილი შედგენილია: საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.111; საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.95, 96, 98; აცსა, ფ.რ-60, ან.1, სს.49, 75, 128, 135, 247; ფ.96, ან.1, ს.81, ფურც.13, 79.

ცხრილი 5.

წლები	ტრანსპორტის ყველა სახე	მათ შორის			
		რკინიგზის	საზღვაო	საავტომ-ობილო	საჰაერო
1940	6865	2772	4045	48	–
1950	3200	1732	1414	53,8	0,2

1950 წელს ყველა სახის ტრანსპორტის ტვითრბრუნვა ომამდელ დონესთან შედარებით 2,1-ჯერ და მეტად იყო შემცირებული. თუმცა საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 11%-ით გაიზარდა. აჭარაში საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საგულისხმოა, რომ 1940 წელს ბათუმის ნავსადგურზე მოდიოდა საქართველოს საზღვაო ტანსპორტის საერთო ტვირთბრუნვის 73,3%.[1] გაწეული მუშაობის მიუხედავად, 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 2,8-ჯერ ნაკლები იყო, ხოლო რკინიგზისა–1,6-ჯერ. ომის გავლენით ბათუმის ნავსადგურში გაუარესდა ტვირთის დამუშავების მექანიზაციის მახასიათებელი, ომისშემდგომ აღდგენით წლებში ამ მიმართულებით საკმარისი მუშაობა არ ჩატარებულა. 1947 წელს ტვირთის დამუშავების მექანიზაციის კოეფიციენტი 38%, ხოლო 1948 წელს –41,9% შეადგენდა.[2]

საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის ტვირთბრუნვაში ძირითადი ადგილი ეკავა ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს. მათზე მოდიოდა რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის ნახევარზე მეტი და საზღვაო ტრანსპორ-

---

[1] აცსა, ფ.რ-60, ან.1, ს.362, ფურც.2; Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический сборник, Тб., 1982: с.138.

[2] ო. თურმანიძე, აჭარის ასსრ ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები. ბათ., 1982, გვ.53.

ტის 90–92%.[1] საზღვაო ნავსადგურიდან ძირითადად საექსპორტო ნავთობპროდუქტები გაჰქონდათ. საჰაერო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა სათვალავში მისაღები არ არის, რამდენადაც იგი ახალ ჩამოყალიბებული იყო.

სიძნელეები არსებობდა მგზავრთა გადაყვანაში. 1950 წელს საზღვაო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა ომამდელ დონესთან შედარებით 3,5–ჯერ იყო შემცირებული. 1946–1950 წლებში შედარებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა საავტომობილო ტრანსპორტი. 1950 წელს ავტოტრანსპორტით გადაყვანილი იყო 1971,9 ათასი მგზავრი და შესრულდა 11476,9 ათასი მგზავრ–კილომეტრი, რაც ომამდელ მახასიათებელს–2-ჯერ, ხოლო 1945 წლისას–14,5-ჯერ აღემატებოდა.

მგზავრთა გადაყვანაში დიდი იყო სარკინიგზო ტრანსპორტის ხვედრითი წილი. საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანაში ომისშემდგომ აღდგენით წლებში მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადაიდგა. 1950 წელს ბათუმის აეროპორტიდან მოეწყო თვითმფრინავების 218 გაფრენა და გადაიყვანეს 12124 მგზავრი.[2]

შესამჩნევი წინსვლა აღინიშნა კავშირგაბმულობაში. 1940–1950 წლებში ფოსტა–ტელეგრაფის განყოფილებათა რაოდენობა 51-დან 68-მდე, სატელეფონო სადგურებისა–17-დან 21-მდე გაიზარდა. ამ პერიოდში დაიდგა 1109 სატელეფონო ნომერი. 1950 წლისათვის აჭარის ყველა სასოფლო საბჭო სატელეფონო ხაზით დაკავშირებული იყო რაიონულ ცენტრთან, მაგრამ 1950 წელს 135 კოლმეურნეობიდან რაიონულ ცენტრთან სატელეფონო კავშირი ჰქონდა მხცოლოდ 33-ს. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა

---

[1] აჭ რის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1958, გვ.57; აცსა, ფ.რ-60, ან.1, სს.49, 128, 247.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.50, ფურც.112; აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.178.

1950 წელს მიიღო სპეციალური დადგენილება, მაგრამ მისი განხორციელება გაჭიანურდა.

საგრძნობლად გაიზარდა კავშირგაბმულობის საოპერაციო საქმიანობა. 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით წერილების, ამანათების, ფულადი გზავნილების, დეპეშების, პერიოდული გამოცემების გაგზავნა-ოპერაციები 3336,1 თასიდან 3806,2 ათასამდე ე.ი. 18,3%-ით გადიდდა.[1] ცხადია, 1946–1950 წლებში გადაუჭრელი მრავალი პრობლემა მომდევნო ხანას გადაეცა.

3. ღონისძიებები სოფლის მეურნეობის აღდგენა–განვითარებისათვის

სოფლის მეურნეობის აღდგენა და განვითარება ქვეყნის განსაკუთრებული საზრუნავი გახდა. ამ საქმით იყო დაკავებული დარგის ყველა საფეხურის სახელმწიფო სამსახური. განსაკუთრებით სასოფლო რაიონების პარტიული კომიტეტები და რაიაღამასკომები. ეს განაპირობა ეკონომიკაში არა მარტო აგრარული სექტორის დიდმა მნიშვნელობამ, არამედ, აგრეთვე, სოფლად კოლექტივიზაციის განხორციელების იძულებითმა მეთოდებმა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისა და ფასწარმოქმნის მანკირმა წესებმა; ამის გამო გლეხობაზე ადმინისტრაციული ზეწოლა ნორმად იქცა.

ამასთან მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმა ახლადჩამოყალიბებული იყო. ამ დროში მან ვერ გამოაელინა თავისი უპირატესობა კერძო მეურნეობასთან შედარებით. მთიანეთში, სავარგულების მეტისმეტი სიმცირის პირობებ-

---

[1] აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული ბათ., 1977, გვ.176-178; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.3, ფურც.53.

ში, მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმა წარმოების განვითარების შემაფერხებელიც კი გახდა. ცხადია, გლეხკაცის ცნობიერებაში კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, შესუსტების ნაცვლად, საგრძნობლად გაძლიერდა.

ასეთ პირობებში სასოფლო—სამეურნეო წარმოების განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის მეტწილად გამოიყენებოდა ბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები. გლეხკაცზე ზემოქმედების მთავარი გზა იყო გარე—ეკონომიკური იძულება, რადგან მატერიალური სტიმულირების უქონლად, მხოლოდ ზნეობრივი წახალისება, წარმოების განვითარებისათვის ნაკლებეფექტიანი გამოდგა.

კოლექტივიზაციის განხორციელებით აჭარის სოფელში წარმოიქმნა მეურნეობის სამი ტიპი: სახელმწიფო (საბჭოთა), საკოლმეურნეო და ინდივიდუალური. მართალია, ეს უკანასკნელი დამხმარედ ითვლებოდა, მაგრამ სინამდვილეში იგი მთავარი იყო გლეხის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში. ამასთან, გლეხის დამხმარე მეურნეობაზე მოდიოდა სახელმწიფო სავალდებულო წესით ჩაბარებული ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, ტყავ—ნედლეულის, ხილის დიდი წილი.

ომისშემდგომი აღდგენითი წლების ერთ—ერთი თავისებურება გახლდათ საკოლმეურნეო სოფლისადმი სახელმწიფოს ზედმეტი რეგლამენტაცია, რაც ხორციელდებოდა ცენტრალიზებული წესით. იგი ეწინააღმდეგებოდა კოლმეურნეობების სანიმუშო წესდებას და მეურნეობის ამ ფორმას აცლიდა შინაგანი განვითარების წყაროს. სახელმწიფოს დადგენილი ჰქონდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმები. რომელთა რეალიზაციას გლეხობა ფაქტობრივად უსასყიდლოდ ახდენდა.

მიუხედავად ამისა, გლეხობა დიდ გამბედაობასა და გასაოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. შრომისმოყვარეობის ტრადიციებს არ ღალატობდა. ამისი მოწმობაა, რომ ომის-

შემდგომ აღდგენით წლებში გლეხობის მობილიზაციით, შრომის ანაზღაურების გარეშე, აჭარაში შეიქმნა სუბტროპიკული კულტურების სამი საბჭოთა მეურნეობა (ჭარნალის, თხილნარის, კვირიკეს).

საბჭოთა მეურნეობები ტერიტორიულად განლაგებულია ქობულეთისა და ბათუმის რაიონების სუბტროპიკულ ზონაში. ისინი სპეციალიზირებულია ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგის წარმოებაში. 1950 წელს აჭარაში აღირიცხა 18 საბჭოთა მეურნეობა, რომელთა განკარგულებაში იყო 6,1 ათასი ჰექტარი ფართობი. მართალია, თითოეულზე მოდიოდა შედარებით მცირე ფართობი (339 ჰექტარი) და 273 მუშა,[1] მაგრამ ისინი საკმაოდ რენტაბელური იყვნენ. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირში ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა 26,3 ათასი ჰექტარი სავარგული და 669 მომუშავე.[2] ამის მიუხედავად, მათ მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო დოტაცია ესაჭიროებოდა.

ომისშემდგომ აღდგენით წლებში ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და ორგანიზაციულ–მეურნეობრივი განმტკიცებისათვის. პირველი ნაბიჯები ომამდე გადაიდგა. 1932 წელს აჭარაში დაარსდა მანქანა–ტრაქტორთა სადგური. მის პარალელურად არსებობდა ჩაის კანტორა, რომელიც ტექნიკურ მომსახურებას უწევდა საბჭოთა მეურნეობებს. მათი გაერთიანების შედეგად 1940 წელს ჩამოყალიბდა უფრო მსხვილი მანქანა–ტრაქტორთა სადგური, რომელსაც გააჩნდა სხვადასხვა მარკის 10 ცალი ტრაქტორი, ორი ბულდოზერი და რამდენიმე გუთანი.[3]

გარდა ამისა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საკუთრებაში ჰქონდათ 13 ცალი ტრაქტორი.

---

[1] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.96.

[2] Народное хозяйство СССР в 1965 г., Статистический сборник, М., 1966, с.426.

[3] საბჭოთა აჭარა, 1970, 7 თებერვალი.

ამრიგად, 1940 წელა აჭარაში სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა 23 ტრაქტორი. საზოგადოებრივ მეურნეობებს გააჩნდათ აგრეთვე 177 სატვირთო ავტომანქანა. ცხადია, ტექნიკის ეს რაოდენობა მინიმალურადაც არ კმაროდა სასოფლო–სამეურნეო სამუშაოების ნორმალურად ჩატარებისათვის.

ომის დროს ტრაქტორებისა და ავტომობილების ნაწილი მობილიზებული იყო ფრონტისათვის. ამის გამო ომის დასასრულისათვის მათი რიცხვი საგრძნობლად იყო შემცირებული. მაგრამ მშვიდობიანი ცხოვრების დასაწყისშივე საზოგადოებრივი მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, უწინარესად ტრაქტორებისა და ავტომანქანებით უზრუნველყოფაში შესამჩნევი წინსვლა აღინიშნა. უკვე 1948 წელს აჭარის სოფლის მეურნეობაში ტრაქტორების რაოდენობა 43-მდე, ხოლო 1950 წლისათვის 105 ერთეულამდე, ომამდელ დონესთან შედარებით 4,5-ჯერ გაიზარდა.[1]

1946_1950 წლებში სატვირთო ავტომობილების რიცხვი 142-დან 317-მდე-2,2-ჯერ და მეტად გაიზარდა; აქედან საბჭოთა მეურნეობებში–2,8-ჯერ (63-დან 175-მდე), კოლმეურნეობებში-1,8-ჯერ (79-დან 142-მდე).[2] ეს საგრძნობი წინსვლა იყო, მაგრამ არასაკმარისი. საგულისხმოა, რომ 1945 წელს სატვირთო ავტომობილი არ გააჩნდა 190-დან 119 კოლმეურნეობას–საერთო რაოდენობის 62,7%.[3] 1950 წლისათვის კლომეურნეობათა უმრავლესობა უზრუნველყოფილი იყო ამ სახეობის ტექნიკით.

მაგრამ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე კვლავინდებურად დაბალი იყო. მართალია, ომისშემდგომ აღდგენით წლებში აჭარის სოფლად 29 ჰიდროელექტ-

---

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.858, ფურც.29; ს.927, ფურც.24, 34; ფ.რ-84, ან.1, ს.1620, ფურც.5.

[2] აცსა, ფ.რ-84, ან.1,: ს.1620, ფურც.5, ს.1878, ფურც.11; საბჭოთა აჭარის 40 დელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.96.

[3] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.780, ფურც.11.

როსადგური ჩადგა მწყობრში, მაგრამ ელექტროენერგიას საწარმო დანიშნულებით ვერ იყენებდნენ, რადგან არ იყო საამისო მანქანა— მოყწობილობანი.აღსანიშნავია, რომ 1950 წლის დასაწყისში კოლმეურნეობებში აღირიცხა 3 ცალი სილოსის მექანიკური საჭრელი, წლის ბოლოს—6 ცალი.[1]

ომისშემდგომ აღდგენით წლებში საბჭოთა მეურნეობებსა და კლომეურნეობებში მოეწყო სასაწყობო მეურნეობები, პირუტყვის სადგომები, სასილოსე კოშკები, ექსპლოატაციაში შევიდა საწარმო ხასიათის ასობით შენობა. მაგალითად, ხუღწლედის ორ წელიოწადში (1947—1948) აშენეს 87 კლუბ—კანტორა, 81 სამჭედლო, 7 აგურ-კრამიტის ქარხანა, 15 საწყობი, 206 სასილოსე კოშკი, 238 საკოლმეურნეო ფერმა და ა.შ.[2] საკოლმეურნეო მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობდა მომდევნო წლებშიც.

ერთი სიტყვით, სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივი სექტორის მატერიალურ—ტექნიკური ბაზა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა ძირითადი ფონდების მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია მე—6 ცხრილში (მილიონი მანეთობით).[3]

ცხრილი 6.

წლები	საბჭოთა მეურნეობები	კოლმეურნეობები სულ	მათ შორის რაიონები			
			ქობულეთი	ბათუმი	ქედა	ხულო
1940	5,6	6,5	2,9	2,2	0,4	0,1
1945	8,4	14,8	6,2	4,8	1,1	2,7
1950	8,1	19,7	8,5	6,1	1,6	3,5

[1] იქვე, ფ.რ-84, ან.1, ს.1878, ფურც.11.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.14, ს.25, ფურც.29.

[3] ცხრილი შედგენილია: აცსა, ფ.რ-84, ან.1, 11.1423, 1620, 1878; საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათ., 1961, გვ.96.

უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მშენებლობა ომის წლებშიც გრძელდებოდა. ამ პერიოდში საბჭოთა მეურნეობის ძირითადი ფონდები 1,5–ჯერ , ხოლო კოლმეურნეობის–2,3-ჯერ გაიზარდა. 1946–1950 წლებში კი წინსვლა მხოლოდ კოლმეურნეობენს ჰქონდათ, სადაც აღნიშნული მახასიათებელი 25%-ით გაიზარდა.

მე–6 ცხრილიდან ჩანს, რომ აჭარის კოლმეურნეობების ძირითადი ფონდების 45% ქობულეთის რაიონზე მოდიოდა. მეორე ადგილი ბათუმის რაიონს ეკავა. ამ ორი რაიონის კოლმეურნეობების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შედარებით უკეთესი მდგომარეობა განაპირობა ჩაისა და სუბტროპიკული კულტების მაღალშემოსავლიანმა დარგებმა. მართალია, 1940–1950 წლებში აჭარის მაღალმთიანი რაიონების კოლმეყრნეობების ძირითადი ფონდები შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ ამ ორ რაიონზე, ერთად აღებული, მოდიოდა მცირე ხვედრითი წილი (24–26%).

1946–1950 წლებში სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შრომითი რესურსების გადანაწილებამ. მთიანეთში სავარგულების სიმცირე და მოსახლეობის სიჭარბე იგრძნობოდა. ბარში კი პირიქით იყო–საჭირო ოდენობის მუშახელი აკლდათ საბჭოთა მეურნეობებს. 1948 წელს ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობას სასოფლი–სამეურნეო სამუშაოების საწარმოებლად ესააჭიროებოდა 1251 მუშა, ფაქტობრივად ჰყავდა 314. ჩაქვისას–1475-ის ნაცვლად–380 მუშა. ანალოგიური მდგომარეობა იყო სალიბაურის, ცეცხლაურისა და სხვა მეურნეობებში. 1949 წელს საბჭოთა მეურნეობები მუშახელით უზრუნველყოფილი იყო 71%-ით.[1]

ძირითად სამუშაოებს მაღალმთიანი რაიონებიდან მობილიზაციის წესით ჩამოყვანილები ასრულებდნენ.[2] მაგრამ

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.13, ს.2, ფურც.115; ან.14, ს.28, ფურც.31.
[2] იქვე, ან.10, ს.2, ფურც.9; ან.11, ს.2, ფურც.112.

ეს კამპანიური ღონისძიება საქმეს დიდად ვერ შველოდა. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმმა დაავალა ხელისუფლების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს გამოეყოთ საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის 0,5 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის ასაგებად და დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად. მართალია, აჭარის საბჭოთა მეურნეობებში ამ სიდიდის სავარგულების გაცემის საშუალება არ არსებობდა, მაგრამ ოპტიმალური შერჩევის პირობებში შესაბამისი ნაკვეთები გამოიძებნებოდა და მეურნეობები უზრუნველყოფილი იქნებოდნენ მუდმივი მუშახელით. სამწუხაროდ, მაშინ ეს შესაძლებლობა არასაკმარისად გამოიყენეს.

დიდი სოციალურ–ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა მთიანეთის ჭარბი მოსახლეობასაგან განტვირთვას. 1944-1949 წლებში მაღალმთიანეთი რაიონებიდან ბარის ზონაში ორგანიზებულად ჩამოასახლეს 2000 კომლი, ხოლო 1950 წელს გათვალისწინებული იყო 500 კომლის ჩამოსახლება. ხელისუფლება ახალჩამოსახლებულებს ეხმარებოდა კრედიტით, საშენი მასალებით, ტრანსპორტით, სურსათით. 1950 წელს ამ მიზნისათვის გამოყოფილი იყო ნახევარი მილიონი მანეთი.[1]

მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა მელიორაციისა და ირიგაციის განვითარებისათვის. ჭაობებისაგან გამოათავისუფლეს 1802 ჰექტარი და ამგვარი მიწების ფართობი 4000 ჰექტარამდე გაიზარდა. 1949–1950 წლებში გაიყვანეს 54კმ ახალი არხები. უკვე 1950 წელს 233 სარწყავი არხი მოქმედებდა, რომლის საერთო სიგრძე 699 კმ შეადგენდა. იგი ემსახურებოდა 74 კოლმეურნეობას (ირწყვებოდა 5593 ჰექტარი).[2]

---

[1] იქვე, პპოგ, ფ.1, ან.15, ს.4, ფურც.33.

[2] იქვე, ან.17, ს.3, ფურც.32; საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათ., 1961, გვ.54-55.

მიღწევებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები აღინიშნებოდა საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციაში, ფინანსურ–ეკონომიკურ სფეროებში. ომის წლებში საკოლმეურნეო მიწებისა და სხვა უძრავ–მოძრავი ქონების გარკვეული ნაწილი დაიტაცა მოსახლეობის შეუგნებელმა ნაწილმა, ან ორგანიზაცია–დაწესებულებებმა. საგრძნობლად გაიზარდას დებიტორული დავალიანება. მრავალი მეურნეობა პრაქტიკულად გაკოტრებული აღმოჩნდა ასეთი მდგომარეობა თითქოსდა არ თავსდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს აგრარულ პოლიტიკაში.

ხელისუფლებამ გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. 1946 წლის 19 სექტემბერს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტებმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღებს დადგენილება "კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ". იგი ითვალისწინებოდა საკოლმეურნეო მმართველობის შტატების შემცირებას, კოლმეურნეობებისაგან დატაცებული მიწებისა და სხვა ქონების უკან დაბრუნებას. შრომადღეების არასწორი ხარჯვის აღმოფხვრას, კოლმეურნეობების მმართველობის დემოკრატიული მეთოდების დარღვევების ლიკვიდაციას. დადგენილება ავალებდა ადგილობრივ ხელმძღვანელობას ორ თვეში უზრუნველყოთ დასახული ამოცანების პრაქტიკული განხორციელება.[1]

ამ დადგენილების შესრულებისათვის აჭარაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა. 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილება განიხილეს კოლმეურნეობების საერთო და რაიონების აქტივთა კრებებზე. შეიქმნა 62 სპეციალური კომისია, რომელთაც შეისწავლეს 1814 საკოლმეურნეო კომლის, 477 მუშა–მოსამსახურის მიწათსარგებლობის, 191

---

[1] Решения партии и провительство по хозяйственным вопросам, Сборник документов, 3, М., 1968, с.336-341.

კოლმეურნეობის სამეურნეო–ეკონომიკური და საფინანსო მდგომარეობა.

აჭარის კოლმეურნეობებში სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა: ბევრ კოლმეურნეს, მუშა–მოსამსახურეს, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებს მითვისებული ჰქონდათ მნიშვნელოვანი ოდენობის საკოლეურნეო მიწები, ფულადი და მატერიალური ფასეულობანი. 1499 კოლმეურნე თვითნებურად ამუშავებდა 216 ჰექტარ საკოლმეურნეო სავარგულს, ხოლო კოლმეურნეობათა დებიტორული დავალიანება 467034 მანეთს შეადგენდა. კომისიების მიერ შეკრებილი მონაცემები და დასკვნები განიხილეს კოლმეურნეობების საერთო კრებებზე და რაიონული საბჭოების აღმასკომების სხდომებმა.

დარღვევების აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შედეგად კოლმეურნეობებში 406 ერთეულით შემცირდა ადმინისტრაციულ აპარატში მომუშავეთა რიცხვი, რაზედაც ყოველთვიურად იხარჯებოდა 7281 შრომადღე. ჩამოიწერა არასწორად დარიცხული 35541 შრომადღე. კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ 745,5 ჰექტარი მიწა, 25865 კგ სასოფლო–სამეურნეო პროდუქტები, 253 სული პირუტყვი, ფუტკრის 17 ოჯახი, 62089 მანეთი. 1947 წლის 30 მაისამდე ამოიღეს 409034 მანეთის დებიტორული დავალიანება.[1]

კოლმეურნეობათა წესდების დამახინჯებები კვლავაც გრძელდებოდა, აშკარად იგრძნობოდა გლეხის გაუცხოვება საკოლმეურნეო საკუთრების მიმართ. ბრძანებლურ-ადმინისტრაციული ღონისძიებების სიტუაციიდან გამოსავალი არ იყო. არადა სოფლის მეურნეობას მრეწველობა ნედლეულით, ხოლო მოსახლეობასურსათ-სანოვაგით უნდა უზრუნველეყო.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა (1947 წ.) სპეციალურად განიხილა ეკონომიკის

---

[1] აცსა, პპოგ. ფ.1, ან.10, ს.7, ფურც.124-127; ან.11, ს.2, ფურც.3; საბჭოთა აჭარა, 1947, 6 ივნისი.

აგრარულ საქტორში შექმნილი მდგომარეობა. გამოიტანა დადგენილება "ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ", ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმები (1947 წლის მაისი), ღონისძიებათა მთელი აქცენტი გადატანილი იყო წარმოების ადმინისტრაციულ მეთოდებზე, ხოლო მატერიალური სტიმულირებს უკანა პლანზე იდგა.[1] ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდ ფასებს. იგი შეუსაბამი იყო წარმოების დანახარჯებთან, ქმნიდა გარკვეულ დისპროპორციას წარმოებასა და რეალიზაციას შორის, რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად აფერხებდა სოფლის მეურნეობის კრიზისის დაძლევას. გამონაკლისის იყო მეჩაიეობა და მეციტრუსეობა, რომელთა პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასები შედარებით მაღალი, თუმცა არასაკმარისი იყო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილება "კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებს ავალებდა აამაღლონ საწარმოო ბრიგადების როლი და გაზარდონ მისი უფლებები; გადასინჯონ გამომუშავების ნორმები კოლმეურნეობებში, შეამცირონ ადმინისტრაციული სამმართველოს ხარჯები, მაღალი მოსავლის მიღებისათვის გაადიდონ დამატებითი ანაზღაურება.[2]

ამ დადგენილების საფუძველზე აჭარის კოლმეურნეობებში გადაისინჯა გამომუშავების ნორმები, საკოლმეურნეო სამმართველო აპარატი შემცირდა 101 საშტატო ერთეულით. 12647 კოლმეურნეს მაღალი მოსავლის მიღებისათ-

---

[1] КПСС в резолюциях и решения съезда, Конференции и пленумов, ... М., 19

[2] Директивы КПСС и советского правительства по хозяйственных вопросам, 3. М., 1958, с.363-383.

ვის დამატებით დაერიცხა 337 ათასი შრომადღე და სხვა.[1] ცხადია, გატარებული ღონისძიებები გარკვეულწილად ხელს უწყობდა კოლმეურნეობების განმტკიცებას, მაგრამ ეს მაინც ადმინისტრაციული ღონისძიება იყო. ეკონომიკური სტიმულირების მნიშვნელობა კვლავინდებურად სათანადოდ შეუფასებელი დარჩა. სასოფლო–სამეურნეო წარმოება ვერ ვითარდებოდა, ყველაზე მეტად კი იმ რაიონებში, სადაც არ ხარობდა ჩაის კულტურა და ციტრუსები.

საკოლმეურნეო წესდების დარღვევები და კოლმეურნეობების ქონების განიავება კვლავ გრძელდებოდა. ზოგჯერ ამ დარღვევის ინიციატორად პარტიის რაიკომებისა და რაიაღმასკომების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი გამოდიოდა. მაგალითად, 1951 წელს ქობულეთში რაიონულ ადმინისტრაციული სახლის მშენებლობისათვის რაიკომისა და რაიაღმასკომის დავალებით სამი კოლმეურნეობიდან უფასოდ წამოიღეს 2297მ³ საშენი ქვა (ტუფი), რომლის ღირებულება 27564 მანეთს შეადგენდა. დაგვის კოლმეურნეობის 1958,5 მანეთი გამოიყენეს ქობულეთის რაიონულ ცენტრში იპოდრომის მშენებლობაზე და ა.შ.[2]

ბათუმის რაიონის პარტიული კომიტეტის დავალებით ახალშენის კოლმეურნეობას შეაწერეს 30 ათასი მანეთი და ამ სახსრებით ცხვრის ფარა უყიდეს იმ კოლმეურნეობებს, ვინც ამ დარგში გეგმის გარღვევა დაუშვა. ხულოს რაიონული კომიტეტისა და რაიაღმასკომის დავალებით კოლმეურნეობებს გადაახდევინეს 927,2 მანეთი და გამოიყენეს ფეხბურთის გუნდის შესანახად, ხოლო ხულოგორის სათხილამურო გადასელის ღონისძიებაზე 4 კოლმეურნეობას გადაახდევინეს 1000 მანეთი.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი და 1952 წლის 24 ივნისს გამოიტანა დადგენილება "აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.14, ს.28, ფურც.7.

[2] იქვე, ან.19, ს.6, ფურც.9-10; საბჭოთა აჭარა, 1952, 9 ივლისი.

სასოფლო–სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ფაქტების შესახებ". დამნაშავენი მკაცრად დასაჯეს. ხელმძღვანელთა ნაწილი სამუშაოდან გაათავისუფლეს. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება 1952 წლის 5 ივლისს განიხილა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმმა.[1] ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა აღმოფხვრისათვის გატარდა სათანადო ღონისძიებანი.

საყურადღებო ღონისძიებები გატარდა სოფლის მეურნეობის საწარმოების ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციასლისტებით უზრუნველყოფისათვის. თუ 1946 წელს აჭარის სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 255 სპეციალისტი (217 აგრონომი, 38 ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი) 1950 წელს მათი რიცხვი 408–მდე (62,5%-ით) გაიზარდა.[2] ეს მნიშვნელოვანი პროგრესი იყო, მაგრამ ხარვეზები და ნაკლოვანებები არსებობდა, განსაკუთრებით განაწილებაში. სპეციალისტების დიდი ნაწილი კონცეტრირებული იყო ბარის სუბტროპიკულ ზონაში. მთის რაიონებს კი კადრები აკლდათ. მაგალითად, 1950 წელს ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობაში შტატით გათვალისწინებული იყო 70 სპეციალისტი, სინამდვილეში მუშაობდა 38 კაცი (18 კაცი უმაღლესი, ხოლო 20 საშუალო განათლებით).[3] ანალიგიური მფგომარეობა იყო ქედის რაიონშიც.

საგრძნობი იყო მიღწევები სოფლის მეურნეობისათვის მასობრივი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებაში. კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურთან მოქმედებდა აგროტექნიკური და ზოოტექნიკური კურსები,სადაც სათანადო ცოდნას იძენდნენ კოლმეურნეობათა თავჯდომარეები, ფერმის გამგეები, ბრიგადირები, საბუღალტრო სამსახურის წარმომადგენლე-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.19, ს.6, ფურც.11-12.

[2] იქვე, ან.10, ს.3, ფურც.93-95; ან.14, ს.25, ფურც.30; ან.17, ს.3, ფურც.167.

[3] იქვე, ან.17, ს.3, ფურც.112.

ბი, მემინდვრეობის, მევენახეობის, მეხილეობა-მეციტრუსეობის, მეჩაიაეობის, მეცხოველეობის პრაქტიკოსი ენთუზიაზისტები.

მასობრივი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მოსამზადებელი კურსები ჯერ კიდევ ომამდე შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობდა ომისშემდგომ აღდგენით წლებში. 1950 წელს, მაგალითად, კოლმეურნეობებში ფუნქციონირებდა 51 აგროტექნიკური და 30-მდე ზოოტექნიკური ჯგუფი, სადაც კვალიფიკაციას იმაღლებდა 2162 კაცი. სოფლად შექმნილი იყო აგრეთვე მოკლევადიანი კურსები (სამთვიანი, ერთთვიანი). აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მოქმედებდა სასოფლო–სამეურნეო მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის სამმართველო. ველა სახის კურსებზე მთლიანად მოამზადეს 4306 მასობრივი კვალიფიკაციის სპეციალისტი.[1] მაგრამ ამ საქმეს სამწუხაროდ, მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა ფორმალიზმი.

სოფლის მეურნეობის აღდგენა–განვითარებაში საგრძნობი წვლილი შეიტანეს წარმოების ორგანიზატორებმა: საბჭოთა მეურნეობის დირექტორებმა. კოლმეურნეობათა თავჯდომარეებმა, ფერმის გამგეებმა, ბრიგადირებმა და სხვა. სახელმწიფო ხშირად სათაეში ედგნენ გამოცდილი და უნარიანი ხელმძღვანელები. მათ შეცვლას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. 1947 წელს 18 საბჭოთა მეურნეობის დირექტორიდან 13 ჰქონდა უმაღლესი აგრონომიული განათლება, ხოლო 5–საშუალო. გამოირჩეოდნენ ოჩხამურის, ჩაქვის, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორები ი. ფუთურიძე, ი. გოგია, რ. მუავანაძე და სხვები.

1946–1950 წლებში საკოლმეურნეო სექტორში ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობა გაუმჯობესებას საჭიროებდა. ნაკლოვანებები ამ საქმეში უარყოფითად მოქმედებდა წარმოების განვითარებაზე. 1946 წელს 191 კოლმეურნეობის თავჯდომარიდან უმაღლესი განათლე-

---

[1] იქვე, აპოგ. ფ.1, ან.17, ს.3, ფურც.167.

ბით მხოლოდ 2 იყო, საშუალოთი–12, ხოლო დაბალი განათლებით–177 კაცი.[1] (საერთო რაოდენობის 92%).

დაახლოებით ანალოგიური სურათი იყო 1947–1949 წლებში. მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა კოლმეურნეობების გამსხვილების შემდეგ. 1950 წელს უმაღლესი და საშუალო განათლება ჰქონდა კოლმეურნეობათა თავჯდომარეების 50% (35 უმაღლესი, 23 საშუალო განათლებით). დანარჩენებს ისევ დაბალი განათლება ჰქონდა.[2]

სისტემად იქცა საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების შეცვლა, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებდა წარმოების განვითარებაზე. 1946 წელს გაათავისუფლეს კოლმეურნეობათა 88 თავჯდომარე–საერთო რაოდენობის 46%-ზე მეტი.[3] 1947 წელს-23, აგრეთვე ფერმის გამგეების, ბრიგადორების და სარევიზიო კომისიების თავჯდომარეთა დიდი ნაწილი.[4]

ცხადია, ასეთ პირობებში საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების მნიშვნელოვან ნაწილს ხშირად არ ჰყოფნიდა გამოცდილება. 1947 წელს, მაგალითად, მუშაობის ხუთ წელზე მეტი სტაჟი ჰქონდა კოლმეურნეობების თავჯდომარეთა მხოლოდ 18,9%, 3-დან 5-მდე-19%, სამ წლამდე–30%-ს.[5]

ამ ცვლილებათა მთავარი მიზეზი, ხელმძღვანელი კადრების არაკომპენტენტურობასთან ერთად, იყო ეკონომიკური სტიმულირების დაბალი დონე. მცირეშემოსავლიანი კოლმეურნეობებში თავჯდომარეები და წარმოების სხვა ხელმძღვანელები თითქმის უფასოდ მუშაობდნენ. უწინარესად ეს ეხება მაღალმთიან რაიონებს. ხულოს რაიონში

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1947, 2 ივლისი.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.3, ფურც.20.

[3] იქვე

[4] სპა, ფ.14, ან.46, ს.291, ფურც.24; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.15, ს.245, ფურც.2.

[5] საბჭოთა აჭარა, 1947, 4 ივლისი.

1947 წლის იანვრიდან ივნისამდე ამის გამო შეიცვალა კოლმეურნეობების თავჯდომარეთა 22%.[1]

კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა ნაწილმა წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და წარმოების უნარიანი ორგანიზატორის, სოფლის ნამდვილი თავკაცის სახელი მოიხვეჭა. ღირსეულთა შორის გამოირჩეოდნენ ალამბრის, ხუცუბნის, დაგვის, წითელოქტომბრის (ქობულეთის რაიონი). განთიადის ახალშენი (ბათუმის რაიონი). გოგაძეების, ქიძინიძეების (ხულოს რაიონი) კოლმეურნეობათა თავჯდომარეები: დ. ნიჟარაძე, ხ. მენაღარიშვილი, ს. თურმანიძე ხ. გოგიტიძე ხ. მერიციდი, მ. აბაშიძე, ა. მხეიძე, და სხვები.

ომისშემდგომ აღდგენით წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კოლმეურნეობების ფინანსური მდგომარეობა. თუ 1940 წელს კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 3,9 მილიონი მანეთი იყო, 1945 წელს–7,6, 1946 წელს–8,6, 1947 წელს–9,8, 1948 წელს–11,45, 1949 წელს 10,6, ხოლო 1950 წელს–13,0 მილიონი მანეთი შეადგინა.[2] ამრიგად, 1940_1950 წლებში კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 3,5-ჯერ გაიზარდა.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი შემოსავლების საერთო გეგმები სრულდებოდა მოწინავე კოლმეურნეობების ხარჯზე. 1947 წელს, მაგალითად ამ სახის გეგმა ვერ შეასრულა 105 კოლმეურნეობამ (55%). ბათუმის რაიონში–24, ქედის–26, ხულოს–32, ქობულეთის რაიონის 23 კოლმეურნეობამ. მათ ქვეყანას დააკლეს 1,0 მილიონ მანეთზე მეტი. 1950 წელს ფულადი შემოსავლის გეგმა ვერ შეასრულა კოლმეურნეობათა 50%.[3]

საბჭოთა მეურნეობებისაგან განსხვავებით კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების ძირითად საზომს წარმო-

---

[1] სპა, ფ.14, ან.46, ს.291, ფურც.24; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.15, ს.245, ფურც.2.

[2] აცსა, ფ.რ-84, ან.1, სს.1423, 1620, 1878; პპოგ, ფ.1, ან.11, ს.2, ფურც.36; ან.13, ს.2, ფურც.11; ან.14, ს.29, ფურც.5; ან.17, ს.5, ფურც.6.

[3] აცსა, ფ.რ-84, ან.1. სს.1423, 1620, 1878.

ადგენდა შრომადღე. შრომისუნარიან კოლმეურნეს წლიურად უნდა გამოემუშავებინა 120 შრომადღე. ანაზღაურება ხდებოდა ფულითა და ნატურით. ფულზე გაანგარიშებით აჭარის კოლმეურნეობებში შრომადღის საშუალო ანაზღაურების მაჩვენებლები მოცემულია მე-4 ცხრილში (მანეთობით).

ცხრილი 4.

წლები	სულ აჭარაში	მათ შორის რაიონები			
		ქობულეთი	ბათუმი	ქედა	ხულო
1940	0,44	0,83	0,55	0,19	0,12
1945	0,5	1,0	0,66	0,5	0,37
1950	1,16	2,43	1,28	0,56	0,17

მე-4 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით 1940–1950 წლებში აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში შრომადღის საშუალო ანაზღაურება 2,6–ჯერ გაიზარდა. მაღალი მიღწევები ჰქონდა ქობულეთის რაიონს, სადაც ეს მახასიათებელი 3–ჯერ და მეტად გადიდდა. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში შრომადღეების საშუალო ანაზღაურება 1950 წელს 2-ჯერ აღემატებოდა ბათუმის რაიონის ანალოგიურ მაჩვენებელს, 4,5-ჯერ ქედის, 14,3-ჯერ ხულოს რაიონისას.

ხულოს რაიონის კოლმეურნეობში შრომადღის საშუალო საზღაურის შემცირება წინა წლებთან შედარებით იმანაც განაპირობა, რომ ფულადი შემოსავლები არამიზ-

ნობრივად დაიხარჯა და შრომის ანაზღაურებისათვის შედარებით მცირე თანხა გამოიყო. საგულისხმოა, რომ 1950 წელს მთლიანად აჭარაში შრომადღეებზე განაწილდა საერთო ფულადი შემოსავლების 55,8%. ქობულეთის რაიონში–59,7%, ბათუმის–52,3%, ქედის–55,2%, ხულოს რაიონის კოლმეურნეობებში კი 42%.[1]

არანორმალური პირობების მიუხედავად, გლეხობის ძირითადი მასა გადაჭარბებით ასრულებდა სავალდებულო მინიმუმით გათვასისწინებულ ნორმას. საშუალოდ თითო შრომისუნარიან კოლმეურნეზე მოდიოდა: 1940 წელს–147 შრომადღე, 1945 წელს–183, 1948 წელს–180, 1950 წელს–185.[2]

ამასთან, მცირე საზღაურის გამო სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი საკოლმეურნეო შრომას ბეგარად აღიჭვამდა. ქალაქში გარბოდა, არსებობის სხვა წყაროს ეძებდა. მართლაც, შრომისუნარიანი კოლმეურნის საშუალო წლიური ფულადი შემოსავალი, ჩვენი გაანგარიშებით იყო: 1940 წელს–64,7, 1950 წელს–214,6 მანეთი. ცხადია, ეს მნიშვნელოვანი ზრდა იყო, მაგრამ იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა გლეხკაცის მოთხოვნილებებს. გლეხის ყოველთვიური საზღაური 5 მანეთსა და 40 კაპიკს უდრიდა.

დიდი განსხვავება არსებობდა საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და კოლმეურნე გლეხების შრომის ანაზღაურებაში. 1940 წელს თუ კოლმეურნის წლიური შემოსავალი ტოლი იყო მეურნეობის მუშის ერთი თვის ხელფასისა, 1950 წელს–იგი ორი თუ სამი თვის ხელფასს გაუტოლდა. ცხადია, სხვაობა კიდევ უფრო დიდი იყო მთის ზონის კოლმეურნეობებთან შედარებით. 1946 წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის ნორმა არ შეასრულა 4434 კაცმა–შრომისუნარიანი კოლმეურნეების 16%. საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა შრომით საქმიანობაში 566 კოლმეურ-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ანაწ.17, ს.7, ფურც.10.

[2] იქვე, ფ.84, ან.1. სს.1423, 1620, 1878; პპოგ, ფ.1, ან.17, ს.3, ფურც.20.

ნემ.[1] მეტნაკლებად ასე იყო სხვა წლებშიც. 1951 წელს სავალდებულო მონიმუმი არ შეასრულა შრომისუნარიანი კოლმეურნეების 25% (8356 კაცი), ხულოს რაიონში—34%.[2]

სოფლის მეურნეობაში ადმინისტრაციულ-ბრძანებლური მიდგომების გვერდით ფართოდ გამოიყენებოდა შრომითი მეტოქეობისა და ზნეობრივი წახალისების ფორმები. ფორმალიზმის მიუხედავად, შეჯიბრების ზემოქმედებითი ძალა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რაც გამოიხატებოდა სოფლის მეურნეობის მუშაკების გააქტიურებაში, გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, გეგმებისა და ვალდებულებების უთუო განაღდებაში.

აჭარის სოფლის მშრომელები არაერთხელ გამოვიდნენ შრომითი მეტოქეობის მოწყობის ინიციატორებად. 1946 წელს მათ მოწოდებით მიმართეს საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს მეოთხე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის შეჯიბრების გაშლის შესახებ. ეს მოწოდება მოიწონა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და დაავალა რაიკომებისა და რაიაღმასკომების ხელმძღვანელობას მხარი დაეჭირათ აჭარელთა თაოსნობით. მართლაც, მან საყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვა.[3]

შრომით მეტოქეობაში აქტიურობდნენ ქობულეთისა და ბათუმის რაიონების სოფლის მშრომელები. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში 1947 წელს შეჯიბრებაში მონაწილეობდა ყველა მუშა—მოსამსახურე (540 კაცი). ერთმანეთს ეჯიბრებოდა 25 საწარმო ბრიგადა, აგროგანყოფილება, სტახანოველის სახელისათვის იბრძოდა 193, ხოლო დამკვრელის წოდებისათვის—115 კაცი. აქ ყოველწლიურად აჯამებდნენ და განაზოგადებდნენ მოწინავეთა გამოცდილებას.[4]

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.11, ს.2, ფურც.37; საბჭოთა აჭარა, 1947, 25 აპრილი.
[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.19, ს.3, ფურც.41.
[3] საბჭოთა აჭარა, 1946, 9, 18 ივნისი.
[4] საბჭოთა აჭარა, 1947, 2 აგვისტო.

ასეთივე მუშაობა მიმდინარეობდა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობებშიც,ოჩხამურის სახელმწიფო მეურნეობაში შეჯიბრება ასევე საყოველთაო იყო.სახელი გაითქვა ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელიც დღიურ ნორმებს 200-250%-ით ასრულებდა.[1] შრომით მეტოქეობის განვითარებაში დაწინაურდნენ ხუცუბნის, დაგვის, ჩაისუბნის ბობოყვათის (ქობულეთის რაიონი),სარფის, ახალშენის, წინსვლის, ურეხის, მეჯინისწყლის (ბათუმის რაიონი)და სხვა კოლმეურნეობები. 1947 წელს აჭარის სოფლის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები. მეჩაიეობაში მიღწეული წარმატებისათვის ქობულეთის რაიონს გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა.

მომდევნო წლებში შრომითი მეტოქეობა საგრძნობლად გაფართოვდა. 1948 წელს აჭარის მეჩაიეებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ამასთან,საქართველოს სხვა რაიონების შრომით კოლექტივებს მოუწოდეს გაეშალათ შეჯიბრება მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებისათვის.[2] ისინი ასეთივე მოწოდებით გამოვიდნენ ხუთწლედის მომდევნო წლებშიც. ამასთან აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სხვა რეგიონების მოწოდებებს და მთლიანად 1946—1950 წლების ამოცანები გადაჭარბებით შეასრულეს.

მართალია, წარმოების აღმავლობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელოვანი ჰქონდა მატერიალურ დაინტერესებას, მაგრამ მორალური წახალისება თავის საქმეს მაინც აკეთებდა. ომისშემდგომ აღდგენით წლებში სოფლის მეურნეობის მუშაკების ზნეობრივი წახალისების მასშტაბები განსაკუთრებული იყო. ხელისუფლებამ განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიჯნები, რომელთა მიღწევისათვის დაწესდა სახელმწიფო ჯილდოები. 1947-1948 წლებში შრომითი წარმატებისათვის დაჯილდოვდა

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1947, 13 აგვისტო.

[2] საბჭოთა აჭარა, 1948, 1 თებერვალი.

710 მუშაკი. მათგან 142კაცი სოციალისტური შრომის გმირი გახდა. 74 მოწინავე ლენინის ორდერით, 173 კაცი შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 321 მშრომელი სსრ კავშირის მედლებით დააჯილდოვეს.[1]

1949 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 21 კაცს, ხოლო ორდენები და მედლები გადაეცა 308 მოწინავეს. მათი რიგები შეივსო მომდევნო წელსაც. 1951 წლისათვის სოციალისტური შრომის გმირების რიცხვი 177-მდე გაიზარდა.[2]

განხორციელებული ღონისძიებებისა და სოფლის მშრომელთა დაძაბული შრომის შედეგად 1946–1950წლებში სასოფლო–სამეურნეო წარმოების აღდგენა–განვითარების ამოცანები გადაჭარბებით შესრულდა. მიღწევები განსაკუთრებით შესამჩნევი იყო სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების განვითარებაში. მათ კი აჭარის სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციაში დიდი ხვედრით წონა ჰქონდათ.

მეჩაიეობა, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი, უპირატესად წარმოდგენილი იყო საზოგადოებრივ სექტორში. საკარმიდამო მეურნეობებზე 1950 წელს მოდიოდა ჩაის პლანტაციების საერთო ფართობის 0,8% და მოსავლის 1,28%, კოლმეურნეობების ხვედრით წილი შესაბამისად 67% და 61% შეადგენდა. ჩაის პლანტაციების ფართობი 1950 წელს 4338 ჰექტარს ითვლიდა. მართალია, ომის წლებთან შედარებით იგი 453 ჰექტარით შემცირდა, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთო და საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა.შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად 1948 წელს ჩაის ფოთლის მოსავალმა თითქმის ომამდელ დონეს მიაღწია, ხოლო მომდევნო წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა კიდეც. 1950 წელს მოიკრიფა 15601 ტონა ნედლეული, რაც 1940 წლის მაჩვე-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.15, ს.4, ფურც.142.

[2] იქვე, ან.19, ს.4, ფურც.11.

ნებელზე 5102, ხოლი 1945 წლისაზე 11219 ტონით მეტი იყო (შესაბამისად 1,5-ჯერ და 3,50/ჯერ მეტი იყო).[1]

ცხადია წარმატებები მოპოვებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად. მაგალითად, ჩაის ფოთლის საშუალო საჰექტაეო მოსავალმა 1950 წელს შეადგინა 3965 კგ, რაც 1945 წლის მაჩვენებელს თიტქმის 4.2–ჯერ, ხოლო ომამდელ დონეს–614 კგ-ით აჭარბებდა.[2] კიდევ უფრო მაღალ მოსავალს იღებდა ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, ბრიგადე, რგოლი, მეჩაიეთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

1947–1948 წლებში ჩაის ფოთლის უხეი მოსავლის მიღებისათვის 90 კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო 418 მეჩაიე მედლებითა და ორდერებით დააჯილდოვეს. ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობაში 1949 წელს ითვლებოდა 8 სოციალისტური შრომის გმირი. ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობაში–5, ხოლო 28 კაცი ორდენოსანი და მედალოსანი იყო.[3]

მოწინავეთა შორის გამორჩეულნი იყვნენ ა. ჯიჯავაძე, ბ. კონცელიძე, ტ. ცინცაძე, გ. ჯინჭარაძე, მ. სტოიაკინა, ა. გოგიტიძე, ა. პენკინა, უ. წერეთელი და სხვა.

ქობულეთოის რაიონის ს. ხუცუბნის კოლმეურნეობის მერგოლური ასმათ (აიშე) ჯიჯავაძე დღიურად საშუალოდ კრეფდა 100–200, ზოგჯერ 250–300 კგ ჩაის ფოთოლს. იგი 1944 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. 1947 წლის შედეგების მიხედვით შრომის გმირის წოდება მიენიჭა. 1948 წელს გმირის წოდებისათვის დაწესებულ ნორმას გადააჭარბა, მაგრამ ამჯერად ლენინის ორდანით დააჯილდოვეს. ლენინის ორდენი გადაეცა აგრეთვე 1949 წელსაც.[4] ა. ჯიჯავაძის რგოლი მოწინავე იყო მთლიანად

---

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათ., 1981, გვ.77.

[2] იქვე.

[3] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.246, ფურც.6-8; საბჭოთა აჭარა, 1949, 12 მარტი.

[4] ო. თურმანიძე, აჭარის ასსრ სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ომისშემდგომ პერიოდში, ბათ., 1986, გვ.173.

რესპუბლიკაში. 1946 წლიდან იგი ჩაის სარეკორდო მოსავალს იღებდა. კერძოდ, რგოლმა ჰექტარზე საშუალოდ მოიწია: 1947 წელს-9166 კგ. 1948 წელს—12833, 1949 წელს—8102, ხოლო 1950 წლის 5 საქტემბრისათვის—10096 კგ მწვანე ფოთოლი. ამ წარმატებებისათვის რგოლის ყველა წევრს შრომის გმირის წოფენა მიენიჭა.[1]

ასევე სამაგალითო იყო ქობულეთის რაიონის ს. ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე გული ჯინჭარაძე. 1947 წელს მოპოვებული წარმატებისათვის მას შრომის წოდება მიენიჭა. 1949 წელს საგრძნობლად გადააჭარბა წინა წლების მაჩვენებლებს—0,5 ჰექტარზე მოიწია 9494 კგ ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო 1950 წელს—12035 კგ, რაც ავტონომიური რესპუბლიკის საშუალო საჰექტრო მოსავალს 6—8-ჯერ აღემატებოდა.[2] 1949-1950 წლებში მაღალი შრომითი მიღწევებისათვის ნოვატორი მეჩაიე ორჯერ დააჯილდოვეს ლენინის ორდენით.

ჩაის კულტურისადმი ასეთი ყურადღება იმითი აიხსნებოდა, რომ იგი ყველაზე მაღალ ფულად შემოსავალს იძლეოდა, საგრძნობლად სჭარბობდა ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემოსავალს ერთად აღებულს. ამასთან, ჩაი ხომ ძირითადად მხოლოდ ორ რაიონში იყო გაშენებული. აჭარის კოლმეურნეობების საერთო ფულად შემოსავალში ჩაიზე მოდიოდა: 1947 წელს—50%-ზე მეტი, 1949 წელს-77,5%, 1950წელს—74%. ცხადია, გაცილებით დიდი იყო ამ კულტურის ფულადი შემოსავალი ბათუმისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში. 1950 წელს, მაგალითად, აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობების საერთო ფულადი შემოსავლის 73% ჩაის კულტურა იძლეოდა.

ომისშემდგომ აღდგენით წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა მეციტრუსეობის აღდგენა—განვითარებისათვის. ამ

---

[1] იქვე.

[2] საბჭოთა აჭარა, 1949, 17 აგვისტო, 4 სექტემბერი; 1950, 1 მაისი, 6 ნოემბერი.

დარგის განვითარება დაჩქარდა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 15 თებერვლის დადგენილების "საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" მიღების შემდეგ. ამ დადგენილებით საქართველოში მეოთხე ხუთწლედში ციტრუსოვანი კულტურები გაშენდებოდა 11 ათასი ჰექტარზე და 1950 წლისათვის მთლიანი ფართობი მიაღწევდა 29 ათას ჰექტარს.[1]

ამ დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო მიიღეს სპეციალური დადგენილება, შეიმუშავეს ღონისძიებათა კომპლექსი ამ მხარის თავისებურებათა გათვალისწინებით. 1946–1950 წლებში აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანთა ბაღები გაიზრდებოდა 1570 ჰექტრით. გათვალისწინებული იყო ქარსაფარი ზოლების გაფართოება, ყინვაგამძლე და უხვმოსავლიანი ნარგავების გამოყვანა.[2]

ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებული დაინტერესება სუბტროპიკული კულტურების, კერძოდ, მეციტრუსეობის განვითარებით იმანაც განაპირობა, რომ საქართველო სსრ კავშირში თითქმის ერთადერთი რეგიონი იყო, რომელიც ამ პროდუქციას აწარმოებდა. საგულისხმოა, რომ 1946–1950 წლებში აჭარაზე მოდიოდა საქართველოში წარმოებული ციტრუსების 50%-ზე მეტი.

ციტრუსოვანთა გაშენების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. 1946–1950 წლებში გაშენდა 3474 ჰექტარი. 1949 წელს პლანტაციების ფართობი 9689 ჰე ტარს შეადგენდა, რაც ომამდელ დონეს 1921, ხოლო 1945 წლისას–1271 ჰექტარით აჭარბებდა. მაგრამ 1946–1947 და 1949–1950 წლების მკაცრმა ზამთრებმა მეციტრუსეობა დიდად დააზარალა. 1949–1950 წლების ზამთარში განადგურდა ციტ-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1948, 28 მაისი; 1949, 4 თებერვალი.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.10, ს.6, ფურც.7.

რუსების 68%. მათ შორის ლიმონის ნარგავები–76,6%, ფორთოხალი–64,3%, მანდარინი–55%.[1] ამის შედეგად 1950 წელს ციტრუსოვანთა ფართობი 4172 ჰექტარამდე (2,3-ჯერ და მეტად) შემცირდა.

მართალია, ამ ზარალის აღსადგენად დიდი შრომა ჩატარდა, მაგრამ მრავალწლიანი ნარგავებიც სრულ მსხმოიარებას გვიან აღწევს. მიუხედავად ამისა, 1946–1950 წლებში ციტრუსების მოსავალი მნიშვნელოვანი იყო. 1946 წელს მოიწიეს 21,871 ტონა, 1947 წელს–22985, 1948 წელს–28813, 1949 წელს–16152, 1950 წელს კი–2098 ტონა.[2] სარეკორდო იყო 1948 წლის მოსავალი. იგი 1945 წლის მოსავალს 2,4-ჯერ აღემატებოდა.

ციტრუსოვანი კულტურებიდან აჭარაში ძირითადად გავრცელდა ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალი. მართალია, 1946–1950 წლებში ლიმონი დიდი რაოდენობით გააშენეს, მაგრამ სუსხიანმა ზამთარმა მას დიდი ზიანი მიაყენა. სამაგიეროდ, მანდარინი უფრო ყინვაგამძლე აღმოჩნდა და სწორედ მასზე მოდიოდა ციტრუსოვანთა მოსავლის 90%-ზე მეტი.

ციტრუსების მოშენებას ყველა კატეგორიის მეურნეობებში მისდევდნენ, მაგრამ ფართობის მიხედვით პირველ ადგილზე გამოდიოდა კოლმეურნეობები, მეორეზე – ინდივიდუალური მეურნეები, მესამეზე–სახელმწიფო საწარმოები. მიუხედავად ამისა, ყველაზე დიდ სახნეტარო მოსავალს იღებდნენ ინდივიდუალური მეურნეები. მეციტრუსე რაიონებისათვის ეს კულტურა სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყარო გახდა.

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებას და რეალიზაციას სახელმწიფო ხელმძღვანელობდა. 1946 წელს აღირიცხა ციტრუსოვანთა ნაყოფის 14 შემფუთავი ქარხანა, 8 პავილიონი, 15 მიმღები პუნქტი, სადაც სეზონზე 4000-მდე

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.11, ს.33, ფურც.9; ან.17, ს.3, ფურც.23.

[2] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

კაცი მუშაობდა. ნაყოფის დამზადების და რეალიზაციის საქმეს ემსახურებოდა ოთხი ორგანიზაცია: აჭარის სამომხმარებლო კოოპერაციული კავშირი ნაყოფს ყიდულობდა ინდივიდუალური მეურნეობისაგან, "აჭარციტრუსხილდამზადება"– კოლმეურნეობისაგან, "ლიმონტრესტი" –მეციტრუსე საბჭოთა მეურნეობებისაგან, "საქჩაი"–ჩაის სახელმწიფო საწარმოებისაგან. სსრ კავშირის რეგიონებში ნაყოფს აგზავიდა სპეციალური არტელი, რომელშიც 369 კაცი ირიცხებოდა.[1]

ტუნგის კულტურას მისდევდნენ მხოლოდ საზოგადოებრივი მეურნეობები. 1940 წელს მისი ფართობი 2928, 1945 წელს–2530, ხოლო 1950 წელს–2818 ჰექტარს შეადგენდა. 1946–1950 წელში ტუნგის საშუალო წლიური მოსავალი თითქმის ორჯერ აღემატებოდა ომამდელ დონეს, მაგრამ 1945 წელთან შედარებით–საგრძნობლად ნაკლები იყო.[2] ამ დარგს ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, არადა მისი ნაყოფი უაღრესად საჭირო იყო ქვეყნისათვის. კეთილშობილური დაფნის გაშენება 30-იანი წლებიდან დაიწყო. მისი ფართობი 1940წელს 43,ხოლო 1945 წელს 44 ჰექტარს შეადგენდა. ასე იყო 1950 წლამდე. ეს დარგი აღდგენით წლებში საჭირო მასშტაბით ვერ განვითარდა.

მნიშვნელოვნად დაწინაურდა მევენახეობა. დაბლარი ვენახის აღორძინება ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. ტერიტორიულად მოიცავდა ხულოს და ქედის რაიონებს. 1950 წელს დაბლარი ვენახის საერთო ფართობის 72% გაშენებული იყო ქედის რაიონში. დაბლარი ვენახიდან აჭარაში ფართოდ გავრცელდა ისეთი ჯიშები, როგორიცაა ცოლიკაური, იზაბელა, საწურავი, ალიგოტე და სხვა. მაღლარი ვენახებიდან კი 40-მდე ჯიში შემორჩა, რომელიც მცირე ჯგუფებადაა გაშენებული. ვენახის ფართობი 1940 წელს 226 ჰექტა-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ს.10, ს.3, ფურც.17-35; საბჭოთა აჭარა, 1947, №101.

[2] ო. თურმანიძე, აჭარის ასსრ ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები, ბათ., 1982, გვ.37.

რიდან 1945 წელს 322, ხოლო 1950 წელს–346 ჰექტრამდე გაიზარდა. ყურძენის მოსავალი კი შესაბამისად 117 ტონიდან 420 და 546 ტონამდე, ე.ი. 4,7–ჯერ გაიზარდა.[1]

დაბლარი ვენახი უპირველესად გაშენებული იყო კოლმეურნეობებში. მას 1940 წელს 62 ჰექტარი ეკავა, 1945 წელს–159, ხოლო 1950 წელს–198 ჰექტარი. ამრიგად, დაბლარი ვენახის ფართობი 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით 3–ჯერ და მეტად გაიზარდა. ნაყოფის მომცემი ვენახის საშუალო საჰექტრო მოსავალი 1945 წელს 17 ცენტნერიდან 1950 წელს 20 ცენტნერამდე გადიდდა. კოლმეურნეობების ერთმა ნაწილმა, ცალკეულმა რგოლებმა გაცილებით მაღალი მოსავალი მოიწიეს.

ხულოს რაიონის ს. ვაშლოვანის კოლმეურნეობამ 1947 წელს თითო ჰექტარზე საშუალოდ 111 ცენტნერი ყურძენი მოიწია, რაც ავტონომიური რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებელს 6–ჯერ აჭარბებდა. სამაგალითო მიღწევები ჰქონდა მევენახეობის მერგოლურს დ. მელაძეს. ყურძნის მაღალი საჰექტრო მოსავლის მიღებისათვის მას შრომის გმირის წოდება მიენიჭა.[2]

ქედის რაიონის სოფელ ახოს კოლმეურნეობის მევენახეობის რგოლმა, რომელსაც ა. ბერიძე ხელმძღვანელობდა, საშუალოდ ჰექტარზე მოიწია: 1947 წელს–101 ცენტნერი ყურძენი, 1949 წელს–103, 1950 წელს–114 ცენტნერი. ეს მახასიათებელი რესპუბლიკის საშუალო საჰექტრო მოსავლის 5,7–ჯერ აღემატებოდა. თვალსაჩინო წარმატებებისათვის ა. ბერიძეს შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

მნიშვნელოვანი იყო მევენახეობის ფულადი შემოსავალი. 1947 წელს აჭარის ასსრ კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი ვენახიდან ნახევარ მილლიონ მანეთს აღწევდა. 1949 წელს ქედის რაიონმა მევენახეობიდან 200

---

[1] ო. თურმანიძე, აჭარის ასსრ ომიშემდგომ პერიოდში, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1988, გვ.102.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.3, ფურც.27; საბჭოთა აჭარა, 1949, 19 ნოემბერი.

ათასი მანეთი მიიღო, რაც საერთო შემოსავალის 35%-ს სჭარბობდა.[1]

ომისშემდგომ აღდგენით წლებში სათანადოდ ვერ განვითარდა მეხილეობა. ყველა კატეგორიის მეურნეობებში ხეხილის ფართობს 1950 წელს ეკავა 4204 ჰექტარი, რაც 1945 წლის მაჩვენებელზე 428 ჰექტარით მეტი იყო. მართალია, კოლმეურნეობებში 1255 ჰექტარზე მოაშენეს ხეხილის საუკეთესო ჯიშები, ძირითადად ვაშლი, მაგრამ ცუდი მოვლა–პატრონობის გამო, ნარგავების დიდი ნაწილი განადგურდა. ინდივიდუალურ მეურნეობებზე მოდიოდა ხეხილის ნარგავების თითქოს ნახევარი, მოსავალი – გაცილებით მეტი.[2]

ტექნიკური კულტურებიდან აჭარაში მხოლოდ მეთამბაქოება განვითარდა. იგი გავრცელებული იყო ქედისა და ხულოს რაიონებში, აგრეთვე ბათუმის რაიონის ზოგიერთ სოფელში. დარგის მონოპოლია ეკუთვნოდათ კოლმეურნეობებს და იგი ფულადი შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. თამბაქოს ფართობი 1950 წელს 1105 ჰექტარს შეადგენდა. იგი 1945 წლის მაჩვენებლებს აჭარბებდა 149 ჰექტარით, 1945 წლისას კი–205 ჰექტრით.[3] საგრძნობლად გაიზარდა თამბაქოს მოსავალიც. თუ 1945 წელს მოიწიეს 752 ტონა, 1950 წელს მან 1229 ტონას მიაღწია, რაც 1940 და 1945 წლების მიჯნას თითქმის 40%-ით აღემატებოდა. საშუალო საჰექტრო მოსავალი 1940 წლის 7,9 ცენტნერიდან 1950 წელს 12,5 ცენტნერამდე გაიზარდა.[4]

თამბაქოს ნედლეულის წარმოებაში სამაგალითო წარმატებები მოიპოვა ზოგიერთმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა, რიგითმა კოლმეურნემ. 1947–1948 წლებში თამბაქოს მაღალი მოსავლისათვის 162 კაცს გადაეცა სახელმწიფოს ჯილდოები, მათ შორის 22 მეთამბაქოე შრო-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1948, 2 აპრილი; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.15, ს.4, ფურც.68.

[2] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

[3] იქვე.

[4] იქვე.

მის გმირი გახდა.[1] სისტემატურად მაღალ მოსავალს იღებდნენ ე. ანანიძე, ხ. სურმანიძე, მ. არძენაძე, მ. ლორთქიფანიძე, ა. საფარიძე, ს. შილაძე და სხვა.

ქედის რაიონის სოფელ კოკოტაურის კოლმეურნეობის მერგოლურმა ეუბ იუსუფისძე ანანიძემ თავის რგოლზე გაპიროვნებულ თითოეულ ჰექტარზე 8 ცენტნერის ნაცვლად 25 ცენტნერი (გეგმაზე სამჯერ მეტი) თამბაქო მოიწია.ასეთივე საჰექტარო მოსავალი მიიღო ხულოს რაიონის სოფელ ფაჩხას კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელმა ხასან მაირისძე სურმანიძემ. ქედის რაიონის სოფელ დლოლგნის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელმა მამუდ სულეიმანისძე ლორთქიფანიძემ, კოლმეურნეებმა ა. საფარიძემ, ხ. შილაძემ თამბაქოს საჰექტრო მოსავალი 26 ცენტნერამდე გაზარდეს. სარეკორდო მიღწევების შედეგად მათ მიენიჭათ შრომის გმირის წოდება.

თამბაქოს ნედლეულის დამზადება და შესყიდვა მთლიანად სახელმწიფოს მონოპოლია იყო, მაგრამ ანაზღაურება ძალზე მცირე გამოიყოფოდა. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობების საერთო ფულად შემოსავალში ამ კულტურის ხვედრითი წილი დიდი იყო. 1949 წელს ხულოს რაიონის საკოლმეურნეო საქტორში მეთამბაქეობაზე მოდიოდა საერთო ფულადი შემოსავლების 54%, ქედის რაიონში—42%.[2]

კარტოფილის კულტურას ძირითადად მისდევდნენ კოლმეურნეობები. 1940 წლიდან მოყოლებული 1952 წლამდე კარტოფილის მაღალ მოსავალს იღებდნენ. თუ 1940 წელს კარტოფილის ნათესების ფართობი 1952 ჰექტარს შეადგენდა, 1945 წელს იგი 2359 ჰექტრამდე გაიზარდა, ხოლო 1950 წელს 2159 ჰექტრამდე შემცირდა. კონკრეტულად, მისი ნათესების ფართობი კოლმეურნეობებში 1,4-ჯერ, ხოლო მოსავალი—1,3-ჯერ გაიზარდა.

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.15, ს.250, ფურც.6.

[2] იქვე, ფურც.3-4.

მებოსტნეობა ჩამორჩენილი დარგად რჩებოდა. ყველა კატეგორიის მეურნეობებში მისი ფართობი 1945 წელს შეადგენდა 671, ხოლო 1950 წელს–556 ჰექტარს. მოსავალიც ასევე მცირე იყო. 1940 წელს მოიწიეს 599, 1950 წელს კი 856 ტონა.[1]

საგრძნობი წინსვლა აღინიშნა მეცხოველეობაში, მაგრამ პირუტყვის სულადობის ომამდელ დონე აღდგენილი არ ყოფილა. ამის მთავარი მიზეზია საკვები ბაზის სისუსტე, მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების დაბალი ფასები. 1946–1950 წლებში მეცხოველეობის სულადობაზე წარმოდგენას გვიქმნის მე–8 ცხრილი (1–ლი იანვრისათვის, ათასი სული).[2]

ცხრილი 8

პირუტყვის სახეები	ყველა კატეგორიის მეურნეობები სულ		მათ შორის			
			კოლმეურნეობები		სახელმწოფო მეურნეობები	
	1946წ.	1951წ.	1946წ.	1951წ.	1946წ.	1951წ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი სულ	76,4	80,4	20,8	25,3	1,3	0,6
მათ შორის:						
ფური და ფურ–კამეჩი	32,3	25,6	3,6	5,4	0,2	0,2
ღორი.....	1,5	1,9	0,1	0,2	0,6	0,1
თხა და ცხვარი	65,4	56,4	35,1	39,5	0,7	0,2

1946–1950 წლებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობა ოთხი ათასით გაიზარდა. ეს ზრდა მოხდა საზოგადოებრივი მეურნეობების, უწინარესად კოლმეურნეობების ხარჯზე. კოლმეურნეობებში ასევე 1,5-ჯერ

[1] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

[2] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.78-80.

გადიდდა ფურისა და ფურ–კამეჩის სულადობა, ერთიორად ღორისა, 11%-ით თხისა და ცხვრის სულადობა.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობის 68–74% ინდივიდუალურ მეურნეობებზე მოდიოდა. მაგრამ მათ ომამდელ დონესთან შედარებით საგრძნობლად შეამცირეს ფურისა და ფურ–კამეჩის, თხისა და ცხვრის სულადობა. სოფლად გაიზარდა იმ კომლთა რიცხვი, ვისაც პირუტყვი საერთოდ არ ჰყავდათ. კოლექტივიზაციის შედეგად სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს პირუტყვის შესანახად საშუალება აღარ ჰქონდა.

მეცხოველეობის განვითარების ნორმალური პირობები არც კოლმეუნეობებს გააჩნიათ. ზამთარში ცხვრის ფარა გაჰყავდათ დასავლეთ საქართველოს რაიონების საძოვრებზე და მათი სარგებლობისათვის თითო სულზე 50-დან 80 კაპიკამდე იხდიდნენ. თანაც საჭირო პირობები არც იქ იყო. ამის გამო დიდძალი პირუტყვი იხოცებოდა. 1948–1949 წლებში დაეცა 14838 სული ცხვარი.[1]

მეცხოველეობის განვითარებას აბრკოლებდა სუსტი საკვები ბაზა. 1949 წლის მონაცემებით აჭარაში პირუტყვის საზაფხულო საძოვრები 32 ათას ჰექტარს შეადგენდა. ნორმალურ პირობებში იგი საკმარისი იყო 32 ათასი სული პირუტყვისათვის. ფაქტობრივად საზაფხულო საძოვრებზე გაჰყავდათ 137–142 ათასი სული პირუტყვი. ქობულეთისა და ბათუმის კოლმეურნეობებს მეცხოველეობის საკვები სხვა რეგიონებიდან შემოჰქონდათ. კოლმეურნეობებში ცუდად იდგა საქონლის ნამატის შენარჩუნების საქმე. 1948 წელს დაეცა ფურისა და ფურ–კამეჩის ნამატის 51,3%.[2] მეტნაკლებად ასე იყო მომდევნო წლებშიც.

კოლმეურნეობები მეცხოველეობის სულადობის ზრდის გეგმას ნაწილობრივ შესყიდვით ასრულებდნენ, რისთვისაც დიდძალი თანხები იხარჯებოდა. ამისათვის 1949 წელს

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.15, ს.5, ფურც.103.

[2] იქვე, ან.14, ს.29, ფურც.13.

დახარჯეს 904505 მანეთი. 1950 წელს–750 ათასი მანეთი. ეს იმ დროს, როცა მეცხოველეობიდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ 410 ათას მანეთს შეადგენდა.[1] ამ წლებში პირველი ნაბიჯები გადადგა საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით ქობულეთისა და ბათუმის რაიონების კოლმეურნეობებმა რუსეთიდან და უკრაინიდან შემოიყვანეს ვეტლის წითელი ჯიშის საქონელი. 1949 წელს მათი რიცხვი 410 სულს ითვლიდა.[2]

ნაკლოვანებათა მიუხედავად კოლმეურნეობებში საგრძნობლად გადიდდა თოთო ფურისა და ფურ–კამეჩის საშუალო წლიური წველადობა. 1950 წელს 1945 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 170 კგ–დან 244,1 კგ–მდე გაიზარდა. იგი 53,5 კგ–ით აღემატებოდა ომამდელ მახასიათებელს. ბათუმის რაიონში რძის საშუალო წლიურმა წველადობამ 1950 წელს 451,1, ხოლო ქობულეთის რაიონში–342 კგ–ს მიაღწია. ეს მნიშვნელოვანი წინსვლა იყო, მაგრამ რენტაბელობის დონე კვლავაც დაბალი იყო. აღსანიშნავია, რომ აჭარის ასსრ თოთო ფურისა და ფურ-კამეჩის საშუალო წლიური წველადობით 2,8-ჯერ ჩამორჩებოდა საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ მახასიათებელს.

მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა ომისშემდგომ აღდგენით წლებში სასურველი მოცულობით ვერ განვითარდა. 1950 წელს მეფრინველეობის ფერმა ჰქონდა 125 კოლმეურნეობას, მაგრამ ფრინველის ხორცსა და კვერცხს პრაქტიკულად ძალზე უმნიშვნელოს აწარმოებდნენ.

1940–1950 წლებში მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით საგრძნობლად გაიზარდა თუთის ნარგავები–90,2 ათასი ძირიდან 137,7 ათას ძირამდე. ამის შედეგად მხოლოდ

---

[1] იქვე, ან.15, ს.5, ფურც.20; ან.17, ს.5, ფურც.24.
[2] იქვე, ან.15, ს.5, ფურც.7.

კოლმეურნეობებმა აბრეშუმის პარკის რეალიზაციიდან 1950წელს მიიღეს 129,7 ათასი მანეთი.[1]

1946_1950 წლებში ფუტკრის ოჯახთა რიცხვი 2880–დან 6404–მდე გაიზარდა, რაც 1940 წლის მაჩვენებელს 3-ჯერ და მეტად აჭარბებდა.[2]

ამრიგად, 1946–1950 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას გააჩნია მნიშვნელოვანი მიღწევები. სოფლის მშრომელთა თავგამოდებული შრომის შედეგად მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებამ საგრძნობლად გადააჭარბა ომამდელ დონეს, შესამჩნევად გაიზარდა მათი სახელმწიფოზე სავალდებულო ჩაბარების მოცულობა. ცხადია, წარმატებები მეტი იქნებოდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკაში არ ყოფილიყო მანკიერებანი, შეცდომები და ხარვეზები.

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.5, ფურც.25.

[2] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.81.

თავი მეორე
აჭარაში ინდრუსტრიის განვითარება XX ს. 50-80-იან წლებში

1. მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

XX ს. 50—იან წლებში აჭარის ეკონომიკური განვითარებისათვის თვისობრივად ახალი პირობები შეიქმნა. ომისშემდგომ წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგად ინდუსტრიის აღმავლობისათვის შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაცილებით მეტი კაპიტალდაბანდებანი გამოიყო ახალ საწა„რმოთა მშენებლობისა და არსებულის რეკონსტრუქციისათვის, გატარდა სათანადო ღონისძიებები ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მთელი ინდრუსტრიული პოტენციალის გადაიარაღებისათვის.

მუშაობა მიმდინარეობდა უკიდურესი ცენტრალიზმის პირობებში, მბრძანებლურ—ადმინისტრაციული მეთოდებით. აჭარის რეგიონი, როგორც მთლიანად საქართველო, ითვლებოდა სსრ კავშირის ეკონომიკის ერთიანი კომპლექსის ნაწილად. ცხადია, ეკონომიკას, განსაკუთრებით კი მრეწველობას, ცენტრალური ხელისუფლება წარმართავდა. რესპუბლიკებისა და რეგიონების სახელმწიფო სამსახური კვლავინდებურად მოკლებული იყო უფლებებს დამოუკიდებლად ემართა ეროვნული მეურნეობა.

XX ს. 50-80-იან წლებში ეკონომიკის განვითარების გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების წესი და პრაქტიკა თითქმის არ შეცვლილა. ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და საგეგმო კომიტეტი იმ საწარმოთა გეგმებს ამუშავებენ, რომლებიც უშუალოდ მათ დაქვემდებარებაში ითვლებოდნენ, ამ საწარმოთა ხვედრითი წილი მრეწველობის საერთო პრო-

დუქციაში 3%-დან 7,5%-მდე აღწევდა.[1] გეგმები მაშინ შედიოდა ძალაში, როდესაც შესაბამისი ზემდგომი ინსტანციები დაამტკიცებდნენ.

აჭარაში განლაგებული საკავშირო საწარმოების ხვედრითი წილი მრეწველობის საერთო მოცულობაში 35%-დან 48,4%-მდე მერყეობდა, საკავშირო–რესპუბლიკური დაქვემდებარებისა–51%-დან 57,4%-მდე.[2] ამრიგად, წარმოების განვითარების გეგმები მთლიანად კონცენტრირებული იყო საკავშირო ცენტრალურ უწყებებში. საწარმოებს, რესპუბლიკურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს გეგმები წინანდებურადვე ეძლეოდათ დირექტივების სახით.

მატერიალური სტიმულირება დამოკიდებული იყო გეგმების გადაჭარბებით შესრულებაზე. ამიტომ საწარმოთა ხელმძღვანელობა ესწრაფოდა გეგმების შემცირებას. საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ დარგობრივ უწყებებში ზოგჯერ ამას ახერხებდნენ. მაგალითად, 1972 წელს წარმოების გეგმა შეამცირა 28 საწარმომ, 1975 წელს–21, 1977 წელს-14, 1984–1985 წლებში–42 საწარმომ. 1979–1980 წლებში წარმოების გეგმების კორექტირების შედეგად სასაქონლო პროდუქციის მოცულობა შემცირდა 47 მილიონი მანეთით.[3]

საქართველოს კპ აჭარის XXXIII საოლქო კონფერენციაზე (1974 წ. თებერვალი) აღინიშნა, რომ რეგიონს დღემდე არა აქვს სახალხო მეურნეობის მყარი ხუთწლიანი გეგმა. მას ცვლიან საგეგმო ორგანოები, დარგობრივი სამინისტროები.[4] მომდევნო წლებში სიტუაცია არსებითად არ შეცვლილა. 1987 წელს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე ითქვა, რომ დასახული ამოცანები

---

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.38; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] იქვე.

[3] საბჭოთა აჭარა, 1973, 3 თებერვალი, 1985, 24 დეკემბერი; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.31, ფურც.72; ან.75, ს.7.

[4] საბჭოთა აჭარა, 1974, 9 თებერვალი.

არარეალურია, უზრუნველყოფილი არ არის მატერიალური რესურსებით, გასაღების ბაზრით.[1] გეგმების შეუწონასწორებლობას, არასტაბილურობას, რეალურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლობას ოფიციალურად აღიარებდა ცენტრის უმაღლესი ხელმძღვანელობა.[2]

ომისშემდგომი აღდგენითი პერიოდის შემდეგ სამრეწველო წარმოების რაოდენობრივი მახასიათებლის ზრდასთან ერთად საგრძნობი ყურადღება დაეთმო თვისობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. უპირველესი ამოცანა გახდა ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, წარმოების მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა, ინდუსტრიული კადრების შრომითი მეტოქეობის შემდგომი განვითარება, კოოპერაციისა და ინტეგრაციის გაღრმავება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, წარმოების გადაყვანა ექსტენსიურიდან ინტენსიურ რელსებზე.

ეს ამოცანები, თავისუფალი კონკურენციის არარსებობისას, ძირითადად წყდებოდა ცენტრალიზებული წესით, ადმინისტრაციული მეთოდებით. წარმოების განვითარების ამოცანები დირექტივების სახით ჩამოყალიბებული იყო ხუთწლიან, შვიდწლიან და უფრო ხანგრძლივი დროის გეგმებში. ამ გეგმების მიხედვით აჭარაში სამრეწველო წარმოება უნდა გაზრდილიყო: 1951–1955 წლებში–68–70%, 1956-1960 წლებში–1,5-ჯერ, შვიდწლედში–1,7-ჯერ, 1966–1970 წლებში–45%, 1971–1975 წლებში–45%, 1971–1975 წლებში–31,6% 1976–1980 წლებში–25%, 1981–1985 წლებში–28%, 1986–1990 წლებში–18,3%-ით. ამ გეგმების პოპულარიზაციისათვის, 1976 წლის ცნობით, რვა ათასზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი მუშაობდა.[3] მათ მნიშვნელოვანი დამსახურება აქვთ წარმოების მუშაკების შრომითი აქტიურობის ამაღლებაში.

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1987, 15 აპრილი.

[2] სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წ., 27-28 იანვარი, თბ., 1987, გვ.12-13.

[3] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.155, ფურც.2.

სამრეწველო წარმოების განვითარების გეგმები ყოველთვის გადამტვირთული იყო, ზოგჯერ არ შეესაბამებოდა ფაქტობრივ შესაძლებლობებს. საკმარისად უზრუნველყოფილი არ ყოფილა ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსებით. ამიტომ მათი შესრულებისათვის ხელისუფლების ადგილობრივ სამსახურს და საწარმოთა შრომით კოლექტივებს ჩვეულებრივზე მეტი დაძაბული მუშაობა უხდებოდათ.

საწარმოთა ანგარიშებსა და სტატისტიკურ ინფორმაციებში, რომლებიც ეგზავნებათ შესაბამის ზემდგომ ორგანოებს, ზოგჯერ წამატებებიც შეიმჩნეოდა. ამნაირი ფაქტები მხოლოდ აჭარის რეგიონში არ ყოფილა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წელს 25 ივლისის დადგენილებაში მკაცრადაა შეფასებული მდგომარეობა და დასახულია მოქმედების კონკრეტული პროგრამა.

ამ დადგენილების შუქზე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი. წამატებებისა და თვალისახვევის სერიოზული ფაქტები გამოვლინდა სამშენებლო ორგანიზაციებში, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში, ვაჭრობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების სისტემაში, ავტოტრანსპორტზე და სხვა.[1] მართალია, დარღვევების აღმოსაფხვრელად გატარდა შესაბამისი ღონისძიებები, მაგრამ მათი მთლიანად აღმოფხვრა არ მომხდარა, რადგან დაკავშირებული იყო არაერთგვაროვანი ხასიათის ობოექტურ და სუბიექტურ სიძნელეებთან.

სიძნელეების მიუხედავად აჭარაში 1951–1987 წლებში წარმატებით შესრულდა მრეწველობის განვითარების გეგმები. ამ წლებში მიმდინარეობდა დიდი მასშტაბის სამრეწველო საწარმოთა ახალმშენებლობანი. ექსპლუატაციაში შეიდა ათობით ფაბრიკა-ქარხანა, განხცორციელდა სა-

---

[1] იქვე, ან.74, ს.198, ფურც.1-2.

წარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება. 1951–1960 წლებში ამოქმედდა ათი ახალი საწარმო. მათ შორის: ელექტროტექნიკური მრეწველობის სამი ქარხანა და ჩაის ორო ფაბრიკა. მომდევნო ათწლეულში –11 მსხვილი სამრეწველო წარმოება: საშენი მასალების ხუთი საწარმო, ჩაის ორი ფაბრიკა, ბათუმის ღვინისა და პურის ქარხნები, ქობულეთის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკა. 1971–1987 წლებში მრეწველობაᲡ შეემატება 15 საწარმო. მათგან აღსანიშნავია ციტრუსოვანთა წვენების ქარხანა "ნაᲩიᲫი", ჩაის გადამწონი და პირველადი დამუშავების ფაბრიკები და სხვა.

1951–1990 წლებში აჭარის ელექტროენერგეტიკის განვითარების შესაძლებლობანი თითქმის არ ყოფილა გამოყენებული. მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა კი შეჩერდა. გამონაკლისი იყო მაჭახელჰესი, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა 1957 წელს. მისი სიმძლავრე 1430 კილოვატს შეადგენდა და ყველაზე მძლავრი იყო საქართველოში საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურებს შორის. 1979 წელს სსრ კავშირის ცენტრალური ხელისუფლების წინაშე დაისვა საკითხი მდინარე ჭოროხზე დიდი ჰიდროელექტროსადგურის აგების შესახებ. საკითხი დადებითად გადაწყდა და 1980 წელს მშენებლობა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს წამოწყება ჩაიშალა.

XX საუკუნის 70–80-იან წლებში აჭარაში ოთხი ჰიდროელექტროსადგური მუშაობდა: აწჰესი, მაჭახელჰესი, კინკიშჰესი და აჭჰესი, რომელთა საერთო სიმძლავრე 17–18 მეგავატამდე აღწევდა. ამიტომ აჭარის რეგიონს ელექტროენერგიით ძირითადად ამარაგებდა საქართველოს ენერგოსისტემა. 60-იანი წლებიდან გაიშალა ქვესადგურების და სატრანსფორმატორო პუნქტების მშენებლობა. ნიშანდობლივია, რომ 50-იანი წლების დასაწყისში აჭარაში ითვლებოდა ორი ქვესადგური ("ბათუმი-I" და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის). თითოეული 110 კილოვატი სიმძ-

ლავრისა. 1965 წლის ბოლოს ელექტროქვესადგურების რიცხვი 9-მდე, ხოლო სატრანსფორმატორო პუნქტებისა —4-დან 117-მდე გაიზარდა. მათი საერთო სიმძლავრე 1,5 მეგაგოლტამპერი იყო. გადამცემი ხაზების სიგრძე 803 კმ აჭარბებდა.[1]

კიდევ მეტი წინსვლა აღინიშნა მომდევნო პერიოდში. 1966–1980 წლებში საექპლოატაციოდ გადაეცა მაღალი ძაბვის 14 ქვესადგური და მათი რიცხოვნობა 23-მდე გაიზარდა. მათ შორის ყველაზე მძლავრი ქვესადგური "დიდი ბათუმი" ამოქმედდა 1975 წელს, რომლის სიმძლავრეა 282 მეგოვოლტამპერი,ხოლო 570 სატრანსფორმატორო პუნქტი 593,6 მეგოვოლტამპერი საერთო სიმძლავრით. ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე 8000 კმ გადააჭარბა. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა 80-იან წლებში. 1990 წელს აჭარაში აღირიცხა40 ელექტროქვესადგური, 1159 სატრანსფორმატორო პუნქტი, 8255 კმ ელექტროგადამცემი ხაზები. ტრანსფორმატორების საერთო სიმძლავრემ 704 მეგოვოლტამპერი შეადგინა.[2]

მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნა სამრეწველო საწარმოთა კონცენტრაციასა და ტერიტორიულ განლაგებაში. 1975 წელს აჭარაში აღირიცხა 622 სამრეწველო საწარმო, 1975 წელს —461, ხოლო 1986 წელს—390. აქედან დამოუკიდებელ ბალანსზე ირიცხებოდა 65 საწარმო.[3] მათი კონცენტრაციის შედეგად შეიქმნა კომბინატები და გაერთიანებები. XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში შეიქმნა აჭარის პურკომბინატი, სამკერვალო საწარმოო გაერთიანება (1963 წელს მას შეუერთდა ტრიკოტაჟის ფაბრიკა და სხვა).

---

[1] იხ. საქენერგოს აჭარის ელექტროქსელების 1963-1965 წლების ანგარიშები.

[2] იხ. საქენერგოს აჭარის ელექტროქსელების 1966-1990 წლების ანგარიშები; საბჭოთა აჭარა, 1979, 22 დეკემბერი.

[3] აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.66; Народное хозяйство Аджарской АССР, статистический сборник. Бат.. 1987, с.53.

წარმოების კონცენტრაცია გრძელდებოდა 70–80-იან წლებშიც. 1971 წელს ბათუმის ნედლი ტყავის პირველადი დამუშავების საწარმო შეუერთდა ტყავის ქარხანას. ჩამოყალიბდა ტყავ–ნედლეულის საწარმოო გაერთიანება. 1984 წელს ექსპერიმენტის სახით ჩამოყალიბდა ფეხსაცმლის სამრეწველო–სავაჭრო ფირმა. იგი აერთიანებდა ტყავ-ნედლეულის საწარმოს, ფეხსაცმლის ფაბრიკასა და სავაჭრო ობიექტებს. აღნიშნულ ექსპერიმენტს მოსალოდნელი დადებითი შედეგები არ მოჰყოლია.

1972 წელს გაერთიანდა ჩაქვის ჩაის საწნეხი ფაბრიკა და მწვანე ჩაის საწარმო. 1975 წელს შეიქმნა ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკების გაერთიანებები. 1987–1988 წლებში ამ გაერთიანებებმა რეორგანიზაცია განიცადა. ნაწილი სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობებთან გაერთიანდა და აგროსამრეწველო კომბინატები ჩამოყალიბდა. 1977 წელს ჩამოყალიბდა აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატები. ერთ საწარმოდ გაერთიანდა აგრეთვე საჩამომსხმელო-მექანიკური და მექანიკური ქარხნები. 1985 წელს შეიქმნა ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატი, რომელშიც გაეროთიანდა თამბაქოს ფაბრიკა და საფერმენტაციო ქარხანა. 1986 წელს აჭარაში სამრეწველო საწარმოების 7 გაერთიანება ითვლებოდა, რომელშიც 27 საწარმო შედიოდა. მათგან დამოუკიდებელ ბალანსზე იყო 8 საწარმო. ამ გაერთიანებების წილად მიდიოდა ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის 22,8–29,6% და საწარმოო პერსონალის 33,6–33,7%.[1]

შესამჩნევად გაიზარდა სასოფლო-რაიონების სამრეწველო პოტენციალი. მაგალითად, ხელვაჩაურის რაიონის ხვედრითი წილი აჭარის მთლიან სამრეწველო პროდუქციაში 1951–1986 წლებში 2,6%-დან 7,2%-მდე გაიზარდა. ქობულეთის რაიონისა 13,1–22%-ს შორის მერყეობდა. ბა-

---

[1] Народное хозяйство Аджарской АССР. статистический сборник, Бат., 1987, с.54.

მაგიერად დაბალი იყო მაღალმთიანი რაიონების ხვედრითი წილი აჭარის მთლიან სამრეწველო პროდუქციაში. აღნიშნული მახასიათებელი ქედის, შუახევის, ხულოს რაიონებში ერთად აღებული 1,7%-ს შეადგენდა.

ამრიგად, როგორც ადრე, ისე ომისშემდგომ პერიოდში, აჭარაში ინდუსტრიის ძირითად ცენტრად ბათუმი რჩებოდა. 1966 წელს დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი 70 სამრეწველო საწარმოდან ბათუმში განლაგებული იყო 41 (58,6%), 1981 წელს–62-დან 38 საწარმო (61,3%). ბათუმზე მოდიოდა ავტონომიურ რესპუბლიკაში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 69,6–81,1%.[1]

ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა არსებული ფაბრიკა–ქარხნების რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. მწყობრში ჩადგა ახალი საამქროები, დანადგარები, ინდუსტრიის საწარმოო კორპუსები, რეზერვუარ–ცისტერნები, ინდუსტრიის დარგებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვა დაჩქარდა მრეწველობის მუშაკთა საკავშირო თათბირის (1955წ. მაისი) და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1955 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შედეგად. განსაკუთრებული მზრუნველობისა გახდა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის, კომპლექსური მექანიზაციის, ინტეგრაციის, კოოპერაციისა და სპეციალიზაციის სამუშაოები.[2]

სამრეწველო საწარმოებში პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის ივლისისა და 1963 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, ინდუსტრიული კადრების მობილიზაციისა და აქტიურობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანი ორგანიზა-

---

[1] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.31; საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.35, 39; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] КПСС в резолюциях съездов, конференции и пленумов ЦК, 8, М., 1971, с.71-93

ციული მუშაობა გასწია აჭარის რეგიონის პარტიულმა და სახელმწიფო სამსახურმა. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის 1955 წლის აგვისტოს, 1963 წლის მაისისა და დეკემბრის პლენუმმა სპეციალურად განიხილეს ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების საკითხები.

ეს საკითხები ყურადღების ცენტრში იყო მომდევნო წლებშიც. მნიშვნელოვანი იყო მიღწევებიც. 1969–1970 წლებში აჭარის სამრეწველო საწარმოებში დაიდგა 20-ზე მეტი უწყვეტი ხაზი, 200-ზე მეტი ახალი დაზგა, ტექნოლოგიური დანადგარი. 1975წელს საექსპლოტაციოდ გადაეცა 30 ავტომატიზებული და ნახევრადავტომატიზებული ხაზი, შეიცვალა მწყობრიდან გამოსული და მოძველებული 460 მანქანა–დანადგარი.[1] მეტნაკლებად ასე იყო სხვა წლებშიც. მეათე ხუთწლედში (1976–1980) რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება განხორციელდა ყოველ მესამე საწარმოში.[2] ახალი ტექნიკის დანერგვაზე გაწეული ხარჯები 1975 წელს 1671,7 ათას მანეთს, ხოლო 1976–1980 წლებში–10,029 ათას მანეთს აღწევდა. 1986–1990 წლებში მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ რეკონსტრუქციაზე, გაფართოებასა და გადაიარაღებაზე დაიხარჯა 80536 ათასი მანეთი. ახალი ტექნიკის დანერგვის ეკონომიკური ეფექტი 1975 წელს 822 ათას მანეთს, 1976 წელს –204,9.ათას, 1979 წელს –2782 ათას, ხოლო 1986 წელს–5427 ათას მანეთს შეადგენდა.[3]

რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების სამუშაოები ფართო მასშტაბით განხორციელდა საკავშირო და საკავშირო–რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში, XX საუკუნის 50–80-იან წლებში დიდი მოცულობის

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1971, 9 იანვარი; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.7, ფურც.11.
[2] საბჭოთა აჭარა, 1985, 24 დეკემბერი.
[3] სტატისტიკური კრებული: საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.31; Народное хозайство Аджарской АССР. Бат., 1987, с.40, 41.

სამუშაოები ჩატარდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტექნიკური გადაიარაღების, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის. ამისათვის დიდძალი თანხები დაიხარჯა. 1953 წელს კაპიტალდაბანდებამ 506 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო 1955 წელს — 509 ათასი მანეთი. 1959—1960 წლებში ქარხნის რეკონსტრუქციისათვის გაწეულმა კაპიტალდაბანდებამ 1290 ათასი მანეთს გადააჭარბა. 1965 წელს ამ მახასიათებელმა 1263,3 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო 1976—1980 წლებში—7,5 მილიონი მანეთი. ახალი ტექნიკის დანერგვაზე დაიხარჯა 1429 ათასი მანეთი. 1980 წელს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქციაზე გაწეული ხარჯი 1378 ათას მანეთს უდრიდა.[1]

კაპიტალდაბანდების ათვისებას ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა. მაგრამ ყოველთვის ვერ ითვისებდნენ გამოყოფილ თანხებს. ამის მიუხედავად ქარხნის საწარმოო სიმძლავრების ზრდის საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები იყო. 1959 წელს ამოქმედდა ავტომატური სატელეფონო სადგური. უფრო ადრე, კერძოდ, 1955 წელს 25 დანადგარის მოდერნიზაციის შედეგად საწარმოო სიმძლავრე 25%-ით გაიზარდა. VI ხუთწლედში (1956—1960) საკონტროლო—საზომი ხელსაწყოების საამქროში 50-ზე მეტი ახალი ავტომატიზებული აპარატი დაიდგა. ავტომატიზებული გახდა აგრეთვე რეზერვუარებზე ნავთობპროდუქტების სინჯვისა და მოცულობის გაზომვის სამუშაოები.

ამავე ქარხანაში 1961—1965 წლებში ააშენეს 2 ახალი დანადგარი, 6 რეზერვუარ—ცისტერნი, ხოლო 8 დანადგარი მოდერნიზებულ იქნა. 1966 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ადსორბციული დანადგარი და ბენზინის კატალიზური რიფორმინგი. ადსორბციული დანადგარი გამოიყენება ტრანსფორმატორის ზეთის გასაწმენდად და მას ანალოგი არ გააჩნდა სსრ კავშირში. ამ დანადგარის ამოქმედების

---

[1] აცსა, ფ.რ-133, ან.1, ს.2015, ფურც.92-94. აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

შედეგად ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაზე მოდიოდა სსრ კავშირში წარმოებული ამ სახეობის პროდუქციის 30%.[1]

1971–1980 წლებში განხორციელდა რამდენიმე დანადგარის რეკონსტრუქცია, მწყობრში ჩადგა თერმიული კრეკინგ-გაზის ღუმელი და კომპრესის სადგური, ექსპლოატაციაში გადაეცა თბოელექტრო ცენტრალი (1976–1977წწ) ამით ქარხანა უზრუნველყოფილი გახდა საიმედო ელექტრო ენერგიით. №№13–14 დანადგარის რეკონსტრუქციის შედეგად ნედლეულის გადამუშავება 12%-ით გაიზარდა.[2] ერთი სიტყვით 1951–1980 წლებში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ძირითადი საწარმოო ფონდები 7-ჯერ გაიზარდა. აქედან 1951–1960 წლებში –3,4-ჯერ. მომდევნო ათწლეულში–1,5-ჯერ, 1971–1980 წლებში –1,3-ჯერ.[3] კატალიზური რეფორმინგი პირველი იყო ამიერკავკასიაში, რომელიც უზრუნველყოფდა მაღალხარისხოვანი ბენზინის მიღებას.

რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში. ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში 1953 წელს მოეწყო ექსპერიმენტული, 1956 წელს– საშემდუღებლო, მანქანების სამღებრო და მოპირკეთების საამქროები, სპეციალური უბანი შესაფუთავი ყუთების დასამზადებლად. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა არსებულ საამქროებს. მაგალითად, საქვაბე–სამჭედლო საამქროს რეკონსტრუქციის შედეგად მისი წარმადობა 30–40%-ით გაიზარდა.[4]

---

[1] Гвенуадзе Э.В., Скуратовская С.С., Перевенец первой пятилетки, Бат., 1979, с.57-58, 65-66; რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობის ცსა (მოსკოვი), ფ.50, ან.1, ს.92, ფურც.22-94.

[2] ე. გვენცაძე, ს. სკურატოვსკაია, დასახ. ნაშრომი, გვ.76.

[3] გამოთვლილია ქარხნის წლიური ანგარიშების მონაცემების საფუძველზე.

[4] აცსა, ფ.რ-980, ან.1, 1.87, ფურც.3; ს.471, ფურც.6.

ტექნიკური გადაიარაღების შედეგად შრომატევადი სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი მექანიზებული და ავტომატიზებული გახდა. 1960–1961 წლებში მძიმე ფიზიკური შრომა 40–50%-ით შემცირდა. 60-იან წლებში ფართოდ დაინერგა ელექტროშედუღების ახალი მეთოდი, რისთვისაც იყენებდნენ კიევის მ. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის მიღწევებს. 1965 წელს ბათუმის მანქანაგსაშენ ქარხანაში მექანიზაციის კოეფიციენტმა 60% შეადგინა.[1] მომდევნო წლებში ახალი თაობის მანქანა–მოწყობილობის დამონტაჟების შედეგად ეს მაჩვენებელი შესამჩნევად გაიზარდა. მაგალითად, დასახელებულ საწარმოში 1970 წელს დაიდგა 32 ცალი მოწყობილობა-დანადგარი, 1975 წელს –60, ხოლო 1980 წელს–77 ერთეული. 1971 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა უნივერსალური ასაწყობი სამარჯვეები, ხოლო 1985 წელს ციფრობრივ–პროგრამული ჩარხების უბანი. აქ დაიდგა მოსკოვიდან მიღებული ახალი სახეობის მანქანები რითაც საგრძნობლად ამაღლდა წარმოების მექანიზაციის დონე.[2] საერთოდ 1951–1960 წლებში მანქანათსაშენი ქარხნის ძირითადი საწარმოო ფონდები 3,1-ჯერ გაიზარდა, 1961–1970 წლებში–3,3-ჯერ, 1971–1980 წლებში–1,8-ჯერ.[3]

გემთსაშენ ქარხანაში რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ფართო მასშტაბის სამუშაოები 50-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. ქარხანა ახალი დაზგა–მოწყობილობით შეივსო. გაფართოვდა არსებული და მწყობრში ჩადგა ახალი საამქროები. მართალია, 1951–1960 წლებში გემთსაშენი ქარხნის ძირითადი საწარმოო ფონდები 2,7-ჯერ გაიზარდა, მაგრამ მას მაინც სუსტი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა ჰქონდა. ამის შესახებ ქარხნის 1960 წლის ანგარიშში ნათქვამია: საწარმოს მატერიალურ

---

[1] იქვე, ს.471, ფურც.9, პოგ. ფ.1, ან.44, ს.5, ფურც.364; საბჭოთა აჭარა, 1962, 25 მარტი.

[2] საბჭოთა აჭარა, 1972, 16 მარტი; 1987, 16 აპრილი.

[3] აცსა, ფ.რ-980, ან.1, ს, სს.87, 315, 189ᵃ), 1328.

– ტექნიკური ბაზა უკიდურესად არადამაკმაყოფილებელიაო.[1] 60-იანი წლებიდან დაიწყო ქარხნის რეკონსტრუქციის ახალი ეტაპი: დაამონტაჟეს ლითონსაჭრელი ჩარხები, დადგეს ამწეები, მოაწყვეს ზღვის სანაპირო გემების ჩასაშვებად. 1970 წელს მოეწყო "ვოლგის"–ტიპის წყალქვეშა ფრთიანი კატარღის ნაკადური პოზიციური ხაზი, რამაც საწარმოო დრო 25%-ით შეამცირა,ხოლო წლიური ეკონომიური ეფექტი 46 ათას მანეთს უდრიდა.[2] ცხადია, საწარმოო სიმძლავრეები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ მისი სრულყოფილი მოდერნიზაცია ვერ მოხერხდა. 80-იან წლებში გემთსაშენი ქარხნის დაზგა–მოწყობილობანი მოძველებული იყო და ტექნიკურ განახლებას საჭიროებდა, მას გაფართოებისათვის საჭირო ტერიტორიაც არ ეკავა. 80–იანი წლების დამდეგს დაიწყო გემთსაშენი ქარხნის ახალი კორპუსების მშენებლობა ქალაქ ბათუმის გარე უბანში და იგი ექსპლოატაციაში გადაეცა 80-იანი წლების ბოლოს.

XX საუკუნის 70-იან წლებში სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში. 1966 წელს ტრანსფორმატორების ქარხანაში მწყობრში ჩადგა ლუმინესცენციური ნათურის საამქრო, სადაც მოეწყო კონვეირული მექანიზებული სამღებრო, ლითონის დამამუშავებელი და საამწყობო უბნები. აქვე ააგეს ელექტროქვესადგური და მძლავრი საქვაბე. 1973 წელს ამოქმედდა ახალი საამქრო, რომელიც ამზადებდა მშრალ სამრეწველო ტრანსფორმატორს. 1975 წელს მწყობრში ჩადგა ელექტრომექანიკური ქარხნის საწარმოო კორპუსი. 1981–1985 წლებში განხორციელდა საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის რეკონსტრუქცია.[3]

სისტემატურად ხორციელდებოდა ელექტროენერგეტიკის საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახ-

---

[1] აცსა, ფ.რ-445, ან.1, ს.266, ფურც.1; ს.510, ფურც.12, 57.

[2] საბჭოთა აჭარა, 1971, 28 მაისი.

[3] საბჭოთა აჭარა, 1967, 30 იულისი; 1973, 13 მარტი; 1986, 14 თებერვალი.

ლების სამუშაოები. მაგალითად, მაღალი ძაბვის ბათუმის პირველ ქვესადგურში, რომელიც აგებული იყო ომამდე (1933წელს), 1961, 1967 და 1979 წლებში მთლიანად შეიცვალა დანადგარები. ასეთივე სარეკონსტრუქციო სამუშაოები განხორციელდა ბათუმის მეორე, ქობულეთის, ჩაქვის, ქედისა და სხვა მაღალი ძაბვის ქვესადგურებში. 1979 წელს ბათუმის 220–კვ ქვესადგურში დაიდგა ამიერკავკასიაში პირველი უნიკალური სინქრონული 50 ათას კილოვატამპერ სიმძლავრის რეაქტიული კომპენსატორი. ამით გაიზარდა მაღალი ძაბვის ხარისხი და შემცირდა ენერგიის დანაკარგები.[1]

საყურედღებო სამუშაოები ჩატარდა ქიმიურ-ფარმაცევტულ, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში. მოეწყო ახალი საამქროები და საწარმოო უბნები, შეიცვალა მოწყობილობა–დანადგარები და სხვა. მაგალითად, ქიმიურ–ფარმაცევტულ ქარხანაში 1955–1960 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა კოფეინის, თეალბინის, ქიმიური პრეპარატების საამქროები, ექსპერიმენტალურ–საწარმოო ლაბორატორია, საქვაბე და სხვა.[2] ტყავის ქარხანას შეემატა ახალი საწარმოო კორპუსები, დაიდგა ახალი დანადგარები, მოაწყვეს ავტომატური და ნახევრად ავტომატური ხაზები.

სამკერვალო გაერთიანებაში 1967 წელს დაიდგა 274 ცალი ახალი მოწყობილობა, რამაც წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 26,3 ათასი მანეთით გაზარდა. ამავე საწარმოში 1976–1980 წლებში გამართეს 1000-ზე მეტი მანქანადანადგარი. ტექნოლოგიური სიახლეების ეკონომიკური ეფექტი 585 ათას მანეთს შეადგენდა.[3] 1967 წელს ციტრუსკომბინატში ააშენეს ვიტამინ "P"-ს დამამზადებელი საამქრო. აჭარის თევზჭერის ფლოტის სამმართველოში 1970 წელს მოეწყო ახალი ნავმისადგომი. 80-იანი წლების

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1979, 22 დეკემბერი.
[2] აცსა, ფ.რ-886, ან.1, სს.255, 368, 388.
[3] საბჭოთა აჭარა, 1981, 10 ნოემბერი.

დასწყისში ზღვისაგან გამოათავისუფლეს ხუთი ათასი კვმ ფართობი, სადაც 1981–1982 წლებში ააშენეს პრესერვების, გაყინული თევზისა და თევზის კონსერვების დამამზადებელი საამქროები. გამართეს თევზის შერეული დამარილების რამდენიმე ნაკადური ხაზი, რის შედეგაც ყველა ტექნოლოგიური პროცესის–შებოლვა, გაგრილება, ქილებში ჩაწყება და მოხუფვა ავტომატურად ხდებოდა.[1] რეკონსტრუქციისა და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით წარმოება 4–5-ჯერ გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 1978–1980 წლებში თევზსაჭერი ფლოტის გემების რიცხვი 13-დან 25-მდე, თითქმის ორჯერ გაიზარდა.

1971–1985 წლებში განხორციელდა ჩაის ფაბრიკების, რძის ქარხნისა და ხორცის კომბინატის რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება. 1975 წელს საქართველოს ჩაის ფაბრიკებში 1000-ზე მეტი ტექნოლოგიური სიახლე დაინერგა. აქედან უმეტესი–აჭყვის, ხელვაჩაურისა და ბათუმის ჩაის ფაბრიკებში. 1976–1980 წლებში ქობულეთის რაიონის ჩაის ფაბრიკებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვით მიღებული ეფექტი 2715 ათას მანეთს შეადგენდა. ამავე დროს გამოთავისუფლდა 43 მუშა. 1982 წელს ქობულეთის სათავო ჩაის ფაბრიკაში მწყობრში ჩადგა ახალი ექსპერიმენტულ–ვერტიკალური კასკადური ტიპის ავტომატიზირებული საგრეხი განყოფილება.[2] თამბაქოს ფაბრიკაში პაპიროსის წარმოების ნაკადურ სისტემაზე გადაყვანით, რაც 1957 წელს განხორციელდა, მუშახელი შემცირდა 30%-ით, ხოლო ეკონომიამ ათასობით მანეთი შეადგინა.[3] 1953 წლიდან დაიწყო სამკერვალო ფაბრიკაში წარმოების კონვეიერულ სისტემაზე გადაყვანა.

ახალ საწარმოთა მშენებლობის, არსებულის ტექნიკური რეკონსტრუქციის შედეგად, შესამჩნევი ცვლილებები

---

[1] კომუნისტი, 1984, 15 ნოემბერი.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.74, ს.349, ფურც.11; ან.73, ს.31, ფურც.8; ან.74, ს.13, ფურც.8; საბჭოთა აჭარა, 1982, 30 ივნისი.

[3] საბჭოთა აჭარა, 1957, 23 ივლისი, 20 ნოემბერი.

მოხდა მრეწველობის საწარმოო ძირითადი ფონდების დარგობრივ სტრუქტურაში, რის შესახებაც წარმოდგენას გვიქმნის პირველი ცხრილი (პროცენტობით.).[1]

ცხრილი 1.

მრეწველობის დარგები	1964წ.	1970წ.	1980წ.	1985წ.
მთელი მრეწველობა.....	100	100	100	100
მათ შორის:				
ელექტროენერგეტიკა.....	17,2	21,0	15,9	20,6
სათბობი მრეწველობა.....	26,0	20,9	15,9	13,0
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა.....	5,2	4,2	3,5	2,9
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება.	9,3	9,9	18,8	16,8
ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობა.....	4,,4	4,1	3,3	3,3
საშენ მასალათა მრეწველობა.....	5,9	5,4	8,3	5,7
მსაუბუქი მრეწველობა.....	3,8	4,8	5,0	4,7
კვების მრეწველობა.....	26,9	25,9	26,5	30,9

XX საუკუნის 50–80-იან წლებში სამრეწველო საწარმოო ძირითადი ფონდების დარგობრივ სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წილი ჰქონდა კვების მრეწველობას. ეს მახასიათებელი მერყეობდა 26–31%-ს შორის. მართალია, ამ დარგში ახალი ტიპის ტექნიკა მცირე იყო, მაგრამ კვების მრეწველობა გამოირჩეოდა მრავალრიცხოვანი მსხვილი, საშუალო და წვრილი საწარმოებით. სწორედ ეს იყო ამ დარგის საწარმოო ძირითადი ფონდების უპირატესი გამსაზღვრელი. ელექტროენერგეტიკაში საწარმოო ძირითადი

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.49; Народное хозяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.73.

ფონდების უმეტესი ნაწილი მოდიოდა ტრანსფორმატორებსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე.

სამრეწველო საწარმოო ძირითადი ფონდების დარგობრივ სტრუქტურაში თავისებურება ის იყო, რომ საგრძნობლად შემცირდა სათბობი (ნავთობი), ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის ხვედრითი წილი, ამავე დროს შესამჩნევად გაიზარდა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის წილი. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოო ძირითადი ფონდების გაზრდას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტექნიკურ პროგრესში, პროფილის მიხედვით ამ დარგზე იყო დამოკიდებული ახალი თაობის მანქანების, მოწყობილობათა და აპარატების შექმნა.

მიღწევების მიუხედავად, აჭარის სამრეწველო საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მსოფლიოს ინდუსტრიულ ქვეყნებში არსებულ სტანდარტებს. დანადგარებისა და დაზგა-მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოძველებული იყო და ფიზიკურადაც აღარ ვარგოდა. გაძნელებული იყო მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ასევე დიდი იყო ხელითშრომის ხვედრითი წილი.

1975 წელს ბათუმის მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების 30%, მოძველებული და მწყობრიდან გამოსული იყო. ეს მახასიათებელი ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში შეადგენდა 67%-ს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებსა და ხისდამამუშავებელ კომბინატში—70%-ს.[1] მთლიანად საქართველოს კვების მრეწველობაში მოძველებული მოწყობილობის ხვედრითი წილი 40% ითვლებოდა.[2] აჭარის ჩაის ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრენი, 1979 წლის ცნობით, 54—57%-ით აკმაყოფი-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.7, ფურც.67, 151; ან.50, ს. ფურც.102-103.
[2] კომუნისტი, 1982, 18 ივნისი.

ლებდა მოთხოვნებს ნედლეულის გადამუშავებაზე ასეთივე მდგომარეობა იყო 80-იან წლებშიც. საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე (1987წ. აპრილი) ხაზგასმით აღინიშნა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ტექნიკური პროგრესი ჩამორჩენილიაო.[1] ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო–საავაჭრო ფირმაში დანადგარების 90% მოძველებული იყო და ფიზიკურადაც უვარგისი გახდა.[2] ელექტრომექანიკურ ქარხანაში დაზგა–მოწყობილობის 75% ასეთივე მდგომარეობაში იყო. მათი ასაკი 10-დან 20-მდე აღწევდა[3] და უახლესი თაობის მანქანებს დიდად ჩამორჩებოდა.

აჭარის სამრეწველო საწარმოებში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ჩამორჩენის გამო ხელით შრომა ჭარბობდა. 1981 წლის ცნობით სამრეწველო საწარმოებში მუშათა ნახევარი ხელით შრომობდა, ხოლო ჩაის ფაბრიკებში აღნიშნული მახასიათებელი კიდევ უფრო მაღალი იყო.[4] 1987 წლის მონაცემებით ხელით შრომის კოეფიციენტი შეადგენდა: აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატში–81,2%, მექანიკურ ქარხანაში–77,8%, ხორცკომბინატში–69,3%, რძის ქარხანაში–70%, საავეჯო–ბამბუკის ფაბრიკაში–76,7%, თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატში–70,3%, ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში–45,2% და ა. შ.[5]

დაახლოებით ასეთი მდგომარეობა იყო მთლიანად სსრ კავშირში. ცხადია, საქართველო, კერძოდ, აჭარის რეგიონიც გამონაკლისი არ ყოფილა. ამის გამო იყო, რომ სკკპ XXVI ყრილობამ (1981წ. მარტი) 80-იანი წლები გამოაცხადა გარდატეხის პერიოდად შრომის ავტომატიზაციის საქმეში. სამწუხაროდ, ყრილობის ეს განცხადება დეკლარაციად დარჩა. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი იყო

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1987, 15 აპრილი.
[2] საბჭოთა აჭარა, 1987, 17 სექტემბერი.
[3] საბჭოთა აჭარა, 1986, 12 ივნისი.
[4] საბჭოთა აჭარა, 1981, 2 აპრილი; 1982, 30 ივნისი.
[5] საბჭოთა აჭარა, 1987, 26 დეკემბერი.

არასაკმარისი ფინანსური უზრუნველყოფა, ასევე სამეცნიერო–ტექნიკური კადრების ნაკლები დაინტერესება, რის გამოც ჭიანურდებოდა ახალი თაობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სამრეწველო საწარმოო პერსონალის მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. იგი განპირობებული იყო არამარტო მრეწველობის გაფართოებული კვლავწარმოებით, მუშათა თაობების ცვლით, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვით, არამედ, სპეციალისტების დიდი დენადობითაც. 1960 წელს ბათუმის 5 საწარმოში (ნავთობგადამამუშავებელი, გემთსაშენი, კოფეინის, ტყავის, ხისდამამუშავებელი) სამუშაოზე მიიღეს სამრეწველო საწარმოო პერსონალის 23,9%, დაითხოვეს–20,2%.[1]

მთლიანად აჭარაში 1967 წელს სამრეწველო საწარმოებში სამუშაოზე მიიღეს 5300, ხოლო დაითხოვეს 4840 კაცი. 1970 წელს მუშათა საერთო დენადობა შეადგენდა 30%, 1975 წელს–25,7%, 1980 წელს–20,5%, ხოლო 1986 წელს – 16,1%. 1977 წლის პირველ ნახევარში ჭოროხის ინერტიული მასალების ქარხანაში მუშათა დენადობამ 40% გადააჭარბა, თამბაქოს ფაბრიკაში–34%, ტრანსფორმატორების ქარხანაში–31%-ს.[2] ამის ძირითადი მიზეზი გახლდათ საბინაო–საყოფაცხოვრებო პირობები. მუშათა დაახლოებით 90%-მა სამუშაო მიატოვა პირადი სურვილით.

სამრეწველო–საწარმოო პერსონალის შევსება, გაფართოებული კვლავწარმოების პირობებში ახალი მუშახელის მოზიდვა ძირითადად ხდებოდა ახალგაზრდობის ხარჯზე. 1951–1990 წლებში პროფესიულ–ტექნიკურ სასწავლებლებთან ერთად მნიშვნელოვანი ოდენობის მუშები მოამზადეს

---

[1] გამოთვლილია: აცსა, ფ.რ-133, ან.1, ს.1747, ფურც.110,114; ფ.რ-886, ან.1, ს.388, ფურც.14,16; ფ.რ-668, ან.1, ს.120, ფურც.20; ფ.რ-455, ან.1, ს.510, ფურც.9-11; ფ.რ-204,ს.277, ფურც.7.

[2] აცსა, პპოგ.:ფ.1, ან.60, ს.33, ფურც.2; ან.73, ს.215, ფურც.64; Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник. Бат., 1987, с.68.

საწარმოებმა. ფაბრიკა–ქარხნებში კვლავ ნაყოფიერად მუშაობდნენ მუშათა კადრების მომზადებისა და გადამზადების კურსები, სკოლები, წრეები, გამოიყენებოდა ინდივიდუალური სწავლების ფორმებიც. მაგალითად, 1980 წელს მანქანათსაშენ ქარხანაში მუშათა კადრების გამოზრდას ემსახურებოდა 18 მასწავლებელი, 87 დამრიგებელი, 60 ინსტრუქტორი. მეტნაკლებად ასეთივე სურათი იყო საკავშირო და საკავშირო–რესპუბლიკური დაქვემდებარების დანარჩენ საწარმოებშიც.

აჭარის სამრეწველო საწარმოებში 1959 წელს მოუმზადებიათ 1157 კვალიფიციური მუშა. 1970 წელს 6 სამრეწველო საწარმოში (ნავთობგადამამუშავებელი, გემთსაშენი, ტრანსფორმატორების, ელექტრომექანიკური, მანქანათსაშენი, სამკერვალო) ახალი პროფესია შეისწავლა და კვალიფიკაცია აიმაღლა 2010 კაცმა, რაც მუშათა საერთო რაოდენობის 36,6% შეადგენს. მომდევნო წლებში პროგრესული ცვლილებები კიდევ მეტად მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, 1976–1980 წლებში სამრეწველო საწარმოებში მოამზადეს და გადაამზადეს 19733 კაცი. მათ შორის 7901 ახალი კადრი, ხოლო 11832 მუშამ კვალიფიკაცია აიმაღლა. 1979 წელს პროფტექნიკური სასწავლებლები დაამთავრა 1165 კაცმა. მათგან 705 სპეციალისტმა სამრეწველო საწარმოების მუშათა რიგები შეავსო.[1]

XXს. 50–60 წლების მიჯნაზე აჭარის მრეწველობაში დასაქმებული იყო მეტ–ნაკლებად კვალიფიციური სამრეწველო–საწარმოო პერსონალი. 1961 წელს მათი რიცხოვნობა 15478, ხოლო 1970 წელს–21036 კაცს ითვლიდა. ქედან მსუბუქ მრეწველობაში დასაქმებული იყო 26,8%. ანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების საწარმოებში–22,3, კვების მრეწველობაში–22,22%, ხე–ტყისა და ხისდამამუშავებელ მრეწველობაში–9,1%, ნავთობგადამამუშა-

---

[1] აცსა, ფ.რ-96, ან.1, ს.1183, ფურც.10; საბჭოთა აჭარა, 1980, 26 ივნისი; იხ. შესაბამისი საწარმოების წლიური ანგარიშები.

ვებელ ქარხანაში—5%, საშენი მასალების წარმოებაში—4%, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში—4,1%.[1]

XX ს. 50—80-იან წლებში, წინა პერიოდთან შედარებით, უკეთესი პირობები არსებობდა ინდუსტრიული კადრების შრომითი და შემოქმედებითი საქმიანობისათვის, მაგრამ ეკონომიკური სისტემა და სამეურნეო მართვის მექანიზმი ეფექტიანობას ცენტრალური ხელისუფლებაც გრძნობდა, მაგრამ კომუნიზმის პრინციპებისადმი ბრმა ერთგულება საღ აზროვნებას ბოჭავდა. ამიტომ ყველა ეკონომიკური რეფორმა, რომელიც XX ს. 50—80-იან წლებში განხორციელდა, მარცხით დამთავდა. არსებითად არ შეხებია ეროვნული რეგიონების უფლებამოსილებას, წარმოების განვითარების შინაგან ცხოვრებას. რეფორმები ძირითადად იყო კოსმეტიკური ხასიათის, ზოგჯერ მცდარიც და მეტწილად ეხებოდა მრეწველობის მართვის ორგანიზაციულ მხარეს.

ცხადია, ამნაირი მიდგომები აჭარასაც შეეხო. 1960 წელს გაუქმდა სარეწაო საბჭო. მასში შემავალი არტელები (საწარმოები) საყოფაცხოვრებო მომსახურეობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების დაქვემდებარებაში გადავიდა. ეს ღონისძიება აშკარად მცდარი იყო, რადგან იგი მოასწავებდა მრეწველობაში კოოპერაციული საკუთრების იგნორირებას, მის ლიკვიდაციას. წარმოების მართვა კიდევ მეტად გაძნელდა 1957 და 1962—1963 წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად. 1957 წლის რეფორმით მრეწველობისა და მშენებლობის მართვის დარგობრივი სისტემა შეიცვალა ტერიტორიულით. აჭარაში განლაგებული საკავშირო და საკავშირო—რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები გადაეცა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს. 1962 წელს გაუქმდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და შეიქმნა ქობულეთის სამრეწველო—საწარმო გაერთიანება. ამ ორგანოს

---

[1] აჭარის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1976, გვ.64.

გამგებლობაში გადავიდა აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და გურიის მხარის რაიონული მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოები.

ამ რეფორმებით უწყებრივი ბარიერები არ აღმოფხვრილა. პირიქით, მრეწველობის მართვაში დუბლირება და პარალელიზმი საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითად, ბათუმის კოფეინის ქარხანა ორი გამგებლის ხელში აღმოჩნდა, სამკურნალო პრეპარატების დამზადების გეგმას იძლეოდა სსრ კავშირის ჯამრთელობის დაცვის სამინისტრო, ხოლო დანარჩენ საკითხებს განაგებდა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭო.[1] ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩდნენ ნავთობგადამამუშავებელი და გემთსაშენი ქარხნები.

ეკონომიკის მართვის მექანიზმის სრულქმნის ახალი ეტაპი დაიწყო 1965 წელს, რაც 1987 წლამდე გაგრძელდა. 1965 წელს გაუქმდა სახალხო მეურნეობის საბჭოები, კვლავ შემოიღეს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის დარგობლივი სისტემა. 1965 წელს აღადგინეს აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო. 1966 წელს აჭარაში არსებული დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი 70 სამრეწველო საწარმოდან 7 უშუალოდ ექვემდებარებოდა 5 საკავშირო სამინისთროს, 43—საქართველოს 9—რესპუბლიკურ უწყებას, 20—აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს.

ცხადია, ტექნიკური, ტექნოლოგიური, სამეურნეო-საფინანსო საკითხები ძირითადად ისევ ცენტრალურ უწყებებში წყდებოდა. მრეწველობის მართვის სისტემა მრავალსაფეხურიანი იყო. საწარმოებსა და გაერთიანებებს უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ სამინისტროების შესაბამისი სამმართველოები. საწარმოების უფლებები შეზღუდული იყო. მართვის არსებული სისტემის გამარტივებას ისახავდა მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1966, 1 აპრილი.

მინისტრთა საბჭოს 1973 წლის აპრილის დადგენილება "მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ".

საკავშირო და საკავშირო–რესპუბლიკურ სამინისტროებში გაუქმდა მრეწველობის მართვის დარგობრივი სამმართველოები, განყოფილებები და ქვეგანყოფილებები, დადგენილება ითვალისწინებდა 1973–1975 წლებში მრეწველობის მართვის ახალ სისტემაზე გადასვლას. მრავალსაფეხურიანის ნაცვლად უნდა შექმნილიყო ორრგოლიანი და სამრგოლიანი მართვის სისტემა. პირველ შემთხვევაში მართვის სისტემა მოიცავდა საწარმოსა (გაერთიანება) და სამინისტრო (საერთო საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური). სამრგოლიანი სისტემის პირველი საფეხური იყო საწარმო, მეორე–საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება, მესამე–სამინისტრო.[1]

ამ ღონისძიების გატარებით, მართალია, მრეწველობის მართვა საგრძნობლად გამარტივდა, მაგრამ არსებითი დადებითი შედეგი მას არ მოჰყოლია. აჭარის რეგიონში განლაგებული საწარმოების ნაწილი კვლავინდებურად იმართებოდა საკავშირო სამინისტროებიდან, ხოლო მეორე ნაწილი–საქართველოს საერთო რესპუბლიკური დარგობრივი უწყებებიდან. უწყებრივი ბარიერი, პარალელიზმი და დუბლირება ძალაში რჩებოდა.

რეგიონებში, მათ შორის აჭარაში, სამრეწველო საწარმოთა მუშაობის კოორდინაციას, გეგმების შესრულებისათვის ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ახორციელებდნენ პარტიული კომიტეტები. მათი მუშაობის სისტემა და ფორმები თითქმის უცვლელი დარჩა. ყველა საწარმოში მოქმედებდა პარტიული, პრობკავშირული და კომკავშირული პირველადი ორგანიზაციები, შესამჩნევი ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში შეიქმნა ფუნქციონერთა განთავისუფლებული

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1973, 4 აპრილი.

(შტატიანი) თანამდებობები, მოსამსახურე აპარატით. ორგანიზატორული და სამეურნეო–პოლიტიკური მუშაობის შტაბს ადგილებზე წარმოადგენდნენ საქალაქო და საოლქო კომიტეტების სამრეწველო განყოფილებები, რომლებიც ძირითადად გეგმების შესრულებაზე ზრუნავდნენ. საწარმოების შემოსავლების ბატონ–პატრონი დარგობრივი სამინისტროები იყვნენ. ამასთან, საწარმოები ფინანსურად და მატერიალურად არ იღებდნენ მონაწილეობას ქალაქების, დაბებისა და სოფლების სოციალურ–კულტურული პრობლემების გადაწყვეტაში. თანდათანობით ღრმავდებოდა წინააღმდეგობა ცენტრსა და რეგიონებს შორის. მათი ინტერესები სულ უფრო და უფრო შეუსაბამო ხდებოდა. ამას გრძნობდა ცენტრალური ხელისუფლებაც. 1981 წელს ფოთში საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ექსპერიმენტის სახით შეიქმნა მრეწველობის მართვის ახალი ფორმა–ტერიტორიულ–დარგთაშორისი გაერთიანება. მას ხელმძღვანელობდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარის ერთ–ერთი მოადგილე.

გაერთიანებაში შეევიდა ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმო. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 აპრილის დადგენილებით ფოთის ტერიტორიულ–დარგთაშორის გაერთიანებას საკავშირო სტატუსი მიენიჭა. იგი გამოცხადდა საკავშირო მნიშვნელობის საბაზო გაერთიანებად. ამის შემდეგ ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება ბათუმშიც შეიქმნა, რომელიც ქალაქის ყველა საწარმოს აერთიანებდა.

მრეწველობის მართვის ამ ახალი ფორმის შექმნით ნაწილობრივ განიმუხტა დაძაბულობა ცენტრსა და რეგიონებს შორის. ტერიტორიულ–დარგთაშორისი გაერთიანება გადაიქცა მრავალი უწყების დაქვემფებარებაში მყოფ საწარმოთა მაკოორდინებელ ორგანოდ. მისი შექმნით იწყებოდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა. ამიერიდან საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა დამატებითი მო-

გების ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტს ავსებდა. იგი გამოიყენებოდა რეგიონის სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისათვის და, ცხადია, გარკვეული მნიშვნელობა გააჩნდა. მაგრამ ცენტრსა და რეგიონებს შორის წინააღმგეგობა ისევ რჩებოდა, რამდენადაც ეკონომიკის, უწინარესად მრეწველობის, მართვაში ცენტრალიზმი დომინირებდა. საწარმოთა მოგების დიდი ნაწილი დარგობრივ სამინისტროებს ეკუთვნოდათ და საკავშირო ბიუჯეტში ირიცხებოდა.

XX საუკუნის 60-იან წლების მეორე ნახევარში ადმინისტრაციული ზომების პარალელურად დაიწყო მართვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენება. ამ მიმართულებით რეფორმები გატარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების "მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ" მიღების შემდეგ.[1] იგი ითვალისწინებდა ახალ მიდგომას საწარმოს საქმიანობასადმი. განზრახული იყო მათი გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, რითაც საგრძნობლად ფართოვდებოდა საწარმოთა დამოუკიდებლობა.

სამრეწველო წარმოების დაგეგმვის მთავარი მაჩვენებელი გახდა რეალიზებული პროდუქცია. საერთო პროდუქციის მაჩვენებელი, რაც აქამდე წარმოების მთავარ შედეგად ითვლებოდა, არ ასახავდა მუშაობის რეალურ სურათს. ახალი მიდგომით საწარმოს საქმიანობა ფასდებოდა მოგების, წმინდა მოგებისა და რენტაბელობის ზრდით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით.

დადგენილების თანახმად იცვლებოდა წარმოების მუშაკთა მატერიალური წახალისების წესიც. მანამდე პრემიები ეძლეოდათ გეგმების შესრულების მიხედვით. ამიტომ ყველა ცდილობდა გეგმების კორექტირებას (შემცირებას).

---

[1] Решения партии и правителство по хозаиственным вопросам (1917-1967), Сборник документов, 5, М., 1968, с.640-645.

ამიერიდან მატერიალური წახალისება დამოკიდებული იყო წარმოების ზრდაზე, მოგებაზე. რაც უფრო მაღალი იქნებოდა მოგება, მით მეტი თანხები გადაირიცხებოდა მატერიალური წახალისების ფონდში. მართალია, ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდი რამდენადმე უწყობდა ხელს წარმოების ზრდას, მაგრამ გეგმები ისე იყო გადატვირთული, რომ მოგების მნიშვნელოვან ზრდას ნაკლებად უზრუნველყოფდა.

საქართველოში, მათ შორის აჭარის რეგიონში, სამრეწველო საწარმოთა გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე 1966 წლის მეორე ნახევარში დაიწყო. მთლიანად საქართველოში 9 საწარმო მუშაობდა ახალი წესით. აჭარაში კი მხოლოდ ერთი (ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა). 1967 წლის ბოლოს მათი რიცხვი 10-მდე გაიზარდა. 1970 წელს დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასული იყო საწარმოთა 68%, რომელთა წილად მოდიოდა ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის 96,5%.[1] მრეწველობის მართვის რეფორმირება ბოლომდე არ განხორციელებულა. საწარმოები ვერ გადავიდნენ სრულ სამეურნეო ანგარიშზე და მათი უფლებები ისევ შეზღუდული დარჩა. მატერიალური დაინტერესების მეთოდი ჯეროვნად არ იყო გამოყენებული. წარმოების მართვის ადმინისტრაციულ—მბრძანებლური სისტემა მწვავე კრიზისს განიცდიდა. იგი არ იძლეოდა ეფექტს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა მკაცრად გააკრიტიკა ეკონომიკის მართვის არსებული სისტემა, კოოპერაციული საკუთრების, კოლექტიური იჯარისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შეუფასებლობა.[2]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ წარმოების განვი.არებას აფერხებდა ეკონომიკური მართვის მექანიზმის

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.64, ს.105, ფურც.40; საბჭოთა აჭარა, 1968, 3 აპრილი.

[2] სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987, 27-28 იანვარი, თბ.

არაეფექტიანობა. პლენუმის დადგენილება ითვალისწინებდა საწარმოთა დამოუკიდებლობის მკვეთრ გაფართოებას, თვითმართველობის განვითარებას, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას, დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, მომარსაგების ძირეულ ფაუმჯობესებას, მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, კოლექტიური იჯარის ფართოდ გამოყენებას და სხვა.[1]

ცენტრალური ხელისუფლება ამ ღონისძიებებს მიიჩნევდა რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმად და მას თვლიდა ე.წ. გარდაქმნის პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილად. შეიქმნა ეკონომიკური რეფორმების საკანონმდებლო ბაზა. 1987 წლის 30 ივნისს გამოვიდა კანონი "სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ". 17 ივლისს–სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები დაგეგმვის, მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საფინანსო მექანიზმის, საბანკო დაწესებულებების, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოო საქმიანობის გარდაქმნისა და ახალ პირობებში მათი მეურნეობების როლის ამაღლების შესახებ.

ახალი რეგლამენტით კიდევ მეტად იზრდებოდა ხელისუფლების ცენტრალური უწყებების როლი. ამავე დროს საწარმოს სამეურნეო–ოპერატიული მართვის უფლებებიც ფართოვდებოდა. გათვალისწინებული იყო საწარმოების გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე. თვითანაზღაურებასა და თვითმმართველობაზე. შრომის ანაზღაურება მოხდება წარმოების საბოლოო შედეგების მიხედვით, მიუხედავად ამისა, საწარმოების საქმიანობა დაფუძნებული იყო გეგმაზე, ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობაზე.[2]

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1987, 26 ივნისი.

[2] О коренной перестроике управления экономики, Сборник документов, М., 1987, с.4-5.

ეს ეკონომიკური რეფორმა არ იყო რადიკალური. იგი შეეხო მეურნეობის ძირითად რგოლს—წარმოებასა და ცენტრალურ დარგობრივ უწყებებს. ასახავდა, მათ შორის ფუნქციების გადანაწილებას, ზოგიერთ ნაწილში გამიჯვნას. რესპუბლიკების, რეგიონების უფლებების გაფართოებას წარმოების მართვაში იგი არ ითვალისწინებდა, უკიდეგანო ქვეყანაში ამ პრობლემის გადაჭრა კი ყველაზე მთავარი იყო. რეგიონების, მათ შორის აჭარის ხელისუფლების ორგანოების უფლებათა გაფართოება იმაში გამოიხატა, რომ ისინი ახორციელებდნენ კოორდინაციას და კონტროლს ფართო მოხმარების პროდუქციის წარმოებაზე.

მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე აჭარაში პირველად ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა გადავიდა. უკვე 1987 წლის ბოლოს სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასული იყო სამკერვალო საწარმოო გაერთიანება, ფეხსაცმლის სამრეწველო—სავაჭრო ფირმა, ქობულეთის ბამბის საქსოვი ფაბრიკა, ქიმიური ქარხანა.[1] 1990 წლისათვის აჭარის სამრეწველო საწარმოების უმრავლესობა მართვის ახალი სისტემითა და მეთოდებით მუშაობდა.

საწარმო—საფინანსო შედეგები არასასურველი აღმოჩნდა. ზოგიერთ საწარმოში გაუარესდა კიდეც. მაგალითად, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ ცუდი სამეურნეო შედეგებით დაამთავრა 1987 წელი. აქ წარმოების მუშაკთა ყოველთვიური ხელფასი 12 მანეთით შემცირდა.[2] ფაქტობრივად ადმინისტრაციულ— მბრძანებლური მეთოდი არ შეცვლილა. საწარმოები ისევ ზეწოლას განიცდიდნენ. ცენტრალური საგეგმო და დარგობრივი უწყებები საბალანსო ნორმატივებს თვითნებურად ადგენდნენ, ისე, რომ საწარმოს კოლექტივის ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებდნენ.

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1968, 24 თებერვალი, 1 აპრილი, 1987, 29 დეკემბერი.
[2] საბჭოთა აჭარა, 1988ზ 16 იანვარი.

სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობიოს სამინისტრომ ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანას უსაფუძვლოდ გაუდიდა მოგების ნაწილის გადარიცხვა საკავშირო ბიუჯეტში. 1988 წელს იგი შეადგენდა 19,24%, 1989 წელს– 40,05%, 1990 წელს–47,9%. მოგებიდან საწარმოს განკარგულებაში რჩებოდა შესაბამისი წლების მიხედვით 36,9%, 29,9%, 24,2%.[1] როგორც ჩანს, ქარხანას თითქმის აღარაფერი რჩებოდა წარმოების რეკონსტრუქციის, ტექნიკური პროგრესის დანერგვის, შრომითი კოლექტივის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მატერიალური წახალისებისათვის.

ამრიგად, XX ს. 80-იან წლების მეორე ნახევარში დაწყებული ე. წ. რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, ჩიხში მოექცა. მას არ შეეძლო კრიზისიდან გამოეყვანა წარმოება, რამდენადაც, ცენტრალიზმი და ადმინისტრაციული მეთოდები ფაქტობრივად უცვლელი დარჩა.

სახელმწიფო ხელისუფლების ძალისხმევა წარმოების მუშაკების შრომითი აქტიურობის ამაღლებისათვის თითქოს და მნიშვნელოვნად გაიზარდა. მართალია, XX ს. 50–60-იან წლებში წარმოქმნილი შრომითი მეტოქეობის (ე. წ. "სოციალისტური შეჯიბრების") ახალი ფორმები 70–80-იან წლებში ფორმითაც და შინაარსითაც გამრავალფეროვნდა, მაგრამ იგი ცენტრალურ ხელისუფლებაში იგეგმებოდა, მეტისმეტად პოლიტიზებული თუ იდეოლიგიზებული ჩანდა და გაუმართლებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წარმოების განვითარების გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში.

წესად იქცა უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართვები საწარმოთა კოლექტივებისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს სპეციალური დადგენილების მიღება შრომითი მეტოქეობის, ე. წ. სოციალისთური შე-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1988, 12 იანვარი.

ჯიბრების გაშლის თაობაზე. ისინი გამოდიოდა წლის დასაწყისში და წლის ბოლოს, სკკპ ყრილობების, "ოქტომბრის სოციალური რევოლუციის" გამარჯვების საიუბილეო და სხვა თარიღებთან დაკავშირებით. მშრომელთა საწარმოო აქტიურობის ამაღლების მიზნით 1974 წლის იანვარში დაწესდა "შრომითი დიდების ორდენი" და "შრომის ვეტერანის მედალი". ამ დადგენილების განხორციელებისათვის აჭარის პარტიული და სახელმწიფო სამსახური, საწარმოების ხელმძღვანელობა სათანადო ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ატარებდნენ.

შრომითი მეტოქეობისადმი ახალი მიდგომები აისახა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ჯერ კიდევ 1952 წლის 4 იანვარის დადგენილებაში "მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების შესახებ". წარმოების გეგმების შესრულებასთან ერთად ყურადღება გამახვილებული იყო პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მასალების, ნედლეულის, ენერგიის მოჭირნეობის, თვითღირებულების შემცირების, შინაგანი რეზერვების გამოძებნა–გამოყენებაზე.[1]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 31 აგვისტოს დადგენილებაში "სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" მთავარ ამოცანად დასახულია წარმოების ინტენსიფიკაცია და მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის დანერგვის დაჩქარება. ხაზგასმულია შრომითი მეტოქეობის ახალი ფორმების გავრცელებაზე (მრავალდაზგოსანთა მოძრაობა, მონათესავე დარგებისა და პროფესიების მიხედვით შეჯიბრება).[2]

ამ დადგენილების საფუძველზე საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ 1974 წლის იანვარში ნაწილობრივ შეცვალა შეჯიბრების პირობები და მოქმედი ნორმები. ერთ-

---

[1] Решения партии и правителства по хозяйственным вопросам, Сборник документов, 3, М., 1968, с.678-681.
[2] КПСС в резолюциях ... 10, М., 1986, с.145-151.

ერთ მოთხოვნად წამოაყენა საწარმოო დისციპლინის განმტკიცება და მუშაობის რიტმის მკაცრად დაცვა. შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას ითვალისწინებდნენ შრომითი კოლექტივის მიღწევებს ტექნიკური პროგრესის დანერგვაში. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდა გარდამავალი დროშა და ფულადი პრემიები.

პროფესიულმა კავშირმა კვლავ გადასინჯა შეჯიბრების ნორმები და წესები. იგი დაუკავშირდა წარმოების ინტენსიფიკაციას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.[1]

ამ მოთხოვნათა შესაბამისად გაიშალა შრომითი მეტოქეობა. XX საუკუნის 50–70–იან წლებში მის ორგანიზაციაში, გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში, მთლიანად წარმოების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საწარმოების დირექტორებმა, მთავარმა ინჟინერმა, საამქროებისა და საწარმოო უბნების უფროსებმა, საზოგადოებრივ–პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. გამოირჩეოდნენ ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათსაშენი, გემთსაშენი, ელექტრომექანიკური, ტრანსფორმატორების, საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი, საავეჯო–ბამბუქის, თამბაქოა საფერმენტაციო საწარმოების, №5 სამშენებლო ტრესტის, რაიონული საქრეწველო კომბინატების დირექტორები ზ. ფირიაშვილი, ი. ნოღაიდელი, გ. ცინცაძე, პ. ჯორბენაძე, ი. უნგიაძე, გ. ჭილაია, ცხადაძე, კოპლატაძე, მ. ხარაზი, მ. უსტიაშვილი, მ. მიქელაძე ს. დოლიძე და სხვები.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული ნავთობგადამამუშავებელ, მანქანათსაშენ, გემთსაშენ ქარხნებში, სამკერვალო ფაბრიკაში, სავაგონო და სალოკომოტივო დეპოებში და სხვა. სამაგალითო იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, სადაც 1953 წელს წარმოების მოწინავეთა რიგებში ირიცხებოდა 797 კაცი–მუშებისადა ინჟინერ–ტექნიკური მუშაკების დიდი ნაწილი. 14 ბრიგადამ

---

[1] Социалистическое соревнование в СССР, Документы и материалы, М., 1981, с.66-72, 90-93, 138-141.

მოიხვეჭა "საუკეთესო ბრიგადის" სახელი, ხოლო 27–შრომის მაღალი ნაყოფიერებისა", 31 მუშას კი "საუკეთესო პროფესიის" წოდება მიენიჭა.

მომდევნო წლებში შრომითი კოლექტივის მიღწევები საგრძნობლად გაიზარდა. 1955 წელს დასახელებულ საწარმოში 18 ბრიგადა "საუკეთესო ხარისხის ბრიგადის" წოდებას ატარებდა, ხოლო 189 მუშას მოპოვებული ჰქონდა საუკეთესო პროფესიის წოდება. 1964 წელს 766 მუშიდან 326 კაცს მიენიჭა საუკეთესო პროფესიის წოდება, 294 მუშა საპატიო სიგელით დააჯილდოვეს და მადლობა გამოუცხადეს. 72 კაცი შეიტანეს ქარხნის საპატიო წიგნში და მოწინავეთა დაფაზე.[1] ქარხნის კოლექტივი 50-იან წლებში შრომით მეტოქეობაში ჩაება მოსკოვის, კრასნოდარის, ბაქოს, ხერსონის, ოდესის ანალოგიური პროფილის საწარმოებითან და კიროვაკანის ქიმიურ კომბინატთან. იგი ამ შეჯიბრებაში სისტემატურად გამარჯვებული გამოდიოდა.

1970 წელს შრომით მეტოქეობაში მონაწილეობდა ქარხნის სამრეწველო–საწარმოო პერსონალის 93%. 1975 წლიდან–მთელი პერსონალი. შრომის დამკვრელის წოდება მიენიჭა 825 კაცს (77,8), 50 საამქროს, დანადგარს, განყოფილებას. 1980წ. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი მუშაობდა დევიზით: "მოწინავეთა დღევანდელი მიჯნა–ხვალ თითოეულის მიჯნა", "ვიმუშაოთ ჩამორჩენისა და წუნის გარეშე". ამ თაოსნობის ინიციატორები იყვნენ ოპერატორები თ. დოლიძე, ვ. კუსიანი, ე. ბუნოვა.[2]

ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში 1952 წელს შეჯიბრებაში მონაწილეობდა მთელი კოლექტივი. ერთმანეთს ეჯიბრებოდა 47 ბრიგადა. 224 მუშიდან 185 კაცი წარმოების მოწინავე იყო. წარჩინებული ხარისხის სახელი მოიპოვა 9 ბრიგადამ.[2] 1959 წელს ბათუმელი მანქანათმშე-

---

[1] აცსა, ფ.რ-98, ან.1*), ს.27, ფურც.44; ს.62, ფურც.37; ს.458, ფურც.9-11.

[2] აცსა, ფ.რ-133, ან.1, ს.2302, ფურც.185; ს.2602, ფურც.15, 167; ს.2801, ფურც.78.

ნებლები შრომით მეტოქეობაში ჩაებნენ აქაური გემთსაშენი თბილისისა და კიროვაკანის მანქანათსაშენი ქარხნების შრომით კოლექტივებთან. ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და გარდამავალი დროშა მოიპოვეს.[3] 1980 წელს შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქარხნის საერთო პერსონალის 96% (1250 კაცი), შრომის დამკვრელის წოდება მინიჭებული ჰქონდა 715 კაცს.[1]

აჭარის ინდუსტრიული კადრები არაერთი თაოსნობის ინიციატორები იყვნენ. ამავე დროს სწავლობდნენ და ნერგავდნენ სხვა შრომითი კოლექტივების წამოწყებებს. 50–იან წლებში ავტონომიური რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის საწარმოებში მასობრივად დაინერგა ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდი. 1955 წელს გემთსაშენ ქარხნებში ყოველი მეორე ხარატი ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდით მუშაობდა.

სამკერვალო ფაბრიკაში მკერავმა მიროშჩნიჩენკომ ერთ ცვლაში მასის დამზადებისათვის განკუთვნილი დრო 25–დან 10 წამამდე შეამცირა, ტატაუროვამ კოჭის შეცვლისათვის–30–დან 10 წამამდე, რიბაკოვა ბლუზის საყელოს შეკერვაზე დადგენილი 213 წამის ნაცვლად 77 წამს ხარჯავდა. შრომის ამ მოწინავე მეთოდის დანერგვამ ერთ ბრიგადას საშუალება მისცა გეგმის ზევით გამოეშვა 497 მანეთის პროდუქცია.[2]

50–60–იან წლებში აჭარის ინდუსტრიული კადრები ჩაბმული იყვნენ, აგრეთვე, საკავშირო შრომით მეტოქეობაში. 1954 წელს ისინი გამოეხმაურრენ მოსკოვის საწარმოთა შრომითი კოლექტივების თაოსნობას V ხუთწლიანი გეგმის (1951–1955) ვადაზე ადრე შესრულებისათვის შეჯიბრების გაშლის შესახებ. მათ ვალდებულება იკისრეს ხუთწლიანი გეგმის დავალებანი შეასრულონ თვენახევარით ადრე, 15 ნოემბრისათვის. თავდადებული

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.27, ს.47, ფურც.21; ფ.რ-980, ან.1, ს.87, ფურც.39; ს.298, ფურც.7; იხ. მანქანათსაშენი ქარხნის 1980 წლის ანგარიში.
[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.35, ს.3, ფურც.215; ფ.რ-98, ან.1, ს.1, ს.12, ფურც.74.

შრომით აღებული ვალდებულებანი ორი თვით ადრე გაანადღდეს. 1957 წელს კი გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 6,7 მლნ მანეთის სამრეწველო პროდუქცია[1] და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებანი თვენახევრით ადრე, 1.6 ნოემბერს, გაანადღდეს.

1959 წელს აჭარაში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება ფინანსური და მატერიალური საშუალებების ეფექტიანი გამოყენების, დანახარჯების შემცირების, სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდების თაობაზე. ეს მოძრაობა წამოიწყეს რუსეთის ფედერაციის ვლადიმირისა და სვერდლოვის ოლქების მუშებმა და ინჟინერ–ტექნიკურმა მუშაკებმა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ქუთაისის საავტომობილო ქარხნის შრომითი კოლექტივის მოწოდება შიდარეზერვების მობილიზაციით, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციით 1965 წელს დასახული მიჯნის ორო წლით ადრე შესრულებისა და შვიდწლედის ფონდის შექმნის შესახებ.

ამ თაოსნობათა ჩარჩოებში თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათსაშენი, გემთსაშენი, კოფეინის ქარხნების კოლექტივებს. მთლიანად სამრეწველო საწარმოებმა 1956–1965 წლებში აწარმოეს 44,4 მლნ მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.[2]

ქუთაისის საავტომობილო საწარმოს მუშაკების თაოსნობა აიტაცა ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის შრომითმა კოლექტივმა. 1963 წლის დასაწყისში მან მოწოდებით მიმართა საქართველოს მრეწველობის მუშაკებს ახალი ძალით გაეჩაღებინათ შეჯიბრება შვიდწლედის ფონდის შექმნისათვის. ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა 1959 წლიდან მოყოლებული დიდძალი ნედლეული და მასალები დაზოგეს, რითაც მნიშვნელოვანი თანხა შეიტანეს შვიდ-

---

[1] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.112, ფურც.22; ს.112, ფურც.40, 126.

[2] საბჭოთა აჭარა, 1959, 5 აგვისტო, აცსა, პპოგ, ფ.1, ან.40, ს.40, ფურც. 116.

წლედის ფონდში. მხოლოდ 1962 წელს მათ დაზოგეს 94 ტონა სათბობი, 115 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და შვიდწლედის ფონდში 10 ათასი მანეთის ნაცვლად 67 ათასი მანეთი შეიტანეს.

მოწინავე მუშების რიცხოვნობა განუწყვეტლივ იზრდებოდა. 1957 წელს სამრეწველო საწარმოებში ნოვატორთა რაოდენობა 3000–მდე გაიზარდა. მრავალი მათგანი "ორასოვანი" და "სამასოვანი" იყო. მაგალითად, მამქანათსაშენ ქარხანაში 1952 წელს 42 "ორასოვანი" და 32 "სამასოვანი". ფანერის ქარხანაში შესაბამისად 28 და სამი კაცი, სამკერვალო ფაბრიკაში 10 "ორასოვანი" მუშა აღირიცხა.[1]

მუხლჩაუხვრელად შრომობდნენ ძველი თაობის ნოვატორები. მანქანათსაშენი ქარხნის ხარატმა შალვა ვადაჭკორიამ V ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში შვიდიწლის გეგმა შეასრულა. საორთქლმავლო დეპოს ხარატმა ა. კოპალეიშვილმა 1951–1954 წლებში 12 წლის დავალება განააღდა, ხოლო გემთსაშენი ქარხნის მეყალიბე-ჩამომსხმელი ი. დვალიშვილი 1952 წლის იანვრიდან 1966 წლის გეგმის შესრულებაზე მუშაობდა. სავაგონო დეპოს ელექტროშემდუღებელმა მ. კილაძემ 1951 წელს ორი ნახევარი წლის გეგმა შეასრულა. გემთსაშენი ქარხნის მუშა ა. ოვანესიანი ყოველწლიურ საწარმოო გეგმებს 350–400%-ით ასრულებდა, ხოლო ხარატი ვ. გაბეჩავა–290–330%-ით.[2]

XX საუკუნის 50–60-იან წლებში მიწინავე მუშათა რიგები ახალგაზრდობით შეივსო. შრომით საქმიანობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კ. მოდებაძემ, ს. ჩანტლაძემ, ვ. თევზაძემ, ნ. თარგამაძემ, . ჯიქიძემ (ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა), მ. დუნდუამ, ვ. ჯაშმა, ვ. დოლიძემ, შ. გალოგრემ (მანქანათსაშენი ქარხანა), ა. დუმბა-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1958, 14 იანვარი; 1963, 15 იანვარი; აცსა, პპოგ. ფ.1, ან.27, ს.3, ფურც.14.

[2] საბჭოთა აჭარა, 1952, 1 აინვარი; 1953, 1 იანვარი, 1955, 16 თებერვალი; 1961, 17 ოქტომბერი. რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობი ცსა (მოსკოვი), ფ.5451, ან.25, ს.6299, ფურც.18.

ძემ, ვ. ცარენკომ, ვ. ტაბანოვმა, დ. პატარაიამ, ვ. ჯორბენაძემ (გემთსაშენი ქარხანა), ჯ. გოგიტიძემ (ტყავის საწარმო), ქორიძემ (კოფეინის ქარხანა) და სხვა.

გემთსაშენი ქარხნის მუშა პატარაია ყოველწლიურ გეგმებს 150–160%-ით ასრულებდა. მან VIII ხუთწლიანი გეგმა სამწელში შეასრულა. ამავე დასახელების ქარხანაში 45 მუშამ ცხრა თვეში განაღდა 1976–1980 წლების პირადი ხუთწლიანი გეგმა, ხოლო ხისდამამუშავებელ კომბინატში–ხუთმა ბრიგადამ. ამავე საწარმოოს 12 ბრიგადამ კი ოთხ წელიწადში შეასრულა X ხუთწლიანი გეგმა. ტრანსპორმატორების ქარხნის მუშამ ა. გოგეშვილმა მეათე ხუთწლედის დავალება 2 წელსა და 11 თვეში გაანაღდა, ხოლო ა. გრძელიძემ – 3 წელსა და 8 თვეში.

XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკოდებულების შესახებ. იგი ზემოდან, ცენტრიდან წამოვიდა. შემოვიდა ტერმინები "კომუნისტური შრომის დამკვრელი", "კომუნისტური შრიმის კოლექტივი". ეს მოძრაობა მოასწავებდა სამეურნეო ცხოვრების კიდევმეტად პოლიტიზებას, იდეოლოგიურ სამოსელში გახვევას. მაგრამ რიგით მუშებში შრომისადმი კომუნისტური დამოკოდებულება ნიშნავდა წესიერ და თავდადებულ შრომას, მატერიალურ ფასეულობათა გაზრდას, მიღებული დავალებების გადაჭარბებით შესრულებას.

სწორედ ასე ყალიბდებოდა აჭარაში შრომისადმი ახალი დამოკიდებულება. 1959–1965 წლებში ამ მოძრაობაში მონაწილეთა რიცხოვნობა 2083-დან 16603 კაცამდე გაიზარდა. მათი ხვედრითი წილი საერთო მოძრაობაში 1959 წელს 7,9%-დან 1965 წელს-44,5% მიაღწია.[1] ანალოგიური მდგომარეობა იყო მომდევნი წლებშიც. 1984 წელს "შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის" მოძრაობაში მონაწილეობდა 61671 კაცი, შეჯიბრების საერთო მონაწილეთა

---

[1] ო. თურმანიძე, აჭარის ასსრ სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ომის შემდგომ პერიოდში. ბათ., 1986, გვ.163.

44,6% შრომის დამკვრელის წოდება მინიჭებული ჰქონდა 26792 კაცს (43,4%).[1]

50-იან წლებში გამოჩნდა შრომითი თაოსნობის ახალი ფორმები. ერთი მათგანია ჩამორჩენილ ბრიგადაში სამუშაოდ გადასვლა და მისი გამოყენება მოწინავეთა დონემდე. ამ წამოწყების ინიციატორი იყო რუსეთის ფედერაციის კალინინის ოლქის ვიშნი ვოლოჩეკის სართავი კომბიტატის ბრიგადირი ვ. გაგანოვა. 1958 წელს იგი სამუშაოდ ჩამორჩენილ ბრიგადაში გადავიდა და მოკლე დროში მოწინავედ აქცია. აჭარაში ვ. გაგანოვას მიმდევრები იყვნენ სამკერვალო ფაბრიკის ბრიგადირები ა. შალიმოვა, ნ. სიხარულიძე, ვ. ვარშანიძე, თევზმჭერი სეინერის კაპიტანი ი. მურუსიძე, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი ს. ძნელაძე. ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა პ ბოლოსიანი და სხვები. 1961 წელს სამკერვალო ფაბრიკაში 60 მუშა ვალენტინ, გაგანოვას მიმდევარი იყო.[2]

1971 წელს თბილისისა და რუსთავის მუშების თაოსნობა "ხუთი დღის დავალება–ოთხ დღეში" ფართოდ გავრცელდა აჭარის სამრეწველო საწარმოებში, ამ წამოწყებას პირველად აუბეს მხარი მოწინავე მუშებმა ვ. დოლიძემ, შ. გალოგრემ, მ. ქარცივაძემ, მ. რუზიაკმა, პ. ვოლოშინმა, (მანქანათსაშენი ქარხანა), კ. მოდებაძემ, ი. პონომარიოვმა, გ. ჯიქიძემ, გ. შილოვმა (ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა) ბ. ჭყონიამ, თ. მახაჭაძემ (ტრანსფორმატორების საწარმო), ნ. სირაბიძემ, გ. ბენდელიანმა (სამკერვალო გაერთიანება). მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა შრომით მეტოქეობას წარმოების რეზერვების გამოყენებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების საქმეში, რაც აღორძინდა 60–70-იან წლებში. 1966 წელს და 1967 წლის პირველ ნახევარში აჭარის სამრეწველო საწარმოებში დაზოგეს 3 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 400 ტონა შავი

---

[1] პროფესიული კავშირის აჭარის საოლქო საბჭოს მონაცემები.

[2] საბჭოთა აჭარა, 1959, 19 ივლისი, 5 აგვისტო, 5 სექტემბერი; აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.255, ფურც.58; ს.256, ფურც.33.

და ფერადი ლითონი, 9736 ტონა ნავთობპროდუქტები, 20 ტონა თამბაქოს ნედლეული, 1000მ² ტყავნედლეული. 1966 წელს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ნავთობპროლუქტების დანაკარგები 2736 ტონით შეამცირეს. 1970 წელს აჭარის სამრეწველო საწარმოში დაზოგეს 1,5 მილიონი მანეთის მატერიალური ფასეულობანი. ამ დანაზოგით საწარმოებმა ორიგინალურ შავეს.[1]

მასალებისა და ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის ბრძოლა გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც. 1981–1985 წლებში აჭარის სამრეწველო საწარმოებში დაიზოგა 7334 ტონა ლითონი, 24060 მ² ხე–ტყის მასალა, 14132 ტონა ცემენტი, 29379 ტონა სათბობი, 35917 კვ/საათი ელექტროენერგია და სხვა. 1985 წელს 1980 წელთან შედარებით მასალატევადობა შემცირდა 1,1%-ით, რითაც მიღებული იყო 8 მილიონი მანეთის მატერიალური რესურსების ეკონომია.[2]

70-იანი წლების დასაწყისში ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში წარმოიშვა ახალი თაოსნობა–"თვის დავალება–ერთი დღით ადრე", მანქანათსაშენ ქარხანაში თითოეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე მოხერხდა პროდუქციის მაქსიმალური გადიდება ფონდუკუგებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად, გემთსაშენში–" ხუთწლედის დავალების შესრულებისათვის ბრძოლა–ბრიგადის უცვლელი შემადგენლობით". მართალია, ზოგიერთი წამოწყება ვერ განვითარდა. ასეთი ბედი ერგო, მაგალითად, გემთმშენებელთა თაოსნობას, მაგრამ სხვა წამოწყებები მნიშვნელოვანი მიღწევებით დამრთავდა. 1976 წელს ბათუმში გამოათავისუფლეს 6,6 ათასი კვმ საწარმოო ფართობი, რომელზეც დამატებით მიიღეს 5 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. მანქანათსაშენ

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1971, 9 იანვარი, 30 ივლისი, 6 ოქტომბერი; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.59, ს.116, ფურც.127, 167-168; ან.64, ს.167, ფურც.60.

[2] საბჭოთა აჭარა, 1985, 26 დეკემბერი; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ქარხანაში 1978 წელს წინა წელთან შედარებით, ერთ კვ. მეტრ საწარმოო ფართობზე სამრეწველო პროდუქციის წარმოება 17,5 მანეთით გაიზარდა.[1]

1975 წლის დასაწყისში საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა ვალდებულება აიღეს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს აწარმოონ 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია. ამ მოძრაობაში მასობრივად მონაწილეობდნენ აჭარის სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივი. მათ იკისრეს გეგმის გადამეტებით აწარმოონ 12 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია და ვალდებულება წარმატებით გაანაღდეს. ფაქტიურად გამოუშვეს 15 მილიონი მანეთის პროდუქცია.[2]

X ხუთწლედში (1976–1980) აჭარის სამრეწველო საწარმოებში დაინერგა თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის საწარმოების მოწინავე მუშათა თაოსნობა "შრომითი დისციპლინის განმტკიცებას–მუშური გარანტია," "არცერთი ჩამორჩენილი და უდისიპლინო ჩვენს გვერდით." მოძრაობა მიზნად ისახავდა საწარმოებში უმიზეზო გაცდენების აღმოფხვრას, დაზგა–მოწყობილობის ეფექტიანად გამოყენებას. საგულისხმოა, რომ IX ხუთწლედში აჭარაში გაცდა 266 ათასი კაცდღე, რის გამო სამრეწველო პროდუქციის დანაკარგებმა 29,3 მილიონო მანეთი შეადგინა. 1976–1978 წლებში მუშათა და დაზგა–მოწყობილობათა მოცდენით ქვეყანამ იზარალა 27 მილიონო მანეთი.

აჭარაში საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის მოძრაობას პირველი გამოეხმაურა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი თ. დოლიძე. მის მოწოდებას "ვიმუშავოთ პირადი პასუხისმგებლობით" მხარი აუბა მთელმა კოლექტივმა და მიღწევებიც სამაგალითო ჰქონდათ. ქარხანამ 1980 წელს გეგმის გადამეტებით აწარმოა 4,6 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. 1983 წლის იან-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.199, ფურც.17; ან.74, ს.13, ფურც.37; საბჭოთა აჭარა, 1973, 14 მარტი, 24 აგვისტო.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.7, ფურც.11; ს.34, ფურც.6.

ვარში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა მოწოდებით მიმართა აჭარის ყველა მშრომელს გაეჩაღებინათ ბრძოლა დისიპლინის დარღვევის ყოველნაირი გამოვლინების წინააღმდეგ.[1]

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან აჭარის ინდუსტრიული კადრები ფართოდ იყო წარმოდგენილი საკავშირო შრომით მეტოქეობაში, რომელიც მოეწყო "ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" 50 და 60, ვ. ი. ლენინის დაბადების 100, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად, სკკპ XXIII–XVII ყრილობების შესახვედრად. შრომითი მეტოქეობის პოლიტიზების, იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური და ადმინისტრაციული ზეწოლის მიუხედავად რიგითმა ადამიანებმა თავდადებით იშრომეს, გეგმები და ვალდებულებები წარმატებით გაანაღდეს. დაძლიეს სამრეწველო ზრდის ტემპის შენელება, რაც 1971-1972 წლებში შეინიშნებოდა.

60–იან წლების მეორე ნახევრიდან აჭარის ინდუსტრიული კადრები მონაწილეობდნენ წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის მოძრაობაში. 1967 წელს მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის სახელმწიფო ნიშნის შემოღებამ საგრძნობლად გაზარდა წარმოების მუშაკების პასუხისმგებლობა. საწარმოებში დიდი გამოძახილი გამოიწვია სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანაძის ახალმა თაოსნობამ "ყოველ სამუშაო ადგილზე მუშაობის ხარისხის ამაღლების შესახებ". მუშაობა გაიზარდა დევიზით "ხარისხის ხუთწლედს – მუშური გარანტია". ასევე წარმატებით გავრცელდა სარატოვის ოლქის მუშათა თაოსნობა უდეფექტო პროფუქციის წარმოებისა და პირველი მოთხოვნილებისთანავე ჩაბარების შესახებ.[2]

მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაში მნიშვნელოვანი ძვრები აღინიშნა. 1972–1980 წლებში ხარისხის

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.7, ფურც.13; ან.74, ს.13, ფურც.7; ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის 1980 წლის ანგარიში; საბჭოთა აჭარა, 1983, 19 იანვარი.
[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.199, ფურც.19.

სახელმწიფო ნიშნის მქონე სამრეწველო ნაწარმის ნომენკლატურა 12-დან 120 ერთეულამდე გაიზარდა. 1975 წელს აჭარის სამრეწველო პროდუქციის–9,5% ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. 1980 წელს ამ მახასიათებელმა 22,7%, ხოლო 1985 წელს 19,9% შეადგინა. ამ მაჩვენებლებით აჭარა საგრძნობლად აღემატებოდა საკავშირო და საქართველოს საშუალო მაჩვენებელს.[1]

წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის გაშლილ მოძრაობაში დაწინაურდნენ ხის დამამუშავებელი კომბინატი, ნავთობგადამამუშავებელი, ელექტრომექანიკური და ტრანსფორმატორების ქარხნები. 1978 წელს ამ ოთხ საწარმოზე მოდიოდა აჭარაში ხარისხის ნიშნით გამოშვებული პროდუქციის მესამედი.[2]

მაღალი შრომითი მიღწევებისათვის აჭარის ასსრ 1967 წელს დაჯილდოვდა "ლენინის ორდენით", 1971 წელს – "ოქტომბრის რევოლუციის ორდენით", 1972 წელს – "ხალხთა მეგობრობის ორდენით" ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს მრეწველობის მუშაკებმა. მათ 1966–1970 წლებში გეგმის გადამეტებით აწარმოეს 40 მილიონი მანეთის, 1971–1975–წლებში 51,5, 1976–1980 წლებში–55,3, ხოლო 1981–1985 წლებში–113 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.[3]

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში შრომითი მეტოქეობა შენელდა. კრახი განიცადა შეჯიბრების ახალმა ისეთმა ფორმებმა, როგორიც იყო "დაჩქარება", "გარდაქმნა". სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი დაქვეითდა. 1991 წლის დასაწყისში სსრ კავშირის ერთიანი ეკონომიკური კომპლექსის დაშლის შედეგად წარმოიქმნა დამოუკიდებელი ეროვნული მეურნეობები. მაგრამ სამ-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1973, 27 დეკემბერი; 1980, 20 დეკემბერი; 1985, 24 დეკემბერი;აცსა, პპოგ, ფ.1, ან.75, ს.127, ფურც.6.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.74, ს.13, ფურც.13.

[3] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.64, ს.167[ა], ფურც.11; ან.73, ს.7, ფურც.10; ან.75, ს.127, ფურც.6; საბჭოთა აჭარა, 1971, 4 თებერვალი; 1986, 24 იანვარი.

რეწველო საწარმოები სსრ კავშირის ეკონომიკურ სივრცეში იმდენად იყვნენ კოოპერირებული, რომ მათი ნორმანული ფუნქციონირება ავტონომურ რეჟიმში შეუძლებელი გახდა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ 1951–1990 წლებში ინდუსტრიის მშენებლობაში დაგროვდა მნიშვნელოვანი გამოცდილება. შეიქმნა საკმაოდ მძლავრი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, ჩამოყალიბდა კვალიფიციური პერსონალი–მუშათა და ინჟინერ–ტექნიკოსთა კადრები. 1950–1986 წლებში მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები 15,6-ჯერ გაიზარდა. აქედან 1951–1960 წლებში–3-ჯერ, 1961–1970 წლებში–1,9–ჯერ, 1971–1986 წლებში–2,7-ჯერ.

მრეწველობის მატერიალური–ტექნიკური ბაზის გაფართოებითა და განმტკიცებით, საწარმოო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებით მნიშვნელოვნად დაჩქარდა სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები. (იხ. ცხრილი 2.).[1]

ცხრილი 2

ზრდის ტემპები	1960წ.	1970წ.	1980წ.	1985წ.	1987წ.
სამრეწველო პროდუქცია (1950წ.–1)	2,2	3,6	5,7	6,7	7,0
შრომის ნაყოფიერება (1960წ.–100%)	–	152	234	273	280

[1] ცხრილი შედგენილია აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებულების მონაცემების საფუძველზე; აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.913, ფურც.1.

მრეწველობა 1951–1987 წლებში აღმავალი ტემპით ვითარდებოდა. ამ პერიოდში სამრეწველო პოდუქცია 7-ჯერ, ხოლო შრომის ნაყოფიერების 2,8-ჯერ გაიზარდა. მრეწველობის ზრდის ტემპები ყველაზე მაღალი იყო 1951–1960 და 1971–1980 წლებში. შრომისნაყოფიერებისა კი – 70-იან წლებში. ნიშანდობლივია, რომ 1951–1960 წლებში ამ მახასიათებელმა 30%, მომდევნო ათწლეულში 29%, ხოლო 1971–1980 წლებში 38,5% შეადგინა. შრომის ნაყოფიერებია ამაღლების ხარჯზე 1971–1975 წლებში მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების 88,9%, 1976–1980 წლებში–86,5%, 1981–1985 წლებში–83,8%.

მართალია, მიღწევები მეტად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ აჭარის რეგიონს მრეწველობის განვითარების ტემპებით მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის ბოლო ადგილი ეკავა. 1950–1986 წლებში სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქცია 28-ჯერ, ხოლო შრომის ნაყოფიერება 9,4-ჯერ გაიზარდა, საქართველოში, კი საშუალოდ –23-ჯერ და 6,5-ჯერ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა სამრეწველო განვითარების ტემპებით 2,4-ჯერ უსწრებდა აჭარას.[1]

მრეწველობის განვითარების შედარებით დაბალი ტემპი აჭარაში განპირობებული იყო ცუდი დაგეგმვით, სოციალურ–ეკონომიკური პროცესების სუსტი ანალიზით, დემოგრაფიული და გეოგრაფიული პირობების არასაკმაო გათვალისწინებით.

მრეწველობა აჭარაში, როგორც მთლიანად საქართველოში მრავალდარგოვანია. მათი ნაწილი საბჭოთა ხელისუფლებამდე შეიქმნა. სწორედ ამიტომ ქალაქ ბათუმს ამიერკავკასიაში სამრეწველო განვითარებით მესამე ადგილი ეკავა. საბჭოთა ხელისუფლების დროს იქმნება მრეწვე-

---

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 40 წელი, ბათ., 1961, გვ.28; Народное хозяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.49; Народное хозяйство СССР за 70 лет, М., 1987, с.132, 142; Нрародное хозяйство Грузинской ССР, Тб., 1987, с.5, 81.

ლობის ახალი დარგები, ძირითადად ვითარდება მსხვილი მრეწველობა. XX საუკუნის 50–80-იან წლებში მრეწველობამ მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განიცადა: შეიქმნა ახალი დარგები (ელექტროტექნიკური, საშენი მასალების წარმოების, ნავთობქიმიური და სხვა), იცვლება თანაფარდობა სამრეწველო დარგებს შორის. XX საუკუნის მეორე ნახევარში მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა სამრეწველო პროდუქციის მიხედვით მოცემულია მე-3 ცხრილში (პროცენტობით).[1]

ცხრილი 3.

მრეწველობის დარგები	1961წ.	1970წ.	1980წ.	1985წ.
მთელი მრეწველობა.....	100	100	100	100
მათ შორის:				
ელექტროენერგეტიკა	0,6	0,5	0,3	0,3
სათბობი მრეწველობა	27,1	29,8	23,4	25,4
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	8,5	10,9	11,0	12,0
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	3,7	3,5	3,2	3,1
ხე–ტყის დამამუშავებელი მრეწველობა	3,6	3,7	3,9	3,7
საშენი მასალების მრეწველობა	2,2	2,2	1,9	2,3
მსუბუქი მრეწველობა	10,9	8,5	8,8	8,6
კვების მრეწველობა	42,2	38,9	46,8	43,2

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, ბათ., 1977, გვ.61; Народное хозяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.61.

XX საუკუნის 60–80-იან წლებში ელექტროენერგეტიკის ხვედრითი წილი თითქმის ორჯერ შემცირდა. შესამჩნევად შემცირდა სათბობი, ქიმიური და ნავთობქიმიური, მსუბუქი მრეწველობის ხვედრითი წილი, სტაბილური ზრდის ტენდერცია ახასიათებდა მანქანათმშენებლობასა და ლითონგადამუშავებას, კვების მრეწველობას. სამრეწველო პოდუქციის დარგობრივ სტრუქტურაში თავის ადგილს ინარჩუნებდა ხე–ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობა, საშენი მასალების წარმოება. აჭარაში სამრეწველო პროდუქციის დარგობრივ სტრუქტურაში პირველი ადგილი უცვლელად ეკავა კვების მრეწველობას, მეორე –ნავთობგადამამუშავებელ, მესამე–მანქანათმშენებლობასა და ლითონ დამუშავებას, მეოთხე–მსუბუქ მრეწვწლობას.

საქართველოს ეკონომიკაში სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა სათბობ მრეწველობას. აჭარაში ეს დარგი წარმოდგენილი იყო ორი საწარმოთი–ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნითა და ნავთობპროდუქტების გასაღების მთავარი ბაზით. ეს უკანასკნელი ნავთობპროდუქტების შენახვასა და რეალიზაციას ემსახურებოდა. ამისათვის მას ჰქონდა საკმაო - რეზერვუარ–ცისტერნები და ავტომატიზებული მოწყობილობანი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა საქართველოში ერთადერთი იყო, რომელიც მრავალი სახეობის ნავთობპროდუქტებს ამზადებდა. 1955 წელს, მაგალითად, აწარმოა 19, ხოლო 1965 წელს–21, 1971 წელს–28 სახეობის პროდუქცია. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროდუქციის ასორტიმენტში ძირითადი იყო ავტობენზინი, ნავთი, დიზელის სათბობი, ფლოტის მაზუთი, ტრანსფორმატორის ზეთი, საწვავი მაზუთი, ნავთობბითუმი, თხევადი გაზი და სხვა.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროდუქციის რეალიზაციიდან ქვეყანა სოლიდურ შემოსავალს იღებდა. ამიტომ იყო, რომ ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნავთობგადამამუშავებელი

ქარხნის განვითარებას, მისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და გაფართოებას.

მართალია, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ძირითადი ნედლეული აზერბაიჯანის ნავთობი იყო, რომელსაც ბაქო–ბათუმის მილსადენით იღებდა, მაგრამ XXს. 70-იან წლებში იგი შეცვალა ქართულმა ნავთობმა. მისი მოპოვება 80-იან წლებში მინიმუმამდე შემცირდა. სხვა რეგიონებიდან მიღებული ნავთობი კი მაღალ გოგირდოვანი იყო და არსებულ დანადგარებს უჭირდათ მისი გადამუშავება. ზოგჯერ შეფერხებებიც არსებობდა ნავთობის მიწოდებაში. ამის მიუხედავად, საწარმოს სიმძლავრის გაზრდის შედეგად, ნედლეულის მიწოდებაც მნიშვნელოვნად გადიდდა. თუ 1950 წელს ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ 1,6 მილიონი ტონა ნავთობი მიიღო და გადაამუშავა, 1965 წელს ეს მახასიათებელი 3,2 მილიონ, 1970 წელს–3,5 მილიონ, ხოლო 1980 წელს–4,8 მილიონ ტონამდე გაიზარდა.[1]

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ნედლეულის მიწოდებაში ახალი სიძნელეები წარმოიქმნა. ამის შედეგად თანდათანობით იკლო ნავთობის მიწოდებამაც. 1985 წელს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ გადაამუშავა 4,6 ტონა ნადლეული, 1986 წელს–4,5 მილიონი, 1989 წელს–2,3 მილიონი ტონა.[2] ამრიგად, ქარხნისათვის ნედლეულის მიწოდება ორჯერ შემცირდა.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა მაღალ ხარისხოვან პროდუქციას ამზადებდა და მომხმარებელიც მრავალრიცხოვანი ჰყავდა. მისი პროდუქცია მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაში იგზავნებოდა. ზემოხსენებულმა ქარხანამ 1950 წელს აწარმოა 1246 ათასი ტონა ნავთობპროდუქტები. ეს მახასიათებელი 1960 წელს გაიზარდა 2247 ათას, 1970 წელს–3178 ათას, ხოლო 1985 წელს–4176 ათას ტონამდე. ამრიგად, 1951–1985 წლებში ქარხნის მიერ გამოშვებული

---

[1] აცსა, ფ.რ-133, სს.135, 2015, 2302, 2848.

[2] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

პროდუქცია 3,4–ჯერ გადიდდა, მაგრამ მომდევნო წლებში, ცნობილი მიზეზების გამო შესამჩნევად შემცირდა. მაგალითად, 1986 წელს ქარხანამ აწარმოა 4 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტები, ხოლო 1989 წელს იგი 2 მილიონ ტონამდე შემცირდა.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ფულადი შემოსავლებითა და ერთი მომუშავის გამომუშავების მიხედვით წამყვანი ადგილი ეკავა ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოებს შორის. 1950 წელს ქარხნის საერთო პროდუქცია შეადგენდა 22 მილიონ მანეთს. 1960 წელს 42,9 მილიონ, 1970 წელს–89,5 მილიონ, 1980 წელს–122 მილიონ, ხოლო 1986 წელს–168,2 მილიონ მანეთამდე, ი.ე. 7,6-ჯერ გაიზარდა. ერთი მომუშავის გამომუშავება 1950 წელს 37 ათასი მანეთიდან 1960 წელს 53,4 ათას, 1970 წელს–84,4 ათას, ხოლო 1980 წელს–116 ათას მანეთამდე (3,1-ჯერ) გაიზარდა.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ფულადი შემოსავლების გადიდება განპირობებული იყო საწარმოო სიმძლავრების გაზრდის, ტექნიკისა და ტექნოლიგიური პროცესების გაუმჯობესებით. საწარმოო პერსონალის რიცხოვნობას დიდი ცვლილებები არ განუცდია. მაგალითად, 1950 წელს სამრეწველო საწარმოო პერსონალი 878 კაცს ითვლიდა (მუშები–689, ინჟინერ–ტექნიკური პერსონალი–111), 1960 წელს–1013, 1970 წელს–1065 (მუშები–797, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი–132), 1980 წელს–1059 (მუშები–807, ინჟინერ–ტექნიკური მუშაკები–141).[1] ზემოხსენებულ საწარმოში საკმაოდ იყო განვითარებული ინფრასტრუქტურა. ქარხანას ჰქონდა კარგად მოწყობილი კულტურის სასახლე, ბავშთა ბაღი, სპორტული მოედნები და სხვა მომსახურე დაწესებულებები.

XX საუკუნის 50–80-იან წლებში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მოხდა მანქა-

---

[1] აცსა, ფ.რ-133, სს.135, 1139, 1204, 1747; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ნათმშენებლობისა და ლითონდამუშავებით მრეწველობაში. ეს დარგი ხომ გადამწყვეტ როლს ასრულებს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში. ამიტომ, როგორც ცენტრალური, ისე აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება დარგისადმი არ შენელებულა. 50-იანი წლების დასაწყისში აჭარაში მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებითი მრეწველობის 5 ქარხანა არსებობდა: მანქანათმშენებელი, გემთშემკეთებელი—გემთმშენებელი, მექანიკური, საჩამომსხმელო-მექანიკური და ლითონნაკეთობათა. 50—იანი წლების ბოლოს მათ შეემატა სამი ახალი ქარხანა: ელექტრომექანიკური, ტრანსფორმატორებისა და საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის. საჩამომსხმელო—მექანიკური და მექანიკური ქარხნების ერთ საწარმოოდ გაერთიანების შედეგად მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებითი მრეწველობის 7 ქარხანა ითვლებოდა. ხუთი მათგანი საკავშირო დაქვემდებარებაში შედიოდა, ხოლო ორი (მექანიკური და ლითონნაკეთობათა ქარხნები) ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარებოდა.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა, რომელიც ექსპლოატაციაში 1936 წელს შევიდა, კვების მრეწველობის მანქანებსა და მათ სათადარიგო ნაწილებს ამზადებდა. საწარმოში ძირითადად მზადდებოდა ჩაის, ღვინის, თამბაქოს, თევზის, საკონსერვო, რძისა და პურ—ფუნთუშეულის მრეწველობის და სხვა დარგების მანქანები მოწყობილობანი. მართალია, 1941—1945 წლებში ქარხნის დაზგამოწყობილობანი მწყობრიდან გამოვიდა, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ მათი აღდგენა—განახლება დაიწყო. 1951-1960 წლებში საწარმოო პერსონალი 338-დან 573 (1,7-ჯერ) გაიზარდა, საერთო პროდუქცია 2,8-ჯერ (841 ათასიდან 2,4 მილიონ მანეთამდე), შრომის ნაყოფიერება—1,6-ჯერ და მეტად.[1]

---

[1] გამოთვლილია: აცსა, ფ.რ-980, ან.1, სს.87, 262, 315.

ბათუმის მანქანათსაშენ ქარხნის კოლექტივი სისტემატურად ზრუნავდა პროდუქციის განახლების, ახალი სახეობის ნაწარმის ათვისებისა და სერიული წარმოებისათვის. 1951 წელს ქარხანამ გამოუშვა 20 დასახელების პროდუქცია, 1959 წლისათვის მათი რაოდენობა 30-მდე გაიზარდა. ამ ბოლო წელს ქარხანამ 14 სახეობის პროდუქცია მოდერნიზებული გამოუშვა, რამდენიმე ახალი სახეობის მანქანა–მოწყობილობანი და მათი სათადარიგო ნაწილები დაამზადა. ქარხნის პროდუქციას მომხმარებელი ჰყავდა არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მანქანათსაშენ ქარხნის კოლექტივს თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა XX საუკუნის 60–80-იან წლებში. 1961–1970 წლებში საერთო პროდუქცია 2,8-ჯერ, შრომის ნაყოფიერება 1958 წლის მაჩვენებელს 1,2-ჯერ აღემატებოდა. მომდევნო ათწლეულში (1971–1980) საერთო პროდუქცია 1,8-ჯერ და მეტად, შრომის ნაყოფიერება–1,7-ჯერ გადიდდა.[1]

მანქანათსაშენ ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. 1960 წელს ქარხანა 60, ხოლო 1970 წელს–70 დასახელების პროდუქციას ამზადებდა, ამ უკანასკნელ წელს მომხმარებელს მიეწოდა 9500 მანქანა–მოწყოფილობანი, რაც 1956 წლის მახასიათებელს 7850 ერთეულით აღემატებოდა. 1981 წელს 8 სახეობის ახალი პროდუქცია აითვისეს და საერთო ასორტიმენტი 80-მდე გაიზარდა.

მართალია, მანქანათსაშენი ქარხნის პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი საქართველო იყო. მაგრამ ამავე დროს მისი ნაწარმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნებოდა. მაგალითად, 1970 წელს მანქანათსაშენი ქარხნის ნაწარმი აზიის, აფრიკისა და ევროპის 22 ქვეყანაში გაიმგზავნა. მათ შორის ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, შვეიცა-

---

[1] აცსა, ფ.რ-980, ან.1, სს.87, 189, 262, 298, 315, 1328.

რია და სხვა. მაგრამ საექსპორტო პროდუქცია უმნიშვნელო იყო. 1970 წელს იგი შეადგენდა 500,7 ათას მანეთს, საერთო პროდუქციის 0,8%-ს. ამდენივე იყო 1972 წელსაც. 1973 წლისათვის კი 1,0%-მდე გაიზარდა.[1]

XX საუკუნის 60–70-იან წლებში საყურადღებო ცვლილებები განიცადა მანქანათსაშენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობამ. 1970 წელს ქარხნის საერთო პერსონალი 1232 კაცს ითვლიდა, სამრეწველო საწარმოო პერსონალი–1165, მუშები–830, ინჟინერ–ტექნიკური მუშაკები–215 კაცს. 1980 წლის ბოლოს საერთო პერსონალი 1303 ერთეულამდე გაიზარდა, სამრეწველო საწარმოო მომუშავენი–1226, ინჟინრები და ტექნიკოსები 249-მდე. ქარხანაში 60 სპეციალობის მუშები და 230 სპეციალობის ინჟინრები, ტექნიკოსები და სხვა დარგის მომუშავენი ირიცხებოდნენ.[2] ერთი სიტყვით მანქანათსაშენ ქარხანას მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ჰყავდა, რომელთა უმრავლესობა საწარმოში დაოსტატდა.

მართალია, მანქანათსაშენი ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის XX საუკუნის 50–70-იან წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა, მაგრამ მისი ტექნიკური აღჭურვა დროის მოთხოვნებს ჩამორჩებოდა. 80-იანი წლების დასაწყისში ქარხანაში ჭარბობდა მოძველებული დაზგა–მოწყობილობანი. მაგალითად, 1981 წლის მონაცემებით 20 წლამდე მოწყობილობანი შეადგენდა საერთო ტექნიკური დონის 23%, უფრო მეტი ხნის–10%, 15 წლამდე–15%, 10 წლამდე–23%, ხუთ წლამდე–29%.[3]

როგორც ვხედავთ, დაზგა–მოწყობილობათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოძველებული იყო. მიუხედავად ამისა, მანქანათსაშენი ქარხანა გადაჭარბებით ასრულებდა სახელმწოფო დავალებებს. მაგალითად, 1986 წელს–17 მი-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.64, ს.167, ფურც.96; ფ.რ-980, ან.1, ს.702, ფურც.120, 124, 128, 175.

[2] აცსა, ფ.რ-980, ან.1, ს.702, ფურც.121,266; ს.1328, ფურც.103.

[3] იქვე, ს.1328, ფურც.164.

ლიონ 980 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვა, რაც 1950 წლის მახასიათებელს 21,4-ჯერ, 1960 წლისას–7,9-ჯერ და მეტად, 1970 წლისაც–2,7-ჯერ, 1980 წლისას–1,5-ჯერ აღემატებოდა. 80–იან წლებში, ცნობილი მიზეზების გამო, მანქანათსაშენი ქარხნის წარმოებამ შემცირება დაიწყო.

მანქანათმშენებლობის მნიშვნელოვანი საწარმოა ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა, რომელიც საწარმოო სიმძლავრების, საერთო პერსონალის რიცხოვნობის, წარმოებული პროდუქციის მიხედვით საშუალო სიდიდის საწარმოდ ითვლებოდა. ქარხანას საფუძველი 1922 წელს ჩაეყარა, როდესაც ბათუმის ნავსადგურთან გემთშემკეთებელი სახელოსნოები შეიქმნა. ამ სახელოსნოების ბაზაზე 1943 წელს გემთშემკეთებელი ქარხანა დაარსდა. 1957 წელს საწარმოოს ეწოდა გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი, ხოლო 1958 წლიდან ცნობილია გემთმშენებელი ქარხნის სახელით.

ომამდე და ომის წლებში ქარხანა გემების რემონტზე მუშაობდა. იგი უშვებდა ფართო მოხმარების საქონელსაც. ომისშემდგომ აღდგენით წლებში პატარა გემების წარმოება დაიწყო და მათ სათადარიგო ნაწილებსაც ამზადებდა, მაგრამ გემების სარემონტო სამუშაო უფრო ჭარბობდა. ჩვენი განგარიშებით, 1950 წელს ქარხნის საერთო პროდუქციის ასორტომენტში გემთმშენებლობაზე მოდიოდა 16%. უკვე 1954 წელს ეს მაჩვენებელი საწარმოო პროგრამის 42,5%-ს შეადგენდა.[1] 50-იანი წლების მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა გემთსაშენი ქარხნის საწარმოო პროგრამა. მას უნდა ეწარმოებია პატარა გემები. 1953 წელს დაიწყო "უემჩუჟინას", ხოლო 1956 წლიდან – "მაგნოლიას" ტიპის კატარღების მშენებლობა. 1955 წელს ქარხანამ 7 ცალი სამგზავრო კატარღა, 85 სეინერი და სამუშაო ნავი გა-

[1] ო. თურმანიძე, აჭარის ასსრ ომისშემდგომ პერიოდში (1946-1965 წწ.), სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1988, გვ.56.

მოუშვა.[1] ამრიგად, 1956 წლიდან ქარხნის ძირითადი პროფილი გემთმშენებლობა გახდა.

1951–1960 წლებში გემთსაშენი ქარხნის საწარმოო პერსონალი 291-დან 535-მდე გაიზარდა. მათ შორის მუშები 207-დან 397-მდე, ინჟინერ–ტექნიკური მუშაკები 83–დან 84 კაცამდე. ამავე წლებში ქარხნის მიერ გამოშვებული საერთო პროდუქცია ფულადი გამოხატულებით 789,3 ათასი მანეთიდან 2,1 მილიონ მანეთამდე (2,7-ჯერ) გაიზარდა. ეს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო სამრეწველო საწარმოო პერსონალის რიცხოვნობის გადიდებით. მართალია, 1951–1960 წლებში შრომის ნაყოფიერებაც შესამჩნევად გადიდდა, მაგრამ ეს არ იყო განმსაზღვრელი. აღსანიშნავია, რომ 1950 წელს ერთი მომუშავის წლიური გამომუშავება 3813 მანეთს უდრიდა, ხოლო 1960 წელს 3970 მანეთს შეადგენდა.[2]

გემსაშენი ქარხნის შრომითი კოლექტივი განუწყვეტლივ სიახლის ძიებაში იყო. ინჟინრების, კონსრუქტორების, მუშების შემოქმედებითი და თავდადებული შრომის შედეგად შეიქმნა ახალი თაობის გემები, მაგალითად, 1959 წელს ქარხანაში აითვისეს წყალქვეშაფრთიანი კატარღის "ვოლგა" და სამგზავრო კატერის "არკადია" წარმოება, რომელთა სერიული გამოშვება 1960 წელს დაიწყეს. წყალქვეშაფრთიანი კატარღა "ვოლგა" ქარხნის ძირითად პროდუქციად იქცა, რადგან, მაღალი ხარისხისა და კომფორტულობის გამო, დიდი მოწონებით სარგებლობდა.

შრომითი კოლექტივის შემოქმედებითი ძიება მომდევნო წლებშიც კიდევ მეტად გაიზარდა. 1962 წელს აითვისეს საბუქსირო ძრავიანი ნავის წარმოება. 1967-1968 წლებში–მაშველი ნავების რამდენიმე სახეობა. 1969–1970 წლებში დაიწყეს 6 და 12–კაციანი მაშველი ნავის, ხოლო 1971 წელს–"ვოლგა-70"–ის წარმოება. 1966 წელს ქარხანაში დამზადდა 98 ერთეული წყალქვეშაფრთიანი კატარღა და

---

[1] აცსა, ფ.რ-445, ან.1, ს.404, ფურც.5.
[2] იქვე, სს.266, 268, 404, 448, 473, 488, 510.

154 საბუქსირო ნავი. პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთის 46 ქვეყანაში გაიგზავნა.[1]

XX საუკუნის 70-იან წლებში ბათუმის გემთსაშენი ქარხანა 6 სახეობის გემებს აგებდა. 1973 წელს აითვისეს ახალი სახეობის წყალქვეშაფრთიანი კატარღის "ვოლგა–73" წარმოება, რომელიც ადრინდელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებული იყო. შესამჩნევად გაუმჯობესდა კატერ "ლიმუზინის", ფლოტის მაშველი ნავების წარმოება. ამიტომ ინტერესი ბათუმური კატარღებისადმი ყოველწლიურად იზრდებოდა. 1971–1973 წლებში ბათუმური წარმოების გემები შეიძინეს აშშ, იტალიამ, ნიდერლანდებმა, გერმანიამ, ფინეთმა, საფრანგეთმა, პოლონეთმა, შვეიცარიამ, შვედეთმა, აფრიკისა და აზიის ქვეყნებმა.[2]

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის გემთსაშენ ქარხანას სიძნელეები ჰქონდა მატერიალურ–ტექნიკურ მომარაგებაში, მისი კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებდა პროდუქციის წარმოებას, შრომის ნაყოფიერების დავალებებს. უკვე 70-იან წლებში ბათუმის გემთსაშენი ქარხნის მიერ რეალიზებული პროდუქცია აჭარბებდა 4 მილიონ მანეთს. 1976 წელს მუშა–მოსამსახურეთა საერთო კონტინგენტი 722 კაცს უდრიდა, მათ შორის სამრეწველო–საწარმოო პერსონალი–690, ინჟინერ–ტექნიკური მუშაკები–125-ს.[3] 70–იანი წლების მეორე ნახევრიდან ქარხანა სამხედრო პროგრამაზე გადაიყვანეს.

მნიშვნელოვანი წინსვალა აღინიშნა ელექტროტექნიკურ მრეწველობაში. საკავშირო მნიშვნელობის სამი ქარხნის (საყოფაცხოვრებო. მანქანათსაშენი, ელექტრომექანაკური და ტრანსპორმატორების,) ბათუმში დაფუძნება, განაპირობა მრავალმა ფაქტორმა, მათ შორის ძირითადი იყო სსრ კავშირის ერთიანი ეკონომიკური სივრცის გაფართოება-გაძლიერება და ამ რეგიონის ჭარბი მოსახლეობის და-

---

[1] იქვე, ფ.რ-4, ან.1, ს.62, ფურც.12; ს.83, ფურც.1-2.
[2] აცსა, ფ.რ-445, ან.1, ს.734, ფურც.1-3.
[3] იქვე, ს.839, ფურც.3-4.

საქმება. 1960–1980 წლებში ტრანსფორმატორების ქარხანაში საერთო პერსონალი გაიზარდა 246-დან 982-მდე, ელექტრომექანაკურ ქარხანაში–322-დან 817-მდე საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში 171-დან 930 კაცამდე.[1]

ტრანსფორმატორების ქარხანა ამზადებდა ძალოვან, ლაბორატორიულ და მცირე სიმძლავრის 18 დასახელების ავტომატიზებულ ტრანსფორმატორებს, ელექტრონათურებს და სხვა. პირველად პროდუქცია მომხმარებელს 1959 წელს მიაწოდეს, ხოლო 1965 წელს 118 ათასი, 1980 წელს -352 ათასი და 1986 წელს –500 ათასი ცალი ტრანსფორმატორი დაამზადა. როგორც ვხედავთ, ორი ათეული წლის განმავლობაში აღნიშნული პროდუქციის გამოშვება 4,2-ჯერ და მეტად გაიზარდა. მთლიანი სამრეწველო პროდუქცია 1960–1986 წლებში 25,8-ჯერ გადიდდა.[2]

ტრანსფორმატორების ქარხნის პროდუქცია მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. მაგალითად, 1984 წელს პროდუქციის საერთო მოცულობაში სახელმწიფო ხარისხნიშნიანი პროდუქცია 88% შეადგენდა. იგი დიდი მოწონებით სარგებლობდა როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე საზღვარგარეთ. თუ 1967 წელს ბათუმური წარმოების ტრანსფორმატორები მსოფლიოს 24 ქვეყანაში გადიოდა, 1984 წელს 40-მდე სახელმწიფოში იგზავნებოდა. 80-იან წლებში შეიქმნა ახალი მოდერნიზებული ტრანსფორმატორები, რომელთა მუშაობის ხანგრძლივობა 3-დან 12 წლამდე გაიზარდა.[3]

ბათუმის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ პირველი პროდუქცია 1958 წლის ნოემბერში გამოუშვა. იგი ამზადებდა ელექტროამწეებსა და ელექტროურიკებს. მან სსრ კავ-

---

[1] მონაცემები მოყვანილია საწარმოების წლიური ანგარიშებიდან.

[2] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.39; Нар.ное хозяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.74; აჭარის სტატისტიკის დეპარ.ტამენტის მონაცემები.

[3] იხ. ტრანსფორმატორების ქარხნის შესაბამისი წლების ანგარიშები. საბჭოთა აჭარა, 1968, 11აპრილი.

შირში პირველად აითვისა 3,2 და 5 ტონა ტვირთამწეობის ელექტროურიკები და დაიწყო მათი სერიული წარმოება. 1980 წელს ქარხანა ამზადებდა 7 ტონამდე ტვირთამწეობის 8 სახეობის ელექტროურიკას, რომლებიც სტანდარტების დონეზე იყო დამზადებული. თუ 1960 წელს ქარხანამ 1086 ცალი ელექტროურიკა დაამზადა, 1975 წელს ამ მაჩვენელელმა 3402, ხოლო 1985 წელს 4200 ცალი შეადგინა. ამრიგად, წარმოება თითქმის 3,9-ჯერ გადიდდა. 1959–1986 წლებში ამ ქარხნის წარმოების მოცულობა 18,5-ჯერ გაიზარდა.[1]

საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენმა ქარხანამ პირველი სამრეწველო პროდუქცია 1959 წელს მოგვცა. პირველ წლებში იგი აწარმოებდა სარეცხ მანქანებს ("ბათუმი–59" და "თოლია") და სამრეწველო მტვერსასრუტებს. ქარხანამ 1965 წელს 61571, ხოლო 1970 წელს 133620 ცალი სარეცხი მანქანა აწარმოა. მტვერსასრუტების წარმოება 1970–1986 წლებში 3430-დან 15 ათას ცალამდე გაიზარდა. დაბალი ხარისხის გამო სარეცხი მანქანები ძნელად საღდებოდა. 1962–1975 წლებში საწარმომ მრავალი რეკლამაცია მიიღო, გადაისინჯა საქონლის ასორტიმენტი. კერძოდ, 1972 წელს შეწყდა სარეცხი მანქანების წარმოება და დაიწყო გაზქურების გამოშვება–ყოველწლიურად 40 ათასიდან 80 ათას ცალამდე, მაგრამ დაბალი ხარისხის გამო, ეს პროდუქციაც ნაკლებ კონკურენტიანი იყო.

70-იან წლებში საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენმა ქარხანამ აითვისა ახალი ტექნოლოგიის მტვერსასრუტები და გოფრირებული შლანგები, რომელზეც დიდი მოთხოვნილება იყო. 1975–1989 წლებში შლანგის წარმოება 178 ათასიდან 3213 ათას ცალამდე (18-ჯერ) გაიზარდა. 1960–1986

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1967, 22 თებერვალი; 1958-1965 წლებში ქარხანა ცნობილი იყო ელექტროკარების სახელწოდებით. აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

წლებში სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 35,8-ჯერ გადიდდა.[1]

მექანიკური ქარხანა, რომელიც აჭარაში უძველესი საწარმოა, 15-მდე სახეობის პროდუქციას ამზადებდა. ძირითადი იყო მოთუთიებული ჭურჭელი, შენობების ლითონის სახურავი და ფართო მოხმარების სხვა საქონელი. მოთუთიებული ჭურჭლის წარმოება 1950 წელს 1113 ტონიდან 1960 წელს-2568, ხოლო 1979 წელს –2993 ტონამდე გაიზარდა. ქარხანა ამზადებდა აგრეთვე 9400-დან 15000 ტონამდე მოთუთიებულ თუნუქის ფურცლებს სახურავისათვის.[2]

70-იანი წლებიდან აჭარაში მოქმედებდა ოთხი ჰიდროელექტრო სადგური: აწჰესი, მაჭახელჰესი, აჭჰესი და კინკიშჰესი. მათ გამოიმუშავეს 1960 წელს 102 მილიონი, 1970 წელს–146 მილიონი, 1980 წელს –137 მილიონკილოვატსაათი ელექტრო ენერგია. მომდევნო წლებში მათი სიმძლავრეები სანახევროდ და მეტად შემცირდა. მაგალითად, 1985 წელს მათ გამოიმუშავეს 62 მილიონ კილოვატ საათი, ხოლო 1986 წელს–65 მილიონ კილოვატ საათი ენერგია,[3] რაც ავტონომიური რესპუბლიკის მოთხოვნებს მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა.

1965–1986 წლებში ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემმა 275,1% შეადგინა. ამ დარგის ფლაგმანი იყო ქიმიურ–ფარმაცევტული ქარხანა, რომელიც ადრე ცნობილი იყო კოფეინის ქარხნის სახელით. საწარმო სამკურნალო ბალახებისაგან სამედიცინო პრეპარატებს ამზადებს. 1951–1965 წლებში ნატურალური კოფეინის წარმოება 6-დან 44 ტონამდე, ე. ი. 7,3-ჯერ გაიზარდა.

---

[1] ცნობები მოყვანილია საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის შესაბამისი წლების ანგარიშებიდან.

[2] ცნობები მოყვანილია მექანიკური ქარხნის წლიური ანგარიშებიდან.

[3] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათ., 1981, გვ.49; Народное хозяйство Аджарской АССР. Бат., 1987, с.11.

XX საუკუნის 50–70-იან წლებში ამ ქარხნის პროდუქციის ასორტიმენტი მრავალფეროვანი გახდა: 1955 წელს აქ თეალბინის გამოშვება დაიწყო, 1955–1970 წლებში 10, 6-დან 31 ტონამდე თეალბინი დამზადდა. 1958 წელა აქ ოთხი სახეობის პროდუქცია მზადდებოდა, (კოფეინი, თეალბინი, კელინი, ომეინი), ხოლო 1959 წელს აითვისეს სამი ახალი სახეობის სამკურნალო პრეპარატი (პლატიფილინი, ალოეს წვენი, ალოეს ემულსია).

ქიმიურ–ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივის ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ცხადყოფს ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნა და სერიული წარმოება. 1960 წელს აქ 14 სახეობის პროდუქციას აწარმოებდნენ. მათ რაოდენობა 1965 წელს 21, ხოლო 1974 წელს–33 იყო. ქარხანამ წარმატებით აითვისა ისეთი სამკურნალო პრეპარატების სერიული წარმოება, როგორიცაა მაგნოლიას თხევადი ექსტრატი, კოლხამინის მალამო, რიოლინი, პასიფლორის თხევადი ექსტრატი და სხვა. ისინი გამოიყენებოდა ჰიპერტონიის, გულის მანკის, საყლაპავი მილის კიბოს, ნევრასთენიის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.[1]

ქიმიურმა ქარხანამ საგრძნობლად გაზარდა ალიფის ზეთოვანი საღებავების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოშვება. ამავე დროს აითვისეს ბროლის ჭურჭლის წარმოება. 70-იან წლებში საწარმოს ასორტიმენტი 11 სახეობის პროდუქციას მოიცავდა, მაგრამ ცუდი მომარაგებისა და შრომის დაბალი ორგანიზაციის გამო, გეგმებს სისტემატურად ვერ ასრულებდა. 1970 წელს, მაგალითად, 10 დასახელების პროდუქციიდან გეგმა ვერ შეასრულა 6 სახეობაში. ასე იყო სხვა დროსაც.[2]

რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა, რომელიც ექსპლუატაციაში 1960 წელს შევიდა, აწარმოებდა დერმა-

---

[1] აცსა, ფ.რ-886, ან.1, სს.145, 255, 368, 388; რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობის ცსა (მოსკოვი), ფ.33, ან.2, ს.142, ფურც.2; საბჭოთა აჭარა, 1966, 16 მარტი, 1975, 20 სექტემბერი.

[2] ცნობები მოყვანილია ქიმიური ქარხნის ანგარიშებიდან.

ტინს, საგალანტერიო და საავეჯო გარნიტოლს, რეზინის ფეხსაცმელს. 70–იან წლებში ქარხანამ მოაწყო პოლიეთილენის საამქრო და შეუდგა სამეურნეო კალათების და პარკების გამოშვებას. 1961–1986 წლებში ქარხნის პროდუქცია გაორმაგდა, მაგრამ სუსტი მატერიალურ–ტექნიკური ბაზისა და ნედლეულით ცუდი მომარაგების გამო იგი გეგმებს ხშირად ვერ ასრულებდა, თანაც პროდუქცია დაბალი ხარისხის იყო.[1]

ოჩხამურის (ქობულეთის რ–ნი) ტუნგის ზეთსახდელი ქარხნის პროდუქციის მოცულობა სტაბილური არ იყო, რადგან ბოლო წლებში ნედლეულით საკმარისად ვერ მარაგდებოდა. მართალია, 1956–1986 წლებში ქარხნის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა თითქმის 11-ჯერ გაიზარდა, მაგრამ სსრ კავშირის მოთხოვნებს 7–8%-ით თუ აკმაყოფილებდა.[2]

საშენი მასალების წარმოებას 50-იანი წლების დასაწყისში ძირითადად ეწეოდნენ წვრილი საწარმოები. 1961 წელს მათი რიცხოვნობა 26, ხოლო 1970 წელს–41-მდე აღწევდა. 1986 წელს 26 საწარმო აღირიცხა, რომელთაგან 4 დამოუკიდებელ ბალანსზე იყო. 70–80-იან წლებში საშენი მასალების წარმოება ძირითადად კონცენტრირებული იყო ჭოროხის ინერტიული მასალების ქარხანაში, №5 და №10 სამშენებლო ტრესტების კომბინატებში, ადგილობრივი მრეწველობისა და საბინაო–კომუნალური მეურნეობის სამონისტროების საშენი მასალების კომბინატებში. ისინი აწარმოებდნენ რკინა–ბეტონის კონსტრუქციებს, საკედლე და წვრილ ბლოკებს, საღებავებს, ლურსმანს, სილა-ღორღს და სხვა.

საშენი მასალების წამოების აღმავლობა იწყება 60-იანი წლების დასაწყისიდან. 1965–1986 წლების დარგის ზრდის ტემპმა 243,6% შეადგინა. 1970 წელს ბათუმის საშენი მასა-

---

[1] ცნობები მოყვანილია რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის ანგარიშებიდან.
[2] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; საბჭოთა აჭარა, 1972, 16 მარტი.

ლების კომბინატმა (ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ურეხი) დაამზადა 235 ტონა სამშენებლო ლურსმანი, 6060მ² წვრილი საკედლე ბლოკი, 908 ტონა სამშენებლო საღებავი და სხვა. სულ გამოუშვა 598 ათასი მანეთი პროდუქცია. ქარხნის რეკონსტრუქცია 1967 წელს დაიწყო, რის შედეგად მისი სიმძლავრები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1980 წლისათვის საშენი მასალების წარმოება გაორმაგდა, 1986 წლისათვის საშენი მასალების კომბინატმა აწარმოა 1492 ათასი მანეთის პროდუქცია, სულ დაამზადა 12378 ათასი პირობითი აგური.

ჭოროხის ინერტიული მასალების ქარხანა 70-იან წლებში საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებდა, რადგან საკმარისად უზრუნველყოფილი არ იყო საჭირო ტექნიკით. 1970 წელს ქარხანამ აწარმოა 143,2 ათასი მ³ ინერტიული მასალა, გეგმა კი ითვალისწინებდა 250 ათასი მ³–ის დამზადებას. წარმოებული პროდუქციიდან ღორღი შეადგენდა 73,8 ათას მ³, ხრეში–28,4 ათასი მ³, სილა–41 ათას მ³. ქარხანამ 600 ათასი მანეთი საერთო პროდუქციის ნაცვლად, რასაც გეგმა ითვალისწინებდა, გამოუშვა 360 ათასი მანეთისა (60%). მომდევნო წლებში ვითარება გაუმჯობესდა. 1986 წელს ზემოხსენებულმა ქარხანამ გამოუშვა 595 ათასი მ³ ინერწული მასალები, რაც 1970 წლის მახასიათებელს 4,2-ჯერ აღემატებოდა, ხოლო საერთო პროდუქცია 1851 ათას მანეთამდე (5,1-ჯერ) გაიზარდა.[1]

№5 სამშენებლო ტრესტის საწარმოო წარმოების კომბინატი ძირითადად ამზადებდა რკინა–ბეტონის კონსტრუქციებს, ბეტონს და სხვა. იგი საშუალო საწარმოდ ითვლებოდა, რომელიც 70–80-იან წლებში აწარმოებდა 2,5 მილიონი მანეთიდან 3,2 მილიონი მანეთის საშენ მასალებს. ასაწყობი რკინა–ბეტონის კონსტრუქციებსა და ბეტონს ამზადებდა აგრეთვე სასოფლო მშენებლობის №10

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.64, ს.136, ფურც.66, 88-91; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ტრესტი. 1970–1986 წლებში მთლიანად აჭარაში ასაწყობი რკინა–ბეტონის კონსტრუქციების წარმოება მერყეობდა 21754 მ³-დან 69097 მ³-მდე.[1] საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საშენ მასალათა საწარმოო წლიურად საშუალოდ აწარმოებდა 0,5 მილიონი მილიონიდან 1,5 მილიონ მანეთის სამშენებლი მასალებს.

XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ხე–ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობას შეემატა ბათუმის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა და წელათის (შუახევის რაიონი) სახერხი ქარხანა. 1965–1986 წლებში დარგის ზრდის ტემპმა 519% შეადგინა, მაგრამ მისი ხვედრითი წილი საერთო მრეწველობაში უმნიშვნელოდ გაიზარდა.[2]

სამრეწველო პროდუქციის წარმოება ძირითადად კონცენტრორებული იყო მსხვილ და საშუალო საწარმოებში, რომელთა რიცხვი 1986 წელს 15 ერთეულს შეადგენდა. მათ შორის დამოუკიდებელ ბალანსზე იყო 8 საწარმო.[3] ხე–ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მთავარ საწარმოდ ითვლებოდა ფანერის ქარხანა. იგი 1959 წლიდან ცნობილია ხისდამამუშავებელი კომბინატის სახელით.

ხისდამამუშავებელმა კომბინატმა საგრძნობლად გაზარდა ფანერისა (თლილი და დაწებილი) და დახერხილი მასალის გამოშვება. 1988 წელს 5052 მ³ დაწებილი ფანერი დამზადდა. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ქარხნის ისტორიაში და 1950 წლის მიჯნას 1,5-ჯერ აღემატებოდა. ქარხანამ წარმატებით აითვისა სამზარეულო ავეჯის წარმოება, რომელსაც დიდი გასავალი ჰქონდა როგორც ადგილზე, ისე რეგიონის ფარგლებს გარეთ. 1968 წლიდან იგი რენტაბელური საწარმო გახდა. 1951–1986 წლებში წარმოება აქ 16-ჯერ გაიზარდა.

---

[1] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник. Бат., 1987, с. 75.
[2] იქვე, გვ.57.
[3] იქვე, გვ.57.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა საავეჯო ბამბუკის ფაბრიკის შრომითმა კოლერქტივმა. იგი საშუალო სიდიდის საწარმოდ ითვლებოდა, რომელიც დასპეციალდა ავეჯის, სასკოლო და საკანცელარიო ინვენტარის წარმოებაზე. სასაქონლო პროდუქციის მოცულობა 1986 წელს 23-ჯერ აღემატებოდა 1955 წლის დონეს.[1] შესამჩნევად გაიზარდა ყუთების ქარხნის, მექანიკური და ხისდამამუშავებელი სახელოსნოს, ხისდამამუშავებელი (გრეხილი ავეჯის) საწარმოს სასაქონლო პროდუქცია (კონსერვებისა და ჩაის ნედლეულის გადასაზიდი ხის ყუთები და გრეხილი სკამები).

აჭარაში 1961 წელს მსუბუქი მრეწველობის 83 საწარმოო მოქმედებდა. კონცენტრაციის შედეგად მათი რიცხვი 1986 წელს 21-მდე შემცირდა. დამოუკიდებელი ბალანსი ჰქონდა ქობულეთის ბამბის საქსოვ და ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკებს, სამკერვალო და ტყავის საწარმოო გაერთიანებებს. 1965–1986 წლებში მსუბუქ მრეწველობაში წარმოება 243,6%-ით გაიზარდა. მისი ხვედრითი წილი სასაქონლო პროდუქციის მთლიან მოცულობაში შეადგენდა: 1956 წელს–11,8, 1965 წელს–10,2%, 1975 წელს–9,7, ხოლო 1986 წელს–8,5%-ს. ამ დარგში 1961–1970 წლებში მუშაობდა სამრეწველო საწარმოო პერსონალის 22,6–26,8%. ამ მახასიათებლით მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მას პირველი ადგილი ეკავა.[2]

აჭარის სამრეწველო საწარმოებს შორის სამკერვალო გაერთიანება მუშახელით პირველ, ხოლო წარმოების მოცულობით მეორე ადგილზე გამოდიოდა. იგი ამზადებდა ქალის, ბავშვის და მამაკაცის ტანსაცმელს. 1956–1986 წლებში აქ წარმოება გასამკეცდა. მისი ასორტიმენტი 1955 წელს 15 სახეობას მოიცავდა. 1960 წელს–28, ხოლო 1965

---

[1] გამოთვლილია ქარხნის წლიური ანგარიშების საფუძველზე.

[2] იხ. სტატისტიკური კრებულები: აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, ბათ., 1977, გვ.61, 64, 66; Народное хозяйство Аджарской АССР. Бат., 1987, с.53, 57, 61.

წელს–30-მდე გაიზარდა.პროდუქციის 90%-ზე მეტი პირველი ხარისხისა იყო და დიდი ნაწილი აჭარის გარეთ იგზავნებოდა.[1]

ტყავის ქარხანა, 1955 წლის ცნობით, 36 სახეობის ნაწარმს ამზადებდა. მათგან ძირითადი იყო ფეხსაცმლის, საგალანტერიო და ტექნიკური დანიშნულების ტყავი. 50-70-იან წლებში წარმოებამ მნიშვნელოვანი აღმავლობა განიცადა. თუ 1955 წელს 25422,6 ათასი დმ² რბილი ტყავი დამზადდა, ამ მახასიათებელმა 1960 წელს–42,950 ათასი, 1970 წელს–84431 ათასი, 1980 წელს–92540 ათასი, ხოლო 1985 წელს–93,783 ათასი დმ² შეადგინა და 1950 წლის მიჯნას 430–ჯერ გადაჭარბა. მაგრამ, პროდუქცია ისევ დაბალი ხარისხისა იყო, რის გამოც მრავალჯერ მიიღო რეკლამაცია. მაგალითად, 1971 წელს ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გამო ფაბრიკამ 14 რეკლამაცია მიიღი და 18056 მანეთი ჯარიმა გადაიხადა.[2]

ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკას წარმოების მოცულობის ომამდელი დონის მისაღწევად ათი წელი დასჭირდა. 1955 წლამდე იგი სისტემატურად ვერ ასრულებდა საქონლის წარმოების, ხარისხისა და ასორტიმენტის გეგმებს, რისი ძირითადი მიზეზი იყო ნედლეულის, მასალების, დამხმარე მასალებისა და კვალიფიციური მუშახელის უკმარისობა. ამით იყო გამოწვეული, რომ 1951 წლის მეორე ნახევარში 1500 კაცდღე დაიკარგა.[3] მეტნაკლებად ასეთი მდგომარეობა იყო მომდევნო წლებშიც.

60-იანი წლების დასაწყისიდან წარმოების ზრდის ტემპი საგრძნობლად დაჩქარდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის მოცულობა და ასორტიმენტი. 1960 წელს დამზადდა 661 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 1970 წელს–849

---

[1] აცსა, ფ.რ-274, ან.1, სს.64, 176, 224, 291, 301, 303, 310, 364, 367, 810.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.67, ს.4, ფურც.17; აჭარის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები. ო. თურმანიძე, აჭარის ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები. ბათ., 1982, გვ.39

[3] საბჭოთა აჭარა, 1952, 19 აგვისტო.

ათასი, 1980 წელს–1,003 ათასი, ხოლო 1985 წელს–1034 ათასი, რაც წარმოების 1950 წლის დონეს 2,6-ჯერ აღემატებოდა. სამწუხაროდ, ხარისხში არსებითი გარდატეხა არ მომხდარა, რის გამოც ნაწარმი არაერთხელ დაუწუნეს. მაგალითად, 1966 წელს მან 17 რეკლამაცია მიიღო და ჯარიმის სახით გადაიხადა 3461 მანეთი.[1]

ქობულეთის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკა ახალგაზრდა საწარმო იყო. 1986 წელს მას დაარსების 30 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე მისეული პროდუქციის მოცულობა თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. პირველ წლებში ფაბრიკაში მაღალი იყო მუშათა დენადობა, არადამაკმაყოფილებელი იყო ნედლეულითა და დამხმარე მასალებით მომარაგება. რის გამო ფაბრიკამ წარმოების გეგმა VIII ხუთწლედში (1966–1970წწ.) ვერ შეასრულა. 70–80-იან წლებში მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა და საწარმოო დავალებებიც გადაჭარბებით სრულდებოდა. ფაბრიკა საშუალო სიდიდის საწარმო იყო, სადაც 140–210 კაცამდე მუშაობდა და 115 ათასი მ²-დან 555 ათას მ²-მდე ქსოვილს აწარმოებდა.[2]

კვების მრეწველობა მთლიანად საქართველოს, მათ შორის აჭარის რეგიონის ერთ–ერთ პრიორიტეტულ დარგად ითვლებოდა. ეს დარგი სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობითა და ასორტიმენტის მრავალფეროვნებით პირველ ადგილზე გამოდიოდა. როგორც უკვე აღინიშნა, მისი ხვედრითი წილი ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი პროდუქციის მოცულობაში 38-43,2%-მდე აღწევდა.

კვების მრეწველობას პირველი ადგილი ეკავა საწარმოთა რაოდენობითაც. 1986 წელს ამ დარგში 243 საწარმოო აღირიცხა (62,3%), რომელთაგან 18 დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფებოდა. აჭარაში მოქმედებდა ჩაის

---

[1] ო. თურმანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.40; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.59, ს.116, ფურც.162; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.
[2] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

18 ფაბრიკა (14 პირველადი დამუშავების, 3 მიკრო და 1 გადამწონი). ჩაის ნაწარმი შეადგენდა კვების მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ნახევარზე მეტს.

კვების მრეწველობა სამრეწველო–საწარმოო პერსონალის მიხედვით 1961 წელს პირველი, ხოლო 1970 წლიდან მეორე ადგილზე გამოდიოდა. პროდუქციის ასორტიმენტის მრავალფეროვნებითაც მას პირველი ადგილი ეკავა. 50-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე კვების მრეწველობის საწარმოებმა რამდენიმე ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება აითვისეს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ეკოლოგიურად სუფთა ნატურალური პროდუქციის გამოშვება, რაზედაც წარმოდგენას გვიქმნის მე–4 ცხრილი (ტონობით).[1]

ცხრილი 4

პროდუქციის დასახელება	1960წ.	1970წ.	1980წ.	1987წ.	%	
					1950წ.	1987წ.
პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაი	6445	9655	16914	18525	100	493
საკონდიტრო ნაწარმი	2104	3370	3222	3531	100	183
პურ–ფუნთუშეული	23701	24300	29444	27946	100	118
ხორცი	1976	3928	3447	3356	100	281
ძეხვეული	797	1347	2130	2238	100	680
ფერმენტირებული თამბაქო	641	1872	3078	5734	100	1043
რძის პროდუქტები	2022	6337	11080	14942	100	739
ყურძნის ღვინო (ათასი დ/ლიტრი)	190	216	525	227	100	–
ლუდი (ათასი დ/ლიტრი)	586	714	753	422	–	–
უალკოჰოლო სასმელები (ათასი						

[1] ცხრილი შედგენილია აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საწარმოთა შესაბამისი წლების მონაცემებით.

დ/ლიტრი)	–	378	508	319	100	–
ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები (ათასი ᲗᲐ/ქილა)	12916	9920	18549	25244	100	404
პაპიროსი და სიგარეტი (მლნ. ცალი)	2598	2371	3049	2909	100	303

ჩამონათვალი არ არის სრული. აჭარის კვების მრეწველობა ამზადებდა აგრეთვე თევზის კონსერვებსა და პროდუქტებს, დაფასოებული ჩაის ნაწარმს, მინერალურ წყლებს და სხვა. მაგალითად, 1963 წელს აჭარის თევზის საწარმოებმა მომხმარებელს მოაწოდეს 9242 ტონა, 1966 წელს—10266 ტონა ნატურალური პროდუქცია. მათ შორის კვებისათვის განკუთვნილი იყო 4684 და 2798 ტონა. 1986 წელს დარგმა 3861 ათასი პირობითი ქილა თევზის კონსერვი და 3983 ტონა თევზის სხვა პროდუქტები აწარმოა, ხოლო 1987—წელს 8275 ტონა მზა ნაწარმი მიაწოდა მომხმარებელს.[1]

ნატურალური პროდუქციის წარმოება უფრო მეტად იმ დარგებში გაიზარდა, რომელთა საქონელი აჭარის ფარგლებს გარეთ იგზავნებოდა. ამასთან, ადგილობრივ ბაზაარზე დიდი მოთხოვნილება გააჩნდა. 1950 წელთან შედარებით ჩაის პროდუქციის წარმოება 1987 წელს გაიზარდა თითქმის 5-ჯერ, ხილისა და ბოსტნეული კონსერვებისა 4-ჯერ და მეტად, ფერმენტირებული თამბაქოსი (1945 წელთან შედარებით)—10,4-ჯერ, ძეხვეულისა—6,8-ჯერ, პაპიროსისა და სიგარეტისა—3-ჯერ, ხორცისა—2,8-ჯერ, საკონდიტრო ნაწარმისა—83%-ით, რძის პროდუქტებისა (1960 წელთან შედარებით)—7,4-ჯერ.

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.59, ს.108, ფურც.8; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

საგულისხმოა, რომ აჭარის სამრეწველო საწარმოები, 1976 წლის ცნობით 780 ძირითადი სახეობის პროდუქციას ამზადებდნენ. მნიშვნელოვანი ნაწილის მომხმარებელი იყო საზღვარგარეთის ქვეყნები. 1970 წელს ბათუმის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის 30% საექსპორტო იყო. აქაური საქონელი 1971 წელს შეისყიდა 50, ხოლო 1975 წელს–67 ქვეყანამ.[1] მაგრამ ზოგიერთი სახეობის სამრეწველო პროდუქციის ხარისხი საგრძნობლად ჩამორჩებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, რაც მხოლოდ აჭარის ლოკარულ თავისებურება არ იყო. ძირითადად ასეთი მდგომარეობა იყო სსრ კავშირში მთლიანი მასშტაბით.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაღრმავდა ეკონომიკური კრიზისი. მრეწველობაში, ისევე როგორც ეროვნული მეურნეობის დანარჩენ დარგებში, დაქვეითება დაიწყო. გაუარესდა პროდუქციის ხარისხიც. ე. წ. "რადიკალურმა ეკონომიკურმ რეფორმამ", რომელიც 1987 წელს დაიწყო, დააჩქარა კრიზისული პროცესები. 1988-1990 წლებში მრეწველობის განვითარების გეგმები აჭარაში ვერ შესრულდა. 1990 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1985 წელთან შედარებით 93,9%, ხოლო შრომის ნაყოფიერება 99,1%-მდე შემცირდა.[2]

2. კაპიტალური მშენებლობა

აჭარაში დიდი მასშტაბის კაპიტალური მშენებლობანი XX საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. დარგის განვითარებისათვის სახელმწიფომ ამ დროიდან გაცილებით მეტი ფინანსური და მატერიალური საშუალებანი გამოყო. შეიქ

---

[1] აცხა, პპოგ, ფ.1, ან.67, ს.4, ფურც.8-11; ან.73, ს.7, ფურც.11.
[2] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

მნა მშენებლობის ახალი ორგანიზაციები, განმტკიცდა დარგის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, განხორციელდა სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაცია, აღიზარდა საკმაოდ კვალიფიციური კადრები.

საგულისხმოა, რომ XX საუკუნის 50-იანი წლების პირველ ნახევარში აჭარაში მშენებლობას ეწეოდა 19 წვრილი სამშენებლო ორგანიზაცია და ჯგუფი, რის გამოც ფინანსური და მატერიალური საშუალებანი დაქსაქსული იყო, ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო რკინა–ბეტონის კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოება. ვითარება შეიცვალა 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან: ცენტრალურმა ხელისუფლებამ სპეციალური დადგენილებები მიიღო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებისა და ახალი სახეობის სამშენებლო მასალების წარმოების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის ივლისის დადგენილება "მშენებლობისათვის ასაწყობი რკინა–ბეტონის კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოების განვითარების შესახებ".[1] საფუძვლად დაედო სამშენებლო წარმოების განვითარებას. 1955 წლის 23 აგვისტოს დადგენილება "მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის, ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა შესახებ" სახავდა კონკრეტულ გზებს დარგის დაჩქარებული განვითარების, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის.[2]

საქათველოს რესპუბლიკის, კერძოდ, აჭარის ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს შესაბამისი ღონისძიებები სადირექტივო ორგანოების დადგენილებების შესრულებისათვის. გამსხვილდა სამშენებლო ორგანიზაციები, გამტკიცდა მათი მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა. 1955წელს ბათუმის ტრესტი "ქალაქმშენი," რომელიც საქალაქო საბ-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1954, 2 აგვისტო.

[2] Решения партии и провительства по хозяйственным вопросам, 4, М., 1968, с.268-274.

ჭ'ის აღმასკომის იურისდიქციაში ითვლებოდა, გარდაიქმნა საკავშირო–რესპუბლიკური მნიშვნელობის ორგანიზაციად, გადავიდა საქართველოს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, №5 ტრესტის სახელით. 1956 წელს ბათუმში 15-მდე სამშენებლო ორგანიზაცია აღირიცხა, მაგრამ სამუშაოების ძირითადი მწარმოებელი №5 სამშენებლო ტრესტი იყო. თავდაპირველად იგი აერთიანებდა ორ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს. მაგრამ მომდევნო წლებში გაფართოვდა. ტრესტმა მოაწყო საშენი მასალების კარიერი, 1959–1962 წლებში ააგო ხის დამამუშავებელი, მსხვილპანელიანი სახლთსაშენი ქარხნები, ხოლო 1970 წელს–რკინა–ბეტონის საწარმო. შექმნა სახლთსაშენი და საშენი მასალების წარმოების კომბინატები. ტრესტის სისტემაში ჩამოყალიბდა ახალი სამშენებლო სამმართველოები და უბნები. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს №5 სამშენებლო ტრესტის სისტემაში 10-მდე სამმართველო და უბანი შედიოდა. მას ჰქონდა საკმაოდ მძლავრი ავტომეურნეობა, მექანიზაციის სპეციალური სამმართველო და სან-ტექნიკის უბანი. 1958 წელს სამშენებლო სამუშაოთა 90% №5 ტრესტი ასრულებდა. ამ დროისათვის მექანიზებული იყო მიწის სამუშაოთა 80%. დატვირთვა–გადმოტვირთვის–72% და სამღებრო-საბათქაშო სამუშაოების–63%.[1]

პირველად აქ დაიწყო ასაწყობი რკინა–ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება. იგი ყოველწლიურად იზრდებოდა. თუ 1957 წელს დაამზადეს 700მ² რკინა–ბეტონის კონსტრუქცია, 1966 წელს–3200მ³–სამნახევარჯერ მეტი.[2] ტრესტი ამზადებდა აგრეთვე საკედლე ფილებს. მათ წარმოებას და მასობრივად გამოყენებას სხვა მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციებიც შეუდგნენ. 1970 წელს აჭარაში დაამზადეს 32070მ³ რკინა–ბეტონის კონსტრუქცია,

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1958, 10 აგვისტო.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.59, ს.102, ფურც.55; ან.62, ს.3, ფურც.10.

1980 წელს–69097ª, რაც 1966 წლის მაჩვენებელს 2.1,6-ჯერ აღემატებოდა. 1970–1985 წლებში საკედლე ფილების წარმოება 176 ათასიდან 14909 ათასამდე, ე.ი. 84,7-ჯერ გაიზარდა.[1]

XX საუკუნის 60–70-იან წლებში აჭარაში გაიხსნა ახალი სამშენებლო ორგანიზაციები: საზღვაო მშენებლობის საკავშირო ტრესტის მცურავი სამშენებლო რაზმი (№20), მექანიზაციის სპეციალური სამმართველო. რაიონებში – საკოლმეურნეობათაშორისი მშენებლობის საბჭოები, თბილისის სპეციალური მშენებლობის ტრესტის სამმართველო (№28). საქართველოს "სანტეხმონტაჟის" ბათუმის სამონტაჟო უბანი და სხვა. 1965 წელს შეიქმნა საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, რომლის დაქვემდებარებაში გადავიდა ჩაქვის (ქობულეთის რ-ნი) მოძრავი-მექანიზებული კოლონა (№9). ანალოგიური სამშენებლო ორგანიზაციები გაიხსნა ხელვაჩაურის, შუახევის, ქედისა და ქობულეთის რაიონებში. მათ ბაზაზე 1979 წელს სასოფლო მშენებლობის №15 (შემდგომში №10) ტრესტი ჩამოყალიბდა. 1965 წელს ბათუმში გაიხსნა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის "საქსოფლმშენსახპროექტის" ფილიალი. იგი ამზადებდა სასოფლო მშენებლობის ობიექტის პროექტებს და მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სოფლად მშენებლობის განვითარებას. 1975 წელს №5 ტრესტს გამოეყო სახლთსაშენი კომბინატი და იგი დამოუკიდებელ სამშენებლო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

აჭარაში შეიქმნა აგრეთვე საუწყებო ახალი სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციები. თავისი მნიშვნელობით აღსანიშნავია საბინაო–კომუნალური მეურნეობის, საყოფაცხოვრები მომსახურების, სოფლისმეურნეობის, ვაჭრობის სამინისტროების, ცეკავშირის, კურორტების მართვის საბჭოს, საზღვაო სანაოსნოს და სხვა სამშენებლო-სარემონტო სამმართველოები და უბნები.

---

[1] Народное хозяйство Аджарской АССР. Статистический сборник, Бат., 1987, с.75.

სამშენებლო ორგანიზაციების რიცხობრივ ზრდასთან ერთად განმტკიცდა მათი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. თუ 1960 წელს აჭარაში ითვლებოდა 18 სამშენებლო ორგანიზაცია, 1989 წლის დასაწყისში მათი რიცხოვნობა 39-მდე გაიზარდა. მათ შორის სამშენებლო–სამონტაჟო პროფილისა იყო 11, სამშენებლო-სარემონტო – 16, სარემონტო–12 ორგანიზაცია. სახელმწიფო საკუთრების 17 სამშენებლო ორგანიზაციიდან 12 შედიოდა საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციაში, ერთი საკავშირო-რესპუბლიკურ, ხოლო ოთხი ადგილობრივ საოლქო დაქვემდებარებაში.[1] მსხვილ ორგანიზაციებად ითვლებოდა № 5 და №10 (ყოფილი 15) სამშენებლო ტრესტები,საგზაო სამშენებლო უბანი (№7).

სამშენებლო ორგანიზაციებმა შეიძინეს ახალი ტექნიკა, რის შედეგად მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა შრომის მექანიზაციაში. 1971–1975 წლებში საერთო მშენებლობის №5 ტრესტმა ტექნიკის განახლებასა და მექანიზაციაზე დახარჯა 6,3 მილიონი მანეთი. მისი საწარმოო სიმძლავრეები (ძირითადი ფონდები) 1955–1971 წლებში 15,5-ჯერ გაიზარდა. საწარმოო სიმძლავრეების გადიდებასა და მექანეზაციის დანერგვაზე დიდძალი თანხები გაიღეს სხვა ორგანიზაციებმაც. მიუხედავად ამისა, მშენებლობაში ინდუსტრიალიზაციის დონე საკმარისი არ იყო. 1976 წელს საერთო მშენებლობის №5 ტრესტსა და სახლთსაშენ კომბინატში ინდუსტრიალიზაციის კოეფიციენტი 63%-ს შეადგენდა. ამ დროისათვის მექანიზებული იყო მიწის სამუშაოთა 96%, დატვირთვა–გადმოტვირთვის 80%, საბათქაშოებისა 86%, სამღებრო სამუშაოების 81%.[2]

სხვა სამშენებლო ორგანიზაციებში, რომელთაც შედარებით სუსტი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა ჰქონდათ, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია დაბალ დონეზე

---

[1] იქვე, გვ.131; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.
[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.22, ფურც. 22,83; საბჭოთა აჭარა, 1972, 7 აგვისტო.

იდგა. ამის გამო იყო, რომ 1980 წელს მშენებლობაზე მექანიზაციის საერთო მახასიათებელი 28% შეადგენდა.[1]

ახალი სამშენებლო ორგანიზაციების შექმნის შედეგად საერთო მშენებლობის №5 ტრესტის ხვედრითი წილი მთლიანი სამუშაოების მოცულობაში თანდათანობით შემცირდა. 1970 წელს მან შეასრულა სამშენებლო საიჯარო სამუშაოთა 75%, 1975 წელს 44%, 1986 წელს 18%. სასოფლო მშენებლობის №10 ტრესტზე მოდიოდა შესრულებული სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოების 28,7%, სახლთსაშენ კომბინატზე– 17,4%.[2]

XX საუკუნის 50-იან წლებში გაძლიერდა მუშაობა მშენებლობის გაიაფების, ნაგებობათა დაპროექტებისას არქიტექტურული ზედმეტების აღმოფხვრის შესახებ. სწორედ ამის შესახებ იყო ხაზგასმული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955–წლის ნოემბრის დადგენილებაში "დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ". მასში დაგმობილია არქიტექტურის გარეგნულ-ჩვენებითი მხარე, რომელთაც მიეკუთვნება კოშკური დანაშენები, მრავალრიცხოვანი დეკორატიული კოლონატები, პორტიკები და მრავალი სხვა. არქიტექტურულ ზედმეტობაზე დიდძალი სახსრები და მასალები იხარჯებოდა, მაგრამ ამას სარგებლობა არ ჰქონდა. დადგენილება მოითხოვდა ისეთი ტიპიური პროექტების შექმნას, რომელიც თავისუფალი იქნებოდა არქიტექტურული ზედმეტობისაგან.[3]

ზედმეტობანი დაპროექტებასა და მშენებლობაზე აჭარაშიც შეიმჩნეოდა. 1955 წელს, როგორც მანმადე, ბათუმის საცხოვრებელი სახლებისა და სხვა სახის ნაგებობების დაპროექტებასა და მშენებლობაზე წესად იყო მიღებული

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1980, 26 ივნისი.

[2] გამოთვლილია: აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[3] საბჭოთა აჭარა, 1955, 12 ნოემბერი; სკკპ ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. II, თბ., 1962, გვ.147-160.

არქიტექტურული ზედმეტობანი. (ფასადების მორთვა, კოშკურები, თაღები, კოლონები და სხვა).1955 წლიდან საცხოვრებელი სახლებისა და სხვა სახეობის შენობების პროექტებიდან ამოღებულ იქნა არქიტექტურული ზედმეტობანი. ფასადების არქიტექტურული გაფორმება გამარტივდა. ამის შედეგად მხოლოდ 1955 წელს 65,8 ათასი მანეთი დაიზოგა.[1]

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სამშენებლო ორგანიზაციების კადრებით უზრუნველყოფისათვის. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მშენებელთა კადრების მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქაეთველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა და ინდუსტრიულმა ტექნიკუმმა. ასობით მშენებელი მუშა გამოზარდა №44 პროფესიულმა ტექნიკურმა სასწავლებელმა. 1960 წელს მშენებლობაში დასაქმებულ მუშაკთა საშუალო წლიური რიცხოვნობა 2301 კაცს შეადგენდა. 1988 წელს 4173 კაცამდე, ე.ი. 1,8-ჯერ და მეტად გაიზარდა.

სამშენებლო ორგანიზაციები XX საუკუნის 70–80-იან წლებში მთლიანად უზრუნველყოფილი იყო უმაღლესი და საშუალო რგოლის ინჟინერ–ტექნიკური სპეციალისტებით. მაგრამ კვალიფიციური მუშები არასაკმარისი ჰყავდათ. საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ 1967 წელს სპეციალური დადგენილება მიიღეს მრეწველობისა და მშენებლობისათვის ქალაქსა და რაიონებში ორგანიზებული წესით მუშახელის შეგროვების შესახებ. მთლიანად ამ დარგებში სამუშაოდ 1594 კაცი იგზავნებოდა. მათ შორის მშენებლობაზე–500. მაგრამ დადგენილება ნაწილობრივ შესრულდა. №5 ტრესტში სამუშაოდ 173 კაცი გაიგზავნა. ტრესტს კი 880 მუშახელი ეკლო.[2]

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1955, 14 დეკემბერი.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.59, ს.125, ფურც.76.

ასეთივე ოგანიზებული წესით მუშახელი მშენებლობაზე ყოველწლიურად იგზავნებოდა, მაგრამ მათი შენარჩუნება გაძნელებული იყო. 1968 წელს მშენებლობაზე სამუშაოდ გაიგზავნა 220 კაცი, მაგრამ იქ მათგან ოციოდე კაცი შემორჩა. №5 ტრესტს 1975 წელს უნდა მიეღო 450 მუშახელი, ფაქტობრივად მიიღო 60, 1980 წელს–250-ის ნაცვლად-28 კაცი. ეს მაშინ, როდესაც №5 ტრესტსა და სახლთსაშენი კომბინატს 800-მდე კაცი აკლდათ. საბინაო-საყოფაცხოვრებო და შრომის მძიმე პირობების გამო სამშენებლო ორგანიზაციებში დიდი იყო მუშათა დენადობა. მაგალითად, 1966 წელს და 1967 წელს პირველ სამ თვეში სამშენებლო ორგანიზაციებმა სამუშაოზე მიიღეს 1355, ხოლო დაითხოვეს 1204 კაცი. შრომის დისციპლინის დარღვევების გამო სამუშაოდან გაათავისუფლეს 246 მუშაკი. დანარჩენებმა თვითნებურად მიატოვეს სამუშაო.[1]

XX საუკუნის 70-იან წლებში იყო ცდები მშენებლობაზე გამოეყენებინათ შრომის რაციონალური მეთოდები. საქმე ეხება ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის დანერგვას. ეს მეთოდი პირველად გამოიყენეს 1971 წელს მოსკოვის ოლქის ქალაქ ზელენოგრადის მშენებელთა ბრიგადაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ნ. ზლობინი ხელმძღვანელობდა. მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ბრიგადაში შემოღებული იყო სრული სამეურნეო ანგარიში და ეკონომიით მიღებული შემოსავლის 40% ნაწილდებოდა მის წევრებზე. ნ. ზლობინმა მოუწოდა მშენებლებს გამოეყენებინათ შემოთავაზებული შრომის ახალი მეთოდი. ამ თაოსნობას მხარი დაუჭირა სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრომ და სპეციალური დადგენილება გამოიტანა მისი დანერგვის შესახებ.

ნ. ზლობინის თაოსნობას აჭარაში პირველად გამოეხმაურა, საერთო მშენებლობის №5 ტრესტის მშენებელთა ბრიგადირი რ. დევაძე. ბრიგადე, რომელიც 11 კაცს აერ-

---

[1] იქვე, ან.60, ს.40, ფურც.4, ან.59, ს.115, ფურც.2-3; ან.73, ს.22, ფურც.75; ს.39, ფურც.18-19; ან.74, ს.320, ფურც.28.

თიანებდა, ბათუმში (ჯავახიშვილის ქუჩა) აშენებდა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას. სამეურნეო ანგარიშის დანერგვით სამი თვით შემცირდა მშენებლობის ვადები, რითაც 15 ათასი მანეთი დაიზოგა. აქედან 6 ათასი მანეთი ბრიგადის წევრებმა მიიღეს. 1972 წელს №5 სამშენებლო ტრესტში 7 ამგვარი ბრიგადა მუშაობდა. ნაყოფიერად შრომობდნენ გ. დავითაძის და ა. ღოღობერიძის მშენებელთა ბრიგადები.[1]

მაგრამ პირველ წლებში მშენებლობაზე ბრიგადული სამეურნეო ანგარიში ნელა ვრცელდებოდა. 1975 წელს შრომის ეს მეთოდი დანერგილი იყო №5 ტრესტის 130-დან მხოლოდ 3 ბრიგადაში. 1977 წელს სახლთსაშენ კომბინატში ნ. ზლობინის მეთოდით მუშაობდა 14-დან 4 ბრიგადა, №5 ტრესტში-82-დან 8 ბრიგადა.[2] შრომის რაციონალური მეთოდების ასეთი ნელი ტემპით გავრცელების გამო სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობას არაერთხელ მიუთითეს.

XX საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში მდგომარეობდა რამდენიმე გაუმჯობესდა. 1985 წელს სამეურნეო ანგარიშზე გადასული იყო სამშენებლო ორგანიზაციების 78 ბრიგადა, რაც საერთო რაოდენობის 52% შეადგენდა. მათ წილად მოდიოდა სამშენებლო—სამონტაჟო სამუშაოების 19,7% და მშენებლობის საერთო მოცულობის –53,9%. მაგრამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში ამ პროცესმა შენელება იწყო.[3] მშენებლობაში სათანადოდ ვერ განვითარდა შრომითი მეტოქეობა. მართალია, მუშათა ერთი ნაწილი ნაყოფიერდ.. შრომობდა და მნიშვნელოვანი მიღწევები გააჩნდა, მაგრამ შრომითმა მეტოქეობამ მასობრივი ხასიათი ვერ მიიღო. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით გეგმები და ვალდებულებები სისტემატურად არ

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1972, 16 სექტემბერი.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.31, ფურც.50; ს.446, ფურც.22.

[3] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.131.

სრულდებოდა. მშენებლობა ჩამორჩენილი დარგად რჩებოდა. ამას დაუფარავად აღიარებდა ხელისუფლებაც.

მიუხედავად ამისა, 1951–1990 წლებში კაპიტალურმა მშენებლობამ დიდი აღმავლობა განიცადა. საამისოდ სახელმწიფო ყოველწლიურად მნიშვნელოვან სახსრებს გამოყოფდა. 1957 წლამდე სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი ძირითადად გამოიყენებოდა საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის. ამ სახეობის მშენებლობას წამყვანი მდგომარეობა ეკავა მომდევნო წლებშიც. მაგრამ ამავე დროს 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ფართო მასშტაბით დაიწყო სოციალ–კულტურული დანიშნულების ობიექტების, განსაკუთრებით კი საბინაო მშენებლობა.

სახელმწიფო დაფინანსების გარდა სოციალურ-კულტურული ხასიათის ობიექტების მშენებლობისათვის იყენებდნენ საწარმოთა სახსრებს. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ნება დართო საწარმოების ხელმძღვანელობას გამოეყენებინათ წარმოების მოგების ნაწილი სოციალ–კულტურული ხასიათის ობიექტების, განსაკუთრებით კი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. ამის შესაბამისად საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ 1957 წელს დაავალეს საწარმოთა ხელმძღვანელებს ფულადი დანაზოგებით აეშენებინათ მუშამოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები. დადგენილების მიღებისთანავე ბათუმის საწარმოთა ნაწილი შეუდგა მის ხორცშესხმას.[1]

კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო გახდა მოქალაქეთა პირადი დანაზოგების გამოყენება კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის. ამის შედეგად კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება, საამშე-

[1] საბჭოთა აჭარა, 1958, 14 იანვარი.

ნებლო-სამონტაჟო სამუშაოები და ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანა მნიშვნელოვნად გაიზარდა.[1]

ცხრილი 3.

(მილიონ მანეთებში)

	1951–1960წწ.	1961–1970წწ.	1971–1980წწ.	1981–1990წწ.
კაპიტალური დაბანდებანი სულ	99	274	719	1182
ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანა	86	259	710	1145
სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები	89	205	350	445

მშენებლობაზე კაპიტალური დაბანდებანი ყოველწლიურად მატულობდა. 1951–1960 წლებთან შედარებით 1961-1970 წლებში 2,8-ჯერ, 1971–1980 წლებში 7,2-ჯერ,ხოლო 1981-1990 წლებში–11,8-ჯერ გაიზარდა. 1970 წლამდე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ჭარბობდა, ხოლო საერთოდ 1951–1990 წლებში იგი 5-ჯერ გადიდდა.

ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდებოდა ძირითადი ფონდების ამოქმედება. იგი 1951–1990 წლებში 13,3-ჯერ გაიზარდა. ნიშანდობლივია, რომ 1951–1960 წლებში ძირითადი ფონდების ამოქმედებაზე დაიხარჯა მთლიანი კაპიტალური დაბანდების 96,6%, 1961–1970 წლებში–94,5%, 1971–1980 წლებში–98,7%, 1981–1990 წლებში–96,9%.

კაპიტალური მშენებლობანი მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მაგალითად, 1955 წელს განხორციელდა 90ობიექტის მშენებლობა და რეკონსტრუქცია. მათ შორის საკავშირო დაქვემდებარებისა იყო 19 და საკავშირო–რესპუბლიკურის–39 ობიექტი.[2] სამშენებლო

---

[1] Народное хозяйство Грузии ССР, Статистический ежегодник, Тб., 1987. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები. კოლმეურნეობების მონაცემები ცხრილში გათვალისწინებული არ არის.

[2] აცსა, ფ.რ-96, ან.1, ს.969, ფურც.2-6.

ობიექტების ნომენკლატურა მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 1971–1975 წლებში ექსპლოატაციაში შევიდა 346 ობიექტი. 1978 წელს მიმდინარეობდა სოციალურ–კულტურული დანიშნულების 80 ობიექტის მშენებლობა.[1]

კაპიტალური დაბანდების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა სამრეწველო ობიექტების მშენებლობას. 1959 წელს ამ მიზნისათვის გაიხარჯა გამოყოფილი დაფინანსების 42,8%.[1] საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გამოყენებული იყო: 1960 წელს–47%, 1965 წელს – 64%, ხოლო 1975 წელს–59,3%.[2] საწარმოო დანიშნულების ობიექტებიდან 1951–1960 წლებში ექსპლოატაციაში გადაეცა: ბათუმის ლუდის კომბინატი (1952წ.) აჭყვის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის №2 ჩაის ფაბრიკები (1951, 1953, 1957წწ.) ხის დამამუშავებელი, რძისა და რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნები (1951, 1960 წწ.) ახალი საწარმოო კორპუსები ხორცკომბინატში, ფეხსაცმლის ფაბრიკასა და ტყავის ქარხანაში და სხვა.

მშენებლებმა 1961–1970 წლებში ააშენეს ისეთი მსხვილი სამრეწველო საწარმოთა შენობა–ნაგებობანი, როგორიცაა სახლთსაშენი მსხვილი პანელების ქარხანა (1961წ.), რკინა–ბეტონის პოლიგონი №2 და ვაჭრობის სამინისტროს მაცივარი (1962წ,) ბათუმის საშენ მასალათა კომბინატი (1963წ.), ღვინის ქარხანა (1965წ.) ქობულეთის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკა (1966წ.), აჭარის პურის კომბინატი (1967წ.), გონიოსა (ხელვაჩაურის რაიონი) და ქედის ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკები (1968, 1969წწ.), ბათუმის სახლთსაშენი და საწარმოო წარმოების კომბინატები (1968, 1970წწ.). ჭოროხის ინერტიული მასალების ქარხანა (1970წ.).

---

[1] აცსა, აპოგ, ფ.1, ან.73, ს.22, ფურც.13.

[2] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 40 წელი. ბათ., 1961, გვ.105; აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, ბათ., 1977, გვ.183; პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

სამრეწველო ხასიათის მშენებარე ობიექტების დასამთავრებლად მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა მომდევნო წლებშიც. 1972 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ურეხის (ხელვაჩაურის რ-ნი) პემზაბლოკების ქარხანა, ბათუმის ჩაის გადამწონი ფაბრიკა, ქედის ღვინის პირველადი გადამუშავების საწარმო, 1975 წელს — ელექტრომექანიკური ქარხნის ახალი საწარმოო კორპუსი, 1980 წელს — ქობულეთის №3 ჩაის ფაბრიკა, მეცხოველეობის უხეში საკვების ბარიოთერმული ტექნოლოგიით დამუშავების ქარხანა, 1985 წელს—მანქანათსაშნი ქარხნისა და სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ქედისა და ხულოს ფილიალები, ქობულეთის №5 ჩაის ფაბრიკა, 1986—1988 წლებში — ციტრუსების გადამამუშავებელი ქარხნის ("ნარინჯი") შენობა-ნაგებობანი და გემთსაშენი ქარხნის ახალი საწარმოო კორპუსები.

სოფლად დიდი მასშტაბის კაპიტალური მშენებლობანი XX საუკუნის 60-იან წლებიდან იწყება. საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყო. 1962 წელს ბათუმის შემოგარენში დაიწყო მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც დიდი დაგვიანებით (ათი წლის შემდეგ) გადაეცა ექსპლუატაციაში (1972წ.) სოფლად 1970 წელს ააშენეს 207 ობიექტი, ხოლო 120-ის მშენებლობა გაგრძელდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმით გათვალისწინებული იყო 2,5-ჯერ მეტი —527 შენობა—ნაგებობის ექსპლოატაციაში გადაცემა.[1]

ამ მიმართულებით მუშაობა გაძლიერდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის სექტემბრის დადგენილების შემდეგ.[2] ამ დროიდან გაიზარდა საწარმოო დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ობიექტების დაფინანსება და მშენებლობა, ამაღლდა მშენებლობის ხარისხი, შემოკლდა საიუშაოთა

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1971, 7 ოქტომბერი.
[2] საბჭოთა აჭარა, 1971, 22 სექტემბერი.

ვადები, გაუმჯობესდა საშენი მასალების მომარაგება და ინდუსტრიული აღჭურვილობა.

სოფლის მეურნეობის დარგში 1971–1980 წლებში მოქმედებაში შევიდა 93 მილიონ 637 ათასი მანეთის ძირითადი ფონდები. მომდევნო 8 წელიწადში–104 მილიონ 793 ათასი მანეთისა. აქედან საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას მოიხმარდა: 1971–1980 წლებში 73,3% (68,658 ათასი მანეთისა). 1981–1988 წლებში–68,5% (71771 ათასი მანეთი).[1]

სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ობიექტებიდან XX საუკუნის 60-იან წლებში ექსპლოატაციაში გადაეცა ბათუმის სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობის, ქობულეთის საკოლმეურნეობათაშორისი მეღორეობის ფერმის შენობა–ნაგებობანი. 1975 წელს დამრთავდა ქაქუთის (ქობულეთის რაიონი) საკოლმეურნეობათაშორისი მეფრინველეობისა და ახალსოფლის მებოცვერეობის ფერმების, გონიოს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასუქი მოედნის მშენებლობა. 1971–1975 წლებში აჭარაში აშენდა მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების 37 საწყობი 3115 ტონის ტევადობით, მომდევნო წლებში მეცხოველეობის 22 ფერმის კაპიტალური შენობა.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად. ამ წლებში სახელმწიფო დაფინანსებით ააშენეს სკოლების, კულტურულ–საგანმანათლებლო, სამკურნალო, სკოლამდელ ბავშვთა აღზრდის დაწესებულებათა შენობები, ადმინისტრაციული, საცხოვრებელი და დასასვენებელი სახლები. 1951–1952 წლებში ექსპლუატაციაში გადაეცა ბათუმის დრამატული თეატრის და შუახევის რაიონული ადმინისტრაციის შენობები. 1955–1960 წლებში–8 საშუალო სკოლის, ბათუმის ინფექციური საავადმყოფოს, საზაფხუ-

[1] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ლო თეატრის, სასტუმრო "გლეხთა სახლის", ქობულეთის რაიონული ადმინისტრაციის შენობები და სხვა.

სოციალურ–კულტურული დანიშნულების ობიექტების ფართო მასშტაბით მშენებლობანი განხორციელდა XX საუკუნის 60–80-იან წლებში. იგი დაჩქარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის ივნისის დადგენილების ("საბინაო–სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ") შემდეგ. ამიერიდან მშენებლობის ზოგიერთ სახეობაში გაიზარდა სამუშაოთა ტარიფიკაცია.[1] რამაც საგრძნობლად იმოქმედა ხარისხზე. გაუმჯობესდა სამშენებლო ნაგებობათა დაპროექტებაც. დაიწყო ახალი სერიის მრავალსართულიანი საბინაო–სამოქალაქო სახლების მშენებლობა.

სოციალურ–კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობით კიდევ მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა 1961-1970წწ. ამ პერიოდში საექსპლუატაციოდ გადაეცა საშუალო სკოლის 18, სკოლამდელ ბავშთა დაწესებების 24, საავადმყოფოს–პოლიკლინიკის 8 შენობა. მათგან აღსანიშნავია ბავშთა რესპუბლიკური საავადმყოფო, ონკოლოგიური დისპანსერი (1964წ.), ფსიქიატრიული საავადმყოფოს კორპუსები (1968, 1970წწ.), ქობულეთის რაიონის ცენტრალური და ბავშთა საავადმყოფოები (1961 და 1966წწ.).[2]

მომდევნო ათწლეულში (1971–1980) ექსპლუატაციაში გადაეცა 2,2-ჯერ მეტი (39) სასკოლო შენობა, №44 პროფესიულ–ტექნიკური სასწავლებელი, ბათუმის სახელმწიფო ვაჭრობის ტექნიკუმი (1972წ.), დელფინარიუმის, ბავშვთა სპორტის სასახლის (1974–1975წწ..). ბაგა—ბაღის 17 და საავადმყოფოების 5 ნაგებობა.[3] მათგან საყურადღებოა ქედისა და შუახევის რაიონული საავადმყოფოები (1971 და

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1969, 25 ივნისი.

[2] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.224, 225, 229.

[3] იქვე.

1975წწ.). 1981–1988 წლებში ააგეს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლის 28 შენობა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალსართულიანი ახალი სასწავლო კორპუსი (1990წ.), ბაგა–ბაღის 8 და საავადმყოფო–პოლიკნილიკების სამი ნაგებობა. დამთავრდა 600 საწოლიანი რესპუბლიკური ცენტრალური საავადმყოფოს მშენებლობის პირველი რიგის სამუშაოები და ექსპლუატაციაში გადაეცა ძირითადი კორპუსი.

ასობით ნაგებობა აშენდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მომსახურების, დასვენებისა და გართობის სისტემებში. მათგან გამორჩეულია ბათუმის სახელმწიფო უნივერმაღის, საკოლმეურნეო ბაზრის, ქორწინების სახლის, 18–სართულიანი სასტუმროს ("მედეა"), პანსიონატ "მესხეთის" შენობები. დიდი მასშტაბის საკურორტო მშენებლობა გაიშალა 70-იან წლებში. X ხუთწლედში (1976–1980 წლები) ამ მიზნისათვის ქობულეთში ათვისებული იყო 37,8 მილიონი მანეთი. კაპიტალური დაბანდებანი გაცილებით მეტი იყო გამოყოფილი, მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციებმა იგი ვერ აითვისეს. მწყობრში ჩადგა საკავშირო და და საკავშირო–რესპუბლიკური მნიშვნელობის პანსიონატები: "ჰორიზონტი", "მშენებელი" (1980წ.), "ფაკელი" (1975წ.), საქართველოს მინისტრთა საბჭოს, ცეკავშირის, შემოქმედებითი მუშაკების, დედათა ბავშვთა დასასვენებელი სახლები (1975–1980წწ.) და სხვა.

მნიშვნელოვნად დაწინაურდა საბინაო მშენებლობა. XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან ამ მიზნისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებთან ერთად იყენებდნენ საწარმოთა მოგების ნაწილს და მოქალაქეთა პირად დანაზოგებს. საგრძნობლად გაიზარდა მშენებარე საცხოვრებელი სახლების რაოდენობა. თუ 1953 წელს 6 თუ 7 საცხოვრებელი სახლი შენდებოდა, 1957 წელს 30, ხოლო 1958 წელს 37 ასეთი ობიექტი შენდებოდა.[1] პირველ ხა-

[1] საბჭოთა აჭარა, 1953, 1 ივლისი; 1957, 5 ოქტომბერი; 1958, 14 ივნისი.

ნებში საბინაო ობიექტების ექსპლოატაციაში გადაცემის ვადები ირღვეოდა. 1945–1953 წლებში მხოლოდ სამი საცხოვრებელი სახლი ააშენეს. 1954 წლიდან საბინაო მშენებლობანი დაჩქარდა. უკვე მომდევნო 2 წელიწადში 8, 1956 წელს 10, ხოლო 1957 წელს 17 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ააშენეს.[1]

სამშენებლო ორგანიზაციებმა წარმატებით აითვისეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ტექნოლოგია. 1967 წელს ბათუმში პირველად დაიწყო 12–სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მომდევნო წლებში ექსპლუატაციაში გადასცეს რამდენიმე ასეთი შენობა. ბათუმში პირველად 1990 წელს აიგო 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. მასობრივად შენდებოდა 5 და 9 სართულიანი სახლები. მხოლოდ 1979 წელს სახლთსაშენმა კომბინატმა ექსპლუატაციაში გადასცა 14 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.[2]

ამ მიღწევების მიუხედავად კაპიტალურ მშენებლობაში ბევრი ნაკლი და გადაუჭრელი პრობლემა არსებობდა. მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციები გამოყოფილ სახსრებს ვერ ითვისებდნენ. კერძოდ, 1959–1965 წლებში ვერ აითვისეს 11,1 მილიონ მანეთზე მეტი, რაც საერთო დაფინანსების 12,4% შეადგენდა. 1966–1970 წლებში აუთვისებელი ფულადი სახსრების მოცულობა 6,5 მილიონ მანეთს აღემატებოდა (8,8%), 1971–1980 წლებში – 70 მილიონ მანეთს. მეტნაკლებად ასეთივე მდგომარეობა იყო XX საუკუნის 80-იან წლებში. მაგალითად, 1981–1985 წლებში აუთვისებელი დარჩა 56,1 მილიონ მანეთზე მეტი – გამოყოფილი სახსრების 18,7%.[3]

მშენებარე ობიექტების ექსპლოატაციაში გადაცემა წლობით ჭიანურდებოდა. ხშირად ირღვეოდა სახელშეკ-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1957, 11 თებერვალი, 4 ივნისი.

[2] საბჭოთა აჭარა, 1980, 29 თებერვალი.

[3] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; საბჭოთა აჭარა, 1985, 26 დეკემბერი.

რულებო ვალდებულებები, საშემსრულებლო და საგეგმო დისციპლინა. შრომის არასაკმარისი ანაზღაურების პირობებში მშენებლობაზე მუშახელის დეფიციტი ყოველთვის იგრძნობოდა. დროულად ვერ მიეწოდებოდა საშენი მასალები, ასე მაგალითად, 1967 წლის სექტემბერში 12 დღის მანძილზე №5 ტრესტს ცემენტი საერთოდ არ მიეწოდებოდა, ხოლო 1970 წელს ამავე მიზეზით სახლთსაშენი კომბინატი დიდხანს გაჩერებული იყო.[1]

მეტნაკლებად ანალოგიური სურათი იყო მომდევნო წლებშიც. სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო სიმძლავრეები სისტემატურად დაუტვირთავი რჩებოდა. მაგალითად, 1972 წელს სახლთსაშენი კომბინატის სიმძლავრეების დატვირთვის კოეფიციენტი 72%, ხოლო 1978 წელს –75,7%-ს შეადგენდა. ამავე წელს მშენებლობის №5 ტრესტის საშენი მასალები სანახევროდ არ გააჩნდა. 1980 წელს არ მიაწოდეს გეგმით გათვალისწინებული 374 ათასი ცალი აგური, ხოლო სასოფლო მშენებლობის №15 ტრესტს–1 მილიონ 32 ათასი ცალი.[2]

სამშენებლო ორგანიზაციებს აკლდათ საჭირო ტექნიკა. მაგალითად, ნოვოროსიისკის საზღვაო მშენებლობის ტრესტის ბათუმის სამმართველოს (№435), რომელიც აჭარის ტერიტორიაზე აწარმოებდა ზღვის სანაპიროს გამაგრების სამუშაოებს, არ გააჩნდა საჭირო მექანიზმები. იგი სისტემატურად განიცდიდა საშენი მასალების ნაკლებობას და ამის გამო გეგმებსაც ვერ ასრულებდა (1968წ. პირველი ნახევრის გეგმა 61,6%-ით შეასრულა). მეტნაკლებად ასე იყო სხვა დროსაც. ხელისუფლების ოფიციალური ცნობებით, მთლიანად საქართველოში მშენებლობის მექანიზაცია დაბალ დონეზე იდგა. მცირე მექანიზაციას საერთოდ ვერ იყენებდნენ. ამიტომ სამუშაოთა მნიშვნელო-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.59, ს.102, ფურც.62-90; ან.60, ს.40, ფურც.1-6; ან.64, ს.136, ფურც.81.

[2] აცსა, პპოგ, ან.64, ს.136, ფურც.66-99; ან.74, ს.21, ფურც.73; საბჭოთა აჭარა, 1980, 19 დეკემბერი.

ვანი ნაწილი ხელით სრულდებოდა. კადრების ტექნიკური მომზადება ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნებს.[1]

წლის განმავლობაში არაპროპორციელად ნაწილდებოდა სამუშაოები. მათი 40%, ზოგჯერ მეტიც, მოდიოდა IV კვარტალზე, ასეთი მდგომარეობა იწვევდა იერიშობანას, რის გამო მშენებლობის ხარისხი დაბალი იყო. მშენებლობაში ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების, ხარისხის გაუმჯობესების, სახელშეკრულებო, საგეგმო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების მიზნით 1976 წლის მარტში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტში შეიქმნა სპეციალური შტაბი, ხოლო 1977 წელს — მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილება. ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ჩამოყალიბდა კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, რომელიც 1987 წლამდე ფუნქციონირებდა.

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტთან არსებული სპეციალური შტამბი წარმოადგენდა მაკოორდინირებელ და მაკონტროლებელ სათათბირო ორგანოს. იგი კვირის ბოლოს აჯამებდა სამუშაოების მიმდინარეობას. ცხადია, აღნიშნულ შტაბს დადებითი წვლილი შეჰქონდა მშენებლობის განვითარებაში. მაგრამ მას ვითარებაში არსებითი გარდატეხა არ შეუტანია და ამას ვერც შეძლებდა.

საერთოდ 1951—1990 წლებში კაპიტალური მშენებლობის გეგმები რეალურ შესაძლებლობებს აღემატებოდა. ამიტომ იშვიათი იყო ისეთი სამეურნეო წელი, როდესაც გეგმები სრულდებოდა. მიუხედავად ამისა, მიღწევები მნიშვნელოვანი იყო. ამ წლებში აჭარის რეგიონში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, სამშენებლო სფეროში შეიქმნა საკმაოდ მძლავრი მატერიალურ—ტექნიკური ბაზა.

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1968, 2 აგვისტო; 1970, 9 სექტემბერი; 1971, 3 ივლისი.

3. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

XX საუკუნის 50–80-იან წლებში ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ ახალი აღმავლობა განიცადა, რაც განაპირობა სამეცნიერო–ტექნიკურმა პროგრესმა, მატერიალური წარმოებისა და მოსახლეობის რაოდენობრივმა ზრდამ, ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარებამ, საშინაო და საგარეო კავშირურთიერთობის გაფართოებამ. ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ამ დარგების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაფართოება–განმტკიცების, ახალი სახეობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სისტემების გამართვის, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დონის ამაღლების, მომსახურების კულტურის გაუმჯობესებისათვის.

აჭარის რეგიონისათვის მნიშვნელოვანი სიახლე იყო ბათუმში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დაფუძნება, საბაგირო და ელექტროტრანსპორტის ამოქმედება. მაგრამ ამავე დროს გარკვეულ სიძნელეებს ჰქმნიდა, როგორც ტრანსპორტის, ისე კავშირგაბმულობის ერთიანი რეგიონალური სახელმწიფო სამსახურის არარსებობა. ტრანსპორტის მართვა დაქსაქსული იყო საკავშირო და საქართველოს რესპუბლიკურ უწყებებში. აჭარაში ფუნქციონირებდა სარკინიგზო ტრანსპირტის 5 დამოუკიდებელი ორგანიზაცია (სალიანდაგო დისტანცია, სავაგონო დეპო, სატვირთო სადგური, სამგზავრო ვაგზალი, სალოკომოტივო დეპო). ისინი შედიოდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში. რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი ცენტრიდან (მოსკოვიდან) იმართებოდა, ექვემდებარებოდა სამ საკავშირო უწყებას (გზათა მიმოსვლის, საზღვაო ფლოტისა და სამოქალაქო ავიაციის სამინისტროებს). აჭარაში განლაგებული №4 ტრესტში გაერთიანებული ავტოტრანსპორტის საწარმოები საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს იურისდიქციაში შედიოდნენ.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებიც პოლიტიზირებული იყო. საწარმო–ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე თითოეულ მათგანში შექმნილი იყო პარტიული, პროპკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოეხდინათ წარმოების მუშაკებზე. მსხვილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები მოქმედებდნენ ბათუმის საზღვაო ნავსადგურში, რკინიგზაზე და საავტომობილო ტრანსპორტზე. 1967-1968 წლებში ჩამოყალიბდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს რესპუბლიკური პროფკავშირული ორგანიზაცია, პარტიული და კომკავშირული კომიტეტები რაიკომის უფლებით.

რკინიგზის საწარმოებში საზოგადოებრივ–პოლიტიკური ორგანაზაციები დაქსაქსული იყო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის დადგენილებით "რკინიგზის ტრანსპორტზე პარტიულ–პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" მოხდა მათი გაერთიანება. 1980 წელს აგვისტოში ჩატარდა პირველი პარტიული კონფერენცია და შეიქმნა ბათუმის რკინიგზის კვანძის პარტიული კომიტეტი.[1] მოგვიანებით აჭარის რეგიონის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების პირველადი პარტიული ორგანაზაციების ბაზაზე შეიქმნა პარტიული კომიტეტი.

ქვეყნისათვის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტმა. აჭარის რეგიონში მათი დიდი მნიშვნელობა განაპირობა სატრანზიტო ფუნქციამ. მართალია, აჭარაში რკინიგზის მთავარი ლიანდაგის სიგრძე მხოლოდ 35 კმ-ს შეადგენდა, მაგრამ იგი ძალზე დატვირთული იყო.

რკინიგზის ტრანსპორტის სისტემას შეემატა ვაგზლებისა და პლატფორმების ახალი შენობები (ქობულეთი,

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1980, 20 აგვისტო.

მახინჯაური, და სხვა). 1953 წელს ელერქტროფიცირებული გახდა ბათუმ–სამტრედიის სარკინიგზო ხაზი. 1955 წელს სალოკომოტივო დეპოში მიიღეს ახალი სერიის ელექტრო სექციები, რომელთა სიჩქარე საათში 85 კმ–მდე აღწევდა. 1965 წელს დაბა მახინჯაურთან ექსპლოატაციაში შეეიდა გვირაბი, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მატარებლების მოძრაობა. საწარმოებთან მიიყვანეს ახალი ლიანდაგები, როიმელთა საერთო სიგრძე 33-დან 50კმ–მდე გაიზარდა. 1967 წელს მთავარ ლიანდაგებზე პირველად დააგეს რკინაბეტონის ბანძელები, 1973–1974 წლებში ბათუმ-ოჩხამურის მონაკვეთზე–ე.წ. უპირაპირო რელსები.[1]

მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა სავაგონო და საკოლომოტივო დეპოებში. კერძოდ, სავაგონო დეპოს შენობას, რომელიც აგებული იყო 1886 წელს, კაპიტალური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა XX საუკუნის 60-იან წლებში. აქედან 1969 წელს დამრთავდა პირველი რიგის სამუშაოები, ხოლო მომდევნო წლებში განხორციელდა მთლიანი რეკონსტრუქცია. ამის შედეგად სამუშაოთა მექანოზაციის დონე 20-დან 75%-მდე გაიზარდა.[2] დეპოში ააშენეს ავტოგადაბმულობის მაკონტროლებელი პუნქტი, 1969 წელს–გოგორწყვილის შემკეთებელი, ხოლო უფრო ადრე ელექტროშემდუღებელი საამქროები. 1971 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ვაგონის ურიკის სარემონტო კონვეირი, ხიდური ამწე და სხვა.

რინიგზაზე საგრძნობლად გაუმჯობესდა კავშირგაბმულობის სამსახური. ბათუმის სატვირთო სადგურში სამანევრო რადიო–კავშირი პირველად დაინერგა 1951 წელს. 1965–1971 წლებში სამტრედია–ბათუმის სადგურებში დამონტაჟდა რადიოკავშირების ახალი აპარატები, განხორციელდა აგრეთვე სამგზავრო მატარებლების ელექტროსეკ-

---

[1] საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ბათუმის კვანძის სამმართველოს მიმდინარე არქივი.

[2] საბჭოთა აჭარა, 1971, 6 ოქტომბერი; 1972, 14 მარტი.

ციების რადიოფიცირება.[1] აჭარის რკინიგზის საწარმოებს ემსახურებოდა უწყებრივი საავადმყოფო, კლუბ-ბიბლიოთეკა საზოგადოებრივ კვების ფართო ქსელი (კაფე-რესტორნები და პურის საცხობები), საკუთარი სასტუმრო და სხვა.

აჭარის რეგიონში განლაგებული რკინიგზის საწარმოებში 2 ათასზე მეტი კაცი მუშაობდა 1946–1990 წლებში სატვირთო სადგურს უნარიანად ხელმძღვანელობდნენ ნ. ქუთათელაძე (1946–1951), გ. კალანდაძე (1951–1955), ლ. ვარდოსანიძე (1955–1958), ე. შარაბიძე (1967–1969 და 1967–1986), ვ. ბლიაძე (1986–1994). სავაგონო დეპოს საქმიანობას XX საუკუნის 50–80-იან წლებში ნაყოფიერად წარმართავდნენ მ. ფირცხალავა და გ. ცირეკიძე.

რკინიგზის ორგანიზაციებში გეგმები და ვალდებულებები სისტემატურად გადაჭარბებით სრულდებოდა. ცხადია, მრავალი პრობლემაც იყო. მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დიდი ნაწილი წლების მანძილზე თავდადებით მუშაობდა და საკავშირო შრომით მეტოქეობაში ხშირად გამარჯვებულიც გამოდიოდა. მაგალითად, სავაგონო დეპოში 1980 წელს დადგენილ ნორმებს 150–160%-ით ასრულებდნენ. ამავე წელს პირველი და მეორე კვარტლის მიხედვით მან სსრ კავშირის გზათა სამინისტროს სისტემაში მესამე პრემია დაიმსახურა, ამიერკავკასიის რკინიგზაში – პირველი. ასე იყო სხვა დროსაც. 1984 წერლს მან საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვა, ხოლო 1985 წელს მეორე ადგილი დაიკავა.[2]

საგრძნობი მიღწევები ჰქონდა სალოკომოტივო დეპოს კოლექტივს. 1979 წელს შრომითი მიღწევებით იგი ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოებს შორის მეორე ადგილზე გამოვიდა, ხოლო სამტრედიის განყოფილებაში–პირველზე. 1980 წლის პირველ ნახევარში აქ გეგმის გადამეტებით შეაკეთეს 26 ელექტროსექცია, 7 თბომავალი, დაზოგეს

---

[1] საქართველოს რკინიგზის კვანძის ბათუმის სამმართველოს მიმდინარე არქივი.

[2] საბჭოთა აჭარა, 1980, 2 აგვისტო; 1984, 5 აგვისტო; 1985, 3 აგვისტო, 6 ნოემბერი.

12110 კგ საწვავი და 83952 კილოვატსაათი ელექტროენერგია.[1] 1985 წლის პირველ ნახევარში დაზოგეს ერთ თვეში საკმარისი ელექტროენერგია (50 ათასი კილოვატსაათი) და ათი დღის საკმარისი საწვავი (5,5 ტონა). შრომაში თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვეს ვ. რუხაძემ, ნ. ხელაიამ, ვ. მეგრელიძემ, ჭ. ხუნდაძემ, ა. გაბაიძემ და სხვებმა.[2]

მრავალი მოწინავე ადამიანი მუშაობდა სავაგონო დეპოში, სალიანდაგო დისტანციაში და სატვირთო სადურში. მაგალითად, ჯ. მეფარიშვილმა 30 წელი იმუშავა სატვირთო სადგურში და თავდადებული შრომის შედეგად რკინიგზის ტრანსპორტის საპატიო წოდება მიანიჭეს და არაერთი ჯილდო მიიღო. ზ. აბუსერიძემ სამ ათეულ წელზე მეტი იმსახურა და განვლო რიგითი გზა მუშიდან სადგურის უფროსის მოადგილის თანამდებობამდე. ვ. ჩომახიძემ ბათუმის სატვირთო სადგურში მუშაობა დაიწყო 1946 წელს მემანქანის თანაშემწედ. 1959 წელს მატარებლის შემდგენლად დააწინაურეს, სადაც შრომაში სამაგალითო მიღწევები ჰქონდა შრომაში. მ. ჩომახიძემ არაერთი პროგრესული მეთოდი დანერგა. 1959 წელს წარჩინებული მემანქანე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

რკინიგზელთა საქმიანობის მთავარი შედეგები აკუმულირებული იყო სატვირთო სადგურში. აქ ხდებოდა მთავარი საოპერაციო საქმიანობა: ტვირთვისა და ვაგონების დამუშავება, მიღება და გაგზავნა. 1952–1963 წლებში ტვირთის დამუშავება 4,8 მილ. ტონიდან 8,9 მილ. ტონამდე გაიზარდა. 1964 წელს დაამუშავეს 9,7 მილ. ტონა, 1965 წელს–8,3 მილ. ტონა, 1970 წელს–7,1 მილ. ტონა, 1975 წელს–10,5 მილ. ტონა. 1980 წელს ამ მაჩვენებელმა დაიწია 9,7 მილ. 1985 წელს– 8,5 მილ. და 1990 წელს–6,8 მილ. ტონამდე. XX საუკუნის 60–80-იან წლებში სატვირთო სად-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1979, 4 აგვისტო; 1980, 2 აგვისტო, 1984, 5 აგვისტო, 1985, 3 აგვისტო.

[2] საბჭოთა აჭარა, 1959, 10 მარტი.

გურში 100 ათასიდან 200 ათასამდე ვაგონს ამუშავებდნენ. მაგალითად, 1987 წელს დაამუშავეს 154117, 1988 წელს. 155143, ხოლო 1990 წელს 118549 ვაგონი.[1] ცხადია, 1989–1990 წლების მოვლენებმა ტრანსპორტზეც უარყოფითად იმოქმედა.

ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ძირეული რეკონსტრუქცია და უახლოესი ტექნიკით აღჭურვა XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო და 90-იან წლებამდე გაგრძელდა. ამ მიზნისათვის 1954–1955 წლებში დაიხარჯა 142 ათასი, ხოლო 1957–1958 წლებში–192,4 ათასი მანეთი.[2] ნავსადგურის გენერალური რეკონსტრუქცია 50–იანი წლების ბილოს დაიწყო და საამისოდ 1959–1965 წლებში 52 მილიონი მანეთი გამოიყო.[3] დიდი ოდენობის თანხები აითვისეს მომდევნო წლებშიც. ყველა ნავმოსადგომს კაპიტალური რეკონსტრუქცია გაუკეთდა. 1962 წელს ექსპლუატაციაში შევიდა საზღვაო ვაგზალი, 1967 წელს–დიდტონაჟიანი ტანკერების მისაღები, 1968 წელს – გამწმენდი ნაგებობა–მოწყობილობა, მგზავრთა ნავმისადგომი, 1974 წელს – სატვირტო-სამგზავრო პირი ქობულეთში, 1978 წელს – ახალი სამგზავრო ნავმისადგომი ტურისტებისათვის, 1968 წელს–სამსართულიანი შენობა ტექნიკური მომსახურებისათვის და სხვა.

ნავსადგურში მძლავრი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა შეიქმნა. 1950–1990 წლებში ძირითადი საშუალებები 20-ჯერ გაიზარდა (1,4 მილიონიდან 27,8 მილიონ მანეთამდე). აქ ფუნქციონირებდა 18 განყოფილება, უბანი, საამქრო. ნავსადგურის საერთო ფართობი 1973 წელს 73,7 ჰექტრიდან 1990 წელს 400 ჰექტრამდე, ე.ი. 5,5-ჯერ გაიზარდა სადაც განლაგებული იყო 11 სატვირთო და ერთი სამგზავრო ნავმისადგომი, 13 საწყობი. (7 დახურული და

---

[1] საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ბათუმის სამმართველოს მიმდინარე არქივი.

[2] აცსა, ფ.რ-60, ან.1, სს.238, 247; ან.1, სს.301, 394.

[3] Болквадзе А. Батумский морский торговый порт, Бат., 1996, с.179.

ექვსი ღია). ნავმისადგომების საერთო სიგრძე 2,1 კმ, ხოლო საწყობების ფართობი 23385 მ² შეადგენდა (9910 მ² დახურული და 13475 მ² ღია).[1]

ნავსადგურში დაიდგა ტვირთის დამუშავების ახალი მარკის საზღვარგარეთული ტექნიკა: პორტალური ამწეები, პნევმოგადამტვირთავები, ელექტრომტვირთავები, ავტომტვირთავები და სხვა. 1966 წელს მათი რაოდენობა 69 ერთეული იყო. მათ შორის 11 პორტალური ამწე და 40 ელექტრომტვირთავი. XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის ისტორიაში პირველად ბათუმის ნავსადგურში დაინერგა ტვირთის გადამუშავების ახალი მეთოდი ხიდური ამწე, რითაც უამინდობისას გემებისა და მუშახელის მოცდენა მთლიანად გამოირიცხა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ტვირთის დამუშავების ისეთ ახალ მეთოდს, როგორიცაა ტრიუმი–გემბანი–ვაგონი. ტვირთამწეს ტრიუმის მეშვეობით ტვირთი გემბანიდან პირდაპირ ვაგონებში გადაჰქონდათ. ერთ–ერთი ხომალდის გადმოტვირთვისას დროის ეკონომიამ 49 საათი შეადგინა.

ტექნიკის განახლება შემდგომში გრძელდებოდა, რაზედაც მნიშვნელოვანი თანხები იხარჯებოდა, მაგრამ უკუგებაც დიდი იყო. 1982 წელს ნავსადგურმა შეიძინა 14 ერთეული დანადგარი, 1983 წელს –19, 1984 წელს–13, 1985–წელს–14, 1986 წელს–7, 1987–1990 წლებში–20 ცალი უახლესი მარკის ტვირთამწეები და სხვა. ამის შედეგად დატვირთვა–გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაციამ შეადგინა: 1970 წელს 82,8%, 1980 წელს – 90,9%, 1985 წელს 96,2%. 1955–1980 წლებში ერთი მომუშავის გამომუშავება გაიზარდა 1887-დან 7465 ტონა ოპერაციამდე.[2]

---

[1] აცსა, ფ.რ-60, ან.1, სს.128, 135, 210, 787, 1247, 1369, 1377; ა. ბოლქვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.200.

[2] აცსა, ფ.რ-60, ან.1, სს.159, 587, 714; ან.1[ა], სს.280, 1036; ბათუმის ნავსადგურის ეკონომიკური განყოფილების მონაცემები; საბჭოთა აჭარა, 1962, 6 თებერვალი.

მნიშვნელოვნად განვითარდა ნავსადგურის შიდამომსახურების ფლოტი და ავტომეურნეობა. თუ 1951 წელს ფლოტი შედგებოდა 13 პატარა ხომალდისაგან, 1973 წელს 21 ერთეულამდე გაიზარდა. ასეთივე ვითარებაა 1990 წელსაც. ნავსადგურის ფლოტის სამარშრუტო პუნქტები იყო მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ქობულეთი, ფიჭვნარი, ფოთი. ამ პუნქტებში გადაჰყავდათ მგზავრები და გადაჰქონდათ ტვირთი. ფლოტი ემსახურეობდა აგრეთვე ნავსადგურის საწარმოო დანაყოფებს, დიდტონაჟიან გემებს. საავტომობილო ტრანსპორტის რაოდენობა 1951–1990 წლებში 13-დან 35 ერთეულამდე გაიზარდა.

XX საუკუნის 90-იან წლებში ნავსადგურის სიმძლავრეები საკმარისი იყო 10,5 მილ. ტონა ტვირთის გადამუშავებისათვის (2,5 მილიონი ტონა მშრალი და 8 მილიონი ტონა თხევადი). საამისოდ მას საწარმო-ტექნიკური პერსონალიც ჰყავდა, რომლის მომზადებას წლები მოუნდა. 1956 წელს ნავსადგურის მომსახურე პერსონალი 631 კაცს მიითვლიდა, რაც 1950 წლის მაჩვენებელს 192 ერთეულით აღემატებოდა. 1966 წელს მომუშავეთა რიცხოვნობა 1122-მდე გაიზარდა, მაგრამ მომდევნო წლებში იგი შესამჩნევად შემცირდა. კერძოდ, 1970წელს 1034, 1980 წელს 883, ხოლო 1990 წელს 764 კაცამდე. ასეთი შემცირება განპირობებული იყო საწარმოო ოპერაციების მექანიზაციითა და ავტომატიზაციით.

ნავსადგურის შრომითი კოლექტივი აჭარის სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო საწარმოებს შორის ყველაზე მეტად მრავალეროვანი იყო. (ძირითადად ბირთვს შეადგენდნენ რუსები, ქართველები, სომხები და უკრაინელები). 1957 წელს 750 მომუშავიდან ქართველი იყო 209 (27,9%), რუსი–305 (40,7%), სომეხი–109 (14,5%).[1]

---

[1] აცსა, ფ.რ-60, სს.128, 135, 159, 394, 787, 864, 1369, 1377; ან.1[ა], სს. 263, 558, 1036; 1990 წლის მონაცემები აღებულია ნავსადგურის შრომისა და ხელფასის განყოფილებიდან.

ნავსადგურს ჰყავდა საკმაოდ კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. მათი რიცხოვნობა 1956 წელს 45 კაციდან 1980 წელს 114-მდე, ხოლო 1990 წელს—161-მდე გაიზარდა. უმრავლესობას პროფესიული განათლება მიღებული ჰქონდა რუსეთის საზღვაო სასწავლებლებში. მუშათა კადრების გამოზრდა ძირითადად მიმდინარეობდა თვით საწარმოში, რისთვისაც შექმნილი იყო სპეციალური ბრიგადები და ჯგუფები, გამოიყენებოდა ინდივიდუალური სწავლების ფორმაც.

მექანიზაციის და ავტომატიზაციის ახალი ტექნიკის დანერგვამ აუცილებელი გახადა თანამშრომელთა ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლება. 1951—1958 წლებში 100-დან 200-მდე კაცი ეუფლებოდა ახალ პროფესიას და იმაღლებდა კვალიფიკაციას. მაგრამ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება გარდატეხა მუშათა პროფესიული კადრების მომზადებაში. 1961 წელს მოამზადეს 204 კაცი, 1965 წელს-327, 1966 წელს—368, ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. 1970 წელს პროფესიას დაეუფლა 175 მუშა, 1975 წელს—179, 1980 წელს—156. 1981—1990 წლებში საშუალოდ წლიურად ამზადებდნენ სხვადასხვა პროფესიის 146 მუშას, ძირითადად დოკერებს, დოკერ—მექანიზატორებს, სანაპიროს მეზღვაურებს, ამწე მემანქანეებს, გემის ძრავის სპეციალისტებს და სხვა. საგრძნობი მუშაობა მიმდინარეობდა ინჟინერ—ტექნიკური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეორე პროფესიის დაუფლებისათვის. მაგალითად, 1960 წელს კვალიფიკაცია აიმაღლა 155 კაცმა, 1961 წელს—183. 1965 წელს—75, 1966 წელს—214, 1980 წელს—344 მომუშავემ. 1981—1990 წლებში საშუალოდ წლიურად კვალიფიკაციას იმაღლებდა 118 ინჟინერ—ტექნიკური მუშაკი. აღსანიშნავია, რომ 1985 წელს მეორე პროფესია შეის-

წავლა 133 კაცმა, რაც თანამშრომელთა საერთო რაოდენობის 15,8%ს შეადგენდა.[1]

ახალი კადრების განუწყვეტელი მომზადება განპირობებული იყო დიდი დენადობით. 1956 წელს ნავსადგურში სამუშაოზე მიიღეს 372, ხოლო დაითხოვეს 277 კაცი, 1961 წელს—419 და 276, 1975 წელს 534 და 426, 1980 წელს 410 და 304, 1985 წელს 372 და 299 კაცი. მართალია, მომდევნო წლებში მუშათა დენადობა შესამჩნევად შემცირდა, მაგრამ მაინც საგრძნობი იყო.[2]

კადრების ასეთი მაღალი დენადობა გამოწვეული იყო არა მხოლოდ თაობათა ცვლით, რაც ბუნებრივი პროცესია, არამედ, აგრეთვე შრომის მძიმე და საყოფაცხოვრებო პირობების მოუგარებლობით, ძირითადად ეს ეხება მტვირთავ მუშებს, რომელთა დიდი ნაწილი XX საუკუნის 50—60-იან წლებში სეზონურად (ზამთრობით) მოდიოდნენ სამუშაოდ.

მტვირთავი მუშების შრომა გაცილებით მძიმე იყო. ისინი დღე—ღამის განმავლობაში უწყვეტი ციკლით მუშაობდნენ, ძირითადად ღამის საათებში. ამ პროფესიის მუშებზე ნაკლებობა ყველაზე მეტად იგრძნობოდა XX საუკუნის 50—60 წლებში, როცა მცირე მექანიზაციას საერთოდ ვერ იყენებდნენ. 1953 წელს, მაგალითად, ნავსადგურს აკლდა 135, ხოლო 1954 წელს—124 მუშა.[3]

ნავსადგურში მცირე მექანიზაციის დანერგვა პირველად 1959 წელს დაიწყო, როდესაც შეიძინეს 1,5 ტონა ამწეობის 4 ცალი მანქანა. მაგრამ ეს არ იყო დიდი შეღავათი. ცხადია ხელით შრომა კვლავ ჭარბობდა მომდევნო წლებშიც, ნავსადგურის 1979 წელს ეკონომიკურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამუშაოს ძირითადად ტოვებდნენ

---

[1] აცსა, ფ.რ-60, ან.1, სს.133, 134, 135, 159, 247, 263, 280, 296, 320, 321, 348, 394, 558, 714, 1036; 1981-1990 წლების მონაცემებში აღებულია ნავსადგურის საგეგმო და ეკონომიკური განყოფილებიდან.

[2] იქვე, სს.280, 394, 864, 1036, 1247, 1369.

[3] იქვე, ს.208, ფურც.68.

მტვირთავი მუშები. მიზეზი იყო დაბალი და არამყარი ხელფასი, აგრეთვე ღამის საათებში მუშაობა.[1] მართალია, 1975 წელს მუშებს ხელფასი გაუზარდეს და ნავსადგური ორცვლიან მუშაობაზე გადაიყვანეს, მაგრამ ამით მტვირთავების მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა. 1980 წელს როდესაც შრომის პირობები შესამჩნევად გაუმჯობესებული იყო, ნავსადგურს ისევ აკლდა 50 კაცი.[2]

სიძნელეების მიუხედავად, ნავსადგურის შრომითი კოლექტივი გეგმებსა და ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებდა. შრომითმა მეტოქეობამ, ჭარბი პოლიტიზების მიუხედავად, გარკვეული როლი შეასრულა. XX საუკუნის 50-იან წლებში შეჯიბრებაში მონაწილეობდა შრომითი კოლექტივის უმრავლესობა, ხოლო 60-იანი წლებიდან – მთელი პერსონალი. შეჯიბრება გაიშალა არამარტო ნავსადგურის ქვედანაყოფებს შორის, არამედ აგრეთვე მომიჯნავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომით კოლექტივებთან. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იგი ეჯიბრებოდა ფოთის, სოხუმის, ტუაფსეს საზღვაო ნავსადგურებს, რკინიგზის ბათუმის სატვირთო სადგურს, ავტოსატრანსპორტო საწარმოებს და სისტემატურად იმარჯვებდა.

XX საუკუნის 50-იანი წლიდან ბათუმის ნავსადგურში შრომითი მეტოქეობის არაერთი ფორმა გამოიცადა. ყოველწლიურად ეწყობოდა შეჯიბრება "საუკეთესო პროფესიისა" და "საუკეთესო ხარისხის ბრიგადის" წოდების მოპოვებისათვის. 1966 წელს ეს წოდება დაიმსახურა 30, 1970 წელს–87, 1976 წელს–98 კაცმა. 1978 წელს "საუკეთესო პროფესიის" წოდება მიენიჭა დოკერ-მექანიზატორთა №4 ბრიგადას, აგრეთვე მუშათა იმ ნაწილს, რომლებიც მუშაობდნენ ინდივიდუალური გრაფიკით. ნავსადგურის კოლექტივი არაერთხელ გამოვიდა შრომითი მეტოქეობის მოწყობის ინიციატორად. 1969 წლის ბოლოს მან მოწოდებით მიმართა საქართველოს სანაოსნოს ყველა მუშაკს

---

[1] იქვე, ს.864, ფურც.63.
[2] იქვე, ს.1036, ფურც.46.

გაეშალაიშეჯიბრება 1970 წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის. ასეთივე ინიციატივით ბათუმელი მეზღვაურები გამოვიდნენ 1978 წელსაც.

ნავსადგურში მასობრივი გახდა შეჯიბრება ე.წ. "კომუნისტური შრომის" დამკვრელისა და კოლექტივის სახელის მოპოვებისათვის. 1966 წელს მთელი პერსონალი (960 კაცი) 70 ბრიგადისა თუ ქვედანაყოფის კოლექტივი, იბრძოდა ამ სახელისათვის. 1967 წელს "შრომის დამკვრელის" წოდება მიენიჭა 581 მომუშავეს, 19 ბრიგადის თუ ქვედანაყოფის კოლექტივს.

ბათუმის ნავსადგურის კოლექტივი გულმოდგინედ სწავლობდა სხვა რეგიონების საწარმოთა თაოსნობას და ნერგავდა მას. XX საუკუნის 70-იან წლებში ნავსადგურში გავრცელდა თბილისისა და რუსთავის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების წამოწყებები "დისციპლინის განმტკიცებას – მუშური გარანტია, არცერთი უდისციპლინო ჩვენს შორის", "ხარისხის ხუთწლედს –მუშური გარანტია". 1978 წელს ახალი ძალით გაიშალა შეჯიბრება–"არცერთი ჩამორჩენილი განყოფილებაში, ცვლაში, ბრიგადაში, ეკიპაჟზე, ვახტზე", "ვიმუშაოთ ეფექტიანად, ეკონომიურად და წონის გარეშე".

ბათუმის ნავსადგურში დაინერგა რუსეთის ფედერაციის ჩელიაბინსკის ოლქის რკინიგზელთა თაოსნობა ვაგონების მოცდენების შემცირებაზე და ტუვის ოლქის ქალაქ შჩეკინოს ქიმიური კომბინატის კოლექტივის ინიციატივა საწარმო ფარეობისა მუშახელის გაუდიდებლად მეტი პროდუქციის გამოშვების შესახებ. 1978 წელს ბათუმის ნავსადგურში ერთი ვაგონის დამუშავება დადგენილ ნორმასთან შედარებით შემცირდა 16,8%, 1979 წლის პირველ ნახევარში–13,1., 1985 წელს–12,3%, 1987 წელს–24,7%-ით მუშახელის გაუდიდებლად შრომის ნაყოფიერებაც გაიზარ-

და: 1977 წელს–11,2%, 1978 წელს–11,0%, XI ხუთწლედში–20%-ით.[1]

შრომით მეტოქეობაში გამარჯვების გამო ბათუმის ნავსადგურმა არაერთხელ დაიმსახურა მთავრობის ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები. სსრ კავშირის ნავსადგურებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში 1968 წელს მან დაიკავა მესამე, ხოლო საქართველოში–პირველი ადგილი.[2] 1976 წელს ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი საქართველოს საზღვაო ნავსადგურებს შორის შეჯიბრებაში და სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს მესამე ხარისხის ფულადი პრემია მიიღო. 1978 წელს ასევე სამივე კვარტალში გაიმარჯვა და სსრ კავშირის მასშტაბით საპრიზო ადგილი დაიკავა.[3] შესანიშნავი მიღწევების გამო ბათუმის ნავსადგური 1978 წელს დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

ომისშემდგომ პერიოდში ნავსადგურის განვითარებაში, გეგმებისა და ვალდებულებების შესასრულებლად კოლექტივის დარაზმვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მისმა თავკაცებმა: შ. სიმონიშვილმა (1952–1963წწ.). ბ. ლომთაძემ (1963–1966 წწ.), ზ. ტუსკიამ (1966–1974 წწ.), ა. რატიანმა (1974–1988წწ.). ნავსადგურელები მუხლჩაუხრელად შრომობდნენ და ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებდნენ. 1971–1975 წლებში მათ ვალდებულება ორი თვით ადრე შეასრულეს და დამატებით დაამუშავეს 200 ათასი ტონა ტვირთი. 1981–1985 წლებში გეგმის გადამეტებით დაამუშავეს 700 ათასი ტონა ტვირთი, დაზოგეს 181 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 327 ათასი ტონა პირობითი სათბობი.[4] ეს წლები გამონაკლისი არ ყოფილა.

---

[1] აცსა, ფ.რ-60, ან.1, ს.970, ფურც.93, 94, 103; ს.1237, ფურც.126,128; ს.1315, ფურც.27-28.

[2] იქვე, ს.722, ფურც.1-2.

[3] აცსა, ფ.რ-60, ან.1, ს.843, ფურც.54; ს.880, ფურც.76; ს.970, ფურც.37.

[4] იქვე, ს.920, ფურც.80; ს.1237, ფურც.99-126.

ნავსადგურში მრავალი მოწინავე ადამიანი მოღვაწეობდა. მაღალი შრომითი მაჩვენებლების გამო 1970 წელს 351 მომუშავეს საპატიო სიგელები გადაეცა და მადლობა გამოეცხადა. 1976 წელა 15 კაცი დააჯილდოვეს. 1978 წელს მთავრობის ორდენები გადაეცა 86 კაცს, საზღვაო ფლოტის სამინისტროს ქების სიგელები–38; სამკერდე ნიშნები "საზღვაო ფლოტის საპატიო მუშაკი"–28, "სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული"–31 მუშაკს. ნავსადგურის ხელმძღვანელობის მადლობა გამოეცხადა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა 559 მოწინავე. ამავე დროს პრემიის სახით დაურიგეს 343 ათასი მანეთი.[1] შრომაში სამაგალითონი იყვნენ: შ. შათირიშვილი, ა. აბგარიანი, ზ. ჩაჩუა, მ. ანთაძე, გ. კახიძე, ნ. ვასილიევი, ნ. ორბელაძე, კ. სახნოვსკი, რ. კობეშავიძე, კ. ქარჩავა, რ. კომახიძე, ვ. ბოლქვაძე და სხვები. შრომაში მაღალი მაჩვენებლებისათვის ნავსადგურის დოკერ–მექანიზატორების ბრიგადირები რ. კომახიძე და ზ. ჩაჩუა, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის პროფესიული კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 1974 წელს დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრებით, ხოლო დოკერ–მექანიზატორთა №1 ბრიგადის ბრიგადირი რ. კომახიძე საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატე გახდა.[2]

შრომითი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად ბათუმის ნავსადგურს მაღალი მიღწევები ჰქონდა სამეწარმეო–საოპერაციო საქმიანობაში. იგი ერთადერთი იყო საქართველოში, სადაც მშრალ მრეკერთან ერთად ამუშავებდნენ თხევადს (ნავთობპროდუქტებს).

ბათუმის ნავსადგურში იღებდნენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გემებს, მათ შორის საოკეანე ლაინერებსაც. XX საუკუნის 50–80-იან წლებში ნავსადგურის საქმიანობის ყველა უბანზე მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა. 10 წლის განმავლობაში (1951–1961)

---

[1] იქვე, ს.720, ფურც.31-40; ს.918, ფურც.58-59; ს.1061, ფურც.95.
[2] აცსა, ფ.რ-60, ან.1, ს.843, ფურც.601.

დამუშავებული გემების რაოდენობა 243-დან 2584-მდე, ხოლო ვაგონებისა—7117-დან 8523 ერთეულამდე გაიზარდა. მათ შორის საზღვარგარეთისა იყო 176 გემი. ხოლო საკუთრივ ნავსადგურისა—1436. 1965 წელს დაამუშავეს 2932 გემი, მათ შორის საზღვარგარეთისა—222. დამუშავებული ვაგონების რაოდენობა —32007 ერთეულს მიასღწია, რაც 1951 წლის მაჩვენებელს 4,5-ჯერ აღემატებოდა.

ნავსადგურის საქმიანობა ძირითადად დამოკიდებული იყო გემების შემოსვლასა და ვაგონის მიწოდებაზე. იშვიათი იყო ისეთი შემთხვევა როდესაც ნავსადგურის შრომითი კოლექტივის მიზეზით ფერხდებოდა საწარმოო-საოპერაციო საქმიანობა. 1966—1975 წლებში ნავსადგურში ამუშავებდნენ 1717-დან 2118-მდე გემს, 24114-დან 38861 ვაგონს. დამუშავემული გემების რაოდენობით ნახევარზე მეტი (ზოგჯერ ნაკლებიც) ნავსადგურის ფლოტში შედიოდა. ეს პატარა კატარღებია, რომლებიც ემსახურებოდნენ დიდტონაჟიან გემებს, ეზიდებოდნენ ინერტიულ მასალებს, გადაჰყავდათ ტურისტები და სხვა მგზავრები.[1]

ნავსადგურში დიდი მასშტაბის სამუშაოები მიმდინარეობდა ბოლოდროინდელ წლებშიც. საკუთარი ფლოტის გამოკლებით ნავსადგურში 1979 წელს დაამუშავეს 955 გემი და 25654 ვაგონი. 1980 წელს შესაბამისად 859 და 29042 . შემდგომში, 1990 წლამდე, დამუშავებული გემების რაოდენობა აღარ გაზრდილა. პირიქით, 1989 წელს 615-მდე, ხოლო 1990 წელს—583-მდე შემცირდა. ვაგონების დამუშავების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 1981 წელს, როდესაც იგი 40247 ერთეულამდე გაიზარდა. 1990 წელს ვაგონების დამუშავებაც შემცირდა 21058-მდე.[2] ეს იყო ქვეყანაში შექმნილი საერთო კრიზის შედეგი.

ბათუმის საზღვაო ნავსადგურს დიდი მიღწევები ჰქონდა ტვირთის დამუშავებაში. სწორედ იგი იყო ნავსადგუ-

---

[1] აცსა, ფ.რ-60, ან.1, სს.159, 587; ან.1, სს.394, 714, 787, 864, 876.

[2] იხ. ბათუმის ნავსადგურის ეკონომიკური სამსახურის 1979-1991 წლების ანგარიშები.

რის სამეწარმეო საქმიანობის მთავარი მახასიათებელი. ზრდის ტემპით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1951–1965 წლები. 1951 წლიდან 1955 წლამდე დამუშავებული ტვირთის რაოდენობა გაიზარდა 185 ათასი ტონიდან 331 ათას ტონამდე. 1960 წელს მიაღწია 739 ათას, 1965–წელს 1604 ათასი, ხოლო 1980 წელს 1665 ათას ტონას. ნავსადგურის ისტორიაში სარეკორდო იყო 1981 წელი, როცა ტვირთის დამუშავების მიჯნამ 2268 ათას ტონას მიაღწია, რაც 1951 წლის დონეს 12,3-ჯერ, 1960 წლისას 3-ჯერ და მეტად აღემატებოდა. 1982 წელს დაამუშავეს 1699,2 ათასი, 1985 წელს–1715 ათასი, 1987 წელს–1708 ათასი, 1988 წელს-1627 ათასი, 1989 წელს–1609 ათასი ტონა.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან 1989 წლამდე ნავსადგურის საფინანსო–ეკონომიკური საქმიანობა წარმატებული იყო. 1965 წელს საერთო შემოსავალმა 4394 ათასი, 1972 წელს–6570 ათასი, 1980 წელს 9623 ათასი, ხოლო 1991 წელს–11385 ათასი მანეთი შეადგინა. 1982–1988 წლებში ნავსადგურის საერთო შემოსავალი ყოველწლიურად 9,1 მილიონიდან 9,5 მილიონ მანეთამდე მერყეობდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავსადგურის მოგება და წმინდა მოგება. მაგალითად, თუ 1951 წელს ნავსადგურის მოგება იყო 301 ათასი მანეთი, 1987 წელს 3865 ათას მანეთამდე ე.ი. 12,8-ჯერ და მეტად გაიზარდა.[1] სამწუხაროდ, მოგების აბსოლუტურად დიდი ნაწილი საკავშირო ბიუჯეტში ირიცხებოდა, ხოლო ნავსადგურის სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებებზე მცირე ნაწილი გამოიყოფოდა. ამ დროს კი, ნავსადგურის კოლექტივს, განსაკუთრებით მუშებს არანორმანული საბინაო–საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდათ. 1989–1990 წლებში სამეწარმეო–საოპერაციო საქმიანობის დაქვეითების შედეგად ფინანსურ–ეკონომიკური გეგმები არ შესრულდა.

---

[1] აცსა, ფ.რ-60, ან.1, ს.587, ფურც.84; ს.787, ფურც.47; 1981-1990 წლების შესახებ ცნობები მოყვანილია ნავსადგურის მიმდინარე არქივიდან.

XX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში საზღვაო სანაოსნოს დაარსებით დაინტერესებული იყო სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრო. საქმე იმაში იყო, რომ შავი ზღვის ერთადერთი სანაოსნო მეტად გაიზარდა და იგი ძნელად სამართავი გახდა. გადაწყდა შავ ზღვაზე რამდენიმე სანაოსნო შეექმნათ. წამოწყებული საქმის დაგვირგვინებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ვ. მუავანაძემ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო დაარსდა 1967 წელს. მან ბინა დაიდო ქ. ბათუმში. პირველად სანაოსნოს 13 გემი ჰყავდა, რომლებიც გადმოეცა ნოვოროსიისკის საზღვაო სანაოსნოსაგან. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის შორეული ნაოსნობის კაპიტანს ანატოლი კაჭარავას, რომელიც 1967–1979 წლებში მისი უფროსი იყო. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა სანაოსნოს მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: მომარაგების სამსახური, რადიოკავშირები, ფლოტის, ელექტრორადიონავიგაციური სისტემა, საინფორმაციო–გამოთვლითი ცენტრი, სტამბა, დაარსდა გაზეთი ("საქართველოს მეზღვაური"). ჩამოყალიბდა სანაოსნოს მრავალრიცხოვანი კოლექტივი, შეიქმნა რესპუბლიკური მნიშვნელობის დარგობრივი პროფკავშირული კომიტეტი, რაიკომის უფლებით პარტიული და კომკავშირული კომიტეტები. კადრების გამოზრდას ემსახურებოდა სანაოსნოს კომბინატი, რომელიც 1968 წელს დაფუძნდა.

თანდათან იზრდებოდა სანაოსნოს ფლოტი. 1970 წელს იგი მიითვლიდა 35 ტანკერს, რომელთა ტვირთამწეობა 265 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო 1983 წლის პირველი იანვრისათვის უკვე გააჩნდა 37 ტანკერი და 12 სამშრალტვირთო გემი, რომელთა ტვირთამწეობა 723350 ტონამდე

იყო. 1990 წლის ბოლოს სანაოსნოს უკვე ჰყავდა 53 გემი (36 ტანკერი, 17 სამშრალტვირტო), რომელთა ტვირთამწეობა მილიონ ტონას აღემატებოდა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მასშტაბზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ძირითადი საშუალებების მაჩვენებლები 1968–1989 წლებში 9-ჯერ გაიზარდა (99 მილიონი მანეთიდან 891 მილიონ მანეთამდე.[1]

სანაოსნოს გემები მსოფლიოს ოკეანებსა და ზღვებს სერავდნენ და შედიოდნენ 55 ქვეყნის 130 ნავსადგურში. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივი მოწინავეთა რიგებში იდგა, გეგმებსა და ვალდებულებებს დიდი გადაწარბებით ასრულებდა. 900 კაციან სანაოსნოს კოლექტივში მრავლად იყვნენ წარჩინებული, თავის პროფესიაზე შეყვარებულნი. მათ შორის გამოირჩეოდნენ გემის კაპიტნები ვ. ჩხაიძე, მ. ქათამაძე, ს. ბერიძე, მაქაცარია, ვ. როდიონოვი. შტურმანები, მექანიკოსები და ბოცმანები ზ. კახიძე, ე. გეგეშიძე, ა. თურქია, შ. რუსეიშვილი, ე. ვარშანიძე, კ. სირაძე, ა. ჯაფარიძე, ო. ოსაძე, და სხვები. შრომაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თბომავალ: "ალექსევსკის" ბოცმანს კარონ თეოდისძე ოსაძეს "სოციალისტური შრომის გმირის" წოდება მიენიჭა.[2] XX საუკუნის 70-იან წლებში სანაოსნოში დაწინაურდა ტანკერ "აკტაშის ეკიპაჟი" 1975 წელს მან 63 რეისი შეასრულა, მათ შორის ერთი საზღვარგარეთ და გადაჭარბებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მოგებამ 514,7 ათასი მანეთი შეადგინა. 1976 წელს გემის ეკიპაჟი გარდამავალი დროშით დააჯილდოვეს.[2]

საზღვაო სანაოსნო რენტაბელური ორგანიზაცია იყო. XX საუკუნის 80-იან წლებში მისი შემოსავალი 200 მილიონ მანეთამდე აღწევდა, რომლის დიდი ნაწილი საკავშირო ფინანსებს ავსებდა. არსებული ნორმატივების მი-

---

[1] საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.
[2] საბჭოთა აჭარა, 1971, 6 მაისი; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.34, ფურც.32.

ხედვით სანაოსნოს საკავშირო ბიუჯეტში შეჰქონდა მოგების–87%.[1] საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საზღვაო სანაოსნოს ახალი პრობლემები შეექმნა. პოლიტიკური კრიზისის პირობებში სანაოსნო ფაქტობრივად დაიშალა.

შესამჩნევი წინსვლა აღინიშნა საავტომობილო ტრანსპორტზე. გაფართოვდა და განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დიდი მასშტაბით გაიშალა გზადკეცილების, ავტოსაჭაპანო გზებისა და ხიდების მშენებლობა, მომრავლდა ახალი თაობის ავტომანქანები. 1951 წლიდან 1955 წლამდე გზადკეცილებისა და ავტოსაჭაპანო გზების საერთო სიგრძემ 700-დან 1000 კმ, ხოლო 1960 წელს–1200 კმ-ს მიაღწია. მარსაფარიანი გზები კი 400-დან 600 კმ-მდე გაიზარდა.[2]

გზებისა და ხიდების მშენებლობა გაგრძელდა XX საუკუნის 60-80-იან წლებშიც. დიდი მოცულობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა ბათუმი–ახალციხის გზის მონაკვეთზე. იგი საკმაოდ გააფართოვეს და დააგეს მყარი საფარი. ჭოროხზე და აჭარისწყალზე, მათ შენაკადებზე, ააშენეს ახალი კაპიტალური ხიდები (მახოს, აჭარისწყლის, კირნათის, მახუნცეთის, ქედის, ვაიოს, წონიარისის, დანდალოს და სხვა). 1990 წელს აჭარაში 317 კაპიტალური ხიდი ითვლებოდა, რომელთა დიდი ნაწილი 50–80-იან წლებში ააგეს. გზატკეცილებისა და ავტოსაჭაპანო გზების საერთო სიგრზემ 1328 კმ-ს მიაღწია. აქედან მყარსაფარიანი იყო 1065 კმ, რაც 1955 წლის დონეს 2,7-ჯერ აღემატებოდა.[3] საგრძნობლად გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურების კულტურა. ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და დაბებში აიგო ახალი ავტოსადგურები. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო ბათუმის ავტოსადგური, რომელიც ექსპლოატაციაში 1988 წელს შევიდა.

---

[1] საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.

[2] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.112.

[3] აჭარის საგზაო სამმართველოს მონაცემები.

საგრძნობლად გაიზარდა საერთო სარგებლობის ავტომობილების რიცხვი. XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ბათუში შეიქმნა საავტომობილო ტრანსპორტის მეორე კანტორა. ამ ორ მეურნეობაში 1955 წელს აღირიცხა 183 ავტომობილი რაც 1940 წლის მაჩვენებელს 101 ერთეულით აღემატებოდა. 50-იანი წლების მეორე ნახევარში აჭარაში ჩამოყალიბდა ახალი ავტოსატრანსპორტო საწარმოები, 1960 წელს რვა ასეთი საწარმო აღირიცხა. მათ ბაზაზე გაიხსნა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს №4 ტრესტი, რომელშიც გაერთიანდნენ აგრეთვე ოზურგეთის, ლანჩხუთის, ფოთისა და ჩოხატაურის ავტოსატრანსპორტო საწარმოები.[1]

ამ დროისათვის აჭარაში ითვლებოდა საერთო სარგებლობის 1007 ავტომობილი, ე.ი. 5,4-ჯერ მეტი, ვიდრე 1955 წელს. აქედან სატვირთო იყო 706, ავტობუსი – 127, ტაქსი – 153, ხოლო დანარჩენი სპეციალური დანიშნულების ავტომობილებს განეკუთვნებოდნენ. ავტოპარკი ყოველწლიურად ივსებოდა ახალი ავტომობილებით. თუ 1970 წელს 1523 ავტომობილი აღირიცხა,[2] 1990 წლის ბოლოს მათი რიცხვი (საერთო სარგებლობის 11 ავტოსატრანსპორტო საწარმო) 2036 შეადგენდა. მათ შორის სატვირთო–1188, ავტობუსი–489, მსუბუქი ტაქსი კი–359. ეს მიჯნა 1951 წლის დონეს 11-ჯერ, ხოლო 1960 წლის მაჩვენებელს 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა.

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების კვალობაზე აღიზარდა მრავალრიცხოვანი კადრები. 1980 წლის ბოლოს აქ 3567 მომუშავე იყო, მათ შორის: 3252 მუშა (აქედან 2576 მძღოლი) და 195 ინჟინერ–ტექნიკური მუშაკი. შედარებით მსხვილი ავტოკოლონები განლაგებული იყო ბათუმსა და ქობულეთში. მაგალითად, ბათუმის მსუბუქი ტაქსამატორების საწარმოში ირიცხებოდა 646 მუშა, №2659

---

[1] აცსა, ფ.რ-96, ან.1, ს.811, ფურც.13,39; ფ.რ-178, ან.1, ს.48, ფურც.5-7; ფ.რ-508, ან.1, ს.3, ფურც.16,27; ს.22, ფურც.27-28.

[2] აცსა, ფ.რ-508, ან.1, ს.22, ფურც.27-28; ს.370, ფურც.18.

სამგზავრო ავტოსაწარმოში–630, №2655 საქალაქთო ავტოკოლონაში – 512, ქობულეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოში – 459 კაცი.[1]

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გ. ცინცაძემ, ნ. გიორგაძემ, მ. სანიკიძემ, გ. თოდაძემ და სხვებმა. ავტოტრანსპორტელებმა არაერთხელ გამოიჩინეს თავი გეგმებისა და ვალდებულების შესრულებაში. 1967–1988 წლებში საუკეთესო შრომისათვის 7 ავტოსატრანსპორტელი დაჯილდოვეს, 1970 წელს–185, 1971 წელს–50. მათგან ორ მძღოლს გადაეცა შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენები. საქართველოს დამსახურებული მძღოლის წოდება მიენიჭა 5 კაცს, აჭარისა–3 პიროვნებას. აღსანიშნავია, რომ აჭარაში 1984 წლის დასაწყისში ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მინიჭებული ჰქონდა 92 კაცს.[2]

XX საუკუნის 60–80-იან წლებში გაიხსნა სამგზავრო ავტომობილების ახალი მარშრუტები როგორც საქალაქთაშორისო, ისე საქალაქო, სადაბო და სასოფლო ცენტრებში. თუ XX საუკუნის 50-იანი წლების პირველ ნახევარში სამგზავრო ავტომობილების მარშრუტები ფუნქციონირებდა მხოლოდ ქალაქად, გარეუბნებსა და რაიონულ ცენტრებში, 70-იან წლებში თითქმის ყველა მსხვილ და საშუალო დასახლებაში რეგულარულად მოძრაობდა უახლესი მოდელის სამგზავრო ავტომობილები. 1990 წელს ქობულეთის რაიონს ემსახურებოდა 110 სამგზავრო ავტომობილი და 81 მსუბუქი ტაქსი,ქედისას–45 და 11, ჭუახევისას–46 და 4, ხულოს რაიონს–54 და 13. 1987 წელს აჭარაში ფუნქციონირებდა საავტომობილო სამგზავრო

---

[1] აჭარის საავტომობილო ტრანსპორტის ტერიტორიული სამმართველოს მონაცემები.

[2] აცსა, ფ.რ-308, ან.1, ს.469, ფურც.308; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ტრანსპორტის 120 შიდასაქალაქო და 70 საქალაქთაშორისო მარშრუტი.[1]

ელექტროტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობის — ტროლეიბუსების მოძრაობა აჭარაში პირველად 1978 წელს დაიწყო. მისი თავდაპირველი ხაზის სიგრძე 25 კმ-ს შეადგენდა (ბათუმი ხელვაჩაური) და მასზე სულ 20 ტროლეიბუსი მოძრაობდა. 1979 წელს ტროლეიბუსების პარკს შეემატა 4 ახალი მანქანა 9 კმ სიგრძის ხაზი (ბათუმი მახინჯაური). 1980 წელს ტროლეიბუსის საექსპლოატაციო ცალმხრივი ხაზის სიგრძე 38,5 კმ, 1985 წელს—41 კმ იყო. 1990 წელს ტროლეიბუსების რაოდენობა 48 ერთეულამდე გაიზარდა.[2]

პირველი საბაგირო გზა აჭარაში გაიხსნა 1981 წლის აგვისტოში სოფელ მწვანე კონცხზე, იგი სანატორიუმ "აჭარას" ზღვის სანაპიროსთან აკავშირებდა. წვანე კონცხის საბაგირო გზა საქართველოში რიგით მესამე იყო (გაგრისა და ბაკურიანის შემდეგ). 1985 წელს ექსპლოატაციაში შევიდა მეორე საბაგირო გზა (ხულო-თაგო), რომლის სიგრძე სამ კმ-ს შეადგენს. სამწუხაროდ, ამ სახეობის ტრანსპორტი შემდგომ ვეღარ განვითარდა, თუმცა იგი უაღრესად საჭირო იყო და არის დღესაც.

განვლილ პერიოდში შესამჩნევად დაწინაურდა საჰაერო ტრანსპორტი გაფართოვდა და კეთილმოეწყო ბათუმის აეროპორტის ასაფრანი ზოლი რის შედეგად შესაძლებელი გახდა დიდი თვითმფრინავების მიღება. თუ XX საუკუნის 50—60-იან წლებში ბათუმის აეროპორტიდან თვითმფრინავების რეგულარული ფრენა ხორციელდებოდა თბილისის, მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, სოხუმის მიმართულებით, 70-იანი წლების დასაწყისში ახალი რეისები დაინიშნა მარშრუტებით: ადლერი, დონეცკი, ზაპოროჟიე, კრასნოდარი, ერევანი. შეიცვალა თვითმფინავების პარკიც. XX საუ-

---

[1] Нар. дное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987. с.24; აჭარის საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს მონაცემები.

[2] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

კუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ბათუმის აეროპორტიდან დაფრინავდნენ ახალი კლასის თვითმფრინავები და შვეულმფრინავები ("ილ–18", "ტუ–124", "ან–24", და სხვა).[1]

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ექსპლოატაციაში შევიდა აეროპორტის სადგურის ახალი შენობა, ოთხსართულიანი სასტუმრო, მუშა–მოსამსახურეთა ადმინისტრაციული შენობა, უფრო ადრე ქობულეთში გაიხსნა ახალი სააგენტო ტურისტებისათვის და სხვა. აეროპორტში არაერთი სახელოვანი ადამიანი შრომობდა, რომლებიც მაღალი პროფესიულობით და საქმისადმი ერთგულებით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. მათ შორის შტურმანები: საბჭოთა კავშირის გმირი პ. დრანკო და ი. გოლუბცოვი, ავიაკონსტრუქტორები ა. ქანთარია, პ. პეტროვი და სხვები.

ტრანსპორტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შექმნისა და გაფართოება–განმტკიცების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ტვირთზიდვა, რაც კარგად ჩანს მე-6 ცხრილში (ათასი ტონობით).[2]

ცხრილი 6

წლები	სულ ტრანსპორტის ყველა სახეობით	რკინიგზის ტრანსპორტით	საზღვაო ტრანსპორტით	საავტომობილო ტრანსპორტით	საჰაერო ტრანსპორტით
1955	6577,7	2630	3688	259,4	0,3
1965	20812,4	8345	9544	2923	0,4
1975	22678,4	6721	10533	5424	0,4
1980	22604,6	9674	6327,2	6603	0,4
1985	22501,3	8306	6624	7571	0,3
1990	20419,3	6809	5642,5	7967	1,3

[1] საბჭოთა აჭარა, 1972, 19 აგვისტო.

[2] ცხრილი შედგენილია: საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათ., 1961, გვ.111; აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.175-176; საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.95-96; Народное хлзяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987: с.134-135; აცსა, ფ.რ-60, ან.1, სს.247, 587, 714, 734, 843, 1036; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთზიდვა 1955–1965 წლებში 3,2-ჯერ გაიზარდა, მომდევნი ათწლეულში–7,2%-ით. მთლიანად 1955–1985 წლებში–3,5-ჯერ. ამ პერიოდში რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთზიდვა გაიზარდა 3,2-ჯერ, საზღვაოსი–1,8-ჯერ. ტვირთზიდვამ მაქსიმალურ მიჯნას 1974–1975 წლებში მიაღწია. დიდი აღმავლობა იყო საავტომობილო ტრანსპორტზე. ამ სახეობის ტრანსპორტით ტვირთზიდვა ყოველწლიურად იზრდებოდა. მასზე მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გადიდდა XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან, საგულისხმოა, რომ 1951–1990 წლებში საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთზიდვა გაიზარდა 147,5-ჯერ. აქედან 1951–1955 წლებში–4-ჯერ, 1956–1990 წლებში–30-ჯერ. ამის შედეგად შეიცვალა ყველა სახეობის ტრანრპორტის ხვედრითი წილი საერთო ტვირთზიდვაში. თუ XX საუკუნის 50–60 წლებში ტვირთზიდვაში წამყვანი ადგილი ეჭირა სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტს, 70–80-იან წლებში საავტომობილო ტრანსპორტი თითქმის გაუტოლდა თითოეულ მათგანს, ხოლო 1990 წელს საგრძნობლად გაუსწრო კიდეც.

მიუხედავად ამისა, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის მნიშვნელობა განსაკუთრებული იყო. ტრანზიტი და საგარეო კავშირურთიერთობანი ძირითადად მათი მეშვეობით ხორციელდებოდა. რკინიგზა და საზღვაო ტრანსპორტი გახლდათ ამიერკავკასიის, რუსეთისა და უკრაინის სამრეწველო ცენტრებთან დამაკავშირებელი მთავარი ხიდი. საქართველოში საზღვაო ტრანსპორტი ერთადერთი იყო, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან ნავთობპროდუქტების ტვირთზიდვას ეწეოდა. საზღვაო ტვირთზიდვაში ბათუმის ნავსადგურს ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ეკავა, მაგალითად, 1940 წელს მასზე მოდიოდა საზღვაო ტრანსპორტით საქართველოდან გადატანილი (გაგზავნილი) საერთო ტვირთის 73,3%, 1960 წელს–69%, 1965 წელს–75,3%, 1980 წელს–63,2%, 1985 წელს–53,3%, 1986 წელს–82,2%. ბათუმიდან ძირითადად ნავთობპროდუქტები

გადიოდა, რაც 1951–1990 წლებში შეადგენდა საზვაო ტვირთზიდვის 75–92%. რკინიგზის ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვაში ნახევარი ნავთობპროდუქტები იყო. მართალია, 1951–1990 წლებში საჰაერო ტრანსპორტით ტვირთზიდვა 4,3-ჯერ გაიზარდა, მაგრამ მისი ხვედრითი წილი მაინც უმნიშვნელო იყო.

შესამჩნევად გაიზარდა მგზავრთა გადაყვანა. ამ საქმეში ტრანსპორტის ყველა სახეობა მონაწილეობდა. სსრ კავშირის ქვეყნებში მიმოსვლისათვის ძირითადი საშუალება იყო სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი. სასოფლო, შიდასაქალაქო, აჭარის მომიჯნავე კუთხეებს შორის მგზავრობაში მთავარ როლს ასრულებდა საავტომობილო და ელექტროტრანსპორტი. ცხადია, საერთო სარგებლობის ტრანსპორტის განვითარების შედეგად მგზავრთა რაოდენობაც გაიზარდა (იხ. ცხრილი 5 ათასობით კაცი).[1]

ცხრილი 5.

წლები	გზავრთა გადაყვანა ტრანსპორტის ყველა სახეობით	მათ შორის				
		რკინიგზით	საზღვაო ტრანსპორტით	საავტომობილო ტრანსპორტით	ელექტრო ტრანსპორტით /ტროლეიბუსი/	საჰაერო ტრანსპორტით
1955	16825	–	1530	16660	–	12
1960	27444	789	2890	26306	–	58
1970	49719	638	251	48459		190

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: Народное хозяйство Грузинской ССР в 1985г., Тб., 1986, с.142; Народное хозяйство Грузинской ССР, 1987, с.140; აცსა, ფ.60, ან.1, სს. 49, 159, 247, 362, 587, 864, 1036.

1980	56630	977	1160	48640	6700	197
1990	57762	566	1060	51154	5700	246

როგორც ვხედავთ, მოცემულ პერიოდში საერთო სარგებლობის ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა 3,4-ჯერ გაიზარდა. რკინიგზაზე და საზღვაო ტრანსპორტზე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა. საყურადღებოა, რომ ბათუმის სამგზავრო ნავსადგურმა საკმაოდ გაადიდა საკუთარი ფლოტის გემებით მგზავრების, ძირითადად ტურისტებისა და დამსვენებლების გადაყვანა ადგილობრივ მარშრუტებზე (ბათუმიდან–ფოთამდე). 1955 წელს გადაიყვანეს 48000, 1960 წელს–169233, 1970 წელს–84170, ხოლო 1980 წელს–72638 მგზავრი. მეტნაკლებად ასე იყო მომდევნო პერიოდშიც.[1]

შიდასაქალაქო, საგარეუბნო, სასოფლო, საქალაქთაშორისო მიმოსვლაში პირველი ადგილი დაიკავა საავტომობილო და ელექტროტრანსპორტმა. შორეული მარშრუტებით მგზავრთა გადაყვანაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა საჰაერო ტრანსპორტმა. ამიტომ იყო, საავტომობილო ტრანსპორტის მიერ მგზავრთა გადაყვანა 3,1-ჯერ, ხოლო საჰაეროთი–20,5-ჯერ გაიზარდა. იშანდობლივია, რომ XX საუკუნის 50–80-იან წლებში გადაყვანილ მგზავრთა საერთო რაოდენობიდან რკინიგზაზე მოდიოდა 1–3%, საზღვაო ტრანსპორტზე–0,2-დან 1,1%-მდე, საავტომობილოზე–86–97%, ელექტროტრანსპორტზე (ტროლეიბუსი) – 9,8–11,8%, საჰაეროზე–0,1%-დან 0,4%-მდე.

შესამჩნევად გაუმჯობესდა მგზავრებისადმი მომსახურების კულტურა. პრაქტიკაში დაინერგა სამგზავრო ბილეთების წინასწარი გაყიდვა. საავტომობილო სამგზავრო

---

[1] აცსა, ფ.რ-60, ან.1, ს.247, ფურც.2; ან.1[ა], ს.394, ფურც.5; ს.714, ფურც.4; ს.1036, ფურც.3.

ტრანსპორტი უფრო კონფორტული გახდა. მიუხედავად ამისა, ტრანსპორტზე მრავალი გადაუჭრელი პრობლემა რჩებოდა. საავტომობილო ტრანსპორტი, ზრდის მიუხედავად, სრულად ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს. მაგალითად, 1965 წელს აჭარის რეგიონის ორ ქალაქს და ხუთ რაიონს, სადაც 320 დასახლებული პუნქტი შედიოდა, ემსახურებოდა 70 ავტობუსი. მართალია, 1975 წელს უკვე 330 ავტობუსი მუშაობდა, მაგრამ მათი უკმარისობა, განსაკუთრებით სოფლად აშკარა იყო.

1951–1990 წლებში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული კავშირგაბმულობაში. 1955 წელს აჭარაში ფოსტა-ტელეგრაფის 73 საწარმო ითვლებოდა, რაც 1950 წლის მაჩვენებელს 5, ხოლო 1940 წლისას 22 ერთეულით აღემატებოდა, 1960 წელს ფოსტა–ტელეგრაფის განყოფილებათა რაოდენობა იყო 80, 1970 წელს-89, 1980 წელს–110, ხოლო 1985 წელს–111. გამსხვილების შედეგად 1988–1990 წლებში მათი რაოდენობა 95 ერთეულამდე შემცირდა.[1]

შესამჩნევად გაიზარდა სატელეფონო სადგურების, საბონენტო ნომრებისა და აპარატების რაოდენობა. 1951–1960 წლებში ექსპლოატაციაში გადაეცა 13 სატელეფონო სადგური, მომდევნო ათწლეულში–6, ხოლო 1971–1980 წლებში–26. 1980 წელს მათი საერთო რიცხვი 56-მდე გადიდდა, რაც 1950 წლის მაჩვენებელს თითქმის 2,7-ჯერ აღემატებოდა. 1980 წელს სატელოფონო ნომრების რაოდენობა 1950 წელთან შედარებით 3,4-ჯერ მეტი იყო, ხოლო სატელეფონო აპარატებისა–2,8-ჯერ. 1990 წელს აჭარაში ითვლებოდა 32799 სატელეფონო აპარატი, რაც 1950 წლის მახასიათებელს 4,6-ჯერ და მეტად ჭარბობდა.[2]

საგრძნობლად გაუმჯობესდა კავშირგაბმულობის ტექნიკური აღჭურვილობა. 1978 წლის ივლისში საექსპლუა-

---

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.97; Народное хозяйство Аджарскй АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.141; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] იქვე.

ტაციოდ გადაეცა საქალაქთაშორისო სატელეფონო ხაზი–ბათუმი–სამტრედია, ხულოში დაიდგა ნახევრადავტომატიზებული საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის მოწყობილობა. 1976–1978 წლებში ავტომატური სატელეფონო სადგურები ეწყო სოფლებში: თხილნარი, კირნათი აჭარისწყალი, (ხელვაჩაურის რაიონი), კვირიკე, ზენითი (ქობულეთის რაიონი), ცხმორისი, (ქედის რაიონი).[1]

1981 წელს ბათუმში მწყობრში ჩადგა ავტომატიზებული სატელაფონო სადგური 4000 ნომრით, აგრეთვე საქალაქთაშორისო ახალი სატელეფონო სადგური 120 არხით. ხელვაჩაურისა და ხულოს რაიონულ ცენტრებში დამონტაჟდა ავტომატიზებული სატელეფგონო ქვესადგურები 1700–2000 ნომრით.[2] XX საუკუნის–80-იან წლებში დამრთავდა სატელეფონო ხაზის ბათუმ–ახალციხე მშენებლობა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კავშირგაბმულობის საოპერაციო საქმიანობა, წერილების, ამანათების, ფულის, დეპეშის, პერიოდული გამოცემების (ჟურნალ–გაზეთები) და სხვა გაგზავნა–მიღება. 1950 წელთან შედარებით 1987 წელს გაიზარდა: წერილების გაგზავნა 4,3-ჯერ, ამანათის–1,5-ჯერ, ფულის–1,7-ჯერ, დეპეშების–1,4-ჯერ, ჟურნალ–გაზეთების–73,5-ჯერ, საქალაქთაშორის კავშირების (ლაპარაკის ოდენობა)–6-ჯერ. 1988–1990 წლებში, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, საგრძნობლად შემცირდა ფულისა და ამანათის გაგზავნა.[3]

კავშირგაბმულობის სისტემაში, მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, მრავალი ხარვეზი არსებობდა. მისი ტექნიკური აღჭურვილობა ჩამორჩებოდა ინდისტრიულად განვითარებული ქვეყნების მოღწევებს. მრავალი სოფელი მოკლებული იყო სატელეფონო კავშირს. XX საუკუნის 50-იან წლებში სოფლების სამ მეოთხედ ნაწილთან სატელე-

---

[1] აცსა. პპოგ, ფ.1, ან.73, ს.496, ფურც.2.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.74, ს.361, ფურც.9-11; ს.368, ფურც.312.

[3] გამოთვლილია: საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.98; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ფონო კავშირი საერთოდ არ იყო. მართალია, მომდევნო პერიოდში მდგომარეობა რადიკალურად გაუმჯობესდა, მაგრამ სოფლების ნაწილი მაინც დარჩა სატელეფონო კავშირის გარეშე. მაგალითად, 1978 წელს 315 დასახელებული პუნქტიდან 53 (16,8%) მოკლებული იყო სატელეფონო მომსახურებას. მათ შორის ხულოს რაიონში 73-დან 17 სოფელი, ქედის–62-დან 14, ქობულეთის–47-დან 12, ხელვაჩაურის–61-დან 6, შუახევის რაიონში–64-დან 4 სოფელი.[1] ამ ხარვეზებისა და პრობლემების მიუხედავად 1951–1990 წლებში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებაში მიღწევები მნიშვნელოვანი იყო.

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.496, ფურც.3.

თავი მესამე

სოფლის მეურნეობა აჭარაში XX ს. 50–80-იან წლებში

1. სოფლის მეურნეობის განვითარების სამეურნეო–ორგანიზაციული ღონისძიებანი

XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში სოფლის მეურნეობა ღრმა კრიზისს განიცდიდა. მართალია, 1946-1950 წლებში აღადგინეს სასოფლო–სამეურნეო წარმოების ომამდელი დონე, მაგრამ იგი ნორმალური ცხოვრებისათვის არასაკმარისი იყო. სოფლის მეურნეობის განვითარებას ყველაზე მეტად აფერხებდა ეკონომიკური კანონების უგულებელყოფა. საზოგადოებრივი საწარმოები მოკლებულნი იყვნენ ბუნებრივი თვითგანვითარების პირობებს. საბჭოთა მეურნეობას სახელმწიფო აფინანსებდა და საჭირო შემთხვევაში დოტაციას აძლევდა, ცხადია, ასეთი მიდგომა არამართებულია. კოლმეურნეობები კი თვითდაფინანსებაზე იყვნენ. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო განსაძღვრავდა შრომის ორგანიზაციისა და მართვის ფორმებს, წარმოების განვითარების გეგმებს, პროდუქციის შესყიდვის ფასებს. ფაქტობრივად კოლმეურნეობები სახელმწიფო საწარმოებს წარმოადგენდნენ. ამდენად, სასოფლო სამეურნეო წარმოების საკოლმეურნეო ფორმა გლეხობისათვია მისაღები არ იყო.

მაგრამ ხელისუფლება "კომუნისტური იდეებისადმი" ბრმა ერთგულების გამო, რადიკალურ ღონისძიებებს ვერ ახორციელებდა, ძველი სტერეოტიპების ტყვეობაში რჩებოდა. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება იმდენად მცირე იყო, რომ გლეხს წარმოების განვითარების სტიმული თითქმის არ გააჩნდა. აჭარის მთიანეთში საკოლმეირნეო შრომა ნამდვილ ბეგარას განასახიერებდა, გლეხი გაურ-

ბოდა მას. ამიტომ სამეურნეო–ორგანიზაციული მუშაობის მთელი სიმძიმე კელავინდებურად გადატანილი იყო ადმინისტრაციულ ზეწოლაზე, მბრძანებლურ მეთოდებზე, წარმოებლების პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დამუშავებაზე. არსებული აგრარული წყობისა და აგრარული პოლიტიკის პირობებში მხოლოდ ამ მეთოდებით იყო შესაძლებელი გეგმების შესრულება.

ცხადია, ომის წლებში გლეხობაზე ადმინისტრაციულ ზეწოლას, მათ იდეოლოგიურ დამუშავებას რაღაც საფუძველი მოეძებნებოდა, მაგრამ ომისშემდგომ პერიოდში ამ მეთოდებით მეურნეობის წარმართვა შეუძლებელი გახდა. იგი სასურველ ეფექტს აღარ იძლეოდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმმა ამხილა სოფლის მეურნეობაში არსებული ნაკოლვანებები, უწინარესად ეკონომიკურ ურთიერთობათა მანკიერებანი, სუსტი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დონე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა – ნედლეულზე. ხაზგასმულია სოფლის მეურნეობის სუსტი მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესახებ.[1] დაისახა ამოცანები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის.

სამწუხაროდ, შემუშავებულ ღონისძიებებში არ იყო გათვალისწინებული არსებული ეკონომიკური ურთიერთობების ძირეული გარდაქმნა, ხოლო დასახული ამოცანები სანახევროდაც ვერ განხორციელდა. XX საუკუნის 50–60-იანი წლები მოჯნაზე ეკონომიკის აგრარულ სექტორში ახალი კრიზისი დაიწყო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმებზე დაუფარავად ითქვა, რომ უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი შენელდა, მისი განვითარების გეგმები არ შესრულდა. სოფლის მეურნეობის განვითარების ჩამორჩენის მიზეზად

---

[1] КПСС в резолюциях и решениях съездов, конференции и пленумов ЦК, 6, М., 1971, с.607.

სამართლიანად დაასახელეს ეკონომიკური კანონების უგულებელყოფა, უხეში დარღვევები დაგეგმვასა და დაფინანსებაში, ფასების პოლიტიკაში და სხვა.[2] პლენუმის დადგენილების საფუძველზე შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებები, რაც ითვალისწინებდა დარგის ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანას, მატერიალური დაინტერესების გაძლიერებას, სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასების გადიდებას, დაფინანსება–დაკრედიტების გაუმჯობესებას, სამეიურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვას, სპეციალისტებისა და ხელმძღვანელთა როლის ამაღლებას და სხვა.

ამ ღონისძიებებს უნდა დაეჩქარებია სოფლის მეურნეობის განვითარება, მაგრამ მათი რეალიზაცია მიმდინარეობდა უკიდურესი ცენტრალიზმის პირობებში. ამასთან დასახული ამოცანები ამჯერადაც ბოლომდე თანმიმდევრულად ვერ განხორციელდა. სასოფლო–სამეურნეო საწარმოთა მართვაში დომინერებდა ადმინისტრაციული მეთოდები. თავისუფალი (ბუნებრივი) საბაზრო კანონები ისევ უგულებელყოფილი იყო. ასეთ პირობებში რესპუბლიკური, რეგიონალური ხელმძღვანელობის, საწარმოთა კოლექტივების შემოქმედებითი, დამოუკიდებელი საქმიანობა შებოჭილი იყო. ცხადია, ასეთივე ვითარება იყო აჭარაშიც.

ამ სუბიექტური მიზეზებით გამოწვეულ სიძნელეებს აჭარაში კიდევ უფრო აძლიერებდა ბუნებრივ-გეოგრაფიული დაბკოლებები. მართალია, მთაგორიანი რელიეფი და მიწის ნაკვეთების წვრილკონტურიანობა არ შეცვლილა, მაგრამ მცირე მიწიანობა გაიზარდა, რაც დაკავშირებული იყო სოფლის მოსახლეობის ბუნებრივ გამრავლებასთან. 1954 წლის აღწერით აჭარის ზონის მიწის საერთო ფართობი 290 ათას ჰექტარს შეადგენდა. მათ შორის სამეურნეო სავარგულებს ეკავა 86 ათასი ჰექტარი, რაც მიწის საერთო ფართობის 29,7% შეადგენდა. მოსახლეობის ერთ ოჯახზე საშუალოდ 0,5 ჰექტარი მიწა მოდიოდა. მაგრამ სავარგულების დიდ ნაწილზე მოწყობილი იყო კოლმეურ-

ნეობები და სახელმწიფო მეურნეობები. სოფლის მოსახლეობის პირად სარგებლობაში (საკარმიდამო ნაკვეთები) რჩებოდა საერთო სავარგულების 11,9% (10,2 ათასი ჰექტარი).

აჭარის რეგიონისათვის დამახასიათებელი ლოკალური თავისებურება იმაში გამოიხატებოდა, რომ მიწის საერთო სავარგულებში მცირე იყო სახნავი. ამ კატეგორიის მიწებს სულ 18,8 ათასი ჰექტარი ეკავა, რაც საერთო სავარგულების 21,9% უდრიდა,. მრავალწლიან ნარგავებზე მოდიოდა საერთო სავარგულების 27,4% (23,6 ათასი ჰექტარი), ბუნებრივ სათიბებზე–10,9% (9,4 ათასი ჰექტარი), ხოლო საძოვრებზე–39,9% (34,3 ათასი ჰექტარი).[1]

რაიონულ ჭრილში მიწის საერთო ფართობი შემდეგვარად ნაწილდებოდა: ხელვაჩაურის (ყოფილი ბათუმის) რაიონში მიწის საერთო ფართობი 43,0 ათას ჰექტარს შეადგენდა. იგი ავტონომიური რესპუბლიკის მიწის საერთო ფართობის 14,8% უდრიდა, სახნავს ეკავა 2,5 ათასი ჰექტარი, მრავალწლიან ნარგავებს–7,3 ათასი, ბუნებრივ სათიბებს–0,1 ათასი, ხოლო საძოვრებს–0,5 ათასი ჰექტარი.[2] ამრიგად, ხელვაჩაურის რაიონში სავარგულების დიდი ნაწილი მოდიოდა მრავალწლიან ნარგავებზე, მეორე ადგილი ეკავა სახნავ მიწებს.

მიწის რესურსებით შედარებით მდიდარი იყო ქობულეთის რაიონი, სადაც 1954 წლის აღწერით მიწის საერთო ფართობი 71 ათას ჰექტარს შეადგენდა, სავარგულებს 20,3 ათასი ჰექტარი ეკაკათ (28,6%). მათ შორის იყო: სახნავი 2,4 ათასი, მრავალწლიანი ნარგავები–14,0 ათასი, ბუნებრივი სათიბები–0,1 ათასი, ხოლო საძოვრები–3,8 ათასი ჰექტარი, როგორც ვხედავთ, აღნიშნულ რაიონში სავარგულების დიდი ნაწილი მრავალწლიან ნარგავებზე მოდიოდა.

---

[1] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.42; საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.12; პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

[2] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.43.

მიწის რესურსებით ღარიბი იყო მაღალმთიანი რაიონები (ქედა, შუახევი, ხულო). ქედის რაიონში მიწის საერთო ფართობი 45,2 ათას ჰექტარს ითვლიდა, მაგრამ სავარგულებზე მხოლოდ 8,1 ათასი ჰექტარი (17,9%) მოდიოდა. ძირითადი იყო სახნავი (4,6 ათასი ჰექტარი) და საძოვრები (1,8 ათასი ჰექტარი).

ხულოს რაიონში მიწის საერთო ფართობი 71,7 ათას ჰექტარს შეადგენდა. სავარგულები 28,1 ათას ჰექტარს უდრიდა. ამ სავარგულების ძირითადი ნაწილი ბუნებრივ სათიბებსა (6,2 ათასი) და საძოვრებზე (16,2 ათასი მოდიოდა). ორივე ერთად აღებული რაიონის საერთო სავარგულების 79,7%-ს აჭარბებდა. სახნავი მიწა 5,3 ათას ჰექტარს შეადგენდა, ხოლო მრავალწლიანი ნარგავები—0,4 ათასს. ანალოგიური სურათია შუახევის რაიონში, სადაც მიწის საერთო ფართობის 59,1 ათასი ჰექტრიდან სავარგულებზე მოდიოდა 18,7 ათასი ჰექტარი (31,6%). აქედან სახნავი იყო 4,1 ათასი ჰერ ჭექტარი, მრავალწლიანი ნარგავები—0,5 ათასი, ბუნებრივი სათიბები—2,7 ათასი, ხოლო საძოვრები—11,4 ათასი ჰექტარი.[1] ამრიგად, შუახევის რაიონში სავარგულებს შორის პირველი ადგილი ეკავა საძოვრებს, მეორე — სახნავს, მესამე — ბუნებრივ სათიბებს.

აჭარაში მიწის რეზერვები არ არსებობდა, აქ არ იყო ყამირი და ნასვენი მიწები. თითოეული გოჯა მიწა მაქსიმალურად იყო ათვისებული და გამოყენებული, გამონაკლისად ჩაითვლება დაჭაობებული მიწები, მაგრამ ეს რეზერვი იმდენად მცირე იყო, რომ არსებით გავლენას ვერ ახდენდა მიწათსარგებლობაზე. დაჭაობებული მიწები განლაგებულია ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში. მათი დაშრობა და სასოფლო—სამეურნეო გამოყენება საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში დაიწყო. 1953 წლისათვის ჭაობებისაგან გამოთავისუფლებული მიწები 4160 ჰექტარს შეადგენდა, საიდანაც სასოფლო—სამეურნეო

---

[1] იქვე, გვ.43-47.

გამოყენებაში იყო 3653. მათ შორის სახნავი–1256, ბაღები–1663, სათიბი–165 ჰექრარი. კოლმეურნეობების ბუდმივ სარგებლობაში ითვლებოდა 2900 ჰექტარი. აქედან სასოფლო–სამეურნეო გამოყენებაში იყო 2500 ჰექტარი.

მომდევნო წლებში გაგრძელდა ჭაობების დაშრობა. 1954–1960 წლებში ჭაობებისაგან გამოათავისუფლეს 1366 ჰექტარი და ამ კატეგორიის მიწების საერთო ფართობმა 5526 ჰექტარი შეადგინა. აქედან ქობულეთის რაიონში მდებარეობდა 3973, ხოლო ხელვაჩაურში–155,3 ჰექტარი, ამ მიწების დიდი ნაწილი (4110 ჰექტარი) კვლავ კოლმეურნეობების სარგებლობაში რჩებოდა. სასოფლო–სამეურნეო მიზნით იყენებდნენ 3583 ჰექტარს. აქედან სახნავი იყო 1335, ბაღები–1217, ხოლო სათიბები–378 ჰექტარი.[1] ეს საგრძნობლად აღემატებოდა 1953 წლის მაჩვენებლებს.

XX საუკუნის 60–70-იან წლებში დამატებითი ღონისძიებები განხორციელდა ჭაობების დასაშრობად და მდინარეთა სანაპიროების გასამაგრებლად, ამის შედეგად ასობით ჰექტარი შეემატა მიწის ფონდს, 1961–1965 წლებში ჭაობებისაგან გამოთავისუფლებული მიწები 6009 ჰექტარამდე გაიზარდა. მდინარე ჭოროხის ქვემო წელის (კახაბრის დაბლობის) სანაპიროების გამაგრების შედეგად სოფლის მეურნეობას 900-მდე ჰექტარი სავარგული შეემატა.[2] 80-იან წლებში მდინარეებს ჭოროხსა და აჭარისწყალს სანაპიროებს გამოსტაცეს 220, ხოლო ქობულეთში ჭაობებისაგან გამოათავისუფლეს 300 ჰექტარი სავარგული.

მიწის სიმცირე, კერძოდ, სავარგულების უკმარისობა დამახასიათებელი იყო მთლიანად საქართველოსათვის. 1975 წელს საქართველოს ხელისუფლებამ სპეციალური კომისიები შექმნა რესპუბლიკის რაიონებში. მათ დაევალათ მიწის რეზერვების გამოვლენა. ასეთი კომისიები შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებშიც, რომლებმაც მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს სავარგუ-

---

[1] იქვე, გვ.55.
[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1597, ფურც. 34.

ლების რეზერვების გამოსავლინებლად. ამის შედეგად საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტმა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1976 წლის 2 ივნისის დადგენილებაში "მიწის რესურსების შესწავლის შესახებ" შეაჯამეს ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა და განსაზღვრეს ახალი ამოცანები.

აჭარაში გამოავლინეს 2299 ჰექტარი სავარგული. აქედან სახნავი იყო 1892, ხოლო მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად უნდა გამოეყენებინათ 405 ჰექტარი. დადგენილების თანახმად აღნიშნული სავარგულების ათვისება მოხდებოდა 1977–1990 წლებში, კერძოდ, 1977 წელს აითვისებდნენ 402 ჰექტარს, 1978 წელს–241, 1979 წელს–221, 1980 წელს–348, 1981 წელს–165, დანარჩენი 302 ჰექტარი უნდა აეთვისებინათ 1990 წლამდე.[1]

ცხადია, ამის შედეგად მიწის ფონდი შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ მიწას, ზოგ შემთხვევაში ყაირათიანად არ ეპყრობოდნენ, ამოშრობილი მიწების ნაწილი ისევ ჭაობებმა დაფარეს. მეორე ნაწილზე საცხოვრებელი და სხვა შენობა–ნაგებობანი ააგეს. ამიტომ იყო რომ 1990 წელს დაშრობილი მიწების საერთო ფართობი 5386 ჰექტრამდე შემცირდა. ამ მიწებიდან ქობულეთის რაიონში მდებარეობდა 3500, ხოლო ხელვაჩაურში–1836 ჰექტარი.[2]

მართალია, XX საუკუნის 60-80-იან წლებში მიწის საერთო ფონდი გაიზარდა, მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არსებით გავლენას ვერ ახდენდა წარმოების განვითარებაზე. მაგალითად, 1970 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიწის საერთო ფართობი უდრიდა 293,4 ათას ჰექტარს, ხოლო 1986 წელს (1 ნოემბრის ცნობით)–297,2 ათასს. სამწუხაროდ, სავარგულები შემცირდა და 1980 წელს შეადგინა 84,2 ათასი, ხოლო 1986 წელს

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.54, ფურც.71.

[2] აჭარის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მონაცემები.

–83,3 ათასი ჰექტარი.[1] სავარგულების დიდი ნაწილი კვლავ საზოგადოებრივ მეურნეობებს ეკავათ. 1986 წელს კოლმეურნეობებზე მოდიოდა ავტონომიური რესპუბლიკის საერთო სავარგულების 77% (64,1 ათასი ჰექტარი), სახელმწიფო მეურნეობებზე–4,7% (5610 ჰექტარი), სამეურნეობათაშორისო სასოფლო–სამეურბნეო საწარმოებზე–1,5% (1120 ჰექტარი). გლეხებისა და მუშა–მოსამსახურეების ინდივიდუალურ საკუთრებაში იყო–11,5% (9597 ჰექტარი).[2] რაიონების ჭრილში მიწის ფონს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. სათიბებისა და საძოვრების დიდი ნაწილი კვლავინდებურად განთავსებული იყო ხულოსა და შუახევის რაიონებში. სავარგულები ყველა რაიონში შემცირდა. მიწათსარგებლობის მხრივ განსაკუთრებით მძიმე სურათი შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკის მთიანეთში, რადგან აქ მაღალი იყო მოსახლეობის ბუნებრივი მატება.

სოფლის მოსახლეობის განუწყვეტელი ბუნებრივი ზრდის პირობებში სამოსახლო და საკარმიდამო მიწების გამოყოფა უკიდურესად შეიზღუდა. თუ 1954 წელს აჭარის მოსახლეობის თითო სულზე 0,4 ჰექტარი სავარგული მოდიოდა, XX საუკუნის 70–80-იან წლებში 0,2 ჰექტარამდე შემცირდა. ამ წლებში ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფი საავარგულებიდან სოფლის თითო მაცხოვრებელზე მოდიოდა 0,04-დან 0,05 ჰექტრამდე.[3] მთასგორიანი რელიეფი მიწის ნაკვეთების წვრილკონტურიანობა, მთიან სოფლებში ჩაკეტილი ხეობები აძნელებდა მიწათმოქმედების ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანას, მის ინტენსიფიკაციას.

---

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, ბათ., 1977, გვ.87; საბჭოთა აჭარის 60 წელი. ბათ., 1981, გვ.71; Народное хозяйство Аджарской АССР, бат., 1987, с.239.

[2] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.87; პროცენტი გამოთვლილია ვატორის მიერ.

[3] გამოთვლილია აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებულების მონაცემების საფუძველზე.

მართალია, აჭარაში თავისუფალი ნაყოფიერი მიწები არ იყო, მაგრამ ხელისუფლებამ XX საუკუნის 50–60-იან წლებში რამდენიმე სახელმწიფო მეურნეობა მოაწყო, კერძოდ, 1960 წელს შეიქმნა ქობულეთის (ფიჭვნარი) მებოსტნეობის, ხოლო 1962 წელს–ბათუმის მერძეობის სახელმწიფო მეურნეობა. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აჭარაში არსებობდა 22 სახელმწიფო მეურნეობა. მათგან მეჩაიეობაში სპეციალიზებული იყო 4, მეციტრუსეობაში–9, სამკურნალო მემცენარეობაში, მებოსტნეობასა და მერძეობაში–თითო. დანარჩენები წარმოადგენდნენ შერეული ტიპის (ჩაი და სუბტროპიკული კულტურები) მეურნეობებს.[1]

XX საუკუნის 60-იან წლებში იწყება ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ჩამოყალიბება, საფუძველი ეყრება აგროსამრეწველო ინტეგრაციას. 1962 წელს დაარსდა ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკა, რითაც დაიწყო დარგის გადაყვანა სამრეწველო საფუძველზე. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კვერცხითა და ქათმის ხორცით მოსახლეობის უზრუნველყოფაში. 1980 წელს მწყობრში ჩადგა ბათუმის უხეში საკვების ჰიდრობაროთერმული მეთოდით გადამუშავებული საწარმო, რომელსაც შეეძლო ყოველწლიურად 40-45 ათასი ტონა ნამჯის გადამუშავება.[2] 60–70-იან წლებში იქმნება საკოლმეურნეობათაშორისო, სამეურნეობათაშორისო საწარმოები, ხოლო 80-იან წლებში–აგროკომბინატები და აგროფირმები.

საკოლმეურნეობათაშორისო და სამეურნეობათაშორისო საწარმოების, აგროკომბინატებისა და აგროფირმების ჩამოყალიბება, –ეს იყო ექსპერიმენტები, როთაც საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცდილობდა სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანას, რასაც იგი პერიოდულად განიცდიდა.გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს, კერძოდ, აჭარის სუბტროპიკული ზონა,

---

[1] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.113.

[2] საბჭოთა აჭარა, 1980, 17 დეკემბერი.

სადაც სასოფლო–სამეურნეო წარმოების ძირითად დარგად იქცა ჩაი და სხვა სუბტროპიკული კულტურები. სსრ კავშირში ამ კულტურების გაშენების ბუნებრივი არეალი შეზღუდული იყო. ამიტომ მათ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა და ამ დარგის მეურნეობებში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალი დადგინეს.

აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი თავისებურება იყო სასოფლო–სამეურნეო საწარმოთა მცირე მასშტაბი. სახელმწიფო მეურნეობები და კოლმეურნეობები მიწის ფართობის, მომუშავეთა რიცხოვნობის, საკოლმეურნეო კომლთა რაოდენობის მიხედვით წვრილ საწარმოებს წარმოადგენდნენ. თითო საბჭოთა მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 344,4 ჰექტარი ყველა სახის მიწა, მათგან 243 ჰექტარი სასოფლო–სამეურნეო სავარგული. საგულისხმოა, რომ დანარჩენ საქართველოში აღნიშნული მახასიათებელი 3787,6 და 2714,3 ჰექტარს შეადგენდა, რაც 11-ჯერ აღემატებოდა აჭარის შესაბამის მაჩვენებელს. აჭარის რელიეფი, საბჭოთა მეურნეობების გეოგრაფიული განლაგება მათი განმსხვილების საშუალებას არ იძლეოდა. XX საუკუნის 70-იან წლებში მხოლოდ ოთხი მათგანი გაერთიანდა, რის შედეგად ორი მეურნეობა ჩამოყალიბდა (ჩაქვისა და თხილნარის), ხოლო ორ სახელმწიფო მეურნეობას (ქობულეთის მებოსტნეობისა და ბათუმის მერძეობის) ახლომდებარე კოლმეურნეობები შეუერთდა.

XX საუკუნის 50–60 წლებში სახელმწიფო მეურნეობები მწვავედ განიცდიდნენ მუშახელის დეფიციტს. ეს პრობლემა გადაწყდა 70-იან წლებში. საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და საკარმიდამო და საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფის გზით მუშახელის მოზიდვა გაადვილდა. აღსანიშნავია, რომ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას 1969 წელს აკლდა საშტატო განრიგით გათვალისწინებული 238 მუშა (34%).

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების გადაწყვეტილებით აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან 1971–1972 წლებში ჩამოასახლეს 100-მდე კომლი, რომელთაც საკარმიდამო მიწის ნაკვეთები გადასცეს[1] გამოუყვეს სახელმწიფო კრედიტი და მისცეს საცხოვრებელი ბინები, ანალოგიერი ღონისძიებები განხორციელდა სხვა საბჭოთა მეურნეობებშიც. ამის შედეგად სახელმწიფო მეურნეობებში მუშათა საერთო რიცხოვნობა 1950 წელს 4915–დან 1980 წელს –7018, ხოლო 1989 წელს–8702 კაცამდე (1,8-ჯერ) გაიზარდა.[2] ცხადია, ამ გარემოებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი წარმოების აღმავლობას.

ომისშემდგომ პერიოდში მძიმე ვითარება შეიქმნა საკოლმეურნეო სექტორში. მისი მართვა გაძნელებული იყო, რადგან ეკონომიკური ბერკეტები შესაბამისად გამოყენებული არ იყო. საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ წლებში, როდესაც კოლექტივიზაცია მიმდინარეობდა, მთავარი პრობლემა იყო გლეხის ჩაბმა საკოლმეურნეო მოძრაობაში, მასში კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის დაძლევა. მაშინ გლეხობის გაწევრიანება კოლმეურნეობებში საბჭოთა ხელისუფლებამ იძულებით გადაწყვიტა. ამ საქმეში ნებაყოფილობითობა ფორმალური და მოჩვენებითი იყო. კოლმეურნეობის რენტაბელობას, მათ ეფექტიანობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რამდენადაც ამ გვარი მიდგომით აშკარად გამოვლინდებოდა წარმოების ამ ფორმის მანკიერებანი.

ომისშემდგომ პერიოდში ამ რეცეპტით ხელმძღვანელობა აღარ შეიძლებოდა, რადგან სოფლის მოსახლეობა სასოფლო–სამეურნეო არტელის მიმართ აშკარად უკმაყოფილო იყო. ხელისუფლება კი წარმოების ამ ფორმას ვერ ეშვებოდა, ამიტომ XX საუკუნის 50-იან წლებში ხელისუფლების მთავარი ამოცანა იყო კოლმეურნეობების

---

[1] აცსა. პპოგ, ფ.1, ან.64, ს.41, ფურც.217-218.

[2] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.96; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

სამეურნეო–ორგანიზაციული განმტკიცება. ხელისუფლება ამ გზით ცდილობდა გლეხობაში დადებითი იმიჯის შექმნას. ცვლილებები უფრო მეტად შეეხო საკოლმეურნეო სექტორის რაოდენობრივ მხარეს და საკადრო საკითხებს.

XX საუკუნის 50-იან წლებში იწყება კოლმეურნეობების გამსხვილება და შტატების შემცირება. მას საფუძველად დაედო საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის დადგენილება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1950 წლის 9 ივლისს, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 17 ივლისს მიიღეს დადგენილებები წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებისა და ხელმძღვანელი კადრებით უზრუნველყოფის შესახებ. გამსხვილების შედეგად სსრ კავშირში კოლმეურნეობების რიცხვი თითქმის სამჯერ, ხოლო საქართველოში ორჯერ შემცირდა.

აჭარაში კოლმეურნეობების პირველი გამსხვილება 1950–1951 წლებში განხორციელდა, რის შედეგად მათი რიცხვი 187-ის ნაცვლად 127-მდე შემცირდა, კოლმეურნეობების სამმართველო აპარატი 338 ერთეულით შემცირდა, ხოლო შრომადღეების ყოველთვიური ეკონომია 81802-ს უდრიდა.[1] 50-იანი წლების მეორე ნახევარში კი მათი ნაწილობრივი დაწვრილერთეულება მოხდა. 1956 წელს აჭარაში 155, ხოლო 1965 წელს–166 კოლმეურნეობა ითვლებოდა. აჭარის კოლმეურნეობის დაწვრილერთეულება გამოწვეული არ ყოფილა ობიერქტური აუცილებლობით. ნიშანდობლივია, რომ აჭარის კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, კომლთა რიცხოვნობისა და სხვა სამეურნეო ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით წვრილ მეურნეობებს წარმადგგენდნენ. მაგალითად, 1965 წელს ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 193 კომლი, 391,7 ჰექტარი სასოფლო–სამეურნეო სავარგული, 136 სუ-

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.19, ს.6, ფურც.10; საბჭოთა აჭარა, 1952, 14 სექტემბერი.

ლი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 1,4 ცალი ტრაქტორი და 7,3 ერთეული სატვირთო ავტომობილი.[1]

აჭარის კოლმეურნეობების საშუალო სიდიდე საქართველოს რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩებოდა: კომლთა რიცხოვნობით–1,7-ჯერ, სასოფლო–სამეურნეო საკარგულებით–3,5-ჯერ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობით–2,7-ჯერ, ტრაქტორების რაოდენობით–1,4-ჯერ. სატვირთო ავტომობილებით–8,3-ჯერ. კიდევ მეტი იყო სხვაობა სსრ კავშირის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.[2]

ცხადია, კოლმეურნეობების გამსხვილება პროგრესული ღონისძიება იყო, რაც ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის, ფულადი სახსრებისა და სხვა მატერიალური საშუალებების უფრო უკეთ და მიზნობრივად გამოყენებისათვის. კოლმეურნეობებს მეტი შესაძლებლობა მიეცათ გაეზარდათ თავიანთი წვლილი სოფლის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. ამის გათვალისწინებით, 1974 წელს დაიწყო კოლმეურნეობათა გამსხვილების ახალი ეტაპი, რაც 1979 წლამდე გაგრძელდა. იგი ძირითადად შეეხო მთიან ზონას. კამსხვილების შემდეგ აჭარაში 69 კოლმეურნეობა ითვლებოდა–2,4-ჯერ ნაკლები, ვიდრე1965 წელს.[3]

აჭარის რელიეფს თუ გავითვალისწინებთ, კოლმეურნეობების გამსხვილებას გააჩნდა უარყოფითი მხარეც. ბუნებრივად ჩაკეტილ ხეობებში განლაგებული რამდენიმე სოფლის გაერთიანებით შექმნილი კოლმეურნეობის მართვა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ 1987 წელს ისინი კვლავ დანაწილდა, ჯერ 119, ხოლო 1990

---

[1] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] გამოთვლილია: Народное хозяйство СССР в 1965 г., Статистический ежедневник, М., 1966, с.406; Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический ежедневник, Тб., 1982, с.115.

[3] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

წელს—124 კოლმეურნეობად.[1] თუმცა კოლმეურნეობების დაწვრილერთეულებას მატერიალურ—ტექნიკური და სამეურნეო—ეკონომიკური საფუძველი არ გააჩნდა.

საკოლმეურნეობათაშორისო, სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო გაერთიანებები იქმნებოდა წილობრივად. ამგვარი ღონისძიებები ჯერ კიდევ ომისშემდგომ აღდგენით წლებში დაიწყო. ჯერ შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურები, 1952 წელს აჭარაში 29 საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური მოქმედებდა. მათ შორის აღსანიშნავია ჭახათის, კინკიშის, ახოს, რიყეთის, მერისის, დღვანის, სამოლეთის და სხვა ჰიდროელექტროსადგურები. 1957 წელს ექსპლოატაციაში შევიდა მაჭახელჰესი, რომლის წილობრივი მონაწილე იყო 17 კოლმეურნეობა. აჭარის ყველა რაიონში შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები. პირველად ჩამოყალიბდა ხელვაჩაურის რაიონში 1958 წელს. 1965 წელს შეიქმნა ქობულეთის რაიონში. ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები შეიქმნა 1972-1973 წლებში.

XX საუკუნის 50—60-იანი წლების მიჯნაზე იწყება სასოფლო—სამეურნეო ხასიათის საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოების შექმნა. პირველი ასეთი საწარმო შეიქმნა სოფელ ციხისძირში (ქობულეთის რაიონი). ეს იყო მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა, რომლის მონაწილე იყო ქობულეთის რაიონის 28 კოლმეოურნეობა და ხელვაჩაურის რაიონის—12. ფერმაში სულ დასაქმებული იყო 40—50 კაცი. 1962 წლისათვის ფერმაში აგებული იყო 6 ტიპობრივი საფრინველე 30 ათას ფრთა ფრინველის ტევადობით, მუშა—მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი, საწყობი. 1961 წელს მწყობრში ჩადგა ინკუბატორი.

---

[1] იქვე.

საკოლმეურნეობათასორისო მეფრინველეობის ფერმები შეიქმნა ქედისა და შუახევის რაიონებში. ქედის საკოლმეურნეობათასორისო ფერმის წილობრივი მონაწილე იყო რაიონის ყველა (34) კოლმეურნეობა. დღვანის (შუახევის რაიონი) საკოლმეურნეობათასორისო მეფრინველეობის ფერმისა კი—10 კოლმეურნეობა. მაგრამ ეს უკანასკნელი, არარენტაბელობის გამო, მალე დახურეს. 1961 წელს ქობულეთის რაიონში (ფიჭვნარი) დაარსდა მელორეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა, რომლის მეპაიე იყო ქობულეთის რაიონის 28 და ხელვაჩაურის რაიონის 19 კოლმეურნეობა. ფერმას 21 ჰექტარი ეკავა და თავდაპირველად გათვალისწინებული იყო 1200 სული პირუტყვისათვის. 1970 წელს ფერმაში 1026 სული ღორი ჰყავდათ. 1969 წლიდან საწარმოო რენტაბელური გახდა.[1]

ქობულეთში შეიქმნა პირუტყვის ხელოვნური დათესვლის საკოლმეურნეობათაშორისო სადგური. მისი მეპაიები იყვნენ რაიონის მეტი წილი კოლმეურნეობები. 60-იან წლებში შეიქმნა აგრეთვე მეცხოველეობის უხეში საკვების დამზადების საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანება, რომლის მეპაიედ თავდაპირველად ითვლებოდა 44 კოლმეურნეობა (26 ქობულეთის რაიონის, ხოლო 19 ხელვაჩაურისა). 70-იანი წლების დასაწყისში საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებები სამეურნეობათაშორისო საწარმოებად გარდაიქმნენ, რამდენადაც მათი წევრები გახდნენ სახელმწიფო მეურნეობებიც.

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საკოლმეურნეობათასორისო გაერთიანების ბაზაზე 1976 წელს შეიქმნა რესპუბლიკური გაერთიანება "ცხოველმრეწვი". 1980 წლისათვის აჭარაში აღირიცხა სასოფლო—სამეურნეო პროფილის 7 სამეურნეობათაშორისო გაერთიანება.

XX საუკუნის 80-იან წლებში სამეურნეობათაშორისო საწარმოებმა საგრძნობი ცვლილებები განიცადეს. ზოგი-

---

[1] აცსა, ჰპოგ, ფ.1, ან.56, ს.28, ფურც.56-57; აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

ერთი გაერთიანდა, ნაწილიც გაუქმდა. 1985–1989 წლებში აჭარაში 21 სამეურნეობათაშორისო გაერთიანება ითვლებოდა. ამ წლებში ავტონომიური რესპუბლიკის სამეურნეობათაშორისო საწარმოთა სისტემაში შედიოდა: ქობულეთის მებოსტნეობის სასათბურო მეურნეობა, ორი მეცხოველეობის გაერთიანება, პირუტყვის ხელოვნური დათესვლის სადგური, ხუთი სატყეო მეურნეობა, მეფუტკრეობის რესპუბლიკური საწარმო, სამი სოფდამზადება, სამი მეცხოველეობის საკვებდამზადების რაიონული ორგანიზაცია, ავტოსაწარმო, მეცხოველეობის საკვების დამზადების რესპუბლიკური გაერთიანება, სასწავლო კომბინატი.[1]

1985 წლისათვის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების მეპაიე იყო 368 წარმოება, მათ შორის 328 კოლმეურნეობა და 30 საბჭოთა მეურნეობა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ერთდროულად რამდენიმე სამეურნეობათაშორისო გაერთიანების მეპაიენი იყვნენ. სამეურნეობათაშორისო საწარმოთა განკარგულებაში იყო 2190 ჰექტარი მიწა, ჰყავდათ 5790 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 1442 ღორი, 3043 ფუტკრის ოჯახი, ჰქონდათ 120 ცალი ტრაქტორი, დასაქმებული იყო 2593 კაცი. ძირითადი ფონდები უდრიდა 17140 ათას მანეთს, ხოლო მთლიანი შემოსავალი–7489 ათას მანეთს.[2]

XX საუკუნის 80-იან წლებში სოფლის მეურნეობის ნედლეულისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების შერწყმის შედეგად იქმნება აგროსამრეწველო კომბინატები. პირველი ასეთი საწარმო შეიქმნა 1984 წელს რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ტიმაშევსკის რაიონში. შემდგომში, ექსპერიმენტის სახით სხვა რეგიონებში დაარსდა. აჭარაში პირველი აგროსამრეწველო კომბინატი ჩამოყალიბდა 1986 წელს ქობულეთის რაიონში, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობისა და ამავე ტერიტორიაზე

---

[1] აცსა, ფ.რ-84, ან.1, 630, ფურც.2.
[2] იქვე, ს.147, ფურც.3, 4, 7, 13, 22, 25, 28.

მდებარე ჩაის ფაბრიკის გაერთიანებით. მომდევნო წელს შეიქმნა ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატები. დაიწყო აგრეთვე კოლმეურნეობათა გარდაქმნა აგროფირმებად. პირველ აგროფირმები შეიქმნა მახოში (ხელვაჩაურის რაიონი), ბობოყვათში, ალამბარში (ქობულეთის რაიონი), სადაც მოხდა კოლმეურნეობებისა და ჩაის მიკროფაბრიკების ერთ საწარმოდ გაერთიანება.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საკოლმეურნეობათაშორისო და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების უმრავლესობამ ვერ გაამართლა. ისინი ხელოვნურად შექმნეს. ნამდვილად ზედმეტი იყო მეფრინველეობისა და მეცხოველეობის მცირეძალოვან ფერმებში რაიონის მთლიანი ანდა უმეტესი კოლმეურნეობების წილობრივი მონაწილეობა. ხელოვნურად შექმნეს რესპუბლიკური გაერთიანება "ცხოველმრეწვი", რომელსაც მნიშვნელოვანი მიღწევა არ ჰქონია. ასეთი მიდგომების საფუძველი იყო კომუნისტური პარტიის უტოპიური მიზანი: თანდათანობით შეექმნა წარმოების საშუალებათა ერთიანი სახელმწიფო საკუთრება. საკოლმეურნეობათაშორისო და სამეურნეობათაშორისო საწარმოები გააზრებული იყო, როგორც საკოლმეურნეო—კოპერაციული საკუთრებიდან სახელმწიფო საკუთრებაში გადაზრდის გარდამავალი საფეხური.

მართალია, XX საუკუნის 50—80-იან წლებში სოფლის მეურნეობის, როგორც ეკონიმიკის სხვა დარგების, მარეგვის მბრძანებლურ—ადმინისტრაციული მეთოდები თითქმის უცვლელი დარჩა, მაგრამ სამეურნეო მექანიზმი და სტრუქტურა რამდენჯერმე შეიცვალა. სასოფლო—სამეურნეო საწარმოთა მართვა ხორციელდებოდა ვერტიკალური საფეხურებით. მართვის ძირითადი რგოლი იყო საწარმო. შემდეგი საფეხური იყო რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური სამსახურები, ბოლოს საკავშირო ორგანოები. ეს უკანასკნელი ადგენდა საწარმოთა მართვის წესებს განსაზღვრავდა საერთო მიმართულებას, სტრუქტურასა და ფორმებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის ყველა

რეგიონში საწარმოთა მართვის ერთიანი სისტემა და ფორმები არსებობდა.

შესამჩნევად განსხვავდებოდა სახელმწიფო, საკოლმეურნეო და სამეურნეობათაშორისო საწარმოების მართვის სტრუქტურები. სახელმწოფო საწარმოებში ხელმძღვანელთა არჩევა არ ხდებოდა. დირექტორებსა და მთავარ აგრონომებს უშუალოდ ნიშნავდნენ შესაბამისი პარტიული და სახელმწიფო ორგანოები. საბჭოთა მეურნეობების დირექტორები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნომერკლატურაში ირიცხებოდნენ და მათ საგანგებოდ არჩევდნენ. კოლმეურნეობების თავჯდომარეები კი (ზოგიერთის გამოკლებით) პარტიის აჭარის საოლქო და რაიონული კომიტეტების ნომერკლატურაში შედიოდნენ. მხოლოდ მსხვილი კოლმეურნეობების თავჯდომარეები ირიცხებოდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნომერკლატურაში.

საზოგადოებრივ მეურნეობებს, როგორც წარმოების ძირითად რგოლს, თავიანთი სტრუქტურა ჰქონდათ. საბჭოთა მეურნეობაში საწარმოო ქვედანაყოფები შედგებოდა განყოფილებების, უბნისა და ბრიგადისაგან. მაგალითად, ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობაში 1950 წელს ითვლებოდა 16 საწარმო განყოფილება, 35 უბანი და ამდენივე ბრიგადა.[1] ანალოგიური ვითარება იყო სხვა სახელმწიფო მეურნეობებში. 1971 წელს ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის საწარმო სტრუქტურაში შედიოდა 6 აგროგანყოფილება და 28 ბრიგადა. კოლმეურნეობებში საწარმოო განყოფილებები და უბნები არ არსებობდა. ამ ტიპის მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა იყო მუდმივმოქმედი საწარმო ბრიგადა,რომელთა რაოდენობა დამოკიდებული იყო კოლმეურნეობათა სიდიდეზე. სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი მართვის მიხედვით რთული ვითარება იყო რაიონულ და საოლქო რგოლებში, ომის-

[1] აცსა, ფ.265, ან.1, ს.273, ფურც.1.

შემდგომ აღდგენით წლებში აჭარაში სოფლის მეურნეობის დარგს სამი სამინისტრო განაგებდა: მეცხოველეობის, ტექნიკური კულტურებისა და საკუთრივ სოფლის მეურნეობის. ცხადია, მართვის ამგვარი სისტემა უარყოფით გავლენას ახდენდა წარმოებაზე. მისი უარყოფითი მხარე მოკლე დროში გამოვლინდა და მალე მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები გაერთიანდნენ. 1953 წელს გაუქმდა ტექნიკური კულტურების სამინისტრო. აჭარაში განლაგებული სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობები დაუქვემდებარეს საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შესაბამისი რაიონული სამმართველოების მეშვეობით, საკოლმეურნეო სექტორს განაგებდა.

მაგრამ პრაქტიკულად სოფლის მეურნეობის მართვის მთელი სიმძიმე პარტიის სასოფლო რაიონულ კომიტეტებზე მოდიოდა. ისინი ყოველდღიურ დაძაბულ მუშაობას ეწეოდნენ გეგმების შესრულების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში. XX საუკუნის 50-იან და 60—იანი წლების მიჯნაზე, როდესაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში ახალი კრიზისი დაიწყო, უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეეცადა გადაეჭრა იგი მართვის სისტემის შეცვლით.

სსკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილების "სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ "საფუძველზე აჭარაში 5 სასოფლო რაიონის ნაცვლად შეიქმნა ორი—ჩაქვისა და შუახევის. პირველში გაერთიანდა ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონები, ხოლო მეორეში—ქედის, შუახევისა და ხულოს. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეს ე.წ. "გარდაქმნა" კრახით დამრთავრდებოდა. უკვე 1963 წელს აღადგინეს ქედის, ხოლო 1964 წელს—ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონები.

კიდევ მეტად საზიანო იყო ის, რომ სოფლის მეურნეობას ჩამოაშორეს პარტიის სასოფლო რაიონული კომიტეტები, რეორგანიზებულ რაიონებში ჩამოაყალიბეს "სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოები." ამ სამმართველოებთან, პარტიის რაიონული კომიტეტების პარალელურად, შეიქმნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტოგების ინსტიტუტი. რაიონების ერთი ნაწილის აღდგენის შემდეგ, აჭარაში 1964 წლის ნოემბრამდე 4 სასოფლო რაიონში მოქმედებდნენ "სოფლის მეურნეობის საწარმოო- ტერიტორიული სამმართველოები" და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტოგების ინსტიტუტი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებით აღადგინეს ძველი სისტემა.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის სისტემაში. 1960 წელს ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო სამსახური "სოფლტექნიკა", რომლის დაქვემდებარებაში შევიდა დარგის რაიონული ქვედანაყოფები, სატრანსპორტო, სატრაქტორო, სარემონტო-ტექნიკური საწარმოები, სასაწყობო მეურნეობები და სხვა. 1979 წელს შეიქმნა "აჭარსოფლქიმია," რომელშიც შევიდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლტექნიკის შესაბამისი ქვედანაყოფები.

"აჭარსოფლტექნიკისა" და "აჭარსოფლქიმიის" ჩამოყალიბება, არსებულ პირობებში, დადებით მოვლენად ჩაითვლება, ამით რამდენადმე გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მომარაგება აგროტექნიკითა და აგროქიმიური საშუალებებით. "აჭარსოფლქიმიას" მომსახურების საკმარისი ქსელი გააჩნდა, კერძოდ, ქობულეთში ჰქონდა რაიონული, ხოლო ხელვაჩაურში-სარაიონთაშორისო გაერთიანებები. აგროქიმიური მომსახურების პუნქტები შეიქნა ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში, მსხვილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. "სოფლ-

ქიმიის" სისტემაში ჩამოყალიბდა აგრეთვე სარაიონთაშორისი აგროქიმიური ლაბორატორია, რითაც შესაძლებელი გახდა ნიადაგების ქიმიური შემადგენლობის გამოკვლევა და მათი თვისებრივი გაუმჯობესება.

კოლმეურნეობები ფორმალურად კოოპერაციულ საწარმოებს წარმოადგენდნენ. მაგრამ ფაქტობრივად მათი გასახელმწიფოებრიობა მოხდა. მართალია, კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით, რომელიც მიღებულია 1935 წელს კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე, ამ ტიპის საწარმოთა წევრებს გარკვეული უფლები ჰქონდათ, მაგრამ მისი გამოყენების საშუალებას ხელისუფლება არ აძლევდა.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების მიღების შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა, როგორც აჭარაში, ისე საკავშირო მასშტაბით. ისინი აისახა ახალ სანიმუშო წესდებაში, რომელიც მიიღეს კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო III ყრილობაზე (1969 წლის ნოემბერი). ერთ-ერთი სიახლე, რაც ახალ წესდებაში აისახა ის არის, რომ შეიქმნა კოლმეურნეობათა მართვის საკავსირო, რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული საბჭოები. აჭარაში შეიქმნა კოლმეურნეობათა ერთი საოლქო და ხუთი რაიონული საბჭო, რომელშიც შეიყვანეს სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო ხელმძღვანელები, მეცნიერები და პრაქტიკოსი სპეციალისტები და წარმოების მოწინავენი, მაგრამ სულ მალე ეს ორგანოები ფორმალობად იქცა.

მართალია, ახალი სანიმუშო წესდებით კოლმეურნეობებს სამეურნეო დამოკიდებულება ენიჭებოდათ, მათ უფლება ეძლეოდათ შეექმნათ დამხმარე საწარმოები, რაც მანმადე შეზღუდული იყო. წესდებით ფართოვდებოდა კოლმეურნეობების ინიციატივა, მაგრამ ეს ყველაფერი ფორმალობად დარჩა. ამას აჭარის მაგალითიც მოწმობს. თუმცა ეს გლობალური მოვლენა იყო სსრ კავშირის მასშტაბით, სწორედ ამიტომ კოლმეურნეთა მეოთხე საკავშირო ყრილობაზე (1988 წლის მარტი) ხაზგასმით აღინიშ-

ნა კოლმეურნეობებისათვის სამეურნეო დამოუკიდებლობის მინიჭების აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, ესეც დეკლარაციად დარჩა.

1969 წლის კოლმეურნეობათა სანიმუშო წესდება შეიცავდა. ზოგიერთ ისეთ მუხლს, რასაც საგრძნობი მნიშვნელობა ჰქონდა, კოლმეურნე გლეხობის შრომითი აქტიურობის ამაღლებაში. საქმე ეხებოდა გლეხობის სოციალურ უზრუნველყოფას, შრომის ვეტერანის, პერსონალური პენსიების დაწესებას და მიწის ყაირათიანად გამოყენებას, რასაც აჭარის, როგორც მცირემიწიანი რეგიონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მით უმეტეს, რომ ფიქსირერბული იყო სასოფლო–სამეურნეო სავარგულების მტაცებლური გამოყენების არაერთი ფაქტი. მაგალითად, ქობულეთის განაშენიანების პროექტში, რომელიც თბილისის საპროექტო ინსტიტუტმა შეადგინა, შეიტანეს 2598 ჰექტარი სავარგული, რომელიც რაიონის 22 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნოდა. აღნიშნული სავარგულებიდან სახნავ–სათესი იყო 296 ჰექტარი, ჩაის პლანტაცია–230, ციტრუსოვანთა და სხვა ხეხილის ბაღები–92, სათიბი და საძოვარი–180 ჰექტარი.[1] ანალოგიური ფაქტები სხვა რაიონშიც გამოვლინდა.

მართალია, XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში აჭარაში სოფლის მეურნეობის საოლქო მართვის ერთიანი სამინისტრო მოქმედებდა, მაგრამ რაიონულ რგოლში უწყებრივი დაქსაქსულობა არსებობდა. ერთიანი სისტემის არარსებობისას წარმოქმნილი უწყებრივი ბარიერი მნიშვნელოვნად აფერხებდა წარმოების განვითარებას. მიწის, ტექნიკის, შრომის ორგანიზაციის, ტრანსპორტის, ნედლეულის სამრეწველო გადამუშავების ერთიანი სახელმწიფო სისტემების შექმნის აუცილებლობა ბუნებრივად მომწიფდა. 1974 წელს აბაშის რაიონში ექსპერიმენტის სახით შეიქმნა სსრ კავშირში პირველი აგროსამრეწველო გაერ-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1969.

თიანება. მომდევნო წლებში ასეთი გაერთიანება შეიქმნა მახარაძის რაიონში. საკავშირო ხელმძღვანელობამ დადებითად შეაფასა აბაშის ექსპერიმენტი და 1982 წლიდან საქართველოს ყველა სასოფლო რაიონი გადავიდა სოფლის მეურნეობის ახალ სისტემაზე.[1]

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარდაიქმნა სასოფლო–სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტად. პარტიის რაიკომებში აღადგინეს 1955 წელს გაუქმებული სოფლის მეურნეობის განყოფილებები. 1985–1986 წლებში სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მართვის სისტემა და ფორმა კვლავ შეიცვალა. სასოფლო–სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე შეიქმნა აგროსამრეწველო კომიტეტი, რომლის უფლებამოსილება საგრძნობლად გაიზარდა. მისი ხელმძღვანელი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნა, ხოლო აგროსამრეწველო კომიტეტის თავჯდომარის პირველი მოადგილეები – მინისტრებად. ჩამოყალიბდა მართვის მთელი კომპლექსი, რომელშიც სოფლის მეურნეობის გარდა, შევიდა კვების მრეწველობაც. აჭარის ხუთივე სასოფლო რაიონში შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებები, რომელშიც შევიდა 140 საწარმო და ორგანიზაცია, მათგან 108 სასოფლო-სამეურნეო, ხოლო 26–სამრეწველო.

გარდაქმნები, რომლებიც განხორციელდა სოფლის მეურნეობის მართვის სისტემაში, ფორმებსა და მეთოდებში არაეფექტური გამოდგა. სსრ კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული გახდა სკპკ XXVIII ყრილობაზე (1990 წლის ივლისი) ეღიარებინა, რომ აგროსამრეწველო) კომპლექსში გრძელდება უმაქნისი რეორგანიზაცია.[2] ამ ცვილებების მიუხედავად სოფლის მეურნეობის, ისევე როგორც ყველა დარგის საერთო ხელმძღვანელობას, კვლავ პარტიული ორგანოები ახორციელებდენ.

---

[1] კლუბნისტი, 1982, 3 ივლისი.
[2] საბჭოთა აჭარა, 1990; 17 ივლისი.

მათი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო კადრების — სპეციალისტებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების შერჩევა და განაწილება, საწარმო გეგმების შესრულება და სხვა. დარგის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს სისტემატურად იხილავდნენ, როგორც პარტიის საოლქო, ისე რაიონული კომიტეტები. საგულისხმოა, რომ 1961—1965 წლებში პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები 66-ჯერ განიხილა და შესაბამისი დადგენილებები მიიღო. ასე გრძელდებოდა შემდგომაც. კერძოდ, 1979 წელს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ და სამდივნომ ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საკითხები 42-ჯერ, ხოლო 1980 წელს—41-ჯერ განიხილა. პარტიის სასოფლო რაიკომების ორგანიზატორულ საქმიანობაში მთავარი ადგილი კვლავ სოფლის მეურნეობის საკითხებს ეკავა. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო—სამეურნეო საწარმოებებს წვრილმან საქმებშიც კი მეურვეობდნენ, გასაქანს არ აძლევდნენ. პარტიული ორგანიზაციები მკაცრ კონტროლს ახორციელებდნენ სამუშაოთა ყოველდრიური მიმდინარეობაზე, გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაზე.

ყველაფერი ეს ტოტალიტარული რეჟიმის, კომუნისტური პარტიის გასახელმწიფოებრიობის ბუნებრივი შედეგი იყო. მართალია, ამგვაერი იყო ვითარება ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ გლეხობაზე ზეწოლა და ადმინისტრაციული დიქტატი კვლავინდებურად მეტისმეტი იყო და იგი XX საუკუნის 50—80-იან წლებში, წინა პერიოდთან შედარებით თითქმის არ შემცირებულა.

XX საუკუნის 50—60-იან წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სპეციალისტებითა და სამეურნეო ხელმძღვანელი კადრებით სოფლის მეურენეობის უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ყოველწლიურად იღებდნენ კვალიფიციურ კადრებს (აგრონომებს, ვეტექიმებს, ეკონომისტებს, ზოოტექნიკოსებს, ზოოინჟინრებს, ვეტფერშლებს

და სხვა). ამ საქმეში ძირითადი დამსახურება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს მიუძღვით. 1953-1983 წლებში ამ დარგში სპეციალისტთა რიცხვი 5,9-ჯერ (539-დან 3164-მდე) გაიზარდა. ზრდის ტემპი განსაკუთრებით მაღალი იყო XX საუკუნის 60–80-იან წლებში. თუ 1953-1962 წლებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტების რაოდენობა 1,5-ჯერ გადიდდა (780 კაკცამდე), 1962–1983 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 4-ჯერ გაიზარდა. ასევე მაღალი იყო სპეციალისტების ზრდის თვისებრივი მახასიათებელი. უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების რიცხოვნობა 1953 წელს 379 კაციდან 1962 წელს – 450, ხოლო 1983 წელს 1912–მდე, ე.ი. 5-ჯერ და მეტად გაიზარდა.[1]

საგრძნობი თვისებრივი ცვლილებები განიცადა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელობამ. როგორც ცნობილია, სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობა გაცილებით უკეთესი იყო. საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, მოადგილების, აგროგანყოფილებათა ხელმძღვანელთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება ჰქონდა. 1962 წლის ცნობით უმაღლესი განათლება ჰქონდა 18-დან 15 საბჭოთა მეურნეობის დირექტორს. უკვე 1980 წელს აქ ყველა ხელმძღვანელი უმაღლესი განათლებით იყო. წარმოების განვითარებასა და შრომოთი კოლექტივების ორგანიზაციაში თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ ივანე ფუთურიძეს (ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა), რევაზ მუავანაზეს (ციხისძირის, მუხაესტატეს, ალამბრის საბჭოთა მეურნეობები), შალვა ჩხაიძეს (ბათუმის მერძეობის საბჭოთა მეურნეობა), ლევან წულუკიძეს (ჯიხანჯურის მეურნეობა) და სხვა. ივანე ფუთურიძემ ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობა 1937 წელს დაიწყო მთავარ აგრონომად, ხოლო 1941 წელს დააწინაურეს დირექტორის თანამდებობაზე, სადაც 1986 წლამდე მუშაობდა. ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, აY.17, ს.3, ფურც.167; ან.27, ს.6, ფურც.18; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

მოწინავე იყო მთლიანად საქართველოში. ივანე ფუთურიძე 1948 წელს დააჯილდოვეს "ლენინის ორდენით", ხოლო 1949 წელს მიანიჭეს "სოციალისტური შრომის გმირის" წოდება.

კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება ბევრად იყო დამოკიდებული მატერიალურ დაინტერესებასა და საკადრო რეზერვებთან. XXსაუკუნის 50–იან წლებში, როგორც მანამდე, არცერთი ეს საკითხი არ იყო შესაბამისად მოწესრიგებული. სპეციალისტები დიდი სურვილით არ მიდიოდნენ საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1951 წელს, მაგალითად, უმაღლესი და საშუალო განათლებით იყო კოლმეურნეობის თავჯდომარეთა 55%, საწარმოო ბრიგადირების 15,7%, დაბალი განათლება ჰქონდა 127–დან 50 თავმჯდომარეს, 635–დან 401 ბრიგადირს. წერა-კითხვის უცოდინარი იყო 44 ბრიგადირი და 120 მერგოლური(2323 კაციდან).[1]

ანალოგიური მდგომარეობა იყო 1955 წლის პირველ ნახევარში. 133 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან უმაღლესი განათლებით იყო მხოლოდ 19 კაცი(14,3%), ამათგან სოფლის მეურნეობის სპეციალისტი–9 პიროვნება, 70 თავმჯდომარეს დაბალი განათლება ჰქონდა(მხოლოდ წერა-კითხვა იცოდა). ბრიგადირებად და ფერმის გამგეებად არცერთი სპეციალისტი არ მუშაობდა. ამ უბანზე დიდი ხარვეზები არსებობდა მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებში.[2]

დაახლოებით ასეთი სიტუაცია იყო მთლიანად სსრ კავშირში. ცხადია, საქართველო, მათ შორის აჭარა, გამონაკლისი არ ყოფილა. პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლების მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ–მარტის პლენუმის მითითებათა თანახმად, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები შეიყვანეს პარტი-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.30, ფურც.388.
[2] იქვე, ან.35, ს.6, ფურც.7, 22.

ის საოლქო, სამხარეო და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების ნომენკლატურაში.

პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ქალაქებიდან, სამინისტროებიდან, სხვა სახელმწიფო უწყებებიდან, სამეცნიერო–საკვლევი ინსტიტუტებიდან ზარალიან და ნაკლებადრენტაბელურ კოლმეურნეობებში გაიგზავნა 30ათასი კაცი. აქედან საქართველოში 1955 წლის ნოემბერში მათი რიცხვი 275 კაცს ითვლიდა. აჭარაში კოლმეურნეობათა თავმჯდომარედ 18 კაცი გაიგზავნა, რომელთაგან 1959 წელს თავის თანამდებობას მხოლოდ 5 კაცი შემორჩა.[1] 1961 წლის დასაწყისში 166 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა 36–ს(21,7%). 83 კაცი დაბალი განათლებით იყო. 751 საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელიდან საშუალო განათლება მხოლოდ 49 კაცს ჰქონდა(6,5%). 166 საკოლმეურნეო ფერმაში საშუალო სპეციალური განათლებით მხოლოდ 10 კაცი მუშაობდა (6,0%). შუახევის რაიონში 1962 წლის მაისში 43 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან უმაღლესი განათლებით (უმაღლესდაუმთავრებელთა ჩათვლით) 5 კაცი იყო. დაბალი განათლება ჰქონდა ყველა ბრიგადირს.[2]

ხემძღვანელი კადრების მატერიალური დაინტერესების ამაღლების, უმაღლესი და საშუალო რგოლის სპეციალისტების რაოდენობრივი ზრდის შედეგად მომდევნო წლებში მდგომარეობა შეიცვალა. უკვე 1971 წელს 163 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით იყო 95 კაცი(58,3%), 1980 წელს-69–დან 63 თავმჯდომარეს(91,3% უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება ჰქონდა 301–დან 204 ბრიგადირს(67,8%) და 63–დან 36 ფერმის გამგეს(57,2%). ამის შედეგად საგრძნობლად შემცირდა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების შეცვლა. მაგალითად, თუ 1962–1966 წლებში 184

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1955, 11 დეკემბერი; 1959, 14 ივლისი.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.44, ს.13, ფურც.33-36; ან.49, ს.6, ფურც.18-19.

თავმჯდომარე შეიცვალა,[1] 80-იან წლებში ეს პროცესი მინიმუმამდე შემცირდა. ამან რამდენადმე განამტკიცა შრომის დისციპლინა და ხელი შეუწყო წარმოების განვითარებას. საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორებს შორის გამოირჩეოდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები: მამია აბაშიძე (ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი წინსვლა), ლევან მჭედლიშვილი(ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი მახო), მიხეილ დავითაძე (შუახევის რაიონი, სოფელი ოლოდაური), ამირან ღაღაიშვილი(ქობულეთის რაიონი, სოფელი ხუცუბანი), მიხეილ აბუსელიძე (შუახევის რაიონი, სოფელი სამოლეთი) და სხვები.

ამრიგად, XX საუკუნის 50-80-იან წლებში ხელისუფლების ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. შედეგებიც თვალსაჩინო იყო, ამის შეუფასებლობა შეცდომა იქნებოდა, მაგრამ ეს მუშაობა მიმდინარეობდა საბჭოთა აგრარული წყობის ჩარჩოებში, რის გამოც საწარმოებს ბუნებრივი განვითარების გზა დახშული ჰქონდათ.

გლეხი ზემოდან ნაკარნახევი გეგმით მუშაობდა. იგი არ ითვლებოდა მიწისა და წარმოებული პროდუქციის ბატონ–პატრონად, უფლება არ ჰქონდა თავისუფლად აერჩია წარმოების დარგები და მეურნეობის ფორმები. სხვათაშორის სკკპ XXVIII ყრილობაზე, რომელიც1990 წლის ივლისში გაიმართა, აშკარად ითქვა, რომ გლეხი უნდა იყოს მიწისა და თავისი შრომის შედეგების ნამდვილი ბატონ–პატრონი, ნებაყოფილებით ირჩევდეს მეურნეობრიობის წესს. ამის გამო სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი შესაძლებლობანი გამოუყენებელი რჩებოდა. სოფლის სოციალურ–ეკონომიკური ვითარება თანდათანობით უარესდებოდა.

---

[1] აცსა, ფ.რ-84, ან.1. ს.816, ფურც.62; პპოგ, ფ.1, ან.55, ს.82, ფურც.16; ან.57, ს.116, ფურც.43; ან.59, ს.97, ფურც.31.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ თავისუფალი საბაზრო ურთიერთობის უგულებელყოფისას მიღწევები აგრარულ სექტორში ძირითადად დამოკიდებულია წარმოების მარტვის ადმინისტრაციულ მეთოდებზე. ზემოდან ზეწოლის შესუსტების გამო წარმოება დაქვეითებას იწყებდა. ამგვარი ტენდენცია აშკარად იყო შესამჩნევი XXსაუკუნის 80–იანი წლების ბოლოს.

2. სასოფლო–სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ–ტექნიკური და ფინანსურ–ეკონომიკური მდგომარეობა

მცირემიწიანობის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა წარმოების ინტენსიფიკაციას, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანას. მაგრამ აჭარაში სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია ნელი ტემპით ხორციელდებოდა. სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის შეძენის თავისუფალი ბაზრის არარსებობის პირობებში ტრაქტორებით, სატვირთო ავტომობილებით და სხვა მექანიზებული შრომის საშუალებებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებული წესით ხდებოდა. 50-იან წლებში სსრ კავშირში სოფლის მეურნეობისათვის საჭიორო ტექნიკის წარმოების უკმარისობის გამო მათი განაწილება მკაცრად ლიმიტირები\ული იყო. საქართველოს სატრაქტორო და საავტომობილო ქარხნების ნაწარმი ძირითადად განკუთვნილი იყო სხვა რეგიონებისათვის.

XX საუკუნის 50-იან წლებში აჭარის სოფლად რკინის გუთანი, ნიადაგის გასაფხვიერებელი ტექნიკაც კი საკმარისი არ იყო. მაღალმთიან რაიონებში ნიადაგის დასამუ-

შავებლად მეტწილად შუა საუკუნების დროინდელ შრომის იარაღებს იყენებდნენ. არადა შრომატევადი კულტურების განვითარება გადაუდებლად თხოულობდა სამიწათმოქმედო ტექნიკის, განსაკუთრებით მცირე მექანიზაციის გამოყენებას. მართალია, გასული საუკუნის 60-იან წლების დასაწყისში გამოიგონეს ჩაის ფოთლის მექანიზებულად საკრეფი მანქანა "საქართველო", მაგრამ მისი გამოყენება მთაგორიანი რელიეფის პირობებში პრაქტიკულად ნაკლებად გამოსადეგი აღმოჩნდა.

ხელის'უფლება არასაკმარის დაინტერესებას იჩენდა სამთო სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის, უწინარესად მცირე მექანიზაციის განვითარებისა და გამოყენებისათვის. პრაქტიკულად გამოუყენებული დარჩა ბათუმის ხისდამამუშავებელი კომბინატის მუშა-ნოვატორის ანზორ ივანესძე ანთიძის მიერ გამოგონებული ჩაის ფოთლის მექანიზებული საკრეფი მანქანა, აგრეთვე სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლებიც შექმნეს ამ საქმის ენთუზიაზისტებმა.

მართალია, XXსაუკუნის 50-იან წლებში ნიადაგის დამუშავებისა და ტვირთის გადასატანად ძირითადად იყენებდნენ ხარ–კამეჩსა და ცხენს, მაგრამ ამავე დროს ტრაქტორებისა და სატვირთო ავტომობილების გამოყენებაც იწყება. მომდევნო წლებში სასოფლო–სამეურნეო საწარმოები, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც მარაგდებოდნენ ამ სახის ტექნიკით. ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ტრაქრორებისა და სატვირტო ავტომობილების რაოდენობრივი ზრდის დინამიკა ასახულია ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკურ მასალებში (იხილეთ ცხრილი 1).[1]

---

[1] ცხრილი შედგენილია: აცსა, ფ.რ-178, ან.1, სს.782, 976, 1193; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ცხრილი 1.

	1950წ.	1960წ.	1970წ.	1980წ.	1988წ.	1990წ.
1. ტრაქტორები	105	139	549	776	1151	1025
2. სატვიტთო ავტომობილები	317	460	791	791	1436	1352

როგორც მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, აჭარის სოფლის მეურნეობაში ტრაქტორებისა და სატვირთო ავტომობილების რაოდენობრივ ზრდაში 50-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა. 10 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობამ 34 ცალი ტრაქტორი და 83 სატვირთო ავტომობილი მიიღო, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა დარგის მოთხოვნებს. ტრაქტორები ძირითადად კონცენტრირებული იყო საბჭოთა მეურნეობებსა და ქობულეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. 1955 წელს კოლმეურნეობებში 3 ცალი, საბჭოთა მეურნეობებში-68, ხოლო მანქანა–ტრაქტორთა სადგურში–44 ტრაქტორი ითვლებოდა.

1958 წელს განხორციელდა მანქანა–ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. ქობულეთის მანქანა-ტრაქტორტა სადგური სარემონტო–ტექნიკურ საწარმოდ გადააკეთეს. გამოთავისუფლებული ტექნიკის, პირველ რიგში, ტრაქტორების დიდი ნაწილი კოლმეურნეობებს შეასყიდვინეს, რის შედეგად კოლმეურნეობებში ტრაქტორების რიცხვი 90–მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობათა 54,2% ტრაქტორი საერთოდ არ ჰქონდა.[1] 1965 წელს აჭარის

[1] ო. თურმანიძე, აჭარის ასსრ ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები. ბათ., 1982, გვ.97, 115.

მაღალმთიანი რაიონების 113 კოლმეურნეობიდან ტრაქტორი მხოლოდ 40 მათგანს ჰქონდა(35,4%).[1]

მართალია, 1951–1960 წლებში სატვირთო ავტომობილების რაოდენობა 1,5-ჯერ(317-დან 460-მდე გაიზარდა, მათ შორის კოლმეურნეობებში- 3-ჯერ(142-დან 423-მდე),[2] 1960 წელს საშუალოდ თითო კოლმეურნეობაზე ორი ან სამი სატვითო ავტომობილი მოდიოდა. თუმცა ავტომობილები ზოგიერთ კოლმეურნეობას საერთოდ არ ჰქონდა.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ–ტექნიკურ უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა XX საუკუნის 60–80-იან წლებში. იგი განპირობებული იყო იმით, რომ შემდგომ განვითარდა მრეწველობის შესაბამისი დარგები. ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის კაპიტალდაბანდება გაიზარდა, რის შედეგად სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მეტი შესაძლებლობა შეექმნათ სამიწათმოქმედო ტექნიკის შესაძენად. აჭარის სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებამ 1971-1975 წლებში შეადგინა 43,3 მილიონი მანეთი, 1976-1980 წლებში-60,6 მილიონი, 1981-1985 წლებში- 62 მილიონი, ხოლო 1986-1990 წლებში–79,2 მილიონი მანეთი.[3] ამრიგად, 20 წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის კაპიტალური დაბანდება 1,8-ჯერ გაიზარდა, რაც რამდენჯერმე აღემატებოდა წინა ოცწლეულს.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განვითარებაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებას, რადგან კოლმეურნეობათა უმრავლესობას საჭირო საკუთარი სახსრები არ გააჩნდა. 1971-1975 წლებში სახელმწიფო უზრუნველყოფდა კოლმეურნეობათა კაპიტალდაბანდების 34,9%, 1976-1985 წლებში-40%, 1986-1990 წლებსი 57%.[4] ამგვარი ზრდის მიუხედა-

---

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1607, ფურც.2.

[2] ო. თურმანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.97-98.

[3] Народное хозяиство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.104; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[4] იქვე.

ვად, აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კაპიტალური დაბანდებანი არასაკმარისი იყო. აღსანიშნავია, რომ მთლიანად სახალხო მეურნეობაში დაბანდებული სახსრებიდან სოფლის მეურნეობაზე 1971–1975 წლებში მხოლოდ 15% მოდიოდა. 1976-1980 წლებში–11,2%, 1981–1985 წლებში–9,7%. ეს დაბალი მაჩვენებელი იყო, ვიდრე მთლიანად საქართველოში. საგულისხმოა, რომ საქართველოს საერთო საშუალო მახასიათებელი შეადგენდა 26,4%, 27,7% და 25,5%.[1]

კაპიტალდაბანდების გადიდების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა სასოფლო–სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაციის დონე. 1970 წელს 1960 წელთან შედარებით ტრაქტორების რიცხვი 1,7-ჯერ, ხოლო სატვირთო ავტომობილებისა–4-ჯერ გაიზარდა. 1971–1988 წლებში მათი რაოდენობა თითქმის გაორკეცდა. მთლიანად აღებული 1951–1988 წლებში ტრაქტორების რიცხოვნობა გადიდდა 11-ჯერ, ხოლო სატვირტო ავტომობილებისა–4,5-ჯერ.

კოლმეურნეობებში 1961–1988 წლებში ტრაქტორების რაოდენობა გაიზარდა 98-დან 617-მდე (6,3-ჯერ), ხოლო სატვირთო ავტომობილებისა–410-დან -მდე. სახელმწიფო მეურნეობებში შესაბამისად 111-დან 207-მდე (1,9-ჯერ) და 129-დან 220-მდე (1,7-ჯერ). 1975 წლისათვის საშუალოდ თითო საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა 10,5 ტრაქტორი, 12-ზე მეტი სატვირთო ავტომობილი. 1971 წლისათვის, მაგალითად, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობას ჰქონდა 11 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 13 სატვირთო ავტომობილი და 8 ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა "საქართველო".[2] 1989–1990 წლებში ტრაქტირებისა და სატვირთო ავტომობილების შემცირება განპირობებული იყო საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებით.

---

[1] Нар. тное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.104; Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический сборник, Тб., 1987, с. 106.

[2] საბჭოთა აჭარა, 1971, 21 ოქტომბერი.

XX საუკუნის 70–80-იან წლებში შესამჩნევად გაიზარდა სატრაქტორო გუთნის, სატრაქტორო სათესის, კულტივატორების, სილოსისა და ნამჯა-სილოსის საჭრელი და სხვა სახეობის მანქანები. 1970–1985 წლებში სატრაქტორო გუთნის რაოდენობა 91-დან 205 ცალამდე (2,3-ჯერ), კულტივატორებისა–23-დან 65 ერთეულამდე (12,8-ჯერ), სატრაქტორო სათესის რიცხოვნობა 4-დან 19-მდე (4,8-ჯერ) გაიზარდა. 1964 წელს პირველად გამოიყენეს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა "საქართველო". 1965 წელს ჩაის პლანტაციებში უკვე 23, 1980 წელს–74, ხოლო 1988 წელს - 80 ასეთი მანქანა მუშაობდა.[1]

1980 წელს ჩაის საკრეფი მანქანით მართალია, მოკრიფეს 10 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რაც საერთო მოსავლის 15,2%-ს აღემატებოდა, მაგრამ ამ აგრეგატმა ვერ გაამართლა. აჭარის რელიეფის პირობებში ჩაის საკრეფი მანქანა "საქართველო" ნაკლებად ეფექტური გამოდგა. ძალზე დაბალი იყო აგრეთვე ტრაქტორებისა და სატვირთო ავტომობილების საწარმოო დატვირთვის მაჩვენებლები. 1965 წელს თითო ტრაქრორზე საშუალოდ 100 ჰექტარი დამუშავებული სავარგული მოდიოდა. ზოგიერთ მეურნეობაში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო. მაგალითად, 1970 წელს ხულოს რაიონის ბეღლეთის კოლმეურნეობაში ერთ ტრაქტორზე საშუალოდ 15 ჰექტარი, ხოლო ქედის რაიონის ხარაულას კოლმეურნეობაში 8 ჰექტარი დამუშავებული მიწის ფართობი მოდიოდა.[2] ამიტომ მთაგორიანი რელიეფის პირობებში მცირე მექანიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სამწუხაროდ, ამ საქმეში არსებითი წინსვლა არ ყოფილა.

მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოს კპ ცეკამ და მინისტრთა საბჭომ 1975 წლის 28 ოქტომბერს მიიღეს ერთობლივი დადგენილება "რესპუბლიკაში მცირე

---

[1] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.81; აჭარის ხოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.
[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.56, ს.19, ფურც.2; ან.64, ს.5, ფურც.86.

მექანიზაციის განვითარების ღონისძიებათა შესახებ." ამ საკითხზე 1976 წლის თებერვალში დადგენილება მიიღო პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ.[1] ამის შემდეგ აღინიშნა გარკვეული მიღწევები: რესპუბლიკის საწარმოებმა აითვისეს მცირე მექანიზაციის მანქანებისა და აპარატების წარმოება, მათი შემოტანა საზღვარგარეთიდანაც დაიწყო. ამის შედეგად მექანიზებული გახდა ციტრუსოვანთა ბაღების ნაწილის შეწამლვა, ნაყოფის გამოზიდვა, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა, მოეწყო საბაგირო გზები ქობულეთის რაიონის ციხისძირისა და მუხაესტატეს, ხელვაჩაურის რაიონის გონოის საბჭოთა მეურნეობებში და სხვა. მიუხედავად ამისა, აჭარის სოფლის მეურნეობაში მცირე მექანიზაცია სათანადოდ არ იყო განვითარებული. 1978 წელს, მაგალითად, მეჩაიეობაში მექანიზებული იყო: გასხვლა–16%, კულტივაცია–8%, ჩაის ფოთლის კრეფა–16%-ით.[2] ბეთამბაქოებაში მექანიზაციას საერთოდ ვერ იყენებდნენ.

საერთო შეფასებით დაბალ დონეზე იდგა აჭარის სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია. 1952 წელს ელექტროფიცირებული იყო კოლმეურნეობათა 40,2%, 1965 წელს – 89,2%, ხოლო 1967 წელს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მთლიანად იყო ელექტროფიცირებული. თუმცა საწარმოო დანიშნულებით ელექტროენერგიის გამოყენების კოეფიციენტი 4%-ს არ აღემატებოდა. XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. მაგალითად, 1970 წელს სოფლის მეურნეობაში მოიხმარეს 10967 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. 1980 წელს–15800 მილიონი, 1985 წელს–26633 მილიონი, ხოლო 1990 წელს–30630 მილიონი კილოვატსაათი, რაც 1970 წლის მაჩვენებელს თითქმის სამჯერ აჭარბებდა.

საზოგადოებრივ მეურნეობებში 1970–1989 წლებში ერთ მომუშავეზე ელექტროენერგიის მოხმარება 2,2-დან 4,6 ცხე-

---

[1] იქვე, ან.73, ს.34, ფურც.104.
[2] იქვე, ს.490, ფურც.61.

ნის ძალამდე, ხოლო 100 ჰექტარ ნათეს ფართობზე–110-დან 255 ცხენის ძალამდე გაიზარდა. მაგრამ ეს მეტად დაბალი მაჩვენებელი იყო და საქართველოს რესპუბლიკის საერთო საშუალო მაჩვენებელს დაახლოებით 1,7-ჯერ ჩამორჩებოდა.

აჭარის კოლმეურნეობებში, სახელმწიფო მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების არაერთი ობიექტი ააშენეს. XX საუკუნის 50-იან წლებში, როგორც ადრე, აჭარის კოლმეურნეობებში საწარმოო სიმძლავრეებსა და სოციალ-ლურ–კულტურული დანიშნულების ობიექტებს ძირითადად აგებდნენ კოლმეურნეთა შრომით, თითქმის უფასოდ. 1953 წელს აიგო მეცხოველეობის 23, ხოლო 1955-1959 წლებში 224 სადგომი. 1960 წლის დასაწყისში კოლმეურნეობებში პირუტყვის 809 სადგომი ითვლებოდა(49.000 ადგილი). სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმ-ნისათვის მუშაობა საგრძნობლად გაძლიერდა მომდევნო წლებში. 1961–1970 წლებში ექსპლოატაციაში შევიდა სა-კოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების ახალი ნაგებობა-ნი 1124 სული პირუტყვისა და 1000 ფრთა ფრინველისათ-ვის, მინერალური სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი საწყობები 1500 ტონის ტევადო-ბით.

მომდევნო ათწლეულში მწყობრში ჩადგა მეცხოვე-ლეობის ფერმების ახალი კაპიტალური ნაგებობები, საწ-ყობები და სხვა სათავსოები. ექსპლოატაციაში შევიდა სა-კოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმები 6856 სული პი-რუტყვისა და 5500 ფრთა ფრინველისათვის, საწყობები 7273 ტონის ტევადობით, რაც წინა ათწლეულთან შედა-რებით 5,6-ჯერ მეტი იყო. 1981-1985 წლებში აშენდა მეცხო-ველეობის ფერმები 5525 სული პირუტყვისა და 46616

ფრთა ფრინველისათვის, 1663 ტონა ტევადობის საწყობები.[1]

სოფლის მეურნეობის განვითარებაში ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საირიგაციო სისტემას. აჭარის მთიანეთში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. როგორც ადრე, ისე XX საუკუნის 50-იან წლებში, მოსახლეობას სარწყავი არხები გაჰყავდა საკუთარი სახსრებით, სახელმწიფო დაფინანსების გარეშე. 1952 წელს აჭარაში შიდა სამეურნეო მნიშვნელობის 135 სარწყავი არხი ითვლებოდა. 1953-1960 წლებში 17 ახალი სარწყავი არხი გაიყვანეს და საერთო რიცხოვნობა 152-მდე გაიზარდა, ამ არხების საერთო სიგრძე 700 კმ-ს აღწევდა და მათი მეშვეობით 7555 ჰექტარ მიწას რწყავდნენ.[2]

მართალია, მთიანი აჭარის მოსახლეობას სარწყავი არხების მშენებლობის მდიდარი ტრადიციები გააჩნდა, მაგრამ ეს იყო არასტანდარტული, დროებითი ნაგებობები და მწყობრიდანაც მალე გამოდიოდა. XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს სახელმწიფო იწყებს სახსრების გამოყოფას საჭრიგაციო არხების მშენებლობისათვის და შედეგებიც თვალსაჩინო იყო. 60-80-იან წლებში სახელმწიფო დაფინანსებით ააგეს 3 წყალსატუმბი სადგური მდინარე აჭარისწყალზე (ვაიო-კვაშტა, ფურტიო-ნენია, ვაშლოვანი) და გაიყვანეს 23 სამეურნეობათაშორისო სარწყავი არხი, რომელთა საერთო სიგრძე 238 კილომეტრს აღწევდა. 1990 წელს სარწყავი არხების საერთო სიგრძემ 753 კმ შეადგინა, ხოლო სარწყავი მიწების ფართობი 8763 ჰექტრამდე გაიზარდა. სარწყავი არხებიდან აღსანიშნავია ბოდიშის (25,5 კმ), კორტოხ-ბელლეთის (19,5კმ), ცინარეთის (21კმ) და სხეფის (19კმ).

სოფლის მეურნეობის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გახვითარების საერთო სურათი ასახულია სახელმწიფო

---

[1] ცნობები მოცვანილია აჭარის სტატისტიკური კრებულებიდან.

[2] აცსა, ჰპოგ, ფ.1, ან.57, ს.11, ფურც.60-61; ფ.რ-178, ან.1, ს.1597, ფურც.8.

მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ძირითადი ფონდების ღირებულებით მაჩვენებლებში (იხ. ცხრილი 2, მილიონი მანეთობით).[1]

ცხრილი 2.

წლები	სახელმწიფო მეურნეობები	აჭარის არ კოლმეურნეობები	მათ შორის რაიონები				
			ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო
1950	8,1	19,7	8,5	6,1	1,6	–	3,5
1955	16,2	24,8	11,7	7,8	1,7	1,6	2,0
1960	21,8	36,8	19,4	10,5	2,3	2,1	2,5
1970	46	58,1	37,4	19,9	4,1	2,9	3,9
1980	80,2	111,1	59,2	32,5	6,9	6,0	6,1
1989	92,8	167,0	82,3	53,0	11,8	8,0	11,6

1951-1990 წლებში სახელმწიფო მეურნეობების ძირითადი ფონდები 11,6-ჯერ, ხოლო კოლმეურნეობებისა-8,5-ჯერ გაიზარდა. მთლიანობაში აღებული კი 9,3-ჯერ გადიდდა. ზრდის ტემპი მაღალი იყო საკვლევი პერიოდის ყველა ათწლეულში. 1951-1960 წლებში 2-ჯერ, 1971-1980 წლებში –

[1] ცხრილი შედგენილია: აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1958, გვ.48; საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.65; აცსა, ფ.რ-84, ან.1, ს.1878, ფურც.10-11; ს.625, ფურც.2, 26, 50, 74, 98, 122; ფ.რ-178, ან.1, ს.1151. ფურც.7, 19, 32, 45, 70.

1,7-ჯერ, ხოლო 1981-1990 წლებში-1,3-ჯერ გაიზარდა. სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების უმეტესი ნაწილი კოლმეურნეიბებს ეკუთვნოდათ.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ–ტექნიკური აღჭურვით წამყვანი ადგილი ეკავათ ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებს. მათგან, ქობულეთის რაიონზე მოდიოდა კოლმეურნეობების საერთო ძირითადი ფონდების 43-55%, ხოლო ხელვაჩაურის რაიონზე-29-31%.

მართალია, 1951-1990 წლებში მაღალმთიანი ზონის (ქედის,შუახევის, ხულოს რაიონები) კოლმეურნეობების ძირითადი ფონდები 3,7-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ამ სამი რაიონის ხვედრითი წილი, ერთად აღებული, უმნიშვნელო იყო. 1950 წელს 25,9%-დან 1960 წელს-18,7, 1970 წელს-16%, 1980 წელს-17%-მდე შემცირდა. ეს მდგომარეობა რამდენადმე აბრკოლებდა მთიან ზოლში სოფლის მეურნეობის განვითარებას.

კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების სტრუქტურაში XX საუკუნის 50-იან წლებში განმსაზღვრელი იყო მრავალწლიანი ნარგავები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი. 60-იანი წლებიდან შესამჩნევად გაიზარდა შენობა-ნაგებობათა, მანქანა-მოწყობილობათა, სატრანსპორტო საშუალებათა ხვედრითი წილი.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში აჭარის კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ძირიტადი საწარმოო ფონდების სტრუქტურა ასახულია მე-3 ცხრილში (პროცენტობით).[1]

---

[1] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.80.

ცხრილი 3.

	1970წ.	1980წ.	1985წ.	1986წ.
სასოფლო–სამეურნეო საწარმოო ფონდები	100	100	100	100
მათ შორის:				
შენობა–ნაგებობანი და სხვა	33,6	34,4	34,7	35,2
მოწყობილობანი მანქანები და მექანიზმები	2,9	3,2	4,3	4,0
აქედან:				
ძალოვანი მანქანები და მოწყობილობანი.	2,4	2,4	2,8	2,7
მუშა მანქანები და მოწყობილობანი	0,5	0,6	1,3	1,2
სატრანსპორტო საშუალებები	1,9	2,0	2,3	2,4
მუშა საქონელი	1,2	1,4	1,5	1,5
პროდუქციული საქონელი	5,2	6,2	6,4	6,6
მრავაწლიანი ნარგავები	53,1	51,6	47,3	47,2
სხვა ძირითადი ფონდები	2,1	1,2	3,5	3,1

მართალია, 1970–1986 წლებში მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წილი ძირითადად საწარმოო ფონდებში თითქმის 6%-ით შემცირდა, მაგრამ იგი მაინც პირველ ადგილზე რჩებოდა. მეორე ადგილზე რჩებოდა შენობა-ნაგებობანი და სხვა მოწყობილობანი. მესამე ადგილი ეკავა მუშა და პროდუქციულ პირუტყვს. სასოფლო-სამეურნეო ძირითადი საწარმოო ფონდების სტრუქტურულ ცვლილებათა თავისებურება იმაში გამოიხატა, რომ საგრძნობლად გაიზარდა მანქანებისა და მექანიზმების ხვედრითი წილი. პირველ რიგში აღსანიშნავია ძალოვანი და მუ-

შა მანქანები და მოწყობილობანი, სატრანსპორტო საშუალებები.

სწორედ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, დარგის ინტენსიფიკაცია დამოკიდებული იყო მანქანებსა და მექანიზმებზე. სამწუხაროდ, სასოფლო–სამეურნეო საწარმოო ძირითადი ფონდების სტრუქტურაში მათი ხვედრითი მახასიათებელი მცირე იყო. ამავე დროს ტექნიკის ნაწილი, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად მოძველდა და მწყობრიდან სისტემატურად გამოდიოდა. მათი შევსება ახლით საჭირო რაოდენობით არ ხდებოდა. აგროტექნიკა სათანადოდ უზრუნველყოფილი არ იყო სათადარიგო ნაწილებითა და სარემონტო სახელოსნოებით.

ქობულეთის რაიონში 1970 წელს არსებული 67 ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანიდან ("საქართველო") 29 ეკუთვნოდათ კოლმეურნეობებს, 30–საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო 8–სოფლტექნიკის ქობულეთის განყოფილებას, მაგრამ ისინი გამართულად ვერ მუშაობდნენ, რადგან არ ჰქონდათ სათადარიგო ნაწილები. ამავე 1970 წელს საჭირო 40 აკუმლატორის ნაცვლად მხოლოდ 14 ცალი მიიღეს. ამ აგრეგატის სარემონტო–სახელოსნო ზუგდიდში არსებობდა და მეურნეობების თანამშრომლები ჩიოდნენ უხარისხო რემონტის გამო.[1] კიდევ უარესი ვითარება იყო აჭარის მაღალმთიან რაიონებში.

XX საუკუნის 70–80-იან წლებში სახელმწიფომ მნიშვნელოვნად გაზარდა სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა მინერალური სასუქებით, შხამქიმიკატებით, საწვავ–საპოხი ჩასალებით. 50-იან წლებში ამ მატერიალური საშუალებებით სოფლის მეურნეობა სათანადოდ უზრუნველყოფილი არ იყო, მაგრამ 60-იან წლებში ვითარება შეიცვალა 1965 წელს აჭარის სოფლის მეურნეობას მიეყიდა 22576 ტონა მინერალური სასუქი, რაც მთლიანად უზრუნველყოფდა დარგის მოთხოვნილებებს.[2] მინერალურ სასუქებზე და სხვა

---

[1] აცსა, ფ.ოგ, ფ.1, ან.64, ს.96, ფურც.4.
[2] იქვე, ან.56, ს.52, ფურც.41, 48.

ქიმიურ საშუალებებზე მოთხოვნილების გაზრდის შედეგად, მათი მიწოდებაც გადიდდა. მაგალითად, 1979 წელს კოლმეურნეობებმა მიიღეს 31500 ტონა მინერალური სასუქი და 1000 ტონა შხამქიმიკატი.[1] აჭარის სოფლის მეურნეობა XX საუკუნის 70–80-იან წლებში აღარ განიცდიდა მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და სხვა ქიმიური საშუალებების სიმცირეს.

ორგანიზაციული და მატერიალურ–ტექნიკური ღონისძიებები, რასაც ხელისუფლების ორგანოები ახორციელებდნენ, საბოლოოდ გაიზომება საწარმოთა ფინანსურ-ეკონომიკური შედეგებით. აჭარის სახელმწიფო მეურნეობებში ამ მხრივ შედეგები დამაკმაყოფილებელი იყო, გამონაკლისის გარდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში იწყება საბჭოთა მეურნეობების სრული გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე. 1969 წელს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანეს 5 საბჭოთა მეურნეობა. გატარდა ღონისძიებები ზარალიანი სახელმწიფო მეურნეობების ეკონომიკის გასაძლიერებლად. ამ დროს ზარალიანი იყო ორი საბჭოთა მეურნეობა (ქობულეთის მებოსტნეობისა და ბათუმის მერძეობის). 1970 წელს პირველ მათგანს შეუერთდა ფიჭვნარის კოლმეურნეობა, ხოლო მეორეს –ანგისის. ამის შემდეგ ყველა საბჭოთა მეურნეობა რენტაბელური გახდა.

ფინანსურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ის საბჭოთა მეურნეობები, რომელთა რენტაბელობა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე 25%-ით ნაკლები იყო, გაათავისუფლეს სახელმწიფო გადასახადისაგან. მათ ნება დართეს წახალისების ფონდში გადაერიცხათ მოგების 15%, ხოლო სადაზღვევო ფონდში–20%.[2] 1970 წლიდან აჭარაში უკვე რენტბელური იყო ყველა საბჭოთა მეურნეობა და ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდებოდა. 1972 წელს მან შადგინა 38,9%, 1975 წელს–55,3%, 1980 წელს–57,5%, 1971–1985 წლებში ავტონო-

---

[1] იქვე, ან.74, ს.88, ფურც.45.
[2] საბჭოთა აჭარა, 1967, 16 აპრილი.

მიური რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მთლიანი შემოსავალი 25,7 მილიონიდან 39,5 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 48%-ით გაიზარდა.[1] ზრდადი სტაბილური შემისავალი ჰქონდათ ჩაის საბჭოთა მეურნეობებს. ძაღალრენტაბელურობით გამოირჩეოდნენ ჩაქვისა და ოჩხამურის საწარმოები. ამ უკანასკნელის შემოსავალი 1953–1971 წლებში 1,5 მილიონიდან, 11,5 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 7,7-ჯერ გადიდდა. 1962 წელს მოგებამ 664 ათასი, 1970 წელს–1013 ათასი, ხოლო 1971 წელს–3.837 ათასი მანეთი შეადგინა. ანალოგიური მდგომარეობა იყო მომდევნო წლებშიც.

სოფლად შესამჩნევი ცელილებები მოხდა კოლმეურნეობათა ეკონომიკურ ურთიერთობაში. მართალია, აგრარული წყობა უცვლელი დარჩა, მიწისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მონოპოლიური მესაკუთრე კვლავინდებურად სახლმწიფო იყო, მაგრამ ცელილებები ძირითადად შეეხო კოლმეურნეობებთან სახელმწიფოს დამოკიდებულებას. დაწესდა შედარებით პროგრესული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. რამდენადმე გაიზარდა მატერიალური დაინტერესება, ამაღლდა სახელმწიფო შესყიდვის ფასები. თუმცა ყველა ეს ღონისძიება არასაკმარისი იყო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის 1953 წლის აგვისტოს კანონით "სასოფლო–სამეურნეო გადასახადის შესახებ" გაუქმდა ის მოქმედი ნორმატივები, რომლის მიხედვითაც გადასახადები დაწესებული იყო ნათესების, ბალ–ვენახების საერთო ფართობსა და პირუტყვის სულადობაზე. ამიერიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადები გამოიანგარიშებოდა მტკიცე განაკვეთებით მხოლოდ გამოსაყენებელი მიწის ფართობის მიხედვით. ამასთან დაწესდა მთელი რიგი შეღავათები.[2] ახალი კანონი ძველთან შე-

---

[1] Н^одное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.78; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.30, ს.4, ფურც.185; ან.64, ს.28, ფურც.2-3; ს.105, ფურც.56; საბჭოთა აჭარა, 1955, 14 იანვარი; 1963, 4 იანვარი, 1973, 21 ოქტომბერი.

[2] საბჭოთა აჭარა, 1953, 13 აგვისტო.

დარებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის სტიმულს იძლეოდა, უკეთეს პირობებს ქმნიდა მიწის რაციონალურად გამოყენებისათვის. ამასთან, აჭარაში 1953 წელს 1952 წელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 11%-ით, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 39%-ით შემცირდა. 1954 წელს ხულოსა და შუახევის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო გადასახადები დამატებით შემცირდა 26,6% და 34,3%-ით.[1]

სკკპ ცეკას და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით სახელმწიფოზე მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმები შემცირდა და შესყიდვის ფასები გაიზარდა, ხოლო სახელმწიფოზე ზეგეგმითი პროდუქციის ჩაბარებისათვის გადიდებული ფასები დაწესდა.[2] კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებისათვის მწარმოებელთა დაინტერესების ასამაღლებლად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1953 წლის სექტემბერსა და 1956 წლის იანვარში სპეციალური დადგენილებები მიიღეს, რომელთა თანახმად შესამჩნევად გაიზარდა სახელმწიფო შესყიდვის ფასები.[3]

მართალია, აჭარის ხელმძღვანელობამაც კონკრეტული ღონისძიებები დასახა, მაგრამ მეცხოველეობაში, მეთამბაქოებაში, მებოსტნეობაში და სხა ეკონომიკური სტიმულირება იმდენად დაბალი იყო, რომ ამ დარგებში არსებითი გარდატეხა არ მომხდარა.

სკკპ ცეკასა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილებით "სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ" დაიგმო გაუმართლებლად გაბერილი გეგმები, წარმოების მეტისმეტი ცენტრალიზაცია და დეტალიზაცია. კოლმეურნეობებისა

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1954, 14 აპრილი.

[2] Решения партии и правительство по хозяйственным вопросам, 4, М., 1968, с.60-68.

[3] საბჭოთა აჭარა, 1953, 1, 4 ოქტომბერი; 1956, 5 თებერვალი.

და საბჭოთა მეურნეობების უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა, რაც ბოჭავდა მათ ინიციატივასა და თაოსნობას, უკარგავდა სტიმულს.[1] სამწუხაროდ, ეს დადგენილებაც ქაღალდზე დარჩა. ასევე, სანახევროდაც ვერ განხორციელდა სკკპ ცეკასა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის დადგენილება კოლმეურნეობებში ყოველთვიური ავანსების გაცემის შესახებ. აჭარის მაღალმთიანი ზონის კოლმეურნეობები სამეურნეო წლის დასასრულსაც ვერ იღებდნენ შრომის საზღაურს.

საკოლმეურნეო სექტორში არსებული ფინანსურ-ეკონომიკური და სამეურნეო–ორგანიზაციული ვითარების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად სკკპ ცეკას და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის მეორე დადგენილება "სასოფლო–სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და არტელის მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ." მართალია, აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებდა მატერიალური დაინტერესების ამაღლებას, მაგრამ ამავე დროს ზღუდავდა ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას. კოლმეურნეობებს რჩევა ეძლეოდათ (ფაქტობრივად ევალებოდათ) გადაესინჯათ სასოფლო–სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, შეეტანათ საჭირო ცვლილებები, რომ საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მოცულობა და პირადი მეურნეობის პირუტყვის სულადობა შემცირებულიყო. ამასთან საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო შრომადღეების საავალდებულო მინიმუმი.[2]

ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულებისათვის აჭარაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს: განსაზღვრეს საკარმიდამო ნაკვეთების ფართობი (მინიმუმი 0,25, მაქსიმუმი 0,5 ჰექტერი მანამდე არსებული 0,25 და 0,75 ჰექტარის ნაცვლად.) დაადგინეს გამომუშავების ახა-

---

[1] Решения партии и правительство по хозяйственным вопросам, Сборник документов, 4, М., 1968, с.192-197.
[2] იქვე, გვ.288-296.

ლი ნორმები, დამატებითი ანაზღაურების ოდენობა, რაც კოლმეურნეს მასსზე გაპიროვნებული ნაკვეთზე გეგმის ზევით წარმოებული პროდუქტისათვის მიეცემოდა (ჩაის ფოთლის ღირებულების 40-დან 60%-მდე, სიმინდისა და კარტოფილის მოსავლის 50-დან 70%-მდე, თამბაქოს ღირებულების 60-დან 80%-მდე). დაახლოებით ასეთივე იყო დამატებითი ანაზღაურების ოდენობა და ფორმები ყურძნის, ხილის, ციტრუსების და სხვა სასოფლო—სამეურნეო კულტურების ზეგეგმითი პროდუქციის წარმოებისათვის, ხოლო მეცხოველეობაში, მწველავსა და მწყემსს ეძლეოდა გეგმის ზევით მიღებული რძის 20-დან 50%-მდე და ასე შემდეგ. კოლმეურნეს შრომადღეები დაერიცხებოდა შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის მიხედვით დამატებითი ანაზღაურების 50% მას ეძლეოდა შრომის პროცესში, დანარჩენი კი—წლის ბოლოს, საბოლოო შედეგების შეჯამებისას[1] გეგმები იმდენად გაბერილი იყო, ხოლო შრომის ანაზღაურება იმდენად დაბალი, რომ მწარმოებელს თითქმის არაფერი რჩებოდა. მაგალითად, 1957 წელს აჭარის კოლმეურნეობებში ზეგეგმითი პროდუქციის წარმოებისათვის დამატებითი ანაზღაურების სახით გაიცა 850 ათასი მანეთი და 567,4 ტონა პროდუქტი, რაც იმდენად უმნიშვნელი იყო, რომ ვერ ახდენდა მნიშვნელოვან გავლენას კოლმეურნეთა შრომით დაინტერესებაზე. საგულისხმოა, რომ ამ ზეგეგმით წარმოებული პროდუქციის ანაზღაურებიდან წლიურად ერთ კოლმეურნეზე საშუალოდ მოდიოდა 12 მანეთი და 8,2 კგ პროდუქტი.[2]

საქართველოს კპ ცეკას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის იანვრის დადგენილებით, კოლმეურნეობებმა მეჩაიეთა შრომითი სტიმულირებისათვის დააწესეს პრემიები: I ხარისხის თითოეული კგ ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის —10 კაპიკი II ხარისხისაზე 6 კაპიკი.

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1956, 4 ივლისი.

[2] აცსა, ფ.რ-178, აღ.1, ს.1273, ფურც.41; საბჭოთა აჭარა, 1958, 14 იანვარი.

სოფლის მეურნეობაში მუშაკთა სტიმულირებისათვის მნიშვნელოვანი იყო სკკპ ცეკას 1958 წლის ივნისის პლენუმის დადგენილება "სავალდებულო ჩაბარებისა და მანქანა–ტრაქტორთა სადგურების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ". შემდეგ გამოვიდა ახალი დადგენილება, რომლითაც სასოფლო–სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოზე სავალდებულო ჩაბარების ნაცვლად 1958 წლის 1 ივლისიდან შემოიღეს მათი შესყიდვა და გაზარდეს შესასყიდი ფასები, კოლმეურნეობებს ჩამოაწერეს ადრინდელი სახელმწიფო ვალები. ამის შედეგად აჭარაში კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 34%-ით გაიზარდა.[1] 1962 წელს შესამჩნევად გაიზარდა აგრეთვე ხორცის, კვერცხის, რძის სახელმწიფო შესყიდვის ფასები. 1965 წელს ხორცის სახელმწიფო შესყიდვის მოქმედ ფასებზე ახალი დანამატები შემოიღეს.

მართალია, აჭარის სუბტროპიკულ ზონაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა (აქ ისედაც რენტაბელური იყო კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა), მაგრამ მთიან ზოლში ისევ მძიმე მდგომარეობა იყო. კოლმეურნეობათა საგრძნობი ნაწილი ზარალით ამთავრებდა სამეურნეო წელს, მათი შემოსავალი ვერ ფარავდა გასავალს. ჯერ კიდევ 1953 წელს საქართველოს კპ ცეკამ აჭარის მაღალმთიანი ზონის კოლმეურნეობების ფენანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების შესამუშავებლად სპეციალური კომისია შექმნა, რომელმაც წარადგინა შესაბამისი რეკომენდაციები,[2] მაგრამ რეალურად ისინი ნაკლებად შედეგიანი გამოდგა.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში აჭარაში ზარალიანი და ნაკლებრენტაბელური კოლმეურნეობების

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1958, 20 ივლისი.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.27, ს.9, ფურც.87-89.

რიცხვი გაიზარდა, რაც მხოლოდ აჭარისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი. ასე იყო სსრ კავშირის ეკონომიკური სივრცის, მათ შორის მთლიანად საქართველოს მთიანეთშიც. ამ ვითარების გამოსასწორებლად საქართველოს კპ ცეკამ და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1961 წელს სპეციალური პროგრამა შეიმუშავეს. 1962 წელს ამ საკითხზე დადგენილება მიიღო სკკპ ცეკამ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. 1963 წლის სექტემბერში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ შესაბამისი ღონისძიებები შეიმუსავეს. 1964 წლის 16 ივნის საქართველოს კპ ცკ საგანგებოდ განიხილა საკითხი სუსტი კოლმეურნეობების გაზლიერებებისათვის აჭარის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.[1] მაგრამ ყველა ეს ღონისძიება ნაკლებადეფექტიანი იყო, რადგან მუშაობის მთელი სიმძიმე ადმინისტრაციულ მეთოდებზე იყო აქცენტრირებული, არასაკმარისად იყო ამოქმედებული ეკონომიკური ბერკეტები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო ფასები კვლავ არალეარული იყო.

სოფლის მეურნეობაში კრიზისული სიტუაციის დასაძლევად პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლესმა ხელმძღვანელობამ 1965–1970 წლებში სპეციალური პროგრამაც შეიმუშავეს, რომელიც სკკპ ცეკას 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილების რეალიზაციის მცდელობა იყო. მასში შეფასდა გაწეული მუშაობა და მითითებული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მომდევნო წლებშიც. ასე, 1970 წელს, რძის ნაღების და ცხვრის მატყლის შესასყიდი ფასი 20–30%-ით გაიზარდა. ზეგეგმითი პროდუქციის წარმოებისათვის კოლმეურნეობებს მოეცათ მათი ღირებულების ნახევარი. 1971 წლიდან თამბაქოს ნედლეუ-

---

[1] იქვე, ან.55, ს.82, ფურც.17-34.

ლის სახელმწიფო შესყიდვის ფასები 42,3%-ით გადიდდა. ამის შედეგად მეთამბაქოეთა ფულადი შემოსავალი 1971 წელს 1143,3 ათასი მანეთით გაიზარდა.[1]

გაძლიერდა კონტროლი კოლმეურნეობების მატერიალური და ფინანსური სახსრების ხარჯვაზე, გამოვლინდა ფინანსური დისციპლინის დარღვევის არაერთი ფაქტი. მაგალითად, 1972 წელს ქობულეთის და ხელვაჩაურის რაიონების კოლმეურნეობებში არამიზნობრივმა ხარჯვებმა 4995 ათასი მანეთი შეადგინა. ეს მაშინ, როცა მათ სახელმწიფო ბანკიდან მიღებული ჰქონდათ 703 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტები. კოლმეურნეობების ეკონომიკას ასევე მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა საგრძნობლად მაღალი დებიტორული დავალიანება. 1965 წლის ბოლოს იგი შეადგენდა 1363 ათას მანეთს. ხოლო 1970 წლის დასაწყისში 1436 ათას მანეთამდე გაიზარდა.[2]

ზარალიანი და ნაკლებად რენტაბელური კოლმეურნეობების მოღონიერებას ისახავდა მიზნად სახელმწიფო ვალების ჩამოწერა, დებიტორული დავალიანების მინიმუმამდე შემცირება და საშემოსავლო გადასახადების ახალი სატარიფო სისტემა. 1965 წელს აჭარის კოლმეურნეობებს ჩამოწერეს 945 ათასი მანეთი, მათ შორის შუახევის რაიონის კოლმეურნეობებს—156 ათასი მანეთი. ზოგიერთი კოლმეურნეობა მთლიანად გაათავისუფლეს საშემოსავლო გადასახადისაგან. 1976—1980 წლებში კოლმეურნეობებს ჩამოწერეს 513 ათასი მანეთი სახელმწიფო ვალი. გაძლიერდა მცდელობა დებიტორული დავალიანების მინიმუმამდე შემცირებისათვის, რის შედეგადაც 1970 წლის ბოლოს იგი შემცირდა 300 ათას, 1975 წელს —182 ათას, ხოლო 1980წელს — 50 ათას მანეთამდე.[3]

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1972, 27 ივლისი.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.57, ს.30, ფურც.2; ან. 64, ს.97, ფურც.59-60; ს.144, ფურც.110-114; ან.67, ს.20, ფურც.61-68.

[3] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.56, ს.52, ფურც.45, 81; ან.75, ს.35, ფურც.45.

სახელმწიფოს აგრარულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი იყო კოლმეურნეობების შემოსავლის დაბეგვრის ახალი სატარიფო სისტემის შემოღება, რაც 1966 წელს განხორციელდა. მანამდე იბეგრებოდა საერთო შემოსავალი და ანგარიში არ ეწეოდა დანახარჯებს, მოგებასა და წმინდა მოგებას. ერთნაირად იბეგრებოდა როგორც ზარალიანი, ისე რენტაბელური კოლმეურნეობები. 1966 წლიდან კოლმეურნეობების საშემოსავლო გადასახადების გაწერა ხდებოდა რენტაბელობის 15%-ზე გადაჭარბებულ შემოსავალზე. მართალია, ამის შედეგად ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების შემოსავალი საგრძნობლად კაიზარდა, მაგრამ მათი მდგომარეობა მაინც მძიმე იყო.

ვითარების გასაუმჯობესებლად სკკპ ცეკამ და სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1966 წლის მაისის დადგენილებით "საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისათვის კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ". ამავე წლის პირველი ივნისიდან კოლმეურნეობები გადადიოდნენ შრომის გარანტირებულ ანაზღაურებაზე. კოლმეურნეს დაუდგინეს 7- საათიანი სამუშაო დღე, როგორც ეს საბჭოთა (სახელმწიფო) მეურნეობების მუშაკებს ჰქონდათ. ასევე კოლმეურნეობებში შემოიღეს თანრიგები, აგრეთვე პრემიები სამეურნეო წლის საბოლოო შედეგების გათვალისწინებით.[1]

დადგენილებით სერიოზული ცვლილებები განიცადა კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების ფონდის ფორმირებამ. აქამდე იგი იქმნებოდა მთლიანი შემოსავლიდან განუყოფელ და საზოგადოებრივ ფონდებში შესაბამისი თანხების გადარიცხვის შემდეგ. ასეთ პირობებში ზარალიანი და დაბალრენტაბელური კოლმეურნეობები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას აანაზღაურებინათ კოლმეურნეთა შრომა. აჭარაში არსებული 166 კოლმეურნეობიდან 1966 წელს შრომის გარანტირებულ ანაზღაურებაზე

---

[1] КПСС в решения съездов, конференции и пленумов ЦК. 8, М., 1972, с.406-415.

გადაყვანილი იყო 51 კოლმეურნე.[1] მომდევნო წლებში ახალ წესზე გადავიდა სხვა კოლმეურნეობებშიც. შემდგომმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ გარანტირებულ ფულად ანაზღაურებას გააჩნდა თავისი უარყოფითი მხარეც: კერძოდ, მან შეასუსტა ეკონომიკური სტიმულები, რისი ფსიქოლოგიური საფუძველი სახელმწიფო გარანტიები იყო.

მატერიალური ღონისძიებების მიუხედავად, აჭარის მთიანეთის კოლმეურნეობების უმრავლესობა ზარალიანი და ნაკლებრენტაბილური იყო. მაგალითად, 1967 სამეურნეო წელი ზარალით დაამთავრა 166-დან 111 კოლმეურნეობამ. მათ შორის იყო ხულოს რაიონის 35, შუახევის–38, ქედის რაიონის–15კოლმეურნეობა. 1968 წელს ზარალიანი კოლმეურნეობების რიცხვი რამდენადმე შემცირდა. 1969 წელს აჭარის 107 კოლმეურნეობის (64,5%) რენტაბელობის მაჩვენებელი 15%-ს არ აღემატებოდა. მრავალი კოლმეურნეობის შემოსავალი გასავალს ვერ ფარავდა. 1969 წელს ხულოს რაიონის კოლმეირნეობების ფულადი შემოსავალი 1620ათას მანეთს, ხოლო საწარმოო სარჯები 1649 ათას მანეთს შეადგენდა, ე.ი. დანახარჯები 29 ათასი მანეთით აღემატებოდა შემოსავალს.[2]

მეტნაკლებად ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოს დანარჩენ მთიანეთში. ეკონომიკურად სუსტი და ზარალიანი კოლმეურნეობების ფინანსურად მოღონიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1970 წლის 29 ივლისის დადგენილებით "მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების შესახებ". მცირეძალოვან კოლმეურნეობებს დოტაცია ეძლეოდათ მაღალრენტაბელური კოლმეურნეობების ხარჯზე.[3] ამ გზით ზარალიანმა და ნაკლებადრენტაბელურმა კოლმეურნეობებმა 1970 წელს

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.57, ს.30, ფურც.10.
[2] იქვე, ან.62, ს.3, ფურც.18; ან.64, ს.41, ფურც.141-147.
[3] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.64, ს.41, ფურც.141-147.

650 ათასი მანეთი დოტაცია მიიღეს. მათ შორის, ხულოს რაიონმა 300 ათასი, შუახევმა–220 ათასი, ქედამ–75 ათასი და ხელვაჩაურმა–20 ათასი მანეთი. 1972 წელს დოტაცია 830 ათას მანეთამდე გაიზარდა, ხოლო 1976–1980 წლებში – 822 ათასი მანეთი შეადგინა.

ზარალიანი და ნაკლებადრენტაბელური კოლმეურნეობებისათვის დოტაციის გამოყოფა არაეფექტური ღონისძიება იყო, რადგან იგი ხელს არ უწყობდა წარმოების აღმავლობისათვის კოლმეურნეობების დაინტერესებას, ხელოვნურად ზრდიდა კოლმეურნეობების რენტაბელობის მაჩვენებლებს. მაგალითად, 1972 წელს შუახევის კოლმეურნეობის მოგება, ბალანსის მიხედვით, 543 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო რენტაბელობის მაჩვენებელი 18%-ს აღწევდა, მაგრამ ფაქტობრივად მოგების დიდი ნაწილი–379 ათასი მანეთი (69,8%) მიღებული იყო დოტაციის ფონდებიდან.[1] ასეთი წესის დამკვიდრება ადამიანთა ფსიქოლოგიაში წარმოშობდა სხვის კნაყოფაზე ცხოვრების ინსტიქტს, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, ჩვევად ჩამოყალიბებულიყო.

დიდ ეფექტს არ იძლეოდა ქალაქის საწარმოთა შეფობა. თუ ომამდე და ომისშემდგომ აღდგენით წლებში ამ ღონისძიებას რაღაც საფუძველი ჰქონდა, XX საუკუნის 50–80-იან წლებში ეს კამპანიური ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფდა კოლმეურნეობების ეკონომიკის გაჯანსაღებას. 1971 წელს ქ. ბათუმის საწარმოებმა 57 ათასი მანეთის დახმარება გაუწიეს. 1978 წელს ბათუმის 40-მდე საწარმო დაეხმარა მაღალმთიანი რაიონების სოფლებს, გაურემონტა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, უფასოდ გადასცა შავი ლითონი სამიწათმოქმედო იარაღების დასამზადებლად, დაეხმარა საკოლმეურნეო ფერმების მშენებლობაში და სხვა.[2]

---

[1] იქვე, ან.64, ს.5, ფურც.16-17; ან.75, ს.35, ფურც.45; საბჭოთა აჭარა, 1973, 30 ოქტომბერი.

[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.64, ს.117, ფურც.46; ან.73, ს.454, ფურც.42.

სასოფლო–სამეურნეო საწარმოთა ფინანსურ-ეკონომიკურ მოღონიერებაში დადებითი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 14 აპრილის დადგენილებამ "სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შესახებ" ამის საფუძველზე ამ თემაზე 1968 წლის 15 იანვარს დადგენილება მიიღეს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ. შესაბამისი დადგენილება მიიღეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ. აღნიშნულ დადგენილებათა საფუძველზე სასოფლო–სამეურნეო მეურნეობებსა და ორგანიზაციებს არა მარტო უფლება ეძლეოდათ, არამედ ევალებოდათ აგრეთვე შექმნათ დამხმარე საწარმოები და სარეწები რითაც უნდა ამაღლებულიყო წარმოების რენტაბელობა და შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები.

აჭარის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში მოეწყო ინერტიული მასალების, ასფალტის, აგურ–კრამიტის, ბირკეტის, ჩაის საკრეფი კალათების, სარემონტო და სხვა საამქროები, ელექტროწისქვილები, სახერხი, სადურგლო, სარემონტო საამქროები, ხისდამამუშავებელი, მანქანა-იარაღების სამჭედლო სახელოსნოები და სხვა 1970 წლის დასაწყისში აჭარაში ითვლებოდა 140-ზე მეტი დამხმარე საწარმო. მათი შემოსავალი 1968 წელს შეადგენდა 268 ათას მანეთს, ხოლო 1969 წელს –502 ათას მანეთს.[1]

XX საუკუნის 50–80-იან წლებში გაგრძელდა მთის ზონის ჭარბი მოსახლეობის ჩამოსახლება ბარში. 1950–1957 წლებში ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში ორგანიზებული წესით ჩამოასახლეს 1080 ოჯახი. არაორგანიზებულ ჩამოსახლებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მთის ზონაში პერმანენტულად იგრძნო-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.64, ს.40, ფურც.74-76.

ბოდა დემოგრადფიული დაძაბულობა, მოსახლეობის სიჭარბე. XX საუკუნის 70-იან წლებში აჭარის ბარი მოსახლეობით მთლიანად შეივსო, ამოიწურა საკარმიდამო მიწის ფონდიც. საქართველოს ხელისუფლებამ 70-80-იან წლებში აჭარის მთიანეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ორგანიზებულად ჩაასახლა გურიაში, ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში და სხვაგან. მაგალითად, 1978-1980 წლებში 161 იჯახი ჩასახლდა ლანჩხუთის, ოზურგეთის, ადიგენისა და წითელწყაროს რაიონებში.[1] 1981-1988 წლებში ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებიდან ასობით ოჯახი ორგანიზებულად ჩასახლდა სამცხე-ჯავახეთში, ქვემო და შიდა ქართლში, სხვა რეგიონებში. ამ ღონისძიებას არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ საეროვნულო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მთიანეთი ჭარბი მოსახლეობისაგან რამდენადმე განიტვირთა და ქართველი მოსახლეობაც შედარებით თანაბრად გადანაწილდა. მიუხედავად ამისა, აჭარის სოფლის მეურნეობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი საქართველოს დანარჩენი ნაწილის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით საკმაოდ მაღალი იყო, 1980 წელს აჭარის სოფლის მეურნეობაში (მიწათმოქმედება და მეცხოველეობა) თითოეულ 100 ჰექტარ სავარგულზე მიდიოდა 48 მომუშავე, საქართველოს საშუალო მაჩვენებელი იყო – 19, ხოლო სსრ კავშირისა–4 მომუშავე.[2] ცხადია, აჭარის მთიანეთში აღნიშნული მახასიათებელი კიდევ უფრო მაღალი იყო.

შესამჩნევი ცვლილებები განიცადა შრომის ორგანიზაციის ფორმებმა. XX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დაინერგა ბრიგადული იჯარა, აკორდულ-პრემიული სისტემა, შრომის ანაზღაურება ნატურით და ა. შ. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან გავრცელდა კოლექტიური და ინდივიდუალური იჯარა.

---

[1] იქვე, ან.39, ს.69, ფურც.1-8; ან.74, ს.277, ფურც.10.
[2] იქვე, ან.74, ს.284, ფურც.7.

1987 წელს აჭარაში კოლექტიური იჯარით მუშაობდა 920 სამეურნეო ქვედანაყოფი, რაც საერთო რაოდენობის 77% შეადგენდა. ინდივიდუალური საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 7300 ოჯახსა და 6600 პიროვნებას.[1] 1988-1989 წლებში სასოფლო–სამეურნეო საწარმოთა ყველა განყოფილება, ფერმა, ბრიგადა, რგო�d გადავიდა შრომის საიჯარო ფორმაზე. ერთი წლის შემდეგ საბჭოთა აგრარული წყობის დემონტაჟი დაიწყო, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და შრომის ორგანიზაციის ახალმა ფორმებმა საკუთარი ავკარგიანობა ბოლომდე ვერ გამოავლინეს.

ცხადია, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად განმტკიცდა სასოფლო–სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ–ტექნიკური და ფინანსურ–ეკონომიკური მდგომარეობა. შესამჩნევად გაიზარდა კოლმეურნეობების მთლიანი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები (იხ. ცხრილი 3.).[2]

ცხრილი 3.

მაჩვენებლები	1960წ.	1970წ.	1980წ.	1989წ.
მთლიანი შემოსავალი (1950წ.=1)	1,8	2,2	4,6	6,8
განუყოფელი ფონდები (1950წ.=1)	2,0	3,7	7,2	8,0

[1] საბჭოთა აჭარა, 1982, 30 ივნისი; 1987, 29 დეკემბერი.

[2] ცხრილი შედგენილია: აცსა, ფ.რ-84, ან.1, ს.1878, ფურც.11; იხ. აჭარის კოლმეურნეობების 1960, 1970, 1980, 1989 წლების რესპუბლიკური და რაიონული ჯუმლები; საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.66, 84, 86.

როგორც ვხედავთ, 1951–1989 წლებში კოლმეურნეობების მთლიანი შემოსავალი 6,8-ჯერ, ხოლო განუყოფელი ფონდები–8,0-ჯერ გაიზარდა. ზრდის ტემპი მაღალი იყო 1951–1960 და 1971–1980 წლებში. მთლიანი შემოსავალი პირველ ათწლეულში გაიზარდა 1,8-ჯერ, 1961-1970 წლებში – 1,2-ჯერ, 1971–1980 წლებში–2-ჯერ, 1981–1989 წლებში–1,5-ჯერ. შედარებით მაღალი იყო განუყოფელი ფონდების ზრდის მაჩვენებლები (1971–1980 წლების გამოკლებით). 1951–1960 წლებში იგი გაიზარდა 2-ჯერ, მომდევნო ათწლეულში–1,8-ჯერ (147,0 მლნ-დან 83,7 მლნ მანეთამდე), 1971–1980 წლებში–2,0-ჯერ, 1981–1989 წლებში 2,2-ჯერ (182,9 მლნ მანეთამდე). მართალია, კოლმეურნეობების მთლიანი შემოსავლისა და განუყოფელი ფონდების ზრდა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ იგი დიდ მიღწევად არ ჩაითვლება. 40 წელი არც ისე მცირე დროა და, ცხადია, ნორმალური აგრარული წყობისა და სახელმწიფოს სწორი აგრარული პოლიტიკის პირობებში გაცილებით მეტი წინსვლა იყო შესაძლებელი.

აჭარის კოლმეურნეობების მთლიანი შემოსავლისა და განუყოფელი ფონდების 75%, ზოგჯერ მეტიც, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებზე მოდიოდა, ხოლო 25%-დანარჩენი 3 მაღალმთიან რაიონზე (ქედა, შუახევი, ხულო). ქობულეთის რაიონზე მოდიოდა აჭარის კოლმეურნეობების მთლიანი შემოსავლის 43–59%, განუყოფელი ფონდების–45–48%. ამ მაჩვენებლებით მეორე ადგილზე ხელვაჩაურის რაიონი გამოვიდა. 1951–1989 წლებში ამ რაიონზე მოდიოდა აჭარის კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავლის 27–30% და განუყოფელი ფონდების 28–30%.

მართალია, აჭარის მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები მცირე იყო, მაგრამ მათი ხვედრითი წილი 70-იანი წლებიდან მოყოლებული შესამჩნევად იზრდებოდა. მაგალითად, ქედის რაიონის კოლმეურნეობების მთლიანი შემოსავლის ხვედრითი წილი 1951–1980 წლების 6,9%-დან 9,3-

ნდე, ხულოს რაიონისა–6,2%-დან 9,8%-მდე გაიზარდა. საერთოდ ქობულეთის რაიონის ხვედრითი წილი შემცირდა 1950 წ. 59%-დან 1980 წ. 44,7%, ხოლო 1989 წ. 42,7%-მდე.[1] განვითარების ასეთი ტენდენცია განპირობებული იყო მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებისათვის სახელმწიფო დოტაციით, თამბაქოსა და ყურძნის პროდუქციაზე სახელმწიფო შესასყიდი ფასების გაზრდით.

ომისშემდგომ პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განვითარების, სამეურნეო–ორგანიზაციული განმტკიცებისა და ფინანსურ–ეკონომიკური გაძლიერების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა შრომის ანაზღაურება. 1967 წლამდე შრომის საზომად მიღებული იყო შრომადღე, შემდეგ კი კაცდღე. აჭარის კოლმეურნეობებში შრომის დღიური ანაზღაურების მაჩვენებლები რაიონების მიხედვით მოცემულია მე-4 ცხრილში (მანეთობით).[2]

ცხრილი 4.

წლები	მთლიანად აჭარაში	მათ შორის რაიონები				
		ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო
1955	1,40	2,62	1,75	0,47	0,25	0,30
1960	1,82	2,59	1,84	1,22	1,30	1,19
1965	2,54	4,30	3,14	1,30	0,92	0,99

[1] გამოთვლილია: აცსა, ფ.რ-84, ან.1, ს. 1878, ფურც.10-11; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] ცხრილი შედგენილია: აცსა, ფ.რ-178, ს.1151; ფ.რ-84, სს.146, 625; აჭარის კოლმეურნეობების რესპუბლიკური და რაიონული ჯუმლები; საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.85.

1970	3,84	6,0	4,14	2,63	1,97	1,80
1975	4,60	6,30	5,21	4,0	3,09	2,10
1980	6,02	8,68	6,48	5,39	4,0	2,93
1985	7,60	9,15	7,94	7,08	6,76	4,67

კოლმეურნეთა შრომის დღიური ანაზღაურება 19.85 წელს 1955 წელთან შედარებით 5,5-ჯერ გაიზარდა. ზრდა შესამჩნევი იყო ყველა ხუთწლედში. ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში შრომის დღიური ანაზღაურება გაიზარდა 4-ჯერ, ხელვაჩაურში–3,5-ჯერ, ქედისაში–12,8-ჯერ, შუახევში–16-ჯერ, ხოლო ხულოს რაიონში–9,8-ჯერ. 1970 წლამდე სუბტროპიკული ზონისა და მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებში შრომის დღიური ანაზღაურება დიდად განსხვავდებოდა, მაგრამ XX საუკუნის 70–80-იან წლებში განხორციელებული ფინანსურ–ეკონომიკური ღონისძიებების შედეგად მათ შორის სხვაობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითად, თუ 1955 წელს ქობულეთის რაიონში კოლმეურნის შრომის დღიური ანაზღაურება ქედის რაიონის 5,6-ჯერ, შუახევისას–10,5-ჯერ, ხოლო ხულოს რაიონისას–8,7-ჯერ აღემატებოდა, 1980 წელს სურათი რამდენადმე შეიცვალა.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ეს მოჩვენებითად პროგრესული ტენდენცია შეფერხდა. ადმინისტრირებით მოპოვებულ ამ "მიღწევებს" ბუნებრივი პირობები არ გააჩნდა (იგი ფაქტიურად ბარის ზონის კოლმეურნეთა შრომითი შემოსავლების ხარჯზე ხორციელდებოდა). XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში მაღალმთიანი ზონის კლმეურნეობებში მეცხოველეობის ფერმები გააუქმეს, ხოლო პირუტყვი მოსახლეობას დაურიგეს. შემდგომში მეურნეობის სხვა დარგებიც მოიშალა და სოფლის მეურნეობაც ღრმა კრიზისში შევიდა. მართალია, ყოველივე ეს ისტორიის კუთვნილება

გახდა, მაგრამ სადღეისოდ მას გარკვეული შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა შემორჩა.

3. სპეციალიზაციის გაღრმავება. წარმოების შედეგები

სოფლის მეურნეობის განვითარების გეზს, მისი სპეციალიზაციის გაღრმავებას ომისშემდგომ პერიოდში ძალიან განსაზღვრავდა ორი ძირითადი ფაქტორი — ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ბაზრის მოთხოვნილება. სსრ კავშირში ბაზარი სახელმწიფოს მიერ მკაცრად ორგანიზებული და გეგმიანი იყო. საქართველო, კერძოდ, აჭარა საკავშირო სოფლის მეურნეობის პროგრამაში ძირითადად წარმოდგენილი იყო მევენახეობით, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურებით. ცხადია, ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ დარგების განვითარებას.

მართალია, აჭარაში სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანი იყო, მაგრამ ომისშემდგომ პერიოდში სპეციალიზაცია გაღრმავდა მეჩაიეობაში, მეცუტრისეობაში, მეთამბაქოებასა და მევენახეობაში. საერთო განვითარების პროგრამა მოცემული იყო ხუთწლიან და შვიდწლიან გეგმებში, რომელთაც ხელისუფლების ყველა ინსტანციაში იხილავდნენ და დამტკიცების შემდეგ დირექტივების სახით უგზავნიდნენ საწარმოების, რაიონების, რეგიონის ხელმძღვანელობას.

ცენტრალიზებულად შედგენილი გეგმები ხშირად არ გამოხატავდა რეგიონის ინტერესებს, მათ რეალურ მოთხოვნილებებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანა იყო რუსეთის იმპერისათვის სამხრეთული კულტურების ნაყოფის მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ

ხუთწლიან გეგმებში ეს ამოცანა მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 27 თებერვალს მიიღეს დადგენილება "საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ." ამ დადგენილების სარეალიზაციოდ აჭარაში შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომელთაც უნდა გამოეძებნათ დამატებითი რეზერვები სუბტროპიკული კულტურების ფართობისა და მოსავლის გასადიდებლად. ცხადია, ეს ხდებოდა ტრადიციული საასოფლო–სამეურნეო კულტურების ხარჯზე.

სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმები ყველაზე მეტად იყო გადატვირთული. ხელისუფლება ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან ერთად ფართოდ იყენებდა საინფორმაციო საშუალებებს. როგორც უკვე ითქვა, აჭარაში 7–8 ათასზე მეტი აგიტატორი და ინფორმატორი მუშაობდა, რომლებიც ეწეოდნენ ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო გეგმების პოპულარიზაციას. საკავშირო პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინიციატივით მთლიანად სსრ კავშირში, მათ შორის აჭარაში, ფართოდ ვცელდება შრომითა მეტოქეობის ახალი ფორმები. მატერიალურ წარმოებაში მომუშავენი მომავლის რწმენით თავდაუზოგავად შრომობდნენ და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევდნენ. ცხადია, ადამიანების თავდადებული შრომა ღირსეულ შეფასებას იმსახურებს.

შრომითი მეტოქეობის ეფექტურობის ამაღლებისათვის იყენებდნენ სასოფლო–სამეურნეო გამოფენებს, რომლებიც ეწყობოდა როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი მაშტაბით. 1952 წელს მოეწყო ჯერ ქობულეთისა და ბათუმის (ხელვაჩაურის) რაიონების, შემდეგი კი აჭარის საოლქო სასოფლო–სამეურნეო გამოფენა. მონაწილეობის მისაღებად ცდილობდნენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ბრიგადები, რგოლები, განყოფილებები, კოლმეურნეე-

ბი და საბჭოთა მეურნეობების მუშები. გამოფენაში მონაწილე 279 კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და წარჩინებულმა მუშაკმა სათანადო ჯილდოები დაიმსახურა.[1]

1953 წელს აჭარაში დაიწყო მოძრაობა საკავშირო სასოფლო—სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. 1940 წლის შემდეგ იგი პირველად 1954 წლის პირველ აგვისტოს გაიხსნა. აჭარიდან მონაწილეობდა 14 კოლმეურნეობა, 5 საბჭოთა მეურნეობა, ქობულეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 366 მოწინავე მშრომელი. გამოფენაზე სულ დასათვალიერა აჭარის სოფლის მეურნეობის 470 მუშაკმა.

გამოფენის მონაწილეთა შორის მაღალი შეფასება მიიღო ქობულეთის რაიონის დაგვის, ქვედა ულიანოვკის, ჩაისუბნის, ქედის რაიონის ახოს, ხელვაჩაურის რაიონის ურეხის კოლმეურნეობების, ჩაქვის, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობებმა. ყველა ეს საწარმო და 69 მშრომელი ოქროსა და ვერცხლის მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.[2]

შემდგომში საკავშირო სასოფლო—სამეურნეო გამოფენაში მონაწილეთა რიცხვი გაიზარდა. V ხუთწლეულში (1951--1955წ.წ) თვალსაჩინო მიღწევებისათვის საკავშირო სასოფლო—სამეურნეო გამოფენაზე მთლიანად იყო წარმოდგენილი ბათუმისა (ხელვაჩაური) და ქობულეთის რაიონები. გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა აგრეთვე ქედის რაიონის კოკოტაურის, ახოს, ხულოს რაიონის საციხურის, ბათუმის (ხელვაჩაური) რაიონის ურეხის, ახალშენის, მახინჯაურის კოლმეურნეობებმა, სოფლის მეურნეობის ასობით მოწინავემ. მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის 1958 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა პირველად წარსდგა საკავშირო სასოფლო—სამეურნეო გამოფენაზე. გარდა ამისა, იქვე იყო წარმოდგენილი ქობულეთისა და

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1953, 16 იანვარი.

[2] საბჭოთა აჭარა, 1954, 1 აგვისტო; 1955, 5 ივნისი.

ბათუმის რაიონები, რეგიონის 16 კოლმეურნეობა და 500–ზე მეტი მოწინავე.[1]

საკავშირო გამოფენის მონაწილე მრავალჯერ გახდნენ შრომის მოწინავენი ასმათ ჯიჯავაძე, ტატიანა ცინცაძე, გული ჯინჭარაძე, მართა სტოიაკინა, ვერა ფრეეევა, მარიამ გურგენიძე, გული ვარშანიძე, მერიემ ბალაძე, ახმედ ნაკაშიძე და სხვები.

XX საუკუნის 50–იანი წლების დასაწყისიდან აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკები შრომით მეტოქეობაში ჩაებნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, სამტრედიისა და მახარაძის რაიონებთან. ეს ურთიერთობა სცილდებოდა შრომითი მეტოქეობის ჩარჩოებს, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა საქართველოს დაახლოებას სხვა ერებსა და ხალხებთან.

აჭარელმა მეჩაიეებმა მხარი დაუჭირეს ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიის ნოვატორის ნაირა გოგატაძის თაოსნობას, რომელიც 1960 წელს გამოვიდა მოწოდებით – ყოველდღიურად ეკრიფოთ 3-5 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე წინანდელი წლის შესაბამის დღეებში. ეს თაოსნობა მოიწონა საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სპეციალური დადგენილება მიიღო მისი დანერგვის შესახებ. აჭარაში ნაირა გოგატაძის მრავალ მიმდევარს შორის აღსანიშნავია ემინე ზაქარიაძე, მაყვალა ჯინჭარაძე, ნაზი ბალაძე და სხვები. მაგალითად, მაყვალა ჯინჭარაძე დღიურად კრეფდა 10-15 კილოგრამით, ემინე ზაქარიაძე-5-8, ხოლო ნაზი ბალაძე–16-20 კილოგრამით მეტ ჩაის ფოთოლს, ვიდრე გასული წლის შესაბამის დღეებში.

1952 წელს საფუძველი ჩაეყარა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მშრომელების შეჯიბრებას. მისი შინაარსი ყოველწლიურად ივსებოდა ახალ-ახალი ვალდებულებებით. 1960 წლიდან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გუდაუთის რაიონის დურიფშისა და ქობუ-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1955, 5 ივნისი, 1956, 2 ივნისი; 1958, 11 მაისი.

ლეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობები, მათი წარმომადგენლები წელიწადში ორჯერ იკრიბებოდნენ და აჯამებდნენ მუშაობის შედეგებს.[1]

1953 წლიდან მეგობრობდნენ ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის კოლმეურნეობა და ბელოზერსკის რაიონის (უკრაინა, ხერსონის ოლქი) კოლმეურნეობა. იგი ორი რაიონის შეჯინრებაში გადაიზარდა. ამ ორი რაიონის დელეგაციები ყოველწლიურად იკრიბებოდნენ, სწავლობდნენ ერთმანეთის გამოცდილებას და ახდენდნენ მათ განზოგადებას. 1954 წლიდან მათ შემოიღეს გარდამავალი დროშა გამარჯვებული კოლექტივებისათვის. ბელოზერსკის რაიონის გარდამავალი დროშა არაერთხელ დაიმსახურა ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის, ურეხის, წინსელის, მახინჯაურის, მეჯინისწყლის კოლმეურნეობებმა და სხვა.[2]

ქობულეთის რაიონმა 1957 წელს შრომით მეტოქეობაში გამოიწვია უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გაშეკის რაიონი. 1954 წელს აჭარელმა მწველავმა გული ვარშანიძემ გამოიწვია რუსეთის ფედერაციის რიაზანის ოლქის იუევსკის რაიონის ს. კონსტანსტინოვოს საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმის თანამოსაქმე, "სოციალისტური შრომის" გმირი ანა ივკინა. წერილების მეშვეობით თუ პირადი შეხვედრებისას ერთმანეთს აცნობდნენ შრომით მიღწევებს. წარმატებებიც თვალსაჩინო ჰქონდათ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალმა ინიციატივებმა. 1967 წლის დასაწყისში ქედის რაიონის ინაშარიძეების კოლმეურნეობის წევრი ლუბა შარაძე გამოვიდა მოწოდებით ცაეშალათ შეჯიბრება თამბაქოს წარმოების გადიდებისათვის. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა განიხილა ეს მოწოდება და დაავალა სასოფლო რაიკომებს, რაიაღმას-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1960, 15 აპრილი, 7, 14 ივნისი, 8 ივლისი; 1963, 1 ნოემბერი.

[2] საბჭოთა აჭარა, 1954, 14 და 24 ივლისი; 1955, 16 თებერვალი; 1956, 6 იანვარი, 1957, 6 იანვარი.

კომებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს შეესწავლათ წამოწყება და ეზრუნათ მისი გავრცელებისათვის. რესპუბლიკის მეთამბაქოებმა მხარი აუბეს ლუბა შარაძის ინიციატივას.

1968 წელს ასეთივე ინიციატივით გამოვიდა შუახევის რაიონის ოლოდაურის კილმეურნეობის მეთამბაქოე ჰინდო ფუტკარაძე. 1969 წელს ხულოს რაიონის სოფლის მშრომელებმა მოწოდებით მიმართეს ქვეყნის მეთამბაქოებს გაემალათ შრომითი მეტოქეობა გეგმებისა და ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ერთობლივი ძალით დაემარცხებიათ თამბაქოს მცენარის საშიში დაავადება—ცრუნაცარა (პერენოსპერეზი). 1968 წელს მეთამბაქოეობაში მაღალი მიღწევისათვის ხულოს რაიონს გადაეცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა. ამასთან აღინიშნა შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის რაიონების კარგი მუშაობა.[1]

XX საუკუნის 60-80-იან წლებში აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკები ჩაებნენ საკავშირო შეჯიბრებაში, რაც ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით გაიშალა "ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის", სსრ კავშირის შექმნისა და სხვა საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად, პარტიის ყრილობების შესახვედრად. მომაბეზრებელი პოლიტიზების მიუხედავად, მშრომელებმა თავიანთი ვალი მოიხადეს და გადაჭარბებით შეასრულეს როგორც გეგმები, ისე ვალდებულებები—11 ათასმა კაცმა დაიმსახურა მედალი "მამაცური შრომისათვის". მათგან უმრავლესობა სოფლის მეურნეობის მშრომელები იყვნენ.

XX საუკუნის 70-იან წლებში გამოცოცხლდა საბოფლო-სამეურნეო გამოფენის როლი შრომითი მეტოქეობის განვითარებაში. განახლდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენები. ამასთან, მის დებულებებში შევიდა სიახ-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, აწ.59, ს.107, ფურც.184; საბჭოთა აჭარა, 1967, 11 თებერვალი, 4 მარტი; 1968, 4 ივლისი; 1969, 4 მარტი, 4 აპრილი.

ლენი. დიპლომებთან და სიგელებთან ერთად გამოფენაში მონაწილე გამარჯვებულებს ეძლეოდათ ფასიანი საჩუქრები. 1972 წლიდან აღდგა აჭარის სასოფლო–სამეურნეო საოლქო და რაიონული გამოფენები. 1970 წელს აჭარა ფართოდ იყო წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მთლიანად, აგრეთვე, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონები დააჯილდოვეს პირველი ხარისხის დიპლომებით. ასეთივე ჯილდოები მიიღეს ციხისძირისა და ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობებმა. გამოფენაზე მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს 40 კოლმეურნეობა, 5 სახელმწიფო მეურნეობა და სოფლის მეურნეობის 1586 მუშაკი.

აჭარის სოფლის მშრომელებმა მომდევნო წლებშიც დაიმსახურეს ასეთი ჯილდოები. მაგალითად, მეთამბაქოეობაში მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის 1971 წელს დიპლომებით დააჯილდოვეს შუახევისა და ხულოს რაიონები, ოლოდაურისა და კორტოხის, ხარაულასა და კოკოტაურის კოლმეურნეობები. ამ წელს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ხულოს რაიონის 8, შუახევის–10, ქედის–3, ქობულეთის რაიონის 11 კოლმეურნეობამ. აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკები გამოეხმაურნენ 50 "სოციალისტური შრომის გმირის" მოწოდებას სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით გეგმებისა და ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულების შესახებ.[1]

შრომითი მეტოქეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით აჭარაში 1972 წელს შეიქმნა "სოციალისტური შეჯიბრების" რესპუბლიკური ცენტრი. ასეთივე კომისიები თუ ჯგუფები მოქმედებდნენ რაიონებში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. 1973 წელს მთლიანად სა-

[1] საბჭოთა აჭარა, 1972, 19 სექტემბერი, 14 ნოემბერი.

ქართველოში (ცხადია აჭარაშიც) გავრცელდა შრომითი მეტოქეობის ახალი სახე–თითოეულ სასოფლო-სამეურნეო პროფესიაში საუკეთესო მუშაკის წოდება, დაწესდა სოფლის მეურნეობის ვეტერანებისა და ნოვატორების პრიზები. ორი ასეთი პრიზი შრომის ნოვატორის," სოციალისტური შრომის გმირის" დურსუნ ბაკურიძის სახელს ატარებდა. 1973 წელს იგი მიანიჭეს ხუცუბნელ მეციტრუსეს დურსუნ ბაჯელიძეს. ამ წელს მაღალი მიღწევებისათვის დააჯილდოვეს აჭარის სოფლის მეურნეობის 281 მუშაკი.

სოფლის მეურნეობის მუშაკების შრომითი აქტიურობის შემდგომი ამაღლებისათვის 1973 წლიდან ყოველწლიურად ეწყობოდა საკავშირო "სოციალისტური შეჯიბრება" მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. საკავშირო ხელისუფლების ორგანოები სპეციალური მოწოდებით მიმართავდნენ ქვეყნის მოსახლეობას, გამარჯვებულთათვის დაწესდა ერთიანი საკავშირო სამკერდე ნიშანი "სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული". 1975 წელს აჭარა გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო შრომით მეტოქეობაში და მას გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დროშა. ამავე დროს გამარჯვებულად სცნეს ახალშენის საახელმწიფო მეურნეობა და 49 მოწინავე შრომელი.[1] შრომით მეტოქეობაში მიღწევები მომდევნო წლებშიც აღინიშნა და არაერთი მოწინავე დააჯილდოვეს.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო მოძრაობა მეცხოველეობის საკვები ბაზის გადიდებისათვის. ამასთან დაკავშირებით 1986 წლის აპრილში მოწოდებით გამოვიდა ხულოს რაიონის რიყეთის კოლმეურნეობის კოლექტივი. მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო აჭარაში პირუტყვის უზრუნველყოფა საკუთარი წარ-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1974, 8 იანვარი; აცსა, აპოგ, ფ.1, ან.73, ს.31, ფურც.126.

მოების საკვებით. 1985 წელს გაუქმდა მეცხოველეობის რესპუბლიკური გაერთიანება "ცხოველმრეწვი", მეცხოველეობის უხეში საკვების ბაროთერმული ტექნოლოგიით დამუშავების საწარმომ ფუნქციონირება შეწყვიტა. ამგვარად, ქალალდზე დარჩა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის 1986 წლის დეკემბრის დადგენილება მეცხოველეობის საკვებწარმოების გადიდების შესახებ.[1]

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს შრომითი მეტოქეობის საბჭოურმა წესმა ამოწურა თავისთავი. გეგმური სახელმწიფო მეურნეობის პირიბებში იგი მოქმედებდა ზეწოლით, წინასწარ დაწერილი რეცეპტებით. ზეწოლის, ადმინისტრაციული ღონისძიებების მოსუსტების შედეგად შრომითი მეტოქეობის არსებული სისტემა ვეღარ ზემოქმედებდა წარმოებაზე და მისი არაბუნეობრიობაც აშკარა გახდა. მატერიალური დაინტერესების, ეკონომიკური ბერკეტების არასაკმარისად გამოყენებისას შრომითი მეტოქეობის საბჭოური წესები და ფორმები იძულებით ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა, მან გარკვეული პოზიტიური როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში.

მართლაც, 1951-1990 წლებში აჭარის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა. წარმატებები თვალსაჩინო იყო მეჩაიეობაში, მეხილეობაში (მეციტრუსეობა), მეთამბაქოეობაში, მეევნახეობაში და სხვა. სუბტროპიკულმა და ტექნიკურმა კულტურებმა შეინარჩუნეს წამყვანი მდგომარეობა, რაც ძირითადად განაპირობა სსრ კავშირის ერთიანმა გეგმიურმა ბაზარმა, ამ დარგებისადმი სახელმწიფოს განსაკუთრებულმა მზრუნველობამ.

მეჩაიეობა აჭარის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად და მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ძირითად წაყროდ რჩებოდა. მართალია, 1946-1950 წლებში მისი ფართობი 453 ჰექტრით შემცირდა, მაგრამ 1951 წლიდან დაიწ-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1986, 4 დეკემბერი.

ყო ჩაის კულტურის ახალი პლანტაციების გაშენება. იგი აჭარის სამ რაიონში განვითარდა. XX საუკუნის 50-80-იან წლებში აჭარაში ჩაის კულტურის ფართობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-5 ცხრილი (ჰექტრობით).[1]

ცხრილი 5

რაიონები	1955წ.	1960წ.	1970წ.	1980წ.	1990წ.
ქობულეთის	3994	4392	5103	5105	4780
ხელვაჩაურის	1639	1930	2547	2662	2282
ქედის	208	183	243	305	280
სულ აჭარაში	5841	6505	7893	8072	7342

XXსაუკუნის 50-80-იან წლებში აჭარაში ჩაის კულტურის ფართობი მნიშვნელოვნად გაიზარდა; ამ წლებში რეგიონზე მოდიოდა საქართველოს ჩაის კულტურის მთლიანი ფართობის 11-12%.

ჩაის კულტურა ძირითადად გაშენებული იყო საზოგადოებრივ მეურნეობებში (86-90%). მათგან კოლმეურნეობებში—62-70%. მეჩაიეობის მთავარ რაიონად ქობულეთი რჩებოდა. მასზე მოდიოდა აჭარის რეგიონის ჩაის კულტურის საერთო ფართობის 63-70%. 50-იანი წლების დასაწყისში ჩაის მოშენება დაიწყეს აჭარის მაღალმთიან რაიონებშიც, მაგრამ მეჩაიეობა მხოლოდ ქედის რაიონში განვითარდა. აღნიშნულ რაიონში ჩაის კულტურას 1953 წელს ეკავა 46 ჰექტარი და იგი 1990 წლამდე 6-ჯერ და მეტად გაიზარდა. მაგრამ ქედის რაიონში ჩაის კულტურის გაშენებისათვის გამოსადეგი მიწის რესურსები შეზრუდულია. აღნიშნულ რაიონზე XX საუკუნის 80-იან წლებში მოდიოდა აჭარის რეგიონის ჩაის კულტურის საერთო ფართობის 3,8%

[1] ცხრილი შედგენილია: საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.77; აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

ჩაის კულტურა XX საუკუნის 50–80-იან წლებში სტაბილურად მზარდ მოსავალს იძლეოდა. ზრდის დინამიკა მოცემულია მე-6 ცხრილში (ტონობით).[1]

ცხრილი 6

რაიონები	1955წ.	1960წ.	1970წ.	1980წ.	1985წ.	1987წ.
ქობულეთის	15571	19873	27521	44526	48786	48291
ხელვაჩაურის	5357	6667	11191	20563	22970	23191
ქედის	8	151	629	963	1308	1651
სულ აჭარაში	20936	26691	39341	66052	73064	73133

მე-6 ცხრილში მოყვანილი მონაცემების ანალიზით ნათელია, რომ 1955–1987 წლებში ჩაის ფოთლის მოსავალი 3,5-ჯერ გაიზარდა. ხოლო 1950 წელთან შედარებით 4,7-ჯერ, ზრდას ადგილი ჰქონდა ყველა ათწლეულში, კერძოდ, 1951–1960 წლებში გაიზარდა-1,7-ჯერ, მომდევნო ათწლეულში–1,5-ჯერ, 1971–1980 წლებში–1,7-ჯერ, 1981–1987 წლებში 1,1-ჯერ. ცხადია, ზრდა მნიშვნელოვანია, მიუხედავად ამისა, მომდევნო წლებში საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის კრიზისი მეჩაიეობასაც შეეხო. 1988 წელს მოიწიეს 56-89 ტონა, 1989 წელს მოიწიეს–61256, ხოლო 1990 წელს–63542 ტონა ნედლეული. 1990 წლის მო-

[1] ცხრილი შედგენილია: საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.77; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

სავალი 959 ტონით ნაკლებია 1987 წლის მახასიათებელთან შედარებით.

ქობულეთის რაიონში 1951-1987 წლებში ჩაის ფოთლის მოსავალი გაიზარდა 4-ჯერ, ხელვაჩაურის რაიონში-6,2-ჯერ, ქედის რაიონში (1960–1987 წლები)–11-ჯერ.

მნიშვნელოვანი იყო ჩაის ფოთლის მოსავლის ხვედრითი წილი საქართველოს საერთო მოსავალში. 1951–1965 წლებში იგი შეადგენდა 17–18%-ს, ხოლო მომდევნო წლებში–13–16%-ს შორის მეყეობდა. ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის 67–75% ქობულეთის რაიონზე მოდიოდა. მაღალ მოსავალს იღებდნენ ჩაქვის, ოჩხამურის, ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ხუცუბნის, ლეღვას, დაგვის, ქვედა აჭყვის, ალამბრის, ბობოყვათის, ჩაისუბნის, ქაქუთის და სხვა კოლმეურნეობები. ხელვაჩაურის რაიონზე მოდიოდა ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის 25–31%. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქობულეთის რაიონის ხვედრითი წილი 75%-დან 67%-მდე შემცირდა. სანაცვლოდ ხელვაჩაურის რაიონის ხვედრითი წილი 25%-დან 31%-მდე გაიზარდა. ქედის რაიონის ხვედრითი წილი 0,5-2% შორის მერყეობდა.[1]

ჩაის ფოთლის მოსავლიანობაში ასევე მაღალი იყო კოლომეურნეობების ხვედრითი წილი. მაგალითად, 1955 წელს მათ აწარმოეს ჩაის ფოთლის 64,4%, 1965 წელს – 62,5%, 1980 წელს–66,3%. დაახლოებით ასევე იყო მომდევნო წლებშიც.

ჩაის ფოთლის მოსავალი იზრდებოდა არა მხოლოდ ახალი პლანტაციების გაშენების შედეგად, არამედ, შრომის ნაყოფიერების გადიდებითაც. აგროტექნიკური სამუშაოების გაუმჯობესებით მნიშვნელოვნად გადიდდა საჰექტარო მოსავალიც. 1960 წელს იგი გაიზარდა 4796 კგ–მდე, რაც 1950 წლის მახასიათებელს 1,4–ჯერ აღემატებოდა. 1970 წელს საშუალო საჰექტარო მოსავალმა 5688 კგ, 1980

---

[1] გამოთვლილია: საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.77; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

წელს–8823 კგ შეადგინა. იგი 1950 წლის დონეს 2,6–ჯერ აჭარბებდა საშუალო საჰექტრო მოსავლით პირველ ადგილზე ქობულეთის რაიონი გამოდიოდა. დაგვის (ქობულეთის რაიონი) კოლმეურნეობამ 1987 წელს საშუალოდ ჰექტარზე 6685 კგ ჩაის ფოთოლი მოიწია.

1980 წელს ქობულეთის რაიონის ქვედა აჭყვის კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მოიწია 10800 კგ, ლეღვას–10190, ჩაისუბნის–9990, ჭახათის კოლმეურნეობამ–9480 კგ, ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 13232 კგ, სარფის – 10816, გონიოს–10142, მაღალი საშუალო საჰექტარო მოსავალი მიიღეს ციხისძირის სახელმწიფო მეურნეობამ (10080 კგ), ოჩხამურისამ–(11500 კგ), ჯიხანჯურის სახელმწიფო მეურნეობამ (14950 კგ) და სხვა.[1] ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფლის კოლმეირნეობის ერთ-ერთმა ბრიგადამ 1985 წელს ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფა 14750 კგ ჩაის ფოთოლი. პირადად ბრიგადირმა ნ. აბაშიძემ 1981–1985 წლებში ორი ხუთწლიანი გეგმა შეასრულა.

XX საუკუნის 80-იან წლებში აჭარაში თითქმის ამოიწურა მეჩაიეობის ექსტენსიური განვითარების წყაროები. 70–80-იანი წლების მიჯნაზე ჰექტარზე აღებული იყო იმაზე მეტი მოსავალი, ვიდრე მცენარის ბიოლოგიური შესაძლებლობა იძლეოდა. საჰექტრო მოსავლის ასეთი გადიდება დაკავშირებული იყო ჩაის ბუჩქების მტაცებლურ ექსპლოატაციასთან, რაც იწვევდა პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. გამოსავალი გამოინახა: ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის (ოზურგეთის რაიონი) სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტს ჩაქვის (ქობულეთის რაიონი) ფილიალში გამოიყვანეს ჩაის ახალი სახეობა, რომელსაც პირობითად "კოლხეთი" ეწოდა. იგი, არსებულ ჯიშებთან შედარებით გაცილებით მაღალ მოსავალს იძლეოდა. გათვალისწინებული იყო 1981–1985 წლებში გამოეყვანათ

---

[1] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები; საბჭოთა აჭარა, 1958, 19 მარტი.

"კოლხეთის" 5,3 მლნ ნერგი.[1] მაგრამ პროგრამა განუხორციელებელი აღმოჩნდა. ჩაის ახალი სახეობა აჭარაში მასობრივად ვერ გავრცელდა.

მეჩაიეობაში შრომის პირობები ყოველთვის მძიმე იყო. მართალია, XX საუკუნის 60–80-იან წლებში დაიწყეს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანების გამოყენება, მაგრამ შრომის პირობები, განსაკუთრებით ჩაის მკრეფავებისა, ბევრად არ შემსუბუქებულა. მშრომელები იტანდნენ სიძნელეებს, რამდენადაც მეჩაიეობა ყველაზე რენტაბელურ დარგად რჩებოდა. 1955 წელს კოლმეურნეობების ფულადი შემოსავლის 70%-ზე მეტი მეჩაიეობაზე მოდიოდა. აღნიშნული მახასიათებელი 1960 წელს–65%, ხოლო 1965 წელს –68,2% იყო.[2] დაახლოებით ასევე იყო მომდევნო წლებშიც.

XX საუკუნის 50–60-იან წლებში კვლავაც ნაყოფიერად შრომობდნენ ძველი თაობის მოწინავენი: ასმათ (აიშე) ჯიჯავაძე, გული ჯინჭარაძე, ტატიანა ცინცაძე და სხვა. ასმათ ჯიჯავაძემ 1957 წელს 0,5 ჰექტარზე მოიწია 4806 კგ ჩაის ფოთოლი, 1959 წელს–4800, რაც ორჯერ აღემატებოდა საშუალო საჰექტარო მოსავალს. იგი რამდენჯერმე დააჯილდოვეს ორდენით. გადაეცა აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროსა და ვერცხლის მედლები, ატარებდა ჩაის ფოთლის კრეფის ოსტატის საპატიო წოდებას".

ბობოყვათელმა მეჩაიემ "სოციალისტური შრომის გმირმა" გული ჯინჭარაძემ XX საუკუნის 50–60-იან წლებში კიდევ მეტად გაზარდა შრომის ნაყოფიერების პირადი მაჩვენებლები. 1953 წელს მან 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 8735 კგ ჩაის ფოთოლი, ხოლო 1958 წელს–8310 კგ, რაც 4-ჯერ და მეტად აჭარბებდა საშუალო საჰექტრო მოსავალს. ნოვატორის გამოცდილება ჯერ კიდევ 1953 წელს შეისწავლა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ფართოდ

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.74, ს.254, ფურც.9.

[2] გამოთვლილია აჭარის კოლმეურნეობების შესაბამისი წლების რესპუბლიკური ჯუმლების მონაცემებით.

დანერგა იგი პრაქტიკაში. სარეკორდო მოსავლს იღებდა ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის ნოვატორი, "სოციალისტური შრომის გმირი" ტატიანა ცინცაძე (მამინიტოვა): 1957 წელს მან ჰექტარზე 6300 კგ, 1960 წელს–6521, ხოლო 1965 წელს–7000 კგ ჩაის ფოთოლი მოკრიფა. 1972 წელს მას მეჩაიეობაში მუშაობის 48 წლის სტაჟი ჰქონდა.

XX საუკუნის 50–80-იან წლებში მოწინავე მეჩაიეთა და წარმოების ნოვატორთა რიცხვი გამრავლდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ ემინე ზაქარიაძე, ნაზი ფალავანდიშვილი, მარიამ გურგენიძე, დარეჯან თურმანიძე, ქეთევან გოგიტიძე, ზაირა ნურიძე, ნადია ჯინჭარაძე, გულნარა გოგიტიძე, ლეილა ვერულიძე, გუგული ჭანიძე, გული ბოლქვაძე, ნაზი მიქელაძე და სხვები. ქობულეთის რაიონის ქაქუთის კოლმეურნეობის მეჩაიე ემინე ზაქარიაძემ 1948–1970 წლებში 200 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიწია, გეგმით გათვალისწინებული 37,5 ტონის ნაცვლად, რისთვისაც მას 1946 წელს "სოციალისტური შრომის გმირის" წოდება მიანიჭეს. 1957–1970 წლებში საჰექტარო მოსავალი 4,8-ჯერ (5500 კგ–დან 13500 კგ-მდე) გაიზარდა, 1966–1970 წლებში 25,5 ტონის ნაცვლად, 63 ტონა ჩაის ფოთოლი მოიწია. 1970 წელს იგი დააჯილდოვეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლით. მიღებული ჰქონდა არაერთი ორდენი და მედალი.

მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა ბობოყვათელ (ქობულეთის რაიონი) მეჩაიეს ქეთევან გოგიტიძეს. ჩაის პლანტაციებში მუშაობა მან 1962 წელს დაიწყო, 16 წლის ასაკში და პირველსავე წელს 0,5 ჰექტარზე 4,5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, 1970 წელს–6800, 1964 წელს–7300, 1965 წელს–8500, ხოლო 1966 წელს–9500 კგ, რაც რესპუბლიკის საშუალო საჰექტარო მოსავალს 1,7-ჯერ აღემატებოდა. ამ თვალსაჩინო მიღწევებისათვის მას "სოციალისტური შრომის გმირის" წოდება მიანიჭეს. 1969 წელს მან 0,5 ჰექტარ-

ზე უკვე 10 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოიწია.[1] მისი მიღწევები მაღალი იყო მომდევნო წლებშიც.

შრომაში ასევე სამაგალითო იყო წყავროკელი (ქობულეთის რაიონი) მეჩაიე ნადია ჯინჭარაძე. მაღალი მოსავლის მიღებისათვის 1966 წელს იგი სახელმწიფო უმაღლესი ორდენით დააჯილდოვეს. VIII ხუღწლედში (1966-1970) გეგმით გათვალისწინებული 36 ტონის ნაცვლად მან 51 ტონა ჩაის ნედლეული მოიწია, ხოლო 1971–1973 წლებში 31 ტონა. ამ მიღწევებისათვის მას, ისევე როგორც მის წინა მორბედებს, "სოციალიტური შრომის გმირის" წოდება მიანიჭეს. თვალსაჩინო წარმატებებისათვის 1971 წელს "სოციალისტული შრომის გმირის" წოდება მიანიჭეს ერგელ (ხელვაჩაურის რაიონი) მეჩაიეს –გუგული ჭანიძეს.

1970 წლიდან მოყოლებული ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალს იღებდა ხუცუბნელი მეჩაიე გული ბოლქვაძე, რომელმაც IX ხუთწლედის დავალება სამ წელიწადში შეასრულა. 1971 წელს 0,5 ჰექტარზე მან მოკრიფა 12090, 1972 წელს–12200, ხოლო 1973 წელს–12150 კგ ჩაის მწვანე ფოთოლი. რაც საშუალო საჰექტარო მოსავალს 4,3-ჯერ აჭარბებდა. 80-იან წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ხუცუბნელმა მეჩაიემ გულნარა გოგიტიძემ, რომელმაც XI ხუთწლედში (1981–1985) 71 ტონა ჩაის ფოთოლი მოიწია. სამაგალითო წარმატებებისათვის იგი საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა. ჩაის პლანტაციებში ნახევარ საუკუნეზე მეტი იშრომა ხელვაჩაურელმა დარეჯან თურმანიძემ, რომელიც არაერთხელ დააჯილდოვეს ორდენებით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოსა და აჭარის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება. ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფლის

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1958, 19 მარტი, 7 ოქტომბერი; 1960, 24 იანვარი; 1966, 24 დეკემბერი; 1970, 26 მაისი; 1971, 15, 29 იანვარი; 1972, 5 დეკემბერი; 1985, 3 აგვისტო; აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.254, ფურც.50.

კოლმეურნეობის მეჩაიემ ნ. აბაშიძემ 1981–1985 წლებში ორი ხუთწლიანი გეგმა–ვალდებულება შეასრულა.

სოფლის მეურნეობის მეორე უმნიშვნელოვანესი დარგი მეხილეობა, კერძოდ, ციტრუსოვანი კულტურები იყო. მართალია, ციტრუსოვანი კულტურები ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების სუბტროპიკული ზონის სოფლებში ხარობდა, მაგრამ ამ დარგის ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალი იყო. საგულისხმოა, რომ XX საუკუნის 50–80 წლებში აჭარაზე მოდიოდა საქართველოს ციტრუსების საერთო ფართობის 32–42% და მოსავლის 28,5–67%.[2]

აჭარას ასევე დიდი ტრადიციები ჰქონდა თესლოვან და კურკოვან მეხილეობაში. ომისშემდგომ პერიოდში საზოგადოებრივ მეურნეობებში, ძირითადად კოლმეურნეობებში, განაახლეს ხეხილის, კერძოდ, ვაშლის, ტყემლისა და ბერძნული ნიგოზის მოშენება. სპეციალური ნაკვეთებიც კი შეარჩიეს, სადაც საუკეთესო ჯიშები მოაშენეს. სამწუხაროდ, კოლმეურნეობებში თესლოვანი და კურკოვანი ხეხილი ვერ განვითარდა. სამაგიეროდ საკმაოდ დაწინაურდა საკარმიდამო მეხილეობა. სოფლის მოსახლეობამ მასობრივად მოაშენა ახალი ჯიშის ვაშლის ნარგავები.

XX საუკუნის 50–80-იან წლებში დიდი მუშაობა განხორციელდა ციტრუსოვანთა ბაღების აღსადგენად და მისი ფართობის გასადიდებლად. 1949–1950 წლების ყინვიანი ზამთრის მძიმე შედეგების დაძლევა მოკლე დროში გახდა შესაძლებელი. უკვე 1953 წელს ციტრუსების ფართობმა 10199 ჰექტარი შეადგინა, რაც 1950 წლის მაჩვენებელს 2,5-ჯერ აღემატებოდა.[3] მაგრამ მკაცრი ზამთრები მომდევნო წლებშიც განმეორდა. მათგან გამოირჩეოდნენ 1954, 1959, 1964, 1971–1973, 1985 წლები. ამის შედეგად ციტრუსოვან-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1973, 11 ოქტომბერი, 14 დეკემბერი; 1974, 16 იანვარი; 1985, 27 დეკემბერი; 1987, 19 აპრილი, 11 იულისი.

[2] იხ. სტატისტიკური კრებულები: Народное хозяйство Грузинской ССР. ТБ., 1987, с.88,94; Народное Хлзяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.86. 91.

[3] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

თა ნარგავების მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა. მთლიანად საქართველოში 1971–1973 წლებში ყინვისაგან დაიღუპა და დაზიანდა 3552 ჰექტარი ციტრუსი და 7034 ჰექტარი ვენახი. კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ზარალმა 22 მილიონი მანეთი შეადგინა.[1]

დაზიანებული პლანტაციების აღსადგენად და მეციტრუსეობის შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს ხელისუფლებამ საგანგებო ღონისძიებები განახორციელა. საქართველოს კპ ცეკას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის იანვრის დადგენილებაში "ყინვისაგან ციტრუსების ნარგავებისა და ვენახის დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" განსაზღვრულია კონკრეტული ამოცანები პლანტაციების აღდგენისა და განვითარების, ახალი ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანის, ქარსაფარი ზოლების შექმნის შესახებ და სხვა.[2] ამის შემდეგ განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები, აღდგენილ იქნა ციტრუსების დაზიანებული ბაღები, გააშენეს ახალი პლანტაციები. 1981 წლის იანვრისათვის აჭარაში მინდორსაცავ ზოლებს 470 ჰექტარი ეკავა: აქედან ქობულეთის რაიონში–319, ხოლო ხელვაჩაურის რაიონში–151 ჰექტარი.[3] სამწუხაროდ ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანა არ მოხერხდა.

მართალია, კოლმეურნეობებში XX საუკუნის 50-იან წლებში ადგილობრივი ჯიშის უხვმოსავლიანი დიდძალი ხეხილი განადგურდა, დაიღუპა ახლად გაშენებული ხეხილის ბაღებიც, მაგრამ 60–80-იან წლებში საკმაოდ დაწინაურდა საკარმიდამო მეხილეობა. XX საუკუნის 50–80-იან წლებში მეხილეობის ფართობი მოცემულია მე–7 ცხრილში (ჰექტრობით).[4]

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1974, 16 იანვარი.

[2] იქვე.

[3] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

[4] ცხრილი შედგენილია აჭარის სტატისტიკური კრებულებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 7.

მაჩვენებლები	1955წ.	1960წ.	1970წ.	1980წ.	1985წ.	1987წ.
ხეხილის ფართობი სულ	12519	11872	14395	13040	13059	13570
მათ შორის ციტრუსები.....	7848	5267	6854	7519	8399	8945

მეხილეობაში წამყვანი იყო ციტრუსები, რომელსაც ეკავა ხეხილის საერთო ფართობის 44–66%. ყინვებისაგან ყველაზე მეტად, როგორც ცნობილია, ლიმონის კულტურა დაზარალდა. 1955-1985 წლებში მისი ფართობი 3,9-ჯერ (211-დან 229 ჰექტრამდე), ხოლო ხვედრითი წილი 27%-დან 3%-მდე შემცირდა. ფორთოხლის ფართობი 1,5-ჯერ და მეტად (1128-დან 238 ჰექტარამდე), ხოლო ხვედრითი მახასიათებელი კი 14,4-დან 9,8%-მდე შემცირდა. აჭარის პირობებს ყველაზე მეტად მოერგო მანდარინის კულტურა. 1955–1986 წლებში მისი ფართობი 4572-დან 6533 ჰექტრამდე, ხოლო ხვედრითი წილი 58,3%-დან 87%-მდე გაიზარდა.

აჭარაში გავრცელებულია აგრეთვე ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ტყემალი, ალუბალი, ბალი, ატამი, ბერძნული ნიგოზი, თხილი, ლელვი, ხურმა და სხვა. 1952 წელს აჭარაში 528,4 ათასი ძირი ხეხილი აღირიცხა. მათ შორის თესლოვანი იყო 318,2 ათასი, კურკოვანი–164,8 ათასი, კაკლოვანი–161,8 ათასი, სუბტროპიკული–283,6 ათასი ძირი, ციტრუსები 5265 ათას ნარგავს ითვლიდა, რომელთაგან ნაყოფს იძეოდა 1091,2 ათასი ძირი (21%).

1951–1965 წლებში მეციტრუსეობის საერთო ფართობის 72–75% საზოგადოებრივ მეურნეობებზე მოდიოდა. ამ კულტურას ყველა სახელმწიფო მეურნეობა აშენებდა, მაგრამ დარგში სპეციალიზებული იყო ათი მათგანი. სახელმწიფო მეურნეობების ციტრუსების ბაღების საერთო ფართობს 16-

23% შეადგენდა. მომდევნო წლებში შესამჩნევი ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ ციტრუსების საერთო ფართობში საზოგადოებრივი მეურნეობების ხვედრითი წილი 59–62%-მდე ჩამოქვეითდა. სამაგიეროდ საკარმიდამო მეციტრუსეობის ფართობი შესაბამისად გაიზარდა.[1]

XX სუკუნის 70–80-იან წლებში შესამჩნევი გახდა კოლმეურნეობებში მეხილეობის ფართობის (ციტრუსების გარეშე) შემცირების ტენდენცია. თუ 1951–1965 წლებში ხეხილის ფართობი 1683 ჰექტარით (79%-ით) გაიზარდა, 1980 წლის ბოლოს 1865 ჰექტრამდე (48,7%) შემცირდა. 1951-1980 წლებში საკარმიდამო ხეხილის ფართობი 1,8-ჯერ გაიზარდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან საზოგადოებრივ მეურნეობებში ხეხილი (ციტრუსების გარეშე) დაფარტულად იყო მოშენებული და მისი მოვლა–პატრონობა ფაქტობრივად თვითდინებაზე იყო მიშვებული.[2]

ციტრუსოვანთა მოსავალი, მკაცრი ზამთრებით გამოწვეული ზარალის მიუხედავად, მნიშვნელოვნად გაიზარდა. მისი ზრდის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-8 ცხრილი (ათასი ტონობით).[3]

ცხრილი 8.

	საშუალო წლიური							
	1951 1955წწ	1956 1960წწ	1961 1965წწ	1966 1970წწ	1971 1975წწ	1976 1980წწ	1981 1985წწ	1986 1990წ
ყველა ტიპის მეურნეობები	9,3	16,6	22,2	37,2	52.9	109,0	141,3	125,
მათ შორის:								
სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობები	–	1,8	1,2	11,2	14.1	22,9	26,4	24,1
ინდივიდუალური მეურნეობები	–	14,8	21,0	26,0	38.8	86,1	114,9	101,8

[1] გამოთვლილია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სტატისტიკური კრებულების მონაცემების საფუძველზე.

[2] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

[3] ცხრილი შედგენილია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით.

როგორც ვხედავთ, ციტრუსოვანთა კულტურების მოსავლის ზრდა ყველა ხუთწლედში მნიშვნელოვანი იყო. მართალია, სუსხიანმა ზამრთებმა ბაღები დიდად დაზიანა, მაგრამ მოსახლეობის ენერგიული შრომით მოკლე დროში ზარალი აღადგინეს. 1956–1960 წლებში საშუალო წლიური მოსავალი წინა ხუთწლედის მახასიათებელს 3722 ტონით (1,9-ჯერ) აღემატებოდა, ხოლო 1961–1965 წლებისა–12836 ტონით (2,4-ჯერ). კიდევ მეტი მიღწევები იყო XX საუკუნის 70–80-იან წლებში. 1976–1980 წლების საშუალო მოსავალი 1951–1955 წლების მაჩვენებელს 11,7-ჯერ (99691 ტონით) აჭარბებდა. 1986–1990 წლების საშუალო მოსავალი 1951-1955 წლების ანალოგიურ მახასიათებელთან შედარებით 20,4-ჯერ მეტი იყო.

ზოგიერთ წლებში, როდესაც ბუნება ადამიანებს წყალობდა, სარეკორდო მოსავალს იღებდნენ. მაღალი მოსავალი მოიწიეს 1979–1984 წლებში. იგი მერყეობდა 143,3 ათასი ტონიდან 181,0 ათას ტონამდე. გამორჩეული იყო 1988 წლის მოსავალი (210,3 ათასი ტონა) და 1990 წლისა (190,3 ათასი ტონა). ციტრუსების საერთო მოსავალში მანდარინზე მოდიოდა 90–94%.[1]

მართალია, სახელმწიფო მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს ციტრუსების საერთო ფართობის ორი მესამედი ეკავათ, მაგრამ მათ შედარებით დაბალი მოსავალი მოჰქონდათ. მათი ხვედრითი წილის შემცირება იწყება XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან. თუ 1951 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობების ხვედრითი წილი ციტრუსების საერთო მოსავალში 45,5%-ს, ხოლო 1955 წელს–52,9%-ს შეადგენდა, 1960 წელს 32,2%, 1970 წელს კი 25%-მდე შემცირდა.

XX საუკუნის 70–80-იან წლებში სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობების ხვედრითი წილი ციტრუსოვანთა კულტურების საერთო მოსავალში 19-21%-ს შორის

მერყეობდა.[1] ამრიგად, XX საუკუნის 60-80-იან წლებში ციტრუსები ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთებზე მოჰყავდათ.

სახელმწიფო და კოოპეცაციულ საწარმოებში ციტრუსების შედარებით დაბალმოსავლიანობა აიხსნება არა მარტო ბაღების მეჩხერიანობით, არამედ, საზოგადოებრივი წარმოების სისტემით, შრომის ორგანიზაციის კოლექტიური წესით. მეხილეობა სოფლის მეურნეობის თავისებური დარგია. ნარგავების გამოზრდას წლები სჭირდება. იგი განსაკუთრებულ მოვლა–პატრონობას მოითხოვს. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივ მეურნეობებში, განსაკუთრებით კოლმეურნეობებში, დაბალ მოსავალს იღებდნენ. 1965 წელს ჰექტარზე საშუალოდ 8,3 ტონა ციტრუსების ნაყოფი მოიწიეს. მართალია, 1970 წლის აღნიშნული მაჩვენებელი 21,6 ტონამდე 2,6-ჯერ გაიზარდა, მაგრამ იგი ძირითადად მოხდა საკარმიდამო ბაღების ხარჯზე. კერძოდ, კოლმეურნეობებმა ჰექტარზე საშუალოდ მოიწიეს 6,4 ტონა, სახელმწიფო მეურნეობებმა–12,5, ხოლო საკარმიდამო ბაღებში 40 ტონა ნაყოფი.[2] ეს უკანასკნელი 6,2-ჯერ აჭარბებდა კოლმეურნეობების საშუალო საჰექტარო მოსავალს.

ცხადია, ზოგიერთ მეურნეობას მაღალი მოსავალი მოჰყავდა, ვიდრე საშუალო საჰექტარო იყო. XX საუკუნის 50–80-იან წლებში მაღალი საჰექტარო მოსავალი მოიწიეს გონიოს, მეჯინისწყლის, ახალსოფლის, ქვედა და ზედა ულიანოვკის, მახინჯაურის, მახვილაურის, ციხისძირის, ჩაქვის და სხვა კოლმეურნეობებმა და სახელმწიფო მეურნეობებმა. ციხისძირისა და მახინჯაურის სახელმწიფო მეურნეობები ჰექტარზე საშუალოდ 15–20 ტონა ნაყოფს იღებდა. ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის ერთ–ერთი ბრიგადა, რომელსაც გრიგოლ ტიკარაძე ხელმძღვანელობდა, საშუალოდ ჰექტარზე სისტემატურად 19–20 ტონა ციტრუ-

---

[1] გამოთვლილია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.
[2] სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

სოვანთა ნაყოფს იღებდა.[1] სარეკორდო მოსავალს იღებდა.[1] ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობის მეციტრუსე დურსუნ ბაკურიძე და მეჯინისწყალელი მამუდ მიქელაძე. პირველს 1966 წელს მიენიჭა "სოციალისტური შრომის გმირის" წოდება, ხოლო მეორეს–1971 წელს. მაგრამ ასეთი ნოვატორები ჭიკირერიცხოვანი იყვნენ და საერთო კლიმატს ვერ ქმნიდნენ. მნიშვნელოვანი წინსვლა იყო მევენახეობაში. აჭარაში დაბალი ვენახისათვის მიწის ნაკვეთების გამონახვა, უპირატესად, სხვა კულტურების ხარჯზე ხდებოდა. ეს კულტურა სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის საგრძნობლად გაზრდის წყარო იყო. იგი ძირითადად ქედის რ-ში მოაშენეს. აქვე აშენდა ყურძნის პირველადი გადამუშავებული საწარმო, სადაც ათობით ადამიანი დასაქმდა. XX საუკუნის 50–80-იან წლებში ამ დარგის განვითარებაზე წარმოდგენას გვაძლევს მე-9 ცხრილი.[2]

ცხრილი 9.

მაჩვენებლები	1952წ.	1960წ.	1970წ.	1980წ.	1985წ.	1987წ.
ფართობი (ჰექტრობით)	225	754	1049	1074	705	686
მოსავალი (ტონობით)	570	821	1081	1957	1294	950

როგორც ვხედავთ, 1952–1980 წლებში ვენახის ფართობი 4,8-ჯერ ხოლო ყურძნის მოსავალი 3,4-ჯერ გაიზარდა. აჭარაში ძირითადად ცოლიკაურის ვენახი მოაშე-

[1] საბჭოთა აჭარა, 1971, 13 მარტი.

[2] ცხრილი შედგენილია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

ნეს, რადგან იგი კარგად შეეგუა აქაურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს. საგრძნობლად გაიზარდა საჰექტარო მოსავალიც. 1951–1960 წლებში ჰექტარზე საშუალოდ მოიწიეს 19–36 ცენტნერი ყურძენი, 1970 წლისათვის 42 ცენტრამდე, თუმცა ყურძნის როგორც საერთო ისე საჰექტარო მოსავალი სტაბილური არ ყოფილა.

ყინვიანი ზამთრების და არასაკმარისი მოვლა-პატრონობის გამო, კოლმეურნეობებში დიდძალი ვაზის ნარგავი დაზიანდა და მეჩხერიანობაც საგრძნობლად მაღალი იყო. 1973–1975 წლებში ზვრები 205 ათასი ძირი ნერგით შეავსეს. მართალია, მეჩხერიანობა საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ 1975 წელს იგი 15,7%-ს შეადგენდა. მომდევნო წლებში დამატებითი ღონისძიებები გატარდა და ამით მოსავალიც გაიზარდა, მაგრამ XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში მევენახეობაში მდგომარეობა გაუარესდა-- ვენახების ფართობი და მოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდა.

მევენახეობის განვითარებაში როგორც ითქვა, მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა ქედის რაიონს. 1952 წელს ამ რაიონზე მოდიოდა აჭარის დაბლარი ვენახის საერთო ფართობის 60%, 1960 წელს–50,4%, 1970 წელს–54,5%. ასევე იყო მომდევნო წლებშიც. ყურძნის მოსავლის მიხედვით ქედის რაიონის ხვედრითი წილი შედარებით მეტი იყო. მაღალი მოსავალი მოჰყავდათ დანდალოს, ქედის, ცხმორისის, მახუნცეთის, მერისის და ოქტომბრის კოლმეურნეობებს. სამაგალითო მიღწევების გამო ქედის რაიონის მევენახეები ი. ბოლქვაძე, ი. ნიგალიძე, გ. სალაძე, ა. ბერიძე, ა. მჟავანაძე და სხვები სახელმწიფოს უმაღლესი ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს.

აჭარაში ჯეროვნად ვერ განვითარდა ტუნგისა და კეთილშობილური დაფნის კულტურები. 1955 წელს ტუნგის კულტურის ფართობი 2415 ჰექტარს შეადგენდა, რაც 1950 წლის მაჩვენებელს 55 ჰექტარით აღემატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტუნგის ნაყოფზე დიდი მოთხოვნილება

იყო, მისი ფართობი და მოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდა. 1960 წელს ტუნგის ფართობი 2038, 1965 წელს 2035, 1970 წელს 1461, 1980 წელს 1541 ჰექტარს შეადგენდა. დაახლოებით ასეთი მდგომარეობა იყო მომდევნო წლებშიც. ტუნგის კულტურა მოშენებული იყო მხოლოდ საზოგადოებრივ მეურნეობებში. 1955 წელს კოლმეურნეობებში ტუნგის კულტურას ეკავა 1609 ჰექტარი (67%), 1965 წელს—1306 (64%), 1980 წელს—1023 (66%). დანარჩენი სახელმწიფო მეურნეობებზე მოდიოდა. მათ შორის ძირითადი იყო ჯიხანჯუხის ტუნგის სახელმწიფო მეურნეობა. ტუნგის მოსავალს მთლიანად სახელმწიფო ყიდულობდა. 1951—1987 წლებში საშუალოდ კრეფდნენ 2000-დან 4000 ტონამდე ნაყოფს

კეთილშობილი დაფნის კულტურის ფართობი 1956 წელს 51 ჰექტარს აღწევდა, ხოლო 1960 წელს 215, 1965 წელს 392, 1970 წელს 480,4, 1975 წელს 377, 1980 წელს 363 ჰექტარი შეადგინა. ამ კულტურას აშენებდნენ ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის რაიონებში, თუმცა ამ უკანასკნელში მისი ფართობი მცირე იყო. 1980 წელს მას 73 ჰექტარი ეკავა (0,1). 1956—1980 წლებში კეთილშობილური დაფნის ფართობი 7,4—ჯერ გაიზარდა. 1951—1971 წლებში დაფნის კულტურას მისდევდნენ საზოგადოებრივი მეურნეობები. საკარმიდამო ნაკვეთებზე დაფნის მოშენება დაიწყო 70-იან წლებში და 1975—1980 წლებში 59 ჰექტარი ეკავა. 1980 წელს კოლმეურნეობებზე მოდიოდა საერთო ფართობის 77,4% სახელმწიფო მეურნეობებზე—6,3%, დანარჩენი გაშენებული იყო საკარმიდამო ნაკვეთებზე. 1960 წელს მოიწიეს 22 ტონა, 1965 წელს — 112, 1975 წელს — 205, 1982 წელს — 225, 1988 წელს — 214 ტონა.[1] ამრიგად, 1960—1982 წლებში დაფნის ფოთლის დამზადება 10-ჯერ და მეტად გაიზარდა. მაგრამ სახელმწიფო ბაზარზე კეთილშობილური დაფნის ფოთოლზე დიდი მოთხოვნილება არ იყო. რუ-

---

[1] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

სეთში იგი საზღვარგარეთიდან შემოდიოდათ. ცხადია, ამ გარემოებამ შეაფერხა დაფნის კულტურის განვითარება.

XX საუკუნის 50–80-იან წლებში თამბაქოს კულტურა კოლონიური ხასიათის დარგად რჩებოდა. სოფლის მეურნეობის ამ დარგში შრომის პირობები გაცილებით მძიმე და აუტანელი იყო, ვიდრე მეჩაიეობაში. ნედლეულის წარმოებაში არავითარი ტექნიკური სიახლენი არ იგრძნობოდა. შრომა ისეთივე მტანჯველი იყო, როგორც XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე. ამავე დროს მეთამბაქოეობა აჭარის მთიანი ზონის კოლმეურნეობების ფულადი შესავლის ძირითადი წყარო იყო და ხელისუფლებაც ამ დარგის განვითარებისათვის საგანგებო ღონისძიებებს ატარებდა. 1951–1970 წლებში ამ დარგის განვითარებაში ძირითადი იყო ადმინისტრაციული იძულება. მართალია, 70-იანი წლების მეორე ნახევარში ეკონომიკური დაინტერესება საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ იგი შრომითი დანახარჯის შესაბამისი არ ყოფილა. პარტიული და სახელმწიფო აპარატის ზეწოლა კი გრძელდებოდა.

თამბაქოს კულტურა ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო იყო. (როგორც მისი მოვლა ისე ნაწარმის გამოყენება) შხამქიმიკატების გამოყენების გამო იგი ეკოლოგიასაც აზიანებდა. თამბაქოს ყვავილის უარყოფითი ზემოქმედება აშკარა იყო მეფუტკრეობის განვითარებაზე, მაგრამ მაღალი მოთხოვნილებების გამო მის მავნე თვისებებზე ყურადღებას არ ამახვილებდნენ. XX საუკუნის 50–80-იან წლებში აჭარაში მეთამბაქოება მნიშვნელოვნად დაწინაურდა. ამაზე მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი მონაცემები (იხ. ცხრილი 10).[1]

---

[1] ცხრილი შედგენილია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის სტატისტიკური კრებულების მონაცემებით.

ცხრილი 10.

მაჩვენებლები	1955წ.	1960წ.	1970წ.	1980წ.	1987წ.	1990წ.
ფართობი (ჰექტრობით)	1100	1369	1458	1736	2153	1176
მოსავალი (ტონობით)	1299	2456	2841	3756	5400	10100

მეთამბაქოებას აჭარაში 4 რაიონში მისდევდნენ (ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის). მას ეკავა საერთო სავარგულების 3–4%, მაგრამ იღებდნენ ფულადი შემოსავლების 65–78%, ფართობისა და მოსავლიანობის მიხედვით წამყვანი იყო ხულოს რაიონი, შემდეგ შუახევი და ქედა. ხელვაჩაურის რაიონში მეთამბაქოეობას მისდევდნენ მხოლოდ მთიან და მთისწინა სოფლებში. XX საუკუნის 50–60-იან წლებში ხელისუფლება არაოფიციალურად კრძალავდა თამბაქოს საკარმიდამო ნაკვეთზე წარმოებას და დარგი მთლიანად მონოპოლიზებული იყო კოლმეურნეობებში. 70-იანი წლებიდან ხელისუფლებამ მოსახლეობას ნება დართო თამბაქოს ნედლეული საკარმიდამო ნაკვეთებზეც ეწარმოებინა. 1951–1987 წლებში თამბაქოს ფართობი თითქმის 2-ჯერ, ხოლო მოსავალი–4,4-ჯერ გაიზარდა.

აჭარა საქართველოში თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი მსხვილი რეგიონი იყო. 1970 წელს აჭარაზე მოდიოდა მთლიანი ფართობის 11,8% და მოსავლის 17,4%. 1980 წელს ეს მაჩვენებლები გაიზარდა 15,4% და 23,6%, ხოლო 1985 წელს 20% და 24,1%-მდე. აჭარაში ასევე მაღალი იყო საჰექტარო მოსავალი და ხარისხიც. თამბაქოს ნედლეულის საშუალო საჰექტარო მოსავალი 1950 წელს 12,5 ცენტნე-

რიდან 1960 წელს 16, 1970 წელს 19,5, 1985–წელს 21,0, ხოლო 1987 წელს 23,4 ცენტრამდე, თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. ზრდის ეს ტემპი მთლიანად საქართველოს მასშტაბით საშუალო საჰექტარო მოსავალს 1,4–2,0-ჯერ აღემატებოდა.[1]

მიუხედავად იმისა, რომ მეთამბაქეოებაში შრომის პირობები უკიდურესად მძიმე იყო, მწარმოებლები ენერგიის დაუზოგავად შრომობდნენ, რადგან მაღალმთიან რაიონებში თამბაქო, სახელმწიფო შესყიდვის დაბალი ფასები მიუხედავად, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემოსავალს აჭარბებდა. კოლმეურნეობების ერთი ნაწილი, რიგითი მწარმოებლები საშუალო საჰექტაროზე უფრო მაღალ მოსავალს იღებდნენ. კერძოდ, თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ ფ. სურგულაძეს, ლ. ჩხუბაძეს, ზ. ფუტკარაძეს, ჰ. ფუტკარაძეს, მ. კეჟერაძეს, ი. ირემაძეს, ე. ქათამაძეს, გ. ბერიძეს, ნ. დარჩიძეს და სხვებს.

ს. დანდალოს (ქედის რ-ნი) კოლმეურნეობის წევრი ფ. სურგულაძე: შრომის ნოვატორული მეთოდების გამოყენებით, 1954 წლიდან მოყოლებული თამბაქოს სარეკორდო მოსავალს იღებდა. 1954 წელს მან ჰექტარზე გადაანგარიშებით 48 ცენტნერი თამბაქო აწარმოა. 1956 წელს 0,25 ჰექტარზე მიიღო 1478 კილოგრამი, 1957 წელს–1678, 1959 წელს–0,2 ჰექტარზე–1920, ხოლო 1960 წელს –0,15, ჰექტაეზე–1450 კგ. ნედლეული, რაც 5–6-ჯერ აღემატებოდა საშუალო საჰექტარო მოსავალს. შრომითი წარმატებებისათვის იგი რამდენჯერმე დააჯილდოვეს უმაღლესი ჯილდოთი.

1957 წელს საქართველოს კპ ქედის რაიკომმა სპეციალურად განიხილა ფ. სურგულაძის შრომითი მიღწევები. შესაბამის სამსახურებს დაავალა გულდასმით შეეცნოთ ლათ ფ. სურგულაძის მიღწევები და მასობრივად დანერგვათ პრაქტიკაში. საგულისხმოა, რომ ფ. სურგულაძეს

---

[1] გამოთვლილია: აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.74, ს.15, ფურც.91; Народное хозяйство Грузинской ССР, статистический ежедневник, Тб., 1987, с.87, 88, 91.

შრომითი მიღწევებით დაინტერესდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი და საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტრო.[1]

სარაკორდო მოსავალს იღებდა იმავე რაიონის ს. ჯალაბაშვილების კოლმეურნე ლუთბიე ჩხუბაძე, რომლის მიღწევა ავტონომიურ რესპუბლიკის საშუალო საჰექტრო მოსავალს 7-ჯერ, ხოლო კოლმეურნეობისას–11-ჯერ აჭარბებდა. ამ სამაგალითო მიღწევებისათვის იგი 1966 წელს "ლენინის ორდენით" დააჯილდოვეს.

მაღალო შრომითი მიღწევებისათვის 1966 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს შუახევის რ-ნის ს. ოლადაურის კოლმეურნე ზულეიხა ფუტკარაძე. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია შუახევის რაიონის ს. ცინარეთის მეთამბაქოემ მეხბულე კეჟერაძემ. რომელიც "ლენინის ორდენის" კავალერი გახდა.

XX საუკუნის 70–80-იან წლებში მაღალნაყოფიერად შრომობდა ქედის რ-ნის ს. აქუცის მეთამბაქოე სებილე ლომინაძე, რომელმაც X ხუთწლიანი (1976–1980) გეგმავალდებულება 2 წელში შეასრულა. თვალსაჩინო შრომითი მიღწევების გამო მას გადაეცა სახელმწიფო ჯილდოები, ხოლო 1978 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

1951–1990 წლებში ნათესი კულტურების საერთო ფართობი (თამბაქოს გამოკლებით) საგრძნობლად შემცირდა. თუ 1955 წელს მათ 16981 ჰექტარი ეკავა, 1965 წელს–12105, 1970 წელს–11812, 1980 წელს–11045, ხოლო 1990–წელს– 1990 წელს–4304 ჰექტრამდე (3,9-ჯერ და მეტად) შემცირდა, მათი ხვედრითი წილი 1950–1990 წლებში 71,9%-დან 43%-მდე ჩამოვიდა.[2]

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან კოლმეურნეობები მარცვლეულ მეურნეობას თითქმის აღარ მისდევდნენ, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებზე ძირითადად სიმინდი მოჰყავდათ (მთისა და მთისწინა სოფლები). წლიურად საშუა-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.44, ს.112, ფურც.49-50; საბჭოთა აჭარა, 1958, 18 მაისი.
[2] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

ლოდ მოჰყავდათ 11–13 ათასი ტონა სიმინდი (მაგალითად, 1970 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობებში მოიწიეს 11 ათასი, 1980 წელს –12,6 ათასი, 1989 წელს–12,3 ათასი ტონა სიმინდი) უნდა ითქვას, რომ სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავალი 1970–1989 წლებში 9,5 ცენტნერიდან 27,6 ცენტნერამდე გაიზარდა სიმინდის საქონლიანობის დონე დაბალი იყო. იგი ძირითადად ოჯახში მოიხმარებოდა.

ვერ განვითარდა კარტოფილის კულტურა, რომლის ფართობი 1951 წლის შემდეგ ასევე შემცირდა. მას ძირითადად მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობები მისდევდნენ. მისი ფართობი 1955 წელს 2074 ჰექტარიდან 1960 წელს – 762, ხოლო 1970 წელს–859 ჰექტრამდე დავიდა. მომდევნო წლებში მისი ფართობი გაიზარდა და 1980 წელს 1337, ხოლო 1986 წელს 1000 ჰექტარი შეადგინა. 1955 წელთან შედარებით კარტოფილის ფართობი 2-ჯერ შემცირდა. მოსავალიც მცირე იყო. 1951–1955 წლებში კარტოფილის საშუალო წლიური მოსავალი 8147 ტონას, 1956 – 1960 წლებში – 4990, 1976–1980 წლებში–9700, 1981–1985 წლებში – 10400 ტონას შეადგენდა. 1987 წლის შემდეგ კარტოფილის მოსავალი 3-ჯერ და მეტად შემცირდა. აჭარის მოსახლეობის კარტოფილით უზრუნველყოფა ძირითადად შემოტანილი პროდუქციით ხდებოდა. XX საუკუნის 70–80-იან წლებში კარტოფილის მოსავალი გაიზარდა შრომის ნაყოფიერების ამაღლების შედეგად. კარტოფილის საშუალო საჰექტარო მოსავალი 36 ცენტნერიდან 97,5 ცენტნერამდე (თითქმის 3-ჯერ) გაიზარდა.[1]

აჭარაში სათანადოდ ვერ განვითარდა მებოსტნეობა. 1955 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობებში მებოსტნეობის ფართობი 623 ჰექტარს, 19650 წელს–678, 1975 წელს – 704, 1970 წელს–882, 1980 წელს–962, 1985 წელს–952 ჰექტარს შეადგენდა, საიდანაც საზოგადოებრივ მეურნეობებ-

[1] იქვე.

ზე მოდიოდა საერთო ფართობის დაახლოებით მესამედი. მოსახლეობის ბოსტნეულით უზრუნველყოფისათვის XX საუკუნის 60–70 წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. 1960 წელს ქობულეთში შეიქმნა მებოსტნეობის სპეციალური მეურნეობა, ხოლო 1976–1980 წლებში მოეწყო მებოსტნეობის ორი სასათბურე მეურნეობა. ერთი ხელვაჩაურის რაიონში (3 ჰექტარზე), მეორე ქობულეთში (12 ჰექტარზე). მიუხედავად ამისა, მებოსტნეობა მაინც ჩამორჩენილ დარგად რჩებოდა. საზოგადოებრივ მეურნეობებში ძირითადად კომბოსტო და კიტრი მოჰყავდათ. ხელისუფლების დადგენილებები კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გაზრდის შესახებ მეტწილად ქაღალდზე რჩებოდა, თუმცა იყო გარკვეული ძვრებიც. ბოსტნეულის საშუალო წლიური პროდუქცია საზოგადოებრივ მეურნეობებში შეადგენდა: 1956–1960 წლებში–599, 1961–1965 წლებში – 998, 1966–1970 წლებში–1391, 1971–1975 წლებში–2795, 1976–1980 წლებში–3869, 1981–1985 წლებში–4401 ტონას.[1] ამრიგად, 1955–1985 წლებში ბოსტნეული კულტურების მოსავალი 7,4-ჯერ გაიზარდა, მაგრამ მოსავლის ეს ოდენობა არ კმაროდა ქალაქებისა და დაბების მოსახლეობის, მრავალრიცხოვანი დამსვენებლებისა და ტურისტების უზრუნველსაყოფად.

შესამჩნევი ცვლილებები მოხდა მეცხოველეობის განვითარებაში. განმტკიცდა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეიქმნა ახალი ფერმები, სახელმწიფო და სამეურნეობათაშორისო საწარმოები, გაუმჯობესდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და საკვებით უზრუნველყოფა. 1956–1991 წლებში პროდუქტიული პირუტყვის საერთო სულადობის ზრდის დინამიკა ნაჩვენებია 11 ცხრილში (1-ლი იანვრისათვის, ათასი სული).[2]

---

[1] ცნობები მოყვანილია სტატისტიკური კრებულებიდან.

[2] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.95; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ცხრილი 11.

წლები	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი		ღორი	თხა და ცხვარი
	სულ	ფური		
1956	91,8	32,9	6,1	36,1
1961	99,0	39,6	4,8	32,4
1971	111,6	45,3	2,3	14,4
1981	122,6	51,1	8,4	11,1
1989	134,2	52,5	7,5	18,2
1991	111,4	43,8	6,3	10,1

1956–1989 წლებში პირუტყვის საერთო სულადობა 166,9 ათასიდან 212,4 ათასამდე (1,3-ჯერ) გაიზარდა. ´საგრძნობლად გადიდდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის სულადობა. მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა თხისა და ცხვრის სულადობა, თუ 1951 წელს შევადარებთ, მათი სულადობა 5,6-ჯერ შემცირებულია. ეს იმით აიხსნება, რომ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში კოლმეურნეობებს მოუხსნეს წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენების გეგმები. მართალია, აჭარას ცხვრის ფარის შენახვისა და მოვლა–პატრონობისათვის საჭირო საძოვრებ-საბალახოები არ გააჩნდა, მაგრამ არსებული მცირე შესაძლებლობებიც ვერ გამოიყენეს. გარკვეული ობიექტური პირობების გამო ვერც მეღორეობა განვითარდა.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 1989 წელს 1956 წელთან შედარებით 34400 სულით–34,5%-ით გაიზარდა. თუ შესადარებლად 1951 წელს ავიღებთ, მატება თითქმის 67% იყო. ეს ზრდა მნიშვნელოვანია, რადგან აჭარაში ძალზე შეზღუდული იყო პროდუქტიული პირუტყვის შენახვის პირობები. ნიშანდობლივია, რომ ამ მხარეში XX საუკუნის 80–იან წლებში პროდუქტიული პირუყვის სიმჭიდროვე 3,2–ჯერ აღემატებოდა საქართველოს საერთო მაჩვენე-

ბელს, ხოლო 8,1-ჯერ საკავშირო მაჩვენებელს. პროდუქტიული პირუტყვის საკვების 42% აჭარაში სხვა რეგიონებიდან შემოჰქონდათ.[1]

მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ პროდუქტიული პირუტყვის საერთო სულადობაში საგრძნობლად გაიზარდა ფურისა და კამეჩის ხვედრით წილი. აღნიშნული მახასიათებელი 1956–1989 წლებში 35,8%-დან 39,1%-მდე ამაღლდა. ამასთან, პროდუქტიული პირუტყვის საერთო სულადობის 76–78% ინდივიდუალურ მეურნეობებზე მოდიოდა. მიუხედავად ამისა, ქობულეთისა და ხელვაჩაური რაიონების მოსახლეობის 45,4%-ს (38308-დან 8321 კომლს) პროდუქტიული პირუტყვი საერთოდ არ ჰყავდა,[2] მისი დიდი ნაწილი კონცერნტრილებული იყო მაღალმთიან რაიონებში, სადაც მეცხოველეობის განვითარების პირობები შედარებით უკეთესი იყო.

მეცხოველეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი სიახლე იყო საკოლმეურნეობათაშორისო, სამეურნეობათაშორისო და სახელმწიფო მეურნეობების შექმნა. პროდუქტიული პირუტყვის მსხვილ საწარმოდ ითვლებოდა ბათუმის მერძევეობის სახელმწიფო მეურნეობა. ნაწილობრივად მეცხოველეობის პროფილი მიიღო ქობულეთის მებოსტნეობის სახელმწიფო მეურნეობამაც. გარდა ამისა აჭარაში XX საუკუნის 70-იან წლებში ფუნქციონირებდა მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო 5 ფერმა, ხოლო ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში შეიქმნა მებოცვერეობის ფერმა. მეღორეობისა და მესაქონლეობის ფერმები მოაწყო აჭარის სატყეო მეურნეობის სამინისტრომაც. საზოგადოებრივ მეურნეობებში პროდუქციული პირუტყვის საერთო სულადობისა და სტრუქტურული მდგომარეობის

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1986, 4 დეკემბერი,

[2] აცხა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.199, ფურც.31.

შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-12 ცხრილი (პირველი იანვრისათვის, ათასი სული).[1]

ცხრილი 12.

წლები	საზოგადოებრივი მეურნეობები				მათ შორის კოლმეურნეობებში			
	სხვილ-ფეხა რქოსანი პირუტყვი სულ	მათ შორის ფური	ღორი	ცხვარი და თხა	მსხვილ ფეხა რქოსანი პირუტყვი	მათ შორის ფური	ღორი	ცხვარი და თხა
1956	26,7	7,9	2,2	9,1	24,7	7,7	1,7	7,6
1961	23,2	6,6	4,3	2,1	23,0	6,6	4,0	2,1
1971	24,1	7,4	2,1	0,5	23,0	6,9	1,2	0,5
1981	27,0	8,2	7,1	–	20,1	7,4	1,7	–
1989	26,5	7,6	6,0	0,4	21,9	6,2	1,8	–
1991	24,1	6,9	3,4	0,4	21,2	5,9	1,3	0,4

პოდუქტიული პირუტყვის საერთო სულადობის დიდი ნაწილი (1956 წ.–92,5%, 1961 .–99,1%, 1971 წ.–95,4%) კოლმეურნეობებზე მოდიოდა დანარჩენი–სახელმწიფო მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო ფერმებზე. XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში, "ცხოველმრეწვისა" და სატყეო მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის ფერმების შექმნის შემდეგ, სახელმწიფო და სამეურნეობათაშორისო ახალი საწარმოების ხვედრითი წილი პროდუქტიული პირუტყვის საერთო სულადობაში 17-დან 26%-მდე გაიზარდა. საზოგადოებრივ მეურნეობებში ჯოგის სტრუქტურაში პირველი ადგილი ეკავა ფურსა და ფურ კამეჩს, ხოლო ცხვრისა და თხის რაოდენობა თითქმის 22,8-ჯერ შემცირდა. მართალია, ღორის სულადობა 1956-1981 წლებში 3,2-ჯერ გაიზარდა მაგრამ იგი საზოგადოებრივ მეურნეობებში სათანადოდ ვერ განვითარდა. ასევე ითქმის მეთხეობის შესახებ. თუმცა მთის ზონის კოლ-

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.79-80; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

მეურნეობებში მისი განვითარებისათვის ბუნებრივი პირობები საკმაოდ ხელსაყრელი იყო.

საზოგადოებრივ მეურნეობებში, ძირითადად ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქტიული პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა. 1952–1959 წლებში კოლმეურნეობებში ჯიშიანი პირუტყვის საერთო რაოდენობა 1938-დან 4485 სულამდე, მათ შორის ფურებისა–978-დან 2294-მდე (12,3- ჯერ და მეტად) გაიზარდა. ჯერ კიდევ 1955 წლისათვის ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების კოლეურნეობებში ფურის საერთო სულადობის 62% ჯიშიანი იყო.[1]

პროდუქტიული პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში საგრძნობი როლი შეასრულა ცხოველთა სანაშენე საქმისა და ხელოვნური დათესვლის ქობულეთის სადგურმა, რომელიც 1959 წელს დაარსდა. 1960 წელს აჭარაში აღნიშნული სადგურის 46 ქვეპუნქტი მოქმედებდა. 70-იანი წლების დასაწყისში ამ ქვეპუნქტების ბაზაზე ხელვაჩაურის რაიონში ჩამოყალიბდა სანაშენი საქმისა და პირუტყვის ხელოვნური დათესვლის საკოლმეურნეობათაშორისო სადგური.

XX საუკუნის 70-იან წლებში ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში პროდუქტიული პირუტყვის უკვე 95% იყო ჯიშიანი. ძირითადად, ეს იყო ველის წითელი (რუსეთის), შვედური და კავკასიური წაბლისფერი ჯიშის პირუტყვი. მაგრამ მაღალმთიან რაიონებში პროდუქტიული პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში არსებითი წინსვლა არ ყოფილა. 1970 წელს მაგლითად, ჯოგის საერთო სულადობაში ჯიშიანი პირუტყვი შეადგენდა: ხულოს რაიონის კოლმეურნეობებში 5,3%, შუახევის–2,3%, ქედის რაიო-

---

[1] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.83; საბჭოთა აჭარა, 1955, 27 აპრილი.

ნის კოლმეურნეობებში–2,4%.[1] ამიტომ ჯიშიანი პირუტყვის ხვედრითი წილი მთლიანად აჭარაში დაბალი იყო.

კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელი იყო პირუტყვის ნამატის შენარჩუნებისა და გამოზრდის საქმე. XX საუკუნის 60–70–იან წლებში ყოველ 100 ფურზე საშუალოდ იღებდნენ 66-დან 73-მდე ნამატს. ამასთან, მათი ნაწილი ისოცებოდა. კოლმეურნეობებში პროდუქტიული პირუტყვის სულადობის გეგმებს ნაწილობრივად შესყიდვის გზით ასრულებდნენ. 1959–1961 წლებში, მაგალითად, აჭარის კოლმეურნეობებმა 4376 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყიდეს, რისთვისაც დიდძალი თანხები დახარჯეს. 1966–1970 წლებში ამ მიზნისათვის გაიღეს 2850 ათასი მანეთი. აქედან ხულოს რაიონის კოლმეურნეობებმა 1105 ათასი, შუახევის–619 ათასი, ქედის–516 ათასი, ქობულეთის–335 ათასი, ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებმა 275 ათასი მანეთი.[2]

მართალია, ვეტერინალური მომსახურება შესამჩნევად გაუმჯობესდა, მაგრამ იგი სრულყოფილი მაინც არ იყო. 1966–1970 წლებში ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში ვეტექიმის 8 ადგილი ვაკანტური იყო. საკოლმეურნეო ფერმის გამგეებად არასპეციალისტები, მეტწილად დაბალი განათლების ადამიანები მუშაობდნენ. მაგალითად, 1969 წელს 169 ფერმის გამგიდან უმაღლესი განათლებით იყო 6, საშუალოთი –52, ხოლო, დაბალი განათლებით 111 მუშაკი. კადრების უყოლობის გამო მაღალმთიანი რაიონების ზოგიერთ სოფელში ვეტერინალური პუნქტებიც კი დაიხურა.[3] ცხადია, ეს გარემოებაც ახდენდა გავლენას მეცხოველეობის ნამატის შენარჩუნება–გამოზრდასა და ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაზე.

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.59, ს.124, ფურც.17; ან.64, ს.117, ფურც.45.

[2] ცნობები მოყვანილია აჭარის კოლმეურნეობების 1966-1970 წლების რესპუბლიკური ჯუმლებიდან.

[3] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.62, ს.12, ფურც.23, 31.

მეცხოველეობის საკუთარი წარმოების საკვბით უზრუნველყოფაში არსებითი წინსვლა არ ყოფილა. 1981 წლის ცნობით, სათიბები და საძოვრები, ერთად აღებული, 48,1 ათას ჰექტარს ითვლიდა, რაც საერთო სავარგულების 57,2%-ს შეადგენდა. მაგრამ ბუნებრივი სათიბები სისტემატურად მცირდებოდა. 1950 წელთან შედარებით 1960 წელს იგი 10425-დან 9018, 1970 წელს–6739, 1980 წელს–6338 ჰექტრამდე (39,9%-ით) შემცირდა. სათიბები და საძოვრები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო. მათი ზედაპირული გაუმჯობესებისათვის XX საუკუნის 70–80-იან წლებში გარკვეული სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ შედეგები არასაკმარისი იყო. ბუნებრივი სათიბებიდან საშუალო საჰექტარო მოსავალი 1951–1985 წლებში 10–27 ცენტნერს შორის მერყეობდა.[1]

ნაკლოვანებების და ხარვეზების მიუხედავად, აჭარის საზოგადოებრივ მეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა თითო ფურის საშუალო წლიური წველადობა. 1955 წელს იგი შეადგენდა 715, 1960 წელს–1429,4, 1970 წელს–1125, 1980 წელს–1420, 1986 წელს–1534 კილოგრამამდე (2,1-ჯერ) გაიზარდა და 1950 წლის მაჩვენებელს 6,3-ჯერ გადააჭარბა. მაღალი მიღწევები ჰქონდათ ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს. მაგალითად, ხელვაჩაურის რაიონის კოლმეურნეობებმა 1955 წელს თითო ფურიდან საშუალოდ მიიღეს 1698,3 კილოგრამი რძე, 1960 წელს–2136,1965 წელს–1933.

ასეთივე მიღწევები ჰქონდა ქობულეთის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს. აქ თითო ფურზე 1955 წელს საშუალოდ ჩამოწველეს 1208 კილოგრამი, 1960 წელს–2652, 1965 წელს–1652, 1970 წელს–1749 კილოგრამი რძე. ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების მიღწევები ყველაზე მაღალი იყო სსრ კავშირის მასშტაბით. ასევე იგი 4–5-ჯერ აღემატებოდა აჭარის მაღალმთიანი რაიონების ანალოგიურ

---

[1] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

მახასიათებლებს.[1] კიდევ მეტი წარმატებები ჰქონდათ ურეხის, წინსვლის, მახინჯაურის, კვირიკეს კოლმეურნეობებს, ბათუმის მერძეობის სახელმწიფო მეურნეობას.

ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საკოლმეურნეო ფერმის მწველავმა გული ვარშანიძემ 1953 წელს საშუალოდ თითო ფურიდან 4070 კილოგრამი რძე მიიღო, რაც ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებელს 11-ჯერ აღემატებოდა. ამის გამო გული ვარშანიძეს 1955 წელს მიენიჭა "საქართველოს საუკეთესო მწველავის" წოდება. ასეთივე წოდება მასთან ერთად მიიღეს ხელვაჩაურის რაიონის წინსვლის, მეჯინისწყლის, განთიადის, ურეხის კოლმეურნეობების საკოლმეურნეო ფერმის მუშაკებმა ლ. კოპინენკომ, მ. ბალაძემ, ხ. ბერიძემ, ო. გოროლეცკაიამ. XX საუკუნის 70-იან წლებში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს ციხისძიეის, ზედა კვირიკეს, ჩაისუბნის (ქობულეთის რაიონი), ჭარნალის, განთიადის, ურეხის, წინსვლის საკოლმეურნეო ფერმის მწველავებმა ვ. უგრეხელიძემ, ხ. თურმანიძემ, მ. მავროპულომ, ს. ხუნდაძემ, დ. კონცელიძემ, ს. ფარტენაძემ და სხვებმა. 1972–1973 წლებში საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვების გამო აჭარიდან 18 მწველავი ორდენებით, ხოლო 10 კაცი მედლებით დააჯილდოვეს.

გარკვეულ წარმატებათა მიუხედავად, მეცხოველეობა აჭარის საზოგადოებრივ სექტორში მეურნეობის წამგებიანი დარგი იყო. 1974 წელს ზარალმა 2,4 მილიონი მანეთი, ხოლო 1975 წელს–3 მილიონ მანეთს გადააჭარბა.[2]

მეფრინველეობა XX საუკუნის 50-იანი წლების აჭარაში განუვითარებელი იყო. 1952 წელს კოლმეურნეობებში 26069 ფრთა ითვლებოდა, მაგრამ მათი რიცხვი 1960 წელს 4457-მდე (6-ჯერ) შემცირდა. მეფრინველეობის დაჩქარებული განვითარება 60-იანი წლებიდან დაიწყო, როცა იგი სამრეწველო რელსებზე გადაიყვანეს. ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკას და საკოლმეურნეობათაშორისო ფერმე-

---

[1] იქვე.
[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.39, ფურც.134-137.

ბის ამოქმედებით ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. უკვე 1965 წელს აჭარის საზოგადოებრივ მეურნეობებში ფრინველის რაოდენობა 149,7 ათასამდე გაიზარდა, რაც 1952 წლის მაჩვენებელს 5-ჯერ აღემატებოდა. 1975 წელს საზოგადოებრივ მეურნეობებში 277,7 ათასი, 1980 წელს 237,6, 1987 წელს–294,4 ათასი ფრთა ითვლებოდა. რაც 1965 წლის დონეს თითქმის 2-ჯერ, ხოლო 1952 წლისას–11,3-ჯერ აჭარბებდა.

XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან მეფრინველეობას მისდევდნენ საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები და სახელმწიფო საწარმოები. პირველ მათგანზე 1965 წელს მოდიოდა ფრინველის საერთო რაოდენობის 19% (28 ათასი ფრთა), 1975 წელს–15,6% (43,2 ათასი).[1] ამდენად, ფრინველის დიდი ნაწილი ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკას ეკუთვნოდა. სამეურნეობათაშორისო საწარმოებიდან აღსანიშნავია ქაქუთის (ქობულეთის რაიონი) მეფრინველეობის საწარმო, რომელიც გათვალისწინებული იყო 25 ათას მოქცეულზე.

აჭარაში სათანადოდ ვერ განვითარდა მეფუტკრეობა. მართალია, XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ქედისა და ხულოს რაიონებში შეიქმნა მეფუტკრეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები, ხოლო ხელვაჩაურის რაიონში–სახელმწიფო საფუტკრე. აქვე მოეწყო საქართველოს მეფუტკრეობის საცდელი სადგურის საყრდენი პუნქტი. მაგრამ დარგის განვითარებაში არსებითი წინსვლა არ ყოფილა. ეს იმიტომ, რომ მეფუტკრეობის მნიშვნელობას ჯეროვნად ვერ აფასებდნენ და მის მოვლა–პატრონობას საჭირო ყურადღებას არ აქცევდნენ. ამას ისიც მოწმობს, რომ ფუტკრის ოჯახთა ნახევარი მოთავსებული იყო პრიმიტიულ სკებში.

ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა და პროდუქციის (თაფლის) წარმოება საგრძნობლად შემცირდა. 1955 წელს აჭა-

---

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.81.

რაში აღირიცხა 7224, 1965 წელს–5483, 1975 წელს–4764, 1980 წელს–5342, 1985 წელს–5200, ხოლო 1986 წელს–4200 ფუტკრის ოჯახი.[1] მართალია, სახელმწიფო საფუტკრეში ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა 1960–1980 წლებში 76-დან 273-მდე (3,6-ჯერ) გაიზარდა, მაგრამ მისი ხვედრითი წილი 4–5% შეადგენდა. 50–80-იან წლებში საზოგადოებრივ მეურნეობებზე მოდიოდა ფუტკრის ოჯახთა ნახევარი. თუმცა თაფლსა და ცვილს მცირე ოდენობით იღებდნენ. აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში ასავე ვერ განვითარდა მეაბრეშუმეობა. XX საუკუნის 80-იან წლებში თუთის ნარგავთა დიდი ნაწილი, მოუვლელობის გამო, განადგურდა. კოლმეურნეობები დიდი გაჭირვებით ასრულებდნენ, ზოგჯერ მახინჯი მეთოდებით სახელმწიფო გეგმებს.

მართალია, XX საუკუნის 50–80-იან წლებში აჭარაში სოფლის მეურნეობის წარმოება შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ მისი მოსახლეობაც გამრავლდა. ამიტომ დარგის განვითარების დახასიათებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მაჩვენებლები. იგი ასახულია მე–13 ცხრილში (კილოგრამობით).[2]

ცხრილი 13.

პროდუქციის დასახელება	1950წ.	1960წ.	1970წ.	1980წ.	1985წ.	1990წ.
ჩაის ფოთოლი	76,5	106,2	127	184,3	193,8	166,1
ციტრუსოვანთა ნაყოფი	10,3	86,8	262,3	188,4	116,9	498,2
თამბაქო	6,0	8,7	9,2	10,5	11,9	4,9
ყურძენი	1,4	1,3	1,4	5,5	3,4	3,7
კარტოფილი	–	–	11,6	32,7	25,7	39,3
ბოსტნეული	–	–	–	38,5	35,5	31,4
ხორცი (დაკლული წონით)	–	8,4	11,9	10,5	11,2	11,0
რძე	–	90,3	103	98	98	100
კვერცხი (ცალი)	–	33,4	71,0	91	112	94

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 60 წელი. ბათ., 1981, გვ.81; Народное хозяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.100.

[2] გამოთვლილია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის ერთ სულზე სასოფლო–სამეურნეო პროდუქტების წარმოების მიხედვით მნიშვნელოვანი წინსვლა არსებობდა. ერთ სულ მოსახლეზე ჩაის ფოთლის წარმოება გაიზარდა 2,5-ჯერ, ციტრუსოვანთა ნაყოფისა–48,4-ჯერ, თამბაქოს ნედლეულისა–2-ჯერ, ყურძნისა–2,6—ჯერ, კვერცხისა–3-ჯერ და მეტად. ასევე სამჯერ და მეტად გადიდდა კარტოფილის წარმოება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობას ერთ სულზე წარმოებული პროდუქცია არა აკმაყოფილებდა. იგი ვერ უზრუნველყოფდა ცხოვრების იმ დონეს, რაც არსებობს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში.

თავი მეოთხე
მეცნიერება, ინდუსტრიული კადრები და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი

1. მეცნიერება და ტექნიკური პროგრესი

XX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა წარმოების ტექნიკურ პროგრესში. ამ პროცესში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა, პრაკტიკოსმა ინჟინერ–ტექნიკურმა ინტელიგენციამ, ეკონომისტებმა, ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა, მუშებმა, სახელმწიფო ხელისუფლებისა და წარმოების ხელმძღვანელებმა. ამ უკანასკნელთა ძალისხმევით იქმნებოდა სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის საკანონმდებლო და მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელთა მხარდაჭერით გაიხსნა სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტები, მათი ფილიალები, ლაბორატორიები, საკონსტრუქტორო ბიუროები და სხვა შემოქმედებითი დაწესებულებები.

პირველი სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან მატერიალლურ წარმოებასთან, დაარსდა საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში. 1930 წელს გაიხსნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ოზურგეთის რაიონი, დაბა ანასეული) ჩაქვის ფილიალი. 1931 წელს ბათუმში დაარსდა თევზის მეურნეობისა და ბიოლოგიის სადგური, რომელიც 1938 წელს გადავიდა სსრ კავშირის ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანეგრაფიის ინსტიტუტის (მოსკოვი) დაქვემდებარებაში. 1937 წელს ქობულეთში გაიხსნა სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის საყრდენი პუნქტი, რომელიც 1940 წელს გადაკეთდა ზონალურ საცდელ სადგურად. ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე (1912 წ.) დაარსდა ბათუმის ბოტანიკური

ბაღი (ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი მწვანეკონცხი), სადაც ძირითადად მუშაობდნენ სუბტროპიკულ მცენარეთა მოშენება–აკლიმატიზაციაზე.

ომამდე მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა სამეცნიერო დაწესებულებათა მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ბოტანიკურ ბაღს საცდელ–ექსპერიმენტული მუშაობისათვის გამოყოფილი ჰქონდა 100 ჰექტარი, სადაც გაშენებული იყო მრავალი ჯიშის მცენარე, ძირითადად სუბტროპიკული კულტურები. მათი შესწავლისა და ახალი ჯიშების გამოვლენა–გამოყვანისათვის შექმნილი იყო 5 განყოფილება: ინტროდუქციისა და ნატურალიზაციის, აგრონომიული, მემცენარეობის, ფიზიოლოგიის, გენეტიკისა და სელექციის. ბაღს გააჩნდა მდიდარი ბიბლიოთეკა.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალს გადაეცა 42,5 ჰექტარი სავარგული მეცნიერული კვლევა–ძიებისათვის. აღნიშნულ სამეცნიერო დაწესებულებაში მოეწყო 4 განყოფილება, შეიქმნა აგროქიმიის, მცენარეთა ბიოქიმიის და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიები. თევზის მეურნეობისა და ბიოლოგიის სადგურში ომამდე შეიქმნა იხთიოლოგიის, მეთევზეობისა და კლიმატიზაციის, ჰიდრობიოლოგიური, ჰიდროლოგიური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ლაბორატორიები.

მიუხედავად ამისა, ომამდე და ომისშემდგომ აღდგენით წლებში სამეცნიერო დაწესებულებებს სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდათ. განყოფილებები და ლაბორატორიები უზრუნველყოფილი არ იყო აპარატებითა და ხელსაწყოებით, საჭირო დგამ–ავეჯით, შესაფერისი შენობებით.

სამეცნიერო დაწესებულებათა სუსტ მატერიალლურ-ტექნიკურ ბაზას მოწმობს მეცნიერ მუშაკთა თვისობრივ-რაოდენობრივი შემადგენლობაც. 1937 წლის დასაწყისში აჭარაში აღირიცხა 51 მეცნიერ–მუშაკი, მაგრამ სამეცნიერო ხარისხი მხოლოდ 7 კაცს ჰქონდა (1 დოქტორი და

6 კანდიდატი). მეცნიერებათა დოქტორი (ვ. ნიკიტინი) თევზის მეურნეობისა და ბიოლოგიის სადგურში მუშაობდა.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის 9 მეცნიერი თანამშრომლიდან სამეცნიერო ხარისხის მქონე იყო 1 /ქ. ბახტაძე/. თევზის მეურნეობისა და ბიოლოგიის სადგურში 11 მეცნიერი მუშაობდა, რომელთაგან სამეცნიერო ხარისხი 3 კაცს ჰქონდა. ბოტანიკურ ბაღში 23 მეცნიერ– თანამშრომელი ითვლებოდა, მათ შორის სამეცნიერო ხარისხი მინიჭებული ჰქონდა 3 კაცს.[1]

მეცნიერების ორგანიზაციასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი მიღწევები იყო ომისშემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 50–80-იან წლებში. 1945 წლის იანვარში დაარსდა საკონსერვო მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილება, რომელიც 1946 წელს ფილიალად გადაკეთდა.

1958 წელს გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი. აქ თავდაპირველად 3 განყოფილება შეიქმნა: ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ეკონომიკის. ეს უკანასკნელი შემდეგ ეკონომიკისა და სოციოლოგიის განყოფილებად გარდაიქმნა.

1960 წელს ბათუმში დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში ლითონის კოროზიის ლაბორატორია. იგი აღიჭურვა საჭირო აპარატებითა და ხელსაწყოებით, ზღვისპირას მოეწყო საცდელი მოედანი და სხვა.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში გაიხსნა მეციტრუსეობის საცდელი სადგური გონიოში, რომელსაც ექსპერიმენტული მუშაობისათვის გადაეცა 7 ჰექტარი. 1969

---

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.482, ფურც. 18-19; ს.512, ფურც.7-15, 29-33.

წელს — ჩაის სუბტროპიკულ კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის /ანასეული/ აჭარის /ქედა/ საყრდენი პუნქტი. მას გადაეცა 40 ჰექტარი, საიდანაც მინდვრის საცდელი სამუშაოებისათვის შერჩეული იყო 2 ჰექტარი. აღნიშნულ საყრდენ პუნქტში მუშავდებოდა მთიანი რეგიონის ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესებისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები. ტარდებოდა ცდები ყინეაგამძლე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, კერძოდ, ციტრუსოვანთა ნარგავების გამოსაყვანად.

1968 წელს ბათუმში დაარსდა პლასტიკური მასების მოსკოვის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორია, რომელიც 1984 წელს განყოფილებად გადაკეთდა. მის ბაზაზე 1992 წელს შეიქმნა მემბრანული ტექნოლოგიის სამეცნიერო—კვევითი ინსტიტუტი. მისი ამოცანა იყო ეკოლოგიის ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა ჩამდინარე სამრეწველო და მინერალიზებული წყლების გაწმენდა, მათგან სუფთა სასმელი წყლის მიღება, უნარჩენო ტექნოლოგიის ათვისება და სხვა.

1969 წელს დაბა ჩაქვში გაიხსნა ელექტროსაზომი ხელსაწყოების მოსკოვის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის კლიმატური სადგური, 1978 წელს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის აჭარის განყოფილება, ხოლო 1983 წელს — ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების მოსკოვის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილება.

მეცნიერების ორგანიზაციაში საყურადღებო ღონისძიება იყო სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო—კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დაარსება. იგი გაიხსნა 1981 წელს თბილისის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმისა და ქუთაისის ფილიალების ბაზაზე.

ზემოაღნიშნული ინსტიტუტის ბათუმში დაარსება შემთხვევითი არ ყოფილა. აჭარას სუბტროპიკული მეხილეობის განვითარებით სსრ კავშირის მაშტაბით წამყვანი ადგილი ეკავა. ამასთან, საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის კოლექტივს მეცნიერული კვლევა–ძიების საყურადღებო გამოცდილება და თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა. 1981–1985 წლებში ჩამოყალიბდა ინსტიტუტის ახალი სტრუქტურები. სულ 12 განყოფილება და სექტორი შეიქმნა.

ამრიგად, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აჭარაში არსებობდა 13 სამეცნიერო დაწესებულება: ბოტანიკური ბაღი /სამეცნიერო მიმართულების/, 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მოსკოვისა და თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 10-მდე ფილიალი, განყოფილება, ლაბორატორია, სადგური. 13 სამეცნიერო დაწესებულებიდან სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მიმართულებისა იყო 7 მათგანი. 60-80-იან წლებში, ომამდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამეცნიერო დაწესებულებათა მატერიალურ–ტექნიკური ბაზა /შეიქმნა ახალი ლაბორატორიები, მოეწყო საცდელი ნაკვეთები და მოედნები, ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო სახელოსნოები და სხვა/.

სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო–კვლევით და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტში მოეწყო ექსპერიმენტულ–მექანიკური საამქრო და ექსპერიმენტულ–ტექნიკური საწარმო. 1988 წელს ექსპლუატაციაში გადაეცა საინჟინრო ლაბორატორიის 5 სართულიანი შენობა 8000 m^2 ფართით. შეიქმნა 7-მდე ახალი ლაბორატორია. ეს მაშინ, როდესაც წინამორბედ კვების მრეწველობის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალ'ში არსებობდა 3 ლაბორატორია /მიკრობიოლოგია, ბიოქიმია, საზოგადოებრივი კვე-

ბა/ და 1 განყოფილება /საკონსტრუქტორო/. ლაბორატორიები შეივსო ახალი აპარატებითა და მოწყობილობით.

აღნიშნულ სამეცნიერო დაწესებულებას საკმარისი დაფინანსება გააჩნდა. ამის დასტური ისიცაა, რომ ზოგჯერ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებს ვერ ითვისებდნენ. 1981 წელს ხარჯები 245 ათას მანეთს ითვლიდა, 1982 წელს შეადგინა 440 ათასი, 1984 წელს–599 ათასი, 1986 წელს–636 ათასი, 1987 წელს–715 ათასი, 1988 წელს–1487 ათასი, ხოლო 1989 წელს–1667 ათასი მანეთი, ე.ი. 6,8-ჯერ გაიზარდა.[1] სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ინსტიტუტის დაფინანსება მოსკოვიდან შეწყდა და სამეცნიერო კვლევა–ძიების პროგრამებიც მინიმუმამდე შემცირდა.

საგრძნობლად გაფართოვდა ბოტანიკური ბაღის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. ბაღის ნაკვეთებზე მოეწყო 3 დენდროპარკი, კოლხეთის ტყის ნაკრძალი, 9-მდე გაიზარდა განყოფილებები, რომლებიც შექმნილია ლანდშაფტურ-გეოგრაფიული პრინციპით. მცენარეთა კოლექცია შედგება 5000–ზე მეტი ჯიშის, სახეობის, სახესხვაობისა და ფორმისაგან. ბოტანიკურ ბაღში არის მდიდარი ბიბლიოთეკა და ჰერბარიუმი, რომელიც 5000-მდე ფურცლისაგან შედგება. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის საცდელი ნაკვეთები 42,5-დან 130 ჰექტარამდე გაიზარდა. ფილიალში 1984 წელს გაიხსნა ბიოტექნოლოგიური ლაბორატორია და სხვა.

ომისშემდგომ პერიოდში საგრძნობლად გაფართოვდა ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანეგრაფიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების /ბათუმი/ მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. მისი მთავარი კორპუსი ექსპლოატაციაში გადაეცა მეორე მსოფლიო ომამდე, სადაც განთავსებული იყო ლაბორატორიები, სექტორები და სხვა ქვედანაყოფები. 1971 წელს განყოფი-

---

[1] სნშგსკესსია, ს.179, ფურც.7, ს.319, ფურც.6; ს.334, ფურც.6.

ლების განკარგულებაში იყო 21 ათასი ჰექტარი საქართველოს შიდაწყალსატევები, სადაც გამოკვლევები და ცდები ტარდებოდა 17 ათასი ჰექტარ ფართობის წყალსატევებში. 1981 წელს კვლევა–ძიებისათვის გამოყენებული იყო 12 ტბა, წყალსაცავი, რამდენიმე მდინარე.[1]

დასახელებულ განყოფილებაში 1966 წელს შეიქმნა აკვარიუმი, რომელიც შედგება ექსპერიმენტალური და სადენმონსტრაციო ნაწილებისაგან. 1969 წელს გაიხსნა ტოქსიკოლოგიის ლაბორატორია, 1974 წელს მოეწყო დიდი მაცივარი, 1975 წელს გაიხსნა დელფინარიუმი და ააშენეს 192 აუზი იკრის გამოსაყვანად. 1969 წლიდან განყოფილებას ჰყავდა გემი "იხთიოლოგი" (1976 წ. ეწოდა "ფადიკო გოგიტიძე). ლაბორატორიები შეივსო ახალი ხელსაწყოებით, გამოთვლითი ტექნიკით, საზომი აპარატებით და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანეგრაფიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების /ბათუმი/ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არასაკმარისი იყო ფართო მასშტაბის კვლევა–ძიებისათვის. მას აკლდა უახლესი მოწყობილობანი და აპარატები. მართალია, XX საუკუნის 80-იან წლებში შეიძინეს იმპორტული მოწყობილობანი, გამოთვლითი ტექნიკა, საზომი აპარატები და სხვა, მაგრამ იგი არ კმაროდა. 1989 და 1990 წლების ანგარიშებში ხასგასმით აღნიშნულია, რომ განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაბალ დონეზეა. უკიდურესად ღარიბია ლაბორატორიები მოწყობილობებით, აპარატებით, ხელსაწყოებით და სხვა.

მატერიალური ბაზის ისეთი მახასიათებლის მიხედვით, როგორიცაა სამეცნიერო კადრები, არსებითი გარდატეხა მოხდა ომისშემდეგ პერიოდში. სამეცნიერო კადრების საერთო რაოდენობაში ჭარბობდნენ ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და სოფლის მეურნეობის პროფილის მეცნიერები. 1980

---

[1] ზთმოსკისგ, ს.824, ფურც.24; ს.1004, ფურც.9.

წელს აღირიცხა ბიოლოგიის მეცნიერების 84, სოფლის მეურნეობის—49, გეოგრაფიის 9 სპეციალისტი (საერთო რაოდენობის 38,4%).[1]

სამეცნიერო კადრები ძირითადად კონცენტრირებული იყო სამეცნიერო—კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში 1959 წელს ითვლებოდა 10, ხოლო 1970 წელს—14 მეცნიერ-თანამშრომელი. 1989 წლისათვის მათი რიცხვი 28-მდე (2,8-ჯერ) გაიზარდა.[2] სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო—კვლევით და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტში 1981 წელს ითვლებოდა 53 მეცნიერ—თანამშრომელი, მათ შორის 1 მეცნიერებათა დოქტორი და 7 მეცნიერებათა კანდიდატი. 1987 წელს მეცნიერ-თანამშრომელთა რაოდენობა 130-მდე (2,4-ჯერ), ხოლო 1987 წელს მეცნიერი მუშაობის რაოდენობა 130-მდე (2,4-ჯერ), ხოლო მეცნიერებათა—კანდიდატების 14-მდე (2-ჯერ) გაიზარდა. საგულისხმოა, რომ მის წინამორბედ კვების /საკონსერვო/ მრეწველობის სამეცნეირო—კელევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში 1945 წელს 10 მეცნიერი მუშაკი აღირიცხა, 1960 წლის დასაწყისში—26. ასე, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში მეცნიერი მუშაკების რიცხვი 1960—1987 წლებში 5-ჯერ, ხოლო 1945 წელთან შედარებით 13-ჯერ გადიდდა.

სამეცნიერო კადრების თვისებრივ—რაოდენობრივ შემადგენლიბაში შესამჩნევი წინსვლა აღინიშნა ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანეგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს /ბათუმი/ განყოფილებაში. 1960 წლის დასაწყისში აქ 16 მეცნიერ—თანამშრომელი ირიცხებოდა. 1989 წლის ბოლოს მათი რიცხვი 44-მდე

---

[1] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.14; აცსა, ფ.რ-1040, ან.1, ს.347, ფურც.19; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის 1989 წლის ანგარიში.

გაიზარდა. მათ შორის იყო 1 მეცნიერებათა დოქტორი და 10 მეცნიერებათა კანდიდატი, რაც 1937 წლის მაჩვენებელს 3,3-ჯერ აღემატებოდა.[1]

ამ მიმართულებით კიდევ მეტი წარმატებები მოპოვებული იყო საქართველოს მეცნიებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში. 1958 წელს ამ დაწესებულებაში 10 მეცნიერ–თანამშრომელი ითვლებოდა, რომელთაგან სამ კაცს ჰქონდა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ეცნიერ–თანამშრომელთა რიცხვი 1963 წელს–15, 1973 წელს–20, 1985 წელს–35, ხოლო 1990 წელს–43-მდე ე.ი. 4,3-ჯერ გაიზარდა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო თვისებრივი ზრდის მახასიათებელი. 1983 წელს ინსტიტუტში მუშაობდა 4 მეცნიერებათა დოქტორი და 15 მეცნიერებათა კანდიდატი. მართალია, 1990 წელს მეცნიერებათა დოქტორების რიცხვი არ გაზრდილა, მაგრამ კანდიდატებისა–21-მდე (1,4-ჯერ) გადიდდა.[2]

პლასტიკური მასების სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილებაში 1968 წელს 10 კაცამდე მუშაობდა, 1976 წელს მეცნიერ–თანამშრომელთა რიცხვი 40-მდე გაიზარდა, ხოლო 1980 წელს 74-ს მიაღწია. საერთო პერსონალი კი 146 კაცს ითვლიდა. თუ XX საუკუნის 70–იან წლებში სამეცნიერო ხარისხის მქონე კადრები არ იყო, 80-იანი წლების ბოლოს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მინიჭებული ჰქონდა 7 კაცს, რაც მნიშვნელოვან თვისებრივ ზრდას მოწმობს.

სამეცნიერო დაწესებულებებში შეუნელებელი კვლევაძიება მიმდინარეობდა. 50-იან წლებიდან მეცნიერული მუშაობა გაფართოვდა სახელმწიფო მუზეუმში, ცენტრალურ

---

[1] სნშგსკესია, ს.179, ფურც.7, ს.235, ფურც.171; საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათ., 1961, გვ.143; საბჭოთა აჭარა, 1967, 24 ნოემბერი; ზთმოსკისგან, 1989 წლის ანგარიში, ფურც.52.

[2] ქართველოლოგიის კვლევის მნიშვნელოვანი კერა. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 25 წელი. ბათ., 1986, გვ.19-20; იხ. აგვეთვე დასახელებული ინსტიტუტის 1990 წლის ანგარიში.

სახელმწიფო არქივსა და სამედიცინო–სამკურნალო დაწესებულებებში. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას რამდენადმე შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის მარტის დადგენილებამ "სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შემდგომი განვითარების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში". ამის შედეგად მეცნიერული მუშაობის პირობები საგრძნობლად უმჯობესდებოდა და ამასთან მოთხოვნილებაც იზრდებოდა.[1]

აჭარაში მომუშავე მეცნიერებმა მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოახდინეს და საყურადღებო გამოკვლევები შექმნეს, რითაც გაამდიდრეს სამამულო და მსოფლიო მეცნიერული აზროვნება. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წარმოების ტექნიკურ პროგრესში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის /ანასეული/ ჩაქვის ფილიალის მეცნიერებს. ამ დაწესებულების საცდელ ნაკვეთებსა და ლაბორატორიებში XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული გაცხარებული მუშაობა მიმდინარეობდა ჩაის მცენარის გავრცელების კლიმატური და მიკროკლიმატური პირობების შესასწავლად, აგროქიმიის, ნიადაგმცოდნეობის, სელექცია-მეთესლეობის დარგებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს ქსენია ბახტაძის (1899–1978 წწ.) ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა. იგი დასახელებული ფილიალის სელექციისა და მეთესლეობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა დაარსებიდანვე. მრავალი წლის ენერგიული მუშაობის შედეგად ქსენია ბახტაძემ 1941 წელს გამოიყვანა ჩაის მცენარის ახალი ჯიშები, რომლებიც ცნობილია №1 და №2 ქართული ჩაის სახელწოდებით. ეს ახალი ჯიშები გამოირჩევიან სწრაფი

[1] საბჭოთა აჭარა, 1964, 17 მარტი.

ზრდა–განვითარებით, ყინვაგამძლეობით, მაღალი ხარისხით, უხვმოსავლიანობით (35–40%-ით მეტ მოსავალს იძლევიან). მრავალი წლის შემოწმების შედეგად ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიამ 1949 წელს დაამტკიცა ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილი ჩაის მცენარის ახალი ჯიშები და დაადგინა მათი მასობრივი დანერგვა.[1]

აკადემიკოსმა ქსენია ბახტაძემ მრავალი წლის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგები განაზოგადა გამოკვლევაში "ჩაის მცენარის ბიოლოგია, სელექცია და მეთესლეობა", რომელიც 1948 წელს დაისტამბა და მის ავტორს პირველი ხარისხის სახელმწიფო /სტალინური/ პრემია მიენიჭა.[2] მომდევნო წლებში ქსენია ბახტაძემ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. 50-იან წლებში მისი უშუალოდ მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოიყვანეს ჩაის მცენარის ახალი ჰიბრიდები, №1-16 ჯიშები. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქსენია ბახტაძის მოწაფეებმა ტ. მუტოვკინამ, ვ. უპენეკმა, ნ. გვაზავამ და ვ. ვორონცოვმა.

ახალი ჯიშები ორ ჯგუფად იყოფოდა: სამხრეთის ჰიბრიდები (1, 2, 3, 4, 5, 9, 14, 15, 16) და ჩინური ჩაის ჰიბრიდები ყველა რაიონისათვის (6, 7, 8, 10, 11, 12, 13). ისინი 30%-ით მეტ მოსავალს იძლეოდნენ. ხარისხით, მოსავლიანობითა და ყინვაგამძლეობითაც გამოირჩეოდნენ.[3]

ქსენია ბახტაძემ 70-ზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა, რომლებშიც მეცნიერული კეთილსინდისიერებითაა გაშუქებული და განზოგადებული თავისი კვლევა–ძიების მთავარი შედეგები. ქსენია ბახტაძის მეცნიერული ღვაწლის შედეგია, რომ ჩაის კულტურა გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიაში, კრასნოდარის მხარეში, აზერბაიჯანსა და აჭარის მაღალმთიან ქედის რაიონში.

---

[1] აცსა, ფ.რ-1040, ან.1, ს.164, ფურც.13; საბჭოთა აჭარა, 1949, 12 აპრილი.
[2] საბჭოთა აჭარა, 1949, 12 აპრილი.
[3] აცსა, ფ.რ-1040, ან.1, ს.164, ფურც.3-4.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის მეცნიერებმა გამოიკვლიეს ჩაის პლანტაციების ნიადაგები და მინერალური სასუქების გამოყენების ეფექტიანობა. ამ მხრივ საგრძნობი მიღწევები ჰქონდათ გ. გოძიაშვილსა და მ. ჟედენოვს. მათ 50-იან წლებში შეისწავლეს ჩაის ფოთლის მოსავლის ზრდაზე კალიუმის სასუქის მოქმედების ეფექტიანობა, დაადგინეს მისი დოზები და მოსავლის ზრდის მასშტაბი.[1]

ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდა XX საუკუნის 60-80-იან წლებშიც. მეცნიერებმა ხანგრძლივი ცდების შედეგად დაადგინეს, რომ ჩაის პლანტაციებში მინერალური სასუქების სისტემატური გამოყენების შედეგად ნიადაგების გამეავიანება იზრდებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა ჩაის ფოთლის მოსავალზე. ამიტომ საჭირო იყო ნიადაგების მიკროელემენტებით გამდიდრება. ამისათვის დიდ ეფექტს იძლეოდა მიკროელემენტებით მდიდარი მანგანუმის შლამის გამოყენება.[2]

დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული მიღწევა იყო ჩაის ახალი მცენარის "კოლხეთის" გამოყვანა, რომლის დანერგვა დაიწყო XX საუკუნის 70-იან წლებში. ამ აღმოჩენის ავტორები იყვნენ ფილიალის მეცნიერები მ. კოლელიშვილი და ტ. მუტოვკინა, რომლებმაც ამ პრობლემაზე მუშაობა ჯერ კიდევ ომამდე დაიწყეს. ხანგრძლივი კვლევა–ძიების შედეგად მათ აღმოაჩინეს მცენარეთა ვეგეტატური გამრავლების ახალი მეთოდი. ამ გზით მიღებული ჩაის ახალი ჯიშის მცენარის /"კოლხეთი"/ უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი 50%-ით მეტ მოსავალს იძლეოდა და ხარისხითაც საუკეთესო იყო.

ასევე მნიშვნელოვანი იყო მრავალწლიანი მცენარის ნერგის ქსოვილის /ანათლის/ მეთოდით გამოყვანა. კალმის

---

[1] აცსა, ფ.რ10-40, ან.1, ს.164, ფურც.2-3.

[2] ბ. გოძიაშვილი, მიკროელემენტები და მოსავალი, საბჭოთა აჭარა, 1981, 16 სექტემბერი.

ნაცვლად ანათლის გზით ნერგის გამოყვანის მეცნიერული მეთოდი შეიმუშავეს ფილიალის მეცნიერებმა... თავართქილაძემ და ნ. ვეჩერნინამ. XX საუკუნის 80-იან წლებში, ნიადაგმცოდნეობის დარგში საყურადღებო შრომები გამოაქვეყნა შ. ფალავანდიშვილმა, რომელიც 1974–1989 წლებში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის დირექტორად მუშაობდა.

ნაყოფიერი კვლევა–ძიება მიმდინარეობდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. მის საცდელ ნაკვეთებსა და ლაბორატორიებში ტარდებოდა მეცნიერული ხასიათის ცდები და დაკვირვებები მსოფლიოს 5 კონტინენტის მცენარეებზე. გამოჰყავდათ ახალი ჰიბრიდები, სწავლობდნენ მათ სასარგებლო მნიშვნელობას და ადგილობრივ პირობებში გავრცელების შესაძლებლობას.

ბოტანიკური ბაღის მეცნიერებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს ციტრუსოვანთა კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანაში. მეცნიერმა მცდელმა ვ. შანიძემ გამოიყვანა ყინვაგამძლე, უხვმოსავლიანი და მაღალი ხარისხის ციტრუსოვანთა, კერძოდ, ლიმონის ახალი ჯიშები. მათგან აღსანიშნავია "ახალი ქართული №1" და "მოსავლიანი №15" სახელწოდებით ცნობილი. დასახელებული ბაღის მეცნიერებმა ვ. კლიმენკომ და კ. კლიმენკომ, ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, მიიღეს ფორთოხლის ახალი ჯიშები /"ვაშინგტონ ნეველი №3" და სხვა/. ისინი მანამდე არსებულთან შედარებით გამოირჩევიან მაღალი ხარისხით, ყინვაგამძლეობითა და უხვმოსავლიანობით.[1]

საყურადღებო აღმოჩენებისა და გამოგონებების ავტორები არიან კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის /1981 წლიდან დამოუკიდებელი ინსტიტუტის/ მეცნიერ–თანამშრომლები. მათ შორის მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდათ ლევან

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.5, ფურც.11-12.

ლაზიშვილს, გრიგოლ ფიშმანს, გურამ პაპუნიძეს, ევდოკია რომანენკოს, რევაზ ლორთქიფანიძეს და სხვა.

დასახელებული დაწესებულების მეცნიერებმა წარმატებით გამოიკვლიეს კვების მრეწველობის ნედლეულის ქიმიური თვისებები, შეისწავლეს ხილისა და ბოსტნეულის, განსაკუთრებით ციტრუსების სამრეწველო გადამუშავების, მათგან ახალი კონსერვების წარმოების ტექნოლოგია. გამოავლინეს ნედლეულის ახალი სახეობანი და მარაგი, შექმნეს ავტომატიზებული და მექანიზებული მანქანები, დანადგარები და ნაკადური ხაზები ჩაის საკონსერვო მრეწველობის საწარმოებისა და ციტრუსების შემფუთავი ქარხნებისათვის.

მეცნიერები 1961 წლიდან შეუდგნენ ხილკერკროვანი ნედლეულის ქიმიურ–ტექნოლოგიური თვისებების შესწავლას. მათ გამოიკვლიეს აჭარაში გავრცელებული ტყემლის 86 სახესხვაობა. 1962 წლიდან დაიწყეს მუშაობა ჩაისა და სუბტროპიკული ნაყოფის, წყავისა და სხვა ხილის ბიოქიმიური თვისებების შესასწავლად. ეს მუშაობა გაგრძელდა 70–80-იან წლებშიც და შედეგებიც თვალსაჩინო იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლევან ლაზისვილის მირწევები. იგი 1953 წლიდან მოკიდებული წარმატებით იკვლევს ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ნაყოფიერების გადამუშავების ტექნოლოგიას. ლ. ლაზიშვილმა წარმატებით შეისწავლა უხეში ჩაის ფოთლის ქიმიური თვისებები, მისგან ლაო ჩაის დამზადების ტექნოლოგია, შეიმუშავა დაბირკეტების ახალი ხერხები და შექმნა შესაბამისი მოწყობილობა. მან დაამუშავა ჩაის თხევადი კონცენტრატისა და ჩაის ფოთლის უჯრედისაგან წვენების დამზადების ტექნოლოგია. ამ უკანასკნელი პროდუქციის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მასში შენარჩუნებულია ჩაის ნატურალური თვისებები.

მეცნიერული კვლევა–ძიების შედეგებით გამორჩეული იყო გრიგოლ ფიშმანი (1914–1998 წწ.) იგი კვების მრეწ-

ველობის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში მუშაობდა დაარსებიდან სიცოცხლის უკანასკ-ნელ დრომდე. მან გამოაქვეყნა 170 ნაშრომი ხეხილის ნა-ყოფისაგან პროდუქციის ტექნოლოგიის შესახებ. გ. ფიშ-მანმა შექმნა ხილის სამრეწველო გადამუშავების არაერთი ახალი მანქანა. ამის შესახებ მიღებული ჰქონდა 8 საავ-ტორო მოწმობა.

მნიშვნელოვან მეცნიერულ აღმოჩენად ითვლებოდა ვი-ტამინ "P"-ს ტექნოლოგიის შემუშავება. იგი მიიღეს ციტ-რუსოვანთა ნაყოფის სამრეწველო გადამუშავების ნარჩენე-ბისაგან /ამონაწნეხი/. ვიტამინი "P"–ს მიღების ლაბორატო-რიული სამუშაოები ძირითადად დამთავრდა 1965 წელს, ხოლო მისი სერიული წარმოება დაიწყო 1970 წელს ბათუმის ქიმიურ–ფარმაცევტულ ქარხანაში. ასევე მნიშვ-ნელოვანი იყო ვიტამინ "B12"-ის წარმოების ტექნოლოგიის შემუშავება. მართალია, იგი მოსკოველმა მეცნიერმა /ბუ-კინი/ აღმოაჩინა, მაგრამ ადგილობრივი ნედლეულისაგან მისი დამზადების ტექნოლოგია ბათუმის ფილიალში პირ-ველად შეიმუშავეს 1968 წელს. ამ მნიშვნელოვან აღმო-ჩენებში დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერმა – თანამშრო-მელმა ე. რომანენკომ.

XX საუკუნის 70–იან წლებში, როგორც ადრე, ნაყო-ფიერი გამოკვლევები ჩატარდა სუბტროპიკული ხილის შენახვის რაციონალური მეთოდების შემუშავების მიზნით. ცდები ტარდებოდა თხევადი აზოტის გამოყენებით ციტ-რუსების გასაყინავად. მეცნიერებმა დაადგინეს სუბტრო-პიკული ხილის გაყინვის ოპტიმალური ტემპერატურა (–"0–1°C), რომელიც კარგ შედეგს იძლეოდა. კვლევა-ძიების შედეგად ფილიალში შეიმუშავეს ბავშთა საკვები ახალი კონსერვების წარმოების, მათი ვიტამინებით გამდიდრების, ციტრუსებისაგან წვენების, დაფნისა და ხილკენკროვანი

ნაყოფისაგან ღვინის, ნიგვზის მურაბის დამზადების ტექ-ნოლოგია.[1]

50–70-იან წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები იყო მოპოვებული ექსპერიმენტულ–საკონსტრუქტორო მუშაობაში. მკვლევარებმა არაერთი ახალი კონსტრუქციის მანქანა შექმნეს. მათგან აღსანიშნავია მურაბის წარმოების ნაკადური ხაზი, კურკოვანი ნაყოფით ტარის ასავსები დოზატორი, ატმის და ჭერამის კურკის გამოსაღები და დამჭრელი აგრეგატი, ქილებში ნაყოფის ჩამწყობი ნახევარავტომატი და სხვა. მათ შეიმუშავეს და ხორცკომბინატში დანერგეს ძეხვის მექანიზაციის, ხოლო პურკომბინატში – ცომის დამზადება–დამუშავების ავტომატური მანქანები.

1962 წელს წარმოებაში დაინერგა ფილიალის მეცნიერების მიერ შექმნილი ქილებში ტყემლის ჩასაწყობი მანქანა–ავტომატი, რომელმაც 14 კაცის შრომა გამოათავისუფლა. ეს ახალი მანქანა–ავტომატი რთულ ოპერაციებს ასრულებს–ქილებში ყრის ნაყოფს, ტკეპნის მათ და საჭირო რაოდენობით ასხამს ცხელ სიროპს. აქვე შექმნეს და წარმოებაში დანერგეს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამყალიბებელი ახალი კონსტრუქციის მანქანა და სხვა.[2]

1967–1970 წლებში კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში შექმნეს ციტრუსოვანთა ნაყოფის დატვირთვა–გადმოტვირთვის მექანიზებული მანქანა, სპეციალურ ყუთებში ამ ნაყოფის ჩასაწყობი ავტომატური ნაკადური ხაზი. გამოიგონეს კოფეინის ნეიტრალულის შემკვრელი დანადგარი, რითაც 10–12-ჯერ შემცირდა მისი მოცულობა და საგრძნობლად გაადვილდა ტრანსპორტირება. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ხილის ავტომატურ სასწორს, რომელზედაც შესაძლებელი გახდა 1 საათში 10-12 ტონა ტვიტთის აწონვა. ასევე სა-

---

[1] სნშგსკესია, ს.192, ფურც.15-16(ს.199, ფურც.1-8; ს.204, ფურც.1; ს.213, ფურც.37; ს.235, ფურც.36; ს.248, ფურც.5, 18-19.

[2] აგსა, ფ.რ-332, ან.1, ს.553, ფურც.96-97; სნშგსკესია, ს.119, ფურც.9; საბჭოთა აჭარა, 1959, 27 ივნისი.

ყურადღებო იყო სუბტროპიკული ნაყოფის წვენებიდან ზეითუნის ზეთების მიღების დანადგარის გამოკვლევა.[1]

სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ (1981წ.) მეცნიერული კვლევა-ძიება ახალი მასშტაბით გაიშალა. საგრძნობლად გაუმჯობესდა ნედლეულის საცდელი დამუშავების ტექნოლოგიური მეთოდები. საყურადღებო ტექნოლოგიური სიახლე იყო მემბრანული და ელექტროჰიდრავლიკის მეთოდების გამოყენება. 1981–1985 წლებში დასახელებულ ინსტიტუტში შეიქმნა 23 სახეობის ახალი პროდუქცია /წვენები, კონცენტრატები, მურაბები, ჯემები, და სხვა/. მნიშვნელოვანი წარმატებები მოპოვებული იყო მომდევნო წლებშიც.

ახალი პროდუქციიდან გამოირჩეოდა კომპოტები და წვენები: მანდარინი-ჩაი, მანდარინი-ფორთოხალი, მანდარინი-ფორთოხალი-ლიმონი-ბროწეული, ფეიხოია, მსხალი, გრეიფუტ-ციტრონის კანის ნახარში და სხვა. შესამჩნევი მიღწევა იყო სუბტროპიკული ხურმისა და მანდარინის ნაყოფისაგან კონცენტრატების, ხილფაფის, ხოლო ამონაწნეხისგან /ნარჩენები/ ფხვნილის დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება. ფხვნილი ფართოდ ეამოიყენება საკონდიტრო მრეწველობაში და ვიტამინებით ამდიდრებს ნაწარმს. არანაკლებ მიღწევად ითვლება ბროწეულისა და ციტრონისაგან ცუკატის, ჟოლოსა და მარწყვისაგან ხილფაფის დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება.

XX საუკუნის 80-იან წლებში ინსტიტუტის მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი ტექნოლოგია ციტრუსოვანთა ნაყოფისაგან ეთერზეთების მისაღებად. მათ დაამუშავეს ციტრუსებისა და სხვა სახის წვენების ნატურალობის კონტროლის მეთოდები. ამ მნიშვნელოვან კვლევა-ძიებაში შესა-

---

[1] სნშგსკესია, ს.192, ფურც. 20-28; ს.199, ფურც.13; ს.204, ფურც.11, 24; ს.213, ფურც.35.

ნიშნავი წარმატებები მოიპოვა მკვლევარმა ეთერ ნიჟარაძემ.

საყურადღებო მიღწევები აღინიშნა ციტრუსოვანთა ყვავილის ბიოქიმიური შემადგენლობის გამოკვლევაში. მეცნიერმა გურამ პაპუნიძემ ევდოკია რომანენკოსთან ერთად - დაამუშავა ციტრუსოვანთა ყვავილის, როგორც ნედლეულის, გადამუშავების ერთიანი მეცნიერული საფუძვლები. ციტრუსოვანთა ყვავილისაგან მათ მიიღეს ახალი სახეობის პროდუქცია: ექსტრაქტი, სიროფი, ნაყენი, ეთერზეთები, რომლებიც მდიდარია ვიტამინებით (B1, B2, B6, P, C), კაროტინით, ნახშირწყლებით, შაქრით, მჟავეებით და სხვა.[1] ამ მნიშვნელოვანი აღმოჩენებისათვის გ. პაპუნიძეს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭეს.

კონსტრუქტორთა ჯგუფმა, რომელსაც რევაზ ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა, XX საუკუნის 80-იან წლებში როგორც მანამდე, არაერთი მანქანა შექმნა. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ვაშლის საჭრელი და გულანას ამოსაღები მანქანა. იგი ექსპლოატაციაში 1984 წელს გადაეცა, ხოლო ტექნიკური სრულყოფა განიცადა 80-იანი წლების მეორე ნახევარში. ამის შედეგად ვაშლის საჭრელი მანქანა ავტომატურად ასრულებდა ოპერაციებს: ჭრიდა ნაყოფს რგოლებად, ნაწილებად, სეგმენტებად, აცლიდა გულანას. წარმოებაში მისი დანერგვით შრომატევადი სამუშაოებისაგან დიდძალი მუშახელი გამოთავისუფლდა. წარმოების ტექნიკურ პროგრესში საგრძნობი მნიშვნელობა ენიჭებოდა მანდარინის გასარჩევი /გასაფცქვნელი/ და კანგაცვლილი ნაყოფის დაკონსერვების მექანიზებული ხაზის შექმნას (1985 წ.). ეს მსოფლიოში პირველი მანქანა იყო, რომელიც დღეში 150 კაცის შრომას ცვლიდა.

---

[1] იქვე, სს.212, 235, 319, 321, 334, 345, 348, 441.

1986–1990 წლებში ინსტიტუტის კონსტრუქტორებმა გამოიგონეს მანქანათა მთელი წყება. მათ შორის 10 ნაკადური ხაზი ციტრუსოვანთა ნაყოფის გადაზიდვა-გადამუშავებისათვის. ამ მანქანებით ავტომატურად ხდებოდა კომპოტებისათვის მანდარინის ნედლეულის ძიღება, დახარისხება, გარეცხვა, დაყალიბება, წინასწარი დასველება, სიმწარის მოცილება, ნაყოფის ტექნოლოგიური დამუშავება /კანის გაცლა, ყუნწის მოჭრა, ნაწილებად დაჭრა და სხვა/, მინის ქილებში დაფასოება, მოხუფვა, პასტერლიზაცია და სხვა.[1]

ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანეგრაფიის საკავშირო სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სადგურში (1950 წლიდან განყოფილება) საყურადღებო გამოკვლევები ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში ჩატარდა. მაგრამ ომის პირობებში ინტენსიური კვლევა-ძიება შეჩერდა. იგი განახლდა მშვიდობიანი ცხოვრების დაწყების შემდეგ. მაგრამ სადგურის კვლევა–ძიებისათვის არ გააჩნდა ნორმალური პირობები. ცხადია, დაბალი იყო მეცნიერული მუშაობის შედეგები. საქართველოს კპ /ბ/ აჭარის საოლქო კომიტეტმა 1949 წლის დეკემბერში განიხილა ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანეგრაფიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს /ბათუმი/ სადგურში არსებული მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებახი დასახა.[2] ამან დადებითი კვალი დააჩნია სადგურის მომავალ მუშაობაზე.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანეგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებამ საგრძნობლად გააფართოვა მუშაობის მასშტაბი, აამაღლა მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა. მეცნიერ-თანამშრომლებმა 1956 წლამდე 120-მდე ნაშრომი დაწერეს. მათ შეისწავლეს შავი ზღვის სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში სა-

---

[1] იქვე, სს.142, 158, 194, 212, 393, 345.
[2] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.14, ს.33, ფურც.332.

რეწაო თევზის 20-მდე სახესხვაობა. გამოიკვლიეს თევზის მარაგი, რაოდენობრივი, ხარისხობრივი, ასაკობრივი, ბიოლოგიური შემადგენლობა. საკვებით უზრუნველყოფის, განლაგებისა და სეზონური მიგრაციის საკითხები. შეისწავლეს თევზის ახალი რაციონი საკვები, განსაზღვრეს თევზჭერის პერსპექტივები და პროგნოზები.

1959 წლიდან მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაინაცვლა საქართველოს შიდაწყალსატევებში მეთევზეობის შესწავლაზე. განყოფილებას ახალი ამოცანები დაეკისრა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 7 აპრილის დადგენილების "თევზის მეურნეობის განვითარების, სატბორე მეთევზეობის ორგანიზაციისა და რესპუბლიკის შიდაწყალსატევებში თევზის ჭერის გადიდების ღონისძიებათა შესახებ". ამიერიდან სამეცნიერო თემატიკაში ამ საკითხებმა ძირითადად ადგილი დაიკავეს. მაგალითად, 1959 წელს დაგეგმილი 12 სამეცნიერო–კვლევითი თემიდან 9 ეხებოდა საქართველოს შიდაწყალსატევების, 2 მათგანი შავი ზღვის თევზის მეურნეობისა და ბიოლოგიის შესწავლას, ხოლო ერთი გამოკვლევა მიზნად ისახავდა თევზის პროდუქტების ტექნოლოგიის დამუშავებას.

მეცნიერებმა საყურადღებო გამოკვლევები შექმნეს. მათ დაადგინეს საქართველოს წყალსატევებში სარეწი თევზის მარაგი, მათი კვლაეწარმოების მდგომარეობა. შეისწავლეს თევზის მორფოლოგია, ქიმიურ–ბიოლოგიური თვისებები, დაავადებათა წარმოშობის მიზეზები და მკურნალობის მეთოდები. შეიმუშავეს თევზის ხელოვნურად გამოკვების ხერხები. კერძოდ, დაამუშავეს თევზის საკვების გასადიდებლად სასუქებისა და სამრეწველო ნარჩენების /ტუნგის ნაყოფი/ გამოყენების ეფექტიანობა (1962–1963 წლები). კობრისა და საზანის შეჯვარებით მიიღეს თევზის ახალი

ჰიბრიდი (1964წ.), რომელსაც ახასიათებს მაღალი ხარისხი და პროდუქტიულობა.[1]

საქართველოს შიდაწყალსაცავების შესწავლის პარალელურად ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა შავი ზღვის სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილის თევზმეურნეობისა და თევზის ბიოლოგიის შესასწავლად. XX საუკუნის 60-80-იან წლებში წარმატებით შეისწავლეს თევზის რამდენიმე სახეობა, მათ შორის თართის, ორაგულის, კომბრისა და კეფალის ქიმიურ–ბიოლოგიური თვისებები. გამოიკვლიეს მათი მარაგი, დაამუშავეს კვლავწარმოების მეთოდები. მრავალი ცდის შედეგად მიიღეს კობრის მაღალპროდუქტიული რამდენიმე თაობა, თევზის გასამრავლებელი მასალა /ლიფსიტები/ და შექმნეს ბიოტექნიკა.

ამ მიღწევებში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მკვლევარებმა ო. ცხომელიძემ, ლ. წულაძემ, რ. გორაძემ, რ. ჩხაიძემ, ტ. ჩერნოვამ, ო. ბურჭულაძემ და სხვებმა. ბურჭულაძის ხელმძღვანელობით შეიმუშავეს და დანერგეს ძვირფასი სარეწაო თევზების, მათ შორის კობრისა და მისი ჰიბრიდების ხელოვნური მოშენების ბიოტექნიკა. რ. ჩხაიძემ საგრძნობი წვლილი შეიტანა საქართველოს შიდაწყალსატევების თევზების მცენარეული საკვების შესწავლაში.

საყურადრებო მიღწევები იყო თევზის კონსერვების ტექნოლოგიის შემუშავებაში. XX საუკუნის 60-იან წლებში განყოფილების მეცნიერებმა შექმნეს თევზის ახალი კონსერვები /"ქართული სალიანკა" სტავრიდისაგან, "სტავრიდის საციკი" და სხვა. 70–80-იან წლებში დაამუშევეს რამდენიმე სახეობის ახალი კონსერვების ტექნოლოგია, რომელთაგან გამოირჩევა "ოკეანე–პასტა" (1975წ.) ბოსტნეულისა და თევზის ნარევი კონსერვები და სხვა.[2]

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ინტენსიური მუშაობა გაიშალა ზღვის წყლების ეკოლოგიისა და ტოქ-

---

[1] ზთმოხკისგ, სს.439, 500, 511, 556, 557, 58.

[2] იქვე, ს.655, ფურც.76; ს.581, ფურც.46; ს.591, ფურც.1-20; საბჭოთა აჭარა, 1976, 17 მარტი.

ს ი კ ო ლ ო გ ი ი ს შ ე ს ა ს წ ა ვ ლ ა დ. ა მ მ ი მ ი რ თ უ ლ ებ ი თ თ ვ ა ლ ს ა-
ჩ ი ნ ო წ ა რ მ ა ტ ებ ებ ს მ ი ა ღ წ ი ა ბ ი ო ლ ო გ ი ი ს მ ე ც ნ ი ე რ ებ ა თ ა
დ ო ქ ტ ო რ მ ა ნ ი კ ო ლ ო ზ მ ა ზ მ ა ნ ი დ მ ა. მ ა ნ შ ე ი ს წ ა ვ ლ ა შ ა ვ ი
ზ ღ ვ ი ს ე კ ო ს ი ს ტ ე მ ა ზ ე ნ ა ვ თ ო ბ პ რ ო დ უ ქ ტ ებ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ა დ ა
ა ღ ა ა დ გ ი ნ ა ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი ნ ი ვ თ ი ე რ ებ ებ ი თ გ ა ჭ უ ჭ ყ ი ა ნ ებ ი ს კ ო ნ-
ც ე ნ ტ რ ა ც ი ებ ი ს ზ ღ ვ რ უ ლ ი, დ ა ს ა შ ვ ებ ი ნ ო რ მ ებ ი /ლ ი ტ რ ზ ე 5
ბ ი ლ ო გ რ ა მ ი/, გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა მ ი ს ი ზ ე მ ო ქ მ ე დ ებ ა ჰ ი დ რ ო ბ ი ო ნ-
ტ ებ ებ ზ ე. ა მ გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ებ ს ა რ ა მ ა რ ტ ო წ მ ი ნ დ ა მ ე ც ნ ი ე რ უ-
ლ ი, ა რ ა შ ე დ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ–გ ა მ ო ყ ე ნ ებ ი თ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა
ე ძ ი ებ ს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ე ც ნ ი ე რ ებ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ი ს მ ე ტ ა ლ უ რ გ ი ი ს
ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს ბ ა თ უ მ ი ს ლ ი თ ო ნ თ ა კ ო რ ო ზ ი ი ს ლ ა ბ ო რ ა ტ ო-
რ ი ი ს კ ვ ლ ე ვ ა–ძ ი ებ ი ს შ ე დ ე გ ებ ი გ ა ნ ზ ო გ ა დ ებ უ ლ ი ა მ ი ს ი
ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი ს ვ. ქ ე მ ხ ა ძ ი ს შ რ ო მ ებ ს ი. 1963 წ ე ლ ს გ ა მ ო-
ვ ი დ ა ვ. ქ ე მ ხ ა ძ ი ს ნ ა შ რ ო მ ი ლ ი თ ო ნ ი ს კ ო რ ო ზ ი ი ს შ ე ს ა ხ ებ,
ხ ო ლ ო ი მ ა ვ ე წ ე ლ ს მ ე ც ნ ი ე რ უ ლ–პ ო პ უ ლ ა რ უ ლ ი წ ი გ ნ ი
"რ ა ტ ო მ ი ყ ვ ა ნ გ ებ ა ლ ი თ ო ნ ი დ ა რ ო გ ო რ დ ა ვ ი ც ვ ა თ ი გ ი".
მ ო გ ვ ი ა ნ ებ ი თ ვ. ქ ე მ ხ ა ძ ე მ გ ა მ ო ს ც ა ს ქ ე ლ ტ ა ნ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ მ ძ ღ-
ვ ა ნ ე ლ ო ლ ი თ ო ნ თ ა კ ო რ ო ზ ი ი ს დ ა რ გ ს ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ტ ე ქ-
ნ ი კ უ რ ი უ ნ ი ვ ე რ ს ტ ი ტ ე ტ ი ს ს ტ უ დ ე ნ ტ ებ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ა მ
ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ო ა ღ ი ა რ ებ ა მ ო ი პ ო ვ ა.

ვ. ქ ე მ ხ ა ძ ი ს დ ა მ ი ს ი მ ო წ ა ფ ე ებ ი ს შ რ ო მ ებ ს ი შ ე ს წ ა ვ ლ ი-
ლ ი ა ა ტ მ ო ს ფ ე რ უ ლ ი დ ა მ ი წ ი ს ქ ვ ე შ ა კ ო რ ო ზ ი ი ს ს ა ხ ე ებ ი,
კ ე რ ძ ო დ, ჭ უ ჭ რ უ ტ ა ნ ო ვ ა ნ ი დ ა ღ რ ე ჩ ო ვ ა ნ ი კ ო რ ო ზ ი ა. დ ა დ გ ე-
ნ ი ლ ი ა მ ა თ ი ს ი ჩ ქ ა რ ე ტ ე ნ ი ა ნ ი ს უ ბ ტ რ ო პ ი კ ი ს პ ი რ ო ბ ებ ს ი, ს ა
დ რ ო ი ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ო ნ ა კ ვ ე თ ს ი, მ ო ც ე მ უ ლ ი ა კ ო რ ო ზ ი ი ს
ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ებ ი. ი ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო მ ი ღ წ ე ვ ებ ი ს
გ ა მ ო ლ ი თ ო ნ ი ს კ ო რ ო ზ ი ი ს ბ ა თ უ მ ი ს ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ ი ა დ ა მ ი-
ს ი ს ა ც დ ე ლ ი მ ო ე დ ნ ებ ი ა მ დ ა რ გ ს ი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ვ ლ ე ვ ი ს
მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ც ე ნ ტ რ ა დ ი ქ ც ა.

ა მ მ ი ღ წ ე ვ ებ მ ა გ ა ნ ა პ ი რ ო ბ ა ი ს, რ ო მ ბ ა თ უ მ ს ი ს ი ს ტ ე მ ა-
ტ უ რ ა დ ტ ა რ დ ებ ო დ ა ს ა კ ა ვ შ ი რ ო დ ა ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო მ ა ს ს-
ტ ა ბ ი ს ს ი მ პ ო ზ ი უ მ ებ ი დ ა კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ებ ი ტ ე ნ ი ა ნ ი ს უ ბ ტ რ ო-
პ ი კ უ ლ ი კ ლ ი მ ა ტ ი ს პ ი რ ო ბ ებ ს ი ლ ი თ ო ნ თ ა კ ო რ ო ზ ი ი ს პ რ ო ბ-

ლემებზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბათუმის ლითონთა კოროზიის ლაბორატორიაში ვ. ქემხაძის ხელმძღვანელობით ახალი საღებავი ტექნოლოგიის შემუშავებას. მაშინდელი მონაცემებით, ახალი სახეობის საღებავი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ყოველწლიურად 1 მილიონ მანეთ მოგებას აძლევდა.

კვლევა–ძიებაში საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს პლასტიკური მასების ინსტიტუტის ბათუმის განყოფილების თანამშრომლებმა. მათ შეისწავლეს წყლის ეკოლოგიის საკითხები, კერძოდ, დაამუშავეს ჩამდინარე სამრეწველო და მინერალიზებული წყლების გასუფთავების ტექნოლოგია და მეთოდები. შექმნეს მიკროფილტრაციული, ულტრაფილტრაციული, უკუოსმოსური მემბრანები, აპარატები და დანადგარები, რომელთაც დიდი გამოყენება აქვს კვების, ელექტრონიკის, სამთო–ქიმიურ, სამედიცინო-ფარმაცევტულ მრეწველობაში, გემებზე, წყალსადენებზე და სხვა. დაადგინეს ტენიანი სუბტროპიკების პირობებში ლაქსაღებავებისა და პოლიმერული მასალების გამძლეობის ქმედუნარიანობა. ამ მიღწევების გამო განყოფილების მკვლევარებმა 26 საავტორო მოწმობა მიიღეს გამოგონებაზე.

წარმოების რაციონალიზაციასა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და ეკონომიკის დარგებში მომუშავე მეცნიერებმა. ამ მიმართულებით საყურადღებო გამოკვლევები შექმნეს ა. ნოღაიდელმა, ა. ცივაძემ, ნ. ჟორდანიამ, ო. შამილიშვილმა, ვ. ძნელაძემ, ს. გოგოტიშვილმა, ო. ახვლედიანმა, ჯ. მესხიძემ, ა. დიასამიძემ, ვ. პაპუნიძემ, შ. ფალავანდიშვილმა, ნ. ნიჟარაძემ, ნ. ჯიბუტმა, რ. ზოსიძემ, მ. დავითაძემ და სხვებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალექსანდრე ნოღაიდელისა და ასლან ცივაძის შემოქმედებითი სამეცნიერო მიღწევები. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ა. ნოღაიდელმა ორგანულ ქიმიაში 100-ზე მეტი ნაშრომი გამოაქ

ვეყნა, დაწერა პირველი სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს ა. ცივაძეს მაღალი მიღწევები აქვს კოორდინაციული ნაერთების შესწავლაში, რის გამო იგი რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს.

საყურადღებო გამოკვლევების ავტორია გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ნადიმ ნიჟარაძე. მის შრომებში ძირითადად შესწავლილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხები. დოცენტმა ოთარ ახვლედიანმა თავისი საკანდიდატო დირსერტაცია მიუძღვნა აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ანთოპოლოგიის საკითხს. აღნიშნული დისერტაცია ავტორმა წიგნად გამოსცა და მაღალი შეფასება დაიმსახურა. კვლევა–ძიების შედეგად ო. ახვლედიანი დაასკვნის, რომ აჭარის მოსახლეობაში თურქული ელემენტის არავითარი კვალი არ შეიმჩნეოდა. ჯემალ მესხიძემ გამოიკვლია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და აჭარის წყალსატევების იხთიოფაუნა, აგრეთვე ძუძუმწოვრები და სხვა. ა. დიასამიძემ წარმატებით შეისწავლა სუბტროპიკული სასოფლოსამეურნეო კულტურების სელექციის თეორიული საფუძვლები და შეიმუშავა ახალი მეთოდები. ცხადია, ამ გამოკვლევებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ მატერიალური წარმოების დაჩქარებულ განვითარებაში.

წარმოების რაციონალურ მოწყობაში ნაყოფიერი წვლილი შეიტანეს მეცნიერმა ეკონომისტებმა, სოციოლოგებმა, ფსიქოლოგებმა და ეთნოგრაფებმა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდათ ვ. პაპუნიძეს, ა. ბაჯელიძეს, ლ. ხარაზს, კ. ბაბილოძეს, დ. მოურავიძეს, გ. ჩაგანავას, და სხვებს. ვ. პაპუნიძემ საინტერესო გამოკვლევები გამოაქვეყნა ირიგაციის შესახებ. რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედების განვითარებაში. აჭარაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის დროს ვ. პაპუნიძის მოხსენებებში, სიტყვებსა და სტატიებში მოცემულია საყურადღებო დებულებები, დასკვნები და რეკომენდაციები ავტო-

ნომიური რესპუბლიკის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების თაობაზე. ცხადია, მისი ორგანიზაციულ-პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგად საგრძნობლად დაწინაურდა მატერიალური წარმოება აჭარაში.

მატერიალური წარმოების განვითარების საქმეში საგრძნობი წვლილი შეიტანა კ. ბაბილოძის გამოკვლევებმა წარმოების ეკონომიკისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შესახებ. მან განაზოგადა საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ამ სფეროში. მისი შესწავლა და პრაქტიკულად განხორციელება კი მნიშვნელოვნად აჩქარებდა წარმოებაში სამეცნიერო პროგრესის დანერგვას და მართვის რაციონალურად ორგანიზაციას.

წარმოების რაციონალურად მოწყობაში, მისი ეფექტურობისა და შრომითი კოლექტივების აქტიურობის ამაღლებაში ასევე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკისა და სოციალოგიური კვლევის განყოფილების მეცნიერ–თანამშრომელთა გამოკვლევები. XX საუკუნის 70–80-იან წლებში მათ წარმატებით შეისწავლეს ბათუმის სამრეწველო საწარმოებში სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთობანი და მდგომარეობის გაუმჯოესებისათვის საყურადღებო წინადადებები და რეკომენდაციები შეიმუშავეს. ამ ასპექტში მნიშვნელოვანია გ. ჩაგავანას ნაშრომები განწყობის თეორიის, შრომითი კოლექტივებ'ში სოციალურ–ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების შესახებ. მისი გამოკვლევების გათვალისწინება მნიშვნელოვნად ამაღლებდა წარმოების ეფექტიანობასა და შრომითი კოლექტივების აქტიურობას.

2. ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედება

აჭარაში ინდუსტრიული კადრების ძირითადი ბირთვის ფორმირება ომამდელ პერიოდში მოხდა. 1939 წლის დასაწყისში მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოო პერსონალი 21,8 ათას კაცს ითვლიდა, რაც დიდად აღემატებოდა 20-0იანი წლების მაჩვენებელს.[1]

ომისშემდგომ პერიოდში აჭარაში ინდუსტრიულმა კადრებმა დიდმნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები განიცადეს. ახალი საწარმოების, საამქროებისა და უბნების ამოქმედების, გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შედეგად მათი რიცხოვნობა შესამჩნევად გაიზარდა, ხოლო ტექნიკური ცოდნის დონე საგრძნობლად ამაღლდა. 1959 წლის დასაწყისში ინდუსტრიის დარგების საწარმოო პერსონალი 22,4 ათას კაცს შეადგენდა, რაც 1939 წლის მაჩვენებლს საგრძნობლად აჭარბებდა. ინდუსტრიული კადრების რაოდენობრივ ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 60—80-იანი წლები. 1980 წელს მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში მუშაობდა 40,5 ათასი, ხოლო 1987 წელს—45,5 ათასი კაცი, რაც 2-ჯერ და მეტად აჭარბებდა 1959 წლის მახასიათებელს. 1959—1979 წლებში ინჟინერ—ტექნიკური პერსონალი 3204-დან 8247 (2,5-ჯერ), ხოლო 1989 წელს — 9701 კაცამდე (3-ჯერ) გაიზარდა.[2]

ინდუსტრიული კადრების ძირითადი ბირთვი — სამრეწველო საწარმოო პერსონალი 1961 წელს 15,5 ათასიდან 1970 —წელს 21,0 ათას, 1980—წელს 22,6 ათას, 1982 წელს 24,8 ათასამდე (1,6-ჯერ) გადიდდა. მეტნაკლებად ასეთი

---

[1] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბიბლიოთეკის სპეცფონდი.

[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1348, ფურც.1; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეარტამენტის მონაცემები.

სურათი გვაქვს მომდევნო წლებშიც. 1959–1982 წლებში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოო პერსონალი 3,6 ათასიდან 14,8 ათასამდე (4-ჯერ), მშენებლობის–3,4 ათასიდან 5,7 ათასამდე (1,9-ჯერ) გაიზარდა.[1]

ინდუსტრიული კადრების რაოდენობრივი ზრდის პარალელურად მიმდინარეობდა მათი თვისებრივ მდგომარეობის შეცვლა. პროფესიული დაოსტატების შედეგად ისინი არამარტო ფლობდნენ წარმოების ტექნილოგიას, რთული მანქანა იარაღების გამოყენების წესებს, არამედ ავლენდნენ საკმარის ნიჭს ტექნიკის სრულყოფა-გაუმჯობესებისათვის. მართალია, ახალი მანქანა–მოწყობილობათა ნიმუშები ძირითადად იქმნებოდა სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტებში, მაგრამ საწარმოო პროცესში მათი გამოყენებისას პრაქტიკოსი კადრები აუმჯობესებდნენ ამ ტექნიკას, ქმნიდნენ ახალ დეტალებს, მანქანა–მოწყობილობებს, მექანიზმებს, სქემებს და სხვა. ამით ინდუსტრიულ კადრებს დიდი წვლილი მეჰქონდათ ტექნიკურ პროგრესში, წარმოების მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანაში.

აჭარაში, ინდუსტრიული კადრები ტექნიკურ შემოქმედებით საქმიანობას ომამდეც ეწეოდნენ. მაგრამ მაშინ იგი მასობრივი არ გამხდარა. საწარმოებში გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებანი ნაკარნახევი იყო მუშათა და ინჟინერ–ტექნიკური პერსონალის პირადი ენთუზიაზმით. XX საუკუნის 20–30-იან წლებში იმ საქმეში სახელმწიფო და საწარმოთა ხელმძღვანელობა ნაკლებად ეხმარებოდა. არ არსებობდა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საკანონმდებლო ბაზა.

სამამულო ომის წლებში (1941–1945) ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედება შეფერხდა, რადგან პროფესიული კადრების ნაწილი ფრონტზე გაიწვიეს. მრავალი მათგანი საწარმოებს ეედარ დაუბრუნდა. ომის

---

[1] აჭარის ასსრ სასალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.18; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

დამთავრების შემდეგ ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედება ახალი ძალით გაიშალა. 1950 წელს აჭარის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებში 2500 რაციონალიზატორი ითვლებოდა.[1] მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წარმოების ტექნიკურ პროგრასში, ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა და დანერგვაში. რაციონალიზატორების დიდი ნაწილი მუშა–პრაქტიკოსები იყვნენ. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში 1949 წელს 143 რაციონალიზატორიდან 88 კაცი, ე. ი. საერთო რაოდენობის 61% მუშა იყო. მეტნაკლებად ასეთი მდომარეობაა სხვა საწარმოებებში.

ცხადია წარმოების განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მუშათა საშუალო ფენა, მაგრამ ტექნიკური სიახლეების დანერგვა რჩეულების, ნოვატორების საქმეა. აჭარაში 1946–1950 წლებში ნოვატორ–მუშებს შორის გამოირჩეოდნენ ს. ჩანტლაძე, ა. ძნელაძე, ბ. ვერგუნი, მ. ფაღავა, მ. ბეჟანიძე, (ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა), შ. ვადაჭკორია, გ. გვასალია, (მანქანათსაშენი ქარხანა), ა. ოვანესიანი, ი. დვალიშვილი, (გემთშემკეთებელი ქარხანა), ა. კოპალეიშვილი, მ. კილაძე, მ. დარჩია, ი. ნაცვლიშვილი, (რინიგზის ტრანსპორტი) და სხვა.

ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში 1946–1950 წლებში შეიმუშავეს 915 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან დაინერგა 625. ეკონომიკურმა ეფექტმა 1309,5 ათასი მანეთი შეადგინა. აქ მხოლოდ 1949 წელს შეიმუშავეს 223 რაციონალიზატორული წინადადება, მათგან წარმოებაში დაინერგა 192. ეკონომიკური ეფექტი 583,2 ათას მანეთს აღწევდა.[2] მანქანათსაშენ ქარხანაში 1949 წელს დაინერგა 20 რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგად მიღებულია 6,1 ათასი მანეთი ეკონომია. ტყავის ქარხანაში 1947 წელს დაინერგა 16 რაციონა-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.3, ფურც.14.

[2] იქვე, ფ.რ-133, ან.1, ს.948, ფურც.135; ს.1066, ფურც.108; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.3, ფურც.172; საბჭოთა აჭარა, 1951, 27 ივნისი.

ლიზატორული წინადადება, მიღებული ეკონომია 4,5 ათას მანეთს შეადგენდა. ამ მაჩვენებელმა ციტრუსკომბინატში 158,1 ათასი მანეთი შეადგინა.[1]

ნავთობგდამამუშავებელი ქარხნის ნოვატორთა ჯგუფმა ზ. ფირიაშვილის მეთაურობით 1947 წელს შეიმუშავა №13 დანადგარის გაუმჯობესების სქემა, რითაც მისი სიმძლავრე 25%-ით გაიზარდა, ხოლო მიღებულმა წლიურმა ეკონომიამ 69 ათასი მანეთი შეადგინა. მათვე შეიმუშავეს გასაწმენდი ზეთების გათბობის ახალი ტექნოლოგია, რაც წლიურად 10,8 ათას მანეთ ეკონომიას იძლეოდა. ამავე ქარხანაში დაამუშავეს პროდუქციის შეფუთვის ახალი ტექნოლოგია, რაც იძლეოდა 50 ათასი მანეთის ეკონომიას. ერთ-ერთი დანადგარის ტექნიკური გაუმჯობესებით მიღებული დამატებითი შემოსავალი 100 ათას მანეთს აღემატებოდა.

კოფეინის ქარხანაში ნოვატორებმა შეიმუშავეს ტექნიკური მეთოდი, რითაც ძვირადღირებული და დეფიციტური ქლოროფორმი უფრო იაფი გამსხნელი ნივთიერებით დიქლორენთანით შეცვალეს. ამ ტექნოლოგიურმა სიახლემ ქარხანას 30 ათას მანეთზე მეტი მოგება მისცა.[2] გემთშემკეთებელი ქარხნის რაციონალიზატორმა ვადალიზინმა გამოიგონა ელექტროკოჭზე მავთულის დახვევის ახალი დაზგა, რის შედეგადაც შრომის ნაყოფიერება ერთი–ორად გაიზარდა.[3]

ინდუსტრიული კადრების ტექნიკურ შემოქმედებაში არსებითი გარდატეხა დაიწყო XX საუკუნის 50-იან წლებში. 1955 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტი. შესაბამისი სახელმწიფო ორგანო დაარსდა საქართველოში, რომელიც რესპუბლიკის მასშტაბით ამ საქმეს წარმართავდა. აჭარაში ანალოგიური საოლქო ორგანოს

---

[1] აცსა, ფ.რ-980, ან.1, ს.56, ფურც.7; საბჭოთა აჭარა, 1948, 18 იანვარი.
[2] საბჭოთა აჭარა, 1948, 16 აპრილი, 14 ივლისი.
[3] საბჭოთა აჭარა, 1949, 4 სექტემბერი.

შექმნის აუცილებლობა არ არსებობდა, რამდენადაც აღმოჩენაზე, გამოგონებაზე და რაციონალიზატორულ წინადადებაზე მოწმობას ძირითადად საკავშირო შესაბამისი ორგანოები გასცემდნენ.

ადგილებზე გამოგონებისა და რაციონალიზატორული საქმიანობის კოორდინაცია, მნიშვნელოვანი მიღწევების დანერგვაზე დახმარების აღმოჩენა აუცილებელი გახდა. სკკპ ცენტრალური კომიტატის პლენუმმა (1957 წლის დეკემბერი) საჭიროდ ჩათვალა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ჩამოყალიბება როგორც საკავშირო მასშტაბით, ისე რესპუბლიკებსა და ოლქებში. 1958 წელს შეიქმნა სსრ კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება, ანალოგიური — საქართველოში.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების შექმნისათვის აჭარაში პირობები მომზადებული იყო. 50-იანი წლებიდან მოკიდებული ამ რეგიონში ყოველწლიურად იზრდებოდა ნოვატორთა რიგები. 1951 წელს აჭარაში აღირიცხა 397, 1952 წელს—432, ხოლო 1958 წლის ივლისისათვის—1293 გამომგონებელი და რაციონალიზატორი. აღნიშნულ წლებში მათ 2576 რაციონალიზატორული წინადადება შეიმუშავეს,[1] რომელთა სრული მასშტაბით დანერგვა დიდად დააჩქარებდა ტექნიკურ პროგრესს და მნიშვნელოვან ფინანსურ—ეკონომიკურ სარგებლობას მოიტანდა.

მრავალ შემთხვევაში ნოვატორების მიერ შემუშავებული ტექნიკური სიახლეები წარმოებაში ნელა ინერგებოდა. ამით დიდძალი შემოსავალი იკარგებოდა. არასაკმარისი იურიდიული ცოდნის გამო ნოვატორები, განსაკუთრებით მუშები, ვერ ახერხებდნენ მათ მიერ შემუშავებულ ტექნიკურ სიახლეთა იდეის ბოლომდე დაცვას. ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით აჭარაში 1958 წელს შე-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.27, ს.71, ფურც.18; ფ.რ-394, ან.1, ს.4, ფურც.202.

იქმნა გამომგონებელთა რაციონალიზატორთა საზოგადოების საოლქო საბჭო, რომელმაც ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შრომა გასწია. იგი აირჩიეს 1958 წლის 21 ივლისს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების I კონფერენციაზე.

მაშინ აჭარაში შექმნილი იყო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების 30 პირველადი ორგანიზაცია, რომელშიც 1340 წევრი ირიცხებოდა. ამ საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები—საბჭო, პლენუმი და პრეზიდიუმი არჩევითი და ანგარიშვალდებული იყო. საბჭო ყოველ 2 წელიწადში ირჩეოდა. პლენუმი სხდომებს მართავდა სამ თვეში ერთხელ. პრეზიდიუმი იყო მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც თვეში 2-ჯერ იკრიბებოდა. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოსთან შეიქმნა სექციები, სადაც ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების შექმნის შემდეგ დაჩქარდა ახალი პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბება და მათში წევრთა რაოდენობის გაზრდა. 1959—1970 წლებში აჭარაში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების რაოდენობა 48-დან 100-მდე (2-ჯერ და მეტად), 1980 წელს—168 (3,5-ჯერ), ხოლო 1985 წელს—260-მდე (5,4-ჯერ) გაიზარდა. საზოგადოების წევრების რიცხოვნობა 1959 წელს 1809-დან 1960 წელს—2200, 1970 წელს — 6240, 1980 წელს—15016, ხოლო 1985 წელს—19369-მდე, ე.ი. 10,6-ჯერ გადიდდა.[1]

მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 1970 წელს მოქმედებდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების 98 პირველადი ორგანიზაცია, ხოლო სოფლის მეურნეობაში—8, წევ-

---

[1] აცსა, ფ.რ-394, სს.4, 12, 37, 91; ფ.რ-98, ან.1. ს.1645, ფურც.26; აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1980-1981 წლების მასალები). ბათ., 1981, გვ.11.

რების რაოდენობა შესაბამისად შეადგენდა 5830 (93%) და 410 კაცს (7%). საერთო რაოდენობიდან მუშებზე მოდიოდა 65,1% (4124), ინჟინერ–ტექნიკურ მუშაკებზე–34,9% (2116 კაცი). საზოგადოების საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქალები, რომელთა რაოდენობა საერთო წევრების 22%-მდე აღწევდა (1373). მეტნაკლებად ანალოგიური სურათი გვაქვს სხვა წლებშიც.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების გამსხვილებული ორგანიზაციები შეიქმნა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, სადაც 1974 წლის დასაწყისში იყო 389 წევრი, მანქანათსაშენში–370, გემთმშენებელში–155, ელექტრომექანიკურში–175, ელექტროხელსაწყოში (ტრანსფორმატორები)–212, საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ საწარმოში–215, კოფეინის–165, სამკერვალო საწარმოო გაერთიანებაში–320, ფეხსაცმლის ფაბრიკაში – 250, ხისდამამუშაევებელ კომბინატში–170, თვზჭერის ფლოტის სამმართველოში–150, აჭარის პურკომბინატში–140, ტყავის საწარმოო გაერთიანებაში–150, სავაგონო დეპოში–160, საზღვაო–სანაოსნო სააუზო საბჭოში–1100, ნავთობპროდუქტების გადასატვირთავ მთავარ ბაზაში–160, სახლთსაშენ კომბინატში–140 წევრი და სხვა.[1]

გამომგონებლობისა და რაციონალიზატორების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკანონმდებლო ბაზის გაფართოებამ. ჯერ კიდევ 1941 წლის მარტში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა დებულება გამოგონებისა და ტექნიკის გაუმჯობესების, ხოლო 1942 წლის ნოემბერში–გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წახალისების შესახებ. მაგრამ დადგენილი წახალისების ნორმები იმდენად მცირე იყო, რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ ამ სფეროს დიდი მასშტაბით განვითარებისათვის.

---

[1] აცსა,. ფ.რ-394, ან. ს.37, ფურც.11; ს.130, ფურც.1; პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ჩამოყალიბების შემდეგ სსრ კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ახალი ნორმატიული აქტები გამოსცა, რომლებშიც განისაზღვრა ამ სფეროს ძირითადი ამოცანები, მათი გადაწყვეტის ფორმები და მეთოდები. 1959 წლის აპრილში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დებულება და ინსტრუქცია ნოვატორთა დაჯილდოვების შესახებ. დებულება განსაზღვრავდა ამ სფეროს საქმიანობის, აღმოჩენაზე, გამოგონებასა და რაციონალიზატორულ წინადადებაზე საავტორო მოწმობის, პატენტის, დიპლომის გაცემის წესებსა და ფორმებს.

ნოვატორთა ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობა საგრძნობლად ამაღლდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 მაისის დადგენილების "გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებების სახალხო მეურნეობაში დანერგვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". სამინისტროებს; უწყებებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაევალათ ერთობლივად ემუშავათ გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვისათვის. სსრ კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების II ყრილობამ (1963 წლის 29 ნოენბერი) დაამტკიცა ამ საზოგადოების წესდება.

აჭარაში, როგორც მთლიანად საქართველოში, გატარდა ტექნიკური, ორგანიზაციული და სხვა სახის ღონისძიებები. საწარმოებში მოეწყო ტექნიკური კაბინეტები და კუთხეები, სპეციალური საკონსტრუქტურო ბიუროები, რომლებიც უფასოდ ემსახურებოდნენ მუშათა რიგებიდან გამოსულ ნოვატორებს. 1962 წელს აჭარაში მოქმედებდა ტექნიკური პროგრესის ინსტიტუტი, 8 საკონსტრუქტურო—ტექნიკური, თითო ეკონომიკური ანალიზისა და ტექნიკური ნორმების ბიუროები. 1972 წელს აღირიცხა 11

საკონსტრუქტურო ბიურო, სადაც გაერთიანებული იყო 67 კაცი. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საოლქო საბჭოსთან შეიქმნა საპატენტო ბიურო, საკონსულტაციო პუნქტი. ეს უკანასკნელი შექმნილი იყო აგრეთვე 35 საწარმოში და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ. ქობულეთში ჩამოყალიბდა გამომგონებელთა საზოგადოების რაიონული საბჭო, რომელიც გაერთიანდნენ ამ რეგიონში განლაგებული საწარმოების მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საოლქო საბჭოს ინიციატივით ყოველწლიურად ეწყობოდა კონსულტაციები, გამოფენა–კონკურსები, შემოქმედებითი მივლინებები სსრ კავშირის მსხვილ ინდუსტრიალ ცენტრებში, ტარდებოდა ლექცია–მოხსენებები. მაგალითად, 1962 წელს ჩატარდა 238 ლექცია–მოხსენება, 131 კონსულტაცია, რასაც დაესწრო 8906 ნოვატორი. მოეწყო 29 გამოფენა–კონკურსი, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 103 რაციონალიზატორული წინადადება, შემოქმედებით მივლინებაში გაიგზავნა 282 კაცი.[1]

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საკანონმდებლო ბაზა განახლებასა და გაფართოებას მოითხოვდა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 28 აგვისტოს დადგენილებაში დასახულია ამოცანები გამომგონებლის განვითარების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1973 წლის 21 აგვისტოს დაამტკიცა ახალი დებულება "აღმოჩენების, გამომგონებლობისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ". სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა აღმოჩენებისა და გამოგონებების სახელმწიფო კომიტეტმა 1977 წლის 5 აგვისტოს მიიღო ინსტრუქცია აღმოჩენებზე განცხადებების მიღებისა და განხილვის წე-

---

[1] აცსა, ფ.რ-98, აღ.1, ს.372, ფურც.64; ფ.რ-394, აღ.1, სს.45, 86, 91, 114, 116.

სის შესახებ. დაწესდა დიპლომისა და საავტორო მოწმობების გაცემის ერთიანი ფორმა აღმოჩენებზე, გამოგონებების, რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორებზე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 24 იანვრის დადგენილებით დაწესდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა დღესასწაული იგი აღინიშნებოდა ივნისის ბოლო შაბათს.

ზემოთდასახელებული ნორმატიულ აქტებს უდაოდ მნიშვნელობა ჰქონდა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული საქმიანობის განვითარებისათვის. არასაკმარისი იყო ფულადი გასამრჯელო, რაც განსაზღვრული იყო ნოვატორზე გასაცემად. 1973 წლის დებულებით ძალზე შეზღუდული იყო ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობისათვის გასაცემი გასამრჯელოები. მაგალითად, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად მიღებული ყოველ 100 მანეთ ეკონომიაზე გაიცემოდა შემოსავლის 17%. რაც უფრო მაღალი იყო ეკონომიკური ეფექტიანობა, მით უფრო დაბალ პროცენტს აძლევდნენ.[1]

ცუდად გათვლილი მატერიალური სტიმულირების მიუხედავად, ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობა არ შენელებულა. აჭარაში XX საუკუნის 50–80-იან წლებში საგრძნობლად გაიზარდა ნოვატორთა რიგები, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებების რაოდენობა და ეკონომიკური ეფექტიანობა.[1] (იხ. ცხრილი 1-ლი).[2]

---

[1] Сборник нормативных актов по изобретательству и рационализации, Составители сборника Доркин А.И., Курепина В.Н., М., 1983, с.7, 16, 56, 89-114.

[2] ცხრილი შედგენილია: აჭარის სტატისტიკური კრებულები; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.27, ფურც.18; ფ.რ-394, ან.1, ს.86, ფურც.256-257.

ცხრილი 1.

	1952წ.	საშუალო წლიური			
		1957-1960	1961-1970	1971-1980	1981-1989
გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი	432	640	935	1407	1 238
შემოსულ წინადადებათა რაოდენობა	705	981	1373	1865	1746
წარმოებაში დანერგილ წინადადებათა რაოდენობა	434	525	872	1386	1191
ეკონომიკური ეფექტიანობა (ათასი მანეთი)	378	365	1318	2578	9182

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხოვნობა XX საუკუნის 50–80 წლებში 3-ჯერ და მეტად გაიზარდა, შემოსულ წინადადებათა რაოდენობა–2,5-ჯერ, წარმოებაში დანერგილისა–2,7-ჯერ, ეკონომიკური ეფექტიანობა–22,3-ჯერ. ზოგიერთ წლებში აღნიშნულ მახასიათებლები კიდევ უფრო მაღალი იყო. მაგალითად, 1963 წელს გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა 2,8 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1973 წელს–3,2 მილიონ, 1979 წელს–4,4 მილიონ, 1984 წელს–30 მილიონ, 1987 წელს–15,9 მილიონ, 1988 წელს–9,3 მილიონ მანეთს.

ასეთი მნიშვნელოვანი ფულადი შემოსავლების მიუხედავად, დანახარჯები შედარებით უმნიშვნელო იყო. მაგალითად, 1976 წელს რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების დანერგისათვის გაწეული ხარჯე-

ბი 150 ათას მანეთს ითვლიდა (წლიური ეკონომიკური ეფექტიანობის 5%) 1980 წელს–142 ათას (4,4%), 1984 წელს–230 ათას (0,7%), 1985 წელს–224 ათას (3,4%) 1987 წელს–447 ათას (2,8%). ამრიგად, ინდუსტრიული კადრები ტექნიკურ შემოქმედებით საქმიანობას ძირითადად ეწოდნენ პირადი ენთუზიაზმით. თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ ნოვატორთა შემოქმედებით კომპლექსურ ბრიგადებს, სადაც გაერთიანებული იყვნენ მომიჯნავე სპეციალისტები. 1963 წელს მოქმედებდა 19 ასეთი ბრიგადა, 1973 წელს–67, ხოლო 1977 წელს მათი რიცხვი 100-მდე გაიზარდა.[1]

ზოგიერთ საწარმოში ადმინისტრაციულ–სამეურნეო ხელმძღვანელთა მიზეზით გაჭიანურდა გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვა. მაგალითად, 1958–1965 წლებში წარმოებაში დაინერგა გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა 78–79%. აჭარა გამონაკლისი არ ყოფილა. საქართველოს საშუალო მაჩვენებელი 79%, ხოლო სსრ კავშირის მასშტაბით 83,2%-ს შეადგენდა. წლების განმავლობაში განუხორციელებელი რჩებოდა საკმაო რაოდენობის ტექნიკურ სიახლეთა იდეა. 1981 წლის 11 დეკემბერს აჭარის პროფკავშირთა XV საოლქო კომფერენციაზე გულისტკივილით აღინიშნა, რომ ყოველწლიურად 300-მდე გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში დანერგვის გადადება ხდება სხვადასხვა მიზეზით.

მიუხედავად ამისა, აჭარა ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობით სსრ კავშირის მრავალ რეგიონს უსწრებდა. მაგალითად, 1984 წელს აჭარის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებამ სსრ კავშირში მეორე ადგილი დაიკავა. ამ მიღ-

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს. 86, 130; ფ.რ-98, ან.1, სს.372, 1645; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; საბჭოთა აჭარა, 1977, 29 იელისი.

წევრების გამო იგი ფულადი პრემიითა და დიპლომათ დაა-ჯილდოვეს.[1]

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში მოწინავე ადგილი უკავიათ ნავთობის მრეწველობის შრომით კოლექტივებს. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სამრეწველო საწარმოო პერსონალი განუწყვეტლივ ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში იყო და თვალსაჩინო შედეგებიც ჰქონდა. დასახელებულ საწარმოში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი 1951–1960 წლებში მერყეობდა 105-დან 286-მდე, მომდევნო ათწლეულში–130-171, 1971–1980 წლებში–126-დან 191 კაცამდე. მათი უმრავლესობა მუშები იყვნენ. მაგალითად, 1952 წელს 224 რაციონალიზატორისა და გამომგონებლიდან მუშა იყო 224, 1957–143-დან 142, 1960 წელს–177-დან 141, 1970 წელს–130-დან 101, 1977 წელს–181-დან 141 კაცი. ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვა წლებშიც.

1951–1960 წლებში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ნოვატორებმა შეიმუშავეს 2741 რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, რომელთაგან წარმოებაში დაინერგა 1666, ეკონომიკური ეფექტიანობა 1337 ათას მანეთს უდრიდა. საშუალო წლიური მაჩვენებელი შეადგენდა: 274 და 167 ერთეულს, 134 ათას მანეთს.

ნოვატორების ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობა კიდევ მეტად წარმატებული იყო 60–80-იან წლებში. 1961-1970 წლებში დაინერგა 1340 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიკური უკუგება 1861 ათას მანეთს შეადგენდა. საშუალო წლიური მახასიათებელი 134 ერთეულს და 186 ათას მანეთს აჭარბებდა. 1971–1980 წლებში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა 1346 ათას მანეთს, ხოლო საშუალოდ წლიურად 235 ათას მანეთამდე აღწევდა. იგი 50-იანი

---

[1] ცნობები მოყვანილია: აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.55, 79; ფ.რ-98, ან, სს.1441, 1645; საბჭოთა აჭარა, 1977, 29 მარტი.

წლების მონაცემებას 1,8-ჯერ, ხოლო 60-იანი წლებისას—1,3-ჯერ აღემატებოდა.

ქარხნის რაციონალიზატორთა უმრავლესობა ტექნიკურ სიახლეთა ძიებას ინდივიდუალურად ეწეოდა. ამავე დროს მეტად ნაყოფიერი აღრმოჩნდა მონათესავე სპეციალისტების ერთონლივად მუშაობა. სწორედ ამ მიზნით ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში შექმნილი იყო კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადები, რომელთა რიცხვი 1969—1980 წლებში 8-დან 20-მდე (2,5-ჯერ) გაიზარდა.[1]

გამორჩეული გამომგონებლები და რაციონალიზატორები იყვნენ ზ. ფირიაშვილი, ა. ხარებავა, ს. დოლიძე, მ. კრასნოლობოვი, გ. კულბაშნი, გ. ჯიქიძე, ნ. დარმანიანი, გ. დარჩია, ე. ეველსონი, ვ. ქირია, მ. ბეჟანიძე და სხვები. 1951 წელს ვ. ქირიას ხ. სარჯველაძისა და ვ. ჩიქოვანის წინადადებით განხორციელდა ერთ—ერთი დანადგარის რეკონსტრუქცია, რითაც მისი მწარმოებლურობა 70%-ით გაიზარდა. 1953 წელს მ. ბეჟანიძემ შეიმუშავა ავტობენზინის წარმოების ახალი ტექნოლოგია. ამის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა ამ პროდუქციის ხარისხი.

ნოვატორების ვ. ქირიასა და ს. დოლიძის წინადადებით 1955 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა №25 დანადგარს, რის შედეგად აგრეგატების სიმძლავრეები 40%-ით გაიზარდა. ს. დოლიძემ დაამუშავა დანადგარის ღუმელის მილსადენში ნავთობის დინების ახალი სქემა, რომელიც წლიურად იძლეოდა 7 ათას მანეთამდე შემოსავალს. გ. ჯიქიძემ 1959 წელს შეიმუშავა 4 რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც ითვალისწინებდა ტრანსფორმატორის გასაწმენდი ტუტის ხსნარის შემზადებისათვის ტექნიკური წყლის გამოყენებას. ამ წინადადებათა ეკონომიკური ეფექტიანობა 9446 მანეთს შეადგენდა.

50-იან წლებში დანერგილი რაციონალიზატორული წინადადებებიდან ყურადღებას იმსახურებს ორთქლის საქვა-

---

[1] ცნობები მოყვანილია ქარხნის წლიური ანგარიშებიდან; იხ. აგრეთვე აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.58, 67, 86, 87, 103.

ბეს დამატებითი ეკრანირება, რომლის ავტორებია ო. კონ-ცელიძე, გ. გოგოლაძე, პ. რიჟიკოვი. ამ ტექნიკური სიახ-ლის დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების ციკლისათვის საჭირო ორთქლის გამომუშავება და ლიკვიდირებულია ერთ–ერთი დეტალის გადახურება. წლიური მოგება 6212 მანეთი შეადგენდა.[1]

მნიშვნელოვანი იყო რაციონალიზატორული წინადადე-ბა (ავტორები გ. დიასამიძე, ა. ხარებავა, ე. ეველსონი და სხვები), რომელიც ითვალისწინებდა ერთ–ერთი დანადგა-რის ტექნიკურ განახლებას, მისი დანერგვით შესამჩნევად გაუმჯობესდა ნავთობის გამოხდის ტექნოლოგიური პროცესი., ხოლო წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 22 ათას მანეთს უდრიდა.

1960 წელს შემოქმედებითმა კომპლექსურმა ბრიგადამ (მ. ბეჟანიძე, მ. კრასნოლობოვი, გ. კულბაშნი და სხვა). განახორციელეს ნავთობის პირველადი გამოხდის დანად-გარის რეკონსტრუქცია, ამის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა სიმძლავრეები. ამ სიახლის წლიური უკუგება 167326 მანეთს უდრიდა. ზ. ფირიაშვილის მეთაურობით ნოვატორთა ჯგუფმა შექმნა მატარებლის ცისტერნებიდან ნავთობის ჩამოსხმის მოწყობილობა, რომელიც წლიურად 98 ათასი მანეთის შემოსავალს იძლეოდა.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის წარმოების ტექნო-ლოგიის გაუმჯობესების კომპლექსურმა ბრიგადამ, რო-მელსაც მთავარი ინჟინერი მ. ბეჟანიძე ხელმძღვანელობდა, 60-იან წლებში განახორციელა ატმოსფერულ–ვაკუუმის დანადგარის რეკონსტრუქცია. ამავე დროს ნოვატორებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს მარინდიზელის წარმოების ტექნოლოგიაში. ამ ტექნიკური სიახლის და-ნერგვის წლიური ეკონომიკური უკუგება 73845 მანეთს შეადგენდა.

---

[1] აცსა, ფ.რ-133, ან.1, სს.1361, 1469; ფ.რ-394, ან.1, სს.6, 8, 12; საბჭოთა აჭარა, 1955, 30 ოქტომბერი.

დანადგარების ავტომატიზაციის კომპლექსურმა ბრიგადამ (ს. დოლოძე, მ. კრასნოლობოვი, გ. კურბაშნი და სხვები) შექმნა ატმოსფერული–ვაკუუმის დანადგარის ახალი მილსადენ–გამახურებელი, აგრეთვე თერმული კრეკინგის ღუმელი გადაიყვანეს მუშაობის ერთნაკადიან სქემაზე. ეს სიახლე წარმოებას ყოველწლიურად აძლევდა 120210 მანეთს მოგებას. ნოვატორთა კომპლექსურმა ბრიგადამ (მ. არშინოვი, გ. რობაქიძე, ა. ჟელეზნიაკი, ს. ამზა) შეიმუშავა ნავთობბითუმის უტაროდ ჩამოსხმის ტექნოლოგია. ამის შედეგად დიდძალი ლითონი დაიზოგა, ხოლო წლიური მოგება 49334 მანეთს ითვლიდა.

საყურადღებო იყო ქარხნის კატალიზური საამქროს კომპლექსური ბრიგადის (ა. ბესელია, გ. ბერიძე, ი. ჯინჭარაძე) რაციონალიზატორული წინადადება ბენზინის ქიმიური კომპონენტების შეცვლის შესახებ. იგი დაინერგა 70-იანი წლების დასაწყისში, რომლის წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 100 ათას მანეთს აჭარბებდა. 1977 წელს დაინერგა გ. კულბაშნის, ვ. ქირიას, ი. მაჭუტაძის, დ. შაცის 5 რაციონალიზატორული წინადადება, ეკონომიკური უკუგება 250 ათას მანეთს შეადგენდა.[1]

განუწყვეტლივ ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში იყო აკაკი პეტრესძე ხარებავა, რომელიც 1933 წლიდან მუშაობდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. თვალსაჩინო მიღწევების გამო 1962 წელს ა. ხარებავას მიენიჭა აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება. იგი წლების განვლობაში ხელმძღვანელობდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების პირველად ორგანიზაციას.

1955 წელს წარმოებაში დაინერგა ა. ხარებავას რაციონალიზატორული წინადადება, რითაც საგრძნობლად გაუმჯობესდა ერთ-ერთ დანადგარზე ნავთობის გამოხდის ტექნოლოგიური პროცესი. ამ ტექნიკური სიახლის შედე-

---

[1] ცნობები მოყვანილია: აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.6, 59, 86, 88, 105, 124.

გად დანადგარის სიმძლავრე 10%-ით გადიდდა, ხოლო უკუგებამ ათასობით მანეთი შეადგინა. 1957–1967 წლებში ა. ხარებავას რაციონალიზატორულ წინადადებათა წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 23065 მანეთს ითვლიდა. მისი რაციონალიზატორული წინადადებებით განხორციელდა რამდენიმე დანადგარის რეკომსტრუქცია, შეიცვალა მათი ტექნიკური მოწყობილობანი, კვანძები და დეტალები. ა. ხარებავა აქტიური მონაწილე იყო კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადისა, რომელმაც განახორციელა ატმოსფერულ-ვაკუუმის დანადგარის რეკონსტრუქცია და ცვლილებები შეიტანა მარინდიზელის წარმოების ტექნოლოგიაში, შეიმუშავა ნავთობის მინარევებისაგან გაწმენდის ახალი მეთოდები.[1]

წარმოების რაციონალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გივი დავითისძე დარჩიამ, რომელიც ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში 1943 წლიდან მუშაობდა. მართალია, იგი ნაყოფიერ ნაციონალიზატორულ საქმიანობას XX საუკუნის 40–50-იან წლებშიც ეწეოდა, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა 60–70-იან წლებში. გ. დარჩიას წინადადებით შეიცვალა სასაქონლო ბიტუმის ტრანსპორტირების კვანძი, განხორციელდა ნავთობბიტუმის წარმოების დანადგარისა და ჩასამომსხმელო ესტაკადის რეკონსტრუქცია, შეიქმნა სპეციალური მოწყობილობა, თხევადი ბიტუმის კომუნიკაციებისათვის. მის მიერ მხოლოდ 1962–1967 წლებში შემუშავებულ წინადადებათა დანერგვით მიღებული წლიური უკუგება 34412 მანეთს უდრიდა. თვალსაჩინო მიღწევებისათვის გ. დარჩიას 1967 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება.[2]

ასევე მნიშვნელოვანი იყო მიხეილ ივანესძე კრასნოლობოვის შემოქმედებითი საქმიანობა. იგი, როგორც ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ერთ–ერთი საამქროს

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.86, 88, 105.
[2] იქვე, ს.88, ფურც.1-3.

უფროსი, ძირითადად მონაწილეობდა კომპლექსურ შემოქმედებით ბრიგადებში. 1960 წელს კომპლექსურმა შემოქმედებითმა ბრიგადამ, რომელსაც მ. კრასნოლობოვი ხელმძღვანელობდა, მთელი რიგი ტექნიკური ცვლილებები შეიტანა ნავთობპროდუქტების წარმოების ტექნიკასა და ტექნოლოგიაში. ამ სიახლეთა წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 69,4 ათას მანეთს შეადგენდა. 1961 წელს მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა №25 დანადგარის რეკონსტრუქცია, რის შედეგად აგრეგატების მწარმოებლურობა საგრძნობლად გადიდდა, ხოლო წლიური ეკონომიკური უკუგება 45 ათას მანეთს უდრიდა.

მომდევნო წლებში მ. კრასნოლობოვის წვლილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტექნიკურ პროგრესში საკმაოდ მაღალი იყო. 1960–1968 წლებში მის მიერ შემუშავებული რაციონალიზატორული წინადადებების წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 53,5 ათას მანეთს ითვლიდა. 19676–1980 წლებში მ. კრასნოლობოვმა შეიმუშავა 21 წინადადება, რომელთაგან 9 დაინერგა. მათი წლიური ეკონომიკური უკუგება 62,4 ათას მანეთს უდრიდა.

წარმოების ტექნიკურ პროგრესში საყურადღებო იყო ბათუმის ნავთობგადასატვირთავი ცენტრალური ბაზის ნოვატორთა წვლილი. 1960წელს მათ შეიმუშავეს 40 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან მიღებული იყო 30. ამ წინადადებათა დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობა 224,8 ათას მანეთს უდრიდა. 1966–1970 წლებში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობა 346,5 ათას მანეთს აღეწევდა. ამ მიმართულებით შესამჩნევი წარმატებები აღინიშნა მომდევნო წლებშიც.

ზემოდასახელებულ საწარმოში თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ ნოვატორებს მ. შაქარიშვილს, ი. აბრამცოვს, ა. მირიბიანს, ე. ისაენკოს და სხვა. მათ მიერ შემუშავებული რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით გაუმჯობესდა წარმოების ტექნიკა, რის შედეგად შემცირ-

და ნავთოპროდუქტების ამოქაჩვა–გადაქაჩვის ზედმეტი ოპერაციები, გაიზარდა მათი მიღება და გაგზავნა, შეიცვალა ქარხანასა და რეზერვუარ–ცისტერნებს შორის დამაკავშირებელი ნავთობმილსადენების სქემები, დაინერგა ახალი ტექნიკა ტანკერებში თხევადი ნავთობპროდუქტების დატვირთვისათვის. მ. შაქარიშვილის მიერ 1966–1968 წლებში დანერგილი ტექნიკური სიახლის წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 78 ათას მანეთს ითვლიდა, ი. აბრამცოვისა–50 ათას, ა. მირიბიანის–69 ათას, ე. ისაენკოსი–47 ათას მანეთს.[1]

წარმოების ტექნიკურ პროგრესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებითი მრეწველობის საწარმოების ნოვატორებმა. XX საუკუნის 50–80-იან წლებში მანქანათსაშენ ქარხანაში ალამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რაოდენობა 44–160 შორის მერყეობდა. მაგალითად, დასახელებულ საწარმოში 1956 წელს 72 ნოვატორი აღირიცხა, 1968 წელს–44, 19701 წელს–141, 1973 წელს–46, ხოლო 1981 წელს–160. მეტნაკლებად ასეთი სურათი გვაქვს სხვა წლებშიც. 1973 წელს ქარხანაში მუშაობდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა 3 კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადა, რომელშიც 20 ნოვატორი ირიცხებოდა.

ნოვატორებს ყოველწლიურად ათობით წინადადება შეჰქონდათ, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოებაში დაინერგა. მაგალითად, 1956 წელს მათ შეიმუშავეს 182 რაციონალიზატორული წინადადება, 1957 წელს–176, 1958 წელს–272, 1965 წელს–94, 1966 წელს–82, 1970 წელს–58, 1980 წელს–49 და ა. შ. 50–60-იან წლებში საშუალოდ წლიურად წარმოებაში დაინერგა 15–97 გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.37, 88, 105; საბჭოთა აჭარა, 1962, 21 მარტი; აცსა, ფ.რ-133, ან.1, ს.2893, ფურც.7.

ეკონომიკური უკუგება 22 ათასი მანეთიდან 60,4 ათასს მანეთამდე აღწევდა.[1]

XX საუკუნის 70–80-იან წლებში, მართალია, გამომგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა შემცირდა, მაგრამ ეკონომიკური ეფექტიანობა მნიშვნელოვანად გაიზარდა. მაგალითად, 1971 წელს დაინერგა 29 ტექნიკური სიახლე, 1973 წელს–ამდენივე, 1980 წელს–15, 1981 წელს–19 და ა. შ. ეკონომიკური ეფექტიანობა შეადგენდა: 99,6 ათას, 112 ათას, 538,6 ათას და 496 ათას მანეთს. 1984 წელს მანქანათსაშენი ქარხნის ნოვატორებმა რეკორდს მიაღწიეს: ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის ეკუგებამ 1 მილიონ 54 ათასი მანეთი შეადგინა.

შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ 1984 წლის მანქანათსაშენი ქარხნის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობის მაღწევა (ფულადი გამოხატულებით) XX საუკუნის 50–60-იანი წლების ყველაზე საუკეთესო მახასიათებელს 17,4-ჯერ აჭარბებდა. ტექნიკური სიახლის იდეების შექმნასა და განხორციელებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს პ. ბონდარენკომ, გ. ცინცაძემ, ა. კეკუამ, ი. კალაშნიკმა, კ. პტოინმა, ვ. დოლიძემ, შ. ჩაგუნავამ, გ. ჭეიშვილმა, მ. დუნდუამ, ო. ჯანელიძემ და სხვებმა.

ნოვატორთა ნაწილი ერთობლივად წყვეტდა წარმოების ტექნიკური რაციონალიზაციის, ახალი ტექნოლოგიების საკითხებს. 50-იანი წლების დასასრულს რაციონალიზატორთა კომპლექსურმა ბრიგადამ (ვ. გოლოვკი, ა. ტურენკოვი და სხვები) მოახდინა ხილის დამაქუცმაცებელი მანქანის რეკონსტრუქცია, დააყენეს ახალი კონსტრუქციის ბარაბანი და სხვა დეტალები. ამ სიახლის წლიერმა ფულადმა შემოსავალმა 20 ათასი მანეთი შეადგინა. 60-იანი წლების დასაწყისში ნოვატორთა ჯგუფმა (ვ. დოლიძე, ბ. შერვაშიძე, ლ. კრიშჩუნასი) გააუმჯობესა შამ-

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.58, 76, 76[ა], 86, 88, 103, 129, 130; ფ.რ-980, ან.1, სს.189[ა], 220, 262; საბჭოთა აჭარა, 1982, 14 მაისი.

პანური ღვინის ჩამოსასხმელი ერთ–ერთი კვანძის კონსტ-რუქცია, რითაც წარმოებამ წლიურად ათასობით მანეთის მოგება მიიღო.

წლიურად 84,5 ათას მანეთზე მეტ შემოსავალს იძლეოდა ნოვატორთა ჯგუფის გ. ცინცაძე, ვ. დოლიძე, შ. ჩაგუნავა, გ. ჭეიშვილი, ე. ნარსია, რ. ლიუსარევი) მიერ შექმნილი მექანიკური მოწყობილობა. იგი ქარხანაში დაინერგა 70-იანი წლების დასაწყისში. ამ მოწყობილობით მექანიზებული გახდა ღვინის საცავების შიდა ზედაპირის გაწმენდა–შეღებვა. ამასთანავე დაიზოგა დიდძალი ლითონი და კვების ტექნიკისათვის განკუთვნილი რეზინა, სხვა მასალები, გამოათავისუფლდა რამდენიმე მუშახელი. XX საუკუნის 80–იან წლებში მანქანათსაშენი ქარხნის ნოვატორებმა შექმნეს დაღნობილი ჩაის ფოთლის ფიქსატორი, ჩაის ნედლეულის დასაქუცმაცებელი, საგრეხი და სხვა ახალი მანქანები. მათ შეცვალეს აგრეთვე მანქანადანადგარების კვანძები და სხვა მოწყობილობანი.[1]

ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში არაერთი ტექნიკური სიახლის ავტორი იყო გიორგი ილიასძე ცინცაძე. საყურადრებო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამო 1966 წელს მას მიანიჭეს აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება, ხოლო 1969 წელს წარადგინეს საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდებაზე.

გ. ცინცაძის წინადადებით შეიქმნა ახალი კონსრუქციის მოწყობილობანი, ხელსაწყოები, შეიცვალა კვანძები, აგრეგატებისა და ძრავების დეტალები და სხვა. მის მიერ 1957-1968 წლებში შემუშავებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა ყოველწლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 127,6 ათას მანეთს უდრიდა. იგი ნაყოფიერ ტექნიკურ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა მომდევნო წლებშიც.

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, ს.86, ფურ.196, ს.97, ფურც.32-33; საბჭოთა აჭარა, 1962, 25 აგვისტო; 1981, 14 მაისი, 1985, 21 მაისი.

საყურადღებოა აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორების პავლე ბონდარენკოსა და ივანე კალაშნიკის მიღწევები. ისინი XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული 80-იანი წლების შუა ხანამდე ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში იყვნენ. ჯერ კიდევ 1961 წელს პ. ბონდარენკო საუკეთესო რაციონალიზატორად აღიარეს, ხოლო 1966 წელს აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება მიანიჭეს. იგი 48 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია, რომელთა ყოველწლიური ფულადი შემოსავალი 75165 მანეთს შეადგენდა.

1955—1968 წლებში დაინერგა ი. კალაშნიკის მიერ შემუშავებული 13 რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგიური პროცესები. ტექნიკურ სიახლეთა ეკონომიკური ეფექტიანობა 45,4 ათას მანეთს ითვლიდა. მათგან საყურადრებოა რაციონალიზატორული წინადადება, რომლის დანერგვით შეიცვალა ღვინის შესანახ ბაკზე მილტუჩის კონსტრუქცია. ამის შედეგად წლიურად დაიზოგა 85 ტონა ლითონი, ფულად შემოსავალი 10,5 ათას მანეთს უდრიდა. 1976—1980 წლებში დაინერგა ამავე ავტორის 17 რაციონალიზატორული წინადადება, რომლის შემოსავალი 17991 მანეთს უდრიდა.[1]

ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში საგრძნობი წარმატებები ჰქონდათ მანქანათსაშენი ქარხნის ნოვატორებს ამირან კეკუას, კასპარ პტოიანსა და მიხეილ დუნდუას. ა. კეკუას ჯერ კიდევ 1960 წელს მიანიჭეს პირველი ხარისხის პრემია იმის გამო, რომ მისი წინადადების საფუძველზე შეიქმნა ახალი კონსტრუქციის მანქანა. ამ მანქანის მეშვეობით საჩამოსასხმელო საამქროში ავტომატური გახდა კოქსის დოზირება, დახარისხება და მიწოდება. ამ ტექნიკური სიახლის დანერგვით 4 მუშახელი გამოთავისუფლდა და წარმოებამ მნიშვნელოვანი მოგება ნახა. მიხეილ დონდუა,

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.37, 40, 59, 88; საბჭოთა აჭარა, 1981, 14 მაისი.

რომელიც მანქანათსაშენ ქარხანაში 1942 წლიდან მუშაობდა, 27 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მათი დანერგვის შედეგად მიღებული ფულადი შემოსავალი 27769 ათას მანეთს უდრიდა. 1981 წლისათვის იგი აღიარებული იყო, როგორც საუკეთესო რაციონალიზატორი.[1]

საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში რაციონალიზატორთა რაოდენობა 35–51 შორის მერყეობდა. წლიურად საშუალოდ 45–68 წინადადება შედიოდა, რომელთა დანერგვის კოეფიციენტი 22-დან 41-მდე, ეკონომიკური ეფექტიანობა 16,3 ათასიდან 200 ათას მანეთამდე აღწევდა. მაგალითად, დასახელებული საწარმოს ნოვატორების ერთ ტექნიკური სიახლის შემუშავების და დანერგვის შედეგად საწარმომ მიიღო: 1964 წელს 102,5 ათასი მანეთი მოგება, 1965 წელს–200 ათასი, 1966–1970 წლებში–321,8 ათასი მანეთი, 70–80-იან წლებში ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობის უკუგება საგრძნობლად შემცირდა. 1971 წელს, მაგალითად, იგი 16,3 ათას მანეთს უდრიდა.[2] მეტნაკლებად ასე იყო მომდევნო წლებშიც.

თვალსაჩინო გამომგონებლები და რაციონალიზატორები იყვნენ ე. ხაზანზუნი, გ. არუთინიანი, ს. სამადაშვილი, ბ. ეგიაზაროვი და სხვა. ეფიმ ნატანისძე ხაზანზუნი ადრე ელექტრომექანიკურ ქარხანაში მუშაობდა, ხოლო 1963 წელს სამუშაოდ გადავიდა საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ საწარმოში, სადაც განაგრძო ნაყოფიერი ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობა. მისი წინადადებების საფუძველზე შეიქმნა რეზინის ნაწილებად საჭრელი სპეციალური მანქანა, სარეცხი მანქანის ძრავის ახალი კონსტრუქციის სამაგრი, შეიცვალა კონდესატორის ნაწილები, განხორციელდა ერთ–ერთი დაზგის ავტომატიზაცია და სხვა. 1960–1967 წლებში ე. ხაზანზუნის გამოგონებათა

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, ს.37, ფურც.25; საბჭოთა აჭარა, 1981, 14 მაისი.
[2] აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.67, 76[2], 81, 86, 103, 105, 114.

და რაციონალიზატორული წინადადებების წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 191,1 ათას მანეთს აჭარბებდა.

ნიშანდობლივია, რომ სარეცხი მანქანებისათვის საჭირო რეზინის ნაწილების დასამზადებელი სპეციალური მოწყობილობის წლიური შემოსავალი 65,3 ათას მანეთს უდრიდა, ხოლო ძრავის ახალი კონსტრუქციის სამაგრისა—54,2 ათას მანეთს. ამ მიღწევების გამო ე. ხაზანდუკს 1966 წელს მიანიჭეს აჭარის, ხოლო 1969 წელს — საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება.

სერგო ილიასძე სამადაშვილმა ჯერ კიდევ 1964—1967 წლებში 8 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა, რომელთა განხორციელების შედეგად შეიცვალა სარეცხი მანქანების ნაწილები, ეკონომიკური სარგებლიანობა 40 ათას 816 მანეთს უდრიდა. ამის გამო მას 1967 წელს მიანიჭეს აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება. შესამჩნევი წარმატებები ჰქონდა მთავარ ინჟინერის მოადგილეს გრანტი გიორგისძე ართუნიანს, რომელიც 1969 წელს აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორი გახდა. მის მიერ 1962—1965 წლებში განხორციელებული ტექნიკური სიახლის უკუგება 77,6 ათას მანეთს ითვლიდა. 80-იან წლებში საყოფაცხოვრებო მანქანათასაშენ ქარხანაში დაინერგა ა. კორძაიას და გ. გურგენიძის რაციონალიზატორული წინადადება "გოფრირებული მილის დაბოლოების ახალი კონსტრუქცია", რამაც წარმოებას 198 ათასი მანეთის მოგება მისცა.

საყოფაცხოვრებო მანქანათასაშენ ქარხანაში ნაყოფიერად მუშაობდა 4 კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადა, რომელშიც 14 ნოვატორი ირიცხებოდა. მათ 1972 წელს დანერგეს 3 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა წლიური სარგებელი 24 ათას 250 მანეთს შეადგენდა. კომპლექსურ შემოქმედებით ბრიგადებში გაერთიანებული რაციონალიზატორების წინადადებით დაიწყო ბრაკი რეზინის შლანგების რესტავრაცია, მტვერსასრუტი შლან-

გების ახალი ხერხებით წარმოება, დაინერგა სხვა ტექ-ნიკური სიახლენიც.[1]

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში საგრძნობი მიღწევები გააჩნდათ გემსაშენი ქარხნის რაციონალი-ზატორებს, რომელთა რაოდენობა 1951–1990 წლებში 18–დან 57 კაცამდე გაიზარდა. დანერგილ წინადადებათა რიცხოვნობა მერყეობდა 23–დან 69-მდე, ხოლო ეკონომი-კური უკუგება 11,7 ათასიდან 129 ათას მანეთამდე. საუკეთესო მიღწევები ჰქონდათ 1960–1965 წლებში.

გემთსაშენი ქარხნის რაციონალიზატორებს შორის გამორჩეული იყვნენ ვ. ტაბანოვი, ა. სტრელიაევი, ა. შმა-გინი, პ. ჯორბენაძე, რიჩკოვი, ლ. ბესტაეაშვილი, ო. ხასან–ოღლი, ა. სეიდიშვილი და სხვები. მაგალითად, ვლადიმერ ანისიმისძე ტაბანოვმა 1960 წელს შეიმუშავა 28, ხოლო 1963 წელს 17 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან უმეტესობა წარმოებაში დაინერგა. მისი წინადადებების დანერგვის შედეგად რაციონალიზატორუ-ლი გახდა წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, გაუმ-ჯობესდა ხელსაწყო–მოწყობილობათა კონსტრუქცია, გემე-ბის მშენებლობისათვის საჭირო დეტალები, დაიწყეს პლასტმასური მასალების გამოყენება და სხვა. ანალოგი-ური მიღწევები ჰქონდა გემთსაშენი ქარხნის ზეინკალ-ინსტრუმენტალისტს ანატოლი ალექსანდრესძე სტრე-ლიაევს. თვალსაჩინო მიღწევების გამო მათ 1967 წელს მიენიჭათ აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება.

ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში შესამჩნევი მიღწევები აღინიშნა ელექტრომექანიკური მრეწველობის საწარმოებ-ში. ქარხანა ელექტროხელსაწყოში (შემდგომში ტრანს-ფორმატორები) 1959 წელს აღირიცხა 27 რაციონალიზატო-რი, 1965 წელს–29, 1973 წელს–45. მეტნაკლებად ასე იყო

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, ს.97, ფურც.38; ს.88, ფურც.34, 55, 56; ს.116, ფურც.33, 107, 109; საბჭოთა აჭარა, 1976, 18 დეკემბერი; აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1981-1984 წლების მასალები). ბათ., 1984, გვ.10.

სხვა წლებშიც. 60–80-იან წლებში მათ საწარმოში ათეულობით რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს, რომელთა დანერგვის შედეგად გაუმჯობესდა ნაკეთობათა დეტალები, შეიქმნა ახალი მოწყობილობანი, აგრეგატები და სხვა.

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში დანერგვის შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური უკუგება მერყეობდა 56,2 ათასი მანეთიდან 453,1 ათას მანეთს შორის. ამ მხრივ მაღალი მიღწევები იყო 1966 წელს–(201 ათასი მანეთი), 1967 წელს (453,1 ათასი) და 1968 წელს (410 ათასი).[1]

თვალსაჩინო გამომგონებლები და რაციონალიზატორები იყვნენ: ა. ჯიჯავაძე, ნ. ფეოდორიდი, ვ. ვოდოლაუსკი, შ. გოგიჩაიშვილი, ა. სიმოენიდი, ნ. ავალიშვილი და სხვები. ქარხანაში ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ კომპლექსური ბრიგადები, რომელთა რიცხვი 3-მდე აღწევდა. ერთ–ერთმა ბრიგადამ შეიმუშავა რაციონალიზატორული წინადადება შუქტექნის ახალისახეობის შექმნის შესახებ. ამ ტექნიკურ სიახლის დანერგვის შედეგად საწარმო წლიურად იღებდა 410 ათას მანეთს.

მნიშვნელოვანი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორი იყო აკაკი სულეიმანის ძე ჯიჯავაძე. საყურადღებოა ტრანსფორმატორების დამუხტვის აგრეგატი, ნაკეთობათა ახალი ნაწილები, მტვერსასრუტის კარკასი და სხვა. მის მიერ 1963 1967 წლებში შემუშავებული და დანერგილი ტექნიკური სიახლის წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 128 ათას მანეთს უდრიდა. კიდევ უფრო მაღალი მიღწევები ჰქონდა მომდევნო წლებში. სამაგალითო ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობის გამო ა. ჯიჯავაძეს ჯერ კიდევ 1969

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.12, 37, 40, 47, 55, 59, 86, 103, 105; ფ.რ-455, ან.1, სს. 337, 404, 448, 470, 488, 510.

წელს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება.[1]

წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებაში, მათი ახალი სახეობების შექმნაში საგრძნობი დამსახურება მიუძღვის ტრანსფორმატორების ქარხნის ნოვატორს ვლადიმერ პავლესძე ვოდოლაუკის. მან გამოიგონა მცირე გაბარიტის ნახევრადავტომატური სახვევი დაზგა, შეცვალა ავტოტრანსფორმატორის კონსტრუქცია, გასაუღენთი თხევადი მასალების დამზადების ტექნოლოგია და შემადგენლობა, კინემატიკური სქემის გამოყენებით გაზარდა სახვევი დაზგის სიჩქარე. შეიმუშავა შუქტექნიკის დამზადების მაღალეფექტიანი ხერხები და სხვა. ვ. ვოდოლაუკის მიერ 1964—1968 წლებში დანერგილი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების წლიური ეკონომიკური უკუგება 180,5 ათას მანეთს ითვლიდა. აქედან 87,5 ათას მანეთ წლიურ შემოსავალს იძლეოდა მცირე გაბარიტის ნახევრადავტომატური სახვევი დაზგა. ამ მიღწევების გამო ვ. ვოდოლაუსკი აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორი გახდა. ეს წოდება მიანიჭეს აგრეთვე ტრანსფორმატორების ქარხნის ნოვატორებს არისტოტელე სიტორისძე სიმოენიდს და ნიკოლოზ გიორგისძე ფეოდორიდს.

ელექტრომექანიკური ქარხნის ნოვატორებს შორის თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ ბ. ლომთაძეს, ო. ბასილაძეს, შ. ფლევიძეს, გ. კუჭუხიძეს და სხვებს. ბორის ანთიმოზისძე ლომთაძემ შეიტანა წინადადება ელექტროკარის ბაქნის მექანიკური ამწის ჰიდრიოვლიკურით შეცვლის შესახებ. ამ სიახლის დანერგვით ელექტროკარის თვითამწეობა 750-დან 1000 კგ-მდე გაიზარდა.ამასთან შემცირდა მანქანის წონა და იგი ტექნიკურად სრულყოფილი გახდა. აღნიშნული სიახლის დანერგვით საწარმოს წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 1,6 მილიონ მანეთს აჭარბებდა.

---

[1] იქვე. ს.86, ფურც.8, 23, 57; ს.88, ფურც.42.

ასეთი მნიშვნელოვანი მიღწევების გამო ბ. ლომთაძეს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება.[1]

ქიმიურ–ფარმაცევტულ ქარხანაში XX საუკუნის 50–80-იან წლებში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რაოდენობა 9-დან 50 კაცს შორის მერყეობდა. შემოქმედებითი საქმიანობაში მნიშვნელოვანი მიღწევები გააჩნდა ი. აბაჯიდს, ბ. მაისურაძეს, გ. ჩიხლაძეს, ბ. ბოჭორიშვილს, ე. ბოჭორიშვილს და სხვა. 50-იანი წლების ბოლოს გ. ჩიხლაძის, ე. ბოჭორიშვილის და სხვა წინადადებით შეიცვალა პრეპარატ "ომაინის" წარმოების ტექნოლოგია. ეს სიახლე იმით გამოიხატა, რომ ძვირადღირებული ქროლოფირის ხსნარი შეივვალა იაფი დისლორატირით. ამ სიახლემ წარმოებას წლიურად 40 ათასი მანეთი მოგება მისცა.[2]

ე. ბოჭორიშვილის წინადადებით განხორციელდა პრეპარატ "ომაინის" წარმოების მანქანის რეკონსტრუქცია. მის შემდეგ აღნიშნული პრეპარატის დაფასოება და დოზირება ავტომატურად ხდებოდა, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ინჟინერ-ტექნოლოგიის ბ. ბოჭორიშვილის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდები "კოლხამაინის" ექსტრაქტის ხსნარის წარმოების შესახებ. ამ გამოგონების წლიური პირობითი ეკონომიკური უკუგება 202,9 ათას მანეთს უდრიდა.[3]

მნიშვნელოვანი ტექნიკურ–ეკონომიკური შედეგები ჰქონდა ტექნოლოგ გ. მაისურაძის წინადადების დანერვას – ორთქლის წარმოების აპარატის რეკონსტრუქციის შესახებ. ამის შედეგად ნედლეულიდან კოფეინის გამოსავლიანობა 1 კგ–ზე 70 გრამით გაიზარდა. 70-იანი წლების მდგომარეობით ეს ტექნიკური სიახლე წლიურად დამატებით

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, ს.88, ფურც.35-36; საბჭოთა აჭარა, 1965, 10 თებერვალი.
[2] აცსა, ფ.რ-394, ან.1, ს.6, ფურც.2; ს.12, ფურც.17.
[3] იქვე, ს.2, ფურც.17; ს.35, ფურც.21; ს.59, ფურც.39.

იძლეოდა 2072 კგ კოფეინის, რაც ფულზე გადაყვანით 142,6 ათას მანეთს შეადგენდ.[1]

არაერთი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორები იყვნენ კ. კეროპიანი, ი. აბაჯიდი, ჩ. ჩიხლაძე. მათი წინადადებების საფუძველზე მოხდა პრეპარატ კელინის წარმოების ქვაბის რეკონსტრუქცია, დაინერგა პლატიფილინის წარმოების ახალი მეთოდები, შეიქმნა "ომაინის" ექსტრატის ხსნარი, განხორციელდა სხვა ტექნიკური და ტექნოლოგიური სიხლენი, მათ ბ. ბოჭორიშვილთან ერთად მიანიჭეს აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება. ჩიტო ჩიხლაძე, რომელიც ქიმიურ ფარმაცევტულ ქარხანაში ცენტრალური ლაბორატორიიეს გამგედ მუშაობდა, 1980 წელს აღიარეს საუკეთესო რაციონალიზატორად, ხოლო 1983 წელს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების პრემიის ლაურეატე გახდა ქალთა შორის. კვების მრეწველობაში, სადაც სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე მეტი იყო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები და წევრები (1973 წელს იყო 22 პირველად ორგანიზაცია 1372 წევრით). მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა მხოლოდ ზოგიერთ პიროვნებას. მაგალითად, 1951 წელს ბათუმის ციტრუსკომბინატის ხარატმა ხ. გეჯიბიანმა გამოიგონა ახალი კონსტრუქციის მანქანა, რომელიც ერთდროულად ხილს რეცხავდა და ახარისხებდა. მის მიერ შექმნილი მეორე ახალი მანქანა ხილის ნაყოფს კანს ავტომატურად აცლიდა. ხ. გეჯიბიანის მიერ შექმნილმა ახალი კონსტრუქციის მანქანებმა რამდენიმე მუშის შრომა გამოათავისუფლა და საწარმოს დიდძალ მოგებას აძლევდა.

საყურედღებო რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორები იყვნენ ლ. ეტიმიანი, გ. ნასყიდაშვილი, ღ. ტუღუში. მათ მიერ 1959წელს შემუშავებული იდეის საფუძ-

---

[1] იქვე, ს.86, ფურც.255; ფ.რ-98, ან.1, ს.944, ფურც.46.

ველზე ციტრუსკომბინატის სათბობი ვაკუუმის აპარატში დაიდგა ახალი კონსტრუქციის კონდენსატორი, რითაც შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად კაიზარდა. 1964 წელს ციტრუსკომბინატის ნოვატორების მიერ შეტანილი და დანერგილი რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტიანობა 354 ათას მანეთს შეადგენდა. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა აღარ იგრძნობოდა.

საყურადღებო ტექნიკურ სიახლეს წარმოადგენდა აჭარის პურკომბინატის ზეინკლის ა. კაზაროვისა და მონტიორ დ. ბოტინის გამოგონებები. . კაზაროვმა 1954 წელს გამოიგონა ცომის დასამრგვალებელი მანქანა. იგი 7-ჯერ მსუბუქი იყო, ვიდრე არსებული "სკ" ტიპის მანქანა და ხარჯავდა 3-ჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას. . კაზაროვის მიერ შექმნილი მანქანა ერთდროულად რამდენიმე ოპერაციას ასრულებდა და შესაძლებელი იყო სხვადასხვა ხარისხის, მათ შორის ჭვავის ფქვილის ცომის დაგუნდავება. დ. ბოტინმა 1956 წელს შექმნა ციცხვიანი ამწე, რითაც პურკომბინატის სპეციალური საქვაბეებიდან წიდის გამოტანა მექანიზებული გახდა.[1]

აჭყვის ჩაის ფაბრიკის თანამშრომლებმა ა. ბესკოროვანოვმა 1957 წელს გააკეთა სატვირთო ავტომანქანის მოდელი, რომელითაც შესაძლებელი იყო ჩაის ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის უტაროდ გადაზიდვა და ამავე დროს დატვირთა–გადმოტვირთვა მექანიზებულად წარმოებდა. ეს სიახლე მაშინდელ პირობებში აჭარის ჩაის ფაბრიკებს აძლევდა 184 ათას 925 მანეთს მოგებას, ხოლო ოზურგეთისას–513 ათას 875 მანეთს. აჭარის ციტრუსების შემფუთავ ქარხნების წლიური უკუგება 3 მილიონ 975 ათას მანეთს უდრიდა.[2]

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.59, 88, 130; ან.1, სს.2, 4, 12; აცსა, პპოგ, ფ.1, ან.35, ს.13, ფურც.13; საბჭოთა აჭარა, 1951, 25 დეკემბერი; 1959, 7 აპრილი.
[2] აცსა, ფ.რ-394, ან.1, ს.38, ფურც.4, 18, 28, 29.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩაქვის ჩაის ფაბრიკის ინჟინერ–ტექნოლოგის მ. გვიბერიძის რაციონალიზატორული წინადადებები, რომელთა საფუძველზე შეიქმნა ბადეწმენდავი, ბუნკერ–დოზატორი და ბაიხაო ჩაის დახარისხების უწყვეტი ნაკადური ხაზი. ეს წინადადებები მან წამოაყენა 1967 წელს და 1970 წელს დაინერგა ჩაქვის №1 და აჭყვის ჩაის ფაბრიკებში. 1973 წლისათვის ნაკადური ხაზი დანერგილი იყო საქართველოს ყველა ჩაის ფაბრიკაში. ამ სიახლით ჩაის მრეწველობაში გამოთავისუფლდა 700 კაცი, ხოლო შრომის ნაყოფიერება 50%-ით გაიზარდა, ეკონომიკური ეფექტიანობა კი 1 მილიონ მანეთს შეადგენდა.[1]

ციხისძირის სახელმწიფო მეურნეობის აგრონომმა გ. ნასყიდაშვილმა 1960 წელს შექმნა ციტრუსოვანთა ნარგავების ფუმიგაციის სპეციალური გენერატორი, რომელიც ბამბუკის ღეროსაგან მზადდებოდა.მას დიდი უპირატესობა ენიჭებოდა მანამდე მოქმედ თიხისაგან დამზადებულ გენერატორთან შედარებით. საინტერეს იყო ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის და ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის მექანიზატორების ა. რიონიძისა და ი. სიგიტოვის გამოგონებები. 70-იანი წლების დასაწყისში მათ შექმნეს მცენარეთა ნარგავების შხამქიმიკატებით შესაწამლავი ავტომატური აპარატი (ა. რიონიძე) და "დტ-20" მარკის ტრაქტორზე მისაბმელი ბარაბანი (ი. სიგიტოვი), რომლითაც შესაძლებელი გახდა დიდი სიგრძის რეზინის შლანგის ავტომატურად გაშლა–დახვევა. ამ სიახლეთა დანერგვის შედეგად შრომის ნაყოფირება 2,5-ჯერ გაიზარდა და რამდენიმე მუშის შრომა გამოთავისუფლდა.[2]

მნიშვნელოვან ტექნიკურ სიახლეს წარმოადგენდა ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის გამოგონება, რომლის ავტორია ბათუმის ხისდამამუშავებელი კომბინატის მუშა ანზორ ივანესძე ანთიძე. მანქანის მაკეტი მან 1949 წელს

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, ს.125, ფურც. 43.

[2] იქვე, ს.47, ფურც.16; ს.51, ფურც.9, 38, 42; ს.86, ფურც.183.

გააკეთა, ხოლო 1955–1956 წლებში მისი შემოწმება მიმდინარეობდა ქ. თბილისში. 1968 წელს ა. ანთაძემ სსრ კავშირის აღმოჩენათა და გამოგონებათა სახელმწიფო კომიტეტის დიპლომიც მიიღო. სამწუხაროდ, ეს გამოგონება სოფლის მეურნეობაში ფართოდ არ დანერგილა. ასევე ვერ დაინერგა აბრეშუმის პარკის სახვეწი მანქანა, რომელიც ლ. შიშმანიძემ გამოიგონა 70-იან წლებში. მოტივად ის გამოიყენეს, რომ აბრეშუმის პარკის წარმოება ხდებოდა ინდივიდუალურად.[1]

არაერთი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორია "ბათუმრეწვაჭრობის" მექანიკოსი ე. მანეასი. 60–70-იან წლებში მან გამოიგონა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამხარისხებელი მანქანა, ამ პროდუქციის გადატანის უკანდაბრუნებადი საკეცი ტარა, რომელიც დამზადდებოდა ლითონის ფურცლებისა და პლატმასისაგან, აგრეთვე ავტომობილების სარეცხი ჩოთქი (ავტოსამრეცხაოებისათვის), მაცივრების აგრეგატების გაცივების ჩამკეტი სისტემა. ეს უკანასკნელი იძლეოდა დიდი რაოდენობის სასმელი წყლის ეკონომიას და სხვა.[2]

მშენებლობასა და საშენი მასალების მრეწველობაში საყურადღებო წარმატებები მოიპოვეს ნოვატორებმა ვ.ავრამოვმა, ნ. ჭყონიამ, შ. ბუაძემ, ა. გურგენიძემ, ს. ჩილიკიდმა და სხვებმა. მათ შორის გამორჩეული იყო ვლადიმერ ავრამოვი, რომელიც წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა №5 სამშენებლო ტრესტის საწარმო წარმოების კომბინატის მთავარ ენერგეტიკოსად. 60–იან წლებში მან შექმნა პემზაბეტონის ფილების დამზადების მოწყობილობა, ახალი კონსტრუქციის საჩარხი, არმატურის ჟანგისაგან გამწმენდი და წვრილი საკედლო ბლოკების წარმოების მექანიზებული დაზგები, რეზინის საჭრელი ავტომატური მანქანა, არმატურის ელექტროგამახურებელი და სხვა.

---

[1] იქვე, ს.51, ფურც.108; ს.73, ფურც.48, 90.
[2] აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.47, 52, 71, 73, 38, 117.

ვ. ავრამოვის მიერ შემუშავებული და დანერგილი ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლენი დიდი მნიშვნელობისა იყო. ამ სიახლეთა წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა ასიათასობით მანეთს შეადგენდა. მარტო ერთი გამოგონება—პემზაბეტონის ფილების დამზადების მოწყობილობა, რომელიც 1965 წელს დაინერგა "პიცუნდმშენენში" (ბიჭვინთა), წლიურად იძლეოდა 293 ათას მანეთ მოგებას. წვრილი საკედლე ბლოკების წარმოების მექანიზებული დაზგის გამოყენება №5 სამშენებლო ტრესტს წლიურად აძლევდა 196 ათას მანეთ უკუგებას. მაღალი მიღწევების გამო ვ. ავრამოვს 1967 წელს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული რაციონალისტურის წოდება.[1]

საგრძნობი ეკონომიკური ეფექტიანობა ჰქონდა სახლთსაშენი კომბინატის ნოვატორთა ჯგუფის (ე. ხვიჩია, ვ. ფეოდოროვი, ზ. პაიჭაძე) რაციონალიზატორულ წინადადებას, რომელიც დაინერგა 80—იან წლებში. ამ წინადადებათა საფუძველზე შეიქმნა უნიფიცირებული ლითონის დასაშლელი ჩარჩო, რომელსაც იყენებდნენ გარე საკედლე პანელის ფორმირებისათვის. ამის შედეგად შესამჩნევად გაიზარდა ბრუნვა და მათი რემონტის საჭიროება მინიმუმამდე შემცირდა. ამასთან გამოთავისუფლდა 12 მუშაკი და წლიურად დაიზოგა 51,6 ტონა შავი ლითონი.

70-იანი წლების დასაწყისში მამია ნიკოლოზისძე ცაგარელის რაციონალიზაცორული წინადადებებით შეიქმნა ახალი ტექნიკა (ელექტროგამახურებელი, ლინზოფორი. ფოტოელემენტის აპარატი, ტროლეიბუსების ანძის მოსახვევში გამოვარდნის საწინააღმდეგო მოწყობილობა და სხვა). ისინი დაინერგა საბინაო—კომუნალურ, საყოფაცხოვრებო მომსახურების და ტრანსპორტის სფეროში. ელექტროიგამახურებელი და ფოტოელემენტის მოწყობილობა დაინერგა ქალაქის წარმოება—დაწესებულებებისა და საცხოვრებელი სახლების ორთქლის საქვაბეებში. იგი იძლეო-

---

[1] იქვე, სს.52, 71, 73, 88.

და დიდძალი თხევადი სათბობის ეკონომიას და ატმოსფეროს იცავდა გამონაბოლი კვამლის გაჭუჭყიანებისაგან.[1]

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებიდან მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდათ ბათუმის ნავსადგურისა და საქართველოს სანაოსნოს სააუზო სამსახურის ნოვატორებს. ნავსადგურში, სადაც 50–80-იან წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 50–60-მდე ნოვატორი ითვლებოდა, ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობით გამორჩეული იყვნენ: რ. კობეშავიძე, ა. გურგენაძე, შ. შათირიშვილი, ნ. სახნოვსკი, ა. სერდიუკი, ა. აბგარიანი, ვ. ნოსნიკოვი, მ. ტაბანოვი, ბ. ლომთაძე, ა. გუზიარი, ნ. ბრეუსი და სხვები.

ნავსადგურის ნოვატორების წინადადებათა დანერგვით საგრძნობლად გაუმჯობესდა სამაცივრო დანადგარები, დატვირთვა–გადმორტვირთვის მექანიზმები, შეიქმნა ხომალდების, ავტომტვირთავებისა და სხვა მანქანების ახალი ნაწილები და დეტალები, რითაც შესამჩნევად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, ხოლო საწარმომ მნიშვნელოვანი უკუგება მიიღო. 1966 წელს ნოვატორების გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა 159,2 ათას მანეთს უდრიდა. ნავსადგურის უფროსის ბ. ლომთაძის წინადადებით 1967 წელს განხორციელდა საშენი მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზაცია, რაც საწარმოს წლიურად აძლევდა 100 ათას მანეთის მოგებას.

კიდევ უფრო მაღალი მიღწევები იყო 70–80-იან წლებში. 1973 წლის სექტემბერში განხორციელდა პნევმოდანადგარების ტექნიკური რეკონსტრუქცია, რაც საწარმოს ყოველწლიურად აძლევდა 400 ათასი მანეთის უკუგებას. 1977 წელს ნოვატორთა საქმიანობის ეკონომიკურმა ეფექტიანობამ 277 ათასი, 1980 წელს–178,4 ათასი მანეთი

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1985, 21 მაისი; აცსა, ფ.რ-394, ან.1, ს.116, ფურც.209-212; ს.117, ფურც.47-51.

შეადგინა.[1] 1983 წელს ნავსადგურის რაციონალიზატორები ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით პირველ ადგილზე გავიდნენ. თვალსაჩინო მიღწევების გამო შ. შათირიშვილი და ა. აბგარიანი 1977 წელს აღიარეს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის საუკეთესო რაციონალიზატორებად.

ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში საყურადღებო მიღწევები ჰქონდა ნავსადგურის მექანიკოსს რ. კობეშავიძეს. მან 60–80-იან წლებში ათეულობით რაციონალიზატორული წინადადება დანერგა, რამაც საწარმოს მნიშვნელოვანი მოგება მისცა. მხოლოდ 1982 წელს 5 რაციონალიზატორული წინადადება დანერგა, რომლის ეკონომიკური უკუგება 23,7 ათას მანეთს უდრიდა. 1984 წელს რ. კობეშავიძის მიერ დანერგილი ტექნიკური სიახლით 23 მუშა გამოჯთავისუფლდა მძიმე ფიზიკური შრომისაგან. 1990 წელს ნავსადგურის მექანიკოსებმა ა. გუზიარმა და ა. ბრენდამ დანერგა 14 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიკური ეფექტიანობა 640,8 ათას მანეთს აჭარბებდა. ეს მაჩვენებელი საუკეთესო მიღწევად ითვლებოდა.[2]

საქართველოს სანაოსნოს სააუზო სისტემაში, 1970 წლის ცნობით, 236 რაციონალიზატორი მუშაობდა. ეს რიცხვი მომდევნო წლებში გაიზარდა. მათი ნოვატორული მუშაობით საგრძნობლად გაუმჯობესდა სანაოსნოს გემების მოწყობილობანი, დანადგარები, შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა. საგრძნობლად მაღალი იყო ამ საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობა. 1968 წელს იგი უდრიდა 130,5 ათას მანეთს, 1969 წელს–173 ათას, 1970 წელს–235 ათას, 1971 წელს–278 ათას, 1972 წელს–223 ათას მანეთს.[3]

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, ს.71, ფურც.9; ს.125, ფურც.18; ფ.რ-60, ან.1, ს.953, ფურ. 44; ს.1064, ფურც.66; Советская Аджария, 1967, 9 августа.

[2] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1603, ფურც.164; ბათუმის ნავსადგურის მიმდინარე არქივი.

[3] აცსა, ფ.რ-394, ან.1, სს.82, 99, 105, 114, 116.

რკინიგზის ტრანსპორტის აჭარის საწარმოებში (სატ-ვირთო სადგური, სავაგონო და სალოკომოტივო დეპოები) ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობით ყურადღებას იმსახურებს ა. კვაჭაძე, ვ. ცომაია, ვ. ხუხუნაიშვილი, ლ. თავაძე, ა. კაზარიანი, მ. კილაძე და სხვები. საავტომობილო ტრანსპორტზე შესამჩნევი წარმატებები მოიპოვა მსუბუქი ტაქსამატორების საწარმოს ზეინკალმა მ. ბალაშოვმა. მან 70–იან წლებში გამოიგონა ავტომანქანის რემონტის ჩასატარებლად საჭირო ამწე და ავტომობილის ბორბლის გაწონასწორების მოწყობილობა. აღნიშნული გამოგონებები მნიშვნელოვან მოგებას იძლეოდა. 80-იან წლებში მ. ბალაშოვს კიდევ უფრო მეტი მიღწევები ჰქონდა, რის გამოც აღიარებული იყო "საუკეთესო რაციონალიზატორად".

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა სამეცნიერო–ტექნიკურ საზოგადოებას, რომელიც აჭარაში 1958 წელს შეიქმნა. 1961 წელს იგი აერთიანებდა 24 პირველად ორგანიზაციას, სადაც 600 წევრი ირიცხებოდა. 1984 წელს აჭარის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების რაოდენობა 275-მდე (11,5-ჯერ), ხოლო წევრების რიცხვი 16800 კაცამდე (28-ჯერ) გაიზარდა.

სამეცნიერო–ტექნიკური საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოსთან შეიქმნა დარგობრივი კომისიები, ხოლო 1959 წლის 18 მარტს ქ. ბათუმში ფუნქციონირება დაიწყო ტექნიკის საოლქო სახლმა. ცხადია, ყოველივე ეს იყო მნიშვნელოვანი ღონისძიება, რითაც განმტკიცდა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკების შემოქმედებითი კავშირი. აჭარის ტექნიკის საოლქო სახლი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პოპულარიზაციის მთავარ ცენტრად იქცა, სადაც ყოველწლიურად ეწყობოდა კონფერენციები, სიმპოზიუმები, თათბირები, სემინარები, გამოფენები. ტარდებოდა ლექცია–მოხსენებები და კონსულტაციები. ასეთი

მუშაობით საგრძნობლად ამაღლდა ინდუსტრიული კადრების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონე.

ამ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერები და წარმოების წამყვანი სპეციალისტები. 1961 წელს ტექნიკის საოლქო სახლის ინიციატივით ჩატარდა 100-ზე მეტი ღონისძიება, რომერლშიც 5000 კაცი მონაწილეობდა. ანალოგიური მუშაობა მიმდინარეობდა სხვა დროსაც. მაგალითად, 1972 წელს გაიმართა 12 სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია და თათბირი, 24 სემინარი, 60 ლექცია და მოეწყო 6 გამოფენა.[1]

მომდევნო წლებში ამ მიმართულებით მუშაობა საგრძნობლად გაფართოვდა. 1980 წელს ჩატარდა 13 სიმპოზიუმი, კონფერენცია, შეკრება, 24 თათბირი, 69 სემინარი, 335 ლექცია, რასაც ათასობით მსმენელი დაესწრო.[2] ისინი ინტერესით გაეცნენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას. სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე წაკითხული თემებიდან თეორიული და პრაქტიკულ—გამოყენებითი მნიშვნელობით გამოირჩეოდა: "ფოლადი და კრიოგენური ტექნიკის შენადნობები", "კოროზია და ლითონის დაცვა ნესტიან სუბტროპიკებში", "ორგანული სინთეზის თანამედროვე მიმწევები:, "სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ახალი აპარატები", "მეტროლოგია—ჯამრთელობის სამსახურში" და სხვა.

ცხადია, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა, სამეცნიერო—ტექნიკური საზოგადოებების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარდა წარმოების ტექნოკური პროგრესი, შეიქმნა ახალი ტექნიკა და

---

[1] აცსა, ფ.რ-394, ან.1, ს.41, ფურც.306-307; აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. ბათ., 1975, გვ.18-19; აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1980-1981 წლების მასალები) ბათ., 1981, გვ.13; აჭარის პროლფკავშირული ორგანიზაციები (1981-1984 წლების მასალები), ბათ., 1984, გვ.12.

გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესები. ამავე დროს ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედებითი შესაძლებლიბანი მთლიანად არ იყო გამოყენებული. ამის მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ "საბჭოთა სისტემაში", ეკონომიკის მართვის ბრძანებლურ–ადმინისტრაციულ მეთოდებსა და ფორმებში.

თავი მეხუთე
აჭარაში დემოგრაფიული მდგომარეობა და მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა

1. დემოგრაფიული მდგომარეობა

XX საუკუნის 40–80-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აჭარის მოსახლეობის დემოგრაფიულ მდგომარეობაში. მართალია, მეორე მსოფლიო ომისა და 1949–1951 წლების დეპორტაციის შედეგად, მოსახლეობის რაოდენობა ომამდელ დონესთან შედარებით შემცირდა: 1950 წელს 203,9 ათასამდე, 1951 წელს--201,7 ათასს, ხოლო 1952 წელს–200,6 ათასამდე.[1] 1953 წლიდან იწყება აღმავლობა და მან შეუქცევადი ხასიათი შეიძინა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მისახლეობის ზრდის დინამიკა ასახულია ქვემოთ (ცხრილი 1).[2]

ცხრილი 1.

წლები	მთელი მოსახლეობა /ათასობით/	მათ შორის		ხვედრითი წონა /პროცენტობით/	
		ქალაქის	სოფლის	ქალაქის	სოფლის
1940	204,4	79,2	125,2	38,7	61,3
1953	202,3	75,4	126,9	37,3	62,7
1959	245,3	110,8	134,5	45,2	54,8
1970	309,8	136,8	173,0	44,2	55,8
1979	354,2	160,1	194,1	45,3	54,7
1989	392,4	181,3	211,1	46,2	53,8

[1] აჭ'რის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული , ბათ., 1977, გვ.11.

[2] იხ. სტატისტიკური კრებულები: აჭარის სახალხო მეურნეობა, ბათ., ბათ., 1977, გვ.11; საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.12; საქართველოს დასახლებული პუნქტები და მოსახლეობა, თბ., 1991, გვ.43.

1953–1988 წლებში აჭარის მოსახლეობა გაიზარდა 190,1 ათასით (1,9-ჯერ), ე.ი. თითქმის გაორკეცდა. ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 2,7% შეადგინა. 1953–1958 წლებში ავტონომიურ რესპუბლიკას შეემატა 43 ათასი სული, 1959–1969 წლებში–54,5 ათასი, 1970–1979 წლებში–44,5 ათასი, ხოლო მომდევნო ათწლეულში–38,2 ათასი. მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩეოდა 50-იანი წლების მეორე ნახევარი (3,5%) და 60-იანი წლები (2,4%). მომდევნო წლებში შესამჩნევად შემცირდა. XX საუკუნის 70-იან წლებში მოსახლეობის ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 1,5%, ხოლო 1981–1988 წლებში–1,1% შეადგინა.

აჭარა, განსაკუთრებით მთიანეთი, ყოველთვის გამოირჩეოდა მოსახლეობის სიჭარბით. ადრე აქედან ჭარბი მოსახლეობა ჩაასახლეს ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში. ამ მდგომარეობის გამო არ შემცირებულა ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის საერთო რაოდენობა, მაგრამ მომდევნო ოცწლეულში სურათი შეიცვალა. XX საუკუნის 70–80-იან წლებში აჭარის მოსახლეობის როგორც აბსოლუტური ისე ფარდობითი შემცირება აიხსნება იმით, რომ აჭარიდან მაცხოვრებელთა ნაწილი ჩაასახლეს ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ, საქართველოს იმ მხარეში, სადაც ამის შესაძლებლობა იყო. ამასთან ერთად XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო უცხო ეთნიკური წარმომავლობის მაცხოვრებელთა სხვა ქვეყნებში, უწინარესად თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება.

აჭარაში 1951–1989 წლებში ქალაქად მოსახლეობის ზრდის ტემპმა შესამჩნევად მოიმატა. ამის შედეგად იგი 2,4-ჯერ გაიზარდა, ხოლო სოფლად–1,6-ჯერ და მეტად. ქალაქის მოსახლეობის დაჩქარებული ზრდა დამახასიათებელი იყო არამარტო საქართველოს, კერძოდ, აჭარისათვის. იგი გლობალური პროცესია. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული საქართველოში ქალაქის მოსახ-

ლეობამ საგრძნობლად გადააჭარბა სოფლისას და 1987 წელს საერთო ჯამის 54,6%, ხოლო 1989 წელს — 55,3% შეადგინა.

აჭარის მოსახლეობის საერთო მასაში ქალაქის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად იზრდება 1955 წლიდან და 1989 წლამდე მისი ფარდობითი მახასიათებელი 42,6—46,3% შორის მერყეობდა. ამ ზრდის მიუხედავად იგი როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მახასიათებლით შესამჩნევად ჩამორჩებოდა სოფლისას.

ომისშემდგომ წლებში აჭარაში მოსახლეობის ბუნებრივი მატება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ გზით 1951—1960 წლებში შეემატა 49645 სული, მომდევნო ათწლეულში—58824, ხოლო 1971—1980 წლებში—51811 კაცი. აქ მოსახლეობის ბუნებრივი მატება გაცილებით მაღალი იყო ვიდრე საშუალოდ საქართველოში. იგი საგრძნობლად აღემატებოდა აფხაზეთს და საქართველოს დანარჩენ ისტორიულ მხარეებს. მთლიანი საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის ბუნებრივი მატება ყოველ ათას კაცზე შეადგენდა: 1960 წელს—18,2 სულს, 1970 წელს—11,9-ს, მეტნაკლებად ასე იყო მომდევნო წლებშიც. აჭარაში აღნიშნული მახასიათებელი შეადგენდა:1955 წელს —22,3 კაცს, 1960 წელს—23,9, 1970 წელს—18,2 კაცს. 1972 წლიდან კლება დაიწყო და ამის შემდეგ იგი მერყეობდა 13,4-დან 16,9 სულამდე.[1]

მოსახლეობის ბუნებრივი მატება კვლავინდებურად მაღალი იყო სოფლად. 1951—1960 წლებში სოფელზე მოდიოდა აჭარის მოსახლეობის საერთო ბუნებრივი მატების 78,8% (35000 სული), 1961—1970 წლებში—71,7% (42192 სული), 1971—1980 წლებში—71% (36724 სული). მექანიკური მოძრაობის შედეგად ქალაქს შეემატა 1951—1960 წლებში 10871 მაცხოვრებელი, 1961—1970 წლებში—12162, ხოლო 1971—1980 წლებში—14088. მეტნაკლებად ასეთი სურათი

---

[1] ცნობები მოყვანილია საქართველოსა და აჭარის სტატისტიკური კრებულებიდან.

გვაქვს მომდევნო წლებშიც.[1] გარკვეულ ინტერეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმსა და რაიონების მასშტაბით მოსახლეობის განსახლების გეოგრაფია, რაზედაც წარმოდგენას გვიქმნის მე-2 ცხრილი /ათასობით სული/.[2]

ცხრილი 2.

ქალაქი და რაიონები	1926წ.	1939წ.	1959წ.	1970წ.	1979წ.	1989წ.
ქ. ბათუმი	48,5	70,0	82,3	100,6	122,8	136,9
ქობულეთის რაიონი	20,0	41,5	54,4	70,7	78,4	88,2
ხელვაჩაურის რაიონი	27,4	33,1	42,7	61,9	71,9	82,2
ქედის რაიონი	11,4	17,0	17,2	19,1	19,2	20,1
ხულოს რაიონი	28,7	22,5	28,2	34,3	38,8	39,6
შუახევის რაიონი	–	16,5	20,3	23,2	23,1	25,4

ბათუმს მოსახლეობის რაოდენობით 1926 წელს საქართველოს ქალაქებს შორის მეორე ადგილი ეკავა, მაგრამ მომდევნო წლებში ქუთაისმა გაუსწრო და მესამე

[1] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

ადგილზე გადაინაცვლა. 1975 წლიდან რიგით მეოთხე ადგილი ეკავა /თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის შემდეგ/. ქობულეთის რაიონში მოსახლეობის რაოდენობა 4,4-ჯერ, ხოლო ბათუმის რაიონში–3,0-0ჯერ გაიზარდა. რაოდენობრივი ზრდის ასეთი ტემპი განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნული რაიონების ბარად მნიშვნელოვანი რაოდენობით მოსახლეობა ჩამოსახლდა აჭარის მთიანეთიდან. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან ჭარბი მოსახლეობის ჩასახლება მესხეთ–ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. მიუხედავად ამისა, მაღალი ბუნებრივი მატების გამო, მაღალმთიან რაიონებში მოსახლეობის რაოდენობა არ შემცირებულა.

საქართველოს რეგიონებს შორის აჭარა ყველაზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული. 1 კმ² 1958 წელს მოდიოდა 81,8 სული, 1980 წელს–122, ხოლო 1986 წელს–128,3. საქართველოს საერთო მახასიათებელი 1986 წელს 75,6 კაცს, აფხაზეთის–62,2, ცხინვალის რეგიონისა–25,3 სულს ითვლიდა.[1]

აჭარაში 1926 წელს აღირიცხა 289 სოფელი, 1975 წელს–320, ხოლო 1989 წელს–329. ყველა მათგანი მჭიდროდაა დასახლებული. მთიანეთში ჭარბობს მცირე დასახლების სოფლები. 1988 წლის ბოლოს 1000 კაცზე მეტი მაცხოვრებელი იყო ხულოს რაიონის 4 სოფელში. ეს სოფლებია: ქედლები (1448), დიდაჭარა (1689), ოქტომბერი (1392) და რიყეთი (1591).

ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების ბარის სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენდნენ. მაგალითად, ხელვაჩაურის რაიონში 76 სოფლიდან მსხვილ დასახლებად ითვლება 25, სადაც 1000-დან 4000-მდე კაცი ცხოვრობდა. მათგან

---

[1] იხ. სტატისტიკური კრებული: საბჭოთა აჭარის 40 წელი, ბათ., 1961, გვ.10; საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.11; Народное хозяйство Грузинской ССР, ТБ., 1987, с.152.

გამოირჩევა მეჯინისწყალი (3998), ანგისა (2809), ახალსოფელი (2629), ურეხი (2746), ფერია (2467), წინსვლა (1704), განახლება (2109), გონიო (2370), ჭარნალი (2013), ზედა ახალშენი (2057), მახო (1931), ადლია (1997), ახალშენი (1899), სამება (1756) და სხვა.

ქობულეთის რაიონში სადაც 1988 წლის ბოლოს 49 სოფელი აღირიცხა, 21 მათგანში 1008-დან 4000-მდე მაცხოვრებელი იყო. აღსანიშნავია ხუცუბანი (3811 სული), ზედა დაგვა (3516), ბობოყვათი (2603), კვირიკე (2333), ქობულეთი (2185), სტალინისუბანი (2427), ჩაისუბანი (3264), ხალა (2002) და სხვა.[1]

შესამჩნევი ცვლილებები განიცადა მოსახლეობის ასაკობრივმა სტრუქტურამ და ეროვნულმა შემადგენლობამ. XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარის მოსახლეობაში მამაკაცები ჭარბობდნენ. 1926 წელს მათზე მოდიოდა ავტონომიური რესპუბლიკის საერთი მოსახლეობის 53%. 1939 წელს 49,8% შეადგინა. ომის წლებში მამაკაცების რიცხვი შემცირდა. მისი უარყოფითი შედეგები საგრძნობ გავლენას ახდენდა სქესობრივ თანაფარდობაზე ომის შემდგომ წლებშიც. 1959 წელს აჭარის მოსახლეობაში ქალების ხვედრითი წილი 54%-მდე გაიზარდა.[2] მართალია, 70–80-იან წლებში იგი 52–52,4%-მდე შემცირდა, მაგრამ მაინც შესამჩნევად აღემატებოდა მამაკაცების ხვედრით წილს.

ომი და მისი შედეგები დროებითი ფაქტორია. არის სხვა მიზეზები, რომლებიც გლობალური მასშტაბით მოქმედებენ. ცხადია, აჭარა და ნებისმიერი სხვა რეგიონი გამინაკლისი ვერ დარჩება. საქმე ის გახლავთ, რომ მამაკაცებს შორის სიკვდილიანობა უფრო მაღალია. მეორეც, გაიზარდა ხანდაზმულთა რაოდენობა და ამ ასაკში ქა-

---

[1] ცნობები მოყვანილია საქართველოსა და აჭარის სტატისტიკური კრებულებიდან.

[2] აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.26.

ლები ჭარბობენ მამაკაცებს, ვიდრე ახალგაზრდობის ასაკში.[1]

ეს დებულება აჭარის სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება. მაგალითად, 1959 წელს აჭარაში 100 წლისა და უხნესი მოსახლეობის რიცხოვნობა 2080 კაცს შეადგენდა. აქედან ქალები იყო 1290 სული (62%), 1970 წელს—1849-დან 1242 (67,1%), 1979 წელს—907-დან 648 (71,4%), 1989 წელს—1047-დან 889 (85%).[2] აჭარის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მოცემულია მე-3 ცხრილში.[3]

ცხრილი 3.

ასაკობრივი ჯგუფები	1926წ.		1959წ.		1989წ.	
	აბსოლუ-ტური	%	აბსოლუ-ტური	%	აბსოლ-უტური	%
0–9 წელი	36599	27,7	56711	23,1	77227	19,7
10–19 "	23873	18,1	44544	18,2	72687	18,6
20–29 "	23929	18,7	45061	18,4	65567	17,1
30–39 "	19386	14,1	34304	14,0	53349	13,6
40–49 "	11176	8,5	23684	9,7	39443	10,1
50–59 "	7149	5,4	18598	7,6	39069	9,7
60–69 "	5090	3,9	12203	4,9	25948	6,6

[1] ვ. ჯაიშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ.177.

[2] აჭარის სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები.

[3] ცხრილი შედგენილია მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე.

70—79 "	2675	2,0	7137	2,9	12858	3,3
80 და მეტი	1954	1,5	3044	1,9	5290	1,3
ასაკი არ		0,1	—	—	—	—
უჩვენია	169					
სულ	132060	100,0	245286	100,0	392432	100,0

მოცემულ პერიოდში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებათა მთავარი ნიშანი ის არის, რომ საგრძნობლად შემცირდა 40 წლამდე ასაკის მაცხოვრებელთა რაოდენობა. თუ იგი 1926 წელს შეადგენდა 78,6%, 1959 წელს—73,7%, 1989 წელს—69,0%-მდე შემცირდა. პარალელურად 40 წლისა და უხნესი ადამიანების ხვედრითი წილი მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში 12,8%-დან 16,6% და 20,9-მდე გაიზარდა.

განვითარების ასეთი პროცესი ლოკალურ თავისებურებად არ ჩაითვლება. იგი XX საუკუნეში მსოფლიო განვითარების მთავარი ტენდენცია გახდა და დემოგრაფიულ კანონზომიერებად ითვლება. ცხადია, ცვლილებები აჭარის მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობაში დადებითია და შეესაბამება დემოგრაფიული განვითარების ზოგად კანონზომიერებას. მართალია, ამ ცვლილებათა შედეგად საგრძნობლად შემცირდა შრომისუნარიანი მოსახლეობა და გაიზარდა პენსიონერთა რიცხოვნობა, მაგრამ მეცნიერულ—ტექნიკური რევოლუციის პირობებში იგი ვერ შეაფერხებს საზოგადოების სოციალურ—ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. პირიქით, საშუალო ასაკს გადაცილებული ადამიანის ცოდნის, გამოცდილების გამოყენება, თუნდაც მისი მაგალითი, უდიდეს გავლენას ახდენდა და კვლავაც მოახდენს წარმოების განვითარებაზე, საზოგადოების სულიერი ცხოვრების ამაღლებაზე.

აჭარა, როგორც მთლიანად საქართველო მრავალეროვნული რეგიონია. იგი ძირითადად დასახლებულია ქართვე-

ლებით. ოსმალების სამსაუკონოვანმა ბატონობამ ვერ შეცვალა აქაური ქართველების გენეტიკური მდგომარეობა. ეთნოეთნიკური მოსახლეობის კომპაქტურად დასახლება სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში დაიწყო ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ. სულთნის მათავრობამ აჭარაში ჩააასახლა ჩერქეზები, სომხები, აფხაზები და სხვა ეთნიკური ჯგუფები, მაგრამ ამით არსებითად არ შეცვლილა რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობა.

აჭარის, ისე როგორც მთლიანად საქართველოს, კოლონიზაცია კიდევ უფრო გაძლიერდა მეფის რუსეთის მფლობელობის დროს. ცხადია, არაქართველების დასახლების შედეგად მნიშვნელოვნად შეეიწროვდა ადგილობრივი მოსახლეობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, არაქართველების ჩასახლება კიდევ მეტად გაფართოვდა. აქ დისლოცირებული იყო აუცილებლობაზე გაცილებით მეტი არმია და მათთვის მოეწყო ე.წ. სამხედრო დასახლებები. სსრ კავშირის ცენტრალური ხელმძღვანელობა განაპირა რეგიონებში, მათ შორის აჭარში, მეთოდურად ხსნიდა ისეთ საწარმოებს, რომელთა ადგილობრივი კადრებით უზრუნველყოფა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ამიტომ აქ XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან მასობრივად დაიწყო არაქართველების ჩამოსახლება და პროცესი გაგრძელდა 80-იანი წლების ბოლომდე.

ამის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის ერეოვნული შემადგენლობა. XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში აღირიცხა 50-მდე ეთნიკური ჯგუფი. 70-იანი წლების ბოლოს მათი რიცხვი 80-ს გადააჭარბა. აჭარის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XX საუკუნის 20–80-იან წლებში ასახულია მე-4 ცხრილში.[1]

---

[1] ცხრილი შედგენილია: მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის. ტფილისი, 1929, გვ.24-26; საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სტატისტიკური კრებული, თბ., 1991, გვ.8-9.

ცხრილი 4.

ეროვნებები	1926წ		1939წ.		1959წ.		1979წ.		1989წ.	
	ათასობით	%	ათასობით	%	ათასობით	%	ათასობით	%	ათასობით	%
ქართველები	90,3	68,4	127,5	63,7	178,7	72,8	283,9	80,1	324,9	82,8
აფხაზები	0,8	0,6	1,0	0,5	1,2	0,5	1,5	0,4	1,6	0,4
სომხები	10,5	8,0	14,1	7,0	15,8	6,5	16,1	4,5	15,8	4,0
რუსები	10,2	7,7	30,5	14,2	32,8	13,4	34,5	9,8	30,0	7,7
აზერბაიჯანელები	–	–	–	–	0,7	0,3	1,0	0,3	1,1	0,3
ბერძნები	5,6	4,2	8,0	4,0	5,7	2,3	7,1	2,0	7,4	1,9
უკრაინელები	1,5	1,1	6,9	3,4	5,8	2,4	5,4	1,5	5,9	1,5
ებრაელები	2,0	1,5	1,9	1,0	1,6	0,7	1,0	0,1	0.8	0.2
ქურთები	3,3	2,5	–	–	0,1	0,1	0,1	0.0	0,2	0,1
დანარჩენი	7,8	6,0	10,2	5,1	2,9	1,1	3,6	1,3	4,7	1,1
სულ	132,0	100,0	200,1	100,0	245,3	100,0	354,2	100,0	392,4	100

მეორე მსოფლიო ომამდე აჭარის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა ძირითადი თავისებურება ის იყო, რომ მნიშვნელოვნად გადიდდა არაქართველების რაოდენობა. ამ პერიოდში რუსების რაოდენობა გაიზარდა თითქმის 3-ჯერ, უკრაინელების—4,6-ჯერ, სომხებისა—1,3-ჯერ და მეტად.

1939 წლისათვის რუსების ეთნიკურმა ჯგუფმა რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი დაიკავა და მათი ფარდობითი მახასიათებელი 7,7%-დან 14,2%-მდე გადიდდა. უკრაინელების ხვედრითი ადგილი მოსახლეობის საერთო მასაში 1,1%-დან 3,4%-მდე გაიზარდა. რუსებისა და უკრაინელების დაჩქარებული ტემპით მატება ძირითადად მექანიკური მოძრაობის ნაყოფს წარმოადგენს.

მართალია, 1926—1939 წლებში სომხების ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო მასაში 8%-დან 7%-მდე შემცირდა, მაგრამ რაოდენობრივად 3600 კაცით გაიზარდა და როგორ მესამე ადგილი ეკავათ. რუსები, უკრაინელები და სომხები, რომლებიც საერთი მოსახლეობის 1/4 შეადგენდნენ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ დემოგრაფიულ სიტუაციაზე. მართალია, მოცემულ პერიოდში ქართველების აბსოლუტური რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ ფარდობითი მახასიათებლით 4,7%-ით შემცირდა. ეროვნებათა თანაფარდობის ასეთი ტენდენცია არანორმალურად ფასდება, რამდენადაც პერსპექტივაში მოსალოდნელია მკვიდრმა ერმა დაკარგოს თავისი ადგილი საკუთარ ქვეყანაში.

არაქართველები ძირითადად სახლობდნენ ქალაქ ბათუმში. გარდა ამისა, აჭარაში ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე არსებობდა ბერძნების, ქურთების, რუსების, კომპაქტურად დასახლებული სოფლები. ქურთები ცხოვრობდნენ კახაბერში, გონიოში, ორთაბათუმში, ბერძნები—დაგვაში, აჭყვაში, ახალშენში, კვირიკეში და სხვა. 1944 წელს ქურთებმა დეპორტაცია განიცადეს. ისინი ყაზახეთსა და შუა აზიაში გაასახლეს.

ომისშემდგომ პერიოდში აჭარის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცვლილებათა უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ქართველების ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი გადიდება. 1959 წელს ქართველები ავტონომიური რესპუბლიკის საერთო მოსახლეობის 72,8%, 1979 წელს — 80,1%, ხოლო 1989 წელს—82,8% შეადგენდნენ. ამის ძირითადი მიზეზია ქართველების მაღალი ბუნებრივი მატება. ამავე დროს შესამჩნევად შემცირდა რუსების, სომხების, უკრაინელების ხვედრითი მახასიათებელი, თუმცა რიცხობრივად ისინი მაინც ინარჩუნებენ თავიანთ მდგომარეობას. უდავოა, ქვეყნებისა და სახელმწიფოების მრავალეროვნულობა მსოფლიო განვითარების კანონია. ნებითა და უნებლიედ ყველა ქვეყანა ამ გზით წავა, მაგრამ მას უნდა მიეცეს სწორი მიმართულება. უცხოეთნიკურმა ჯგუფმა, რომელმაც თავის სამშობლოდ სხვა ქვეყანა აირჩია, უნდა გაითავისოს მკვიდრი ერის კულტურა, უწინარესად ენა, სიციალურ—ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების სხვა ნიშნები.

სამწუხაროდ, საქართველოში, კერძოდ, აჭარაში მოსახლე უცხო ტომელები ძირძველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ტრადიციების გათავისებისათვის ნაკლებად ზრუნავდნენ. ამასთან ხელისუფლების მხრიდან აშკარად გამოვლინდა ეროვნული ნიჰილიზმის ნიშნები. ამას მოწმობს XX საუკუნის 60-იან წლებში ხელოვნურად შექმნილი თეზისი "საბჭოთა ხალხის" შესახებ, რომელიც გამიზნული იყო ეროვნულ განსხვავებათა წაშლის, ფაქტობრივად სსრ კავშირში შემავალი ხალხების გარუსებისათვის.

2. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა

აჭარის, ისევე როგორც მთელი საქართველოს, მოსახლეობის 1921–1990 წლების სოციალურ ისტორიაში პირობითად შეიძლება ორი ეტაპი გამოიყოს. პირველი მოიცავს ომამდელ პერიოდს, მეორე–1940–1990 წლებს. ორივე ეტაპს გააჩნია საერთი ნიშნები. ამასთან, სოციალური განვითარების ყოველი ეტაპი ხასიათდება სპეციფიკითაც. ლოკალური თავისებურებანი საქართველოს ყველა რეგიონს ახასიათებდა, თუმცა მისი გამოვლენის ფორმები და მასშტაბები არაერთგვაროვანი იყო.

გასაბჭოებისას აჭარაში, როგორც საერთოდ საქართველოში, მოსახლეობა შედგებოდა 5 სოციალური ჯგუფისა და ფენისაგან. ესენია: მემამულეები, ბურჟუაზია, მუშები, გლეხები და ინტელიგენცია. საბჭოთა ხელისუფლების სოციალური პროგრამა მიზნად ისახავდა სოციალლურად ერთგვაროვანი საზოგადოების შექმნას. უწინარესად მემამულეებისა და ბურჟუების, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფების, ექსპროპრიაციას. მართლაც, XX საუკუნის 20–30წლებში განხორციელებული გარდაქმნების შედეგად ქვეყანაში დარჩა მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია.

მუშათა კლასი. აჭარის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში მუშათა კლასს რაოდენობრივად და თვისებრივი მდგომარეობით ჯეროვანი ადგილი ეკავა. მისი ფორმირება მიმდინარეობდა მატერიალური წარმოებისა და მომსახურეობის სფეროს განვითარების პირობებში. ომისშემდგომ პერიოდში, როგორც ადრე, აჭარაში მუშათა კლასის შემადგენლობის თავისებურებანი გამოვლინდა მისი რიგების ზრდის ტემპში, თვისებრივ მდგომარეობაში, შიდაკლასობრივ სტრუქტურაში, მრავალეროვნულობაში, ადგილობრივი კადრების სიმცირეში, შევსების წყაროებში და ა.შ.

ახალი სოციალურ–ეკონომიკური სისტემის პირობებში მუშათა ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მისი როლის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებდა სახელმწიფოს პოლიტიკა. საბჭოთა ხელისუფლება თავის თავს მუშათა სახელმწიფოდ აცხადებდა. ცხადია, ამ ხანაში არაერთი ღონისძიება განხორციელდა მუშათა კლასის ფორმირების, ზოგადი განათლების, კულტურულ–ტექნიკური დონის, შრომითი, საზოგადოებრივ–პილიტიკური აქტიურობის ამაღლებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ამ პარამეტრებით დიდად ჩამორჩებოდა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს. კლასობროვი დაპირისპირებისა და კარდახშული მეურნეობის პირობებში საბჭოთა კავშირი ჯეროვნად ვერ იყენებდა დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მიღწევებს. XX საუკუნის 50-0იანი წლებიდან მოყოლებული მუშათა კლასის რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა ამის შედეგად საგრძნობლად შეიცვალა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურაც. სსრ კავშირის მასშტაბით მუშათა ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთი მასაში გადიდდა (1939–1987 წლები) 33,7%-დან 61,8%-მდე, საქართველოში (1939–)1982 წლები) 20%-დან 68,8%-მდე.[1] როგორც ვხედავთ, მოსახლეობის საეროი მასაში მუშათა კლასის ხვედრითმა წილმა ორმესამედს გადააჭარბა. ცხადია, იგი გახდა მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებელი და მეცნიერულ–ტექნიკური მიღწევების პრაქტიკული განმახორციებელი.

ასეთივე პროგრესული ცვლილებები მოხდა აჭარაში. თუმცა ომისშემდგომ წლებში მუშათა რაოდენობრივი ზრდის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩა საკავშირო და საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ მახასიათებელს. თუ 1939 წელს დასაქმებული მუშათა რიცხვი აჭარაში 27703

---

[1] Народное хозяйство СССР за 70 лет, М., 1987, с.11; Народное хозяйство Грузинской ССР 1922-1982. Тб., 1982, с.10.

�ცს ითვლიდა, 1959 წელს–32753, 1970 წელს–48743, 1979 წელს–67526, 1989 წელს–74618-მდე გაიზარდა.[1]

ამ მონაცემებით ჩანს, რომ 1939–1990 წლებში აჭარაში მუშათა რაოდენობა 2,7-ჯერ გაიზარდა. ზრდის ტემპი ძაღლი იყო 1959–1979 წლებში, როდესაც ამ მახასიათებელმა 106,2% შეადგინა. ეს მაშინ, როცა წინა ოც წლეულში მაჩვენებელი 18,2% იყო. მუშათა რიგების შევსების წყარო იყო როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე მეზობელი რეგიონებიდან შემოსახლებულები. ამას მოწმობს ზემოთ მოყვანილი მონაცემები მოსახლეობის მექანიკური მატების შესახებ. მექანიკურად შემოდინებული მოსახლეობა ძირითადად ავსებდა მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სახელმწიფო მეურნეობების და სხვა სფეროების მუშათა რიგებს.

მუშათა რიგებს ავსებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ–ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები. ომამდე პროფესიულ მუშათა კადრებს ამზადებდნენ საფაბრიკო–საქარხნო სასწავლებლებში, რომლებიც შექმნილი იყო მსხვილ საწარმოებთან. სწავლების ამ ფორმით მუშათა კადრების მომზადება ნაყოფიერად მიმდინარეობდა ომისშემდგომ წლებშიც. ამასთან, სახელმწიფომ შექმნა შრომითი რეზერვების სისტემა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდა შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო, რომელსაც დაევალა მუშათა კადრების მომზადებისა და განაწილებისადმი ხელმძღვანელობა.

სსრ კავშირში პროფესიულ–ტექნიკური სასწავლებლების ფართი ქსელი შეიქმნა. 1940–1986 წლებში ამ ტიპის სასწავლებლებელთა რიცხვი 1551-დან 8020-მდე, ხოლო მოს-

---

[1] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1348, ფურც.2; Итоги всесоюзной переписи населения 1970 года, V, М., 1973, с.34-45.

წავლეთა კონტინგენტი 602 ათასიდან 4176 ათასამდე გაიზარდა.[1] საქართველოში კი პროფესიულ–ტექნიკური სასწავლებლების რიცხვი (1946–1985 წლებში) 34-დან 177-მდე, მოსწავლეთა რაოდენობა 7,6 ათასიდან 70,3 ათასამდე გადიდდა.[2]

აჭარაში პროფესიულ–ტექნიკური სასწავლებელი ომამდე არსებობა, რომელიც ცნობილი იყო სახელოსნო სასწავლებელის სახელწოდებით. აქ ამზადებდნენ მრავალი პროფილს მუშას, ძირითადად მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებითი მრეწველობის კადრებს: ხარატებს, ზეინკლებს, მექვაბეებს, მჭედლებს, მღარავებს, მოტორისტებს, ელექტროშემდუღებლებს და სხვა.

ომის წლებში სასწავლებელმა გამოუშვა 845 კვალიფიციური მუშა. ომისშემდგომ აღდგენით პერიოდში–826, 1951–1960 წლებში–867. მომდევნო ათწლეულში–3040, 1971–1975 წლებში–1994. მთლიანად 1942–1975 წლებში მოამზადა 7643 კვალიფიციური მუშა. მათ შორის: 2089 ზეინკალი, 100 ხარატი, 170 მექვაბე, 192 მჭედელი, 505 მღარავი, 973 მკერავი, 250 ელექტროშემდუღებელი, 785 მოტორისტი, 436 დურგალი და სხვა.[3]

ტრანსპორტის მუშათა კადრებს ამზადებდა ამიერკავკასიისა რკინიგზის მემანქანეთა სკოლა, რომელიც ბათუმში გაიხსნა 1947 წელს მაგრამ იგი 50-იან წლებში დაიხურა. 1965 წელს ბათუმში დაარსდა №44 პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელიც მშენებლობისათვის მუშათა კადრებს ამზადებდა. თუ 1970 წელს აჭარაში ითვლებოდა ორი პროფტექნიკური სასწავლებელი, 1975 წელს–3, 1980–1990 წლებში–5 ასეთი სასწავლებელი მოქმედებდა.

---

[1] Народное хозяйство СССР за 70 лет, Статистический сборник, М., 1987, с.422.

[2] Народное хозяйство Грузинской ССР в 1980 году, Статистический ежегодник, Тб., 1981, с.147; Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 году, Статистический ежегодник, Тб., 1985, с.177.

[3] შ. თოდაძე, ადმირალი ი.ს., ისაკოვის სახელობის ბათუმის ქალაქის №1 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი, ბათ., 1975, გვ.71.

1970 წელს მათ მოამზადეს 649, 1975 წელს –804, 1980–1983 წლებში–6008 კვალიფიციური მუშა.[1] აჭარისათვის მუშათა პროფესიული კადრები მზადდებოდა სსრ კავშირის სხვა რეგიონებშიც.

მუშათა კლასის რაოდენობრივი ზრდის შედეგად შესამჩნევი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში. მუშათა კლასის ხვედრითი წილი აჭარის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში ნაჩვენებია მე–5 ცხრილში (პროცენტობით).[2]

ცხრილი 5.

	1939წ.	1959წ.	1970წ.	1979წ.	1989წ.
მოსახლეობა სულ	100	100	100	100	100
მუშები.....	24,5	29,7	34,5	41,2	40,2

მე–5 ცხრილიდან ჩანს, რომ მუშათა კლასის ხვედრითი წილი აჭარის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში 1939–1970 წლებში არითმეტიკული პროგრესით იზრდებოდა. პირველ 20 წელიწადში მატება იყო 5,2%, მეორე ოცწლეულში – 4,8%, 1970–1979 წლებში–6,7%. სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულში მუშათა კლასის ხვედრითი წილი 1,0%-ით შემცირდა. თუმცა დასაქმებული მუშების რაოდენობა 7092 კაცით (10,5%-ით) გაიზარდა. საზოგადოების სოციალურ შემადგენლობაში მუშათა ხვედრითი წილის შემცირების ძირითადი მიზეზია მისი რაოდენობრივი ზრდის ტემპის კლება, რაც აშკარად იგრძნობოდა XX საუკუნის 80-იან წლებში. შესაბამისად გლეხობის, რო-

[1] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

[2] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.13; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

გორც სოციალური ჯგუფის, რიცხოვნობის უფრო სწრაფი ზრდა.

აღსანიშნაცია, რომ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მუშათა კლასის ხვედრითი წილის მიხედვით აჭარა 1939 წელს უსწრებდა საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს. სსრ კავშირში შემავალი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმრავლესობას, მაგრამ ოდნავ ჩამორჩებოდა საკავშირო საშუალო მახასიათებელს. ომისშემდგომ პერიოდში მდგომარეობა უარესობისაკენ შეიცვალა: 1959 წელს აჭარის ასსრ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უკვე ბოლოდან მესამე (უსწრებდა მხოლოდ ტაჯიკეთსა და მოლდაკეთს), ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის მეოთხე ადგილი ეკავა (უსწრებდა ნახჭევანის, დაღესტნისა და ჩუვაშეთის ასსრ). 1970 წელს აჭარა უფრო ჩამორჩა და ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.[1] ამის მიზეზი იყო მრეწველობის განვითარების შედარებით დაბალი ტემპი.

ამრიგად, ომისშემდგომ პერიოდში აჭარის მუშათა კლასის განვითარების ერთ-ერთი თავისებურება იყო რაოდენობრივი ზრდის შედარებით დაბალი ტემპი. მართალია, 1970–1979 წლებში წინა წლებთან შედარებით მუშათა კლასის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო მასაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ 80-იან წლებში ეს პროგრესული ტენდენცია შეფერხდა.

ომისშემდგომ პერიოდში შესაჩნეული ცვლილებები აღინიშნა შუშათა კლასის შიდაკლასობრივ სტრუქტურაში. იგი განაპირობა მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს თანაფარდობის შეცვლამ, თითოეულ მათგანში შემავალი დარგების განვითარების მდგომარეობამ. აჭარაში მუშათა კლასის შიდაკლასობრივ შემადგენლობაზე წარმოდგენას გვიქმნის მე–6 ცხრილი.[2]

---

[1] Итоги всесоюзной переписи населения 1970 году, V, М., 1973, с.46-45.

[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1348, ფურც.1; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

ცხრილი 6.

მუშების კატეგორიები	1959წ. %	1970წ. %	1979წ %
დასაქმებული მუშების სულ.....	100	100	100
მათ ჰორის:			
მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში.....	57,5	55,0	54,4
სოფლის მეურნეობაში.....	16,7	13,7	14,1
ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, მატერიალურ–ტექნიკურ მომარაგებაში, გასაღებაში და სხვა.....	7,4	12,4	10,3
არასაწარმო დარგებში.....	18,4	18,9	21,2

მუშათა ოთხი–მეხუთედი დასაქმებული იყო მატერიალურ წარმოებაში. აქედან ნახევარზე მეტი – მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. მრეწველობასა და ტრანსპორტზე დასაქმებული იყო უფრო კვალიფიციური მუშები, ვიდრე მეურნეობის სხვა დარგებში. 1959 წლის შემდეგ წარმოების ამ დარგებში შესამჩნევია მუშათა რაოდენობის შემცირების ტენდენცია. მაგრამ გაიზარდა არასაწარმოო სფეროს მუშათა კონტინგენტი. ამის მიუხედავად, სამრეწველო მუშათა რაზმი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. 1959 წელს–11850 კაცი, ანუ მუშათა საერთო რაოდენობის 36,2%, ხოლო 1970 წელს–16132 კაცი–33,1%. შიდაკლასობრივი შემადგენლობის ერთ–ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ სამრეწველო მუშათა შორის დიდი ხვედრითი წილი ეკავათ მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშებს. ისინი

შეადგენდნენ სამრეწველო მუშათა ნახევარს (საწარმო პერსონალთან ერთად).[1]

შესამჩნევი ცვლილებები განიცადა მუშათა კლასის აგრარულმა ნაწილმა. იგი ომამდე ჩამოყალიბდა და ძირითადად კონცენტრირებული იყო სახელმწიფო სასოფო–სამეურნეო საწამოებში. 1940 წელს საბჭოთა (სახელმწიფო) მეურნეობებში 5290 მუშა აღირიცხა.[2] მართალია, 1959 წლის შემდეგ აგრარული მუშების ხვედრითი წილი საგრძნობლად შემცირდა მუშათა საერთო შემადგენლობაში, მაგრამ რაოდენობა გაიზარდა. მაგალითად, აგრარულ მუშათა რიცხვი 1959 წლის 5478-დან 1970 წ.–6668-მდე, ხოლო 1979 წ.–9521 კაცამდე, ანუ–78%–ით გადიდდა.[3]

მომსახურების სფეროს (არასაწარმოო დარგები) მუშათა რაოდენობა იზრდებოდა როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. ასე იყო მთლიანად საქართველოში. მისი ხვედრითი წილის ზრდამ აჭარის მუშათასაერთო რაოდენობაში თითქმის 3%, ხოლო აბსოლუტურმა მატებამ 114% შეადგინა (6639-დან 14180 კაცამდე გაიზარდა).[4] არასაწარმოო დარგების მუშათა რაზმი ძირითადად დასაქმებულია ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და განათლების, საბინაო–კომუნალური,სავაჭრო, და საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და სხვა სფეროში.

მუშათა კლასის შემადგენლობაში შესამჩნევი იყო სქესობრივი და ასაკობრივი ცვლილებები. 1939 წლის აღწერით ქალები შეადგენდნენ აჭარაში დასაქმებული მუშათა საერთო რიცხოვნების 38,2%-ს. ომისშემდგომ წლებში მუშათა რიგებში ქალთა რიცხვი მცირდება. 1970 წელს ამ მახასიათებელმა 29,9%, ხოლო 1979 წელს–32,7% შეადგინა. მეტნაკლებად ასეთი. სურათია 80-იან წლებ-

---

[1] აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.64; აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1348, ფურც.1.

[2] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათ., 1961, გვ.96.

[3] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[4] იქვე.

შიც. მუშათა რიგებში ქალთა რიცხვის შემცირება განაპირობა არასაწარმოო სფეროს განვითარებამ, სადაც მათი დასაქმების მეტი შესაძლებლობა შეიქმნა. ამასთან 60-იანი წლებიდან საგრძნობლად განვითარდა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებითი მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, სადაც ქალთა შრომა ნაკლებად გამოიყენებოდა.

მუშათა შემადგენლობა ასაკის მიხედვითაც არაერთგვაროვანია. მის რიგებში ყველა თაობის წარმომადგენელს ვხდებით. 1970 წლის აღწერით 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდები მუშების საერთო რაოდენობის 10,2% შეადგენდა. 20–29 წლისანი–26,7%, 30–39 წლის–28,5%, 40–49 წლის–19,9%, 50–59 წლის–11,5%, ხოლო 60 წელზე მეტი ასაკისა–3,2%-ს.[1]

მუშების თითქმის ნახევარი (48,4%) 30-დან 40-მდე ასაკისა იყო. რამდენიმე თაობის ადამიანების ერთ კოლექტივში შრომას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფსიქოლოგიურ თავისებურებათა ჩამოყალიბებაში, პროფესიულ დაოსტატებაში. მაგალითად, 1962 წელს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში 4 თაობის მუშები მუშაობდნენ.[2]

აჭარის მუშათა კონტინგენტი მრავალეროვნული იყო, რაც არ ყოფილა მხოლოდ ამ რეგიონის ლოკალური თავისებურება. ასე იყო მთელ სსრ კავშირში და მათ შორის საქართველოში.

მართალია, არაქართველების რაოდენობა 1939 წლიდან 1989 წლამდე 2,1-ჯერ და მეტად შემცირდა, მაგრამ მუშათა საერთო მასაში მათი ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალი დარჩა. 1959 წელს არაქართველები მუშათა საერთო რაოდენობის 64% იყო. მათ შორის რუსები–36%, სომხები–13%, აზერბაიჯანელები–0,8%, ებრაელები–0,6%. არაქართველები ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ მრეწველობაში, მშენებ-

---

[1] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.
[2] საბჭოთა აჭარა, 1962, 7 დეკემბერი.

ლობაზე, ტრანსპორტსა და სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო საწარმოებში. საგულისხმოა, რომ საბჭოთა (სახელმწიფო) მეურნეობების მუშათა შორის არაქართველი იყო 3480 კაცი–საერთო რაოდენობის 74,4%. აქადან რუსი–36,6% და სომეხი–22,6%.[1]

ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ იყო ნორმალური, რადგან აჭარის სოფელში ყოველთვის შეიმჩნეოდა ჭარბი მუშახელი, რომლის შრომისუნარიანი ნაწილის მრეწველონაში დასაქმებას ამ კუთხისათბ\ვის საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ საქართველოს ცენტრალური და აჭარის საოლქო ხელმძღვანელობა ამ საკითხს ჯეროვნად ვერ აფასებდა. ნაკლებად ზრუნავდნენ მუშათა ადგილობრივი კადრების გამოზრდისათვის, ვერ მიიღეს შესაბამისი ზომები სსრ კავშირის სხვა რეგიონებიდან არაქართველი მოსახლეობის მექანიკური, სტიქიური შემოსახლების შესაჩერებლად.

საბჭოთა სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის პოლიტიკის მიზანი იყო ეროვნულ რეგიონებში მრავალეროვნული მუშათა კლასის ფორმირება. იგი ტარდებოდა შენიღბულად და მეთოდურად. ცენტრის ხელმძღვანელობა თითქოსდა მოითხოვდა მკვიდრი ეროვნული მუშათა კადრების გამოზრდას, მაგრამ პრაქტიკულად ამ პროცესს ხელს არ უწყობდა. რკპ(ბ) X ყრილობის (1921 წ.) რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ადგილობრივი მუშათა კადრების მოსამზასდებლად აუცილებელია შეიქმნას და განვითარდეს სკოლებისა და კურსების ფართო ქსელი.[2] მაგრამ ამ სკოლებსა და კურსებზე აჭარის ადგილობრივი ახალგაზრდობის მოზიდვა ულიმღამოდ ხდებოდა.

მუშათა ეროვნული კადრების სიმცირე თითქმის ყველა ავტონომიურ რეგიონში იგრძნობოდა. სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ საჭიროა "უფრო ფათოდ მოვაწ-

---

[1] გამოთვლილია: აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1348, ფურც.1.

[2] КПСС в резолюциях и решениях съезда в конференции и пленумов ЦК, 11, М., 1986, с.252.

ყოთ მკვიდრი ეროვნების კვალიფიციურ მუშათა მომზადება, უწინარესად სოფლის ახალგაზრდობისაგან",[1] მაგრამ ყოველივე ეს დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა.

საკავშირო ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მხოლოდ რუსების შემოსახლებისათვის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალაქ ბათუმსა და მის შემო გარენში XX საუკუნის 60–70 წლებში შეიქმნა სამხედრო დასახლებანი. თადარიგის სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები აქ მუდმივ საცხოვრებლად რჩებოდა და უმრავლესობა მუშათა რიგებს ავსებდა. ამ პროცესებს ხელს უწყობდა საკავშირო საინფორმაციო საშუალებებიც, რომლებიც იყენებდნენ ე.წ. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ლოზუნგს და აბსოლუტურად მცდარი და მავნე დებულებას "საბჭოთა ხალხის, როგორც ახალი ისტორიული ერთობის შექმნის, რუსი ხალხის უფროსი ძმის" შესახებ. სამჭოთა ხელმძღვანელობა რუსიფიკატორული პილიტიკის გატარებაში მთავარ დასაყრდნენ ძალად მიიჩნევდა მრავალეროვან მუშათა კლასს.

მუშათა კლასის შემადგენლობაში რაოდენობრივის გარდა მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები მოხდა, რაც უწინარესად გამოიხატა ზოგადი განათლებისა და ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებაში. მართალია, ამ მიმართულებით პირელი ნაბიჯები მეორე მსოფლიო ომამდე გადაიდგა მაგრამ მდგომარეობა არსებითად ომისშემდგომ პერიოდში შეიცვალა (იხ. ცხრილი მე-7).[2]

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ.83.

[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1496, ფურც,2; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; Итоги всесоюзной переписи населения 1970 году, V, М., 1973, с.138.

ცხრილი 7.

წლები	დასაქმებული 1000 მუშიდან განათლება აქვს			
	უმაღლესი, უ/დაუმთავრებელი, საშუალო სპეციალური	ზოგადი საშუალო	არასრული საშუალო	დაწყებითი
1959	34	136	313	315
1970	80	329	313	204
1979	139	502	227	114
1989	253	575	121	44

1939 წელს ყოველ 1000 დასაქმებული მაცხოვრებლიდან უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლება ჰქონდა 170 კაცს.[1] მართალია, ამ რიცხვში გლეხობაც იგულისხმებოდა, მაგრამ, იგი ზოგადი განათლებით საგრძნობლად ჩამორჩებოდა მუშათა კლასს. 20 წლის შემდეგ ყოველ ათასი დასაქმებულიდან უმაღლესი და საშუალო განათლებით იყო 495 კაცი, თითქმის ნახევარი, რაც 1939 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3-ჯერ აღემატებოდა.

წარმატებები უფრო თვალსაჩინო იყო XX საუკუნის 70–80-იან წლებში. უკვე 1989 წელს ათასი დასაქმებულიდან უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლება ჰქონდა 940 კაცს, რაც 1959 წლის მახასიათებელს 2-ჯერ, ხოლო 1939 წლისას–5,5-ჯერ აღემატებოდა. ასეთი მაღალი მიღწევები აიხსნება ორი ფაქტორით: განათლების მიღებისათვის ახალგაზრდობის დიდი ლტოლვით და სახელმწიფოს მიდგომებით. მოსახლეობის

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.16.

განათლების მიმართ საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა, რისი უარყოფა უსამართლობა იქნებოდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მუშების რაოდენობა. 1939 წელს ასეთი განათლება საერთოდ არ ჰქონდათ მუშებს, 1959 წელს მათი რიცხვი იყო მუშათა 3,4%, 1970 წელს—8%, 1979 წელს—13,9%, ხოლო 1989 წელს—25,3%. სრული საშუალო განათლება ჰქონდა მუშათა 57,5%, დაწყებითი განათლების მქონე მუშათა რაოდენობა 1939 წელს არსებული 50,5%-დან 1989 წელს 4,4%-მდე შემცირდა.

მუშათა განათლების დონით აჭარას 1939 წელს პირველი ადგილი ეკავა სსრ კავშირში შემავალ მოკავშირე და ავტონომიურ ფორმირებებს შორის. 1959 წელს მუშათა განათლების მიხედვით იგი მხოლოდ საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს ჩამორჩებოდა, ხოლო 1970—1989 წლებში სსრ კავშირის ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკას უსწრებდა.[1] ამრიგად, მუშათა კლასის ზოგადი განათლების მაღალი დონე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ—ერთ თავისებურებად ჩაითვლება. მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა მუშათა ტექნიკური ცოდნის ამაღლებასა და მაღალი კლასის პროფესიონალების მომზადებაში. აჭარაში ომამდე მუშათა მასაში დიდად ჭარბობდნენ არაპროფესიონალები, ფიზიკური სამუშაოს უბრალო შემსრულებლები, მაგრამ ომისშემდგომ პერიოდში მუშათა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები აითვისა.

სახელმწიფო ამ პროცესებს მიზანდასახულად წარმართავდა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 30 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად დიდი მუშაობა შესრულდა. საწარმოებსა და პროფესიულ—ტექნიკურ სას-

---

[1] Итоги всесоюзной переписи населения 1970 году, V, М., 1973, с.86-145; Численность и состав населения СССР, М., 1984, с.157-172; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

წავლებელში მაღალკვალიფიციური მუშათა კადრების მოსამზადებლად მნიშვნელოვანი წვარმატებები იყო მოპოვებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 ივლისის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მაისისა და 1962 წლის 20 დეკემბრის დადგენილების განხორციელების შედეგად რომლებიც უშუალოდ ეხებოდა მუშათა კადრების ტექნიკური ცოდნის ამაღლებას, თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას.[1]

მრეწველობასა და ტრანსპორტზე ახალი სახეობის, შედარებით რთული მანქანა–დანადგარების დანერგვა-გამოყენების, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის შედეგად მუშათა შრომამ შემოქმედებითი და ინთელექტუალური შინაარსი შეიძინა.

ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფესიონალთა, მათ შორის თანრიგოსან მუშათა რაოდენობა. მაგალითად, ბათუმის ნავთობგადამუსავებელ ქარხანაში 1959 წელს თანრიგი მინიჭებული ჰქონდა სამრეწველო მუშათა 93,2%-ს (707-დან 660 კაცს).[1] რამდენადმე ანალოგიური სურათი გვაქვს საკავშირო დაქვემდებარების სხვა საწარმოშიც. 1975 წლის ცნობით, ბათუმის ბემთშენებელ ქარხანაში 475 მუშიდან მაღალი თანრიგოსანი (IV–VI) იყო 232 კაცი, თითქმის ნახევარი.[2]

XX საუკუნის 70–80-იან წლებში მუშათა რიგებში უკვე საკმსაოდაა პოფესიონალები: მაგალითად ქიმიურ, მანქანათსაშენ და ლითონდამუშავებით მრეწველობაში, 1989 წლის აღწერის მიხედვით წარმოების რთულ ტექნიკას ფლობდა მუშათა რაოდენობის 75%. მათ შორის იყვნენ ოპერატორები, მეაპარატეები, ხარატები, ზეინკლები, მღა-

---

[1] Решения партии и правительство по хозяйственным вопросам, Сборник документов, 3, М., 1968, с.256-260.

[2] სუიცსა, ფ.334, ან.25, ს.26, ფურც.59; აცსა, ფ.რ-445, ან.1, ს.839, ფურც.4.

რავები, მგლინავები, ელექტროშემდუღებლები, მტვიფრავები და სხვა.[1]

მუშათა კლასის შემადგენლობის თვისებრივი გაუმჯობესების ერთ-ერთი მაჩვენებელია პოლიტიკური კულტურის, დისციპლინის, ნებისყოფის, ქცევის შედარებით მაღალი დონე. მიუხედაცად იმისა რომ საბჭოთა ხანაში საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრება იდეოლოგიზირებული იყო, მუშათა მასას გაცნობიერებული ჰქონდა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები და იგი ბრმად აღარ მიჰყვებოდა დინებას. მუშათა კლასი საზოგადოებრივ–პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ძალად იქცა.

გლეხობა. ომისშემდგომ პერიოდში შესამჩნევი ცვილებები განიცადა გლეხობამ. ამ ცვლილებათა ერთ–ერთი თავისებურება იყო მისი რაოდენობრივი ზრდა. 1940 წელს აჭარაში ითვლებოდა 18 ათასი გლეხური კომლი, 1945 წელს–18,2 ათასი, 1950 წელს-19,8 ათასი, 1960 წელს–28,5 ათასი, 1970 წელს–33,7 ათასი, 1980 წელს–35,8 ათასი, 1986 წელს–37 ათასი. ამ მონაცემის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებულ პერიოდში გლეხთა კომლების რაოდენობა 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. რაც აიხსნება მხარის დემოგრაფიული თავისებურებებით, გამრავლების მაღალი მაჩვენებლებით.

ანალოგიური სურათი გვაქვს დასაქმებული გლეხობის რიცხვის მიხედვით: 1939 წელს შრომით საქმიანობას ეწეოდა 27782 გლეხი. მათ შორის კოლმეურნეობებში–13315, ე. წ. პირად დამხმარე და ერთპიროვნულ მეურნეობაში–10467 კაცი.[2] სრული კოლექტივიზაციის შემდეგ გლეხობა მთლიანად მიჯაჭვული იყო კოლმეურნეობაზე. 1940 წელს შრომისუნარიანი კოლმეურნე გლეხობის რაოდენობა 30,9 ათას, 1950 წელს–34,1 ათას, 1965 წელს–36,3 ათასი, 1975 წელს–41,9 ათასი, 1986 წელს–42,5 ათას კაცს

---

[1] გამოთვლილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით.

[2] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

შეადგენდა.[1] ამრიგად, 1940–1986 წლებში მათი რიცხოვნობა 1,8-ჯერ გაიზარდა.

სსრ კავშირში გლეხობის რაოდენობა იზრდებოდა 1950 წლამდე. ამის შემდეგ იგი 20,5 მილიონიდან 1965 წელს – 15,4, ხოლო 1986 წელს–12,6 მილიონამდე (61,5%-ით შემცირდა.[2] საქართველოში ეს პროცესი 1961 წლიდან დაიწყო და 1986 წელს ომამდელ დონესთან შედარებით გლეხთა რაოდენობა 66%-ით (476,1 ათასიდან 313 ათასამდე) ნაკლები იყო.[3]

აჭარის გლეხობის რაოდენობის ზრდა განპირობებული იყო რეგიონის ინდუსტრიული განვითარების შედარებით დაბალი დონით, მთაგორიანი რელიეფით, რაც ტექნიკის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას არ იძლეოდა, ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შრომატევადი სასოფლო–სამეურნეო კულტურების (მეჩაიეობის, მეთამბაქოების) განვითარება და სოფლის მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება.

ომისშემდგომ პერიოდში გლეხობის შემადგენლობაში მომხდარი თვისებრივი ცვლილებები კიდევ მეტად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე 1921–1940 წლებში. იგი შეეხო გლეხობის შიდასოციალურ სტრუქტურას, განათლების დონეს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაოსტატებას, ყოფასა და ოჯახს, პოლიტიკურ ცნობიერებას.

გლეხობის შიდასოციალურ სტრუქტურაში პროგრესული ძვრები აისახა მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის მასობრივი კვალიფიკაციის მქონე კადრების რაოდენობრივ შემადგენლობაში. სოფლის მეურნეობაში ინდუსტ-

---

[1] აცსა, ფ.რ-84, ან.1, ს.1423, ფურც.1; ს.1878, ფურც.1; Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, 1987, с.109.

[2] Народное хозяйство в 1967 году, Статистический ежегневник, М., 1968, с.325Ж Народное хозяйство СССР за 70 лет, Статистический ежегодник, М., 1987, с.287.

[3] საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ., 1971, გვ.132; Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический ежегодник, Тб., 1987, с.111.

რიალიზაციის მეთოდების დანერგვის შედეგად თანდათანობით მომრავლდენ მექანიზატორები, რომლებიც თავიანთი შრომის ხასიათით ახლოს დგანან სამრეწველო მუშათა კლასთან. გლეხობის შემადგენლობაში ცვლილებები მექანიზატორთა კადრების მაგალითზე ასე წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 8.)[1]

ცხრილი 8.

მექანიზატორები	წლები					
	1940	1950	1960	1970	1980	1985
საერთო რიცხვი.....	114	231	576	934	1561	1898
ხვედრითი წილი გლეხობის შემადგენლობაში (%)	0,37	0,68	1,1	2,6	3,8	4,7

როგორც ვხედავთ, მექანიზატორთა აბსოლუტური რიცხოვნობა 16,6-ჯერ, ხოლო გლეხობის შემადგენლობაში მათი ხვედრითი წილი 13-ჯერ გაიზარდა. საგულისხმოა, რომ 1940 წელს აჭარა მექანიზატორთა კადრების ფარდობითი მახასიათებლის მიხედვით როგორც საკავშირო, ისე საქართველოს საერთო საშუალო მაჩვენებელს უტოლდებოდა. ჩამორჩენა მოხდა ომისშემფგომ პერიოდში. სსრ კავშირში საკოლომეურნეო მექანიზატორთა კადრების ფარდობითი მახასიათებელი 1985 წელს 18,5%, ხოლო საქართველოში საშუალოდ 7,2% შეადგენდა.[2] ამ ჩამორჩენის მიზეზია არა მარტო სასოფლო–სამეურნეო სამთო

---

[1] გამოთვლილია: აცსა, ფ.რ-84, ან.1. საქ.1423, 1878; Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.109-121; აჭარის ასსრ კოლმეურნეობებისა და სამეურნეოთაშორისო ორგანიზაციების 1960 და 1970 წლების ნაკრები ანგარიშები.

[2] Народное хозяйство СССР за 70 лет, Статистический ежегодник, М., 1987, с111, 139?

ტექნიკის განვითარების დაბალი დონე, არამედ აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების არასაკმარისი ყურადღება. ამის მიუხედავად აჭარაში სოფლად მექანიზატორთა კადრების ზრდა შესამჩნევი იყო და მან საგრძნობი ცვლილებანი შეიტანა გლეხობის შიდასოციალურ სტრუქტურაში.

გლეხობის მძიმე ფიზიკური შრომის მექანიზებული შრომით შეცვლის შედეგად ამ კლასის შრომა შემოქმედებითი გახდა, რამდენადმე მიუახლოვდა ინტელექტუალურს, უწინარესად სამრეწველო მუშების შრომის ხასიათს. ამ შემთხვევაში მექანიზატორები გლეხობის სოციალური იერსახის ახალ ნიშან–თვისებებს განასახიერებდა.

გლეხობის შემადგენლობაში პროგრესული ცვლილებები აისახა აგრეთვე ქვის, ხისა და ლითონის ნაკეთობათა ოსტატების რაოდენობის ზრდაში. კოლმეურნეობებში სპეციალური ბრიგადები მოქმედებდნენ, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ დურგლები, მებეტონეები, მჭედლები და სხვა. ცხადია, გლეხობის ეს ჯგუფები კვალიფიკაციით მექანიზატორებზე საგრძნობლად დაბლა იდგნენ, მაგრამ მათი შრომა თავისი სასიათით ინდუსტრიული შრომის ელემენტებს შეიცავდა და სამრეწველო და სამშენებლო შრომას უახლოვდებოდა.

გლეხობის შრომის ხასიათის შეცვლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საწარმო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ელექტროენერგიის გამოყენებამ. სოფლად ელექტროენერგიის გამოყენებით ახალი ჰორიზონტები გადაიშალა გლეხობის შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სასოფლო წარმოებაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვისათვის.

გლეხობის შრომის ხასიათი საგრძნობლად შეიცვალა აგრეთვე სახელმწიფო და საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებში მექანიზაციის დანერგვის შედეგად. XX საუკუნის 50–80-იან წლებში ფერმების ნაწილში პირუტყვისათვის წყლის მიწოდების, საკვების დარიგებასა და შენობე-

ბის ნეკელისაგან გაწმენდაში მექანიზაციის დანერგვაზე წარმოდგენას გვიქმნის მე–9 ცხრილი (პროცენტობით).[1]

ცხრილი 9.

მექანიზაციის მაჩვენებლები	1960წ.	1970წ.	1980წ.	1986წ.
წყლის მექანიზებული მიწოდება	13,3	21,5	62,0	78,3
საკვების მექანიზებული დარიგება	1,0	1,3	3,0	216,4
შენობის მექანიზებული გაწმენდა ნაკელისაგან	1,7	7,8	55,0	78,4

საკოლმეურნეო, სახელმწიფო და სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის ფერმებში მძიმე ფიზიკური სამუშაოების მექანიზაცია ძირითადად ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში განხორციელდა. როგორც მე–9 ცხრილიდან ჩანს, წყლის მექანიზებული მიწოდება 6-ჯერ, საკვების დარიგება 21-ჯერ და მეტად, ხოლო შენობების მექანიზებული გაწმენდა ნაკელისაგან–46-ჯერ გაიზარდა. ეს მნიშვნელოვანი პროგრესი იყო გლეხობის შრომის ხასიათში. იგი საგრძნობლად მაღალი იყო, ვიდრე საშუალოდ საქართველოში. ძველი სისტემის დემონტაჟის დროს საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმები ყველგან განადგურდა. ამჟამად იგი ისტორიის კუთვნილებაა.

შრომის ინდუსტრიული მეთოდები ნაწილობრივ მეცხოველეობის საკვების დამზადებაშიც დაინერგა. იგი აჭარაში დასაბამს იღებდა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. 70–80-

[1] ცხრილი შედგენილია საზოგადოებრივი მეურნეობების წლიური ანგარიშების მონაცემების საფუძველზე.

იან წლებში ფართოდ იყენებდნენ სილოსის დამზადების ტექნოკურ მექანიზმებს.

მექანიზაცია მემცენარეობაშიც დაინერგა. თუ 1957 წელს ჩაის ბუჩქის გასხვლა მექანიზებული იყო მხოლოდ 3,8%, ხოლო კულტივაცია—11,6%-ით,[1] მომდევნო წლებში ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1979 წელს ჩაის ფოთლის მოსავლის აღებაში მექანიზაციის გამოყენების კოეფიციენტი 16%-მდე აღწევდა.[2] მიუხედავად ამ მიღწევებისა, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში ისევ ჭარბობდა მძიმე ფიზიკური შრომა.

გლეხობის თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების დასტურია აგრეთვე სოფლის მეურნეობაში კვალიფიცირებული კადრების რაოდენობრივი ზრდა. კოლმეურნეობებში მოქმედ კურსებზე ათასობით გლეხმა აიმაღლა კვალიფიკაცია და სასოფლო—სამეურნეო წარმოების ოსტატის წოდება მიიღო. მაგალითად, 1966 წელს 14237 კაცმა მიიღო სასოფლო—სამეურნეო წარმოების ოსტატის წოდება.[3] ესენი იყვნენ ჩაის ბუჩქის გასხვლის, ციტრუსების, ხეხილისა და ვაზის მყნობის, მიწათმიქმედებასა და მეცხოველეობაში მექანიზმებისა და ხელსაწყო—იარაღების გამოყენების ოსტატები.

სოფლის მეურნეობის ოსტატი—ეს იყო მოწინავე გლეხი, რომელსაც ჰქონდა გარკვეული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, დაუფლებული იყო სასოფლო—სამეურნეო წარმოების მოწინავე მეთოდებს, გამოირჩეოდა არა მარტო მაღალი კვალიფიკაციით, არამედ აგრეთვე ზოგადი კულტურითა და სოციალური აქტიურობით.

გლეხობის სოციალურ განვითარებაში მნიშვნელოვანი იყო წერა—კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. 1959

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1958, 14 იანვარი.

[2] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

[3] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.57, ს.43, ფურც.1.

წელს წერა–კითხვის მცოდნე იყო სოფლის მოსახლეობის 99,3%, 1970 წელს–99,9%.[1] მომდევნო წლებში წერა-კითხვის უცოდინარები თითქმის აღარ გვხდება. ცხადია, აჭარა გამონაკლისი არ ყოფილა. ასეთი სურათი გვაქვს საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

ომისშემდგომ პერიოდში ასევე მნიშვნელოვანი იყო წინსვლა გლეხობის სპეციალურ და ზოგად განათლებაში (იხ. ცხრილი 10).

ცხრილი 10.

წლები	დასაქმებულ 1000 კაცზე განათლება აქვს			
	უმაღლესი და საშუალო სპეციალური	ზოგადი საშუალო	არასრული საშუალო	დაწყებითი
1959	8	30	148	350
1970	27	159	344	353
1979	49	372	325	219
1989	95	643	179	72

გლეხთა განათლებაში 1939 წლის შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა. თუ ომამდე ძირითადად განხორციელდა წერა–კიტხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ომისშემდგომ პერიოდში დიდი წარმატებები იყო მოპოვებული გლეხობის სპეციალურ და ზოგად განათლებაში.

[1] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

გლეხობის თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეთა რიცხვის ზრდა. პროგრესი ყველა ათწლეულში აღინიშნა, მაგრამ განსაკუთრებულია XX საუკუნის 70–80-იან წლები, როცა ყოველ ათას კაცზე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე გლეხთა რაოდენობა თითქმის 12-ჯერ, ზოგადი სრული საშუალო განათლების მქონეთა–21,5-ჯერ გაიზარდა, ხოლო დაწყებითი განათლების მქონეთა რიცხვი დაახლოებით 5-ჯერ შემცირდა.[1] გლეხობის განათლების დონით აჭარას მთლიანად სსრ კავშირში მოწინავე ადგილი ეკავა. 1970 წელს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის იგი მხოლოდ უზბეკეთსა და კარელიას ჩამორჩებოდა,[2] ხოლო 1979 წელს–უზბეკეთსა და თურქმენეთს.[3] აჭარის წარსულის ფონზე იოლი წარმოსადგენია ამ მიღწევების მნიშვნელობა: გლეხს მოეხსნა მემკვიდრეობით მიღებული უმეცრებისა და დაბეჩავების სინდრომი, იგი აქტიურ სოციალურ ძალაფდ იქცა, მიეცა შესაძლებლობა გონივრულად გამოეყენებინა თავისუთალი დრო, კურტურულად მოეწყო საკუთარი ყოფა.

ინტელიგენცია. აჭარაში ინტელიგენციის შექმნის პირველი ნაბიჯები, მართალია, XX საუკუნის 30-იან წლებში გადაიდგა., მაგრამ არსებით გარდატეხა ომისშემდგომ პერიოდში მოხდა. ინტელიგენციის ფორმირება, რაოდენობრივი და თვისობრივი ზრდა, მისი როლის აქაღლება საზოგადოებივ ცხოვრებაში განაპირობა არა მარტო მეცნიერების, განათლებისა და კულტურის, არამედ აგრეთვე მატერიალური წარმოებისა და მომსახურების დარგების განვითარებამ.

---

[1] უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ძირითადად იყენენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები და სხვა დაბალი რგოლის ხელმძღვანელები.

[2] Итоги всесоюзной переписи населения 1970 году, V, М., 1973, с.86-145.

[3] Численность и состав населения СССР, М., 1984, с.157-172.

ინტელიგენციის ჩამოყალიბებაში, მის რაოდენობრივ და თვისებრივ ზრდაში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა სახელმწიფომ, რომლის იგნორირება უსამართლობა იქნებოდა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელების დამსახურება აჭარაში ინტელიგენციის ადგილობრივი კადრების გამოზრდაში.

ომმა, ბუნებრივია, შეაფერხა ინტელიგენციის ზრდა. აჭარამ ასობით ინტელიგენტი დაკარგა, მაგრამ ომისშემდგომ პერიოდში ინტელიგენციის რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ცვლილებები, რაც მოხდა ინტელიგენციის—უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მუშაკების შემადგენლობაში (იხ. ცხრილი მე—11).[1]

ცხრილი 11

წლები	სულ სპეციალისტები (ათასი კაცი)	მათ შორის	
		უმაღლესი განათლებით	საშუალო სპეციალური განათლებით
1941	3,2	1,7	1,5
1960	11,6	6,0	5,6
1970	19,8	10,2	9,6
1980	29,8	16,5	13,3
1987	41,8	24,8	17,0
1989	39,5	24,2	15,3

აჭარის გასაბჭოებისას თითებზე ჩამოსათვლელი იყო კადრები უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით. 1941 წლის პირველი იანვრისათვის კი სახალხო მეურნეობებში დასაქმებული სპეციალისტების რიცხოვ-

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.118; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ნობამ 3,2 ათას კაცს გადააჭარბა. ეს მნიშვნელოვანი წინსვლა იყო, მაგრამ არასაკმარისი. ომის შედეგად გამოწვეული დანაკარგების მიუხედავად, 1960 წლისათვის მათი რიცხოვნობა 3,6-ჯერ და მეტად, ხოლო 1960–1980 წლებში 3,4-ჯერ გაიზარდა. აღებულ ხანაში სპეციალისტების საერთო რაოდენობა კი 13-ჯერ გადიდდა.

ზრდის ასეთი ტემპი მხოლოდ აჭარისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი. ყველა რესპუბლიკასა და ავტონომიურ ფორმირებაში სპეციალისტების რაოდენობა მეტნაკლებად ასეთივე ტემპით იზრდებოდა. მართალია, სპეციალისტების ზრდის ტემპით აჭარა უსწრებდა საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს, მაგრამ შესამჩნევად ჩამორჩებოდა მეტწილ რესპუბლიკებსა და რეგიონებს.[1]

მნიშვნელოვან თვისებრივ ცვლილებად ჩაითვლება ინტელიგენციის შემადგენლობაში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების ზრდის შედარებით მაღალი ტემპი. 1941–1960 წლებში ამ კატეგორიის მუშაკების რიცხვი 3,5-ჯერ, 1961–1987 წლებში–4,1-ჯერ გაიზარდა. საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრებისა შესაბამისად–3,7 და 3,0-ჯერ გადიდდა. 1987 წლის შემდეგ ინტელიგენციის საერთო რაოდენობაში შეინიშნება კლების ტენდენცია, რაც დაკავშირებული იყო აჭარიდან კადრების "გადინებასთან". იგი ძირითად არაქართველებს შეეხო.

საბჭოთა პერიოდში ინტელიგენციის ფორმირების, მისი შევსების ძირითადი წყარო მუშათა კლასი და გლეხობა იყო. საბჭოთა ხელისუფლება მტრულად ეკიდებოდა ბურჟუაზიისა და მემამულეების წრიდან გამოსულ ინტერლიგენციას, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებდა ინტელიგენციის თვისებრივ ზრდაზე. აღვივებდა სოციალურ დაპირისპირებას და აღრმავებდა კლასობრივ გაუცხოებას.

---

[1] Народное хозяйство СССР за 70 лет, статистический сборник, М., 1987, с.419.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის პოლიტიკის შედეგად უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში განუწყვეტლივ იზრდებოდა სტუდენტთა და მოსწავლეთა რიცხვი, ძირითადად, მუშათა და გლეხთა წრიდან. 1965 წელს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში დღის განყოფილებაზე მიღებულ 600 სტუდენტიდან სოციალურ წარმოშობით მუშა და გლეხი იყო 277 კაცი, საზღვაო სასწავლებლებში—1027-დან 957 მოსწავლე (93%), სასოფლო—სამეურნეო ტექნიკუმში—94%, სამედიცინო სასწავლებლებში—72%. ანალიგიური სურათი გვაქვს დანარჩენ სპეციალურ სასწავლებლებში.[1]

ინტელიგენციის რიგები აჭარაში ივსებოდა არა მარტო ავტონომიური რესპუბლიკაში მომზადებული სპეციალისტებით, არამედ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულებით. აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა და უკრაინა, სადაც მომზადდა მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ასობით სპეციალისტი.

აჭარისათვის ეროვნული ინტელიგენციის კადრების მომზადებაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით: თბილისის სახელმწიფო უნივესსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ, სამედიცინო და აგრარულ უნივერსტეტებს. ადგილობრივი პედაგოგიური კადრების გამოზრდაში ასევე დიდია ბათუმის სახელმწიფო უნივერსტიტეტის (ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტი) წვლილი. საინჟინრო სპეციალისტების მომზადებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბათუმის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

აჭარაში 1921—1990 წლებში სახალხო მეურნეობასათვის ასობით საშუალო რგოლის სპეციალისტი გამოუშვეს ინდუსტრიულმა, სავაჭრო, სასოფლო—სამეურნეო ტექნიკუმებმა და პედეგოგიურმა სასწავლებლებმა. ომამდე ბათუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა გამოუშვა 892 მასწავლე-

---

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1612, ფურც.29-36.

ბელი, ომის პერიოდში–671, 1946–1950 წლებში–582, ხოლო 1951–1960 წლებში–2375.[1]

მიღწევები გაცილებით მეტი იყო XX საუკუნის 60–80-იან წლებში. მთლიანობაში აღებული 1961–1970 წლებში ბათუმში მომზადდა 9500 სპეციალისტი (უმაღლესი განათლებით–3100), მომდევნო ათწლეულში–15017, (უმაღლესი განათლებით–4431), 1981–1990 წლებში–14949 (უმაღლესი განათლებით 4404)[2] ეს მიღწევები რამდენჯერმე აღემატებოდა როგორც ომამდელ, ისე XX საუკუნის 50-იანი წლების მაჩვენებლებს.

მართალია, ინტელიგენცია ერთიანი სოციალური ფენაა, მაგრამ შიდა პროფესიით და საქმიანობით არაერთგვაროვანია. მის რიგებში რამდენიმე რაზმი გამოიყოფა (ინჟინერ-ტექნიკური, აგრარული, პედაგოგიური, ხელოვნების, სამეცნიერო და სხვა.).

აჭარაში სამეცნიერო კადრების ფორმირება ომამდელ პერიოდში დაიწყო, მაგრამ მნიშვნელოვანი წინსვლა ომისშემდეგ პერიოდში მოხდა. ცხადია, იგი განპირობებული იყო ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური და კულტურული მიღწევებით. აღსანიშნავია, რომ აჭარაში XX საუკუნის 20-იან წლებში სამეცნიერო ინტელიგენცია თითქმის არ არსებობდა. იგი 30-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა.

აჭარაში მეორე მსოფლიო ომამდე სამეცნიერო ხარისხის მქონე კადრები თითზე ჩამოსათვლელი იყო. 1960 წელს ინტელიგენციის სამეცნიერო რაზმში 177 კაცი ითვლებოდა. მიღწევები მნიშვნელოვანი იყო XX 60–70–80-იან წლებში. 1970 წელს აჭარაში 286 მეცნიერი მუშაკი აღირიცხა: 1980 წლისათვის მათი რიცხვი 370, 1985 წელს–439, ხოლო 1990 წელს–525-მდე გაიზარდა. შედარებითი ანალიზიდან ჩანს, რომ სამეცნიერო კადრების რაოდენობა დინამიურად იზრდებოდა. 1990 წელს ომამდელ დონესთან

---

[1] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.144.

[2] ცნობები მოყვანილია აჭარის სტატისტიკური კრებულებიდან; იხ. აგრეთვე აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

შედარებით მისი რიცხოვნობა 7,4-ჯერ, ხოლო ბოლო 30 წლის განმავლობაში 3-ჯერ გადიდდა.

სამეცნიერო ინტელიგენციამ მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებებიც განიცადა. მისი რიგები პერიოდულად ივსებოდა მაღალპროფესიული სპეციალისტებით -- მეცნიერებათა კანდიდატებითა და დოქტორებით. თუ 1965 წელს აჭარაში ითვლებოდა მეცნიერებათა 71 კანდიდატი და 3 დოქტორი, 1988 წელს კანდიდატთა რიცხვი 201-მდე (2,8-ჯერ), ხოლო დოქტორებისა 14-მდე (4,8-ჯერ) გაიზარდა. ამავე პერიოდში დოცენტების რაოდენობა 31-დან 44-მდე, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის--12-დან 74-მდე, პროფესორებისა—2-დან 9-მდე გადიდდა. 3 მეცნიერი არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.[1]

მიუხედავად ამისა აჭარა სამეცნიერო კადრების რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობით შესამჩნევად ჩამორჩებოდა საქართველოს რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში 1940—1985 წლებში მეცნიერი მუშაკების რაოდენობა 3,5 ათასიდან 27,5 ათასამდე (თითქმის 8-ჯერ) გაიზარდა.[2] დადებითად ვერ ჩაითვლება ის გარემოება, რომ მეცნიერ მუშაკთა აბსოლუტურად დიდი ნაწილი თბილისში იყო კონცენტრირებული. ქვეყნისათვის სასარგებლო იქნებოდა ინტელიგენციის, განსაკუთრებით კი სამეცნიერო კადრების ჰორიზონტალური გადანაწილება და კადრების მოსამზადებლად მნიშვნელოვანი სახსრების რეგიონებისათვის გამოყოფა.

საყურადღებო ცვლილებები განიცადა ინჟინერ-ტექნიკურმა ინტელიგენციამ. ეს რაზმი უშუალოდ იყო დაკავშირებული მატერიალურ წარმოებასთან და მონაწილეობდა ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში.მართალია, ინჟინერ—ტექნიკური ინტეკიგენციის ფორმირებაში პირვე-

---

[1] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.38; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] Народное хозяйство СССР за 70 лет, Статистический сборник, М., 1987, с.64.

ლი ნაბიჯები XX საუკუნის 30-იან წლებში გადაიდგა. 1939 წელა აჭარაში აღირიცხა 289 ინჟინერი და 8 კონსტრუქტორი, იგი 1926 წლის დონეს 9,3-ჯერ აღემატებოდა.[1] მაგრამ არსებითი წინსვლა ომისშემდგომ პერიოდში მოხდა. მეორე მსოფლიო ომმა საგრძნობლად შეაფერხა ეს პროცესი. ომისშემდგომ პერიოდში იგი დაჩქარდა. 1959 წელს აჭარაში ითვლებოდა 3204 ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტი. მაიი რიცხვი 1970 წელს–5388, 1979 წელს–8247, ხოლო 1989 წელს–9701-მდე გაიზარდა. ამ მონაცემებს თუ შევადარებთ XX საკუკნის 20–იანი და 50–იანი წლების მონაცემებს, წინსავლა მართლაც მნიშვნელოვანია. 1989 წელს 1926 წელთან შედარებით ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტების რაოდენობა 38-ჯერ გაიზარდა. 1959 წელთან შედარებით კი გასამკეცდა.

ასევე მნიშვნელივანია თვისებრივი ცვლილებები. 1959 წელს ინჟინერთა და კონსტრუქტორთა რიცხვი 600-ზე მეტი იყო,[2] რაც ომამდელ მაჩვენებელს ორჯერ აჭარბებდა. 1970 წელს აღირიცხა 1612 ინჟირერი და კონსტრუქტორი, ხოლო 1989 წელს–5173 (მთავარი ინჟინრების ჩათვლით).[3] ეს მიღწევები 1939 წლის მაჩვენებელზე 17,4-ჯერ, ხოლო 1959 წლისაზე 8,6-ჯერ მეტია.

ომამდე ჭარბობდა საშუალო განათლების მქონე სპეციალისტები. 1959 წელს, მაგალითად, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება ჰქონდა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების 58% (1854 კაცი). 1970 წელს–67%-ს (3599 კაცი). უმაღლესი განათლების მქონე ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია 1959 წლის 870-დან 1970 წელს–1795-მდე, ე. ი. ორჯერ და მეტად გაიზარდა. 1979 წელს ყოველი მომუშავე ათასი ინჟინერ–ტექნიკური მუშაკიდან უმაღლესი განათლებით იყო თითქმის ნახევარი–443, ხოლო საშუალო

---

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.55, ფურც.407; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები

[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1352, ფურც.1.

[3] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

სპეციალური განათლებით—283 კაცი. წინსვლა კიდევ უფრო საგრძნობი იყო XX საუკუნის 80-იან წლებში.[1]

ინჟინერ—ტექნიკურ ინტელიგენციაში უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. 1989 წელს მათზე მოდიოდა საერთო რაოდენობის 76%. რუსები—12%-ს შეადგენდნენ.[2] აჭარაში ინჟინერ—ტექნიკური პერსონალი ძირითადად კონცენტრირებული იყი სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო საწარმოებსა და უბნებზე. საწარმო და შემოქმედებით საქმიანობით ყურადღენას იწვევს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ინჟინერ—ტეექნიკური რაზმი, რომელიც ერთ საწარმოს მაგალითზე მრავალრიცხოვანი ჩანს. აქ 1945 წელს მუშაობდა 105 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, 1950 წელს—112, 1970 წელს—132, 1980 წელს -- 141.[3]

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ინჟინერ—ტექნიკური პერსონალის მაღალ თვისებრივ მდგომარეობას მოწმობს მათი შემოქმედებითი მიღწევები. ისინი არაერთი გამოგონებისა და აღრმოჩენის ავტორები არიან. ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ საკანდიდატო მინიმუმიც ჩააბარა და სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. მაგალითად, ომისშემდგომ წლებში №1 საამქროს უფროსი ს. ვასილიევი და ტექნიკის განყოფილების უფროსი ზ. მანსვეტოვი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატები გახდნენ. ქარხნის ლაბორატორიის თანამშრომელმა ე. ადამოვიჩმა ჯერ ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, შემდეგ ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა და ა. შ.[4]

მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები განიცადა ინტელიგენციის აგრარულმა რაზმმა.

---

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1352, ფურც.1; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[3] ცნობები მოყვანილია ქარხნის წლიური ანგარიშებიდან.

[4] საბჭოთა აჭარა, 1949, 25 ოქტომბერი.

იგი XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა. ინტელიგენციის აგრარული რაზმი თანდათანობით ივსებოდა. 1939 წლის დასაწყისში მის რიგებში ითვლებოდა 540 სპეციალისტი: 232 აგრონომი, 41 ვეტერინარული ექიმი, 18 ზოოტექნიკოსი, 17 ვეტერინალური ფერშალი და მეტყევე. 1940 წელს მათი რიცხვი 612 კაცამდე გაიზარდა. შესამჩნევად ჭარბობდა საშუალო განათლების კადრები, რომელთა რაოდენობა 320 სპეციალისტს მიითვლიდა.

აგრარული სპეციალისტების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა XX საუკუნის 70–80-იან წლებში. 1959 წელს მის რიგებში ითვლებოდა 748, 1975 წელს–1869, 1980 წელს – 2632, 1986 წელს–3598 კაცი. რაც ომამდელ მაჩვენებელს 5,9-ჯერ აღემატებოდა.

პროგრესი შესამჩნევი იყო თვისებრივ მახასიათებლებიც: თუ 1940 წელს უმაღლესი განათლებით იყო აგრარული პერსონალის 47,7% (292 კაცი), 1959 წელს–50,4%, 1975 წელს–53,1%, ხოლო 1986 წელს იგი 63,7%-მდე გაიზარდა.[1]

ინტელიგენციის ყველაზე მრავალრიცხოვან რაზმს შეადგენდნენ მასწავლებლები. აჭარაში ამ ჯგუფის ფორმირება გასაბჭოებამდე დაიწყო. არსებითი ცვლილებები რაოდენობრივ და თვისებრივი შემასდგენლობაში 1921–1990 წლებში მოხდა. ქვეყნის აღორძინებასა და საერთო წინსვლაში მასწავლებლებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს. 1939 წლის დასაწყისში აჭარაში 2166 მასწავლებელი აღირიცხა. 1970 წელს იყო 6321, ხოლო 1989 წელს–10906 მასწავლებელი (აღმზდელების ჩათვლით). მასწავლებელთა დიდი ნაწილი დასაქმებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ამ ტიპის სასწავლებლებში 1928 წელს აღი-

---

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1. ს.1352, ფურც.1; ფ.რ-84, ან.1, ს.1325, ფურც.88-89; Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник. Бат., 1987, с.153; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

რიცხა 608, 1940 წელს–1834, 1980 წელს–5934, 1990 წელს – 7282 მასწავლებელი.[1]

როგორც ვხედავთ, 1939–1989 წლებში მასწავლებელთა საერთო რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა. ზრდის ტემპი ახასიათებდა საბჭოთა პერიოდის ისტორიის ყველა ეტაპს, რაც აიხსნება ათვლის წერტილის უაღრესად დაბალი მაჩვენებლებით.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასწავლებელთა თვისებრივი შემადგენლობა. ნიშანდობლივია, რომ ომამდე და ომისშემდგომ აღდგენით პერიოდში სკოლებში საკმაოდ მუშაობდნენ ზოგადი საშუალო განათლების მქონე მასწავლებლები. მაგალითად, თუ 1947 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 806 მასწავლებელი (საერთო შემადგენლობის 38%) არასპეციალისტი, სრული და არასრული საშუალო ზოგადი საშუალო განათლებით იყო, 1950 წელს ეს მაჩვენებელი 10%-მდე (277 კაცი) შემცირდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონე კადრები. 1946 წლის აგვისტოდან 1950 წლის დეკემბამდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უმაღლესი განათლებით მასწავლებელთა რიცხოვნობა 239-დან 676-მდე (დაახლოებით 2,8-ჯერ), 1956 წელს–2118-მდე (თითქმის 9-ჯერ), 1965 წლის დასაწყისში–2782-მდე (11,7-ჯერ) გაიზარდა. 1986–1987 სასწავლო წელს უმაღლესი განათლებით იყო მასწავლებელთა 89,3% (უმაღლეს დაუმთავრებლების ჩათვლით). იგი შესამჩნევად აღემატება საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს.[2]

---

[1] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა? სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.231; ასხგსმაპ, დოკუმენტებისა და მასალების კრებული (1921-1925 წწ.), ბათ., 1975, გვ.377.

[2] აცსა, ფ.რ-5, ან.1, სს.495, 675, 961; საბჭოთა აჭარა, 1947, 12 და 31 აგვისტო; Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.216.

თვისებრივ გაუმჯობესებაზე მიუთითებს მასწავლებელთა შიდასოციალურ შემადგენლობაში ცალკეული სახეობის სპეციალისტთა რიცხვის ზრდა:1950–1965 წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა როდენობა 3,6-ჯერ, რუსული ენისა და ლიტერატურის–4-ჯერ, უცხო ენებისა (ინგლისური, გერმანული ფრანგული)–5-ჯერ, ფიზიკისა 1,6-ჯერ, ხოლო მათემატიკის მასწავლებლისა–2,7-ჯერ და მეტად გაიზარდა. 1968 წელს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდებას ატარებდა 69, ხოლო აჭარისას–300 მასწავლებელი. 1984 წლის დასაწყისში აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდებას ატარებდა 728 კაცი[1] (23,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1946 წელს).

შეიცვალა მასწავლებელთა სოციალური პირობები. XX საუკუნის 70–80-იან წლებში მათი ცხოვრების დონე, მართალია, შესამჩნევად ამაღლდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. მიუხედავად ამისა, მასწავლებლები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ პროფესიულ მოვალეობას, ამაღლდა მათი სოციალური და პოლიტიკური აქტიურობა. სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა მასწავლებლის შრომისადმი დამოკიდებულება.

აჭარაში სამედიცინო ინტელიგენცია საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა. 1919 წელს აქ მხოლოდ 8 ექიმი და რამდენიმე ექთანი მუშაობდა. ასე რომ, გასაბჭოების შემდეგ სამედიცინო პერსონალის ფორმირება ფაქტობრივად ნულიდან დაიწყო. უკვე 1939 წელს მედიკოსთა რიგებში 1020 მუშაკი ითვლებოდა, თითქმის 3-ჯერ მეტი ვიდრე 1923 წელს. მატება გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ომისშემდგომ პერიოდში. 1959 წელს მედიცინის მუშაკთა რაოდენობამ 2968, 1970 წელს–4097, 1979 წელს–5717, ხოლო

---

[1] აცსა, ფ.რ-5, ს.495, ფურც.3; ს.961, ფურც.15; საბჭოთა აჭარა, 1946, 18 აგვისტო; ე.ციკაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარაში (1921-1970 წწ.), ბათ., 1970, გვ.147-148; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

1989 წელს—6356 კაცი შეადგინა.[1] ე.ი. ომამდელ დონესთან შედარებით 6-ჯერ და მეტად გაიზარდა. ინტელიგენციის ამ ნაწილის ბირთვს ექიმები და საშუალო სამედიცინო პერსონალი შეადგენს. მათ რაოდენობრივ ზრდაზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები. (იხ. ცხრილი 12).[2]

ცხრილი 12

მაჩვენებლები	წლები					
	1940	1950	1965	1970	1980	1986
ექიმები სულ	270	514	906	990	1324	1700
საშუალო სამედიცინო პერსონალი	524	1011	2714	3166	3951	4320

ინტელიგენციის სამედიცინო რაზმი ყოველწლიურად ივსებოდა ახალი სპეციალისტებით. 1940—1986 წლებში ექიმების რაოდენობა 6,3-ჯერ, ხოლო საშუალო სამედიცინო პერსონალისა—8,2-ჯერ გაიზარდა. საგრძნობი წინსვლა იყო ფარმაცევტული დარგის კადრების რაოდენობრივ და თვისებრივ ზრდაში. ამ განხრის სპეციალისტების რიცხვი 1939—1989 წლებში 61-დან 262-მდე ე.ი. 4,3-ჯერ გადიდდა.[3] აჭარაში ინტელიგენციის სამედიცინო რაზმის რაოდენობრივი ზრდის ტემპი საგრძნობლად მაღალი იყო, ვიდრე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლი-

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.55, ფურც.409; ს.863, ფურც.5; ს.1352, ფურც.1; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 60 წელი. ბათ., 1981, გვ.168-169; Народное хозяйство Грузинской ССР, ТБ., 1987, с.255.

[3] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ასა და საშუალოდ საქართველოში.[1] რაც წინა საბჭოური პერიოდის აჭარის სავალალო მდგომარეობით აიხსნება.

სამედიცინო პერსონალის თვისებრივი ზრდის მაჩვენებელია მის რიგებში სპეციალიზაციის გაღრმავება. ომამდელ და ომის წლებში აჭარაში არ იყო ოკულისტი, ონკოლოგი, პარაზიტოლოგი, თიზიატრი, ტრავმატოლოგი, უროლოგი და სხვა. 1962 წლის დასაწყისში აქ უკვე 22 თიზიატრი, 6 უროლოგი, 10 ოკულისტი და 13 პარაზიტოლოგი მუშაობდა. 1975 წელს აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში 22, ხოლო 1981 წელს 50-მდე მიკროსპეციალობის ექიმი ითვლებოდა. XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში საერთოდ არ იყო უმაღლესი განათლების მქონე ფარმაცევტი. 1938 წელს მხოლოდ ორი პროვიზორი აღირიცხა. 1945–1975 წლებში მათი რიცხვი 10-დან 79-მდე (თითქმის 8-ჯერ) გაიზარდა.[2]

თვალსაჩინო ცვილებები მოხდა შემოქმედებითი ინტელიგენციის შემადგენლობაში. 1926 წელს მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, მუსიკოსები, მოქანდაკეები, თეატრალური მოღვაწეები და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკები 117 კაცს მიითვლიდა. 1939 წლისათვის მათი რიცხვი 422-მდე (3,6-ჯერ) გაიზარდა. მიღწევები ასევე მნიშვნელოვანი იყო ომისშემდგომ პერიოდში. 1959 წელს შემოქედებითი ინტელიგენციის რაოდენობა შეადგენდა 487, 1970 წელს–549, ხოლო 1989 წელს–1103 კაცს. უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითი ინტელიგენციის რიცხოვნება უკანასკნელი 30 წლის მანძილზე 2,3-ჯერ გაიზარდა.

საგრძნობლად შეიცვალა შემოქმედებითი ინტელიგენციის თვისებრივი შემადგენლობაც. ომისშემდგომ პერიოდში მის რიგებს შეემატა არაერთი პოფესიონალი, შესამჩნევად იმაღლდა პროფესიული და ზოგადი განათლების დონე.

---

[1] Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический ежегодник, Тб., 1987, с.244, 255.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.419, ფურც.42; ფ.რ-178, ან.1, ს.55, ფურც. 409; აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1965, 1975 და 1981 წლების ანგარიშები.

თუ 1959 წელს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით იყო შემოქმედებითი ინტელიგენციის 28,7% (140 კაცი), 1970 წელს აღნიშნული მახასიათებელი 61,1%-ს (330 კაცი) აღემატებოდა. პროფესიული დაოსტატების მიხედვით 1984 წლის დასაწყოსში 215 კაცს მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული მოღვაწის წოდება. მათ შორის იყო ხელოვნების 67 მუშაკი, 116 მსახიობი, 25 ჟურნალისტი და 7 მხატვარი.[1]

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკების რაოდენობა 1939 წელს 176 კაცს მიითვლიდა. მათ შორის პროფესიონალი მეტად მცირე იყო. 1959 წლისათვის მათი რიცხვი 707-მდე (4-ჯერ), 1970 წელს–1097-მდე (6,2-ჯერ), 1989 წლის დასაწყისში–1556-მდე (თითქმის 9-ჯერ) გაიზარდა. მათ შორის 1959 წელს უმაღლესი და საშუალო სპეციალოური განათლებით იყო 37%, 1970 წელს კი–42%.[2] თვისებრივი მახასიათებლის მიხედვით წინსვლა გაციდლებით მაღალია XX საუკუნის 80-იან წლებში. როცა დარგის სისტემაში უკვე იშვიათობას წარმოადგენდა არასპეციალისტები.

აღსანიშნავია ინტელიგენციის იურისტთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები. 1929–1938 წლებში იურიდიული პერსონალი მხოლოდ 7 კაცით, 60-დან 67-მდე გაიზარდა. ომამდე უმაღლესი განათლება იურიდიული სამსახურის მხოლოდ მცირე ნაწილს გააჩნდა. 1959 წელს უმაღლესი და საშუალო სპ[ეციალური განათლებით იყო 110, 1970 წელს–141, ხოლო 1989 წელს–292 კაცი.[3] ეს ზრდა თითქმის 2,7-ჯერ აღემატება 1959 წლის მაჩვენებელს.

---

[1] ცნობები მოყვანილია: აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.55, ფურც.409-410; ს.1352, ფურც.1; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.

[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1352, ფურც.2; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.

[3] იქვე, ს.55, ფურც.409-450; ს.1352, ფურც.2; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.

აჭარაში ინტელიგენციის, როგორც სოციალური ფენის, განვითარებაში თვალშისაცემი იყო კიდევ ერთი თავისებურება: ადგილობრივი კადრების მეტისმეტი სიმცირე. მაგალითად 1947 წელს ინტელიგენციის აგრარულ რაზმში აჭარის მკვიდრი იყო საერთო რაოდენობის მხილიდ 8%, მასწავლებელთა შორის–22,6%, ექიმთა რიგებში–5,4%.[1] ეს მახასიათებელი კიდევ უფრო დაბალი იყო ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალში.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდამ მოყოლებული ადგილობრივი მკვიდრთაგან კადრების მომზადება დაჩქარდა და მდგომარეობაც უკეთესობით შეიცვალა. ობიექტური მიზეზებით გამოწვეული ჩამორჩენა გარკვეულწილად დაძლეულ იქნა.

მართალია, ინტელიგენციაში, როგორც სოციალურ ფენაში, გონებრივად მომუშავე განათლებული სპეციალისტები შედიოდნენ, მაგრამ ამავე დროს საზოგადოებაში გამოიყოფოდა ადამიანთა კადეგორია, რომლებიც ინტელიგენციას არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ გონებრივ შრომას ეწეოდნენ. ისინი ინტელიგენციასთან ერთად მოსამსახურეთა საზოგადოებრივ ჯგუფში შედიოდნენ.

საბჭოთა ხანის ისტორიის ყველა ეტაპისათვის დამახასიათებელია მოსამსახურეთა რაოდენობრივი ზრდის შედარებით მაღალი ტემპი. აჭარაში 1926–1939 წლებში მოსამსახურეთა რაოდენობა 5560-დან 17949 კაცამდე–3,2-ჯერ გაიზარდა. მართალია, სამამულო ომის წლებში (1941–1945) მოსამსახურეთა რაოდენობა შემცირდა, მაგრამ ომისშემდგომ პერიოდში იგი სწრაფად იზრდებოდა. 1959 წელს დასაქმებულ მოსამსახურეთა რაოდენობამ საგრძნობლად გადააჭარბა ომამდელ დონეს და 24984 კაცს მიაღწია. 1970 წელს მათი რაოდენობა 34496-დან 1979 წელს–43494, 1989 წელს–55038 კაცამდე გაიზარდა.[2] ამრი-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.11, ს.3, ფურც.44.

[2] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.55, ფურც.407-408; ს.1348, ფურც.2; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.

გად, 1989 წელს მოსამსახურეთა რიცხვი 1959 წლის მაჩვენებელს 2,2-ჯერ, ხოლო ომამდელ დონეს 3,1-ჯერ აღემატებოდა.

ომისშემდგომ პერიოდში საზოგადოების სოციალურ განვითარებაში პროგრესულ მოვლენად ჩაითვლება დასაქმებულ მოსამსახურეთა რიგებში ქალთა რაოდენობის მატება. იგი ბუნებრივი პროცესია და აჭარის თავისებურებათა გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მოსამსახურეთა რიგებში ქალთა ზრდის ტენდენცია საკმაოდ შესამჩნევია XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან. 1959 წელს ქალები შეადგენდნენ მოსამსახურეთა საერთო რეოდენობის 49,2%, 1979 წელს კი— 53,9%-ს მიაღწია.[1]

მოსამსახურეთა რაოდენობრივი ზრდის შედეგად საგრძნობლად შეიცვალა მისი ადგილი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. იგი გამოიხატა მოსახლეობის საერთო მასაში მისი ხვედრითი წილის გადიდებით. მაგალითად, თუ 1939 წელს მოსამსახურეებზე მოდიოდა აჭარის მოსახლეობის 19,5%, 1959 წელს—22,2%, 1970—1979 წლებში 22,5—25%-ს შორის მერყეობდა.

მოსახლეობის საერთო მასაში მოსამსახურეთა ხვედრითი წილის მიხედვით აჭარას სსრ კავშირის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის 1959 წელს მეოთხე, ხოლო 1970 წელს მეხუთე ადგილი ეკავა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის კი 1959 წელს პირველ ადგილზე იდგა, მაგრამ შემდგომში ჩამორჩა და 1970 წელს 7 ადგილზე გადაინაცვლა. იგი საქართველოს საერთო რესპუბლიკურ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მაჩვენებელზეც დაბლა იდგა. 1979 წლისათვის მნიშვნელოვან წინსვლას ადგილი არ ჰქონია. მნიშვნელოვანი წინსვლა აღენიშნა მხოლოდ XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში.

---

[1] აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.1348, ფურც.2; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.

ეროვნების მიხედვით მოსამსახურეთა სოციალური ჯგუფი არაერთგვაროვანია. 1959 წლის აღწერის თანახმად არაქართველები მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 30,5% შეადგენდნენ. მათ შორის რუსებზე მოდიოდა 17,1% და სომხებზე–5,7%. მომდევნო წლებში არაქართველების რიცხვი შემცირდა და 1989 წლის დასაწყისში 21,4% შეადგინა. მათგან რუსების ხვედრითი წილი 10,8% შემცირდა.

მოსამსახურეთა შემადგენლობაში თვისებრივი ცვლილება აისახა განათლების სფეროშიც. აჭარის მოსამსახურეთა საზოგადოებრივი ჯგუფი განათლების მაღალი ცენზით გამოირჩევა. 1959 წელს ყოველ 1000 მოსამსახურეზე უმაღლესი და საშუალო განათლება ჰქონდა 932, 1970 წელს–909, 1979 წელს–952, 1989 წელს–983 კაცს. ასე, რომ არასრული საშუალო და დაწყებითი განათლებით მოსამსახურენი იშვიათობას წარმოადგენდა. 1989 წლის დასაწყისში ამ კარტეგორიის 16 კაცი აღირიცხა (მათ შორის 3 დაწყებითი განათლებით).[1]

განათლების სისტემაში განხორციელებილი ღონისძიებების შედეგად აჭარამ დაძლია ისტორიული ჩამორჩენა. საგულისხმოა, 1923 წელს აჭარაში წერა–კითხვის უცოდინარი (5 წლის ზევით) იყო მოსახლეობის 92,1%. 1939 წელს კი უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პირთა რიცხვით მან გაუსწრო სსრ კავშირის საშუალი მაჩვენებელს და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის მეორე ადგილი, ხოლო 1959–1979 წლებში მეორე–მესამე ადგილი ეჭირა და მხოლოდ საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს ჩამორჩებოდა.

---

[1] ცნობები მოცემულია: Итоги всесоюзной переписи населения 1970 года, V, М., 1973, с.16-25, 86-145; Численность и состав населения СССР, М.. 1984, с.29, 155; აცსა, ფ.რ-178, აღ.1, ს.8, ფურც.5; ს.1348, ფურც.2; ს.1496, ფურც.2; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.

3. სოციალური ურთიერთობანი

აჭარაში ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნა ქალაქისა და სოფლის, კლასებისა და სოციალური ფენების ურთიერთობაში. იგი გლობალური პროცესია. მიუხედავად ამისა, აშკარად შესამჩნევია ლოკალური თავისებურებანი. ცხადია, სოციალურ ცვლილებათა მთავარი საფუძველი გახდა მატერიალურ წარმოებაში, მომსახურეების, განათლების, კულტურისა და მეცნიერების სფეროებში მოპოვებული მიღწევები. მართალია, აჭარა, როგორც მთლიანად საქართველო, სოციალური განვითარებით დიდად ჩამორჩა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს, მაგრამ ამ შემთხვევაში შედეგები ფასდება უწინარესად საკუთარ წარსულთან შედარებით.

აჭარაში ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა როგორც ქალაქი, ისე სოფელი. განსაკუთრებით დაჩქარდა ურბანიზაციის პროცესი. ომამდელ პერიოდში აჭარაში იყო ერთი ქალაქი და ერთიც ქალაქის ტიპის დასახლება, სადაც 1922 წელს ცხოვრობდა რეგიონის მოსახლეობის 48%. ნიშანდობლივია, რომ მთლიანად საქართველოში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი 21%-ს შეადგენდა.[1]

გასაბჭოებისას ბათუმი არქიტექტურულად შუა საუკუნეების ქალაქის იერსახეს ატარებდა, სადაც მრავალსართულიანი შენობები იშვიათობას წარმოადგენდა. ქალაქის განაშენიანება წარმოდგენილი იყო მცირე ზომის კვარტლების სახითი, რომერლთა ფართობი ჰექტარზე ნაკლები იყო, ხოლო ქუჩები—ვიწრო.[2] სოფლების განაშენიანება წარმოდგენილი იყო ხის შენობებით. საცხოვრებელი სახლების უმეტესობა იყო ქოხმახები. სოფლად იყო ძნელად

---

[1] Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический ежегодник, Тб., 1982, с.6, 7.

[2] დ. კომახიძე, ბათუმი გუშინ, დღეს და ხვალ. ბათ., 1977, გვ.78.

საავალი გზები, მდინარეებზე გადასასვლელი—საცალფეხო ხიდებით და ა. შ.

ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის შედეგად თანდათანობით შეიცვალა ქალაქისა და სოფლის იერსახე. ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლების განაშენიანება მიმდინარეობდა ახალი არქიტექტურული მიდგომებით. 1944 წელს დაბა ქობულეთი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, რაც აჭარის ურბანიზაციის პროცესში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

საგრძნობლად შეიცვალა სოფლების განაშენიანება. კეთილმოეწყო სასოფლო ცენტრები, გაშენდა ახალი სოფლები. რაიონული ცენტრები და მსხვილი სოფლები დაბებად გარდაიქმნა. მაგალითად, 1954 წელს ქალაქის ტიპის დასახლებად გარდაიქმნა სოფლები ჩაქვი და ოჩხამური, 1959 წელს—მახინჯაური, 1964 წელს—ხულო, 1966 წელს—ქედა, 1968 წელს-ხელვაჩაური, 1974 წელს—შუახევი.[1] ამრიგად, ომისშემდგომ პერიოდში შვიდი დაბა წარმოიქმნა.

ომისშემდგომ პერიოგში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქალაქების, დაბებისა და სოფლების იერსახემ. ბათუმში მოეწყო ახალი კვარტლები და მიკრორაიონები, მასობრივად დაიწყო მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა, გაკეთდა ახალი ქუჩები და მოედნები, გაფართოვდა და კეთილმოეწყო ზღვისპირა და მოსწავლე—ახალგაზრდობის პარკები. სოფლები დამშვენდა აგურისა და ქვითკირის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებით. სასოფლო ცენტრების იერსახე საგრძნობლად მიუახლოვდა ქალაქის ტიპის დახლების განაშენიანებას.

ქალაქისა და სოფლის განაშენიანების, კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები ფართო მასშტაბით გაიშალა XX საუკუნის 60—80-იან წლებში.

---

[1] აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.10.

მიღწევები მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონის სუბტროპიკულ ზონაში, რომელიც ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად ორ სასოფლო რაიონს მოიცავს.

ამ ზონის სოფლებისა და დაბების ცენტრები და საავტომობილო გზები მოიკირწყლა და მაგარი საფარით დაიფარა. მოეწყო სკვერები, სპორტული მოედნები, გართობისა და დასვენების ადგილები. აჭარის სოფლებში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული რეგულრულად მუშაობს სამგზავრო ავტოტრანსპორტი, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი ქალაქისა და სოფლის დაახლოებას.

ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა სოფლის ინდუსტრიულ განვითარებაში. სოფლად არაერთი სამრეწველო საწარმო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი გაიხსნა. მათ შორის აღსანიშნავია ჩაის ფაბრიკები, ხე–ტყის სახერხი, აგურ-კრამიტის, ხილის და ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნები, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა ფილიალები, ჰიდროელექტროსადგურები და სხვა. მაგალითად, 1965 წელს აჭარის სოფლად მოქმედებდა 11-დან 8 ჩაის ფაბრიკა, 1985 წელს–17-დან 14. სოფლად იყო კავშირგაბმულობის საწარმოთა (ფოსტა–ტელეგრაფი) 72–75%.

ცხადია, სოფლის ინდუსტრიულმა განვითარებამ საგრძნობლად შეცვალა მისი იერსახე, რაშიდაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სოფლად კულტურის, განათლების, ჯამრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო დაწესებულების გახსნას და მომსახურების კულტურის ამაღლებას.

ამ მიმართულებით წინსვლა შეიმჩნეოდა 1921–1990 წლების ყველა მონაკვეთში. გამოირჩეა ომისშემდგომი პერიოდი. თუ 1940 წელს სოფლად განლაგებული იყო სავაჭრო ობიექტების 41,5%, 1970 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 49,8%, 1980 წელს–50%, 1986 წელს–50,2%, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებიდან 1965–1980

წლებში სოფლად მოქმედებდა 23-44%: სოფლად განლაგებული იყო აჭარის სამკურნალო დაწესებულებათა საერთო რაოდენობის 82%, საბავშვო ბაგა-ბაღების 32–42%, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების–83%.[1]

ეკონომიკის განვითარების, უწინარესად მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებისა და გაფართოების კვალობაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის განაწილებასა და გადანაწილებაში. მატერიალურ წარმოებაში დასაქმებული მუშახელის შემცირება არასაწარმოო სფეროს ანგარიშზე საერთო ტენდენცია გახდა. მაგალითად, 1939 წელს მატერიალური დოვლათის წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი იყო 83,2% 1959 წელს–82,8%, 1970 წელს–76%, 1989 წელს–73,2%.[2]

ქალაქისა და სოფლის დაახლოების მნიშვნელოვანი საჩვენებელია შრომითი რესურსების გადანაწილება ეკონომიკის აგრარული სექტორიდან ინდუსტიის დარგებში. 1939 წელს ინდუსტრიის დარგებში დასაქმებული მოსახლეობა 24%შეადგენდა, მართალია, იგი 1959 წელს 21%-მდე შემცირდა მაგრამ 60-იან წლებში მნიშვნელოვან მატებას ექონდა ადგილი. მაგალითად, 1970 წელს ინდუსტრიის დარგებში დასაქმებული მოსახლეობის ზრდა იყო 26%, 1989 წელს 29,2-მდე ხოლო დასაქმებულთა რიცხვი აგრარულ სექტორში 1959 წლის 57%-მდე 1970 წელს 44%, ხოლო 1989 წელს 35,9%-მდე შემცირდა.[3]

განვითარების ასეთი ტენდენცია ახასიათებდა ყველა ინდუსტრიულ ქვეყანას. სსრ კავშირში, მაგალითად, 1940–1985 წლებში მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანს-

---

[1] გამოთვლილია: აჭარის სტატისტიკური კრებულებისა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივის მასალების საფუძველზე.

[2] გამოთვლილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივის მასალების საფუძველზე.

[3] იქვე.

პორტსა და კავშირგაბმულობაში, დასაქმებული მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა 28%-დან 47%-მდე, ხოლო სასოფლო და სატყეო მეურნეობაში შემცირდა 54%-დან 20%-მდე, საქართველოში (1960–1985 წლებში) შესაბამისად–29%-დან 37% და 48%-დან 27%-მდე.[1] ქალაქისა და სოფლის დაახლოებას მოწმობს თითოეულ მათგანში მოსახლეობის გადანაწილებასა და განაწილებაში მომხდარი ცვლილებებიც. იგი ასახულია მე-13 ცხრილში (პროცენტობით).[2]

---

[1] Народное хозяйство СССР за 70 лет. статистический ежегодник, М., 1987, с.410; народное хозяйство Грузинской ССР, Статистический ежегодник, Тб., 1987 с.156.

[2] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.

ცხრილი 13.

	1939წ.		1959წ.		1970წ.		1989წ.	
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
დასაქმებული მოსახლეობა სულ	100	100	100	100	100	100	100	100
მათ შორის:								
მრეწველობასა და მშენებლობაზე	38	8,0	35	4,0	34	6,0	33,3	10,6
სასოფლო და სატყეო მეურნეობაში	9	81	16	86	11	75	6,0	62,2
ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში	11	1,0	9	1,0	12	3,0	11,3	5,1
მატერიალური წარმოების სხვა დარგებში	14	2,0	10	1,0	10	3,0	12,3	4,4
კომუნალურ–საყოფაცხოვრებო მომსახურებაში	7	2,0	7	1,0	5,0	2,0	6,0	2,3
განათლებაში, ჯანდაცვაში, მეცნიერებაში, კულტურაში, სოცუზრუნველყოფაში და სხვა.	13	5,0	18	6,0	20	9,0	23,8	12,1
სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მმართველობაში.	8	1,0	5,0	1,0	8,0	2,0	7,0	3,0

ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლები მკაფიოდ მიუთითებს ქალაქისა და სოფლის დაახლოებაზე. ამ პროცესში საგრძნობი წინსვლა აღინიშნა ომამდელ პერიოდში. 1939 წელს ინდუსტრიისა და მომსახურების ყველა დარგში დასაქმებული მოსახლეობა 19% შეადგენდა. ეს მაშინ როდესაც XX საუკუნის 20-იან წლებში ნაკლები იყო.

მართალია, ომისსემდგომ პირველ ათწლეულში პროცესი რამდენადმე საწინააღმდეგოდ განვითარდა. მაგრამ 60-იანი წლებიდან მოსახლეობის გადანაწილება აგრარულიდან ინდუსტრიისა და მომსახურების დარგებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული მახასიათებელი 1970 წელს იყო 25%, ხოლო 1989–წელს 37,8% რაც 1959 წლის მაჩვენებელს 11% და 23,8%-ით აღემატებოდა.

1959–1989 წლებში სოფლად მრეწველობასა და მშენებლობაზე დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 2,6-ჯერ, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში–5,1-ჯერ, მატერიალური წარმოების სხვა დარგებში (აგრარულის გარდა)–4,4-ჯერ, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში–2,3-ჯერ, განათლებაში, ჯამრთელობის დაცვაში, მეცნიერებაში, კულტურაში, ფიზკულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფის სისტემაში–2,1-ჯერ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მმართველობაში–3-ჯერ. სახალხო მეურნეობის დარგებს შორის მოსახლეობის ასეთი გადანაწილება პროგრესული მოვლენად ითვლება.

ამ პროცესში ასევე დიდი როლი შეასრულა სოფლის ელექტროფიკაციამ, რადიოფიცირებამ და ტელევიზაციამ. მივარდნილ სოფლებშიც კი შესამჩნევად შეიცვალა ცხოვრების იერსახე.

საზოგადოების დაყოფა სოციალურ ფენებად დაკავშირებულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან. ისტორიულად გამოიკვეთა სოციალური ჯგუფების განსხვავებული ნიშნები: სიმდიდრე (დამოკიდებულება საკუთრებისადმი). პროფესია და თანამდებობა. როგორც აღინიშნა,

გასაბჭოებამდე აჭარაში არსებობდა ხუთი სოციალური ფენა: ბურჟუაზია, მემამულეები, გლეხები, მუშები და ინტელიგენცია. ეს უკანასკნელი ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო.

მემამულეებისა და ბურჟუაზიის რეპრესიის შედეგად მათი ნაწილი აჭარიდან ოსმალეთში გადაიხვეწა. ბურჟუაზიის უმრავლესობა, რომელიც ძირითადად არაქართველებისაგან შედგებოდა, უცხოეთში გადასახლდა, ხოლო სოფლის შეძლებული გლეხები გააკულაკეს. ამრიგად, XX საუკუნის 30—იან წლებში აჭარის მოსახლეობა მუშების, გლეხების და ინტელიგენციისაგან შედგებოდა.

მუშათა კლასი იმთავითვე მოკლებული იყო წარმოების საშუალებებს. მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ წარმოების საშუალებები მუშებისა და გლეხების საკუთრებად გამოაცხადა, მაგრამ სინამდვილეში წარმოების საშუალებათა მონოპოლიურ მესაკუთრეს სახელმწიფო წარმოადგენდა.

საბჭოთა სახელმწიფო და კომუნისტური პარტია ხელოვნურად ცდილობდა სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბებას. ასეთი საზოგადოება არასოდეს არსებულა და ვერც შეიქმნებოდა (პირველყოფილი საზოგადოების გამოკლებით). მემამულეებისა და ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას არ მოჰყოლია საზოგადოების ქონებრივი და სოციალური თანასწორობა. საბჭოთა სისტემის პირობებში აჭარაში, როგორც მთლიანად სსრ კავშირში, წარმოიქმნა ფარული მდიდართა ფენები, რომელთა ქონების დიდ ნაწილს არაშრომითი შემოსავლები შეადგენდა.

მიუხედავად ამისა, ომისშემდგომი პერიოდში საგრძნობი მიღწევები იყო საზოგადოებრივი ფენების დაახლოებაში. ამის მაჩვენებელია მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები, რაც მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდასა და შესაბამისად გლეხობის

რაოდენობის შემცირებაში გამოიხატა (იხ. ცხრილი მე–14, პროცენტობით).

ცხრილი 14.[1]

	1939წ.	1959წ.	1970წ.	1979წ.	1989წ.
მოსახლეობა სულ	100	100	100	100	100
მუშა–მოსამსახურეები.....	47,0	52,0	57,4	63,7	65,6
გლეხები.....	53	48,0	42,6	36,3	34,4

გლეხობის რაოდენობის თანდათანობითი შემცირება და შესაბამისად მუშა–მოსამსახურეთა შეუქცევადი ზრდა ომამდელ წლებში დაიწყო. ეს იყო სოციალური განვითარების კანონზომიერი შედეგი, რომელიც ახასიათებდა ყველა ინდუსტრიულ ქვეყანას. ამ პროგრესულ ცვლილებათა შედეგად მუშა–მოსამსახურეთა რაოდენობა აჭარაში 1989 წელს მოსახლეობის ორმესამედს მიაღწია. მიუხედავად ამისა, მუშა–მოსამსახურეთა ზრდის ტემპით აჭარა ჩამორჩებოდა სსრ კავშირისა და საქართველოს საშუალო მაჩვენებელს. მაგალითად, 1979 წელს სსრ კავშირში მუშა–მოსამსახურეები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 85,1%, ხოლო საქართველოში–82,1% შეადგენდნენ.[2]

წარმოების საშუალებათა საკუთრებასთან დამოკიდებულებით მუშა და გლეხი თითქმის თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მართალია, გლეხს, მუშისაგან განსხვავებით, ურთიერთობა ჰქონდა ჯგუფურ (საკოლმეურნეო-კოოპერა-

[1] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.13; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.

[2] Народное хозяйство СССР за 70 лет, Статистический ежегодник, М., 1987, с.11; Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический ежегодник, Тб., 1987, с.6.

ციულ) საკუთრებასთან, გააჩნდა საკარმოდამო ნაკვეთი, მაგრამ წარმოების ძირითადი საშუალება–მიწა სახელმწიფო კუთვნილებას შეადგენდა. ამასთან, საკოლმეურნეო-კოოპერაციული საწარმოებიც თითქმის გასახელმწიფოებრივი იყო.

საკუთრებით ურთიერთობაში ცვლილებები საგრძნობ ზეგავლენას ახდენდა კლასობრივ და შიდასოციალურ განსხვავებათა ხასიათზე, მუშათა და გლეხთა დაახლოებაზე. ეს ცვლილებები აჭარაში გამოიხატა საკუთრების განსაზოგადოების დონის ამაღლებით, წარმოების კომცენტრაციისა და ინტეგრაციის გაღრმავებით. 1960 წელს კოოპერაციული მრეწველობა სახელმწიფოს უშუალო საკუთრებაში გადავიდა და 14 არტელს აერთიანებდა. 1959 წელს მის წილად მოდიოდა აჭარის რეგიონის მრეწველობის საერთო პროდუქციის 3% და საწარმო პერსონალის 10%.[1] წვრილ საწარმოთა გამსხვილება მოხდა მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, საბინაო–კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაშიც. ინტეგრაცია და კონცენტრაცია განხორციელდა ეკონომიკის აგრარულ სექტორშიც. ამის შედეგად გაიზარდა წარმოების საშუალთა კონცენტრაცია და გაღრმავდა ეკონიმიკურთან ერთად, სოციალური ინტეგრაცია.

მუშა–მოსამსახურეთა და გლეხობის დაახლოებას ადგილ ადგილ ცვლილებები შრომის ანაზღაურებასა და შრომის ხასიათში. 1940 წელს აჭარაში გლეხის შრომის ეკონომიკური ანაზღაურება სახელმწიფო მეურნეობებში მუშა–მოსამსახურეთა ხელფასის დონეს 5-ჯერ აჭარბებდა, 1950 წელს–3,5-ჯერ, 1960 წელს–2,3-ჯერ, 1970 წელს–1,9-ჯერ, 1980 წელს–1,6-ჯერ. სხვაობა გაცილებით ნაკლები იყო სუბტროპიკული ზონის კოლმეურნეობებში. მაგალითად, 1940 წელს ქობულეთის რაიონის კოლმეურნე გლეხის შრომის ანაზღაურება შეადგენდა მუშა-მოსამსა-

---

[1] გამოთვლილია აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

ხურეთა ხელფასის 50%, 1950 წელს–70%, 1960 წელს–78%, 1970 წელს–91,1%, 1980 წელს–89,2%.[1]

მუშა–მოსამსახურეთა და გლეხობას შორის არსებით განსხვავებათა დაძლევას, მათი სოციალური მდგომარეობის დაახლოებას საგრძნობლად შეუწყო ხელი სოფლად სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შემოღებამ. იგი აისახა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 15 ივლისის კანონში "კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ."

ამ კანონით კოლმეურნე გლეხობაზე გავრცელდა სახელმწიფო სოციალური უზრულველყოფის წესები, როცა მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის გამო, ხოლო ქალებს ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში პენსიები ენიშნებოდათ.[2] მომდევნო წლებში სოფლის მცხოვრებთა პენსიები მნიშვნელოვნად გაიზარდა, საგრძნობლად მიუახლოვდა მუშა–მოსამსახურეთა პენსიების დონეს.

შრომის ხასიათში ასევე მნიშვნელოვანი პროგრესული ცვლილებები მოხდა ომისშემდგომ პერიოდში. ამ მიმართულებით წინსვლა საგრძნობი იყო XX საუკუნის 60–80-იან წლებში. მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის სისტემაში საწარმო პროცესების კომპლექსური მექანიზაციით, ავტომატიზაციის, ნაკადური ხაზების დანერგვით მუშის შრომა თავისი ხასიათით მიუახლოვდა ინჟინერ–ტექნიკური მუსაკების შრომას.

ასეთივე პროცესები, თუმცა შედარებით სუსტად, მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობაშიც. აჭარაში, როგორც მთლიანად საქართველოში, მნიშვნელოვანი წინსვლა იყო ფრინველის ხორცისა და კვერცხის ფაბრიკული

---

[1] გამოთვლილია: აცსა, ფ.რ-84, ან.1, ს.1423, ფურც.1-33; ს.1878, ფურც.1-11; ფ.რ-178, ან.1, ს.943, ფურც.6; საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.86, 116.

[2] Решения партии и провительство по хозяйственным вопросам, сборник документов за 50 лет, 5, М., 1968, с.472-473.

წესით წარმოება, რაც XX საუკუნის 60-იან წლებში განხორციელდა. აგრეთვე სასელმწიფო და საკოლმეურნეო მეცხოველეობის მეურნეობებში, მემინდვრეობასა და მემცენარეობაში მძიმე ფიზიკური სამუშაოების ნაწილობრივი მექანიზაციით შეცვლა.

ცხადია, აგრარულ სექტორში შრომის ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებით გლეხის შრომის ხასიათში ინტელექტუალური ელემენტის მონაწილეობა შესამჩნევად გაიზარდა. ამით გლეხის შრომა მიუახლოვდა მუშა-მოსამსახურეებისას, უწინარესად ინდუსტრიის მუშაკების შრომის ხასიათს.

სოციალური ფენების დაახლოებაში ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განათლებაში მომხდარ ცვლილებებს. ჯერ დაწყებითი, შემდეგ შვიდწლიანი (რვაწლიანი), ბოლოს სრული საყოველთაო–საავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების შედეგად საგრძნობლად შემცირდა განსხვავება საზოგადოებრივ ფენებს შორის.

გლეხობა განათლების დონით თანდათანობით დაუახლოვდა მუშათა კლასს. მაგალითად, 1959 წელს აჭარაში ყოველ ათას კაცზე უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლების მიხედვით სხვაობა გლეხებსა და მუშებს შორის შეადგენდა 43,4%, 1970 წელს–26,3%, 1979 წელს–14,1%, ხოლო 1989 წელს–3,4%-მდე შემცირდა.[1] ამრიგად, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მუშათა და გლეხთა განათლების დონეში სხვაობა უმნიშვნელო გახდა.

მუშათა საწარმოო საქმიანობაში ინტელექტუალური ელემენტების გაღრმავების შედეგად შესამჩნევად შემცირდა განსხვავება ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკებს შორის. მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში ოპერატორისა და მეაპარატე მუშების დარგობრივ–თვისებრივი

---

[1] Итоги всесоюзной переписи населения 1970 года, V, М., 1973, с.138; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე არქივი.

ზრდა მკაფიოდ მეტყველებს მათი შრომის მიახლოებას ინჟინერ–ტექნიკური პერსონალის შრომის ხასიათთან. აგ დაახლოების მოწმობაა მუშების შემოქმედებითი მონაწილეობა წარმოების ტექნოლოგიურ განახლებაში.

ამრიგად, ომისშემდგომ პერიოდში აჭარაში როგორც მთლიანად საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობასა და მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში, მნიშვნელოვანი პროგრესული ძვრები მოხდა. გაუმჯობესდა დემოგრაფიული სიტუაცია, გაიზარდა ქართველების ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო მასაში. შესამჩნევი იყო ქალაქისა და სოფლის, სოციალური ჯგუფების განვითარება და დაახლოება. საგრძნობლად შეიცვალა მუშათა კლასისა და გლეხობის საზოგადოებრივი მდგომარეობა, სოციალური იერსახე. გაიზარდა ინტეგრაციის როლი აჭარის რეგიონის პოლიტიკურ, სოციალურ–ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში.

ცხადია, ყოველივე ეს მნიშვნელოვანი წინსვლა იყო. მაგრამ ამასთან საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის სოციალურ პოლიტიკაში პრიორიტეტული იყო მუშათა კლასის ინტერესები. თუმცვა ეს ინტერესები ჯეროვნად არ ყოფილა დაკმაყოფილებული. საზოგადოების სოციალურ განვითარებას აშკარად ემჩნეოდა არაბუნებრიობა. ასეთივე მდგომარეობა იყო სსრ კავშირის ყველა რეგიონში, მათ შორის აჭარაშიც.

თავი მეექვსე
მოსახლეობის კეთილდღეობა

1. მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა

ომისშემდგომ აღდგენით წლებში (1946–1950) ხელისუფ-ლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედა-ვად, აჭარის მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობაში ერსებითი ცვლილებები არ მომხდარა. 50-იანი წლების დასაწყისში ხალხის ცხოვრება კვლავინდებურად მძიმე იყო. მოსახლეობას საკმარისად არ ჰქონდა სურ-სათ—სანოვაგე, აკლდა ფართო მოხმარების საქონელი. თა-საც ამ საქონლის საცალო ფასები საკმაოდ მაღალი იყო, რის გამო ადამიანების უმრავლესობას მათი შეძენის საშუალება არ გააჩნდა.

ფართო მოხმარების საქონელსა და სურსათზე სახელ-მწიფო საცალო ფასების შემცირება, რომელიც 1948 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, 50-იან წლებშიც გაგრძელდა. 1951 წელს მათი საცალო ფასები შემცირდა 10%-დან 21%-მდე, 1953 წელს—5%-დან 50%-მდე, 1954 წელს 5%-დან 44%-მდე.[1] ასეთი ღონისძიებები ძირითადად დაკავშირებული იყო ომის მძიმე შედეგების აღმოფხვრასთან. მართალია, ეგი განურჩეველად სასარგებლი იყო სსრ კავშირის ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ გაჭირვებაში მყოფი ადამიანები-სათვის დიდ შველას არ მოასწავებდა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გ. მალენკოვის ინი-ციატივით 1953 წლის აგვისტოში შეიმუშავა ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებას. უწინარესად სახელწიფო დაფინანსების გადანაწილებას მძიმე მრეწვე-ლობიდან სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაზე. მართლაც, ამ მიმართულებით 1954 წელს

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1951, 2 მარტი; 1953, 1 აპრილი; 1954, 1 აპრილი.

მნიშვნელოვანი ძვრები დაიწყო. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმზე ასეთი კურსი დიდ შეცდომად ჩათვალეს და დასახული პროგრამაც გააუქმეს.

ამის შედეგად მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ეტაპობრივად და ამავე დროს ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ქვეყანა, რომელსაც უდიდესი ბუნებრივი და შრომითი რესურსები გააჩნდა, ვერ უზრუნველყოფდა საკუთარ ხალხს სურსათ–სანოვაგით, ფართო მოსმარების საქონლით და საცხოვრებელი ბინით. ასეთ პირობებშიც კი დიდძალი კაპიტალი უაზროდ იხარჯებოდა "თავდაცვაზე" და საზღვარგარეთ გაედინებოდა "მესამე სამყაროს" ქვეყნებზე დახმარების სახით. ცხადია, ფინანსების ასეთი განაწილება და "გადინება" ხალხის ცხოვრების ხარჯზე ხდებოდა.

ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონელზე სახელმწიფო საცალო ფასების მორიგი შემცირება 1959–1960 წლებში განხორციელდა, რის შედეგად მოსახლეობამ 1,1 მილიარდი მანეთი მოგება ნახა.[1] 1971 წლის პირველი მარტიდან სახალხო მოხმარების ზოგიერთი საქონლის (ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, საყოფაცხოვრებო ქიმიის და სხვა) საცალო ფასები 11%-დან 38%-მდე შემცირდა.[2] ცხადია, საცალო ვაჭრობის სახელმწიფო ფასების ნებისმიერი შემცირება სასიკეთო ღონისძიება იყო ყოფილი სსრ კავშირის ყველა მოქალაქის, მათ შორის აჭარის მოსახლეობისათვის. მაგრამ ამავე დროს XX საუკუნის 60–80-იან წლებში ზოგიერთი საქონლის ფასები, მათ შორის კვების პროდუქტებისა, საგრძნობლად გაიზარდა. იგი "შემპარავი" ფორმით ხდებოდა, რაც მოსახლეობას, მატერიალურ ზარალთან ერთად ნერვულ დაძაბულობას უქმნიდა.

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1960, 7 მაისი.

[2] საბჭოთა აჭარა, 1971, 2 მარტი.

მუშა–მოსამსახურეთა შემოსავალში განმსაზღვრელი ადგილი ეკავა შრომის ხელფასს. აჭარაში XX საუკუნის 60–80-იან წლებში მასზე მოდიოდა ოჯახის საერთო შემოსავლის 76–80%. არსებული წესის მიხედვით არასაწარმოო სფეროს დაფინანსება ხდებოდა საკავშირო ცენტალიზებული წყაროებით და ერთგვაროვანი იყო (ზოგიერთი მხარის გამოკკლებით) მთლიანად სსრ კავშირში. მართალია, შრომის ხელფასი ომამდეც დაბალი იყო, ომისშემდგომ აღდგენით წლებში (1946–1950) კი მისი რეალური მახასიათებელი საგრძნობლად შემცირდა. XX საუკუყრის 50-იანი წლების პირველ ნახევარში შრომის ხელფასი თითქმის არ გაზრდილა. გამონაკლისი იყო მეცნიერი მუშაკები, რომელთა ხელფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა 1946 წლის აპრილში. სამწუხაროდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის უკანასკნელი 45 წლის განმავლობაში იგი აღარ გაზრდილა.

განსაკუთრებით მძიმე იყო დაბალხელფასიანი მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა. შეიძლება ითქვას, ისინი ბეგარაზე მუშაობდნენ. 1957 წლის 1-ლი იანვრიდან 33%-ით გაიზარდა დაბალხელფასიანი მუშა–მოსამსახურეთა ხელფასი. მინიმუმი დაწესდა: ქალაქად 30–35 მანეთი, ხოლო სოფლად–27 მანეთი. ამავე დროს 37 მანეთამდე ხელფასზე, სტიპენდიაზე, და სხვა სახის სარგოზე საშემოსავლო, უცოლშვილო–უქმარშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადები გაუქმდა.[1] 1960 წლის 1-ლი ოქტომბრიდან შეწყდა საშემოსავლო და სხვა სახის გადასახადები 50 მანეთამდე ხელფასზე და სხვა სარგოზე.[2] 1964 წელს მუშა–მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასი გაიზარდა 40–45 მანეთამდე, ხოლო განათლების,

---

[1] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ.IV, თბ., 1962, გვ.313-315.
[2] საბჭოთა აჭარა, 1960, 10 მაისი.

ჯამრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და სხვა მუშაკებისათვის 15–25%-ით.[1]

შრომის ხელფასის ასეთი ტემპითა და მასშტაბით მომატება უფრო სიმბოლური იყო. ამ ხელფასით ნორმალური ცხოვრება არ შეიძლებოდა. უჭირდათ არამარტო რიგით მუშა–მოსამსახურეებს, არამედ აგრეთვე მასობრივი მომსახურების სპეციალისტებს–მასწავლებლებს, ექიმებს და სხვა.

მუშა–მოსამსახურეთა ხელფასის ახალი ეტაპობრივი მომატება მოხდა XX საუკუნის 70–80-იან წლებში. 1968 წლის 1-ლი იანვრიდან მათი მინიმალური ხელფასი გაიზარდა 60 მანეთამდე, ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისა–70 მანეთამდე. ამასთან 25%-ით შემცირდა გადასახადები 61–80 მანეთის ოდენობის ხელფასზე.[2] 1971–1975 წლებში ხელფასი მოემატათ ექიმებს (23%-ით). მასწავლებლებს (21%-ით), სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელებს (29%-ით). სოფლის მეურნეობის მექანიზატორებსა და სხვა.[3]

ამავე წლებში მინიმალური ხელფასი გაიზარდა 70 მანეთამდე, მათზე გაუქმდა გადასახადები. საქართველოში მუშა–მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი გადიდდა 18,6%, კოლმეურნე გლეხობისა–17,3%-ით, მომდევნო ხუთწლეულში მატებამ შესაბამისად შეადგინა 19% და 18,3%.[4] 1985–1988 წლებში შესამჩნევად გაიზარდა მასწავლებლების, ექიმების, კულტურისა და სხვა კატეგორიის მუშაკების ხელფასი.

ნომინალური და რეალური ხელფასის ზრდა მიმდინარეობდა მუშა–მოსამსახურეთა რაოდენობის გადიდებასთან ერთად. მთლიანად საქართველოში 1940–1986 წლებში

---

[1] Решения партии и правительство по хозяйственным вопросам, сборник документов, 5, М., 1968, с.178-179.

[2] საბჭოთა აჭარა, 1967, 27, 28 სექტემბერი.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VIII, თბ., 1980, გვ.895.

[4] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ბუშა–მოსამსახურეთა რიცხვი 4,5-ჯერ გაიზარდა, აჭარაში–3,5-ჯერ (39,5 ათასიდან 118,6 ათასამდე). ცხადია, ეს მოხდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შედეგად.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მოხმარების საზოგადოებრივმა ფონდებმა. დიდი მონაპოვარი იყო უფასო განათლება და ასევე უფასო სამედიცინო მომსახურება. ომისშემდგომ პერიოდში მოსახლეობამ მნიშვნელოვანი დახმარება მიიღო სოციალური დაზღვევის ფონდიდან. 1967 წელს იგი კოლმეურნე გლეხობაზე გავრცელდა. ამ მიზნისათვის გათვალისწინებული თანხები სისტემატურად მატულობდა. მაგალითად, 1953–1980 წლებში იგი 222,2-ჯერ გაიზარდა. კერძოდ, 1953 წელს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდიდან მოსახლეობაზე გაცემულია 36 ათასი მანეთი, 1957 წელს–951,6 ათასი, 1963–1964 წლებში–7 მილიონი, 1980 წელს–11,6 მილიონი მანეთი.[1]

მართალია, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ძირითადი მაჩვენებელი–შრომის ხელფასი ძალზე ნელი ტემპით იზრდებოდა, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანი იყო. საგულისხმოა, რომ, 1940–1986 წლებში სსრ კავშირში მუშა–მოსამსახურეთა ყოველთვიური ხელფასი 33,5 მანეთიდან 195,6 მანეთამდე, ე.ი. 5,6-ჯერ გაიზარდა. საქართველოში–33,3 მანეთიდან 170,6 მანეთამდე (5,1-ჯერ). აჭარაში მუშა–მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1950 წელს 62 მანეთიდან 1960 წელს–69, 1970 წელს 104, 1980 წელს–139, ხოლო 1990 წელს–266 მანეთამდე–3,4-ჯერ გაიზარდა.[2]

როგორც ვხედავთ, ნომინალური ხელფასის ზრდის ტემპი მაღალი იყო 1980–1990 წლებში (91,4%), მაგრამ ამავე დროს ამ წლეებში მუშა–მოსამსახურეთა რეალური ხელ-

---

[1] აცსა, ფ.რ-98, ან.1, სს.27, 113, 456; იხ. აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1980-1981 წლების მასალები), ბათ., 1981, გვ.15.

[2] ცნობები მოყვანილია საქართველოს და აჭარის სტატისტიკური კრებულებიდან.

ფასი შემცირდა, ცხოვრება საგრძნობლად გაძვირდა. ეს მდგომარეობა რამდენადმე განპირობებული იყო ავღანეთის წინააღმდეგ ხანგრძლივი ომით (1979–1989 წლები). გამალებული შეიარაღებით, საბოლოოდ კი საბჭოთა ეკონომიკური სისტემის კრიზისით. დისპროპორცია შეიქმნა წარმოებასა და მოხმარებას შორის. ამიტომ სახელმწიფო იძულებული იყო ფულის ემისია მოეხდინა. 1970–1990 წლებში საქართველოში ფულადი ემისია 10-ჯერ–97,2 მილიონი მანეთიდან 970 მილიონ მანეთამდე გაიზარდა.[1]

თუ შედარებით მეთოდს გამოვიყენებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ 1989 წელს სსრ კავშირში მუშის საშუალო თვიური ხელფასი აშშ-ის ანალოგიურ მახასიათებელს ჩამორჩებოდა 7,5-ჯერ, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისას–13,6-ჯერ, განათლებისას–12,0-ჯერ. მიახლოებით ასეთი სურათი გვაქვს სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. სსრ კავშირში ერთი ბავშვის შენახვაზე იხარჯებოდა 39,5 ათასი მანეთი, ხოლო აშშ-ში–50 ათასი მანეთი.

ომისშემდგომ პერიოდში შესამჩნევად გაუმჯობესდა მოსახლეობის შრომისა და დასვენების პირობები. 1956 წელს უქმე და დასვენების წინა დღეებში მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო დრო, ხელფასის შემცირების გარეშე, ორი საათით შემოკლდა. 1956 წლის 1-ლი ივლისიდან 16-დან 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდის სამუშაო დრო ასევე ორი საათით შემცირდა, ხოლო შვებულობის ხანგრძლივობა ერთ თვემდე გაიზარდა.

ქალების შვებულების ხანგრძლივობა ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ 112 დღემდე გაიზარდა. XX საუკუნის 60–იანი წლების დასაწყისში დამთავრდა ყველა მუშისა და მოსამსახურის შვიდსაათიანი, ხოლო მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული მუშების, ექვსაათიან სამუშაო

---

[1] ი. არჩვაძე, წარსულის მითოლოგიურ გაფეტიშებას ბოლო უნდა მოეღოს (სსრ კავშირის დაშლისწინა პერიოდის საქართველოს მაგალითზე), ჟურნ. ეკონომისტი, 1999, №4-5, გვ.83.

დღეზე გადაყვანა. 1968 წლის 1-ლი იანვრიდან მუშა-მოსამსახურენი გადაყვანილი არიან 5 დღიან სამუშაო კვირაზე, რითაც წელიწადში 70–80 საათი დაიზოგა. მუშა–მოსამსახურეებს თუ აქამდე წელიწადში ჰქონდა 52 დასვენების დღე, ამის შემდეგ იგი 100 დღემდე გაიზარდა.

ამ თავისუფალ დროს ადამიანები იყენებდნენ პირადი ყოფა-ცხოვრების, უწინარესად დასვენების, გართობისა და ინტელექტუალური განვითარებისათვის. ზოგიერთი კატეგორიის მუშა–მოსამსახურეთათვის შვებულების ხანგრძლივობა 12-დან 15 დღემდე გაიზარდა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1966 წლის 2 აპრილისა და 1962 წლის 26 იანვრის დადგენილებებით გაძლიერდა ყურადღება საწარმოებში ხმაურის შემცირების, სანიტარული ნორმებისა და შრომის დაცვის შესახებ.[1]

ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ასიგნებანი მუშა–მოსამსახურეთა შრომის დაცვისა და უსაფრთხო ტექნიკის დანერგვაზე. ამ მიზნისათვის 1957 წელს დაიხარჯა 200 ათასი მანეთი. 1963–1964 წელს თანხებმა 650 ათასი, 1973 წელს–725 ათასი, 1979 წელს–1150 ათასი, 1988 წელს–2600 ათასი მანეთი შეადგინა, რაც 1957 წლის დანახარჯებს 13,0-ჯერ აღემატებოდა. ცხადია, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებში, მშენებლობაზე საგრძნობლად შემცირდა საწარმოო ტრავმატიზმი და სხვა უბედური შემთხვევები.[2]

მართალია, მუშა–მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის არაერთი ღონისძიება გატარდა. მაგრამ ამ მიმართულებით მდგომარეობა კვლავ მძიმე

---

[1] Решения партии и правительство по хозяйственным вопросам, сборник документов, 5, М., 1968, с.15-19, 583-585; საბჭოთა აჭარა, 1967, 31 აგვისტო, 27 სექტემბერი.

[2] აცსა, ფ.რ-98, ან.1, სს.113, 456, 1792; იხ. „მასალები აჭარის პროფკავშირების შესახებ (1972-1974 წწ.)", ბათ., 1975, გვ.22; „აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1977-1979 წლების მასალები. ბათ., 1980, გვ.20.

იყო. ოფიციალური ცნობით, XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში აჭარის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებში, მშენებლობაზე 5000 სამუშაო ადგილზე შეიმჩნეოდა ანტისანიტარია, ხმაური, არასაკმარისი განათება და სხვა. მძიმე იყო ქალთა შრომის პირობები. 1977 წლის 22 ივლისის მონაცემებით, 2888 ქალი დასაქმებული იყო ღამის საათებში, 1000 ქალი მუშაობდა ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში.

მომდევნო წლებში ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. 1971–1980 წლებში საწარმოებში გაუმჯობესდა 8500 მუშის შრომის პირობები, ხელახლა მოეწყო 450 სავენტილაციო სისტემა და დანადგარი, პირადი ჰიგიენის სათავსოები, ქალების ნაწილი გამოათავისუფლეს ღამის სამუშაოდან, შემცირდა საწარმოო ტრაცმატიზმი და პროფესიული დაავადება და სხვა. 1981–1985 წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა 9500 მუშის შრომის პირობები, 1100 კაცი გამოთავისუფლდა შრომის მძიმე სამუშაოებიდან, მათ შორის იყო 350 ქალი. შრომის დაცვასა და სანიტარულ–გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე დაიხარჯა 4.5 მილიონი მანეთი, 1988 წელს ასევე გაუმჯობესდა 1340 მუშაკის, მათ შორის 357 ქალის შრომის პირობები. საწარმოებში მოქმედებაში შევიდა 775 გასახდელი, 59 საშხაპე, 41 ხელსაბანი და სხვა. მაგრამ გატარებული ღონისძიებები სრულყოფილი და თანმიმდევრული არ იყო. იგი უფრო კამპანიურ ხასიათს ატარებდა. საწარმოთა ხელმძღვანელების ნაწილი დიდ ინტერეს არ იჩენდა მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ამის გამო იყო, რომ 1988 წელს შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევებისათვის სამუშაოდან მოხსნეს 44 მუშაკი, ადმინისტრაციული სასჯელი დაედო 12 კაცს. XX საუკუნის 80-იან წლებში მუშა–მოსამსახურეთა შრომის პირობები მძიმე იყო საბინაო–კომუნალური მეურნეობის, საყოფაცხოვრებო

მომსახურების, ვაჭრობის სამინისტროების, სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებში.[1]

მართალია, მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო დაფინანსება და დახმარება უმნიშვნელო იყო, მაგრამ ამ სფეროში განხორციელებული ძვრები მაინც გარკვეულ წინსვლას მოასწავებდა. ჯერ კიდევ 1944 წლის 8 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალური ბრძანებულება მიიღო "ორსული ქალების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, "გმირი დედის" საპატიო წოდების, "სახელოვანი დედის"ორდენისა და "დედობის მედლის" დაწესების შესახებ". საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვილ ბავშვთა დედების სასურსათო მომარაგება.

ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად აჭარაში 1957 წელს სახელმწიფოსაგან ყოველთვიურ დახმარებას იღებდა 6,4 ათასი მრავალშვილიანი დედა. 1970 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 8,1 ათასამდე გაიზარდა. მომდევნო წლებში მრავალშვილიანი დედების რიცხვი შემცირდა. 1975 წელს 6,8 ათასი, 1980 წელს–5,0 ათასი, 1985 წელს–4,1 ათასი, ხოლო 1986 წელს–3,7 ათასი შეადგინა. მიუხედავად ამისა, ყოველთვიური დახმარების სახით სახემწიფო ბიუჯეტიტად გაიცა: 1961 წელს 460,6 ათასი, 1970 წელს–500,3 ათასი, 1978 წელს–535,5 ათასი მანეთი.

XX საუკუნის 80-იან წლებში დედებს პირველი ბავშვის დაბადებისას ეძლეოდათ ერთდროული დახმარება 50 მანეთი, მეორე და მესამე შვილზე–100–100 მანეთი. მარტოხელა დედებზე ყოველთვიური დახმარების სახით გაიცა: 1961 წელს 79,5 ათასი მანეთი, 1965 წელს–59,3 ათასი, 1970 წელს–35,9 ათასი მანეთი.[2]

---

[1] აცსა, ფ.რ-98, ან.1, სს.1197, 1452, 1691, 1792, 1795.

[2] ცნობები მოყვანილია აჭარის სტატისტიკური კრებულებიდან.

საყურადღებო ღონისძიება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის სექტემბრის დადგენილება ნაკლებუზრუნველყოფილი ბავშვებიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების შემდგომი გადიდების შესახებ. აჭარაში იმავე წლის ნოემბერ–დეკემბერში დახმარება გაეწია 2263 ოჯახს, ხოლო 1975 წელს–5256 ოჯახს. ნაკლებუზრუნველყოფილ ბავშვებიან ოჯახებზე 1975 წელს გაიცა 1250 ათასი მანეთი, 1977 წელს–1333,7 ათასი, 1978 წელს–1294 ათასი, 1979 წელს–1260 ათასი მანეთი.[1] ანალოგიური მგდომარეობა იყო მომდევნო წლებშიც.

პენსიების მომატება ასევე ეტაპობრივად განხორციელდა. 1947 წელს საგრძნობლად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა პენსიები. მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1956 წლის ივლისის კანონი, რომლითაც იმავე წლისა 1-ლი ოქტომბრიდან პენსიები, ერთიორად, ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისა-2,5–3-ჯერ გაიზარდა. 1965 წლიდან დაიწყო საკოლმეურნეო პენსიების გაცემა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის "1967 წლის 27 სექტემბერი" ბრძანებულებით "საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" მნიშვნელოვნად გაიზარდა პენსიების მინიმალური ოდენობა, სტუდენტთა სტიპენდიები და სხვა. ამავე დროს შემცირდა კოლმეურნეთა საპენსიო ასაკი. მამაკაცებისათვის დაწესდა 65-ის ნაცვლად 60, ხოლო ქალებისათვის 60-ის ნაცვლად 55 წელი. შესამჩნევად მოიმატა ინვალიდთა პენიები, შემცირდა მრავალშვილიანი დედების საპენსიო ასაკი.[2]

ცენტრალური ხელისუფლების ყველა ეს ღონისძიება, ცხადია აჭარაზეც ვრცელდებოდა. აჭარაში პენსიონერთა

---

[1] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1132, ფურც.14; ს.1378, ფურც. 62.

[2] საბჭოთა აჭარა, 1967, 27 სექტემბერი.

რიცხვი 1940–1960 წლებში 2,8 ათასიდან 13,3 ათასამდე (4,8-ჯერ) გაიზარდა. 1970 წელს აღირიცხა 43,1 ათასი, 1980 წელს 52,0 ათასი, 1986 წელს–59,0 ათასი პენსიონერი, რაც 1940 წლის მაჩვენებელს 2,1-ჯერ აღემატებოდა. 1970 წელს 19,9 ათასი კოლმეურნე იღებდა პენსიას. მათი რიცხვი 1980 წელს 21,2 ათას, 1986 წელს–24,1 ათასამდე გაიზარდა, გლეხთა პენსიები მნიშვნელოვნად მოიმატა საკავშირო მთავრობის 1971 წლის დადგენილების "კოლმეურნეთა პენსიის უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" განხორციელების შედეგად.

აჭარის მოსახლეობის საერთო მასაში პენსიონერთა ხვედრითი წილი 1940 წელს 1,4%-დან 1959 წელს–5,4%, 1970 წელს–13,9%, 1980 წელს–14,4%, ხოლო 1986 წელს–15,5%-მდე გაიზარდა. 1980 წელს 1940 წელთან შედარებით პენსიებისსა და დახმარებების საერთო თანხა 148-ჯერ გადიდდა (262 ათასიდან 38770 ათას მანეთამდე), 1950 წელთან შედარებით 17,5-ჯერ (2220,8 ათას მანეთამდე). 1986 წელს საშუალო თვიურმა პენსიამ 72,2 მანეთი შეადგინა, რაც 1970 წლის მაჩვენებელს 2,5-ჯერ აჭარბებდა. როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე საქართველოში, მათ შორის აჭარაში, ხელფასებისა და პენსიების ოდენობა დიდად ჩამორჩებოდა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ანალოგიურ მახასიათებლებს. მაგრამ ამ სფეროში მიღწევები, როგორც სხვა დარგებში, ფასდება წარსულთან შედარებით.[1]

ომისშემდგომ პირველ ოცწლეულში როგორც ომამდელ პერიოდში, გლეხობა უკიდურესად გაჭირვებული იყო. მიუხედავად ამისა, იგი სახელმწიფოს მიერ დაკისრებული ბეგარა–გადასახადების ძირითად გადამხდელად ითვლებოდა. უმძიმესი მდგომარეობა არსებობდა აჭარის მთიანეთში, სადაც კოლმეურნეობებში შრომა ფაქტობრივად უსასყიდლო იყო. ასეთ პირობებში საბჭოთა ხელისუფლება წარ-

[1] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

მოების განვითარების გეგმების შესრულებისათვის იყენებდა მბრძანებლურ–ადმინისტრაციულ მეთოდებს. საბჭოთა ხელისუფლება საკოლმეურნეო შრომას გლეხობის ცხოვრების ძირითად წყაროდ თვლიდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო.

აღსანიშნავია, რომ 1940 წელს აჭარაში კოლმეურნის შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 6,6 მანეთს შეადგენდა. მართალია, 1950 წელს 18,3 მანეთამდე, ხოლო 1960 წელს 29,9 მანეთამდე, 4,5-ჯერ მეტად გაიზარდა, მაგრამ ნორმალური ცხოვრებისათვის იგი ძირითადად წყარო არ ყოფილა. კოლმეურნე გლეხობის შემოსავალში წინსელა უფრო მნიშვნელოვანი იყო მომდევნო ოცწლეულში. 1970–1980 წლებში კოლმეურნის შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 53,3 მანეთიდან, 81,1 მანეთამდე, 1986 წელს–109,6, ხოლო 1990 წელს 123 მანეთამდე გაიზარდა. ეს ზრდა ძირითადად მოხდა ბარის რაიონების ხარჯზე. მაგალითად, 1940 წელს ქობულეთის რაიონში კოლმეურნის შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 16,3 მანეთს, 1950 წელს-44,6 1960 წელს 49,5, ხოლო 1982 წელს 183 მანეთს შეადგენდა, რაც ავტონომიური რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატებოდა.[1]

სუბტროპიკულ რაიონებში მაღალი ფულად შემოსავალს იღებდნენ აგრეთვე ინდივიდუალური მეურნეობიდან. ამასთან, სასოფლო–სამეურნეო გადასახადის შემცირების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის ფასების გადიდების შედეგად, რაც XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო, გლეხის ოჯახის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, გარკვეული წინსელის მიუხედავად, აჭარის მთიანეთში გლეხობის ცხოვრების პირობები კვლავ მძიმე იყო. მცირემიწიანობა, მოსახლეობის სიმჭიდროვე, სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო ტექნიკის უქონლობა შრომის ნაყოფიერების

---

[1] გამოთვლილია: აჭარის სტატისტიკური კრებულები; აცსა, ფ.რ-84, ან.1, ს.1423, ფურც.1-16; ს.1878, ფურც.10-11; ან.2, ს.625, ფურც.12, 36.

მნიშვნელოვანი მასშტაბით გადიდების საშუალებას არ იძლეოდა.

მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ჯერ შემცირება (1953წ.), ხოლო შემდეგ მთლიანად გაუქმება (1958 წ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის ოქტომბრის დადგენილების "ფართო მოთხოვნების სამრეწველო საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ" მიღების შემდეგ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა.[1] აჭარის სამრეწველო საწარმოებმა გაზარდეს მათი გამოშვება. სარეწაო საბჭოს არტელები 1954 წელ 38 ასორტიმენტის სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს აწარმოებდნენ.

საგრძნობლად გაიზარდა ბავშვის ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის გამოშვება, გაფართოვდა მათი ასორტიმენტი და გაუმჯობესდა ხარისხი. მაგრამ XX საუკუნის 50-იან წლებში მოსახლეობას ეკლო მრავალი სახის ფართო მომხმარების საქონელი. ამ პრობლემის გადაჭრას ისახავდა მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 და 1971 წლების დადგენილებები. მართალია, XX საუკუნის 60–80-იან წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა აჭარის მოსახლეობის უზრუნველყოფა ფართო მომხმარებლის საქონლით, მაგრამ ხარისხი საგრძნობლად ჩამორჩებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მიღწევებს. კარტოფილითა და ბოსტნეულით მოსახლეობა საკმაოდ იყო უზრუნველყოფილი, თუმცა აღნიშნული პროდუქტების დიდი ნაწილი რეგიონის ფარგლებს გარედან შემოჰქონდათ. ამ მიმართულებით ადგილობრივ შესაძლებლობებს ნაკლებად იყენებდნენ.

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1953, 31 აგვისტო, 1 და 3 ნოემბერი.

ამრიგად, აჭარის მოსახლეობა XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული უკეთ იცვამდა და იკვებებოდა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში და ომისშემდგომ პირველ ოცწლეულში. მოსახლეობა შედარებით უზრუნველყოფილი იყო სასურსათო და ფართო მოხმარების საქონლით. ამ საქონლის შეძენის მეტი შესაძლებლობაც ჰქონდა. ამაზე მეტყველებს ერთ სულ მოსახლეზე საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მაჩვენებლები. 1940 წელს ერთ სულ მოსახლეზე საცალო საქონელბრუნვის მოცულობა შეადგენდა 151 მანეთს, 1955 წელს–260, 1970 წელს–497, 1975 წელს–641, 1980 წელს–798, 1985 წელს–878, 1986 წელს–888 მანეთს.[1] ამრიგად, 1986 წელს, ომამდელთან შედარებით, აჭარაში ერთ სულ მოსახლეზე საცალო საქონელბრუნვის მოცულობა თითქმის 5,9-ჯერ გაიზარდა.

მოსახლეობა მასობრივად ყიდულობდა მაცივრებს, სარეცხ მანქანებს, ავეჯს, მსუბუქ ავტომობილს და სხვა. 1970 წელს საქართველოს მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონების სტრუქტურაში გარდერობის საგნებს ეკავა 47,5%, საბინაო მოწყობილობას–14,1%, სამეურნეო საყოფაცხოვრებოს–12,8, კულტურულ–საყოფაცხოვრებოი საგნებს–25,0%, სატრანსპორტო საშუალებებს–0,6% მომდევნო წლებში შესამჩნევი ცვლილებები აღინიშნა. 1985 წელს მოსახლეობის საშინაო /პირადი/ ქონების სტრუქტურაში გარდერობის საგნების ხვედრითი წილი შემცირდა 27,1%-მდე, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საგნების–12,1%-მდე. სანაცვლოდ გაიზარდა საბინაო მოწყობილობის საგნები (17,1%). კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნებისა (29,6%) და სატრანსპირტო საშუალებათა (14,0%) ხვედრითი წილი.[2]

მეტნაკლებადი ასეთი სურათი გვაქვს აჭარაში.1970 წ. აჭარის სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობაში გაი-

---

[1] გამოთვლილია აჭარის სტატისტიკური კრებულების მონაცემებით.

[2] ი. არჩვაძე, საქართველოს ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის პირადი ქონების შეფასების საკითხისათვის. ჟურნ. ეკონომისტი, 1990, №4, გვ.30.

ყიდა 16862 ცალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სახალხო მოხმარების საქონელი. 1980წ.-19792, ხოლო 1988 წ.–24031 ცალი. მათ შორის ტელევიზორი იყო 3195, 6492 და 9620 ცალი. მაცივრები–5477, 4811 და 4617 ცალი; საკერავი მანქანები–2239, 3878 და 6971 ცალი ავეჯი–3083 ათასი, 4890 ათასი და 7885 ათასი მანეთის.

მაღალი ხარისხის საქონლის უკმარისობა აშკარად იგრძნობოდა.მოსახლეობა იმპორტულ საქონელს ეტანებოდა, მაგრამ იგი ძნელად ხელმისაწვდომი იყო, რადგან მცირე რაოდენობით შემოჰქონდათ და სპეციალური ლიმიტებით ნაწილდებოდა. სწორედ ამიტომ იყო რომ 1985 წლის ოქტომბერში სსრ კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიმუშავა კომპლექსური პროგრამა 1986–1990 წლებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების შესახებ.[1] ამ დადგენილების საფუძველზე რეგიონებში, მათ შორის აჭარაში, შეიმუშავეს სპეციალური პროგრამები, მაგრამ ისინი რეალურად ვერ განხორციელდა.

ოჯახის ბიუჯეტის შემოსავლის ზრდის მაჩვენებელია შემნახველ სალაროებში მეანაბრეთა რიცხვისა და მათი ჯამური ანაბრების მაჩვენებლები. თუ 1947 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემნახველ სალაროებს 8800 მეანაბრე ჰყავდა, 1950 წელს მათი რიცხვი 16900 (1,9-ჯერ) 1960 წელს–47705 (5,4-ჯერ0, 1970 წელს–59456 (6,8-ჯერ), 1980 წელს–119323-მდე (13,6)-ჯერ გაიზარდა. ანაბრები კი (1950–1980 წლებში) 1,8 მილიონი მანეთიდან 183,3 მილიონ მანეთამდე (100,7-ჯერ) გადიდდა. გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ 1980 წელს აჭარის ყოველი მე-3 მცხოვრები მეანაბრე იყო, ხოლო თითოეულ მათგანზე 505,6 მანეთი მოდიოდა. ხუთსულიან ოჯახზე ანაბრების თანხა 2528 მანეთს შეადგენდა.[2]

---

[1] კომუნისტი, 1985, 10 ოქტომბერი.

[2] გამოთვლილია აჭარის სტატისტიკური კრებულების მონაცემებით.

ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის საბინაო პირობები. ქალაქად და სოფლად დიდი მასშტაბის საბინაო მშენებლობა გაიშალა XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ მიზნისათვის სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად დიდძალი თანხები გამოიყოფოდა. 1957 წლიდან დაიწყო საბინაო მშენებლობაზე დაფინანსების სპეციალური წყაროების გამოყენება (საწარმოთა მიერ).XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება კოოპერაციული ბინათმშენებლობა. საგრძნობლად გაიზარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

საბინაო მსენებლობაზე კაპიტალდაბანდებამ XX საუკუნის 50-იან წლებში 10 მილიონი მანეთი შეადგინა. 1961–1970 წლებში საამოსოდ გაწეული ხარჯები 37,8 მილიონ, 1971–1980 წლებში–84,4 მილიონი, ხოლო 1981–1990 წლებში-132,3 მილიონ მანეთამდე (13,3-ჯერ) გაიზარდა. დაფინანსების წყაროებს შორის ძირითადი იყო სახელმწიფო დაბანდება (სახელმწიფო ბიუჯეტში). 1957–1960 წლებში მასზე მოდიოდა საბინაო მშენებლობის საერთო კაპიტალდაბანდების (ინდივიდუალურის გამიკლებით) 76–78%, 1965 წელს–72,2%, 1966–1975 წლებში–72,4%, ხოლო 1976–1990 წლებში–82,7%.

ომისშემდგომ აღდგენით წლებში (1946–1950) ძირითადად შენდებოდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. ამ პერიოდში ააგეს 556 საცხოვრებელი სახლი. მათი მშენებლობა კიდევ მეტად გაფართოვდა მომდევნო წლებში. მაგალითად, 1951–1960 წლებში ექქსპლოატაციაში შევიდა 5899, 1961–1970 წლებში–7563, 1961–1980 წლებში–4228, 1986–1990 წლებში–1377 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. ქალაქად, ბარის რაიონების სოფლად აგებული სახლები თითქმის მთლიანად კაპიტალური შენობები იყო. სახელმწიფო ბიუჯეტით, საწარმოთა და საბინაოი კოოპერატივების სახსრებით 1951–1960 წლებში ააგეს 112,2 ათასი m^2 საცხოვრებელი ფართობი, 1961–1970 წლებში –

325,6 ათასი, 1971–1980 წლებში–528,2 ათასი, 1981–1990 წლებში–536,6 ათასი მ². ამრიგად, 1951–1990 წლებში საცხოვრებელი სახლების ფართობი 4,87-ჯერ გაიზარდა.[1]

ასეთი მასშტაბის ბინათმშენებლობა აჭარის ისტორიამ არ იცის. ათასობით ადამიანის საბინაო პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მარტო ერთ 1957 წელს, ქალაქ ბათუმში საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფილი გახდა 900 ოჯახი.[1] მეტნაკლებად ასე იყო მომდევნო წლებშიც. 1971–1985 წლებში ბათუმში საცხოვრებელი ბინა აიშენა 31,4 ათასმა კაცმა, რაც მიახლოებით ქალაქის მოსახლეობის 23,6–30,3%-ს შეადგენდა.[2] 70–80-იან წლებში სოფლის მოსახლეობა თითქმის მთლიანად უზრუნველყოფილი იყო საცხოვრებელი ბინით. შესამჩნევად გაიზარდა ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტების საბინაო ფონდი (იხ. ცხრილი 1).[3]

ცხრილი 1

მაჩვენებლები (ათასი მ²)	1940წ	1950წ	1960წ	1970წ	1980წ	1989წ.
საბინაო ფონდი სულ	–	–	1049	1482	1995	2552
მათ მათ შორის:						
განსაზოგადოებული	230,1	248,4	580	873	1122,2	1638
ინდივიდუალური	–	–	469	603	668	914
თითო მაცხოვრებელზე მოდიოდა (მ²)	–	–	8,9	10,6	12,2	14,2

[1] ცნობები მოყვანილია: აჭარის სტატისტიკური კრებულები; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; აცსა, პოგ. ფ.1, ან.14, ს.82, ფურც.9-10.

[2] საბჭოთა აჭარა, 1958, 8 თებერვალი, Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.148-190; პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

[3] ცხრილი შედგენილია: აცსა, ფ.რ-178, ან.1, სს.699, 980; საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.124; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საბინაო ფონდი 1960–1989 წლებში 2,4-ჯერ გაიზარდა, მათ შორის: განსაზოგადოებული (სახელმწიფო და კოოპერატიული)–2,8-ჯერ, ინდივიდუალური–1,9-ჯერ. თითო სულზე საცხოვრებელი ფართობი–1,7-ჯერ. ქალაქის საბინაო ფონდის დიდი ნაწილი (74–83%) ბათუმზე მოდიოდა. 1940–1989 წლებში ქალაქ ბათუმის სახელმწიფო და კოოპერატიული საბინაო ფონდი 7,1-ჯერ გადიდდა.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ქალაქის საბინაო ფონდის კეთილმოწყობა. 1980 წელს აჭარის ყველა ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტს გააჩნდა წყალსადენი, ნაწილს–კანალიზაცია. მაგრამ ყველა ოჯახი კეთილმოწყობილი არ ყოფილა. მაგალითად 1987 წელს ცენტრალური წყალასადენით სარგებლობდა ქალაქის განსაზოგადოებული საცხოვრებელი ბინების 87%, კანალიზაციით–79,8%, ცენტრალური გათბობით–55,5%, ცხელი წყლის მიწოდებით–28,5%, აბანოთი–52,7% და ა. შ.[1]

მართალია, 1960–1989 წლებში ქალაქად თითო სულზე საცხოვრებელი ფართობი 1,7-ჯერ გაიზარდა, მაგრამ მოსახლეობის ნაწილს მძიმე საბინაო პირობები ჰქონდა. 1973 წელს ქალაქ ბათუმში ბინების მიღების რიგში იდგა 7 ათასი კაცი (ოჯახი). 108,1 ათასი მაცხოვრებელი ქალაქისათვის ეს ციფრი საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.[2] ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძნელად გადასალახავი ბარიერები არსებობდა ბინების მისაღებთა სიაში აღრიცხვაზე ასაყვანად. ქვეყანა თითქოსდა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე იმყოფებოდა და ამავე დროს მოსახლეობის ნაწილი ბარაკებსა და სარდაფებში ცხოვრობდა. 1977 წლის ივლისის ოფიციალური, მაგრამ არაზუსტი (შემცირებული) ცნობით, აჭარაში ქალაქად

---

[1] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.196.

[2] საბჭოთა აჭარა, 1973, 5 ოქტომბერი; აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1977, გვ.13.

ბარაკის ტიპის ბინებში ცხოვრობდა 2742 ოჯახი (6910 სული), ხოლო სარდაფებში–117 ოჯახი (294 სული). მართალია, 1977 წლიდან დაიწყო ბარაკებსა და სარდაფებში საცხოვრებელი სათავსოების ლიკვიდაცია. მისი დამთავრება გათვალისწინებული იყო 1980 წლისათვის, მაგრამ ამ მიმართულებით ბევრი არაფერი გაკეთებულა. 1989 წლის ბოლოს ქალაქად ავარიულ ბინებში ცხოვრობდა 1662 ოჯახი. მრავალი ოჯახი საცხოვრებელი ბინის ფართის სივიწროვეს განიცდიდა. ხელისუფლების ოფიციალური ცნობით 1977 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბინაო პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდა ქალაქების ბათუმის, ქობულეთის და დაბა ხელვაჩაურის 19815 ოჯახი.[1] 5 სულიან ოჯახზე გადაანგარიშებით, მაი რიცხვი 100 ათას კაცს უახლოვდება.

მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საცხოვრებელი სახლებისა და ბინების გაზიფიკაცირება. მოსახლეობის გაზით უზრუნველყოფის სამუშაოები 1956 წელს დაიწყო. 1957 წელს მწყობრში ჩადგა გაზის 140 დანადგარი. მომდევნო წლებში სამუშაოები გაფართოვდა. 1960–1965 წლებში თხევადი გაზის მიწოდება 3,5-ჯერ გაიზარდა (690-დან 2436 ტონამდე).[2]

მოსახლეობის თხევადი გაზით უზრუნველსაყოფად ფართო მასშტაბის სამუშაობი დაიწყო XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან. გაზიფიცირებული ბინები 1965 წელს 10736-დან 1970 წელს–34778 (3,2-ჯერ), 1980 წელს–68543 (6,2-ჯერ), 1990 წელს–79216-მდე (7,4-ჯერ) გაიზარდა. თავდაპირველად დაიწყო ქალაქის ბინების გაზიფიცირება. 1965 წელს მთლიანი გაზიფიცირებული ბინებიდან ქალაქზე მოდიოდა 90,5%. მომდევნო წლებში დაჩქარდა სოფლად საცხოვრებელი სახლების გაზიფიცირება.

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.359, ფურც.26; ფ.რ-98, ან.1. სს.1183, 1254, 1794.

[2] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები; საბჭოთა აჭარა, 1958, 14 იანვარი.

იგი 1965–1990 წლებში 33,2-ჯერ (1012-დან 336629-მ–მდე) გაიზარდა. აჭარაში მთლიანი გაზიფიცირებული ბინებიდან სოფელზე მოდიოდა: 1950 წელს 30,1%, 1980 წელს–41,5%, 1990 წელს–43,2%.[1]

2. ცვლილებები ყოფაცხოვრებაში. მომსახურების ფორმები

პროგრესული ძვრები, რაც ომამდელ პერიოდში მოხდა აჭარის მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში, ძალზე მნიშვნელოვანი იყო. პატრიარქალური და შუა საუკუნეების ყოფისათვის დამახასიათებელი წესების შეცვლა ახლით, პროგრესულით, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და სხვა მოასწავებდა გარდატეხას ახალი ცხოვრების დამკვიდრებაში. მაგრამ XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ბოლომდე მაინც არ იყო დაძლეული ძველი, შუა საუკუნეების ყოფის გადმონაშთები. უწინარესად საქმე ეხება აჭარელი ქალის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან კვლავ გაუცხოებას, მოსახლეობის განათლების, ზოგად კულტურის, საოჯახო და სამეურნეო ყოფის არასაკმარის განვითარებას და სხვა.

საგულისხმოა, რომ 1951 წლის პირველი იანვრის ცნობით, აჭარის სოფლად წერა-კითხვის უცოდინარი იყო 8-49 წლის ასაკის 6631 კაცი, მათ შორის 4173 ქალი და 2458 მამაკაცი. მძიმე მდგომარეობა არსებობდა ხულოს რაიონში, სადაც წერა-კითხვის უცოდინარი იყო 5308 კაცი/3134 ქალი და 2174 მამაკაცი,) ე.ი. ამ კატეგორიის ადამიანთა საერთო რაოდენობის 80%. ბათუმის (ხელვაჩა-

---

[1] народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.195; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ურის) რაიონში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 777 კაცს ითვლიდა/ ქალი - 563 და მამაკაცი 103/, ქედისაში – 443/ქალი 317, მამაკაცი – 126.) ქობულეთის რაიონში – 214 პირს/159 ქალი და 55 მამაკაცი. ქალთა სქესს შეადგენდა 61,4%.[1]

ამ ვითარების გამოსწორებისათვის აჭარაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა. ხელისუფლების მიერ ყურადღების გაძლიერების შედეგად საგრძნობლად შემცირდა წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი. 1958 წლის დასაწყისში მათი რაოდენობა 3062 კაცს ითვლიდა. აქედან ქართველი იყო 2888, რუსი – 69, სომეხი – 74, სხვა ეროვნების - 31 ადამიანი. ხულოს რაიონში აღირიცხა 921 წერა-კითხვის უცოდინარი, ხოლო შუახევის რაიონში–718 კაცი. აჭარა გამონაკლისი არ ყოფილა. საქართველოს სხვა რეგიონებშიც გამოვლინადა წერა-კითხვის უცოდინარები. სწორედ ამის გამო საქათველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1958 წლის 14 იანვარს მიიღეს სპეციალური დადგენილება " მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდნარობის ლიკვიდაციის შესახებ". შესაბამისი ბრძანება გამოსცა საქართველოს განათლების სამინისტრომაც.[2]

ანალოგიური ნორმატიული აქტები მიიღეს აჭარაში და შესაბამისი მუშაობაც გაიშალა. 1958 წელს შეიქმნა 152 სასწავლო ჯგუფი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, რომლებშიც 1189 რაცი გაერთიანდა, დანარჩენები ინდივიდუალურად ჩააბეს სწავლებაში. მათთვის სულ შერჩეული იყო 1227 მასწავლებელი. 1958 წლის 6 ნოემბრის ცნობით, წერა-კითხვა შეისწავლა 1309 კაცმა.[3] ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა გაგრძელდა 60-იან წლებში და აჭარაში წერა-კითხვის უცოდინარობა მთლი-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.17, ს.272, ფურც.8-9; პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

[2] იქვე, ან.39, ს.210, ფურც.1-2.

[3] იქვე.

ანად ლიკვიდირებული იყო. ცხადია, ყოველივე ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აჭარის მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებაში.

სოციალურ-კულტურულმა მშენებლობამ, რაც XX საუკუნის 50-80-იან წლებში განხორციელდა, არსებითი გავლენა მოახდინა მისახლეობის ყოფაზე, ოჯახსა და ცხოვრების წესსზე. ამ ჭრილში გადამწყვეტი მნისვნელობა ჰქონდა განათლებას. მისი განვითარების შედეგად მოსახელეობის ნაწილი, უწინარესად ახალგაზრდობა ეზიარა მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს, გაითავისა ახალი, ცივილიზებული ცხოვრების წეს-ჩვეულებანი და სხვა. განათლების მდგომარეობის ზოგადი სურათი მოცემულია მე-2 ცხრილში.[1]

ცხრილი 2

	წლები						
	1940-1941	1950-1951	1955-1956	1960-1961	1970-1971	1980-1981	1989-1990
ყველა სახის ზოგადი განათლების სკოლები	398	398	388	438	437	411	407
მოსწავლეთა რაოდენობა (ათასი)	33,6	28,7	46,3	47,6	68,8	78,9	77,3
საშუალო სპეციალური სასწავლებლები	5	10	8	6	8	8	9
მოსწავლეთა რაოდენობა (ათასი)	1,9	1,9	2,1	1,6	2,1	3,5	3,3
უმაღლესი სასწავლებლები	1	1	1	1	1	1	1
სტუდენტთა რაოდენობა (ათასი)	0,4	1,6	0,8	1,1	2,7	2,2	3

[1] ცხრილი შედგენილია: სტატისტიკური კრებულები — აჭარის სახალხო მეურნეობა. ბათ., 1977, გვ.227-234; საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.134, 137; აჭარის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის 50-იან წლების მეორე ნახევარში აჭარაში 50 ზოგადსაგამანათლებლო სკოლა გაიხსნა, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მართალია, 1960-1990 წლებში ზოგადი განათლების სკოლების რაოდენობა ოღარ გაზრდილა, რადგან არ იყო ამის აუცილებლობა. მაგალითად 1951-1981 წლეში დღის ზოგადი განათლების სკლები 33-დან 135-მდე 4-ჯერ და მეტად გადიდდა.

ზოგადსაგამანათლებლო სკოლებში 1951-1990 წლებში მოსწავლეთა რიცხვი 1,7-ჯერ, საშუალო სპეციალურ სასწავლებლების—1,6-ჯერ, სტუდენტების რაოდენობა 4-ჯერ და მეტად გაიზარდა.

სკოლები გახსნილი იყო მცირე დასახლების პუნქტებშიც კი. მაგალითად, 1988 წლის ბოლოს შუახევის რაიონის უჩამბის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც 3285 სული ცხოვრობდა, არსებობდა 4 საშუალო, 2 რვაწლიანი და 6 დაწყებითი სკოლა.[1] XX საუკუნის 50-იან წლებში მინიმუმამდე შემცირდა მოსწავლეთა სკოლიდან ჯანთესვა. ამავე საუკუნის 60-80-იან წლებში სასკოლო ასაკის თითქმის ყველა ახალგაზრდა სწავლობდა. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისულების მზრუნველობის შედეგად მაღალმთიანი რაიონების ახალგაზრდობისათვის ყოველწლიურად ლიმიტები გამოიყოფოდა საქართველოსა და ყოფილი სსრ კავშირის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კონკურსგარეშე ჩასარიცხავად. დამთავრების შემდეგ ისინი უბრუნდებოდნენ მშობლიურ კუთხეს და საგრძნობი წვლილი შეჰქონდათ მოსახ-ლეობის ჯანალების, ზოგადი კულტურისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაში.

მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მასობრივი ინფორმაციის, ხელოვნებისა და კულტურ—საგანმანათლებლო დაწესებულებები.

---

[1] საქართველოს დასახლებული პუნქტები და მოსახლეობა, სტატისტიკური ცნობარი, თბ., 1991, გვ.51.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ამ დაწესებულებათა მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, მოქმედების არეალი და საქმიანობა შესამჩნევად გაფართოვდა. 1951-1990 წლებში საკლუბო დაწესებულებები–69-დან 233-მდე (3,4-ჯერ), მასობრივი ბიბლიოთეკები–72-დან 352-მდე (7,2-ჯერ), კინოდანადგარები 45-დან 260-მდე (5,7-ჯერ) გაიზარდა.[1]

მოსახლეობის სულიერი ცხოვრების გაჯანსაღების, წარსულიდან შემორჩენილი არქაული წეს-ჩვეულებათა დაძლევაში ასევე მნიშვნელოვანი იყო პრესის, რადიომაწყებლობისა და ტელევიზიის როლი. მართალია, საინფორ-მაციო საშუალებები, როგორც სხვა სფეროები, მთლიანად პოლიტიზირებული იყო, მაგრამ ამის მიუხედავად ისინი დადებით როლს ასრულებდნენ მოსახლეობის ყოფაცოვრების გაუმჯობესებაში. 1955-1990 წლებში აჭარაში გამოდიოდა 2 რესპუბლიკური, 5 რაიონული, 1 საუწყებო გაზეთი და ჟურნალი "ლიტერატურული აჭარა" (1958 წლიდან).

XX საუკუნის 50-80-იან წლებში საგრძნობლად განმტკიცდა საინფორმაციო საშუალებების მატერიალურ–ტექ ნიკური ბაზა. 1959 წლის ნოემბერში ამოქმედდა ახალი რადიოგადამცემი სადგური, რითაც შესაძლებელი გახდა რადიოგადაცემების გავრცელება მთლიანად აჭარაში. 1968 წელს ბათუმის შემოგარენში (სოფელი ფერია) დამონტაჟდა 30 კილოვატიანი საშუალო ტალღოვანი რადიოსადგური, რის შედეგად აჭარის რადიოგადაცემის მოსმენა შესაძლებელი იყო ევროპაში, აზიაში, ამერიკაში. XX საუკუნის 70-იან წლებში ძირითადად დამთავრდა აჭარის სოფლის რადიოფიცირება.

საქართველოს ტელევიზიის გადაცემები ეთერში პირველად გავიდა 1957 წელს. 1963-1964 წლებში ამოქმედდა ახალი სარელეო ხაზები და ტელეგადაცემის არეალი

---

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., გვ.137, 161, 162; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1965 წელს მწყობრში ჩადგა ტელესატრანსლაციო სადგური ბათუმის შემოგარენში "მწვანეკონცხი", რის შედეგადაც აჭარის მოსახლეობა ეზიარა ტელევიზიას. 1974 წელს ამოქმედდა შუახევის სატრანსლაციო სადგური, რითაც გაუმჯობესდა გადაცემის ხარისხი აჭარის მთიანეთში. 1979 წელს აჭარაში მუშაობდა 30-მდე მძლავრი და მცირე ტელესატრანსლაციო სადგური.[1] მომდევნო წლებში მათი რიცხვი გაიზარდა. 1987 წელს პირველად გავიდა ეთერში აჭარის ტელევიზია, რის შედეგად საინფორმაციო საშუალებების ზემოქმედება ადამიანების სულიერ სამყაროზე მნიშვნელოვნად ამაღლდა.

ადამიანის ყოფაცხოვრების შეცვლაში საგრძნობი მნიშვნელობა ჰქონდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციის განვითარებას. ომამდელი, ომისა და ომისშემდგომი აღდგენითი პერიოდისაგან განსხვავებით, XX საუკუნის 50-80-იან წლებში გზები და ხიდები ძირითადად შენდებოდა სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე. ამ წლებში ათობით ხიდი ააშენეს ჭოროხზე, აჭარისწყალზე, კინტრიშზე, ჩაქვისწყალზე და მათ შენაკადებზე.

საგულისხმოა, რომ მცირე დასახლების სოფლებშიც კი სააეტომობილო გზები გაიყვანეს, რის შედეგადაც დასახლებულ პუნქტებს შორის კარჩაკეტილობა მოიხსნა. ტვირთის გადატანა და მოსახლეობის გადადგილება ძირითადად ხდებოდა საზღვაო, სარკინიგზო და სააეტომობილო ტრანსპორტით. ამის შედეგად შესამჩნევად გაუმჯობესდა ადამიანის ცხოვრების პირობები. პრაქტიკულად წარსულს ჩაბარდა ხარ-ურემი. იგი ავტომობილმა შეცვალა. მინიმუმამდე შემცირდა ცხენისა და სახედრის დანიშნულება ტვირთის გადატანაში და მგზავრთა გადაადგილებაში.

XX საუკუნის 50-იან წლებში იწყება ახალი ცვლილებები მომსახეურების ისეთ ფორმაში, როგორიცაა

---

[1] აცსა, პპოგ, ან.57, ს.5, ფურც.78; საბჭოთა აჭარა, 1979, 30 ნოემბერი.

ვაჭრობა. მართალია სახელმწიფო სავაჭრო სისტემის პარალელურად კოოპერციულიც არსებობდა, მაგრამ ამ სფეროში კონკურენცია საერთოდ არ იყო. საქმე ის არის, რომ კოოპერაციული სავაჭრო სისტემაც პრაქტიკულად გასახელმწიფოებრივი იყო, კერძო საკუთრების არარსებობის პირობებში ვაჭრობის სისტემაში ნაკლებად იგრძნობოდა მომსახურე პერსონალის ინიციატივა და აქტიურობა. სახელმწიფო არ ზრუნავდა ამ სფეროს მუშაკების მატერიალური დაინტერესებისათვის.

სახელწიფო ხელისუფლება სავაჭრო სისტემას მბრძანელურ-ადმინისტრაციული მეთოდებით მართავდა. სახელმწიფო საკუთრების პირობებში სხვანაირად მართვა შეუძლებელიც იყო. სსრ კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურეობის გაუმჯობესების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის XX საუკუნის 50-იან წლებში რამოდენიმე დადგენილება მიიღო. მათგან საყურადღებოა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის ოქტომბრის დადგენილება "საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".[1] აღნიშნული დადგენილების განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სავაჭრო სისტემის მატერიელურ-ტექნიკურ ბაზა, საქონლის ასორტიმენტი და ხარისხი, მომსახურების კულტურა. მომხარებელთა სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოებრივ კვების სისტემაში არსებული მდგომარეობა. გამონაკლისი აჭარის რეგიონიც არ ყოფილა. ცხადია, დარგის განვითარებისათვის სარგებლობი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 1 მარტის დადგენილებას "საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". შესაბამის სამსახურს დაევალა გადამჭრელი ზომები მიე-

[1] საბჭოთა აჭარა, 1953, 25 ოქტომბერი.

ფო საზოგადოებრივი კვების სისტემის მატერიალურ-ტექ-
ნიკური ბაზის თვისებრივ-რაოდენობრივი ზრდის, მომსახუ-
რების პროგრესული მეთოდების დანერგვის, სანიტარულ-
ჰიგიენური მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესებისათვის.[1]

სსრ კავშირის ცენტრალური ხელისუფლება ამ საკით-
ხებს მომდევნო წლებშიც მიუბრუნდა, რადგან დარგის
განვითარება არ პასუხობდა დროის მოთხოვნებს, მომხმა-
რებელთა უკმაყოფილება გრძელდებოდა. სკკპ ცენტრა-
ლურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ
1959 წლის თებერვალში და 1967 წლის 7 მარტს მიიღეს
დადგენილებები "საზოგადოებრივი კვების შემდგომი გან-
ვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ".

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 მარტის დადგენილებას
"ქვეყანაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმ-
ჯობესების შესახებ".[2] აღნიშნული დადგენილების განხორ-
ციელებისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის
აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ მინისტრთა
საბჭომ კონკრეტული ღონისძიებები შეიმუშავეს, რომელთა
საფუძველზე დარგის შესაბამისმა სამსახურმა გააძლიე-
რეს მუშაობა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების
გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად საგრძნობლად განმ-
ტკიცდა და გაფართოვდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექ-
ნიკური ბაზა. სავაჭრო ქსელს ათეულობით ახალი ობიექ-
ტი შეემატა, ისინი უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილო-
ბით, ინვენტართა და ავტომატური ხელსაწყოებით აღი-
ჭურვა. ეს კარგად ჩანს სტატისტიკური მონაცემებითაც.
აჭარაში 1950 წელს აღირიცხა საცალო საქონელბრუნვისა
და საზოგადოებრივი კვების 761 ობიექტი, რაც 45 ერ-

---

[1] Решения партии и провительства по хозяйственным вопросам, 4, М., 1968, с.282-288.

[2] КПСС в резолюциях ... 7, М., 1971, с.496-504; Решения партии и правителства по хозяйственным вопросам, Сборник документов, 5, М., 1968, с.588-598.

თეულით აღემატებოდა 1940 წლის მაჩვენებელს. 1960 წელს 1103, ხოლო 1970 წელს 1556-მდე გაიზარდა. ზრდის ტემპი შესაბამისად 1,5–ჯერ და 2-ჯერ ჭარბობდა 1950 წლის მახასიათებელს. ამავე წლებში საცალოსაქონელბრუნვის ქსელი 556-დან 1104 (2-ჯერ), ხოლო საზოგადოებრივი კვების ობიექტების რიცხვი 205-დან 452-მდე (2,2-ჯერ) გაიზარდა.[1] 60-იან წლებში ექსპლოატაციაში შევიდა ახალი უნივერსალი მაღაზიები, რესტორნები, კაფეები და სასადილოები. ამის შედეგად საგრძნობლად გაზარდა სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ფართობი და დასაჯდომი ადგილები. მაგალითად, 1970 წელს 1940 წელთან შედარებით სავაჭრო ქსელის ფართობი გადიდდა 25,4 ათასიდან 42,6 ათას $მ^2$-მ-მდე (1.7-ჯერ), ხოლო საზოგადოებრივი კვების საწარმოებში დასაჯდომი ადგილები 7416-დან 15791-მდე –(2,1-ჯერ).[2] მარტო 1959-1965 წლებში საბითუმო ვაჭრობის სასაწყობო მეურნეობის ფართობი 34%-ით და მეტად (11050 $მ^2$ –დან 16876 $მ^2$ –მდე) გაიზარდა.[3]

მართალა, მიღწევები თვალსაჩინო იყო, მაგრამ სავაჭრო მომსახურების კულტურა, საქონლის ასორტიმენტი და ხარისხი კვლავ ჩამორჩებოდა მოსახლეობის მოთხოვნებს. ვაჭრობის სისტემის ტექნიკური აღჭურვილობა მოძველებული და არასაკმარისი იყო. საზოგადოებრივი კვების სისტემაში ისევე არ კმაროდა დასაჯდომი ადგილები. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე (1973 წლის ივნისი) აღინიშნა, რომ ბათუმის საზოგადოებრივი კვების ობიექტზე, დასაჯდომი ადგილების სიმცირის გამო, მუშამოსამსახურეები 30-40 წუთს რიგში იცდიდნენ[4] ბათუმის სამრეწველო და სამშენებლო საწარმოებში 1972 წელს

---

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.146.

[2] იქვე, გვ.148.

[3] Цивадзе Д., Развития и совершенствование торговли в Аджарской АССР, Бат., 1969, с.52-53.

[4] საბჭოთა აჭარა, 1973, 23 ივნისი.

ყოველ 1000 კაცზე 140 დასაჯდომი ადგილი მოდიოდა, გეგმით გათვალისწინებული 250-ის ნაცვლად. ხილის, კარტოფილისა და ბოსტნეულის საცავი 1750 ტონა ტევადობისა იყო. ფაქტობრივად საჭირო იყო 5000 ტონის ტევადობისა.[1]

ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, მთლიანად სსრ კავშირში. ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კონკრეტული ამოცანები დასახეს 1972 წლის 7 იანვრის დადგენილებაში "ვაჭრობისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესობის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ". 1971-1980 წლებში რეგიონში ააშენეს სახელმწიფო და კოპერაციული ვაჭრობის საცალო და საზოგადოებრივი კვების 170, ხოლო 1981-1988 წლებში – 236, საწარმო. 1988 წელს მათი რიცხვი 1962 ობიექტს ითვლიდა, რაც 1950 წლის მაჩვენებელს 1201 ერთეულით (2,5-ჯერ) აღემატებოდა. მაღაზიებში სავაჭრო ფართობი 66,7 ათას მ^2, ხოლო დასაჯდომი ადგილები 37 ათასამდე გაიზარდა. იგი 1970 წლის მიჯნას 1.5- ჯერ და 2-ჯერ აჭარბებდა.[2] 80-იანი წლების მეორე ნახევარში ექსპლოატაციაში შევიდა 15 ათასი ტონა ტევადობის მიწისქვეშა სამაცივრო საცავი ხილის, კარტოფილისა და ბოსტნეულისათვის. სავაჭრო ქსელში ახალი ტექნიკური მოწყობილობანი დაიდგა.

აჭარაში თითო მაღაზიის ფართობი საშუალოდ 60-68 მ^2 შეადგენდა. ამ მაჩვენებლით საგრძნობლად უსწრებდა საკავშირო ანალოგიურ მახასიათებელს. საზოგადოებრივი კვების სისტემაში თითო საწარმოზე 1960 წელს 34,3, 1970 წელს - 34,9, 1980 წელს-40,1, ხოლო 1988 წელს- 50,9 დასაჯდომი ადგილი მოდიოდა. ამ მდგომარეობით აჭარა

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1973, 4 აგვისტო.

[2] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.166, 168; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

საქართველოს საშუალო მაჩვენებელს თითქმის უტოლდებოდა, ხოლო საკავშირო საშუალო მახასიათებელს საგრძნობლად ჩამორჩებოდა.[1]

სავაჭრო ქსელის გაფართოების, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, მოსახლეობის სყიდვითუნარიანობის ამაღლების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა საცალო საქონელბრუნვის მოცულობა. იგი ნაჩვენებია მე-3 ცხრილში (მილიონი მანეთობით).[2]

ცხრილი 3

წლები	მთლიანი საქონელ ბრუნვა	სახელმწიფო ვაჭრობა	კოოპერაციული ვაჭრობა	საცალო ქსელი	საზოგადოებრივი კვება	საქალაქო ვაჭრობა	სასოფლო ვაჭრობა
1950	46,7	33,2	13,5	39,0	7,6	35,5	11,2
1960	88,6	62,6	26,0	76,7	11,9	71,7	16,9
1970	155,5	108,5	47,0	135,0	20,5	130,0	25,5
1980	287,7	202,0	85,7	252,6	35,1	239,7	48,0
1986	340,6	235,7	104,9	299,2	41,4	245,3	95.3
1988	396,6	273,7	122,9	349,0	47,6	292,1	104,3

[1] სტატისტიკური კრებული: საბჭოთა აჭარის 60 წელი. ბათ., 1981, გვ.148; Народное хозяйство СССР, М., 1980, с.445; Народное хозяйство Грузинской ССР, Тб., 1982, с.213; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] ცხრილი შედგენილია: საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.141-143; Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.168; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

1950-1988 წლებში მთლიანი საცალო საქონელბრუნვა (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) 8,5-ჯერ, მათ შორის საცალო ქსელის ვაჭრობა თითქმის 9-ჯერ, საზოგადოებრივ კვებისა–6,3-ჯერ გაიზარდა. ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალი იყო ყველა ათწლეულში და თითქმის გაორკეცდა. წამყვანი მდგომარეობა ეკავა სახელმწიფო ვაჭრობას, რომელიც ძირითადად ქალაქის სავაჭრო ქსელს მოიცავდა. მასზე მოდიოდა ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი საცალო საქონელბრუნვის 69-71%. თავისებურება იმაში გამოიხატა, რომ სოფლად, ქალაქთან შედარებით, საკმაოდ მაღალი იყო საქონელბრუნვის ზრდის ტემპი (1950-1988 წლებში 933% შეადგინა). ომისშემდგომ წლებში ბათუმში გაიხსნა სამომხმარებლო კოოპერაციული გაერთიანებები (მეთევზეთა კოოპერატივი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემსყიდველ-გამსაღებელი გაერთიანება).

ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საცალო ქსელი. მისი ხვედრითი წილი მთლიანად საცალო საქონელბრუნვაში 83,5-89,2%-ს შორის მერყეობდა, სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურაში 1974 წლამდე მეტი ნაწილი (50,3-55%) სურსათზე მოდიოდა. მომდევნო წლებში საგრძნობლად გაიზარდა არასასურსათო საქონლით ვაჭრობა. ამ მახასიათებელმა 1980 წელს 53,0%, ხოლო 1986 წელს-55,6% შეადგინა, შესამჩნევად გადიდდა ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ქსოვილების, ავეჯის, მსუბუქი ავტომობილების, საიუველირო ნაწარმის, სამშენებლო მასალებისა და სხვა საქონლით ვაჭრობა.[1]

XIX საუკუნის 60-80-იან წლებში აჭარის სავაჭრო ქსელი ძირითადად უზრუნველყოფილი იყო საქონლით. ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც საკავშირო მნიშვნელობის საკურორტო ზონა, სურსათით, კარტოფილითა და

---

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 40 წელი, ბათ., 1961, გვ.121-122; აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, ბათ., 1977, გვ.221; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ბოსტნეულით ნორმალურად მარაგდებოდა. ცხადია, შეფერხებები და ნაკლოვანებებიც არსებობდა. საეჭრო ქსელში 1985 წელს ყოველ 100 კაცზე მოდიოდა: ყველა სახის საათი 52 ცალი, რადიომიმღები და რადიოლები-17, ტელევიზორები-27, მაცივრები-12, სარეცხი მანქანები-14, ელექტრომტვერ-სასრუტები-12, საკერავი მანქანები-3 ცალი, 18-ათასი მანეთის ავეჯი და სხვა.[1] ცხადია, XX საუკუნის 50-იან წლებთან შედარებით წინსვლა მნიშვნელოვანი იყო, ომამდელ დონეს კი რამდენჯერმე აღემატებოდა.

მაგრამ ადგილობრივი არასასურსათო საქონლის ხარისხი იმდენად დაბალი იყო, რომ მოსახლეობა მას ნაკლებად ეტანებოდა. აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებასაც. მაღალი ხარისხის იმპორტული საქონელი დეფიციტს წარმოადგენდა. ასეთ პირობებში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ქსელში ადგილობრივი წარმოების არასასურსათო საქონლის დიდი ნაშთი არსებობდა. 1960 წელს იგი შეადგენდა 14,2 მილიონ მანეთს, 1970 წელს - 28,1 მილიონ, 1980 წელს - 47,8 მილიონ, 1985 წელს -- 91,6 მილიონ, 1986 წელს – 98,9 მილიონ მანეთს.[2] ზენორმატიული ნაშთი 1976 წელს 6,6 მილიონ, ხოლო 1985 წელს – 17 მილონ მანეთს ითვლიდა.[3]

მოსახლეობის მომსახურეობის გაუმჯობესობის მიზნით XXს. 60-იანი წლებში დაიწყო ვაჭრობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა. კერძოდ, საზოგადოებრივი კვების ქსელი გადაიყვანეს თვითმომსახურებაზე, შეიქმნა ნახევარფაბრიკატების სასადილოები, შემოიღეს საუზმის, სადილისა და ვახშმის ქვითრებისა და აბონენტების წინასწარი გაყიდვა, რამდენიმე მაღაზიაში მოეწყო ქსოვილების გამოფენით ვაჭრობა, გაიხსნა აეტოსასაუზმე, საველე

---

[1] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.147; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[3] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ფურც.15; საბჭოთა აჭარა, 1985, 24 დეკემბერი.

სასადილოები, უგამყიდველო მაღაზიები, მინდორ-მაღაზია და სხვა.

1957 წლის დასაწყისში საზოგადოებრივი კვების საწარმოთა 86% გადაყვანილი იყო თვითმომსახურებაზე. აღნიშნული მაჩვენებელი სამომხმარებლო კოოპერაციაში 1973 წელს 38%, ხოლო სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში 1977 წელს 48% შეადგენდა.[1]

სადილის ქვითრებისა და აბონიმენტების წინასწარი გაყიდვა, ცხადია, საგრძნობლად ზოგადავდა მუშა-მოსამსახურეთა, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის დროის ბიუჯეტს. იგი პროგრესული მეთოდი იყო, მაგრამ მას კამპანიური ხასიათი ჰქონდა და სათანადოდ ვერ განვითარდა. 1959 წელს შეიქმნა საველე სასადილოები, რომელთაც უშუალოდ ჩაის პლანტაციებში მიჰქონდათ კერძები. მომსახურების ეს მეთოდი ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მსხვილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაინერგა. 1959 წელს 53 საველე სასადილო მოქმედებდა, 1741 კაცზე გათვლით. პლანტაციებში 556 ათასი კერძი მიაწოდეს. 1966 წელს აღირიცხა 62 საველე სასადილო 2183 დასაჯდომი ადგილით. მათ მომხმარებელს 1.5 მილიონი კერძი მიაწოდეს.[2]

XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო საქონლის განვადებით გაყიდვა. 1960 წელს 4 ასეთი მაღაზია მუშაობდა. 1970 წელს განვადებით გაიყიდა 1,3 მილიონი მანეთის საქონელი, 1976 წელს – 3,1 მილიონი, ხოლო 1980 წელს – 1,4 მილიონი მანეთისა. მეტნაკლებად ასე იყო მომდევნო წლებშიც. განვადებით ძირითადად იყიდებოდა ძვირად ღირებული საქონელი (ტელევიზორები, ავეჯი, რა-

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1957, 26 აპრილი; 1973, 4 მარტი, 7 ივლისი; აცსა, პოგ, ფ.1, ან.73, ს.7, ფურც.182.

[2] აცსა, პოგ, ფ.1, ან.59, ს.101, ფურც.8; საბჭოთა აჭარა, 1959, 4 მარტი, 25 აპრილი; 1961, 7 მარტი.

დიოლები და რადიომიმღიბები, საკერავი მანქანები, მოტორელები და სხვა.[1]

მაგრამ ცხოვრებამ ცხადყო, რომ ვაჭრობის ზოგიერთი ფორმა და მეთოდი არაბუნებრივი იყო, რის გამო ჩანასახშივე ჩაკვდა. საქმე ეხება უგამყიდველო მაღაზიებს. ამასთან, ნაძალადევი იყო ვაჭრობის ისეთი ფორმის შემოღება, როგორიცაა ნახევარფაბრკატების გამოშვება, საუზმის, სადილისა და ვახშმის კერძების შინ გაცემა. ვაჭრობის სისტემის გასახელმწიფოებრიობა, კერძო სექტორის აკრძალვა უარყოფითად მოქმედებდა კერძების ხარისხზე, მომსახურების კულტურაზე. 1958 წელს ლაბორატორიაში შემოწმებული 207 კერძიდან უხარისხო და დაბალი კალორიულობის აღმოჩდა 19,8% (47 კერძი). მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა მომდევნო წლებშიც. მცირე რაოდენობით მზადდებოდა რძის, ბოსტნეულის, თევზის კერძები. ნაკლოვანებები შეიმჩნეოდა საცალო სავაჭრო ობიექტების განლაგებაში. უმეტესი მათგანი თავმოყრილი იყო ქალაქის ცენტრში.[2]

მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრარულ, ე.წ. საკოლმეურნეო ბაზარს. მისი როლი საკმაოდ მაღალი იყო როგორც ომამდე, ისე ომის წლებსა და აღდგენით პერიოდში, მაგრამ მოსახლეობის ცენტრალური ფონდებიდან მომარაგების გაუმჯობესების შედეგად აგრარული ბაზრის როლი შესამჩნევად შემცირდა. აგრარული ბაზრები განლაგებული იყო ქალაქად, რაიონულ ცენტრებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში. როგორც ომამდე, ისე ომისა და ომისშემდგომ აღდგენით წლებში ქ. ბათუმში კოლმეურნეობებს ჰქონდათ საუკუთარი სავაჭრო წერტები, მაგრამ XX საუკუნის 50-იან წლებში ისინი დაიხურა. კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ძირითა-

---

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.149.

[2] საბჭოთა აჭარა, 1957, 26 აპრილი; 1959, 6 მაისი.

ადად სახელმწიფო ყიდულობდა ორგანიზებულად, მტკიცე ფასებში.

აჭარაში XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში 7 აგრარული ბაზარი მოქმედებდა. 1960 წელს მათი რიცხვი 9-მდე გაიზარდა. აგრარულ ბაზარზე ძირითადად იყიდებოდა სიმინდის ფქვილი, კარტოფილი, ბოსტნეულ-ბაღჩეული, ხილი, ცერცვოვანი კულტურები და სხვა პროდუქტები. აგრარულ ბაზარზე ვაჭრობაში პირველი ადგილი ეკავა ხილს, მეორე—კარტოფილს, მესამე – ბოსტნეულ—ბაღჩეულ და ცერცვოვან კულტურებს და ა.შ. სახელმწიფო ცენტრალიზებული ფონდებიდან მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების შედეგად აგრარულ ბაზარზე იკლო კვერცხით, რძის პროდუქტებით, ხორცით, ცხიმითა და ფრინველით ვაჭრობამ.

XX საუკუნის 50-იან წლებში აგრარული ბაზრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უაღრესად სუსტი იყო და იქ ანტისანიტარია მეფობდა. სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო ქსელი საჭირო ზემოქმედებას ვერ ახდენდა ფასების დარეგულირებაში. აგრარულ ბაზრებზე საქონელი ძვირი ღირდა. საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის სახელზე გაგზავნილ ანონიმი ავტორის წერილში ვკითხულობთ: "ბაზარში ფასები საშინლად იზრდებოდა ყველაფერზე, ასე, რომ ვინც ღებულობს ხელფასს 300-400 მანეთს, მასაც ეშინია შესვლა. რა ეწვეეს ამას? ზოგი მიაწერს იმას, რომ პროდუქცია საერთოდ ნაკლებია, მაგრამ მე სხვა აზრი მაქვს. ბაზარი გადაქცეულია ყოვლად უსაქმურთა და გადამყიდველთა ბუდედ. პატიოსანი მშრომელი კაცი, როცა მოიტანს რამეს, ეჩქარება და ცდილობს მალე გაყიდოს, რომ უკან პატიოსანი შრომა ელოდება. მას გადამყიდველები გამოართმევენ ადვილად და ყიდიან ცეცხლის ფასებში".[1]

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.62, ს.27, ფურც.6.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. ქ. ბათუმში ბაზრის ახალი შენობის ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ (1968 წ.) საგრძნობლად გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ბაზარი შედარებით გაჯერებული გახდა საქონლით, რამაც პროდუქციის ფასებზეც იმოქმედა.

XX საუკუნის 50-იან წლებში, როგორც ადრე, ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის არასაკმარისი იყო ფინანსური და მატერიალური საშუალებები. მართალია, ქ. ბათუმში კანალიზაციის ქსელი ომამდე შეიქმნა, მაგრამ იგი ქალაქს მთლიანად არ მოიცავდა. 1953 წელს კანალიზაციის გარეშე იყო დარჩენილი ბათუმის დასახლებები "ჭაობი", "არდაგანი", "ბარცხანა", "გოროდოკი", რომელიც ქალაქის ტერიტორიის დიდ ნაწილს შეადგენდა. აქ ანტისანიტარული მდგომარეობა იყო. ქ. ქობულეთში საკანალიზაციო ქსელი პირველად 1970 წელს მოეწყო. ქ. ბათუმში XX საუკუნის 60-იან წლებში კანალიზაციის ქსელი საგრძნობლად გაფართოვდა. 1973 წელს დაიწყო ქალაქის კანალიზაციის სატუმბავი სადგურის მშენებლობა, რომელიც 70-იანი წლების ბოლოს დამთავდა. ამის შედეგად გაშვებული ფეკალური წყლების რაოდენობა 6,7-ჯერ (2,2 მილიონი $მ^3$ –დან 10,1 მილიონ $მ^3$-მდე) გაიზარდა.

XX საუკუნის 50-იან წლებში ახალი წყალსადენი გაიყვანეს ქობულეთში, ქედაში, ხულოში. 1967 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქ. ბათუმის წყალსადენს, 1968 წელს დამთავდა ციხისძირისა და მწვანეკონცხის წყალსადენის მშენებლობა, ხოლო 1990 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ახალი წყალსადენი—ბათუმი—ჩაქვი, მწყობრში ჩადგა ანალოგიური დაწესებულება ქობულეთში. ცხადია, მოსახლეობის წყლით მომარაგება შესამჩნევად გაუმჯობესდა. 1950 წელს ომამდელთან შედარებით, ქალაქის მოსახლეობას მიეწოდებოდა 2,3-ჯერ მეტი წყალი (8,4 მილიონი $მ^3$). 1970 წელს-5,0-ჯერ მეტი (18,3 მილიონი $მ^3$). ხოლო 1975

წელს-6,7-ჯერ მეტი (24,0 მილიონი მ³).[1] მაგრამ წყალსადენი და კანალიზაციის ქსელი უხარისხოდ და ტექნიკურად დაბალ დონეზე გაკეთდა, რის გამო მწყობრიდან სისტემატურად გამოდიოდა. ამის გამო ქალაქი ბათუმი განიცდიდა სასმელი წყლის ნაკლებობას, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა უხარისხო წყლის მიიწოდებას. 80-იან წლებში ქალაქ ბათუმის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემები ფაქტობრივად ამორტიზირებული იყო.

XX საუკუნის 60-იან წლებამდე არ არსებობდა საყოფაცხოვრებო მომსახურების ერთიანი სისტემა. ამ სფეროს მომსახურების ობიექტები შედიოდნენ კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებსა და სარეწაო კოოპერაციის გაერთიანებაში. 1957 წელს აჭარაში ითვლებოდა საყოფაცხოვრებო მომსახურების 132 ობიექტი. მათ მიერ მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურება 847,3 ათას მანეთს შეადგენდა. 1958 წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების რიცხვი ორჯერ და მეტად გაიზარდა, ხოლო მოსახლეობაზე მომსახურებისათვის ფულადი მაჩვენებელი 954,6 ათას მანეთს მიაღწია.[2]

XX საუკუნის 50-იან წლებში, როგორც ადრე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება დაბალ დონეზე იდგა. ასე იყო მთლიანად სსრ კავშირში. ამას მოწმობს ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალური განცხადება, რაც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 მარტის დადგენილებაში. მასში ნათქვამია: "... ამჟამად საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებული დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილე-

---

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 40 წელი, ბათ., 1961, გვ.115; აჭარის სახალხო მეურნეობა, ბათ., 1977, გვ.199.

[2] აცსა, ფ.რ-96, ან.1, ს.1076, ფურც.1, 27.

ბებს".[1] ხელისუფლება მდგომარეობის ორ-სამ წელიწადში გამოსწორებას ვარაუდობდა, მაგრამ დასახული ამოცანები მთლიანად არ შესრულდა. ცკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1962 წლის 10 მარტს ახალი დადგენილება მიიღეს "მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.[2]

ცენტრალური ხელისუფლების დადგენილებათა საფუძველზე აჭარაში ჩამოყალიბდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფო სამსახური: სამინისტრო, ქალაქად და რაიონებში-სამმართველოები. მოგვიანებით შეიქმნა საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგობრივი რესპუბლიკური გაერთიანებები. საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის 1963 წლის მაისის პლენუმისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიის (1964 წლის ივნისი) დადგენილების შედეგად აჭარაში.[3] სათანადოდ მუშაობა გაიშალა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტების მშენებლობის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. აჭარაში 1959-1970 წლებში 217 ობიექტი გაიხსნა, მომდევნო ათწლეულში -69, ხოლო 1981-1990 წლებში -104 და მათი საერთო რიცხვი 865-მდე გაიზარდა.[4] ამრიგად, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენობლობაში გარდატეხა მოხდა 1959-1970 წლებში. ქალაქად და სოფლად გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, სახლები, საწარმოები, სახელოსნოები და სხვა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მასშტაბი. იგი მოიცავდა ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის, ტყავის ნაწარმის, თავსამ-

---

[1] Решения партии и правительства по хахяйственным вопросам, Сборник документов, 4, М., 1968, с.559.

[2] იქვე, 5, გვ.203-214.

[3] საბჭოთა აჭარა, 1963, 2 ივნისი; 1964, 2 და 4 იელისი.

[4] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.129; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

კაულის შეკეთება-შეკერვას, ქსოვას. საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების, მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, ავეჯის, ლითონის ნაწარმის შეკეთებასა და დამზადებას, ტანსაცმლის ქიმიურ წმენდა-შეღებვას. საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შეკეთება-მშენებლობას. აბანოების, საპარიკმახეროების, გამქირავებელი პუნქტების, სატრანსპორტო, ფოტო და ფოტოკინო ლაბორატორიების მომსახურებას და სხვა.

XX საუკუნის 80-იან წლებში მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სტრუქტურაში საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე მოდიოდა 27-29%. პირველი ადგილი ეკავა ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეკეთება-შეკერვას, საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შეკეთება-მშენებლობას, რადიოტელევიზორების, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების, ლითონის ნაწარმის შეკეთება-დამზადებას, საპარიკმახეროების მომასახურებას და სხვა. მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 1965 წელს 2017 ათასი მანეთიდან. 1970 წელს 4371 ათას, 1980 წელს – 12052 ათას, ხოლო 1988 წელს – 22279 ათას მანეთამდე -11-ჯერ და მეტად გაიზარდა.[1]

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაზე მეტყველებს ერთ სულ მოსახლეზე გაწეული ფასიანი მომსახურა. იგი 1965 წელს 5 მანეთიდან 1970 წელს-8, 1980 წელს-33, ხოლო 1988 წელს-57 მანეთამდე-11,4-ჯერ გაიზარდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების გახსნას. 1965 წელს-268 ასეთი ობიექტი ითვლებოდა.[2]

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ძირითადად განლაგებული იყო ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში. მაგრამ XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამ მიმართულებით

---

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.28, 29; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] იქვე.

სოფელიც დაწინაურდა. მაგალითად, 1965-1988 წლებში სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურება 23,7-ჯერ გაიზარდა (306 ათასი მანეთიდან 7238 ათას მანეთამდე). ამავე დროს სოფლად ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მომსახურების კულტურა, ქალაქთან შედარებით, დაბალ დონეზე იდგა, სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს არ გააჩნდათ საჭირო რაოდენობის მასალები, დამხმარე მასალები, ზოგჯერ კვალიფიციური სპეციალისტებიც კი. ამიტომ იყო, რომ სოფლად არსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ნაწილი მალე დაიხურა.

საერთო შეფასებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის შექმნა დადებით მოვლენად წარმოგვიდგება. მაგრამ დარგის ყოვლისმომცველელი გასახელმწიფოებრიობა, კერძო საქმიანობის აკრძალვა უარყოფითად მოქმედებდა ამ სფეროს განვითარებაზე, მომსახურების ხარისხსა და კულტურაზე. სახელმწიფოს მიერ დაშვებული არარეალური გეგმები, სპეციალისტების მატერიალურ დაინტერესებას ჩანასახშივე კვლავდა. ამიტომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში, როგორც სხვა დარგებში, ადგილი ჰქონდა თვალთმაქცობას, გადამალვის, გამოძალვის ფაქტებს. დარგის ყოვლისმომცველი გასახელმწიფოებრიობის მიუხედავად, სპეციალისტების კერძო პრაქტიკა აშკარად შესამჩნევი იყო.

მართალია, XX საუკუნის 50-80-იან წლებში აჭარის მოსახლეობის ყოფაში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა, მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდთან შედარებით საგრძნობლად განვითარდა ადამიანების მომსახურების ფორმები, მათი საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრება, მაგრამ მატერალური კეთილდღეობის ეს ნაწილი საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების დონეს ვერ უსწორდებოდა. მის ძირითადი მიზეზი ისევ და ისევ საბჭოთა ეკონომიკური სისტემა იყო, რომელიც კერძო მეწარმეობასა და მომსახურებას სასტიკად კრძალავდა, თავი-

საუფალ კონკურენციას ფართო გასაქანს არ აძლევდა. ასეთი ვითარება მომსახურეობის ხარისხის ამაღლებას აფერხებდა.

3. ჯანმრთელობის დაცვა

ადამიანების კეთილდღეობაში ჯანმრთელობის დაცვას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია ნორმალური შრომა და ცხოვრება. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემა საერთოდ არ არსებობდა. მისი ჩამოყალიბება გასაბჭოების შემდეგ დაიწყო. საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა. მოსახლეობის მომსახურების ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროს სათავეში უდგა ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატი (1946 წლიდან სამინისტრო), რომელსაც შესაბამისი განყოფილებები გააჩნდა ქალაქად და რაიონებში.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში არსებითი გარდატეხა მოხდა ომისშემდგომ პერიოდში. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის ფართო ქსელი. მასში შედიოდა: საავადყოფოები, დისპანსერები, სანიტარული განათლებისა და სამშობიარო სახლები, ამბულატორია-პოლიკლინიკები, სასწრაფო დახმარების, სისხლის გადასხმის, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და სადეზინფექციო სადგურები, საფერშლო-საბებიო და ჯანდაცვის პუნქტები, აფთიაქები და სხვა. 1950 წელს აჭარაში 113-ზე მეტი სამედიცინო დაწესებულება აღირიცხა.

XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ჯანმრთელობის დაცვის ქსელი არასაკმარისი იყო მოსახლეობის

ნორმალური სამედიცინო მომსახურებისათვის. არ კმარო-და სამკურნალო სტაციონალური და პროფილაქტიკური დაწესებულებები, ექიმები და სამედიცინო პერსონალი, დაბალ დონეზე იდგა მომსახურების კულტურა. სუსტი იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამკურნალო-პროფილაქტი-კური დაწესებულების ნაწილი განთავსებული იყო უვარგის შენობებში. ზოგიერთი მათგანი განთავსებული იყო ყოფილი მეჩეთების შენობაში. სოფლების უმრავლე-სობაში საერთოდ არ არსებობადა სამედიცინო დაწესებუ-ლებები.

ამრიგად, XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში სერიოზული პრობლემები არსებობდა. მათი გადაწყვეტისათვის მნიშვ-ნელოვან მუშაობას ეწეოდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები. ცხადია, უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა მათ არ შეეძლოთ. ამიტომ არსებული პრობლემების დროულად გადაწყვეტის მიზნით აჭარის ხელმძვანელობა სისტემატურად აყენებდა საკით-ხებს საქართველოს ხელისუფლების წინაშე. ისინი ყურად-ღებით ეკიდებოდნენ ამ საკითხებს და უმეტესი მათგანი დადებითად წყდებოდა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის დიდმნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა ამ დარგის სა-ხელმწოფო აპარატი. XX საუკუნის 50-80-იან წლებში აჭა-რაში ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში მნიშვ-ნელოვანი წვლილი შეიტანეს დარგის მინისტრებმა რ. ინაიშვილმა /1948-1954 წწ./, ი. დისამიძემ /1954-1973 წწ./, რ. სურმანიძემ /1977-1985 წწ./, გ. ცივაძემ /1985-1995 წწ./. მათი უშუალო ხელმძღვანელობით საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამაღლდა მომსახურების დონე და სხვა.

ომისშემდგომი აღდგენითი წლების /1946-1950/ ამოცა-ნების წარმატებით შესრულების შედეგად სახელმწიფოს მეტი შესაძლებლობა ეძლეოდა გადაეჭრა არსებული

პრობლემები. მაგრამ კაპიტალისტურ სისტემასთან დაპირისპირების გამო სსრ კავშირი დიდძალ სახსრებს გამალებულ შეიარაღებას ახმარდა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის არასაკმარისი თანხები გამოიყოფოდა. ამიტომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემის გადაწყვეტა წლების განმავლობაში გაჭიანურდა.

მიუხედავად ამისა, XX საუკუნის 50-80-იან წლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაფინანსება განუწყვეტლივ იზრდებოდა. თუ 1955 წელს სახელმწიფო დაფინანსება 3,5 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1960 წელს 5,5 მილიონ, 1965 წელს – 7,9 მილიონ, 1970 ელს-10,8 მილიონ, 1875 წელს – 12,1 მილიონ, 1980 წელს – 15,9 მილიონ, ხოლო 1986 წელს 17,9 მილიონ მანეთამდე[1] - 5,1-ჯერ და მეტად გაიზარდა.

ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სახელმწიფო დაფინანსების დიდი ნაწილი მოხმარდა სამედიცინო მომსახურებას. 1970 წელს იგი შეადგენდა 9,8 მილიონ მანეთს, ე.ი. საერთო დაფინანსების 90,7%-ს. 1975 წელს 11,4 მილიონს /94,2%/, 1980 წელს -15,1 მილიონს /95,1%/, ხოლო 1986 წელს – 16,9 მილიონ მანეთს /94,4%/ უდრიდა.[2]

ამრიგად, XX საუკუნის 50-80-იან წლებში ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკურ კულტურაზე გამოყოფილი საერთო სახელმწიფო სახსრები თითქმის მთლიანად ხმარდებოდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას. სახელმწიფო დაფინანსების ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე გამოყოფილი თანხები არ კმაროდა. არასაკმარისი დაფინანსების გამო მოსახლეობის

---

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 40 წელი, ბათ., 1961, გვ.131; აჭარის სახალხო მეურნეობა, ბათ., 1977, გვ.259-260; Народное хозяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.246.

[2] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.246; პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა დიდად ჩამორჩა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიღწევებს.

მიუხედავად ამისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, როგორც მთლიანად საქართველოში, XX საუკუნის 50-80-იან წლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები იყო. ამ წლებში ქალაქად და სოფლად ათობით სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარულ-პროფილაქტიკური დაწესებულება გაიხსნა, განმტკიცდა მათი მატერიალურ ტექნიკური ბაზა. უკვე 1978 წლის დასაწყისში აჭარაში აღირიცხა 281 სამკურნალ-პროფილაქტიკური დაწესებულება.[1] მრავალი მათგანი ახალ შენობაში განთავსდა, საჭირო ლაბორატორიებით, კაბინეტებითა და ხელსაწყოებით აღიჭურვა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსდა ჯანმრთელობის დაცვის კერების კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებაში. აჭარისათვის ექიმებს ძირითადად ამზადებდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. საშუალო სამედიცინო პერსონალს – ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი. აჭარაში მომუშავე სამედიცინო პერსონალს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება მიღებული ჰქონდა სსრ კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებში.

ჯანმრთელობის დაცვის კერები ყოველწლიურად ივსებოდა ახალგაზრდა ნიჭიერი სამედიცინო პერსონალით. 1951-1970 წლებში ექიმების რაოდენობა 3,5-ჯერ, ხოლო საშუალო სამედიცინო პერსონალისა – 3,1 ჯერ მეტად. სამედიცინო კადრების ზრდის მაჩვენებლები შესამჩნევად უსწრებდა მოსახლეობის საერთო მატებას. ცხადია, ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო. აჭარაში ყოველი 10 ათას კაცზე 1950 წელს მოდიოდა 24,7 ექიმი და 49,6 საშუალო სამედიცინო პერსონალი. 1970 წელს ამ მასიათებლებმა 31,5 და 98,0, 1980 წელს – 36,4 და 109,0 ხოლო

---

[1] აცსა, ფ.რ-73, აუნ.1, ს.1433, ფურც.33.

1986 წელს-44,2 და 122,2 ერთეული შეადგინა.[1] ამის შემდეგ აღარ გაზრდილა, პირიქით მომდევნო წლებში შესამჩნევად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 50-60-იან წლებში აჭარა ყოველ 10 ათას კაცზე ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობით თითქმის უტოლდებოდა საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს, მაგრამ 70-80-იან წლებში საგრძნობლად ჩამორჩა. საგულისხმოა, რომ 1980 წელს მთლიანად საქართველოში ყოველ 10 ათას კაცზე მოდიოდა 48,4 ექიმი და 111,9 საშუალო სამედიცინო პერსონალი, ხოლო 1986 წელს – 54,4 და 119,3.[2]

XX საუკუნის 70-იან წლებისათვის აჭარაში სამედიცინო კადრების პრობლემა ძირითადად გადაწყდა. თუმცა ქალაქად და სოფლად კადრები არაპროპორციულად იყო განაწილებული. სოფლად, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, ექიმების უკმარისობა იგრძნობოდა, რის გამო ზოგიერთი საავადმყოფო და საექიმო ამბულატორია დაიხურა.

ომისშემდგომ პერიოდში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება იყო სპეციალიზაციის გაღრმავება და გაფართოება. ექიმების კვალიფიკაციის ამაღლების შედეგად ჩამოყალიბდა მედიცინის ახალი დარგები: კარდიოლოგია, უროლოგია, ონკოლოგია, ნევროპათოლოგია. გაფართოვდა თერაპია, პედიატრია, ქირურგია, გინეკოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია და სხვა. ექიმი თერაპევტებიდან დარგის განვითარებას ნაყოფიერი კვალი დაამჩნიეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ევგენი მგალობ-

---

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 40 წელი. ბათ., 1961, გვ.152-153; საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.12, 172; Народное хозяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.226; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический ежегодник, Тб., 1987, с.244, 257.

ლიშვილმა, ექიმებმა შალვა ტულუშმა, ტატიანა გეგენავამ და სხვებმა. ქირურგიაში საყურადღებო მიღწევები ჰქონდათ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს ვარლამ გიორგაძეს, ჯუმბერ გაბუნიას, აკაკი ბერიძეს, აგრეთვე პრაქტიკოს ექიმებს დიოდორ ხარიტიდის, ავნი დიასამიძეს, ნოდარ პერტიას და სხვებს.

მეანე-გინეკოლოგიის დარგის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებმა პროფესორებმა გიორგი ხეჩინაშვილმა და ლევან ჩარკვიანმა, გამოცდილმა ექიმებმა ეთერ ცინცაძემ, სუსანა შერვაშიძემ, ქეთევან ხორიმანსკაიამ და სხვა. პედიატრებიდან ყურადღებას იმსახურებენ თამარ რამიშვილი, ვახტანგ დიასამიძე, ბათუ ყუფარაძე, დავით ზოიძე, სოფიო მარულიდი და მრავალი სხვა. ტრავმატოლოგიაში მომუშავე ექიმებს შორის აღსანიშნავია სიმონ ნამგალაძე და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ მსახურაძე, ხოლო კარდიოლოგიაში – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ამირან ჯაიანი და ელენე ნიკოლაევა. ონკოლოგიაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ქიქავა. თვალის ექიმებს შორის გამორჩეულნი იყვნენ ე. შტრამელი და ლენა ჭანტურია, ხოლო ნევროპათოლოგიაში მერი ერისთავი, თამაზ კვიტაიშვილი, ზულეიკა ლორთქიფანიძე და სხვები. ოტორინოლარინგოლონგებიდან პროფესიონალობით და საქმისადმი ერთგულებით თავი გამოიჩინეს დურსუნ დიასამიძემ, რევაზ პერტიამ, ალექსანდრე ლორიამ, ნოდარ ორაგველიძემ და სხვა.

ომისშემდგომ პერიოდში, როგორც მანამდე, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო ეპიდემიებისა და ინფექციური დაავადებების ლიკვიდაცია. განსაკუთრებული ყურადღება ამ დაავადებებისადმი იმითაც იყო განპირობებული, რომ ისინი იწვევდნენ მოსახლეობის მასობრივ განადგურებას. მართალია, XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ეპიდემიე-

ბი და ინფექციური დაავადებები ძირითადად ლიკვიდირებული იყო, მაგრამ მათი აღმოცენებისა და გავრცელების საფრთხე ყოველთვის არსებობდა. ამიტომ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და საკარანტინო სადგურები არ შემცირებულა. 1960 წელს აჭარაში აღირიცხა 8 სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური, 2-ით მეტი, ვიდრე 1950 წელს. ქალაქად იყო 3, ხოლო სოფლად 5. მეტნაკლებად ანალოგიური სურათი გვაქვს მომდევნო წლებში. XX საუკუნის 70-იან წლებში ითვლებოდა 7, ხოლო 1985 წელს 9 ასეთი სადგური.[1]

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები აღიჭურვა საჭირო ლაბორატორიებით. მაგალითად, ხულოს რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურს გააჩნდა ბაქტერიოლოგიური, ბიოქიმიიის, კვების და პარაზიტოლოგიის ლაბორატორიები. საგრძნობ ღონისძიებებს ატარებდნენ სადეზინფექციო კამერები, რომელთა რიცხვი 1955 წელს 108 ერთეულს ითვლიდა /ქალაქად იყო 28, ხოლო სოფლად – 80/[2]

მალარიის დაავადების ლიკვიდაციის შედეგად დაიხურა შესაბამისი სადგურები და პუნქტები. 1954 წელს დაიხურა მალარიის რესპუბლიკური სადგური. 1955 წლიდან აჭარაში აღარ მოქმედებდა ამ სახის არცერთი სადგური და პუნქტი, რამდენადაც მალარიის დაავადებების გამომწვევი მიზეზები ლიკვიდირებული იყო. XX საუკუნის 60-70-იან წლებში მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა. ხმელეთის, წყლისა და ჰაერის გაჭუჭყიანებამ იკლო. ცხადია, იმ რაოდენობით სადიზენფექციო კამერების შენარჩუნება საჭირო აღარ იყო. 1961 წელს მათი რაოდენობა 59-მდე შემცირდა /19 იყო ქალაქად, ხოლო 40 სოფლად/. 1970-1980 წლებში 20-მდე

---

[1] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.170; აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.1353, ფურც.159.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.752, ფურც.42.

სადეზინფექციო კამერა მოქმედებდა /10 ქალაქად, ამდენივე სოფლად/[1]

სადეზინფექციო, სანიტარულ–ეპიდეიოლოგიურმა და მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულებებმა დიდი როლი შეასრულეს ეპიდემიებისა და მწვავე ინფექციური დაავადებების ლიკვიდაციაში. მათი მეშვეობით რეგულარულად ხდებოდა წყალსატევების გამოკვლევები და გაწმენდა. ჭაობების დაწამლვა, შენობის დეზინფექცია. ამ მიზნით ავიაციასაც კი იყენებდნენ. მასიურად დაიწყო გამოკვლევებისა და აცრების წინასწარი ჩატარება. ასეთი მუშაობის შედეგად აჭარაში 1950 წლისათვის ლიკვიდირებული იყო ტროპიკული მალარია, ხოლო 1953 წლიდან მალარია, როგორც მასობრივი დაავადება, მთლიანად მოისპო. მნიშვნელოვნად შემცირდა მწვავე ინფექციური დაავადებები.

მიუხედავად ამისა, მწვავე ინფექციური დაავადებები საკმაოდ გავრცელებული იყო. არაერთხელ გამოვლინდა მალარიას დაავადებათა შემთხვევებიც. მაგალითად, მალარიას დაავადება გამოვლინდა 1967-1969 და 1974 წლებში. ამ უკანასკნელ წელს მალარიას დაავადებამ ბავშთა სიკვდილიანობაც კი გამოიწვია. მართალია, XX საუკუნის 60-80-იან წლებში შესამჩნევად შემცირდა მწვავე ინფექციური დაავადებები, მაგრამ ზოგიერთი მათგანის გამოვლენის კოეფიციენტი კვლავ მაღალი იყო. მაგალითად, 1961 წელს გამოვლინდა მუცლის ტიფის 28 შემთხვევა, 1962 წელს -63, 1963 წელს – 93, 1969 წელს – 77. ხულოს რაიონში 1987 წელს გამოვლინდა მუცლის ტიფის 8 შემთხვევა.[2]

ეპიდემიები და სხვა მასობრივი დაავადებანი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მთლიანად ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის საგანგებო ყურადღების არეში იყო მოქცეული. მართალია, მეორე მსოფლიო ომამდელ პერი-

---

[1] იხ. აჭარის ჯანმრთელობის სამინისტროს 1961, 1970, 1975 და 1980 წლების სტატისტიკური ანგარიშები.

[2] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1132, ფურც.86; ფ.რ-73, ან.1, ს.1200, ფურც.18.

ოდთან შედარებით ეპიდემიების აღმოცენებისა და გავრ-
ცელების პირობები შემცირდა, მაგრამ მისი გარედან
შემოტანის საფრთხე მოხსნილი არ იყო. 1970 წლის ივ-
ლისში აჭარაში გამოვლინდა ქოლერა. ადგილზე არ იყო
გამოკვლევისათვის საჭირო ლაბორატორია. ამის გამო,
მოსკოვიდან, სტავროპოლიდან და თბილისიდან სასწრა-
ფოდ მოიწვიეს ექსპერტები და სპეციალისტები, რის
შედეგად ქოლერის დაავადება ლიკვიდირებული იყო.[1]

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები სისტემატუ-
რად აკონტროლებდნენ ობიექტების ჰიგიენურ მდგომარეო-
ბას. მაგალითად, 1985 წელს მათ ზედამხედველობა განა-
ხორციელეს 148 ობიექტზე, სულ ჩაატარეს 43164 გამოკვ-
ლევა, მათ შორის 27993 სანიტარულ-ქიმიური.[2] ანალოგიუ-
რი მუშაობა მიმდინარეობდა სხვა წლებშიც. სანიტარულ-
ეპიდემიოლოგიური სადგურები სწავლობდნენ ხმელეთის,
წყლისა და ატმოსფეროს ეკოლოგიის საკითხებს. მართა-
ლია, ამ მიმართულებით XX საუკუნის 50-60-იან წლებში
შესამჩნევი ღონისძიებები გატარდა, მაგრამ სახსრების
უკმარისობის გამო, ეკოლოგიის რიგი საკითხები გადაუწ-
ყვეტელი რჩებოდა.

1970 წლის ცნობით, ქ. ბათუმის მოსახლეობა განიცდი-
და სასმელი წყლის უკმარისობას. არ ხდებოდა ქალაქის
საკანალიზაციო წყლების წინასწარ გაწმენდა და დე-
ზინფექცია. ჯერ კიდევ იყო ღია საპირფარეშოები რო-
გორც სოფლად, ისე ქალაქად. ძალზე გაჭუჭყიანებული
იყო შავი ზღვის აკვატორიის მონაკვეთი და მდინარეები
შეჯინისწყალი, ბარცხანა და სხვა. ყოველივე ეს ეპიდე-
მიებისა და ინფექციური დაავადებების წარმოშობის
საფრთხეს აძლიერებდა. აჭარა გამონაკლისი არ ყოფილა.
1987 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ
კავშირის მინისტრთა საბჭომ სპეციალური დადგენილება

---

[1] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1198, ფურც.20.
[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.1642, ფურც.160.

მიიღეს "შავი და აზოვის ზღვების გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ".[1] მაგრამ მას აჭარაში შედეგი არ მოჰყოლია.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აჭარის ექიმთა საზოგადოება, რომელიც 1896 წელს დაარსდა. 1949 წლისათვის მისი რიგები იმდენად გაფართოვდა, რომ ცალკე ჩამოყალიბდა თერაპევტთა და ქირურგთა საზოგადოებები. ექიმთა საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, მედიცინის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისათვის.

ქირურგთა საზოგადოების ინიციატივით, რომელსაც ხელმძღვანელობდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვ. გიორგაძე, აჭარის მაღალმთიან რაიონებში არაერთი ექსპედიცია მოეწყო ჩიყვის დაავადების გამოვლენისა და მკურნალობის მიზნით. III ექსპედიციის დროს, რომელიც 1954 წელს მოეწყო, გამოაელინეს ჩიყვით დაავადებულები, გაუწიეს მათ საჭირო დახმარება. ამასთან, შეაჯამეს ადრე ჩატარებული მუშაობის შედეგები და შეიმუშავეს ამ დაავადებისაგან ადამიანების განკურნების პროფილაქტიკური ღონისძიებები.

როგორც ცნობილია, ჩიყვის დაავადება ერთ-ერთ მძიმე დაავადებად ითვლება. ამ დაავადების წარმოშობა და განვითარება განპირობებულია მრავალი ფაქტორით. მათგან აღსანიშნავია გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები, სასმელი წყლის არასაკმარისი მინერალიზება, საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა. ხელისუფლების ორგანოების დახმარებითა და სამედიცინო პერსონალის აქტიური მუშაობის შედეგად ჩიყვის დაავადება მნიშვნელოვნად შემცირდა. მარტო 1952-1956 წლებში აჭარის რაიონებში შეიტანეს და მოსახლეობას გადასცეს 2 ტონაზე მეტი იოდიზირებული მარილი. ჩიყვის დაავადების შემცირებაში

---

[1] იქვე, ს.1200, ფურც.27-31; ს.1706, ფურც.38-40.

გარკვეული როლი შეასრულა სანიტარულ-საგანმანათლებლო დასამედიცინო პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებამ.[1]

სანიტარული განათლების სახლი აჭარაში 1947 წელს შეიქმნა. მისი ინიციატივით სოფლად ქალაქებიდან და რაიონული ცენტრებიდან ხშირად იგზავნებოდა ექიმთა სპეციალური ბრიგადები, რომლებიც მოსახლეობაში სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას ატარებდნენ. მაგალითად, 1951 წელს აჭარის სოფლად ექიმთა 5 ბრიგადა გაიგზავნა, რომლებმაც მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ჩაატარეს და მოსახლეობას სამედიცინო საკითხებზე საინტერესო ლექციასაუბრები ჩაუტარეს.[2]

ასეთ ღონისძიებებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სისტემატურად ატარებდა. 1958 წელს, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაობთან დაკავშირებით, აჭარის სოფლად ექიმთა ისევ 5 ბრიგადა მიავლინეს. ავადმყოფთა მკურნალობასთან ერთად მათ ძალზე მნიშვნელოვანი ლექცია-საუბრები გამართეს სანიტარულ და ჰიგიენურ საკითხებზე.[3]

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში განსაკუთრებული ადგილი ეკავათ სამკურნალო სტაციონარულ დაწესებულებებს, მათ შორის დისპანსერებს. აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში მათი განვითარების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთ მოყვანილი მონაცემები / იხ. ცხრილი 4/.[4]

---

[1] Сурманидзе Р.В., Общество врачей Аджарии и русско-грузинские медицинские связи, Бат., 1978, с.124-125.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.557, ფურც.36.

[3] საბჭოთა აჭარა, 1958, 17 მაისი.

[4] ცხრილი შედგენილია: სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.12, 167-168, 172; Народное хозяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.226; აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.523, ფურც.5-6; აჭარის ჯანმრთელობის

ცხრილი 4

მაჩვენებლები	1940 წ.	1950 წ.	1960 წ.	1970 წ.	1980 წ.	1990 წ.
საავადმყოფოები	12	26	41	44	40	42
დისპანსერები	–	4	7	9	9	9
საწოლთა რიცხვი	877	1157	2160	3155	3925	4285
10 000 კაცზე მოდიოდა საწოლი	42,0	56,0	84,0	100,5	108,3	106,8

XX საუკუნის 40-იან წლებში ჯანმრთელობის დაცვის ქსელს შეემატა 14 საავადმყოფო, ხოლო 50-იან წლებში - 15. მათ შორის სოფლად – 8 ერთეული. ამ წლებში გაიხსნა ბათუმის ტუბერკულოზის, ინფექციური, ქალაქის №1 და №2, შუახევის რაიონული და სოფლად 7 საუბნო საავადმყოფო. ამავე პერიოდში ბათუმში გაიხსნა აგრეთვე ონკოლოგიური, ჩიყვის, საექიმო ფიზიკური კულტურის და ქობულეთის დერმატო-ვენეროლოგიური დისპანსერები. 60-იან წლებში ავტონომიური რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებს შეემატა ფსიქიატრიული და ბავშთა რესპუბლიკური საავადმყოფოები, ქობულეთის საქალაქო და ზომლეთის სარაიონთაშორისო ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო დისპანსერები. 1970 წლის შემდეგ სამკურნალო სტაციონარების შემცირება გამოწვეული იყო იმით, რომ სოფლად ზოგიერთი საუბნო საავადმყოფო, ექიმების უკმარისობის გამო, საექიმო ამბულატორიებად გადაკეთდა.

აჭარაში ნაყოფიერად მუშაობდა საუწყებო სამედიცინო დაწესებულებები. მათგან საყურადღებოა ბათუმის მეზღვაურთა საავადმყოფო 50 საწოლით, რომელიც 1953 წელს

დაცვის სამინისტროს 1960, 1970, 1980, 1990 წლების სტატისტიკური ანგარიშები.

ბაიხსნა ნავსადგურის პოლიკლინიკის ბაზაზე. იგი დაექ-ვემდებარა ქ. ფოთის მეზღვაურთა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას. 1954 წელს ფოთის მეზღვაურთა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება გაუქმდა. ამის შემდეგ, ბათუმის მეზღვაურთა საავადმყოფო დაექვემდებარა ოდესის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას. 1956 წლიდან ბათუმის მეზღვაურთა საავადმყოფო და ნავსადგურის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური გადავიდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაქვემდება-რებაში.

ბათუმის რკინიგზის საავადმყოფო, რომელიც XX საუკუნის 50-იან წლებში 50 საწოლზე იყო გაშლილი, ემსახურებოდა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებს. მას აქვს ოერაპიული განყოფილება, ქირურგიული, სამშობიარო და ბავშვთა საწოლები.[1]

სამედიცინო დაწესებულებათა უმეტესობა განლაგებული იყო სოფლად. მაგრამ მკურნალობის ძირითად ცენტრს წარმოადგენდა ქ. ბათუმი. აქ დისლოცირებული იყო მთავარი საავადმყოფოები, დისპანსერები, პოლიკლინიკები და სხვა. კონცენტრირებული იყო მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრები. თუმცა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები შესამჩნევად ჩამორჩებოდა დედაქალაქის სამედიცინო დაწესებულებების დონეს. ამის გამო მძიმე ავადმყოფების ნაწილი მკურნალობისათვის არაიშვიათად თბილისსა და მოსკოვს მიმართავდა.

მართალია, 70-80-იან წლებში სამკურნალო სტაციონარები არ გაზრდილა, მაგრამ მათში საწოლთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გადიდდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ 50-იანი წლებიდან მოყოლებული ფართოდ გაიშალა სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობა, რის შედეგადაც მრავალი მათგანი ახალ შენობაში განთავსდა. მაგალითად, 1961-1970 წლებში მწყობრში ჩადგა 8 სამკურნალო

---

[1] ა. პერტია, ნარკვევი აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათ., 1959, გვ.82-84.

დაწესებულებათა შენობა-ნაგებობა. 1971-1980 წლებში – 7, ხოლო 1981–1990 წლებში–5.[1] 60-იან წლებში ექსპლოატაციაში გადაეცა ბავშთა რესპუბლიკური საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის, ტუბერკულიოზისა და ონკოლოგიური დისპანსერების შენობები.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში მწყობრში ჩადგა ქედისა და შუახევის რაიონული, ჩაქვის სადაბო საავადმყოფოების, ქობულეთის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის, მახინჯაურის საერთო სადაბო პოლიკლინიკის, ზომლეთის სარაიონთაშორისო /ხულო და შუახევი/ ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო დისპანსერის შენობები. 1981-1985 წლებში ახალ შენობაში განთავსდა ქობულეთის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური, მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლი /120 საწოლზე/ და ყინჩაურის /ხულოს რაიონი/ საუბნო საავადმყოფო /50 საწოლზე/.[2] მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ნაწილი განთავსებული იყო არასტანდარტულ შენობა-ნაგებობაში. მაგალითად, ქ. ბათუმის კანის და ვენერულ სნეულებათა დისპანსერის, ქობულეთის რაიონული საავადმყოფოს, სოფლის საუბნო საავადმყოფოებისა და საექიმო ამბულატორიების დიდ ნაწილს არასტანდარტული შენობები გააჩნდათ, სადაც სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობისათვის ნორმალური პირობები არ არსებობდა.

ნაკლოვანებებისა და პრობლემების მიუხედავად ახალი საავადმყოფოების კაპიტალური შენობა-ნაგებობათა მწყობრში ჩადგომის შედეგად გაიზარდა საწოლთა რაოდენობა. სტაციონარები დისპანსერებშიც მოეწყო. აღსანიშნავია, რომ ამ სახის სამკურნალო დაწესებულებებს შორის 1955 წელს სტაციონარი 95 საწოლით გააჩნდა ქ. ბათუმის და ქობულეთის კანისა და ვენერიულსნეულებათა დისპანსერებს. 1961 წელს 8 დისპანსერიდან სტაციონარი ჰქონდა 4-

---

[1] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.1453, ფურც.34, ს.1607, ფურც.7.

ს. მათ შორის ქალაქ ბათუმის ტუბერკულოზის საწინააღმ-დეგო დისპანსერს – 15 საწოლი, ონკოლოგიურს – ამდე-ნივე, კანისა და ვენერიულ სნეულებათა დისპანსერებს – 95. სულ ითვლებოდა 125 საწოლი. 1970 წელს მათი რიცხ-ვი 265-მდე გაიზარდა. მათგან ონკოლიგიურში ითვლებოდა 115 კანისა და ვენერიულ სნეულებათა ორ დისპანსერში (ბათუმისა და ქობულეთის) -- 105, ზომლეთის სარაიონთა-შორისო ტუპერკულიოზის საწინააღმდეგო დაწესებულება-ში 25 საწოლი). ანალოგიური მდგომარეობა იყო მომდევნო წლებშიც.[1]

ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საწოლთა რაოდენობის ზრდა საგრძნობლად აღემატებოდა მოსახ-ლეობის მატების საერთო რიცხოვნობას. 1950 წელთან შედარებით 1960 წელს საწოლთა რაოდენობა გაიზარდა 1,8-ჯერ, 1970 წელს – 2,7-ჯერ, 1980 წელს – 3,4-ჯერ, ხოლო 1990 წელს 3,7-ჯერ. მოსახლეობა კი გადიდდა 1,9-ჯერ. აჭარა ყოველ 10 ათას მაცხოვრებელზე საწოლთა რაოდენობის მიხედვით 1951-1980 წლებში აღემატებოდა საქართველოს საშუალო რესპუბლიკურ მახასიათებელს, მაგრამ 80-იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა და ამ მაჩვენებლის მიხედვით საგრძნობლად ჩამორჩა.[2]

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული თანდა-თანობით გაღრმავდა საწოლთა ფონდის სპეციალიზაცია. თუ სოფლად, საუბნო საავადმყოფოებში ძირითადად იყო საერთო საწოლები, ქალაქად, დაავადებათა სახეების მი-ხედვით, სპეციალური განყოფილებები და პალატები შეიქმნა. 50-60-იან წლებში პირველი ადგილი ეკავათ თერა-პიულ საწოლებს, მეორე–ქირურგიულს, მესამე-ფეხმძიმე და მშობიარე ქალების, მეოთხე-ტუბერკულიოზის, მეხუთე-ფსიქიატრიულს, მეექვსე-კანისა და ვენერიულ სნეულებათა

---

[1] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.752, ფურც.9-10; აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1961 და 1970 წლების სტატისტიკური ანგარიშები.

[2] Народное хозяйство Грузинской ССР, Статистический ежегодник. Тб., 1987, с.244, 256.

საწოლებს. 70-80-იან წლებში ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ მეორე ადგილზე გადაინაცვლა ფსიქიატრიულმა, ხოლო რიგით მე-6-ზე გადმოვიდა ტუბერკულიოზის საწოლები.

ეს ცვლილებები იმით იყო განპირობებული, რომ 70-იანი წლების პირველ ნახევარში ექპლოატაციაში გადაეცა ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთელი კომპლექსი 445 საწოლით, რაც მანამდე არსებულს 345 ერთეულით აღემატებოდა. ამასთან ერთად ბათუმისა და ქობულეთის ტუბერკულიოზის დისპანსერებში სტაციონარები გაუქმდა, რადგანაც მათი არსებობა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა. ამ სახის დაავადებათა შემცირების შედეგად ისინი ფაქტობრივად დაუტვირთავი რჩებოდნენ, მაგრამ ამავე დროს საგრძნობლად გააფართოვეს პროფილაქტიკური ხასიათის მუშაობა.

აჭარის სტაციონარებში ომისშემდგომ წლებში ათეულ ათასობით ავადმყოფმა იმკურნალა და აღიდგინა თავისი შერყეული ჯანმრთელობა. მაგალითად, 1955 წელს ავტონომიური რესპუბლიკის საავადმყოფოებში მკურნალობას გადიოდა 31426 ავადმყოფი, 1961 წელს – 42 ათასი, 1970 წელს – 57 ათასი, 1980 წელს – 67 ათასი, 1986 წელს – 73 ათასი კაცი[1].

ავადმყოფთა ასეთი ზრდა გამოწვეული არ ყოფილა მხოლოდ მოსახლეობის მატებით. საქმე ის გახლავთ, რომ სტაციონარებისა და მათში საწოლთა რაოდენობის გადიდების შედეგად შესაძლებელი გახდა უფრო მეტი ავადმყოფების მიღება და შედარებით ნორმალური მკურნალობის ჩატარება. ადრე, როდესაც საამისო პირობები არ იყო, მრავალი ავადმყოფი ბედისანაბარა შინ მკურნალობდა.

ავადმყოფთა მკურნალობის და მოსახლეობის დისპანსერიზაციაში ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა

---

[1] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.752, ფურც.7-8; აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1961 წლის ანგარიში; იხ. აგრეთვე народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.228.

სპეციალურ დისპანსერებში. ამ მიმართულებით მუშაობა გაფართოვდა 70-80-იან წლებში. თუ 1955 წელს ავტონომიური რესპუბლიკის დისპანსერებში მიღებული იყო 822 ავადმყოფი, 1970 წელს ამ მაჩვენებელმა 3252-ს მიაღწია /თითქმის 4-ჯერ მეტი/. ამ უკანასკნელ წელს დათვალიერება გაიარა 145,5 ათასმა კაცმა, ხოლო 1986 წელს-147,7 ათასმა მოქალაქემ. დისპანსერების მეთვალყურეობის ქვეშ იყო 1970 წელს 20,5 ათასი, 1980 წელს – 36,9 ათასი, ხოლო 1986 წელს – 64,4 ათასი კაცი /3,0-ჯერ და კიდევ მეტი/.[1]

შესამჩნევად გაფართოვდა და განმტკიცდა სამშობიარო სახლების მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, მშობიარე ქალებისა და ახალშობილთა მოვლა-პატრონობა. აჭარაში XX საუკუნის 50-60-იან წლებში მოქმედებდა 2 სამშობიარო სახლი 160 საწოლით /ბათუმის სამშობიარო სახლი 120, ხოლო ქობულეთის 40 საწოლით/. 1955 წელს მათ მიიღეს 4785 ორსული ქალი, მათ შორის ქ. ბათუმის სამშობიარო სახლში – 3493. 1975 წელს სამშობიარო სახლების რაოდენობა 3-მდე, ხოლო საწოლთა რაოდენობა 250-მდე გიზარდა. მათ მიიღეს 9602 ორსული ქალი, რომელთა შორის სოფლიდან იყო 5583.[2]

მომდევნო წლებში სამშობიარო სახლები აღარ გახსნილა, მაგრამ სტაციონარებში გაიხსნა სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილებები და პალატები. 1985 წელს ბათუმის სამშობიარო სახლში ითვლებოდა 170 საწოლი, ქობულეთის – 60, ხოლო ხულოს სამშობიარო სახლში - 40 საწოლი, სამეანე-გინეკოლოგიურ განყოფილებებისა და პალატებში არსებულ საწოლებთან ერთად მათი საერთო რიცხოვნობა 460-ს მიაღწია. მოქმედი ნორმა კი ითვალის-

---

[1] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.752, ფურც.9-10; Народное Хозяйство Аджарской АССР, Статистичкский сборник, Бат., 1987, с.227; იხ. აგრეთვე აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1970 წლის ანგარიში.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.752, ფურც.2, 7-8; ს. 753, ფურც.2-4; იხ. აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1975 წლის ანგარიში.

წინებდა 710 საწოლს.[1] მიუხედავად ამისა, წინსვლა თვალსაჩინო იყო.

განსახილველ პერიოდში აჭარაში მნიშვნელოვნად განვითარდა ისეთი სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებები, როგორიცაა ამბულატორია-პოლიკლინიკები, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სისხლის გადასხმის სადგურები, საფერშლო ჯანპუნქტები, საფერშლო-საბებიო პუნქტები და სხვა. 1948 წლიდან დაიწყო საავადმყოფოებისა და ამბულატორია-პოლიკლინიკების გაერთიანების პროცესი, რომელიც 1951 წელს დამთავრდა.

ამ შემცირების შედეგად ქალაქ ბათუმში პოლიკლინიკების რიცხვი 14-დან 2-მდე შემცირდა. დამოუკიდებელი იყო ბავშთა პოლიკლინიკა თავისი მრავალრიცხოვანი კაბინეტებითა და სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, რომელიც 1951 წელს გაიხსნა. გარდა ამისა, საწარმოებთან არსებობდა 3 ჯანპუნქტი. სპეციალისტების შეფასებით საავადმყოფოებისა და ამბულატორია-პოლიკლინიკების გაერთიანება დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციული ღონისძიება იყო, რომელმაც საგრძნობლად აამაღლა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.[2]

50-იან წლებში აჭარის სოფლად ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის მოძრაობა საკმაოდ მაღალი იყო. ადგილობრივი სამედიცინო კადრები მინიმალურადაც არ კმაროდა. ამიტომ ძირითადად აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მივლინებული კადრები მუშაობდნენ, რომელთა ადგილებზე დამკვიდრება მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამის გამო ისინი გარკვეული წლების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ. მათი შევსება დროულად ვერ ხდებოდა. ეს იყო ძირითადი მიზეზი სოფლად სამედიცინო დაწესებულებების დახურვისა. სწორედ

---

[1] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.1433, ფურც.44; ს.1642, ფურც.119.

[2] ნ. შაშიკაშვილი, ი. დიასამიძე, ი. ქუჩიშვილი, ნარკვევები სამედიცინო საქმის განვითარების შესახებ აჭარაში. თბ., 1958, გვ.112.

ამის გამო 1950-1955 წლებში სოფლად ამბულატორია-პოლიკლინიკების რიცხვი 38-დან 29-მდე შემცირდა.[1]

მომდევნო წლებში ამ მიმართულებით მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. ადგილობრივი კადრების გამოზრდის შედეგად მეტი შესაძლებლობა შეიქმნა ახალი სამედიცინო დაწესებულებების გახსნისათვის. უკვე 1970 წელს აჭარაში ითვლებოდა 75 პოლიკლინიკა-ამბულატორია, ხოლო 1990 წელს მათი რიცხვი 82-მდე გაიზარდა. 1951-1985 წლებში ჯანპუნქტების რიცხვი3-დან 29-მდე, ხოლო საფერშლო-საბებიო პუნქტებისა–20-მდე გადიდდა,[2] რაც მნიშვნელოვან წინსვლას მოასწავებდა.

ცხადია, მათი რიცხოვნობის გაზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების არეალი. ამბულატორია-პოლიკლინიკებში, საფერშლო-საბებიო და ჯანპუნქტებში მომუშავე ექიმები, საშუალო და სხვა კატეგორიის სამედიცინო პერსონალი მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ. ყოველდღიურად ათასობით ავადმყოფს იღებდნენ, საჭირო მკურნალობას უტარებდნენ და რჩევა-დარიგებას აძლევდნენ. ამ მდგომარეობას სტატისტიკაც ცხადყოფს. თუ 1959 წელს ამბულატორია-პოლიკლინიკების სამედიცინო პერსონალმა მომსახურება გაუწია 108,1 ათას პაციენტს /ქალაქად 3,8 ათასი, სოფლად 104,3 ათასი/, 1970 წელს ამ მახასიათებლებმა თითქმის 4,4-ჯერ მეტი –496,5 ათასი ერთეული შეადგინა /ქალაქად – 408,4 ათასი, ხოლო სოფლად – 88,1 ათასი/.[3]

ამ სახის სამედიცინო დაწესებულებნებში 70-80-იან წლებში მომსახურების მასშტაბი კიდევ მეტად გადიდდა. 1980 წელს ამბულატორიებმა დახმარება აღმოუჩინეს 2755,0

---

[1] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.523, ფურც.5-6; ს.752, ფურც.11.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.523, ფურც, 8; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1990 წლის მონაცემები.

[3] იხ. აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1959 და 1970 წლის ანგარიშები.

ათას, ხოლო 1986 წელს – 3281,4 ათას პაციენტს. ეს წინსვლა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, რაც 1959 წლის მახასიათებებლს 30,4-ჯერ, ხოლო 1970 წლისას – 6,6-ჯერ და მეტად აღემატებოდა. გარდა ამისა, სტომატოლოგიური პოლიკლინიკების, განყოფილებებისა და კაბინეტების სამედიცინო პერსონალმა 1980 წელს დახმარება აღმოუჩინა 385,3 ათას, ხოლო 1986 წელს - 454,0 ათას პაციენტს.[1]

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიზნით ქალაქი ბათუმი ჯერ კიდევ 1940 წელს უბნებად დაიყო. მომსახურების ეს პრინციპი 50-იან წლებში განხორციელდა ქალაქ ქობულეთშიც. ცხადია, ამ ღონისძიებამ სასიკეთოდ იმოქმედა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაზე. 1951-1961 წლებში ქალაქად საექიმო უბნები 18-დან 88-მდე /4,9-ჯერ/ გაიზარდა. მათ შორის იყო თერაპიული - 30, პედიატრიული – 31, ხოლო საბებიო-გინეკოლოგიური უბანი – 27. 1970 წელს აღირიცხა 42 თერაპირული, 38 პედიატრიული, 23 სამეანე-გინეკოლოგიური და 8 საექიმო საამქრო უბანი. 1985 წლის ბოლოს ქალაქად თერაპიული უბანი გაიზარდა 55-მდე, პედიატრიული 44, ხოლო საწარმოებში საამქრო საექიმო უბნები -12-მდე. ერთ საუბნო თერაპევტზე მოდიოდა 1608, ხოლო პედიატრზე – 881 პაციენტი.[2]

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სისხლის გადასხმის სადგურები. XX საუკუნის 50-60-იან წლებში ქ. ბათუმში მოქმედებდა ერთი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური, ხოლო რაიონულ საავადმყოფოებთან – განყოფილებები. მათ სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდათ. მაგალითად, ბათუმის

---

[1] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистичекский сборник, Бат., 1987, сю288, 230.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.523, ფურც.7; ს.556, ფურც.11; ს.1642, ფურც.152,153; იხ. აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1961 და 1970 წლების ანგარიშები.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურს 1953 წელს ჰყავდა მხოლოდ 2 ავტომანქანა, რომელთაგან ერთი მწყობრიდან იყო გამოყვანილი, აკლდათ საწვავი და სათადარიგო ნაწილები, არ კმაროდა ექიმები და საშუალო სამედიცინო პერსონალი. აღნიშნულ დაწესებულებაში 1953 წელს მხოლოდ 8 ექიმი ითვლებოდა.[1]

ასეთ მძიმე პირობებში სამედიცინო პერსონალი თავდაუზოგავად მუშაობდა. ისინი გამოძახებაზე ფეხდაფეხ დადიოდნენ და შესაძლებლობის მიხედვით შველოდნენ ავადყოფებს. მაგალითად, 1955 წელს მათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს 11638 პაციენტს, ხოლო 1959 წელს – 2,2-ჯერ მეტს /25807 ავადმყოფს/.[2] 60-იანი წლების დამლევს ქობულეთში გაიხსნა რიგით მეორე სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური. რის შედეგადაც კიდევ უფრო მეტად გაფართოვდა ამ სამსახურის საქმიანობის მასშტაბი. 1970 წელს ბათუმისა და ქობულეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურებმა მომსახურება გაუწიეს 74547 პაციენტს, რაც თითქმის 6,2-ჯერ აღემატებოდა 1950 წლის მახასიათებელს. ძირითადი დატვირთვა ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურზე მოდიოდა /61199 ავადმყოფი/.[3] 1978 წელს რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან გაიხსნა გადაუდებელ სამედიცინო დახმარების განყოფილება, რის შედეგადაც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება საგრძნობლად გაფართოვდა.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასწრაფო სამედიცინო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მათ გადაეცათ ახალი სანიტარული ავტომანქანები და სამედიცინო ტექნიკა. კიდევ მეტად

---

[1] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.6624. ფურც.3, 7, 8.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.752, ფურც.13; იხ. აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1959 წლის ანგარიში.

[3] აცსა, ფ.რ-73, ან.1, სს.523, 556; აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1970 წლის ანგარიში.

გაიზარდა მომსახურების მასშტაბი. 1985 წელს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქსელში მუშაობდა 91 ექიმი, 11,3 ჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს, ჩამოყალიბებული იყო 19 ბრიგადა, მათ შორის ქ. ბათუმში 14. ამ წელს მათ დახმარება აღმოუჩინეს 128,3 ათას პაციენტს. ყოველ 10 ათას კაცზე დახმარება გაეწია 335 ავადმყოფს.[1] ყოველივე ეს მნიშვნელოვან წინსვლას მოასწავებდა, რაც საგრძნობლად აღემატებოდა XX საუკუნის 50-იანი წლების მახასიათებელს.

მიუხედავად ამისა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომსახურების დონე და მასშტაბი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური წლების განმავლობაში განთავსებული იყო უვარგის, არასტანდარტულ შენობაში. ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, აკლდათ სანიტარული ავტომანქანები, თანამედროვე მედტექნიკა და სხვა. სისხლის გადასხმის სადგური, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გაიხსნა, 1950 წელს გააუქმეს და მის ნაცვლად რესპუბლიკურ საავადმყოფოში სპეციალური განყოფილება შეიქმნა, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებდა ახალ გაზრდილ მოთხოვნილებას, ამიტომ 1959 წელს სისხლის გადასხმის სადგური კვლავ აღადგინეს, რომელმაც ამ მიმართულებით განაგრძო ნაყოფიერი მუშაობა.

შესამჩნევად განვითარდა დედათა და ბავშთა ჯანმრთელობის დაცვის ქსელი. სამშობიარო სახლებისა და ბავშთა საავადმყოფოების პარალელურად აჭარაში გაიხსნა სპეციალიზირებული პოლიკლინიკები, საკონსულტაციო პუნქტები, განყოფილებები და კაბინეტები. 1951-1965 წლებში აჭარაში ამ სახის დაწესებულებები 10-დან 19-მდე გაიზარდა.[2]

---

[1] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.1642, ფურც.156.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.523, ფურც.10; აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1965 წლის ანგარიში.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ქსელი შემცირდა, რაც განპირობებული იყო მათი კონცენტრაციით. ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებაში დაიხურა დედათა და ბავშვთა განყოფილებები და კაბინეტები. სამაგიეროდ გაძლიერდა ამ სფეროს დამოუკიდებელი ორგანიზაციები. 1981-1990 წლებში აჭარაში ითვლებოდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის 13 დაწესებულება. მათ შორის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების 2 პოლიკლინიკა, 3 ქალთა კონსულტაცია /ქ. ბათუმი, ქობულეთი და ხულო/. ქ. ბათუმში გაიხსნა აგრეთვე რძის სამზარეულო და ჩვილ ბავშვთა სახლი.[1]

ბათუმის ქალთა კონსულტაცია, რომელიც ამ სფეროში აჭარაში წამყვან დაწესებულებად ითვლებოდა, ემსახურებოდა 50 ათასამდე ორსულ ქალს. მართალია, მას საკუთარი შენობა არ გააჩნდა /განთავსებული იყო ქალაქის ბავშვთა პოლიკლინიკაში/, მაგრამ საკმარისად ჰყავდა ექიმები, საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალი. 1980 წელს ბათუმის ქალთა კონსულტაციაში მუშაობდა 20 ექიმი და 33 საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალი. აქ მოწყობილი იყო კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორია, სტომატოლოგიური, ფიზიოთერაპიული და სიმსივნის გამოკვლევის კაბინეტები.

ქალთა კონსულტაცია მომსახურებას უწევდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობას. 1980 წელს კონსულტაცია ჩაუტარეს 82046 პაციენტს /ქალაქის 73201, სოლო სოფლის – 8845 მოქალაქეს/. მათ შორის სამეანო-გინეკოლოგიური კონსულტაცია გაუწიეს 74004 ქალს.[2]

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას არანაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ სფეროში ძირითადი სტაციონარი იყო ბავშვთა საავადმყოფო, რომელსაც საკუთარი პოლიკლი-

---

[1] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.1642, ფურც.128; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.1496, ფურც.61-63.

ნიკა გააჩნდა. აქ საწოლთა რაოდენობა 1955-1975 წლებში 75-დან 250-მდე გაიზარდა. ბავშვთა ქობულეთის საავადმყოფოში გაშლილი იყო 50 საწოლი, რომელსაც ასევე ჰქონდა პოლიკლინიკა. ბავშვთა საწოლები მოეწყო ბათუმის ინფექციურ, ტუბერკულიოზის, რაიონულ და სადაბო საავადმყოფოებში. 1974 წელს საწოლთა საერთო რაოდენობა 415-მდე გაიზარდა.[1]

დიდმნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ ქალაქ ბათუმის ბავშვთა საერთო და სტომატოლოგიური პოლიკლინიკები. ეს უკანასკნელი 1965 წელს გაიხსნა და აღჭურვილი იყო შესაბამისი ლაბორატორიებითა და კაბინეტებით. ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკის საქმიანობის მასშტაბს მოწმობს ის ფაქტი, რომ აქ 1980 წელს მკურნალობა გაიარა 81033 ბავშვმა.[2] მეტნაკლებად ანალოგიური სურათი გვაქვს სხვა წლებშიც. ომისშემდგომ პერიოდში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვაში ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო ისეთი ინფექციური დაავადებების ლიკვიდაცია-შემცირება, როგორიცაა დიფტერია, მუცლის ტიფი, ყივანახველა, წითელა, დიზინტერია, ბოტკინის დაავადება, ტოქსიკური დისპეპსია და სხვა.

წარსულთან შედარებით მიღწეული დონე მნიშვნელოვან წინსვლად ჩაითვლება, მაგრამ იგი არასაკმარისი იყო ბავშვთა სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებისათვის. ამას ისიც მოწმობს, რომ საკმაოდ მაღალი იყო ბავშვთა სიკვდილიანობა. 1969 წელს აჭარაში 14 წლამდე ასაკის 7404 ბავშვიდან 433 გარდაიცვალა. ბავშვთა 50% ოჯახში გარდაიცვალა. 1968 წელს ყოველ ათას დაბადებულზე სიკვდილიანობა უდრიდა 32,2-ს, 1969 წელს-31,5 ბავშვს.[3] ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ყველაფერი რიგზე არ იყო. ასეთი ვითარებით

---

[1] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.752, ფურც.2; ს.1348, ფურც.2; აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1975 წლის ანგარიშები.

[2] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.1496, ფურც.19-20.

[3] აცსა, ფ.რ-73, ან.1, ს.1189, ფურც.26.

ხელისუფლებაც შეშფოთებული იყო. აჭარის მინისტრთა საბჭომ 1970 წლის 24 მარტს ბავშვთა სამედიცინო მომსახურების შესახებ სპეციალური დადგენილება მიიღო. დაისახა კონკრეტული ამოცანები მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ამ დადგენილებას სასურველი შედეგები არ მოჰყოლია, რადგან არსებითი ხასიათის ღონისძიებები არ გატარებულა. ამიტომ ბავშვთა სიკვდილიანობა კვლავ მაღალი იყო. 1986 წელს ყოველ ათას დაბადებულზე სიკვდილიანობა 35,9 ბავშვს უდრიდა. ამ მაჩვენებელმა ქალაქად 37,5, ხოლო სოფლად – 35,1 ბავშვი შეადგინა.[1]

შესამჩნევად განვითარდა სააფთიაქო დარგი. 1960 წელს აჭრაში აღირიცხა 25 აფთიაქი, რაც 12 ერთეულით აღემატებოდა 1945 წლის მაჩვენებელს. 1960 წლის შემდეგ აფთიაქების ქსელი დიდად არ გაზრდილა. 1979 წელს ითვლებოდა 31 აფთიაქი. მათ შორის ქ. ბათუმში იყო – 9, ქობულეთის რაიონში – 8, ხელვაჩაურის – 6, ქედის – 3, ხულოს -- 4, ხოლო შუახევის რაიონში – 1 აფთიაქი.[2]

აფთიაქები წამლებითა და სხვა სამკურნალო საშუალებებით სახელმწიფო ფონდებიდან მარაგდებოდნენ. ფასებიც მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იყო. საგულისხმოა, რომ საავადმყოფოებში პაციენტები უზრუნველყოფილი იყვნენ უფასო წამლებითა და სხვა სამკურნალო საშუალებებით, რაც მნიშვნელოვანი შეღავათი იყო მოსახლეობისათვის. XX საუკუნის 60-80-იან წლებში ავტონომიურ რესპუბლიკის სააფთიაქო ქსელში იყიდებოდა დაახლოებისთ 1 - 4 მილიონი მანეთის საქონელი. კერძოდ, 1971 წელს აჭარის სააფთიაქო სამმართველოს ქსელში გაიყიდა 1182,3 ათასი მანეთის, ხოლო 1989 წელს - 3276 ათასი მანეთის საქონელი.[3]

---

[1] იქვე, ს.1706, ფურც.32.

[2] საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1981, გვ.169.

[3] აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ადამიანების ჯანმრთელობის დაცვაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ აჭარის კურორტებს. აქაური საუცხოო კლიმატი, იშვიათი სამკურნალო წყაროები, საუკეთესო ზღვის სანაპირო, წიწვიანი ტყეებით დაფარული მთა კე თილნაყოფიერ გავლენას ახდენს გულსისხლძარღვთა, ნერვული სისტემის, ნივთიერებათა ცვლის დაქვეითების, ძვალსახსრების, სასუნთქი გზების ორგანოების, გინეკოლოგიურ და კანის დაავადებების განკურნებაზე.[1] სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარის ბუნებრივი პირობები მინიმალურადაც არ ყოფილა გამოყენებული საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის.

კურორტები ძირითადად მოეწყო ზღვის სანაპიროზე ბათუმში, მახინჯაურში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ქობულეთში. ამ მიზნით გამოყენებული იყო უცხოელ მოხალშენეთა სააგარაკო შენობა-ნაგებობანი, რომელთა ნაციონალიზაცია მოხდა XX საუკუნის 20-იან წლებში. ქ ბათუმსა და მახინჯაურში მოეწყო ზღვის თბილი და გოგირდოვანი აბაზანები, სადაც ათასობით ადამიანი გადიოდა მკურნალობას. ომამდე აჭარაში 2 სანატორიუმი და 16 დასასვენებელი სახლი აღირიცხა. ომის წლებში ისინი გამოყენებული იყო ევაკუირებულთა დასაბინავებლად. 50-იანი წლებიდან მოყოლებული საგრძნობი ღონისძიებები გატარდა კურორტების მართვის სრულყოფისა და მათი კეთილმოწყობისათვის.

საგულისხმოა, რომ XX საუკუნის 50-იან წლებში აჭარის კურორტები სხვადასხვა უწყების გამგებლობაში შედიოდა. 1956 წლმდე ისინი ეკუთვნოდათ სსრ კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სამეცნიერო, სასწავლო და კულტურის დაწესებულებებს, აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. 1956 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად მოისპო უწყებრი-

---

[1] ი. დიასამიძე, აჭარის კურორტები და მათი განვითარების პერსპექტივები. ბათ., 1961, გვ.51-52.

ცი ბარიერი და კურორტები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა.

ამ ღონისძიების გატარებას დიდი მნიშვნელობა ქონდა. მოისპო პარალელიზმი, გაერთიანდნენ ახლომდებარე კურორტები, რითაც გაუქმდა ზედმეტი შტატები, საგზურები შეღავათიანი გახდა, გაიზარდა დამსვენებელთა კვების ნორმები და სხვა. 1960 წლის 1-ლი მაისიდან კურორტები გადავიდნენ პროფკავშირების დაქვემდებარებაში. აჭარაში შეიქმნა კურორტების მართვის საოლქო საბჭო. ცხადია, კურორტების მართვის ერთიანი სისტემის შექმნა დადებითი ღონისძიება იყო, თუმცა უწყებრივი ბარიერი ბოლომდე დაძლეული არ ყოფილა.

საკურორტო მშენებლობა შესამჩნევად დაჩქარდა XX საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ქობულეთი საკავშირო კატეგორიის კურორტად გამოცხადდა. საგულისხმოა, რომ საქართველოში 3 ასეთი კურორტი ითვლებიდა /ბიჭვინთა, ბორჯომი, ქობულეთი/. ამის შედეგად იზრდება კურორტებისა და მათში საწოლების რაოდენობა /იხ. ცხრილი 5/.[1]

ცხრილი 5

	1939წ	1955წ	1965წ	1970წ	1980	1985წ	1986წ
სანატორიუმები	2	7	7	9	9	9	9
მათში საწოლები	300	700	923	1010	1485	1489	1521
დასასვენებელი სახლები	16	13	17	17	18	19	19
მათში საწოლები	1300	1500	3384	3074	4646	4796	4799

[1] ცხრილი შედგენილია: სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათ., 1961, გვ.156; Народное хозяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.233.

როგორც ვხედავთ, 1940-1955 წლებში აჭარაში 5 სანატორიუმი გაიხსნა, ხოლო საწოლთა რაოდენობა 400 ერთეულით (3,3 – ჯერ და მეტად) გაიზარდა. მომდევნო 30 წლის განმავლობაში მხოლოდ 2 სანატორიუმი მოეწყო. ცხადია, რაოდენობრივად ეს უმნიშვნელო იყო, მაგრამ საწოლების რიცხოვნობა 5-ჯერ და მეტად გადიდდა. ეს კი მნიშვნელოვან წინსვლას მოასწავებდა. დასასვენებელი სახლების რიცხვი ათი წლის განმავლობაში /1955-1965/ 4-ით გაიზარდა. XX საუკუნის 70-80-იან წლებში საკურორტო სისტემას 2 ახალი დასასვენებელი სახლი შეემატა. ზოგიერთი ამორტიზებული ნაგებობის ნაცვლად დასასვენებელი სახლები განთავსდა ახალ მრავალსართულიან თანამედროვე იერსახის შენობაში. ამის გამო საწოლთა რაოდენობა 1955 წელთან შედარებით 1965 წელს 2,3-ჯერ ხოლო 1986 წელს – 3,2-ჯერ გაიზარდა.

შესამჩნევი მიღწევები იყო სამთო კურორტების მშენებლობაში. ჯერ კიდევ 1947 წელს ბეშუმში /ხულოს რაიონი/ გაიხსნა სამთო საკურორტო სანატორიუმი 70 საწოლით. XX საუკუნის 50-80-იან წლებში მან რეკონსტრუქცია განიცადა. 1955 წელს მთა მტირალაზე /ხელვაჩაურის რაიონი/ მოეწყო დასვენების ახალი კერა. ამის შემდეგ აჭარის მთიანეთში კურორტები აღარ გახსნილა. არადა აქაურ მთიანეთში საუკეთესო ბუნებრივი პირობებია ადამიანების მკურნალობისა და დასვენებისათვის.

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მოეწყო ამბულატორიები, მკურნალობისა და დასვენების სხვა პუნქტები. დამსვენებლებს ემსახურებოდა 2 პოლიკლინიკა, ზღვის თბილი აბაზანები და სხვა. საკურორტო საქმისა და ფიზიოთერაპიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფესორმა ევგენი მგალობლიშვილმა. მისი ინიციატივით 1962 წელს ბათუმში დაარსდა თბილისის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც შემდგომ განყოფილებად გადაკეთდა. ე.

მგალობლიშვილის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1966 წელს ბათუმის შემოგარენში /ერთ-ერთ ამაღლებულ ადგილას/ გაიხსნა ფიზიოთერაპიული საავადმყოფო, სადაც მოეწყო ფიზიკური და ბალნეოლოგიური განყოფილებები.

აჭარის კურორტებზე მკურნალობისა და დასვენებისათვის XX საუკუნის 50-80-იან წლებში დიდძალი რაოდენობის ადამიანები ჩამოდიოდნენ. 1956 წელს აჭარის კურორტებზე ორგანიზებულად ჩამოსული დამსვენებლები 50 ათას კაცს აჭარბებდა. 1960 წელს მათი რიცხვი 53 ათას, ხოლო 1965 წელს 62 ათას კაცს აღემატებოდა.[1]

მომდევნო წლებში დამსვენებელთა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა. 1980 წელს აჭარის კურორტებზე სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოვიდა 83579 კაცი, ხოლო 1985 წელს – 93299,[2] რაც თითქმის 2-ჯერ აღემატებოდა 1956 წლის მაჩვენებელს. ცხადია, ეს ზრდა არ ჩაითვლება დიდ წარმატებად, იგი ადეკვატური იყო საწოლთა რაოდენობისა, რაც ბუნებრივ პირობებსა და ადამიანების მოთხოვნილებებს დიდად ჩამორჩებოდა.

აჭარა მდიდარია სამკურნალო მინერალური წყლებით, მაგრამ მისი გამოვლენა-შესწავლისა და სამრეწველო ჩამოსხმისათვის სახელმწიფო პროგრამა არ არსებობდა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა XX საუკუნის 60-70-იან წლებში. ჯანმრთელობის დაცვის თვალსაჩინო ორგანიზატორების ი. დიასამიძისა და რ.სურმანიძის ინიციატივით აჭარაში მოეწყო არაერთი ექსპედიცია სამკურნალო მინერალური წყლების გამოვლენა-შესწავლისათვის. ამის შედეგად 1968 წელს დაიწყო "კოკოტაურის'

---

[1] ო. თურმანიძე, აჭარის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ომისშემდგომ პერიოდში, ბათ., 1986, გვ.88.

[2] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник. Бат., 1987, с.233.

სამრეწველო ჩამოსხმა. მან დიდი პოპულარობა მოიპოვა და საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა.[1]

ამრიგად, XX საუკუნის 50-80-იან წლებში აჭარაში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში. საგრძნობლად განმტკიცდა ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა სამედიცინო კადრების რაოდენობა, ამაღლდა მომსახურების კულტურა, მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის საერთო მდგომარეობა ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნებს, საზღვარგარეთის ქვეყნების მიღწევებს. ამ წლების მიღწევები ფასდება მხოლოდ აქაურ წარსულთან შედარებით. ამის მიხედვით კი წინსვლა შესამჩნევი იყო.

4. ფიზიკური კულტურა, სპორტი, ტურიზმი

მოსახლეობის კეთილდღეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფიზუკური კულტურა, სპორტი, ტურიზმი. ეს დარგები ადამიანების ჯანსაღი ცხოვრების ნაწილია. ფიზიკური კულტურა, სპორტი, ტურიზმი ხელს უწყობს ადამიანების ორგანიზმის არა მარტო გაკაჟებას, არამედ მატებს მათ სულიერ სიმხნევეს, ფსიქოლოგიურ სიმტკიცეს. ამიტომ ნებისმიერი ნორმალური ხელისუფლება დაინტერესებული უნდა იყოს ამ დარგების განვითარებისათვის.

აჭარაში გასაბჭოებამდე ფიზიკური კულტურა, სპორტი, ტურიზმი განუვითარებელი იყო. ამ დარგებში პირველი ნაბიჯები საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში

---

[1] რ. სურმანიძე, აჭარის კურორტები ომისშემდგომ პერიოდში. ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის შრომები, III, ბათ., 2001, გვ.104.

გადაიდგა, მაგრამ სპორტი მაშინ ენთუზიასისტების საქმედ რჩებოდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ მონაწილეობდა ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებში. სტატისტიკაში ფიზკულტურელთა რიცხვი ხელოვნურად გაბერილი იყო. საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე (1945 წ. 17 აგვისტო) აღინიშნა ფიზკულტურული კოლექტივების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ, რომ სპორტი არ იყო მასობრივი.[1] ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა არ ყოფილა 1946-50 წლებში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები დაიწყო XX საუკუნის 50-იან წლებში. აქედან მოკიდებული, ვიდრე 80-იანი წლების დასასრულამდე, ამ სფეროში შესამჩნევი წინსვლა და მრავალი სიახლე აღინიშნა. უწინარესად გაფართოვდა და განმტკიცდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ქუყობრში ჩადგა ახალი ნაგებობა-მოწყობილობანი. 1973 წელს გაიხსნა მესამე სტადიონი (1500 ადგილით და ბეტონით) და დასაჯდომი ადგილები 18,3 ათასიდან 31,8 ათასამდე (1,7-ჯერ) გაიზარდა.

1960-1990 წლებში ექსპლოატაციაში შევიდა 44 ფეხბურთის, 45 კალათბურთის, 2 ჩოგბურთის, ათეულობით ფრენბურთის, ხელბურთის მოედნები, 41 სპორტული დარბაზი, 3 საცურაო აუზი და სხვა.[2] ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საგრძნობლად განმტკიცდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების გახსნის შედეგად. ომამდე აჭარაში ერთი სპორტული სკოლა მოქმედებდა, 1945 წელს – 2, 1961 წელს – 6, 1970 წელს – 9, 1975 წელს –10, ხოლო 1991 წლის ბოლოს

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.9, ს.3, ფურც.98-99

[2] ცნობები მოყვანილია სტატისტიკური კრებულებიდან: საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.137; Народное хозяйство Аджарской АССР. Бат., 1987, с235; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

მათი რიცხვი 18-მდე გაიზარდა. აქედან 13 იყო კომპლექსური, ხოლო ხუთი სპეციალიზებული.[1]

1991 წლის 1-ლი იანვრის აღწერით აჭარაში ითვლებოდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის 808 ბაზა. მათ შორის: 3 სტადიონი (ითითოეული 1500 ადგილით და მეტი), 1 სათხილამურო ბაზა, 148 სპორტული დარბაზი, 5 საცურაო აუზი, 6 დამხმარე სპორტული ნაგებობა, 9 სასროლი ტირი, 48 ფეხბურთისა და 577 კალაბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის მოედანი, 8 ჩონგბურთის კორტი. აქედან სკოლებში მოქმედებდა 128 სპორტული დარბაზი, 178 ფრენბურთის, 162 კალათბურთის და 76 ხელბურთის მოედანი. ამ ბაზების ერთჯერადი გამტარიანობა 15893 ერთეულს შეადგენდა.[2]

წარსულთან შედარებით ეს მიღწევები თვალსაჩინოა, მაგრამ საერთო შეფასებით აჭარაში ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სათანადოდ ვერ განვითარდა. არადამაკმაყოფილებელი იყო დარგის დაფინანსება. 80-იან წლებში თითო ფიზკულტურულზე წლიურად იხარჯებოდა 80 კაპიკი, როდესაც საკავშირო მაჩვენებელი 37 მანეთს შეადგენდა. დამოუკიდებული პროფესიული კავშირების აჭარის პირველ საოლქო კონფერენციაზე (1990 წლის 14 ნოემბერი) ხაზგასმით აღინიშნა, რომ სპორტული ბაზებით უზრუნველყოფილია ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 15-20%. სპორტულ ნაგებობათა გამტარიანობა 3%-მდე აღწევდა ეს მაშინ როდესაც საერთო საკავშირო მაჩვენებელი 21% შეადგენდა.[3]

ფიზიკური კულტურისა და სპორტის კოლექტივების უმრავლესობას პრიმიტიული, არასტანდარტული სპორტუ-

---

[1] აცსა, ფ.რ-2, ან.1, ს.1587, ფურც.37; ფ.რ-824, ან.1, ს.687, ფურც.50; ს.114, ფურც.14; ს.1419, ფურც.5; აჭარის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა დეპარტამენტის მონაცემები.

[2] აცსა, ფ.რ-824, ან.1, ს.2121, ფურც.1.

[3] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1820, ფურც.8.

ლი ნაგებობანი ჰქონდა. რეკიონში, სადაც 400 ათასამდე კაცი ცხოვრობდა, 1988 წლამდე 2 საცურაო აუზი არსებობდა. ნიშანდობლივია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ ხუთას კაცზე ერთი საცურაო აუზი მოდიოდა და იაპონიაში 4 ათასზე, გერმანიაში – 14 ათას კაცზე და ა.შ.[1]

არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიუხედავად, მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის დაინტერესება ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი თანდათანობით იზრდებოდა. XX საუკუნის 50-80-იან წლებში ჩამოყალიბდა ახალი კოლექტივები, გაიზარდა ფიზკულტურელთა, სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსნების რაოდენობა. ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა თანდათანობით მასობრივი ხასიათი შეიძინა. ამაზე მეტყველებს მე-6 ცხრილის მონაცემები.[2]

ცხრილი 6

მაჩვენებლები	1950წ	1960წ	1970წ	1980წ	1986წ	1990წ
ფიზკულტურის კოლექტივები - სულ	381	431	492	517	778	798
ფიზკულტურელთა რაოდენობა – (ათასი კაცი)	29,5	81,6	86,0	127,1	140,1	127,5

50-იან წლებში (1950-1960) ფიზკულტურის კოლექტივების რაოდენობა 50, მომდევნო ათწლეულში – 61, 1971-1980 წლებში – 25, ხოლო 1981-1990 წლებში – 281 ერთეულით გაიზარდა. მთლიანად 1951-1990 წლებში აჭარაში 417

---

[1] იქვე.

[2] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 40 წელი, ბათ., 1961, გვ.18; საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.137; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ფიზკულტურის კოლექტივი შეიქმნა, ე.ი. 2,1-ჯერ მეტი, ვიდრე 1921-1950 წლებში. ფიზკულტურის კოლექტივები ჩამოყალიბდა სასწავლებლებსა და წარმოება-დაწესებულებებთან. ისინი შედიოდნენ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში, რომელთა რაოდენობა 10-ზე მეტი იყო.

გამსხვილების შეგეგად ძირითად სპორტულ საზოგადოებად ითვლებოდა "განთიადი', "სპარტაკი", "კოლმეურნე". პირველი ორი აერთიანებდა წარმოება-დაწესებულებებს, ხოლო "კოლმეურნე"–სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებს. 1980 წელს აჭარაში მუშაობდა 7 სპორტული საზოგადოება ("დინამოს" გამოკლებით): "განთიადში" გაერთიანებული იყო 30 ფიზკულტურული კოლექტივი, "სპარტაკში"– 48, "კოლმეურნეში"– 126, "ლოკომოტივში"– 12, "ვოდნიკში"– 57, "ქარიშხალში"– 1, "შრომით რეზერვებში"– 5. გარდა ამისა, ზოგად–საგანმანათლებლო სკოლებში მოქმედებდა 238 ფიზკულტურული კოლექტივი.[1] 1987 წელს განხორციელდა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა რეორგანიზაცია. მათ ბაზაზე შეიქმნა ერთიანი სპორტული საზოგადოება "შევარდენი", რომელშიც გაერთიანდა სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები.

ომისშემდგომ პერიოდში ასევე მნიშვნელოვანი იყო ფიზკულტურელთა რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებლები. მართალია, 1961-1970-იან წლებში ზრდის ტემპი შენელდა, მაგრამ მომდევნო ათწლეულში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და ავტონომიურ რესპუბლიკას 1,5-ჯერ მეტი (54,1 ათასი) ფიზკულტურელი შეემატა. 1986 წელს ფიზკულტურელთა რაოდენობა 1950 წლის მაჩვენებელს თითქმის 4,8-ჯერ აჭარბებდა. ნიშანდობლივია, რომ 80-იან წლებში ავტონომიური რესპუბლიკის ყოველი მესამე მაცხოვრებელი (სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და ხანდაზმული ადამიანების გამოკლებით) ფიზკულტურელი იყო.

---

[1] აცსა, ფ.რ-824, ან.1, ს.1624, ფურც.1.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეში საგრძნობლად დაწინაურდა სოფელი. 1946 წელს აჭარის სოფლად (კოლმეურნეობებში) 147 ფიზკულტურის კოლექტივი მუშაობდა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 2219 კაცი.[1] მომდევნო წლებში მათი რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა და სპორტული ღონისძიებებიც მრავალფეროვანი გახდა. 1975 წელს სოფლად ითვლებოდა 278 ფიზკულტურული კოლექტივი, 1980 წელს–315, ხოლო 1983 წელს–362, შესაბამისად ფიზკულტურელთა რაოდენობა 1947-1975 წლებში გადიდდა 22,2-ჯერ (49275 კაცამდე), 1974-1983 წლებში–1,5-ჯერ და მეტად (74704 კაცამდე).[2]

სოფლის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობით გამორჩეული იყო ქობულეთის რაიონი, სადაც 70-იან წლებში 13580 ფიზკულტურელი ირიცხებოდა. რაიონში ნაყოფიერად მუშაობდა 16 სპორტული სექცია. საოლქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში არაერთი გამარჯვება ხვდა წილად ბობოყვათელ და ხუცუბნელ სპორტსმენებს. საერთოდ სოფლად ფიზიკური კულტურისა და სპორტის მიღწევები იმითაც იყო განპირობებული, რომ ამ მუშაობას ბეგმაზომიერად წარმართავდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება "კოლმეურნე". იგი 1975 წლიდან პროფკავშირების დაქვემდებარებაში გადავიდა და მისი ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. აჭარის ყველა რაიონში მოქმედებდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საბჭოები, რომელთა საქმიანობა საკმაოდ ნაყოფიერი იყო.

ომისშემდგომ პერიოდში ფიზიკური კულტურისა და სპორტის თვისებრივ ზრდაზე მეტყველებს სპორტის ოსტატების, თანრიგოსნების, "მშთ", "იმშთ" ნიშნოსანთა, მასწავლებელთა რაოდენობის გადიდება. თუ 1950 წელს აჭარაში სპორტიას ოსტატი იყო ერთი კაცი, 1960 წელს ამ

---

[1] საბჭოთა აჭარა, 1946, 21 ივლისი; აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[2] შ. პატარაია, სპორტის განვითარება აჭარაში, ბათ., 1977, გვ.52.

წოდებას ატარებდა 62, 1970 წელს–84, 1980 წელს–136, ხოლო 1986 წელს–176 ფიზკულტურელი. 1950-1986 წლებში თანრიგოსანთა რაოდენობა 22-ჯერ და მეტად (1861-დან 41025-მდე) გაიზარდა, მათ შორის სპორტის პირველი თანრიგოსნებისა – თითქმის 14-ჯერ (52-დან 720-მდე).[1]

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ამ დარგის სპეციალისტებმა. ომამდე აჭარას სპორტში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები თითქმის არ ჰყავდა. საგულისხმოა, რომ 1940 წელს ფუზკულტურაში შტატით მომუშავე 32 მუშაკიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა მხოლოდ 2 კაცს, საშუალო სპეციალური–12-ს.

ომისშემდგომ პერიოდში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. 1950 წელს აჭარაში ფიზკულტურაში დასაქმებული იყო 91 კაცი– თითქმის 3-ჯერ მეტი ვიდრე ომამდე. მათ შორის სპეციალური უმაღლესი განათლება ჰქონდა 15-ს, ხოლო საშუალო სპეციალური–18 პიროვნებას. უკვე 1960 წლის დასაწისში აჭარაში შტატით მომუშავე ფიზკულტურელები 226 კაცს ითვლიდა, რაც 1940 წლის მაჩვენებელს 7,1-ჯერ, ხოლო 1950 წლისას–2,5-ჯერ აღემატებოდა. მათ შორის ფიზიკულტურული განათლება ჰქონდა 169 კაცს. კერძოდ, უმაღლესი–128-ს, ხოლო საშუალო სპეციალური – 41 პიროვნებას. 1940-1960 წლებში საზოგადოებრივი ინსტრუქტორი 12-დან 1314-მდე (109,5-ჯერ), ხოლო სპორტული მსაჯებისა–26-დან 1405-მდე (54-ჯერ) გაიზარდა.[2]

მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის თანამშრომლების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი შემადგენლობა. 1970 წელს მათი რაოდენობა 434 კაცს ითვლიდა, 1980 წელს-653,

---

[1] იხ. სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 40 წელი, ბათ., 1961, გვ.18; საბჭოთა აჭარის 60 წელი, ბათ., 1981, გვ.137; Народное хозяйство Аджарской АССР, Бат., 1987, с.235.

[2] საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ.17.

ხოლო 1990 წელს–739-მდე გაიზარდა. იგი 1950 წლს მაჩვენებელს 8,1-ჯერ აღემატებოდა. 1970 წელს საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და ტრენერი იყო 8201, ხოლო სპორტული მსაჯი 5738 კაცი. მათ შორის რესპუბლიკური კატეგორიის–121, პირველი კატეგორიის –605 ფიზკულტურელი. საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მინიჭებული ჰქონდა 8 კაცს. იყო თვისებრივი ზრდის სხვა მახასიათებლებიც. 1970 წელს უმაღლესი ფიზკულტურული განათლება ჰქონდა საერთო თანამშრომელთა 48%-ს (208 კაცს), საშუალო სპეციალური–44,5%-ს (193 კაცს). 1980 წელს შესაბამისად შეადგინა–78,3% (511 კაცი) და 9,8% (64 კაცი), ხოლო 1990 წელს–86,6% (640 კაცი) და 8,7%-ს (64 კაცი).[1]

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმის ორგანიზაციაში, კადრების მომზადებაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით ამ დარგის თვალსაჩინო სპეციალისტებს მ. ბედოშვილს, გ. მენაბდეს, ვ. მჟავანაძეს, ზ. მამუჭაძეს, გ. თარგამაძეს, ნ. კომახიძეს, ტ. სერგოშვილს, თ. ბოლქვაძეს, ნ. ყიფიანს და სხვებს. მათ ასეულობით სპორტსმენი აღზარდეს, რომლებმაც თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს როგორც რაიონულ და საოლქო, ისე რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ომისშემდგომ პერიოდში აჭარის ახალგაზრდობა საკმაო დაინტერესებას ავლენდა ფეხბურთის, ძალოსნობის, ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ცურვის, ლელობურთის და სხვა სახეობის სპორტისადმი. 1975 წელს საფუძველი ჩაეყარა სპორტის ახალ სახეობას– "ბალახის ჰოკეი". 50-60-იან წლებში სპორტსმენებმა შესანიშნავი გამარჯვებები მოიპოვეს საქართველოს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

1957 წელს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე აჭარიდან 31 ათასი კაცი მონაწილეობდა. იმავე წელს

---

[1] აცსა, ფ.რ-824, ან.1, სს.1144, 1624, 2121.

აჭარის სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკურ, მოლდავეთისა და ამიერკავკასიის სპარტაკიადაზე.

მრავალმა მათგანმა საპრიზო ადგილები დაიკავა. 21 სპორტსმენი საქართველოს ჩემპიონი გახდა, ხოლო ერთმა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი დაიმსახურა.[1] აჭარის ახალგაზრდა სპორტსმენებმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს მოსწავლეთა IX სპარტაკიადაზე, რომელიც 1957 წელს გაიმართა.

სპორტული დაოსტატებითა და აქტიურობით გამოირჩეოდნენ პროფკავშირების ფიზკულტურული კოლექტივები. საგულისხმოა, რომ აჭარის სპორტსმენთა რეკორდების ნახევარზე მეტი მათზე მოდიოდა. პროფკავშირების სპორტულმა კოლექტივებმა 1956 წელს შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს საკავშირო შეჯიბრებაში. 1956-1957 წლებში 160 კაცი აჭარის ჩემპიონი გახდა. ამ წლებში აჭარის პროფკავშირების სპორტსმენებმა საქართველოს მასშტაბით 7 რეკორდი დაამყარეს, 26-ჯერ გაიმარჯვეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში რესპუბლიკურ ასპარეზობაზე.[2]

საქართველოს მეორე რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე (1959 წელი) აჭარის ფიზკულტურელებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტის 12 სახეობაში. სპარტაკიადაზე მონაწილე 669 კაციდან სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა 6-მა ფიზკულტურელმა, პირველი თანრიგისა—109, მეორე—117, ხოლო მესამე თანრიგისა—195 კაცმა.[3] 1961-1965 წლებში ახალი წარმატებები მოიპოვეს საქართველოს რესპუბლიკურ და საკავშირო თამაშებში და საპრიზო ადგილები დაიკავეს. 1961 წელს სპორტსმენებმა 91-ჯერ განაახლეს აჭრის რეკორდები, აქედან მძლეოსნობაში—8-ჯერ, ძალოს-

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.39, ს.27, ფურც.1-3.
[2] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.113, ფურც.73.
[3] შ. პატარაია, დასახელებული ნაშრომი, გვ.48.

სობაში—32-ჯერ, ველოსპორტში—18-ჯერ და ა.შ. 54 კაცი საქართველოს ჩემპიონი გახდა სპორტის 13 სახეობაში. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ი. მჟავანაძემ (ძალოსნობა), ა. მახარაძემ, გ. გოგიჩაიშვილმა (ჭიდაობა), კ. ბუბუშვილმა (მაგიდის ჩოგბურთი), სურმანიძემ (შტანგა). 1964 წელს 25 სპორტსმენს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება, ამდენივე საქართველოს ჩემპიონი გახდა. სპორტის თანრიგოსნობის კატეგორია მოიპოვა 8613 კაცმა. მათ შორის პირველი—334, ხოლო მეორე კატეგორია—1233 სპორტსმენმა.[1]

აჭარის ჩოგბურთის გუნდი, რომელსაც მწვრთნელი კ. ბუბუშვილი ხელმძღვანელობდა, 1964 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. 1963 წელს "დინამოს" ფეხბურთელებმა "ბ" კლასის გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს. ამავე წელს აჭარის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა გაიმარჯვა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართა ვარშავაში. თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ აჭარის სპორტსმენებს საქართველოს V სპარტაკიადაზე (1971 წელი), სადაც სპორტის 13 სახეობაში მონაწილეობდნენ. 70-იან წლებში აჭარის ფიზკულტურელები სპორტის 35 სახეობაში მონაწილეობდნენ და შესანიშნავ ოსტატობას ავლენდნენ. თამაშის მაღალი კლასი აჩვენეს ახალგაზრდა ფეხბურთელებმა და 1976 წელს ამ კატეგორიის გუნდებს შორის სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ. თამაშის საუკეთესო ხელოვნება აჩვენეს ფეხბურთელმა რ. ჩელებაძემ, ი. სარჯველაძემ, ა. კვაჭაძემ, ი. დათუნაიშვილმა, ბ. ფროლოვმა და სხვებმა.

აჭარის სპორტსმენებს მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონდათ წილად საქართველოს VII სპარტაკიადაზე (1979 წელს). შეჯიბრებაში 1396 კაცი გამოვიდა. მრავალმა მათგანმა საპრიზო ადგილები დაიკავა. საქართველოს VIII სპარტაკიადაზე (1983 წელი) აჭარიდან 400 სპორტსმენი

---

[1] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.56, ფურც.47; ან.57, ს.5, ფურც. 84; ფ.რ-824, ან.1, ს.687, ფურც.15, 17.

მონაწილეობდა და მათ ასევე მაღალი მიღწევები ჰქონდათ. ამ წარმატებების გამო ისინი შეიყვანეს საქართველოს ნაკრებში საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის. 1981 წელს აჭარის სპორტმენებმა საქართველოს ჩემპიონების წოდება მოიპოვეს ბალახის ჰოკეისა და მშვილდოსნობაში, ცურვასა და სპორტულ ტანვარჯიშში.[1] პროფკავშირების ფიზკულტურული კოლექტივებიდან 1975 წელს საქართველოს ჩემპიონის და და პრიზიორის სახელი მოიპოვა 214, აჭარისა—393-მა კაცმა. 1981 წლისათვის სსრ კავშირის ჩემპიონი იყო 23, ხოლო საქართველოსი—217 სპორტსმენი.[2]

მართალია, სოფლად სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სუსტი იყო, მაგრამ ახალგაზრდობის გატაცება საკმაოდ მაღალი იყო. მაგალითად, 1981-1982 წლებში ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების "კოლმეურნე" წევრებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ შეჯიბრებაში, სპორტის 21 სახეობაში. ისინი წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს IV სასოფლო-სამეურნეო თამაშებში, სადაც დაიკავეს I, II და III ადგილები. საქართველოს III ახალგაზრდულ შეჯიბრებაში სპორტის 12 სახეობაში 137 კაცი მონაწილეობდა. მრავალმა მათგანმა გამარჯვება მოიპოვა ჭიდაობაში, ბალახის ჰოკეიში, მძლეოსნობაში, ნიჩბოსნობასა და ძალოსნობაში.[3]

XX ს. 80—იანი წლების მეორე ნახევარში სპორტის განვითარება საგრძნობლად შეფერხდა. ასეთი ვითარება განაპირობა სსრ კავშირში შექმნილმა საერთო კრიზისმა. ასეთ პირობებში აჭარის სპორტსმენები მაინც აქტიურად გამოდიოდნენ ადგილობრივ, საქართველოს, სსრ კავშირისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში. 1986 წელს აჭარის

---

[1] აცსა, ფ.რ-98, ს.1378, ფურც.45, ს.1450, ფურც.27; ს.1551, ფურც.54.

[2] აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1975-1976 წლების მასალები), ბათ., 1977, გვ.34; აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1980-1981 წლების მასალები), ბათ., 1981, გვ.25.

[3] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1517, ფურც.61.

სპორტსმენები მონაწილეობდნენ სსრ კავშირისა და საქართველოს IX სპარტაკიადებში სპორტის 30 სახეობაში. მათ IV ადგილი ერგოთ საქართველოს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.[1]

საკავშირო IV ახალგაზრდულ სპარტაკიადაში, რომელიც ჩატარდა 1988 წელს მოსკოვში, ლიანა ვერულიძემ მოიპოვა ოქროს მედალი მშვილოდოსონობაში, ხოლო სტელა პრიაკინამ ოქოროსა და ვერცხლის მედლები ველო სპორტში. იგი გახდა საქაროველოს აბსოლუტური ჩემპიონი და სსრ კავშირში I ადგილზე გავიდა გუნდურ შეჯიბრებაში.[2]

მართალია აჭარის ფიზკულტურელები სპორტის მრავალ სახეობაში მონაწილეობდნენ, მაგრამ საერთაშორისო და საკავშირო მნიშვნელობის მიღწევები ჰქონდათ ჭიდაობაში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, ცურვასა და ტანვარჯიშში. ბერძნულ-რომაულ (კლასიკურ) და თავისუფალ ჭიდაობაში მაღალი წარმატებები მოიპოვეს რ. აბაშიძემ, ა. მახარაძემ, დ. გვანცელაძემ, თ. თედორაძემ. ჯ. მანელიშვილმა, გ. გოგიჩაიშვილმა და სხვა.

როსტომ აბაშიძე 1951 წელს აჭარის ჩემპიონი გახდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. აქედან მოყოლებული 26 წლის განმავლობაში ასპარეზობდა და ამ ხნის განმავლობაში მან არაერთხელ დაიმსახურა აჭარის, საქართველოს, სსრ კავშირისა და მსოფლიო ჩემპიონობა. აბაშიძე არის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (1958, 1960, 1962წწ.) ახალგაზრდობის საერთაშოროსო და სპორტული თამაშების ჩემპიონი (1957 წელი.), სსრ კავშირის სამგზის (1957,1960, 1962წწ.) ჩემპიონი და ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი (1956, 1958წწ). 1977 წლიდან მუშაობდა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად ბერძნულ-რომაულ (კლასიკურ) ჭიდაობაში.

---

[1] იქვე, ფ.რ-824, ან.1, ხ.1982, ფურც.2.

[2] იქვე, ხ.2084. ფურც.1; ხ.2085, ფურც.2.

თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა ახალგაზრდა სპორტსმენს ამირან მახარაძეს თავისუფალ და კლასიკურ (ბერძნულ-რომაულ) ჭიდაობაში. იგი თოთხმეტი წლის განმავლობაში (1950-1964) ასპარეზობდა ადგილობრივ (საოლქო), რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. 25-ჯერ დაიკავა პირველი ადგილი, 7-ჯერ მეორე და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სსრ კავშირის ჩემპიონი და სპორტის პირველი კლასის ოსტატი გახდა აჭარიდან (1955 წ.).

ბერნულ-რომაულ ჭიდაობაში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია დავით გვანცელაძემ (1937-1984წწ.). მან სპორტში ვარჯიში 1952 წელს დაიწყო და მოკლე დროში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. დ. გვანცელაძე იყო სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი (1960, 1962, 1964, 1965, 1966წწ.), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, XVIII ოლიმპიური თამაშების (ტოკიო) მონაწილე, ევრცხლისა და ბრინჯაოს მედლების კავალერი.[1] ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოპოვებული წარმატებების გამო 1957 წელს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭეს ჯ. მანველიშვილს თავისუფალ ჭიდაობაში. XX საუკუნის 60-70-იან წლებში თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა გ. გოგიჩაიშვილს, რომელიც 1970 წელს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა.

მაღალი კლასის ოსტატობა აჩვენა მაგიდის ჩოგბურთში სარქის სარხოიანმა. 1966 წლიდან დაწყებული იგი განუწყვეტლივ მონაწილეობდა სსრ კავშირისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში და მეტწილად პირველ ადგილზე გადიოდა. ს. სარხოიანი 1966-1979 წლებში სსრ კავშირის ოცდასამგზის ჩემპიონი იყო. 1971 წელს მოიპოვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება, ხოლო 1975 წელს—მსოფლიო ჩემპიონი გახდა. იგი დაჯილდოებული იყო 3 ოქროს, 9 ევრცხლისა და 3 ბრინჯაოს

---

[1] ოლიმპიური ენციკლოპედია, თბ., 1997, გვ.39.

ველლით.[1] კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასი დაიმსახურეს ა. კილაძემ და ვ. ალთაბაევმა.

ტანვარჯიშში მსოფლიო სახელი მოიპოვა ბათუმელმა ახალგაზრდა სპორსმენმა რუსუდან სიხარულიძემ, იგი მონაწილეობდა სსრ კავშირის სპორტულ თამაშებსა და საერთაშორისო შეჯიბრებებში აშშ-ში, იტალიაში, გერმანიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, სომხეთში (ერევანი) და სხვა. რ. სიხარულიძემ სამგზის მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა (1970, 1973, 1974 წწ.), ხოლო 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მაღალი სპორტული ოსტატობის გამო მას მიანიჭეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

ცურვაში მაღალი მიღწევები ჰქონდათ ი. ომელჩენკოს, ა. ანტონიანსა და ვ. კრასკოვს, ხოლო წყალბურთში– პ. ბრეუსს და სხვა. მათგან გამორჩეულია ი. ომოლჩენკო, რომელმაც ცურვაში არაერხელ დაიკავა საპრიზო და პირველი ადგილები აჭარის საოლქო, საქართველოს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერაშორისო შეჯიბრებებში. 1975 წელს სსრ კავშირი ჩემპიონი, ხოლო 1976 წელს ევროპის თასის მფლობელი და ოქროს მედლის კავალერი გახდა. მონრეალის (კანადა) XXI ოლიმპიურ ასპარეზობაზე (1975 წ.) ოქროს მედლით დააჯილდოვეს. ასეთი წარმატებების გამო ი. ომოლჩენკოს მიანიჭეს საერთაშორისო კლასი ოსტატის წოდება. წყალბურთში თვალსაჩინო წარმატებებისათვის პ. ბრეუსი ოლიმპიურ ასპარეზობაზე ბრინჯაოს მედლით დააჯილდოვეს.[2]

ბათუმელ ფეხბურთელებს შორის დიდი წარმატება წილად ხვდათ რ. ჩელებაძეს და ნ. ხიზანიშვილს. რ. ჩელებაძე მონაწილეობდა XXII ოლიმპიადაში (1980 წ.), სადაც III ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლით დააჯილდოვეს.[2] ის იყო სსრ კავშირის ფეხბურთელთა

---

[1] შ. ახვლედიანი, ჯ. ბაგრატიონი, ნ. გუგუშვილი, სპორტი საქართველოში, თბ., 1981, გვ.588-589; აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1184, ფურც.43; ს.1450, ფურც.27.

[2] ოლიმპიური ენციკლოპედია, თბ., 1997, გვ. 204.

ნაკრები გუნდისა და თბილისის "დინამოს" წევრი. უეფას თასის მფლობელი გახდა ბათუმელი ფეხბურთელი ნ. ხიზანიშვილი. დიდ მიღწევად ითვლება ის ფაქტი, რომ ბათუმელი 12 წლის გოგონა დიანა დარჩია მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჭადრაკში.

ომისშემდგომ პერიოდში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელმა ვარჯიშებმა. იგი შემოღებული იყო სასწავლებლებსა და წარმოება-დაწესებულებებში და ორგანიზებული ხასიათი XX ს.50-იანი წლებისბოლოს მიიღო. 1961-1962 წლებში ფიზკულტურულ-გამაჯანსარებელი ვარჯიშები ტარდებოდა 72 საწარმოსა და დაწესებულებებში, რომელიშიაც 7 ათასი კაცი მონაწილეობდა. 1976 წელს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ვარჯიში შემოღებული იყო 204 ფიზკულტურულ კოლექტივში.[1]

მასობრივი სპორტის ამ სახეობაში 1972 წელს მონაწილეობდა 10416, 1974 წელს—22158, ხოლო 1984 წელს—25003 კაცი.[2] რაც 3,6-ჯერ აღემატებოდა 1962 წლის მაჩვენებელს. 1991 წელს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა მიმდინარეობდა 451 კოლექტივში, რომელშიც 87690 კაცი მონაწილეობდა (8,4-ჯერ მეტი, ვიდრე 1972 წელს). ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ვარჯიშებში მონაწილეთა უმრავლესობას შეადგენდა მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა. მასობრივი სპორტის ამ სახეობაში წარმოება-დაწესებულებებში ჩაბმული იყო 9823 კაცი (12%).[3]

მიუხედავად ამისა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ვარჯიში ვერ გახდა მასობრივი. სპორტის ეს სახეობა ძირითა-

---

[1] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.315, ფურც.50, ს.197, ფურც.104.

[2] მასალები აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, ბათ., 1975, გვ.28; აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1981-1984 წლების მასალები), ბათ., 1984, გვ.23.

[3] აჭარის სპორტის საქმეთა დეპარტამენტის 1991 წლის მონაცემები. პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

დად მსხვილ საწარმოებსა და სასწავლო დაწესებულებებში ტარდებოდა, სადაც ამ საქმისთვის გამოყოფილი იყო ფიზკულტურის მასწავლებლისა და ინსტრუქტორის სპეციალური შტატი. აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში სათანადოდ ვერ განვითარდა სპორტის ისეთი სახეობანი, როგორიცაა წყალბურთი, მოტოსპორტი, წყალში ხტომა, აკრობატიკა, ცხენოსნური და სათხილამურო სპორტი, ალპინიზმი და სხვა.

ტურიზმი აჭარაში უძველეს დროში ჩაისახა. მოსახლეობა შორეული წარსულიდან მოყოლებული მისდევდა ნადირობას, თევზაობას და სხვა. აჭარის საუცხოო ბუნება, კულტურისა და ისტორიის შესანიშნავი ძეგლები მართლაც რომ სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენდა. მაგრამ XX საუკუნის 60-იან წლებამდე მასობრივი ტურიზმი აჭარაში ვერ განვითარდა. გასაბჭოებამდე ამ მხარეში ძირითადად ენთუზიასისტები ჩამოდიოდნენ.

ომამდელ პერიოდში აჭარაში ტურიზმის მატერიალური ბაზა თითქმის არ არსებობდა. პირველი ტურისტული სასტუმრო 1930 წელს გაიხსნა. 1956 წელს აჭარაში ორი ტურისტული ბაზა მუშაობდა (მწვანე კონცხი და ციხისძირი). 1959 წელს მესამე ტურისტული ბაზა გაიხსნა ქალაქ ბათუმში. 1963 წელს შეიქმნა ბათუმის საექსკურსიო ბიურო, რომლის დანიშნულებას შესადგენდა ექსკურსანტების ორგანიზებულად მიღება და მომსახურება. სწორედ აქედან იწყება მასობრივი ტურიზმის განვითარება.

1963 წელს საფუძველი ჩაეყარა ტურიზმისა და ექსკურსიების ერთიან სამსახურს—შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის საბჭო, რომელიც ორი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა. თავდაპირველად მასში გაერთიანდა 3 ტურბაზა და ბათუმის საექსკურსიო ბიურო. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 16 აპრილის დადგენილების "სსრ კავშირში ტურიზმისა და ინტურიზმის შემდგომი განვითარების შესახებ" შედეგად სახელმწიფოს ყურადღება

ლარგისადმი შესამჩნევად გაიზარდა. 1965 წელს აჭარის ტურიზმის საოლქო საბჭო სახელმწიფო დაფინანსებაზე გადავიდა. მაშინ აპარატში სამი კაცი მუშაობდა (თავმჯდომარე, ბუღალტერი და ინსტრუქტორი).[1]

ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმიტკიცებისათვის გარკვეული ამოცანები დაისახა. დაიგეგმა აბალი სასტუმროების, სასადილოების და სხვა ნაგებობათა მშენებლობა. ბათუმში გაიხსნა ტურისტული კლუბი, ტურბაზები, მოეწყო ბიბლიოთეკები და მასობრივი გართობის სხვა საშუალებანი, შეიძინეს მუსიკალური და სპორტული ინსტრუმენტები.

1965-1968 წლებში ტურისტულ ბაზებში საწოლთა რაოდენობა გაიზარდა 340 ერთეულით (820-დან 1160-მდე). ბათუმის ექსკურსიების ბიურო 1968 წელს გარდაიქმნა სამოგზაურო და საექსკურსიო ბიუროდ. ამასთან გაიზარდა მისი შესაძლებლობანი. ამის მიუხედავად, ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მომსახურების ქსელი ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნას. არასაკმარისი მატერიალური ბაზის გამო აჭარის ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭომ 1973 წლიდან დაიწყო კერძო სახლების დაქირავება ტურბაზების მოსაწყობად. პირველ წელს 4 არენდირებული ტურბაზა მუშაობდა. მომდევნო წელს მათი რიცხვი 8 ხოლო 1977წელს 9-მდე გაიზარდა.[2]

საკავშირო და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ 1969 და 1974წლებში სპეციალური დადგენილებები მიიღეს ტურიზმის, ექსკურსიებისა და კურორტების განვითარების შესახებ.[3] ამ დადგენილებების შედეგად შესამჩნევად გაუმჯობესდა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საექსკურსიო მომსახურების ქსელი, რაოდენობრივად

---

[1] აცსა, ფ.რ-348, ან.1, ს.5, ფურც.14.
[2] იქვე, ს.255, ფურც.1-2.
[3] საბჭოთა აჭარა, 1969, 28 ივნისი; 1974, 21 სექტემბერი.

და თვისობრივად გაიზარდა კადრების შემადგენლობა. 1970 წელს ჩაქვში (ქობულეთის რაიონი) გაიხსნა ახალი ტურბაზა და მათი რაოდენობა 4-მდე გადიდდა. მათ ერთდროულად შეეძლოთ 1650 ტურისტის მიღება, რაც ცხადია, გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. 1969 წელს ქ. ბათუმში დაიწყო 20-სართულიანი "მედეას" მშენებლობა (1559 ადგილით), რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 1982 წელს. 1981 წელს ტურისტულ ბაზებში 6825 საწოლი ითვლებოდა, მათ შორის სტაციონარულ ტურბაზებში – 1580, ხოლო არენდირებულებში-5245 საწოლადგილი.[1]

ტურისტულ ბაზებთან ააშენეს კაფე-სასადილოები, დასასვენებელი ფარდულები და სხვა. მაგალითად. 1972-1973 წლებში ააგეს 16 საზაფხულო ხის სახლი. 1975-1976 წლებში ექსპლოატაციაში შევიდა ციხისძირის, ქობულეთის, ჩაქვის, განთიადის, მახინჯაურისა და ბათუმის ტურბაზების სასადილოები 1598 დასაჯდომი ადგილით. 1977 წელს ქ. ბათუმში ამოქმედდა რესტორანი "ტურისტი" (690 დასაჯდომი ადგილით).[2]

ტურისტული ბაზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვლავ არასაკმარისი იყო დამსვენებელთა მომსახურეობისათვის. მისი განვითარების ტემპი და მასშტაბი არ შეესაბამებოდა რეალურ მოთხოვნებს. ამის შესახებ გარკვევით ითქვა საქართველოს კპ აჭარის XXXIV საოლქო კონფერენციაზე (1975წ.).[3] მომდევნო წლებში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მაგალითად, 1979წელს ტურბაზაში

---

[1] აცსა, ფ.რ-348, ან.1, ს.639, ფურც.1.

[2] მასალები აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ (1972-1973 წწ.), ბათ., 1975, გვ.30; აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1975-1976 წლების მასალები), ბათ., 1977, გვ.36; აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1977-1978 წლების მასალები). ბათ., 1980, გვ.34.

[3] აცსა, პპოგ, ფ.1, ან.73, ს.7, ფურც.33-34.

"მწვანე კონცხი" ზოგიერთ საძინებელ ოთახში ერთდროულად მოთავსებული იყო 6-8 ტურისტი.[1]

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ 1980 წელს ახალი დადგენილება მიიღეს "ტურისტულ-საექსკურსიო საქმის განვითარებისა და სრულყოფის შესახებ". ამის შესაბამისად საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტმა, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და საოლქო პროფსაბჭომ 1981 წლის 28 მაისს ერთობლივ დადგენილებაში "აჭარაში ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების შესახებ" კონკრეტული ამოცანები დასახეს.

მართალია, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ღონისძიებანი მთლიანად არ შესრულდა მაგრამ, გარკვეული წინსვლა შეიმჩნეოდა. კერძოდ, საგრძნობლად დაჩქარდა ტურისტული ბაზებისა და სასტუმროების მშენებლობა. 1980-1981 წლებში ექპლოატაციაში შევიდა არენდირებული ტურბაზების სასადილოები 600 დასაჯდომი ადგილით, რესტორანი "მესხეთი" (1560 დასაჯდომი ადგილით). 1982-1984 წლებში აშენდა ტურისტული სასადილოები ქობულეთსა და ბუკნარში, ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი ქვაკვერცხაში (ქობულეთის რაიონი) და სხვა, მოეწყო საცეკვაო მოედნები (განთიადში, ჩაქვსა და ბუკნარში). მწყობრში ჩადგა ციხისძირის ტურბაზის ბიბლიოთეკისა და ტურისტული კაბინეტის შენობები. 1986 წელს ბათუმში ამოქმედდა 18-სართულიანი ტურისტული სასტუმრო-კომპლექსი "მესხეთი".[2]

საგრძნობლად გაფართოვდა ტურიზმისა და საექსკურსიო სამსახხურის ქსელი. 1975-1980 წლებში შეიქმნა ქობულეთის საექსკურსიო-სამოგზაურო, შუახევის საექსკურსიო ბიუროები, სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, სა-

---

[1] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1378, ფურც.44.

[2] აცსა, ფ.რ-348, ან.1, ს.528, ფურც.29-30; აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციები (1981-1984 წლების მასალები). ბათ., 1984, გვ.24-25.

კონტროლო-სამაშველო რაზმი. 1987 წელს გაერთიანდა ხელვაჩაურის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო და სავაჭრო გაერთიანება /რესტორანი "მესხეთი" თავისი ფილიალებით/. ამ წელს ტურიზმისა და ექსკურსიები საოლქო საბჭოში 21 ორგანიზაცია ითვლებოდა, რაც 1968 წლის მაჩვენებელს 11 ერთეულით აღემატებოდა.[1]

ცხადია, საგრძნობლად გაიზარდა მოსამსახურე პერსონალის რაოდენობაც. 1970 წელს აჭარის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს სისტემაში 304 კაცი მუშაობდა. 1987 წლისათვის მათი რიცხვი 1524-მდე (5,0-ჯერ), ხოლო საოლქო საბჭოს აპარატის მუშაკებისა–25-მდე, ე.ი. 3-ჯერ მეტად გაიზარდა. შეიქმნა საორგანიზაციო-მეთოდური განყოფილება, საგეგმო-ეკონომიკური და საბუღალტრო სამსახური და სხვა. ტურისტულ-საექსკურსიო ბიუროებში კი 130 კაცი მუშაობდა (1989წ.).[2]

ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა კადრების კვალიფიკაციის ამარლებისათვის. 1963-1965 წლებში კვალიფიკაცია აიმარლა 60 კაცმა, 1979-1980 წლებში–242, ხოლო 1981 წელს–120 მუშაკმა, ამავე დროს მოამზადეს ტურიზმის სამსახურის 20 ინსტრუქტორი.[3] მეტნაკლებად ასე იყო სხვა წლებშიც. აჭარაში ტურიზმისა და საექსკურსიო ქსელის ჩამოყალიბებასა და დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გიორგი ოთარის ძე დავითაძემ, რომელიც 10 წლის განმავლობაში (1969-1980) ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა აჭარის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს.

ამ მიღწევების მიუხედავად, რეგიონის ბუნებრივი და ისტორიული სიმდიდრეები ჯეროვნად არ ყოფილა გამოყენებული. ყოველთვის არსებობდა დისპროპორცია დამსვე-

---

[1] აცსა, ფ.რ-348, ან.1, სს.138, 433, 484, 511, 529, 578, 821, 884, 939.
[2] აცსა, ფ.რ-348, ან.1, ს.177, ფურც.7, ს.852, ფურც.3; ს.998, ფურც.29.
[3] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1692, ფურც.99.

ნებლების რაოდენობასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობას შორის. ტურიზმისა და ექსკურსიების აჭარის სალქო საბჭოს 1989 წლის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თანამედროვე მოთხოვნილებას მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს. სტაციონალური ტურბაზების საძინებელ;ი კორპუსების, შენობა-ნაგებობების, საინჟინერო კომინიკაციების 70% ამორტიზებულია და დაუყოვნებლივ შეცვლას მოითხოვსო.[1]

მართალია, ტურიზმის სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სათანადოდ ვერ განვითარდა, მაგრამ აჭარაში სსრ კავშირის რეგიონებიდან ტურისტებისა და ექკურსანტების ნაკადი სისტემატურად იზრდებოდა, რასაც მოწმობს მე-7 ცხრილის მონაცემები (ათასი კაცი).[2]

ცხრილი 7

მაჩვენებლები	1963წ	1965წ	1968წ	1975წ	1980წ	1985წ	1986წ	1987წ	1988წ
ტურისტების რაოდენობა	29,9	31,3	39,5	98,9	147,8	144,9	164,3	169,5	146,0
ექსკურსანტების რაოდენობა	131,1	173,5	432,0	1,175,7	1529,2	1694	1688,8	1411,6	1327

აჭარაში ტურისტები ჩამოდიოდნენ როგორც საგზურებით, ისე უსაგზუროდ (არაორგანიზებულად). ტურისტული საგზურებით, რომელიც ძირითადად ცენტრში (მოსკოვი) ნაწილდებოდა, საკავშირო მარშრუტის დამსვენებლები ჩამოდიოდნენ. საგზურები 20 დღიანი იყო. სტაციონარული ტურბაზების უკმარისობის გამო დიდი რაოდენობით ტურისტები უსაგზუროდ ჩამოდიოდნენ. მათი რაოდენობა

---

[1] აცსა, ფ.რ-348, ან.1, ს.967, ფურც.21.

[2] ცხრილი შედგენილია: აცსა, ფ.რ-348, ან.1, სს.5, 278, 601, 639, 726, 759, 881, 939, 940; მასალები აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ (1967-1969 წლები). ბათ., 1970, გვ.18.

1963-1980 წლებში 12,1-ჯერ გაიზარდა. (5840-დან 70740-მდე). 1963-1981 წლებში ტურისტების საერთო რაოდენობა 5,5-ჯერ, ხოლო ექსკურსიებსა და ტურისტულ მოგზაურობებში მონაწილეთა რიცხვიანობა თითქმის 15-ჯერ გადიდდა. ზრდის დინამიკა მაღალი იყო XX საუკუნის 70-80-იან წლებში. 1987 წლიდან შესამჩნევია ტურისტებისა და ექსკურსანტების რიცხვის შემცირება, რაც დაკავშირებული იყო პოლიტიკური სიტუაციის გართულებებთან.

ტურისტებთან და ექსკურსანტებთან მრავალმხრივ საინტერესო მუშაობა ტარდებოდა. კულტმასობრივი მუშაკებისა და ექსკურიამძღოლების მეშვეობით დამსვენებლები ეცნობოდნენ აჭარის ბუნებას, წარსულს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, მუზეუმებს, თანამედროვე სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას, განათლებასა და კულტურას. განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევდა ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ევროპაში ანალოგი არ აქვს. საგულისხმოა, რომ 1978 წელს ბათუმის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურომ 552 ექსკურსია მოაწყო, ხოლო ქობულეთის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურომ 300. მათში ასი ათასობით ტურისტი და ექსკურსანტი მონაწილეობდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო მომდევნო წლებშიც. მაგალითად, 1985 წელს ბათუმის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო მოემსახურა 1274 ათას ექსკურსანტს.[1]

ტურისტებისა და ექსკურსანტების უბედური შემთხვევებისაგან დაცვის საქმეში ნაყოფიერად მუშაობდა საკონტროლო-სამაშველო რაზმი. იგი აღჭურვილი იყო სამაშველო ინვენტარით, ავტომობილებითა და ნავებით. 13 ადგილზე გახსნილი ჰქონდა სამაშველო პოსტები. სისტემატურად აწყობდა სემინარებს ზღვაზე ბანაობის სეზონის დროს. აღნიშნულმა სამსახურმა არაერთხელ გადაარჩინა ადამიანები უბედური შემთხვევებისგან. მაგალითად, 1980 წელს 9 შემთხვევა აღირიცხა წყალში დახრჩობისა და სა-

---

[1] აცსა, ფ.რ-348, ან.1, ს.759, ფურც.1.

კონტროლო-სამაშველო რაზმმა ყველა მათგანი სიკვდილს გადაარჩინა.[1] ცხადია, ზემოაღნიშნული ეს წელი გამონაკლისი არ ყოფილა.

ადგილობრივი მოსახლეობის ტურისტულ-საექსკურსიო მოძრაობაში ჩაბმისათვის საწარმო-დაწესებულებებში ჩამოაყალიბეს ტურისტული სექციები. 1963 წელს მათი რაოდენობა 13-მდე აღწევდა, სადაც 1400 კაცი ირიცხებოდა. 1969 წელს–220, 1975 წელს–275, ხოლო 1976 წელს–295 ტურისტული სექცია ითვლებოდა რომელშიც გაერთიანებული იყო 16617 კაცი, 11,9-ჯერ მეტი, ვიდრე 1963 წელს.[2]

ცხადია, ამ სექციების მუშაობაში ფორმალიზმიც მრავლად იყო. მაგრამ უმეტესი მათგანი ნაყოფიერად მუშაობდა. აღსანიშნავია ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათსაშენი ქარხანების, სამკერვალო ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა ტურისტული სექციების საქმიანობა.

ტურისტული ლაშქრობები ეწყობოდა ცოცხალ ბუნებაში (მთები, ხეები, მდინარეები, მატერიალური კულტურის ძეგლების ადგილები და სხვა). 1963-1965 წლებში მოეწყო 39 ლაშქრობა, რომელშიც 740 კაცი მონაწილეობდა. 1967 წელს ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა 12 ტურისტული ლაშქრობა მოაწყო.[3]

კვირაში ორდღიანი დასვენების შემოღებასთან დაკავშირებით ტურისტული ღონისძიებები საგრძნობლად გაიზარდა. 1969 წელს ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ლაშქრობები მოეწყო ბათუმის გორაზე, ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაქვიასთავის გორა "ჯვარზე", ჩოლოქში და სხვა ადგილებში. ამ ღონისძიებებში ჩაბმული იყო 4675 კაცი. გამოირჩეოდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის

---

[1] იქვე, ს.485, ფურც.1-4.

[2] აცხა, ფ.რ-98, ან.1, ს.726, ფურც.208; ფ.რ-348, ან.1, ს.5, ფურც.14; ს.255, ფურც.3.

[3] აცხა, ფ.რ-348, ან.1, ს.5, ფურც.2-3, 14.

ტურისტული სექცია, რომლის ინიციატიკით 29 ლაშქრობა გაიმართა.[1]

70-იან წლებში შესამჩნევად გაფართოვდა ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა ტურისტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. 1970-1971 წლებში ჩატარდა 235 ტურისტული ლონისძიება, რომლებშიც ჩაება 7050 კაცი, მათგან თითქმის ნახევარი (3500) სოფლის მაცხოვრებელი იყო. 1972 წელს 13 ათასმა კაცმა თავიანთი დასვენების დღეები ექსკურსიებსა და მოგზაურობებში გააატარა. მოსახლეობის ერთი ნაწილის ინტერესი ტურიზმისადმი მომდევნო წლებშიც არ განელებულა. მაგალითად, 1976 წელს (დასვენების დღეებში) მოეწყო 414 ტურისტული ლაშქრობა, რომელშიც 8300 კაცი მონაწილეობდა.[2]

80-იან წლებში კიდევ მეტად გაიზარდა ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა ტურისტულ-გამაჯანსარებელ მოძრაობაში. მაგალითად, 1985 წელს ტურისტულ მოგზაურობებში მონაწილეობდა 27740, ხოლო 1986 წელს–35000 კაცი.[3]

მართალია, აჭარის ტურისტული ბაზებით სსრ კავშირის სხვა რეგიონებიდან ჩამოსული დამსვენებლები სარგებლობდნენ, მაგრამ აქაურ მოსახლეობასაც საშუალება ჰქონდა გამოეყენებინა ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კერები. ამისათვის საგზურებს შეღავათიან ფასებში დარგობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები აწვდიდნენ. მაგალითად, 1973 წელს ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაზე გაიცა 1686, ხოლო1974 წელს–1715 ცალი საგზური. აქედან ტურისტულ ბაზებში გაცემული იყო შესაბამისად 138 და 473 საგზური.[4]

ტურისტული მოგზაურობები ეწყობოდა როგორც სსრ კავშირის მასშტაბით, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

---

[1] იქვე, ფ.რ-98, ან.1, ს.726, ფურც.208-210.
[2] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.893, ფურც.113; ს.923, ფურც.209; ს.1180, ფურც.62.
[3] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1692, ფურც.99.
[4] აცსა, ფ.რ-98, ან.1, ს.1074, ფურც.12.

პირველ შემთხვევაში ძირითადად მატარებლით და ავტომობილით მოგზაურობდნენ. საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კაპიტალისტურ ქვეყნებში მოგზაურობა პოლიტიზირებული, მკაცრად ლიმიტირებული და უაღრესად შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა ომისშემდგომ პერიოდში აჭარიდან საზღვარგარეთის ქვეყნებში არაერთი ტურისტული ჯგუფი გაიგზავნა. მაგალითად, 1971-1980 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მოგზაურობდა 277, ხოლო 80-იანი წლების პირველ ნახევარში–420-მდე ტურისტი.[1]

საზღვარგარეთის ქვეყნების ტურისტების მომსახურებას ახორციელებდა სასტუმრო "ინტურისტი". 1988 წელს მას დაეკისრა აჭარიდან ტურისტების საზღვარგარეთ მოგზაურობის ორგანიზაცია. ბათუმში "ინტურისტის" სააგენტო 1927 წელს გაიხსნა, 1930 წელს იგი განყოფილებად გარდაიქმნა. 1939 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა ბათუმის "ინტურისტის" ახალი შენობა, რის შეგეგადაც ტურისტების მომსახურება საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ტურიზმის შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. იგი 1970 წელს 9,3 მილიონ მანეთს შეადგენდა, რაც 1965 წლის მაჩვენებელს დიდად აღემატებოდა. 1975 წელს ტურიზმის შემოსავალი 9,8 მილიონ, 1982 წელს–12,5 მილიონ, 1986 წელს–14,8 მილიონ, 1987 წელს–16, 4 მილიონ, ხოლო 1988 წელს–17,1 მილიონ მანეთს მიაღწია. შესაბამისად იზრდებოდა მოგებაც, რაც 1965 წელს 14 ათასი მანეთიდან 1975 წელს 882,8 ათას, 1982 წელს 1.439,5 ათას, 1987 წელს – 1.663,9 ათას მანეთს შეადგდენდა.[2]

XX საუკუნის 80-იან წლებში მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სტრუქტურაში საექსკურსიო-ტურისტულმა დარგმა მეორე ადგილი დაიკავა (ჩამორჩებოდა მხოლოდ

---

[1] აცსა, ფ.რ-98, სს.1250, 1256; იხ. აჭარის პროფკავშირული ორგანიზაციების მასალები. ბათ., 1975-1984 წლების გამოცემები. ციფრები დაჯამებულია ავტორის მიერ.

[2] აცსა, ფ.რ-348, ან.1, სს.5, 278, 821, 884; ფ.რ-98, ან.1, ს.1245, ფურც.73.

საყოფაცხოვრებო მომსახურებას). 1986 წელს მასზე მოდიოდა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო ფასიანი მომსახურების შემოსავლების 22,3%.[1]

ცხადია, ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი მიღწევები იყო. მაგრამ აჭარის მთიანეთის ბუნებრივი სიმდიდრენი ტურიზმის განვითარებისათვის ოითქმის გამოუყენებელი დარჩა. ამასთან რეგიონის მოსახლეობა მასობრივად ვერ ჩაება ტურისტულ-გამაჯანსაღებელ და საექსკურსიო მოძრაობაში. 1985 წლისათვის ტურისტულ მოძრაობაში ჩაბმული იყო ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 7%. ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების ანალოგიური მაჩვენებლები 2%-მდე აღწევდა.[2] 1988 წლიდან ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნად შეფერხდა.

ამრიგად, აჭარის მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობაში, ყოფა-ცხოვრებასა და კულტურაში ომისშემდგომ პერიოდში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა. ცხადია, ომამდელი პერიოდი, მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი აღდგენითი წლები უმძიმესი იყო, მაგრამ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოკიდებული ცხოვრების პირობები მნიშვნელოვად გაუმჯობესდა. ამის შედეგად შემცირდა ადამიანების სიკვდილიანობა, გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. 1940-1986 წლებში ყოველ 10000 მაცხოვრებელზე სიკვდილიანობა 10,9-დან 7,7 კაცამდე, ე.ი. 29,6%-ით შემცირდა.[3]

---

[1] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.165.

[2] აცსა, ფ.რ-348, ან.1, ს.726, ფურც.3.

[3] Народное хозяйство Аджарской АССР, Статистический сборник, Бат., 1987, с.151; პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

1991 წელს სსრ კავშირი დაიშალა და საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობა აღადგინა. დაიწყო ახალი სოციალურ–ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ჯერ სრულყოფილად არ დასრულებულა. ამჟამად საზოგადოებაში არსებობს არაერთგვაროვანი შეხედულება საბჭოთა პერიოდის ისტორიის შესახებ. არიან ადამიანები, რომლებიც უარყოფითად აფასებენ ამ წლების მოვლენებს. საზოგადოების მეორე ნაწილი უფრო საღი გონებით უდგება საქართველოს უახლოეს ისტორიას. საზოგადოების მესამე ნაწილში, დღევანდელი გაჭირვების ფონზე, არსებობს ნოსტალგია საბჭოთა პერიოდის ისტორიის მიმართ.

წინამდებარე წიგნში შესწავლილია საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური ისტორია აჭარის რეგიონის მაგალითზე. ამ თემაზე მუშაობა 1974 წელს დავიწყეთ და 1998 წელს დავასრულეთ. ნაშრომი თავის დროზე გულდასმით წაიკითხეს აწ. განსვენებულმა პროფესორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დავით ხახუტაიშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ვახტანგ გურულმა, პროფესორებმა რამაზ სურმანიძემ, იური ბიბილეიშვილმა, მურად ჩავლეიშვილმა, დოცენტმა ჯემალ კარალიძემ.

მათ საყურადღებო შენიშვნები და სურვილები გამოთქვეს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულია წინამდებარე მონოგრაფიაში. დაინტერესებული მკითხველი, განსაკუთრებით ამ დარგის სპეციალისტები დაინახავენ, რომ საქართველოს 1946–1990 წლების ისტორია, აჭარის რეგიონის მაგალითზე, დაწარილია ახალი მეცნიერული მეთოდოლოგიით.

საბჭოთა პერიოდის, კერძოდ, საქართველოს 1946–1990 წლების ისტორიის მხოლოდ მუქ ფერებში გაშუქება უსამართლობა იქნებოდა. ამ პერიოდში დაიბადა და აღიზარ-

და რამდენიმე თაობა, რომლებიც თავდადებით შრომობდ-
ნენ და დღესაც შრომობენ ქვეყნის საკეთილდღეოდ. მიღ-
წევები ცხოვრების ყველა სფეროში მთელი საზოგადოე-
ბის, განსაკუთრებით რიგითი ადამიანების დამსახურება
ბახლავთ. მათ არ მიუძღვით ბრალი პოლიტიკური რეჟი-
მისა და სოციალურ–ეკონომიკური სისტემის შექმნაში.
ჩვენი შეხედულებით, ნაშრომში მოვლენები ობიექტურადაა
ნაშუქებული და შეფასებული.

შემოკლებათა განმარტება:

აცსა – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი
ან. - ანაწერი
არ – ავტონომიური რესპუბლიკა
ასხგსმაპ - აჭარის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში
ბათ. – ბათუმი
დასახ.–დასახელებული
თბ. - თბილისი
ზთმოსკისგ - ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება
ჟურნ. ჟურნალი
პპოგ – პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განყოფილება
კპ – კომუნისტური პარტია
ნაშრ.–ნაშრომი
ნაწ. ნაწილი
იხ. – იხილეთ
სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი
ს. – საქმე
სს. – საქმეები
ს – სოფელი
სსრ.–საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
სსრკ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
სკკპ - საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია
სუიცსა. - საქართველოს უახლოესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი
სპა - საქაროველოს პრეზიდენტის არქივი

სნშგსკესია – სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის არქივი
წ. – წელი
წწ. – წლები
ფ. – ფონდი
ფურც - ფურცელი
ცეკა – ცენტრალური კომიტეტი
ქ.–ქალაქი

Бат. – Батуми
СССР – Союз Советских Социалистических республик
КПСС - Коммунистическая партия Советского Союза
ССР - Советская Социалистическая республика
АССР - Автономная Советская Социалистическая республика
Тб. – Тбилиси
с. – страница
М. - Москва
цк. – центральний комитет

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი
ომის შედეგები. სახალხო მეურნეობის
აღდგენის ღონისძიებანი 1946-1950 წლებში

1. ომის შედეგები. ეკონომიკის აღდგენის სიძნელეები და პრობლემები 17
2. მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება 35
3. ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის 59

თავი მეორე
აჭარაში ინდუსტრიის განვითარება
XX ს. 50-80-იან წლებში

1. მრეწველობა 91
2. კაპიტალური მშენებლობა 156
3. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 175

თავი მესამე
სოფლის მეურნეობა აჭარაში
XX ს. 50-80-იან წლებში

1. სოფლის მეუორნეობის განვითარების სამეურნეო-ორგანიზაციული ღონისძიებანი 204
2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა 232
3. სპეციალიზაციის გაღრმავება. წარმოების შედეგები 262

თავი მეოთხე
მეცნიერება, ინდუსტრიული კადრები და
სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი

1. მეცნიერება და ტექნიკური პროგრესი 303
2. ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედება 328

თავი მეხუთე
აჭარაში დემოგრაფიული მდგომარეობა
და მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა

1. დემოგრაფიული მდგომარეობა 366
2. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა 378

3. სოციალური ურთიერთობანი 416

თავი მეექვსე
მოსახლეობის კეთილდღეობა

1. მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა 429
2. ცვლილებელი ყოფაცხოვრებაში. მომსახურების ფორმები 448
3. ჯანმრთელობის დაცვა 469
4. ფიზიკური კულტურა, სპორტი, ტურიზმი. 498

ბოლოთქმა 523

შემოკლებათა განმარტება 526

ოთარ თურმანიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა 1934 წელს. 1953 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა შუახევის რაიონის უჩამბის საშუალო სკოლა, 1957 წელს – წარჩინებით ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტი) ისტორიის ფაკულტეტი.

1957–1960 წლებში მუშაობდა შუახევის რაიონის წაბლანის რვაწლიან და უჩამბის საშუალო სკოლებში ისტორიისა და უცხო ენის (გერმანული) მასწავლებლად. 1960–1972 წლებში იყო ცინარეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი, 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1988 წელს–სადოქტორო. გამოქვეყნებული აქვს სამოცამდე მეცნიერული შრომა, მათ შორის 7 წიგნი, ათეულობით საგაზეთო სტატია.

პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ბათუმის პილიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას. პარალელურად ლექციებს კითხულობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამედიცინო–ეკოლოგიურ ინსტიტუტში. პროფესორი ოთარ თურმანიძე არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი.

ჰყავს მეუღლე – თინა, სამი შვილი – ნინო, მერაბი, თემური და ხუთი შვილიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე
ტექნიკური რედაქტორი: ედუარდ ანანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: თამილა ზაქარაძე
ნინო ზაქარაძე
კორექტორი: თინა ირემაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 29.12.2005
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 25
ტირაჟი 300
ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში.
ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №2.